

კავლე ინგოროსა 130

სამეცნიერო კრებული

ქუთაისი
2024

კრებულში თავმოყრილია სამეცნიერო სტატიები ლიტერატურათმცოდნეობის, ენათმეცნიერების, ფილოსოფიის, ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიისა და არქეოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებზე და მომზადდა დიდი ქართველი ლიტერატურათმცოდნის, რუსთველოლოგისა და ისტორიკოსის – *პავლე ინგოროყვას დაბადების 130 წლისთავის* აღსანიშნავად.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

შემდგენელი და რედაქტორი: **იგორ კეკელია**, ფოთის №15 საჯარო სკოლის პედაგოგი, ისტორიის დოქტორი

სარედაქციო საბჭო: **ედიშერ ბალათურია, ლია გაბუნია, თენგიზ გუმბერიძე, ბაკურ ლაშინია, თამაზ ლაცაბიძე, ქეთევან მარგიანი, ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე, მათა ნინიძე, ნონა ჩხეიძე, ია წურწუშია, მანანა ჭიჭინაძე, კახაბერ ქებულაძე.**

სსიპ ქ. ფოთის №15 საჯარო სკოლა

„გრივოლ ხანძთელის შინაგანი სინათლით იყო განათებული. მასაც მეუღაბ-
ნოე ბერის შინაგანი რწმენა ეწეოდა თავდაუზოგავი, თავდავიწყებული შრომისა-
კენ. მან ისიც კი არ იცოდა, რომ მაგალითად იქცა დაუნჯებული, ცხოვრების ყა-
ყანს განრიდებული, მეუღაბნოე მეცნიერის მაგალითით... საუკუნის აღმართში
ჯერის ზიდვა ასე ხანგრძლივად და ქედშეუხრელად, მხოლოდ ერთეულებმა შეძ-
ლეს“...

„გაივლის დრო, დადგება სხვა საუკუნე, იმ საუკუნის მოქალაქეები გაიგებენ,
რომ XX საუკუნის მიწურულს საქართველოში იყო ისეთი ავტორიტეტული დაწე-
სებულება, როგორიცაა მეცნიერებათა აკადემია და ჩვენს თაობას შერცხვება მო-
მავლის წინაშე, რომ ამ დაწესებულებაში პავლე ინგოროყვა არ იყო“.

გურამ ასათიანი

„დრმა რწმენა იმისა, რომ ჭეშმარიტება და სამშობლო ყველაზე მაღალი კა-
ტეგორიებია, ყველაზე წმინდა ღირებულებებია, ყველაზე ძირეული პოსტულატე-
ბია, რომლებიც განსაზღვრავენ (და უნდა განსაზღვრავდნენ) ადამიანის ცხოვრე-
ბის საზრისს, მისი სოციალური და პიროვნული მოღვაწეობის აზრს, მისი ყოფიე-
რების წესს, მის სიტყვასა და საქმეს, პავლე ინგოროყვასათვის იყო წყარო იმ სე-
ლიერი ენერგიისა, რომელმაც მას არასდროს, არც ერთ ვითარებაში და სიტუაცი-
აში ქედი არ მოახრევიან, არ მოდრიკა და არ დააჩოქა გამეფებული პოლიტიკური
და იდეოლოგიური მოთხოვნების, გაბატონებული კონიუნქტურის წინაშე. იგი
მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთ, მთლიან, განუყოფელ, გაუზზარავ პიროვნე-
ბად — პავლე ინგოროყვად რჩებოდა და დარჩა... ქართული ცივილიზაციის მკვლე-
ვართა შორის ძნელად თუ მოიძებნება მეორე პიროვნება, რომელსაც ისე მასშტა-
ბურად და ისეთ მაღალ პროფესიულ დონეზე ეკვლიოს ქართული სახელმწიფოებ-
რიობისა და კულტურის განვითარების ყველა ძირითადი ეტაპი, როგორც ეს გაა-
კეთა პავლე ინგოროყვამ. ამ მხრივ იგი დიდი ივანე ჯავახიშვილის გვერდით
დგას“.

ჯემალ კორძაია



პავლე ინგოროყვა



სიმონ ყაუხჩიშვილი, პავლე ინგოროყვა, გიორგი ჩუბინაშვილი, რენე შმერლინგი და
ვალენტინ თულაშვილი. 1931 წლის ექსპედიცია.

ლია გაბუნია (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პავლე ინგოროყვა საქართველოს საზღვრებისა და ტერიტორიული გამიჯვნის შესახებ

პავლე ინგოროყვას ორი თხზულება, რომლის რედაქტორიც მწერალი როსტომ ჩხეიძეა, აგრძელებს და ავსებს 1999 წელს გამოცემულ წიგნს – „ისტორიული რარიტეტები“. დასახელებულ წიგნში ერთად მოიყარა თავი დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს არსებობის ხანაში გამოცემულმა მცირე, მაგრამ მრავალმხრივ მნიშვნელოვანმა ნაშრომებმა (ივანე ჯავახიშვილისა, პეტრე სურგულაძისა და პროფესორ ლისტისა).

ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეზე – პავლე ინგოროყვაზე საუბრისას საჭიროდ მიგვაჩნია, წინასწარ რამდენიმე მომენტზე გავამახვილოთ ყურადღება. სამეცნიერო-პოპულარული თხზულება „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“ გამოსცა შოთა რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგმა“, 1990 წელს, ხოლო გაყიდვაში გამოვიდა 1991 წელს. წიგნი შედგება 55 გვერდისაგან. პირველ თხზულებაში მკვლევარი მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიის საკითხებზე მსჯელობას; მეორე თხზულებაა „კავკასიის ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო“. აქვეა მოთავსებული „ბიბლიოგრაფიული მინაწერი როსტომ ჩხეიძისაგან“ და რევაზ გაბაშვილის „მგზავრობა ბათუმიდან ტრაპიზონს“.

დასაწყისიდანვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ პავლე ინგოროყვა გამოირჩევა სამეცნიერო პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომით, სხვა, წინამორბედ მკვლევართა თვალსაზრისისა და მეცნიერული სიახლეებისადმი პატივისცემით, პრინციპულობითა და შემართებით. იგი კარნაკეტილი მეცნიერი არ არის, არამედ უაღრესად აქტიური თანამონაწილეა თავისი ქვეყნის კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა უმნიშვნელოვანესი მოვლენისა. ცნობილი მკვლევარი, უცხო ენების ცოდნის წყალობით (ფლობდა ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, ძველბერძნულ, ლათინურ და იტალიურ ენებს, რომლებსაც აქტიურად იყენებდა მეცნიერული მუშაობისას) ღირსეულად წარმოადგენდა ქართული ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიის მაღალ დონეს საზღვარგარეთ. ხშირ შემთხვევაში ის იყო საქართველოს წარსულისა და ქართული კულტურის არაკეთილმოსურნეებისა და მტრების მიმართ ხმაღმემართული მეომარი. მკაცრი ინტელექტუალური სახე, სუსტი, მაღალი აღნაგობა და სწორი, გამართული მეტყველება, ენების ცოდნა, მას აძლევდა ლოგიკური მსჯელობის თავისუ-

ფალ საშუალებას. პავლე ინგოროყვამ ისტორიოგრაფიაში პირველად მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხების კვლევა-ძიების სუბიექტები და ქრონოლოგიური საზღვრები მნიშვნელოვნად გააფართოვა და განსაზღვრა კიდევ. დღევანდელი თაობებისათვის რაოდენ სასიცოცხლოდ აქტუალურია ქართველთათვის მარადჟამს მტკივნეული ეს პრობლემა – ერთიანობა, მთლიანობა და განუყოფლობა. ეს დღესაც ჩვენი ქვეყნის უპირველესი საბრძოლო ამოცანაა!

საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების პრობლემატიკის კვლევისას პავლე ინგოროყვას არაერთი დაუმსახურებელი კრიტიკა მიუღია აფხაზი, რუსი, სომეხი და სხვა ევროპელი კოლეგებისგან. სამწუხაროა, რომ მათ რიგებში აღმოჩნდა ზოგიერთი ნომენკლატურული ქართველი ვაი-მეცნიერიც. პ. ინგოროყვას ეკუთვნის ფუნდამენტური კვლევა აფხაზეთის ოლქის შესახებ. სწორედ აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხს გვსურს მივაქციოთ ამჟამად ყურადღება, რადგან ეს საკითხი ყოველი ქართველისთვის უაღრესად მტკივნეულია. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ დიდ მეცნიერს გაუჩნდა მტრები, არ აირჩიეს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, „მიაკერეს“ უშიშროების აგენტის სახელი და ცხოვრების სხვა უამრავი სატანჯველი. პავლე ინგოროყვა ის პიროვნებაა, რომელიც ძმადშევიცვულ კონსტანტინე გამსახურდიას, ალექსანდრე აბაშელსა და სხვა მეგობრებს არასოდეს ტოვებდა გასაჭირში და სიკვდილსა და „უშიშროების“ კლანჭებს გამოსტაცა მათი თავი.

მივუბრუნდეთ განსახილველი თხზულების შესავალ ნაწილს. დავიმოწმოთ ციტატა პირველი თხზულებიდან: „საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს, მთლიანს წარმოადგენს ისტორიულად, ეკონომიურად და ეთნოგრაფიულად. საქართველოს საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ; საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით... საქართველო ამავე დროს ერთი მთლიანი ფიზიკალ-გეოგრაფიული პროვინცია არის, განაგრძობს პავლე ინგოროყვა, – ერთი ქვეყანა – შემოფარგლული ბუნებრივის საზღვრებით. საქართველო მიაგავს ციხეს, რომელსაც ყოველ მხრით კედლები არტყია“¹ მკითხველს თვალწინ გადაეშლება გასაოცარი სიზუსტით მოხაზული და დახასიათებული საქართველოს საზღვრები. მაგრამ სიტყვა „პროვინცია“, როცა საქმე საქართველოს, მის სამშობლო ქვეყანას ეხება საქმე, ქართველი კაცისთვის მიუღებელია. შეიძლება ეს იყოს სხვაგვარი გაგებისთვის განსაზღვრული. ამ სიტყვას სამჯერ იყენებს

¹ პ. ინგოროყვა, საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, თბ., 1990, გვ. 4.

ერთსა და იმავე ნაშრომში დიდი მეცნიერი პავლე ინგოროყვა.

სულხან-საბასთან სიტყვა „პროვინცია“ ნიშნავს დედაქალაქს, ან მსხვილ კულტურულ ცენტრს დაშორებულ, დასახლებულ ადგილს, კუთხეს, მხარეს. ჩვენი აზრით, ამ გაგებით პ. ინგოროყვას ნაშრომში აღნიშნული სიტყვის ხმარება გამორიცხულია.

„საქართველოს პოლიტიკური საზღვრები ხშირად იცვლებოდა წარსულში, მაგრამ საქართველო ყოველთვის ერთსა და იმავე ტერიტორიას ერქვა; ეს არის ის რვა პროვინცია, რომელზედაც ქართველი ერი მოსახლეობს მთელი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე: ქართლი, კახეთი, სამცხე-საათაბაგო (ეხლანდელი სამუსულმანო საქართველო: მესხეთი-ლაზისტანი), იმერეთი, გურია, სამეგრელო, სვანეთი და აფხაზეთი“². აქ უკვე ერთ მთლიანობაში წარმოდგენილი, მაგრამ დანაწილებულადაც ჩამოთვლილი კუთხეებიც კი „პროვინციად“ წარმოგვიდგინა პავლე ინგოროყვამ.

მიუხედავად ამისა, პ. ინგოროყვას შეხედულებებმა მკითხველი შეიძლება აღაფრთოვანოს და განაცვიფროს კიდევ... წარმოდგენილი ციტატის მსგავსად, საქართველოს ბოლო საზღვრის დახასიათებით მთავრდება წიგნის პირველი გვერდი. საკითხის ამომწურავად მოხაზვის შემდეგ უკვე მეცნიერი ინტერესდება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობით: „საქართველოს საზღვრების ეს ბუნებრივი დამთავრება გეოგრაფიულ მიჯნებზე წინასწარ განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიურ მთლიანობას. ამ ტოპოგრაფიულ ზღუდეებში მოქცეული მხარე-კუნძული არის ერთი ქვეყანა, ერთი ბუნებრივი, ორგანულად მთლიანი სამეურნეო-ეკონომიური პროვინცია. თვითეული მხარე ამ ქვეყნისა მჭიდრო სამეურნეო ურთიერთობით არის შეკავშირებული დანარჩენ მხარეებთან და ამავე დროს მეზობელ ქვეყნებიდან მოწყვეტილია ბუნებრივი ზღუდეებით, და ამიტომაც არც ერთ კუთხეს საქართველოსას არ შეუძლია ეკონომიური არსებობა მთლიანი საქართველოს გარეშე. ჩამოჭრა საქართველოდან რომელიმე კუთხისა, რომელიც თითონ გეოგრაფიული პირობისა გამო ყველა არტერიებით გადაბმულია მრთელთან, – ეს იქნებოდა ერთი ორგანული სამეურნეო ეკონომიური სხეულის დასახინჩრება. აგრეთვე საქართველოს ქვეყანა ეთნოგრაფიულადაც მთლიან ერთეულს წარმოადგენს“³.

VIII საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული, VIII-X საუკუნეთა მანძილზე, დასავლეთ საქართველოს, როგორც ცნობილია, ეწოდება **აფხაზეთი**. ბიზანტიის ხანგრძლივი ბატონობის შედეგად ფეხმოკიდებული ბერძნული ენა, როგორც მთავარი

² იქვე, გვ. 6

³ იქვე, გვ. 5

სახელმწიფო ენა დასავლეთ საქართველოში, განდევნილ იქნა სწორედ აფხაზთა დინასტიის მიერ და ბერძნულის ადგილი მთლიანად ქართულმა დაიჭირა. ეს სახელწოდება შერჩა დასავლეთ საქართველოს უფრო გვიან ხანაშიც, მას შემდეგაც, რაც საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროები X-XI საუკუნეთა მიჯნაზე გაერთიანდნენ ერთ მთლიან სახელმწიფოდ. გაერთიანებული სამეფოს ოფიციალურ სახელწოდებაში, როგორც ცნობილია, პირველად მოიხსენიებოდა „აფხაზეთი“, რაშიც იგულისხმებოდა მთელი დასავლეთი საქართველო. საზღვრები ისე ვერ იქნებოდა დაზუსტებული, თუკი მეცნიერულ დონეზე სრულად არ ექნებოდა გათავისებული პავლე ინგოროყვას.

XII-XIII საუკუნეებში, როდესაც საქართველოს ფარგლებში გაერთიანდა მთელი კავკასია (და აგრეთვე შემოერთებულ იქნა კავკასიის მოსაზღვრე სანაპიროები ანატოლიისა და ირანისა), სრული ტიტულატურა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთა, როგორც ცნობილია, შემდეგი იყო: „მეფე აფხაზთა და ქართველთა (=ქართლელთა), რანთა და კახთა, სომეხთა, შარვანშა (=შარვან შაჰი) და შაჰანშა (=შაჰან შაჰი), და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელი“⁴.

ვინ იყვნენ თვით აფხაზნი, რომელთაც თავისი სახელწოდება გადასცეს ჯერ დასავლეთ საქართველოს, ხოლო შემდეგ მთელ საქართველოს სახელმწიფოს? სახელწოდება „აფხაზეთი“ ფართო მნიშვნელობით, როგორც ზოგადი სახელწოდება დასავლეთ საქართველოსი, პირველად შემოდის ხმარებაში VIII საუკუნის II ნახევრიდან, ანუ იმ დროიდან, როცა შეიქმნა დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო „აფხაზეთის სამეფო“ ანუ „აფხაზთა სამეფო“ (ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ საქართველოს – „აფხაზთა სამეფოს“ – დაარსების გამო ის შეხედულება მიღებული, ვითომც ამ დროს, VIII საუკუნის II ნახევარში, მოხდა დაპყრობა დასავლეთ საქართველოსი აფხაზების მიერ, რომლებიც, ამ შემცდარი შეხედულების თანახმად, არაქართველ ტომად არის მონათლული), და ვითომც ამის შემდეგ ორი მომდევნო საუკუნე (IX-X საუკუნეები) – ეს არის ერთგვარად „აფხაზური ერა“ დასავლეთ საქართველოს ისტორიაში. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში დასავლეთ საქართველოს, „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსების ისტორია ასეა განმარტებული: „მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ამ დროისათვის (VIII საუკუნის II ნახევრისთვის) დასავლეთ საქართველოშიაც. როგორც ვიცით, VI საუკუნის დამდეგიდან აბაზგების (აფხაზების) სამთავრო ეგ-

⁴ „ქართლის ცხოვრების“ ანასეული ნუსხა, გვ. 115

რისის სამეფოდან გამოყოფილი იყო და ბიზანტიის კეისარს ემორჩილებოდა უშუალოდ. ეს მთავრები შემდეგში კეისრებმა, აფხაზეთში თავის ერისთავებად აქციეს. VIII საუკუნეში „აფხაზეთი“ უკვე მჭიდროდ დასახლებული და მშვიდობიანობით მოსარგებლე ქვეყანა სახელმწიფოს სახელწოდებაა, გაფართოებული მნიშვნელობით, როგორც ზოგადი სახელწოდება დასავლეთ საქართველოსი, პირველად შემოდის ხმარებაში. ძირითად ისტორიულ პირველწყაროში – „მატიანე ქართლისაი“-ს ძეგლში, პირდაპირ აღნიშნულია, რომ აფხაზეთა ერისთავი „გაადგა ბერძენთა (ბიზანტიელთა), დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“⁵, ე. ი. აფხაზეთა ერისთავმა აფხაზეთიდან კი არ დაიპყრო ეგრისი, არამედ ორივე მხარე, აფხაზეთიც და ეგრისიც, ვიდრე ლიხის მთამდე, დაიპყრო ბიზანტიელთაგან, გაათავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან. აქ ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ ერთ ფაქტს, ხოლო ისტორიული ვითარება მთლიანის სახით აღდგენილი გვაქვს ქვემოთ. ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ **სწორედ მას შემდეგ, რაც დასავლეთი საქართველო, აფხაზეთთან ერთად, აფხაზეთის დინასტიის მოთავეებით, განთავისუფლდა ბიზანტიის ბატონობისაგან, და შეიქმნა დასავლეთ საქართველოს – „აფხაზეთის სამეფო“, სწორედ ამ დროიდან იწყება მკვეთრი, წმინდა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა** და მის მაგიერ ქართული იქნა შემოღებული. დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც მანამდე იერარქიულად დაკავშირებული იყო კონსტანტინეპოლის პატრიარქთან, ჩამოშორდა კონსტანტინეპოლს და დაუკავშირდა ქართლის (იბერიის) საკათალიკოსოს. **ამრიგად, ხანა „აფხაზეთა სამეფოსი“ – ეს არის ეპოქა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა დასავლეთ საქართველოში.** რასაკვირველია, ყოველივე ეს უცნაური და გაუგებარი იქნებოდა, თუ ჩვენ დავუშვებდით, რომ დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთა სამეფო“ ვითომც შეიქმნა დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შედეგად უცხო, არაქართველი ტომის მიერ. მაგრამ, როგორც ვთქვით, არაფერი ამის მსგავსი სინამდვილეში არ მოხდარა; დასავლეთ საქართველოს **ქართული** სახელმწიფო შექმნილია **ქართველი** ტომების მიერ, და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის არის **ქართველი ტომი აფხაზები**. შეხედულებანი, რომლებიც მიღებულია აფხაზეთა ტომის ვინაობის შესახებ და დასავლეთ საქართველოს – „აფხაზეთა სამეფოს“ დაარსების ისტორიული ვითარების შესახებ იმდენად დაცვილებულია სინამდვილეს, იმდენად შემცდარად წარმოგვიდგენს არა თუ ერთ კერძობობის საკითხს, არამედ მთელ პე-

⁵ ქართლის ცხოვრების ანასეული ნუსხა, გვ. 161

რიოდს ქართველი ხალხის ისტორიაში, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დაწვრილებით შევჩერდეთ ამ საგანზე, რათა საკითხში სრული სინათლე იქნეს შეტანილი. ჩვენ აქ სპეციალურ მიმოხილვას მივუძღვნით საკითხებს: ა) როგორი იყო აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში, ვინ იყვნენ აფხაზები და აფხაზეთის მკვიდრი სხვა ტომები; ბ) რა ისტორიულ ვითარებაში მოხდა დასავლეთ საქართველოს – „აფხაზეთის სამეფოს“ – დაარსება. ამ საკითხთა განხილვის შემდეგ ჩვენ შევეხებით ცნობებს, რომელთაც შეიცავს გიორგი მერჩულეს ძეგლი „აფხაზეთის სამეფოს“ შესახებ“.

პავლე ინგოროყვამ უმნიშვნელოვანესი კვლევა ჩაატარა აფხაზეთის შესახებ. ის მრავალი ისტორიული წყაროსა და ტოპონიმიკური მასალების შესწავლით შეეცადა დაედგინა, რომ დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რაც აფხაზეთის სახელით იყო ცნობილი, ძირძველი ქართული მიწა იყო და მოიცავდა ტერიტორიას კელასურის კედლიდან ძველ ლაზიკამდე. აქ სახლობდნენ ქართველები: მესხები, ანუ აფხაზები, კოლხები, ანუ მეგრულ-ლაზები, და სვანები. მეცნიერმა თავისი კვლევის შედეგები 1954 წელს გამოაქვეყნა ცნობილ მონოგრაფიაში, რამაც საბჭოთა ხელისუფლებისა და ისტორიკოსთა დიდი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია და წიგნი მალევე აკრძალეს⁶.

პავლე ინგოროყვამ დაწერა არაერთი ნაშრომი საქართველოს ტერიტორიული და დემოგრაფიული პრობლემების შესახებ. გადავდივართ რა აფხაზეთის ისტორიული ეთნოგრაფიის საკითხთა განხილვაზე, ჩვენ აქ წინასწარ დავსვამთ კითხვას იმას დაკავშირებით, თუ როგორი იყო ტერიტორიული მოცულობა საკუთრივ აფხაზეთის მხარეთა (ვიწრო მნიშვნელობით). სახელწოდების ქვეშ – „აფხაზეთის მხარენი“, ანუ „აფხაზეთი“ ვიწრო მნიშვნელობით, ჩვენ ვგულისხმობთ ისტორიული „აფხაზეთის საერისთავოს“ ტერიტორიას იმ ფარგლებში, რომელშიც იგი არსებობდა VIII საუკუნის შუა წლებში (ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე დაარსდებოდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო „აფხაზეთის სამეფოს“ სახელწოდებით). ეს ტერიტორიული ერთეული, – „აფხაზეთის საერისთავო“, ანუ „აფხაზეთი“ ვიწრო მნიშვნელობით – არ იყო შემთხვევით, დროებით შეკოწიწებული ადმინისტრაციული ერთეული, არამედ წარმოადგენდა მყარს გეოგრაფიულ მთლიანს, რომელსაც არ შეუცვლია თავისი ადრინდელი ტერიტორიული მოცულობა მას შემდეგაც, რაც იგი შევიდა ჯერ დასავლეთ საქარ-

⁶ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მათე საუკუნისა, თბ., 1954

თველოს ფეოდალურ სახელმწიფოს შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ – გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში.

საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების პრობლემატიკის კვლევისას პავლე ინგოროყვამ სხვა მეცნიერთაგან განსხვავებული პოზიცია დაიკავა ე. წ. აფხაზთა სამეფოს, საერთოდ, აფხაზეთის ისტორიის საკითხების მეცნიერული კვლევა-ძიებისას. ამის გამო მან არაერთი დაუმსახურებელი კრიტიკა იწვნია. მის თვალსაზრისს გამოუჩნდნენ მხარდამჭერებიც ზოგიერთი ქართველი მეცნიერის სახით. მათ შორის იყო ცნობილი ისტორიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე. ამ უკანასკნელმაც იწვნია დაუმსახურებელი კრიტიკის ქარცეცხლი იგივე საკითხის კვლევისას.

აქვე გულისტკივილით შევნიშნავთ ამჟამად არსებულ კიდევ უფრო სამწუხარო რეალობას: არაკორექტული და სახიფათო პროცესები შეინიშნება სრულიად კავკასიის ხალხების ისტორიისა და კულტურის საკითხთა კვლევაში. არამეცნიერული, მღვრიე ნაკადი წალეკვით ემუქრება ყველას და ყველაფერს კავკასიურ სამშომიც...

და, კიდევ ერთი, ჩვენი აზრით, მეტად პრინციპული საკითხი. ადრე, ქართულ ისტორიოგრაფიაში, VIII-XII სს-ში საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში მხოლოდ სამი პოლიტიკური ერთეული – **კახეთი**, **აფხაზეთი**, (**ეგრის-აფხაზეთი**) და **ტაო-კლარჯეთი** განიხილებოდა, როგორც საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილი და მისი სუბიექტები. სამწუხაროდ, ეს „ტრადიცია“ საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა. მოგვიანებით, პავლე ინგოროყვას თანამოაზრეების სახით და აკად. ივანე ჯავახიშვილის წყალობით, ამ ერთეულთა ჩამონათვალს „თბილისის საამიროც“ შეემატა. სახელოვანი მეცნიერის აზრით, ამ პერიოდში „საქართველოს მიწა-წყალი თოხს სხვადასხვა მფლობელს ეჭირა“.

მარიამ ლორთქიფანიძემ დიდი მეცნიერის მიერ თავის დროზე გამოთქმული სწორი თვალსაზრისის „მატერიალიზაცია“ მოახდინა: 1948 წელს თბილისის საამიროს ისტორიაზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და ამ საკითხზე სხვადასხვა დროს სერიოზული მეცნიერული ნაშრომებიც გამოაქვეყნა. არსებითად, თბილისი (ტფილისი) და მისი „ქვეყანა“, არაბ-მაჰმადიანთა ხანგრძლივი ბატონობის ხანაში, ქართველთა ისტორიული დედაქალაქის „გაუცხოების“ თითქმის 400-წლოვანი (ჩვენი გამოთვლით, არანაკლები 300 წლის) ისტორიაც, კვლავ დედამშობლოს, ქრისტიანული საქართველოს ისტორიის წიაღს „დაუბრუნდა“.

პავლე ინგოროყვას თანამოაზრეთა და მიმდევართა რიცხვი თანდათან იზრდებოდა. აკად. ნ. ბერძენიშვილისა და პროფ. თ. პაპუაშვილის სახელთან არის დაკავშირებული აგრეთვე მშობლიური ისტორიის ფარვატერში ამავე პერიოდის მეზუთე, დიდი ქართული პოლიტიკური გაერთიანების – **ჰერეთის (რანის)** შემოყვანა.

ჩვენდა საბედნიეროდ, თბილისის საამიროსა და ჰერეთის სამეფოსთან ერთად, ასევე საქართველოს ისტორიის განუყოფელი კუთვნილება ზდება დაუმსახურებლად შერისხული და „მოკვეთილი“ კიდევ ერთი „სუბიექტი“, შედარებით გვიან, ისტორიული ქვემო ქართლის (და გარდაბნის) მიწა-წყალზე წარმოქმნილი საქართველოს მეექვსე, საკმაოდ მნიშვნელოვანი პოლიტიკური გაერთიანება – **ტაშირ-ძორაგეტის (ლორე-ტაშირის) სამეფო**, თითქმის 150-წლოვანი ისტორიით. და, აქაც პავლე ინგოროყვამ და მოგვიანებით სხვადასხვა კონტექსტში აკად. მარიამ ლორთქიფანიძემაც, თავისი ღირსეული სიტყვა თქვეს:

1996 წლის სექტემბერს, ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავეზე, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისის ისტორიისა და კულტურის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაზე ერთ-ერთი მოხსენების თემა იყო „ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენის პრობლემატიკა“. პროფ. ნოდარ შოშიაშვილმა თავის შემაჯამებელ სიტყვაში მხარი დაუჭირა კონფერენციაზე იმჟამად (და ადრეც) გამოთქმულ ერთ-ერთ მოსაზრებასა და წინადადებას, რომ პოლიტიკურ ერთეულთა „ზუთეულს“ უცილობლად უნდა დაემატოს კიდევ ერთი, მეექვსე პოლიტიკური ერთეული – ტაშირ-ძორაგეტის სამეფო! კონფერენციის მუშაობაში მონაწილე მარიამ ლორთქიფანიძემ განაცხადა: „ისე ჩანს, ამის შემდეგ ამ თვალსაზრისს ჩვენც უნდა დავეთანხმოთ...“ ამას თავისი ბუნებრივი შედეგიც მოჰყვა. 2001 წელს თბილისში გამოცემულ, განათლების სამინისტროს მიერ X კლასის სახელმძღვანელოდ დამტკიცებულ საქართველოს ისტორიაში, რომლის ერთ-ერთი რედაქტორი და ავტორიც მარიამ ლორთქიფანიძე ბრძანდება, ერთ-ერთ პარაგრაფს („ახალი ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროების წარმოქმნა“) ქვეპარაგრაფად, „თბილისის საამიროსთან“ ერთად, საქართველოს ისტორიის ოფიციალური სახელმძღვანელოების პრაქტიკაში პირველად და სავსებით სამართლიანად, დაემატა „ტაშირ-ძორაგე-

ტის სამეფოც“⁷. აღნიშნული პოზიცია კიდევ უფრო განმტკიცდა მაშინ, როდესაც 2001 წელს, ახალგაზრდა მკვლევარმა ქეთევან ქუთათელაძემ გამოაქვეყნა ვრცელი მონოგრაფია („ქვემო ქართლი, პოლიტიკური ისტორიის საკითხები (ტაშირ-ძორაგეტის სამეფო; ორბელთა გვარის ისტორია)“. მან უფრო ადრე ამ საკითხზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (სამეცნიერო ხელმძღვანელი **ნ. შოშიაშვილი**), რომელსაც დაცვამდე, 1998 წლის დეკემბერში, ვრცელი მხარდამჭერი რეცენზიით გამოვეხმაურეთ... ამგვარად, ზემოაღნიშნულ პრობლემაზე ახალმა და სავსებით სწორმა თვალსაზრისმა ქართულ ისტორიოგრაფიაში ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მოიპოვა თავისი არსებობის უფლება!

ეს პრობლემა, საქართველოს ისტორიის „სამწესოში“ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს, ე. ი. ისტორიული ქვემო ქართლის, მისი ისტორიის „დაბრუნება“, ფაქტობრივად, 1996 წლის სექტემბერში, სწორედ ქუთაისში, ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძის თავაზიანი მხარდაჭერით „გადაწყდა“...

და ბოლოს: დროა ვიფიქროთ, ახლო მომავლისათვის მაინც, საქართველოს ისტორიას დაუბრუნოთ ჩვენ მიერ უღვთოდ გამეტებული კიდევ ერთი ქართული ქვეყანა – ისტორიული ჭანეთ-ლაზეთი (სამხრეთი კოლხეთი, ანუ ძველი ხალდია, ტრაპეზუნტის მხარე). ნამდვილი ისტორიული უსამართლობაა, რომ სათანადო ადგილი არ ეთმობა აქ, ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიაში, უფრო ზუსტად, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (ჭოროხიდან თერმოლონტამდე, უფრო ადრე – პართენონამდე), უძველესი ქართველური ტომებით დასახლებულ მიწა-წყალზე აღმოცენებულ ისეთ ცნობილ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს, როგორცაა ელინისტური ეპოქის **პონტოს სამეფო** (ძვ. წ. 302-64 წწ.) და ბიზანტიური ხანის **ტრაპეზუნტის იმპერია** (1204-1461 წწ.). აღნიშნული სახელმწიფოებისა და სხვადასხვა დამპყრობთა მიერ ამავე ტერიტორიებზე დაარსებული სხვა მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მათი მოსახლეობის ისტორიული თავგადასავალი თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში (პირველ რიგში, სასკოლო სახელმძღვანელოებში!) თითქმის სრულიად მივიწყებული და უგულვებლყოფილია.

ქართული საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად მიგვაჩნია აგრეთვე ის ფაქტი, უფრო სწორად, სამწუხარო გაუგებრობა, რომ საშუალო და უმაღლესი სკოლების ახალგაზრდებისთვის განკუთვნილ არც ერთ სახელმძღვა-

⁷ ნ. ასათიანი, მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს ისტორია, 2001, გვ. 83-85

ნელოში ნათლად არ არის განსაზღვრული სრულიად საქართველოს მთელი ისტორიულ-ეროვნული მიწა-წყალი, ჩვენი წინაპრების კუთვნილი ისტორიულ-ეთნიკური საცხოვრისის საზღვრები მთლიანობასა და დინამიკაში, უკლებლივ ყველა ქართული „ქვეყნის“ სინქრონულად გააზრებული მთელი ისტორიული თავგადასავალი. სამწუხაროდ, ასეთი განწყობილება ასახული საერთოდ ქართულ ისტორიოგრაფიაში, მათ შორის, ჩვენში გამოცემულ საქართველოს თითქმის ყველა ისტორიულ რუკასა და ატლასზე. ეს უაღრესად პრინციპული საკითხია!

ერის წარსული ხომ უდიდესი ერთობლივი სიმდიდრეა. იგი ქვეყნის უკლებლივ ყველა კუთხისა და ყველა თაობის წმინდათაწმინდა საკუთრებაა. როგორც დიდი ილია ბრძანებდა: „წარსული მკვიდრი საფუძველია აწმყოსი, როგორც აწმყო – მომავლისა“. ქართველთა ახალგაზრდა თაობებმა უცილობლად უნდა აღიღვინონ და გაითავისონ ჭეშმარიტად უტყუარი ცოდნა (!) და გენეტიკურ-ეროვნული ხსოვნა (!), ე. ი. ისტორიული მეხსიერება ისტორიული ბედუკუდმართობით დროებით თუ სამუდამოდ დაკარგულ, უკლებლივ მთელ ჩვენ ისტორიულ მიწა-წყალზე, მის გმირულ წარსულზე! იმაზე, თუ როდის დაგვკარგეთ და შემდეგ როგორ დავივიწყეთ (!) ეს ტერიტორიები, მისი ძირძველი მოსახლეობა, მათი ტრაგიკული ისტორიული სვე-ბედი... ეს, რასაკვირველია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ დღეს ჩვენ ტერიტორიული და პოლიტიკური პრეტენზიები წაუყენოთ ჩვენ მეზობლებს. აქ ლაპარაკია მხოლოდ ამ ტერიტორიებისა და აქ მცხოვრები უძველესი (თუ შემდეგდროინდელი და დღევანდელი) მოსახლეობის შესახებ არსებული ჭეშმარიტი ისტორიული ცოდნისა და ხსოვნის აღდგენაზე. ეს ჩვეულებრივი მოვლენა მთელ მსოფლიოში, ყველა ქვეყნის მეცნიერ-ისტორიკოსთა პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები დიდი ენთუზიაზმითა და წარმატებით, ყოველგვარი იდეოლოგიური დაბრკოლებების გარეშე, იკვლევდნენ და დღესაც იკვლევენ: გერმანიაში – ელზას-ლოტარინგიის, პომერანიის, აღმოსავლეთ პრუსიის, ირლანდიაში – ჩრდილოეთ ირლანდიის (ოლსტერი), ფინეთში – კარელიის, უნგრეთში – ტრანსილვანიის, ბულგარეთში, სერბეთსა და საბერძნეთში – მაკედონიის, სომხეთში – ახლანდელი თურქეთის, ანუ ე. წ. დიდი სომხეთის, ნაწილობრივ, კილიკიის, ყარაბაღის, ნახჭევანის, აზერბაიჯანში – ირანის, ანუ სამხრეთ აზერბაიჯანისა და მრავალ სხვა, დღეს მათ საზღვრებსმიღმა არსებულ (თუ დარჩენილ) მხარეთა ისტორიის საკითხებს. გადავხედოთ ამ სახელმწიფოების ისტორიის სახელმძღვანელოებს, მათ მიერ გამოცემულ ისტორიულ რუკებს და ნათქვამის სისწორეში უმაღლვე დარწმუნდებით!..

ანდა, რაღა შორს წავიდეთ: ჩვენ დღემდე საკმაოდ წარმატებით ვიკვლევდით და ამჟამადაც ვიკვლევთ ტაო-კლარჯეთის, სპერის, სოჭი-ტუაფსეს, დვალეთის, ჰერეთისა („სანგილო“) და ძველი საქართველოს ზოგიერთი სხვა მხარის ისტორიის საკითხებს; მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ დღევანდელ ეტაპზე ჩვენს მეზობელ თანამედროვე თურქეთს, რუსეთს, აზერბაიჯანს ან სხვებს ამით ტერიტორიულ პრეტენზიებს ვუყენებდეთ!..

წარსულისადმი სწორი დამოკიდებულება ჩვენი არა მარტო ობიექტურ-მეცნიერული, არამედ მორალური და ზნეობრივი ვალდებულებაა. ბრძნული ნათქვამია, სადაც და როდესაც არ არის ქრისტიე, იქ მაშინვე ჩნდება ანტიქრისტიე, სატანა! მაგანთა ბედოვლათობით ხელოვნურად გაჩენილ ვაკუუმს სწრაფად იკავებენ „დაუპატიუებელი სტუმრები“. ასპარეზზე გამოდიან ფსევდო-მეცნიერები და „ცრუ მემკვიდრენი“. სწორედ ასე დაემართა ჭანეთ-ლაზეთის ქვეყანას, რომელიც თითქოს სულ მიივიწყა თანამედროვე ქართულმა ისტორიოგრაფიამ. ამ ძირძველი და ძირეული ქართული ქვეყნის ისტორიას კარგა ხანია ერთმანეთს ეცილებიან ბერძნები, სომხები და, თქვენ წარმოიდგინეთ, XVII საუკუნის დასაწყისიდან ჩრდილოეთ კავკასიიდან (ყუბანისპირეთიდან) დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოხვეწილი, თანამედროვე აფხაზების წინაპარი აფსუა-ადიდეულებიც კი, რომ არაფერი ვთქვათ თურქეთის სახელმწიფოზე, რომელმაც ეს ტერიტორიები რამდენიმე საუკუნის წინ დაიპყრო და მიიტაცა. ჭან-ლაზეთის ქვეყანას „ისიც ეყოფა, რომ ბედის უკუღმართობამ ის თავის მოძმეთ დააცილა.., რომ თანამედროვე მეცნიერებაც მას უსამართლოდ არ მოექცეს...“⁸. ასეთმა ყოვლად გაუპართლებელმა თუ საბედისწერო წაყრუებამ და უცხო ქვეყნების პოლიტიკოსთა და მეცნიერთა გამუდმებულმა მცდელობებმა ბოლოს და ბოლოს თავისი შავნული შედეგი გამოიღო: დღეს თურქეთში მცხოვრები ლაზები თავიანთ თავს ქართველებად უკვე აღარ თვლიან!!! თანამოდმე, მცირეაზიელი ლაზების ეროვნული თვითშეგნების ასეთი გადაგვარება თანამედროვე მსოფლიოს მეცნიერებამაც თითქოს ოფიციალურად „დადასტურა“ კიდევც...

საკუთარი ისტორიული წარსულისადმი ასეთი უსულგულო და დანაშაულებრივი დამოკიდებულება დიდ მეცნიერულ, გეოკულტურულ და გეოეთნიკურ შეცდომად, უფრო მეტიც, ჩვენი ისტორიული მესხიერებისა და ცნობიერების, ჩვენი ეროვნული ზნეობისა და ღირსების საშიში დაქვეითების, ჩვენი უმცერებისა და ბედოვლათობის ნიშნად და დასტურად მიგვჩნია. ასეთ კაპიტულანტურ მენტალი-

⁸ ო. ლორთქიფანიძე, ხალდიის თემი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. VII, თბ., 1955

ტეტს, რა თქმა უნდა, საყოველთაო ეროვნული ნიჰილიზმისა და არასრულფასოვნების კომპლექსის გაჩენა და სულ ახალი და ახალი ტერიტორიული, კულტურული და სულიერ-ზნობრივი კომპრომისები და დანაკარგები მოჰყვება ხოლმე. და, რაც ყველაზე ამაზრზენია, ყოველივე ამასთან ლაჩრული შერიგებაც (!) მოგვიწევს უცილობლად. ანდა, სულ მცირე: მეცნიერებაში, კულტურასა თუ პოლიტიკაში მხოლოდ სამარცხვინო „მდეურისა“ და დამამცირებელი „თავის მართლების“ როლი სამარადჟამოდ გვაქვს გარანტირებული. ამას დღევანდელი სახელმწიფო დანაკარგები და ჩვენი უსუსური ქმედებანიც გვიდასტურებს.

ყოველივე ზემოთქმულის მწარე შედეგებს, ჩვენს დიდ ჩრდილოელ მეზობელთანაც, კარგა ხანია, რაც სულ უფრო ხშირად და უხეში ფორმებით ვიპკით: ადრე – საქართველოს ჯიქეთსა (სოჭი-ტუაფსე) და დვალეთში, ამჟამად უკვე – მშობლიურ აფხაზეთში, საბელიანო-სამურზაყანოსა და კოდორის სვანეთში, სამაჩაბლოში...

საჭიროება მოითხოვს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, ან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნას სერიოზული და მძლავრი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. მისი კვლევა-ძიების ეპიცენტრში მოექცეოდა აღნიშნული პრობლემები. „ცენტრის“ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებდნენ „თბილისგარეთა“ საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერული ძალებიც.

აი, ასეთი შეხედულებებისა და კვლევების დიდოსტატად, მხარდამჭერად და მტკიცე დამცველად გვევლინება პავლე ინგოროყვა, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია ყველა ის ზეწოლა, რაც წილად ხვდებოდათ ხოლმე სამშობლოსათვის თავშეწირულ ადამიანებს.

**ერის-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის
ზოგიერთი საკითხი პავლე ინგოროყვას ნააზრევში**

ერის-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის გასაშუქებლად მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის და წინამდებარე გამოკვლევაში გათვალისწინებულია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის – პავლე ინგოროყვას (1893-1983 წწ.) მონუმენტური, 1150-გვერდიანი ნაშრომი „გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა“, რაც ჯერ გაგრძელებებით იბეჭდებოდა ჟურნალ „მნათობში“ (1949-1952 წლებში), ხოლო 1954 წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა. მასში უამრავი პრობლემა და მოვლენა მკვლევრის მიერ სრულიად ორიგინალურადაა გააზრებული და შეფასებული. ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა წიგნის IV თავი: „დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო („აფხაზეთის სამეფო“) და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულის ძეგლში“¹. მასში პ. ინგოროყვა მსჯელობს აფხაზეთის ისტორიული ეთნოგრაფიის, კერძოდ, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში, აგრეთვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ვინაობისა და დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის სამეფოს“) დაარსების ისტორიის შესახებ.

პ. ინგოროყვამ უარყო ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდე მიღებული შეხედულებანი დასავლეთ საქართველოს, „აფხაზთა სამეფოს“ დაარსების შესახებ და „საისტორიო მასალების პრეციზიული ანალიზის შედეგად“ (მისივე სიტყვებით) შეძლო შემდეგი საგულისხმო დასკვნები გამოეტანა:

1. ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში, „აფხაზთა სამეფოს“ დაარსების დროისთვის (VIII ს.), აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები – საკუთრივ აფხაზები, აბსილები (აფსილები, აფშილები), მისიმიანები და სანიხები (სანიგები) ქართული წარმოშობისანი იყვნენ, დასავლეთ საქართველოს სხვა დანარჩენი ქართველი ტომების (ქართვები, მეგრელები და სვანები) მსგავსად².

2. აფხაზეთში მოსახლე ქართველ ტომს – აფხაზებს დასავლეთი საქართველო კი არ დაუპყრია, არამედ ადგილი ჰქონდა აფხაზეთის ერისთავის მოთავეობით

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, თბ., 1954, გვ. 114-145.

² პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 116.

როგორც აფხაზეთის, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიების განთავისუფლებას ბერძენთა ბატონობისაგან. იგი იმოწმებს ისტორიული პირველწყაროს – „მატიანე ქართლისაჲს“ ცნობას, რომ აფხაზთა ერისთავი „გაადგა ბერძენთა (ე. ი. ბიზანტიელთა – ი. კ.), დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე (ხაზგასმა ავტორისა – ი. კ.)“. აფხაზთა ერისთავმა, დაასკვნის პ. ინგოროყვა, „აფხაზეთიდან კი არ დაიპყრა ეგრისი, არამედ ორივე მხარე, აფხაზეთიცა და ეგრისიც ვიდრე ლიხის მთამდე, დაიპყრა ბიზანტიელთაგან, განათავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან“³. მკვლევარი იმოწმებს „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში“ „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსების შესახებ მოტანილ განმარტებას, რომ, თითქოს, აფხაზთა ერისთავმა ლეონ II-მ, ისარგებლა რა VIII საუკუნის დამლევს ბიზანტიაში არსებული არასახარბიელო პოლიტიკური სიტუაციით, და ხაზართა მეფის დახმარებით შეძლო, ადვილად დაეპყრო ეგრისის დაუძლეურებული სამეფო და არგვეთი, ვიდრე ლიხის მთამდე და დაეარსებინა „აფხაზთა სამეფო“⁴.

3. ბიზანტიის ბატონობისაგან დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთთან ერთად) განთავისუფლების შემდეგ შექმნილ „აფხაზეთის სამეფოში“ იწყება წმინდა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება. ბიზანტიის ხანგრძლივი ბატონობის შედეგად გაბატონებულ მთავარ სახელმწიფო ენას – ბერძნულს ქართული ჩაენაცვლა და საეკლესიო წირვის ენადაც ქართული იქნა შემოღებული. იერარქიულად კონსტანტინოპოლის პატრიარქთან დაკავშირებული დასავლეთ საქართველოს ეკლესია ამიერიდან ქართლის (იბერიის) საკათალიკოსოს დაექვემდებარა⁵. „დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო, – წერს პ. ინგოროყვა, – შექმნილია ქართველი ტომების მიერ, და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის არის ქართველი ტომი აფხაზები“⁶.

ამის შემდეგ პავლე ინგოროყვა ვრცლად მსჯელობს აფხაზეთის მხარეთა (აფხაზეთის საერისთავო VIII ს-ში) ტერიტორიული სივრცის შესახებ, იმოწმებს ძველქართული და ბიზანტიური საისტორიო წყაროების ჩვენებას და დაასკვნის: აფხაზეთის მხარეები ვრცელდებოდა ჩრდილოეთით **ნიკოფსისის/ნიკოფსისის ხე-**

³ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 116.

⁴ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 115-116; საქართველოს ისტორია, თბ., I, 1948, გვ. 146-147.

⁵ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 117.

⁶ იქვე, გვ. 117.

ობამდე⁷, ხოლო სამხრეთით ვრცელდებოდა **კელასურის ზღუდე-კელამდე**⁸. აფხაზეთის მხარეთა ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს კავკასიონი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ საზღვარს შავი ზღვა წარმოადგენდა. ნიკოფსისის ხეობით აფხაზეთი გამოეყოფოდა დიდ ჯიქეთს, ხოლო კელასურის ზღუდე-კელლით – ეგრისს. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილების მიხედვით ეს ტერიტორია მოიცავდა სოხუმის, გულაუთისა და გაგრის რაიონებს მთლიანად, გულრიფშის რაიონის ნაწილს, აგრეთვე ადლერის, სოჭისა და ტუაფსის რაიონებს⁹.

აფხაზეთში პავლე ინგოროყვას მოსაზრებით 4 ადგილობრივი ტომი მოსახლეობდა: **აფხაზები** – მთიანი აფხაზეთის, ანუ ძირითადი აფხაზეთის ტერიტორიაზე (ბზიბის, ფსოუსა და მზიმთის//მძიმთის ხეობების შუა და ზემო წელი), **სანიგები//სანიხები ანუ ჰენიოხები** – ზღვისპირა აფხაზეთის, ანუ ძველი სამხრეთი ჰენიოხეთის (სანიხეთის, სანიგეთის) ტერიტორიაზე (სოხუმის, ლიხნი-ბიჭვინთის, გაგრისა და ადლერის სექტორები), **აბსილები (აფსილები)** – კელასურის ხეობის ზემო წელზე, გუმისთის ხეობიდან ვიდრე კოდორის ხეობამდე, და **მისიმიანები** (კლავდიოს პტოლემეიანოსისეული „სუანო-კოლხები“) – წებელდის ზემოთ, კოდორის ხეობაში, ვიდრე კლუხორის უღელტეხილამდე. აფხაზეთის ჩრდილოეთით ჰენიოხების მიწა-წყალზე ჩამოსახლებულნი იყვნენ იმიერკავკასიის მკვიდრი ტომები – ჯიქები, რაც ირკვევა ანტიკური ხანის წყაროებითა და შუა საუკუნეების ქართული მატარებების ჩვენებით („ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“: „ქართლის ცხოვრება“). „აფხაზეთის ჯიქეთი“ ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთის ტერიტორია მოქცეული იყო მდ. ახეუნთასა (შახე) და ნიკოფსიას შორის, ახლანდელ ტუაფსის რაიონში. ამასთანავე, ჰენიოხთა ტომი უძველესი დროიდან მოსახლეობდა სოჭის რაიონის ტერიტორიაზე, დაწყებული დასავლეთით მდ. აბასხის (მძიმთის) ხეობიდან, ვიდრე მდ. ახეუნთამდე (შახე). ეს იყო **ჰენიოხეთის** (სანიხეთი, სანიგეთი) შუა ნაწილი, რაც ჰენიოხებს შეუნარჩუნებიათ შუა საუკუნეებშიც¹⁰.

პავლე ინგოროყვა ასახელებს კიდევ ერთ პროვინციას, რაც, „თუმცა არ შეად-

⁷ მდ. ნიკოფსია ერთვის შავ ზღვას ტუაფსესა და გელენჯიკს შუა, ტუაფსიდან 20 კმ-ის დაშორებით და მის ჩრდილოეთით

⁸ (ძველი წყაროების კორახის ზღუდე, „ზღუდე, საზღვარი კლისურისა“, ქალაქ სოხუმის სამხრეთით, 4 კმ-ის დაშორებით; იწყებოდა მდ. კელასურის შესართავთან, გასდევდა მდინარის მარცხენა ნაპირს, შემდეგ უხვევდა აღმოსავლეთით, ქეჩის მთის სახით გადადიოდა ფანაჟის ქედზე და აღწევდა კოდორის ხეობამდე)

⁹ **პ. ინგოროყვა**, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეთაე საუკუნისა, გვ. 119-122.

¹⁰ **პ. ინგოროყვა**, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეთაე საუკუნისა, გვ. 122-127.

გენდა აფხაზეთის მხარეთა უშუალო ნაწილს, მაგრამ ერთხანად დაკავშირებული ყოფილა აფხაზეთთან¹¹. ეს მხარე – „ბუფერული ზონა“ – მოიცავდა ტერიტორიას აფხაზეთსა და „შიდა ეგრისს“ შუა, მოქვისა და ღრანდის თემებს, და ისაზღვრებოდა ჩრდილო-დასავლეთით კელასურის კედლით, სამხრეთ-აღმოსავლეთით – საისტორიო წყაროების „ეგრისწყლით“ (ბედისის სექტორი). ჩრდილოეთით ბუნებრივ მიჯნას ფანავის ქედი წარმოადგენდა, სამხრეთ-დასავლეთით – შავი ზღვა. თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით აღნიშნული ბუფერული ზონა თავსდებოდა ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიაზე და გულრიფშის რაიონის სამხრეთ ნაწილზე¹². ეს პროვინცია, პ. ინგოროყვას აზრით, ისტორიულ-ეთნოგრაფიულად „შიდა ეგრისის“ ნაწილს შეადგენდა და ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, კერძოდ, VI-VII სს-თა ფარგლებში, მხოლოდ პოლიტიკურად იყო დაკავშირებული აფხაზეთთან. ქართულ მატრიანებში, კერძოდ „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა“ – ში მოხსენიებული „ეგრისწყალსა და კლისურასა შუა ქვეყანა“, მოგვიანო ხანის საისტორიო ძეგლში, კერძოდ, ნიკო დადიანის „ქართველთა ცხოვრებაში“, შუა სოფლად მოიხსენიება. ნ. დადიანის ცნობით, შუა სოფელი იწყებოდა სოხუმის სამხრეთით და მდ. ღალიძგამდე აღწევდა. „ამრიგად, – დაასკვნის პ. ინგოროყვა, – ეს უძველესი დროიდან მომდინარე სახელწოდება „შუა სოფელი“ დაცული ყოფილა ადგილობრივ და მიემართებოდა ამ მხარეს იმავე ტერიტორიულ ფარგლებში, როგორადაც ეს აღნიშნულია ქართულ მატრიანებში“¹³.

როგორც ვხედავთ, პავლე ინგოროყვა „შუა სოფელს“ XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის – ჯუანშერის თხზულებაში მოხსენიებულ ეგრისწყალსა და კელასურს შორის მდებარე „შუა ქვეყანასთან“ აიგივებს. მაგრამ ეს მოსაზრება ისტორიულ მეცნიერებაში არ არის გაზიარებული. აბუყად (აფხ. **Абжыуаа** „შუა“) სახელდებული მხარე, შემოსაზღვრული მდინარეებით – კოდორითა და ღალიძგით – აფხაზეთის სამთავროს არსებობის უკანასკნელ პერიოდში ცალკე ადმინისტრაციულ ოლქს წარმოადგენდა და როგორც საუფლისწულო, XVIII ს-ის I ნახევრიდან ჩნდება, ანუ მას შემდეგ, რაც აფხაზეთის სამთავრომ შეიერთა ოდიშის სამთავროს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. საუფლისწულოს პირველი გამგებელი იყო ჯიქეშია, ვაჟიშვილი აფხაზეთის მთავარ ყვაპუ შარვაშიძისა. მას მამის მემკვიდრეობიდან სამთავროს შუა ნაწილი შეხვდა და აქედან მომდინარეობს მისი სა-

¹¹ იქვე, გვ. 127.

¹² იქვე, გვ. 127-128, 132.

¹³ იქვე, გვ. 129.

ხელწოდება „შუა ქვეყანა“¹⁴.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ვინაობაზე მსჯელობისას პავლე ინგოროყვა ყურადღებას ამახვილებს აფხაზეთის სამთავროს ძირითად მხარეზე. ესაა XVII ს-ის ოსმალთა მწერლის, მემატიანისა და მოგზაურის – ევლია ჩელების (1611-1683 წწ.) მიერ მოხსენიებული, მეგრულ ენაზე მოსაუბრე ჩაჩის თემი. ამ თემის, ანუ საშარვაშიძეოს ცენტრი იყო ლიხნში და მოიცავდა თანამედროვე გუდაუთის რაიონის ტერიტორიას, ანაკოფიის (ახალი ათონის) სექტორიდან ბზის ნავსადგურამდე (მდ. მიჭიშის ხეობამდე)¹⁵.



აფხაზეთის რუკა პავლე ინგოროყვას წიგნიდან – „გიორგი მერჩულე“.

¹⁴ (მსჯელობისათვის იხ. თ. ბერაძე, ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. I, თბ., 1997, გვ. 3)

¹⁵ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეთაე საუკუნისა, გვ. 133.



კელასურის ციხის თავდაცვითი ნაგებობა

პ. ინგოროყვა აფხაზთა ეთნიკურ ვინაობასთან დაკავშირებით იმოწმებს მრავალრიცხოვანი წერილობითი წყაროებისა და ეთნოლინგვისტური მასალის ანალიზის საფუძველზე არკვევს, რომ ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში, კერძოდ, „აფხაზეთის სამეფოს“ ჩამოყალიბების დროისთვის, აფხაზეთის მხარეებში განსაზღვრული იყო ქართველ ტომთა სამი შტო: მესხები (იგივე აფხაზები), კოლხები (მეგრელ-ლაზები) და სვანები.

მართალია, პ. ინგოროყვას მოსაზრებებიდან ბევრი რამ სადაოა და ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაცაა გაკრიტიკებული, მაგრამ, ამასთანავე, აფხაზეთის ისტორიასთან დაკავშირებით დიდი მეცნიერის მრავალი დებულების სისწორეს ადასტურებს შემდგომდროინდელი კვლევა-ძიების შედეგები, კერძოდ,

ანთროპოლოგიური მონაცემები, თქმულება-გადმოცემები, მატერიალური კულტურის ძეგლები, რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, აფხაზთა გვარ-სახელები, ონომასტიკური მასალა და ა. შ.

ნაშრომის („გიორგი მერჩულე“) IV თავში წარმოდგენილია „სპეციალური ექსკურსი“¹⁶, რითაც მკვლევარი მიზნად ისახავს საისტორიო წყაროებში მოხსენიებულ აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული სახელწოდებების სტრუქტურულ-ეტიმოლოგიურ ანალიზს და ამ გზით მათ კავშირს ქართულ ენობრივ სამყაროსთან. მკვლევარი მეცნიერულ წიაღსვლაში იმოწმებს მხოლოდ ანტიკურ და შუა საუკუნეების წერილობით წყაროებში აფხაზეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებულ 136 ტოპონიმს, რითაც უმთავრესად ხაზს უსვამს აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ძირითადად მესხურ (ქართულ) წარმომავლობას. პ. ინგოროყვას დაკვირვებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე არ დასტურდება ადიღურ-ჩერქეზული წარმოშობის არც ერთი ტოპონიმი, რაც საფუძველს აცლის და სრულიად აშკარას ხდის ამ მხარეში ძირითადი მოსახლეობის ჩერქეზული შტოსადმი მიკუთვნების შესახებ გამოთქმული შეხედულების უმართებულობას¹⁷. „გეოგრაფიული სახელწოდებანი, – წერს პ. ინგოროყვა, – იძლევიან სრულიად გარკვეულ ჩვენებას იმის შესახებ, თუ ვინ იყო ბინადარი მკვიდრი აფხაზეთის მხარეებისა. აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობა, როგორც ირკვევა, თავიდანვე ქართულ ეთნიკურ წრეს ეკუთვნოდა, და ასეთივე ქართული ხასიათი ჰქონდა ამ მხარეს კერძოდ იმ ეპოქაში, როდესაც დაარსდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფო“¹⁸.

ბედიის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს: „ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა, მთასა შინა, არს ეგრი, სადაცა მოვიდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა, და აქა აღაშენა ქალაქი და დაიპყრა საზღვარი თვისი. არამედ ამას შემდგომად უწოდეს ბედია, რომელ დასვა ა (პირველმა – ი. კ.) მეფემან ფარნაოზ ქუჯი ერისთავად რიონის დასავლეთისა, ვინაითგან ჰპოვა ბედი“¹⁹. ვახუშტი ეყრდნობა და სავსებით იზიარებს წინამორბედი მემატიანის – ლეონტი მროველის შეხედულებას ბედიის დაარსებასა და სახელწოდების წარმოშობაზე. ამ განმარტებებს შორის რაიმე არსებითი განსხვავება არ შეინიშნება.

¹⁶ იქვე, გვ. 146-188.

¹⁷ იქვე, გვ. 146.

¹⁸ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეთე საუკუნისა, გვ. 146.

¹⁹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. IV, თბ., 1973, გვ. 780.

ავხაზეთში ოსმალური გავლენის გაძლიერების გამოძახილია წყაროებში დადასტურებული ვარიანტი სახელწოდებისა – **ბედია-ჩუკი**²⁰.

სახელწოდების შესახებ დონ ქრისტოფორო დე კასტელი გვაუწყებს: მთებში სანადიროდ წასულ საქართველოს მეფეს თავიდან დოღბანდი გადმოვარდნია და იმ ადგილას ოქროს ჯვარი უპოვნია. მეფეს უთქვამს – კარგი ბედი მქონიაო და გაუცია ბრძანება იქვე ეკლესიის აშენებისა და ძვირფასეულობით მისი გამდიდრების შესახებ²¹.

ერთ-ერთი თქმულების თანახმად, ხანგრძლივი მოგზაურობით დაღლილ მწირებს კლდეში გამოკვეთილი ბუნებრივი სიმაგრე შეუმჩნეველად და აღტაცებით შესძახეს – ბედია. მწირები იქ დარჩენილან, ხოლო იმ ადგილას შემდეგ ბედიის ტაძარი აშენებულა²². კ. ჰანის განმარტებითაც „Бедия гр. (мингр.) ბედი беди=счастье-стлен? счастливое, богатое”²³.

მამასადაძე, ზემოთ მოტანილი ისტორიული წყაროების თანახმად, სახელწოდების მნიშვნელობა დაკავშირებულია ბედთან. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით ამ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „კარგი ზვედრი – ილბალი, ბედნიერება“²⁴.

ტოპონიმის სემანტიკის შესაცნობად საყურადღებოა **ბედია** სიტყვის სხვა მნიშვნელობებიც. სამურზაყანოელთა (და საერთოდ, მეგრელებთა) მეტყველებაში იგი აღნიშნავს „სადეთოს, ხატზე შესახელებულს“, „ხატის ტყეს“. ამასთანავე, ბედიას ეძახიან „ჩაღრმავებულ ადგილს, ქვაბულს“. ამ უკანასკნელ მნიშვნელობასთან სემანტიკურადა დაკავშირებული აგრეთვე **ბედე**, რაც წარმოადგენს ერთგვარ ტაბლას, ზედ ამოჭრილი ჩაღრმავებებით, ღომის ჩასაგებად²⁵. საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამურზაყანოსა და სამეგრელოში, ადგილს, სადაც ადრე ხატის ტყე იყო გაშენებული, **ბედიანაჩენს** უწოდებდნენ²⁶.

²⁰Брокгауз, Ефрон, Энциклопедический словарь Брокгауза и Ефрона. 82 основных и 4 дополнительных томов. СПб. Семеновская Типолиитография (И. А. Ефрона), 1890-1907 6, 1892: 346; **გ. კალანდია**, ოდიშის საეპისკოპოსოები, თბ., 2004, გვ. 79.

²¹**დონ ქრისტეფორო დე კასტელი**, ცნობები და აღბოძი საქართველოს შესახებ. ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბუენ გიორგაძემ, თბ., 1976, გვ. 171.

²²**გ. კალანდია**, ოდიშის საეპისკოპოსოები, გვ. 2004, გვ. 79.

²³**Ган К.**, *Экскурсия в Нокалакеви летом 1903*, *Известия Кавказского отделения императорского Московского археологического общества*. вып. II, Москва. 1909, 24.

²⁴ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ), ტ. I, თბ., 1990, გვ. 124.

²⁵**ა. ქობალია**, მეგრული ლექსიკონი. თბ., 2010, გვ. 60.

²⁶ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 60.

ბედია სიტყვის ასეთი განმარტება საფუძველს იძლევა, რომ ეჭვის ქვეშ დავაყენოთ ისტორიულ წყაროებში ტოპონიმ „ბედიის“ შესახებ დაცული ინფორმაცია, და საფუძვლიანი, ამასთანავე, აუცილებელი კორექტირება შევიტანოთ მოტივაციაში; ამდენად, შესაძლებელია ბედია ორგვარად გავიაზროთ. კერძოდ, 1. „ხატზე შესახელებული, ხატისთვის მიჩენილი ტყე ან მიწა“, და 2. „ჩაღრმავებული ადგილი, ქვაბული, ტაფობი“.

დღვანა. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი რუკაზე მოქვის ხეობის ქვემო წელში აღნიშნავს პუნქტს დღვანას სახელწოდებით. ეს ტოპონიმი საქართველოში სხვაგანაც გვხვდება (მარტვილისა და ხულოს რაიონები). პ. ინგოროყვა ტოპონიმებში - **დღვანი//დღვანა, დღვანი//ღვანა** გამოყოფს გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელ ბოლოკიდურს -ნა, და იმოწმებს მსგავსი წარმოების სხვა ტოპონიმებსაც (აღბანა, ასკანა, ბოდორნა, ნანანა...) ²⁷. მეგრულში დღვანა აღნიშნავს საფლობს, ტალახს; ხოლო **დღვანი//დღვანილი** იგივეა, რაც ატალახებული, ალუფხული.

ზუფუ. ლიხნის უწინდელ სახელწოდებად ზუფუა მიჩნეული, რაც, ვახუშტის ცნობით, იყო „მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძეთა“; ხოლო მდ. ზიფსთას, როგორც ფიქრობენ, **ზუფუს-წყალი** რქმევია. მდინარის სახელწოდება „ზუფუს-წყალი“ აღნიშნულია ლიხთ-იმერეთის 1737 წელს შედგენილ რუკაზეც.

ტოპონიმ „ზუგდიდის“ ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას პროფ. შ. მესხია შენიშნავდა: „დასავლეთ საქართველოში ასე გავრცელებული ზუბ-ი, ზუფ-ი იქნება დასავლურ-ქართული ეთნიკური ტერმინიდან მომდინარე გეოგრაფიული სახელი იყოს, მაგრამ ამ საკითხის გარკვევისთვის დამატებითი საგანგებო კვლევა-ძიებაა საჭირო ²⁸. ს. ბახია-ოქრუაშვილი ჩამოთვლის აფხაზეთის პიდრონიმებს: ფსოუს, ფსისთას, ზიფსთას, იუფშარას, ლაშიფსეს, ფსირცხას, გუმიშთას, მჭიშთას, შავწყალას, კელასურს, ტყვარჩელს, მაჭარას, ცხუმს, ზუფუს, ამტყელს, ჩხალთას, ცხენისწყალს, ოხოჯას და ა. შ., და აღნიშნავს, რომ „ამ მდინარეების სახელწოდებათა უმეტესობა სემასიოლოგიურად წყალს და წყალთან სიახლოვეს გულისხმობს და შეიცავს იმ სიტყვას, რომელიც ჩვეულებრივ წყლის ან წყლიანი ობიექტების აღსანიშნავად გამოიყენება“ ²⁹.

²⁷ იქვე, გვ. 169.

²⁸ შ. მესხია, „ზუგდიდი“ თუ „ზუბდიდი“. საისტორიო ძეგანი. ტ. III, თბ., 1967, გვ. 250.

²⁹ ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზეთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბ., 2010, გვ. 196.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ახალი ხიფსთის ძველი სახელწოდება **ზუფუ**, რაც თეთრწყალას სახელითაცაა ცნობილი, ქართველური წარმომავლობისაა, ვინაიდან ჰიდრონიმის ძირი **ზუფ-**/**ზოფ-** მოგვეპოვება მეგრულ-ჭანურსა და სვანურში³⁰. ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი ც. ქირია ფიქრობდა, რომ დასავლეთ საქართველოში ზუბის სახელით ცნობილი დასახლებული პუნქტების სახელწოდებანი მომდინარეობს „ზუფუდან“ და რომ უნდა მეგრულში დღესაც შემორჩენილი სიტყვა **მოზუფუნც** აღიღებული მდინარის სწრაფ დინებაზე მიუთითებდეს. ამასთანავე, **ზუფუ** და **ურზუმი** გაუვალა, ტყიანი ადგილის აღმნიშვნელია. მკვლევარი დასძენს, რომ ზუფუ უნდა დარქმეოდა მდინარისპირა, ტყიან ადგილს. მისივე თქმით, ამ სიტყვიდან უნდა მიგველო ქალაქის სახელწოდება ზუგდიდი (ზუფუ—>ზუბუ—>ზუბდიდი—>ზუგდიდი)³¹. ა. ქობალიას განმარტებით, **ზუფო**, **ზუფუ**, **ზფფ** იგივეა, რაც „წითლად მღუარი; უხვად მდინარე; უხვი ნაწველი“³². იქვე მოცემულია **ზუფუა** სიტყვის შემდეგი განმარტება: „წითლად ღული; უხვად მოსკდომა (წყლისა)“³³. ამდენად, გამორიცხული არაა, რომ „ზუფუწყარი“ მიუთითებდეს მდინარის დინების თვისებასა და უხვდებტიანობაზე.

როგორც ჩანს, თავდაპირველად „ზუფუდ“ იწოდებოდა მდინარე, რაც შემდეგ დასახლებული პუნქტის სახელად ქცეულა.

ილორი სოფელი და თემის ცენტრია ოჩამჩირის რაიონში, ღალიძგის მარცხენა მხარეს. აერთიანებს სოფლებს: სუკს, ზენს, ილორგანსა და ნაკვალოუს. ილორი ზ. დ. 10 მ-ის სიმაღლეზეა და ოჩამჩირეს 3 კმ აშორებს.

პ. ინგოროყვას მოსაზრებით, სოფლის სახელწოდება **ილორი** „თავისი გრამატიკული აღნაგობით, როგორც ამას გვიჩვენებს მისი ბოლოკიდური ფორმანტი „ორ-ი“, ქართული წარმოშობისაა“³⁴. მკვლევარი იმოწმებს აღნიშნული სუფიქსით გაფორმებულ სხვა გეოგრაფიულ სახელებსაც: სხვიტორი, კოდორი, შაორი, გომბორი; თუმცა არაფერს ამბობს სახელწოდება „ილორის“ პირველ კომპონენტზე ილ-³⁵. ისტორიკოსი კ. ოკუჯავა ოიკონიძე

³⁰ ა. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1997, გვ. 25, 276.

³¹ ც. ქირია, რატომ ჰქვია ჩვენს ქალაქს ზუგდიდი?! (ეტიმოლოგიური მონოგრაფია). გაზ. „მებრძოლი“, №79, 1963, გვ. 4.

³² ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 311.

³³ იქვე.

³⁴ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 176.

³⁵ იქვე.

„ილორში“ ორ კომპონენტს გამოყოფს. პირველ კომპონენტს – „ილ“, ა. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართულ ლექსიკონზე“ მითითებით, გაიაზრებს როგორც „ძვალს“, ხოლო ზანურ (ჭანურ) -ორ სუფიქსს ადგილმდებარეობისა და წარმომავლობის მაწარმოებლად მიიჩნევს. იმოწმებს მსგავსი წარმოების ტოპონიმებს (ოლორი, კოდორი, სულორი, ჩიხორი, შაორი, ქვილიშორი, ვიწორი, ცხუმორი, ქუთეშორი...) და დაასკვნის: ილორი უნდა დარქმეოდა იმ ადგილს, ან სოფელს, სადაც ეკლესია-მონასტერი და მასთან მდებარე საძვალე (სასაფლაო) იყო³⁶.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სეხნია ტოპონიმი (ყოფილი თიკონიმი) ილორის სახით სამტრედიის რაიონშიც გვხვდება, პ. ცხადაია და ვ. ჯოჯუა ფიქრობენ, რომ ილორი კოლხური სახელწოდება უნდა იყოს. სოფლის სახელწოდების აფხაზური ვარიანტია ელვრ (ი და ო ბგერები აფხაზურს არ მოეპოვება)³⁷. ცნობისათვის: ილორი ასევე ეწოდება წმ. გიორგის ეკლესიას წყალტუბოს რაიონის სოფ. ქვილიშორში.

ლორი, ილორი მეგრულში აღნიშნავს როგორც მორს ან მორებად დასაჭერელ ხეს, ასევე ძელს, ძელიცხოველს. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ ილორია განმარტებულია როგორც „მორისა, ძელისა; მორვადი, ხლეჩადი; სამორე ტყე; საკერპე ძელისა“, ხოლო ილორილი როგორც „დამორილი“³⁸. იმავე ლექსიკონის მიხედვით **ილორუა** მეგრულში აღნიშნავს „მორებად ხლეჩას, დამორვას (**ილორუ** იხლიჩება, იმორება)“³⁹. ილორის ვარიანტი ლორი იმავე ლექსიკონში წარმოდგენილია რამდენიმე მნიშვნელობით: „**ლორი** მორი, ნახეთქი ხისა; უპირატესად, შუაზე გახეთქილი ხე ან ძალიან სქელი და ფართო ნამორი, იყენებენ კარვის ბანურ სახურავად ან ხის ციხე-სიმაგრის მძლავრი კედლის ამოსაყვანად“⁴⁰. **ლორია** იგივეა, რაც „ნამორი, ჯირკუტანა“; **ლორილი** აღნიშნავს „დამორილს, შუაში გახეთქილ ხეს“, ხოლო ლორიში – „ნახეთქი მორის ნაგებობას (საზოგ.); ხეში გამოღებულ ნავს“⁴¹. ტყეში საცხოვრებლად გამიზნული და დახეთქილი, გაუჩორკნავი ხეებით

³⁶ **კ. ოკუჯავა**, ბედია და მისი შემოგარენი (ტოპონიმიკური და ონომასტიკური დაკვირვებები), საისტორიო ძიებანი. ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება. თბ., №3, 2000, გვ. 17.

³⁷ **პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა**, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003, გვ. 251.

³⁸ **ა. ქობალია**, მეგრული ლექსიკონი, გვ. 324.

³⁹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 324.

⁴⁰ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 383.

⁴¹ იქვე.

აგებული ქონი, მორის კარავი **ლორიმ კარედ** იწოდებოდა⁴². მორებად დახლენილი ხეებით აგებულ ციხეს **ლორიმ ჯიხას** უწოდებდნენ⁴³. ამასთანავე, **ოლორე** სამორე ტყის აღმნიშვნელი სიტყვაა, ხოლო **ოლორუე** აღნიშნავს მორების დამზადების ან მორების დასაცურებელ ადგილს⁴⁴. ფართო და სქელი, ნაპობი ფიცრის აღმნიშვნელი სიტყვაა **ლორი** ფიფურირებს აგრეთვე სამეგრელოში ჩაწერილ ორ ტოპონიმში. კერძოდ, **ლორიშკარე** ეწოდება ტყესადოვარს ნათიფურში, ბურლონაშკარსა და ფართო წიფრონს შუა; ამავე სახელს ატარებდა ტყე ქ. წალენჯიხისა და ს. ალერტკარის (ყოფილი გრიგოლიშის) საზღვარზე⁴⁵.

3. ცხადაია ფიქრობს, რომ სოფ. ფახულანში, ენგურის მარჯვენა შენაკადის სახელწოდება **ოლორიც** ო- პრეფიქსითაა წარმოქმნილი. ოლორი დარქმევია ჯერ ტყეს, სადაც ლორი (კედლის ფიცარი) მზადდებოდა, შემდგომ მეტონიმის გზით ხეობას და ბოლოს მდინარეს, რაც ამ ხეობაში გაედინება⁴⁶. მეგრულის სალექსიკონო მასალებში ყურადღებას იქცევს შემდეგი განმარტებებიც: **ილორიშ ნიში** „ილორის ნიში, ტყეში დადგმული ქვითკირის პატარა სვეტი, რომლის თახჩაშიც ესვენა ხატი“; **ილორიშ ოხვამე** „ილორის საყდარი; ძელის საყდარი“; **ილორგანი** „ილორის მხრისა, საკაფი (ტყე)“⁴⁷.

ზემოთ მოხმობილი საილუსტრაციო მასალით შეგვიძლია სოფლის სახელწოდება „ილორი“ გავიანროთ როგორც „ლორის – მწყემსთა სადგომი კარვის გადასახურავად გამოსაყენებელი ფართო და სქელი, ნაპობი ფიცრის დასამზადებელი ტყე“, ან „ძელიცხოველი, ხატის დასასვენებელი თახჩიანი ნიში“.

კაპოეტის წყალი. საისტორიო და კარტოგრაფიულ წყაროებში, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკუთრივ აფხაზეთში ლოკალიზებული ერთ-ერთი, კერძოდ, მკვლევართა მიერ ბზიფთან იდენტიფიცირებული მდინარის სახელწოდებად რამდენიმე ვარიანტია დადასტურებული. ვახუშტი მას „კაპეტის მდინარეს“ უწოდებს. ამ სახელწოდებითაა იგი ცნობილი ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაში. დიუბუა დე მონპერე ამ მდინარეს მოიხსენიებს *kepethi*-ს

⁴² იქვე.

⁴³ იქვე.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ **პ. ცხადაია**, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან, I, თბ., 1999, გვ. 65-66; **მისივე**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. ჩხოროწყუს რაიონი, ტ. IV, თბ., 2008, გვ. 202.

⁴⁶ **პ. ცხადაია**, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან, გვ. 66.

⁴⁷ **ა. ქობალია**, მეგრული ლექსიკონი, გვ. 324.

ფორმით⁴⁸. ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრებაში“ გვხვდება ფორმა „კაპეტის წყალი“ და „კაპეტის მდინარე“, ხოლო 1737 წელს შედგენილ ლინთ-იმერეთის რუკაზე – „კაპოეტის წყალი“.

ფიქრობენ, რომ მდ. ბზიფის ძველი სახელწოდების ამოსავალი შესაძლებელია იყოს ქართველური სიტყვა **კაპოეტი**, რაც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ოთხი მნიშვნელობითაა მოცემული: 1. თევზის ერთ-ერთი სახეობა; 2. „ფრინველი წელიწად-გამოვლილი“; 3. ერთგვარი ბალახი 4. ქვაკაპოეტი ანუ ქვა პატიოსანი; იგივე ზურმუხტი. სრულიად შესაძლებელია, რომ მდინარის სახელწოდება სიტყვის ზემოთ მოტანილ ერთ-ერთ მნიშვნელობასთან იყოს მისადაგებული⁴⁹. პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ კაპოეტის წყალი წმინდა ქართული სახელწოდებაა. სულხან-საბასა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებზე მითითებით დიდი ქართველი მეცნიერი დაასკვნია, რომ მდინარის სახელწოდება კაპოეტის წყალი, ისეთივე წარმომავლობისაა, როგორისაც საკალმახე, ოკალმახე, კაპარჭინა//კაპარჭინის წყალი და სხვ., და უკავშირდება კალმას-ორაგულის ჯიშის თევზის სახეობას. „იგი მოზრდილი სახის კალმახია და გვხვდება სწორედ ამ მდინარეში, კაპოეტის წყალში“⁵⁰. კაპოეტს ეძახიან ჩვეულებრივ ქაშაპს. კაპოეტს, როგორც თევზის სახეობას, იცნობს ვახუშტი ბატონიშვილიც: „ხოლო წყალთა შინა თევზნი არიან: ორაგული, ზუთხი, ანდაკია, გოჭა, ჭანარი, ლოქო, **კაპოეტი**, კარჩხანა, მწერი, კალმახი, ფიჩხული და წვრილნი თევზნი მრავალნი და სხუანიცა“⁵¹.

„კაპოეტის“ ეტიმოლოგიის გასარკვევად საყურადღებოა **კაბეტი**, **კაპეტი** სიტყვების კიდევ ერთი მნიშვნელობა, რომელთაგან შესაძლებელია მომდინარეობდეს საკვლევი ჰიდრონიმი. კაბეტი და კაპეტი სამეგრელოსა და სამურზაყანოში აღნიშნავს როგორც „დიდს, მოზრდილს“, ისე „მსუქანს, ნასვენ, ძნელად დასამუშავებელ, მაგრამ ნოყიერ მიწას“⁵².

კაპეტი გადატ. „მაგარის“ მნიშვნელობითაც გამოიყენება. მაგ. კაბეტდინა//კაპეტდინა მაგარი, ძნელად დასამუშავებელი მიწაა. მაგარ, აუღებელ ციხეს **კაპეტიშ ჯიხას** უწოდებდნენ; **კაპეტუშქერი** მაგარი ვაშლია (ვაშლის ჯიში); ამასთანავე, **კაპეტი** საზოგადოდ ეწოდება გარეულ მონადირე ფრინ-

⁴⁸ Фредерик Диубуа де Монтере, Путешествие вокруг Кавказа, Сухуми, 1937: 100.

⁴⁹ ს. ბაზია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნიკური ისტორიის პრობლემები (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), თბ., 2010, გვ. 193.

⁵⁰ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეთე საუკუნისა, გვ. 181.

⁵¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტ. IV, 1973, გვ. 43.

⁵² ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 351.

ველს; კალმას-ორაგულის მსგავსი ჯიშის თევზსაც სამეგრელო-სამურზაყანოში **კაბეტი** ჰქვია; კაბედი დიდთაველიანი ღომის ჯიშია⁵³.

ამდენად, სიტყვის ზემოთ მოტანილი მნიშვნელობებიდან საკვლევ ჰიდრონიმს, ჩვენი აზრით, შესაბამება „დიდი, მოზრდილი“. შესაბამისად, თუკი ჰიდრონიმ „კაპოეტს“ („კაბეტი“, „კაბეტი“) მდინარის სიდიდის ამსახველ სახელწოდებად მივიჩნევთ, ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების ობიექტური ანალიზის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, ასეთი მსჯელობა ნამდვილად არ იქნება მოკლებული დამაჯერებლობას.

კაბეტი სიტყვა ფიგურირებს სამეგრელო-იმერეთის შეძლებ ტოპონიმებში: **კაბეტბოგაშ დალ** – ლელე ლეგასარეში; **კაბეტი ტობა** – მორევი ნაფიჩხუში; **კაბეტი წყურგილი**//თუღოლენი წყურგილე – წყარო საბერულავოში⁵⁴; **კაბეტგოჭკადილი** „დიდი გაჭვდილი“ – ხიდი ინწირაზე, კუხეშში⁵⁵; **კაბეტი ოჩაიე** „დიდი საჩაიე“ – ჩაის ფართობი პ. ეწერში⁵⁶; **კაბეტნეძი** „დიდი კაკლის ხე“ – მინდორი ლეთკანთში⁵⁷; **კაბეტქუა**//დუტუშ ქუა – ლოდი ორშუაფუში, ზ. ლიაში⁵⁸; **კაბეტი**//გორე – საბალახო მარტვილში⁵⁹; **კაბეტი** – სახნავი ხუნწის საზღვარზე, ქვაითში⁶⁰; **კაბეტი ოთიფურე**//ოთიფურე – ტყე-სადოვარი ტალერის სატყეო უბანში⁶¹; **კაბეტები** – ბუჩქნარი მალლაკში; მინდორი მოწამეთაში; სადოვარი შუა ბაშში; სახნავები იანეთში, დიდ კუნში, გუბისწყალსა და მალლაკში; ტყე მოწამეთაში; ჩაი ნახახულევიში; სახნავები ცხენისწყლის მარჯვენა მხარეს, ქვიშანჭალაში⁶².

მოქვი სოფელია იმავე სახელწოდების მდინარის ნაპირზე, ოჩამჩირის რაიონში. მოქვი, როგორც ზემოთ ითქვა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლე-

⁵³ **ა. ქობალია**, მეგრული ლექსიკონი, გვ. 354.

⁵⁴ საქართველოს ტოპონიმია (მასალები), ტ. II, თბ., 1999, გვ. 211.

⁵⁵ **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. წალენჯიხის რაიონი. ტ. I, თბ., 2004, გვ. 46.

⁵⁶ იქვე, გვ. 46.

⁵⁷ იქვე.

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ **ი. კეკელია**, მარტვილის რჩეული გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2008, გვ. 29; **მისივე**, მარტვილის ტოპონიმია (ეტიმოლოგიურ-განმარტებითი ლექსიკონი), თბ., 2009, გვ. 68.

⁶⁰ **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, მარტვილის რაიონი, სამხრეთი ნაწილი. ტ. V, 2010, გვ. 71.

⁶¹ **პ. ცხადაია**, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი. მარტვილის რაიონი (ჩრდილოეთი ნაწილი). ტ. VI, თბ., 2012, გვ. 256.

⁶² საქართველოს ტოპონიმია, ტ. III, თბ., 2003, გვ.137; **პ. ცხადაია**, ათასი მეგრული ტოპონიმი, თბ., 2005, გვ. 32.

ბული პუნქტი იყო დასავლეთ საქართველოში (ეგრის-აფხაზეთი). აქ ეკლესიისა და საეპარქიო ცენტრის დაარსებას ქართული საისტორიო წყაროები აფხაზთა მეფე ლეონ III-ის (957-967 წწ.) სახელს უკავშირებს⁶³.

მდინარის სახელწოდება **მოქის** ფორმით დასტურდება ანონიმი მემატია-ნის თხზულებაში, სადაც აღნიშნულია, რომ ზიგანიდან ტარსურას წყლამდე, რომელსაც ამჟამად მოქი ეწოდება, 120 სტადიონი, ანუ 16 მილიონია⁶⁴.

მისიონერ არქანჯელო ლამბერტის ცნობით, „ამ მდინარეს ასე ჰქვია იმიტომ, რომ იგი ჩაუდის მოქვის საეპისკოპოსოს“⁶⁵. რუკაზე მდინარე **Moquis-Schari**-ს, ხოლო საეპისკოპოსო – **Moguis**-ის ფორმითაა აღნიშნული⁶⁶.

ტოპონიმ „მოქვის“ შესახებ მსჯელობდა სახელოვანი მეცნიერი პ. ინგოროყვა, რომელიც აფხაზეთის „შუა-სოფლის“ მნიშვნელოვანი პუნქტის სახელწოდებას გრამატიკული გაფორმებითა და ბოლოკიდური ფორმანტით უდარებდა იმავე ტიპის სხვა ქართულ გეოგრაფიულ სახელებს (თმოგვი, ჩაქვი, ბახვი, ნეძვი, ძეგვი, არაგვი და სხვ.) და დასძენდა, რომ მსგავსი სახელი „მოქვთა“ გვხვდება შიდა საქართველოშიც, კერძოდ, შავშეთში⁶⁷.

ტოპონიმის შესახებ მიაბიჭურ განმარტებას ვეთავაზობს კ. ჰანი: „**Моква** груз. (монастырь) отъ мокъла мокъла=успокойся, почивай, умри“⁶⁸.

პროფ. თ. მიბჩუანის დაკვირვებით, „ეს ტოპონიმი მოგვაგონებს სვანურ სიტყვას „მუქვ“, რაც მიწის ზვინს აღნიშნავს. „მუქვარ“-ს (მრავლობითში) თხუნელების ან ვირთხების მიერ გადანათხარ ადგილს უწოდებენ“⁶⁹.

„მოქვის“ ეტიმოლოგიის შესახებ პ. ინგოროყვასა და თ. მიბჩუანის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი მიმოიხილა ისტორიკოსმა კ. ოკუჯავამ, თუმცა

⁶³ „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 270.

⁶⁴ გეორგიკა – ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოცდა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. მეორე შეესებული გამოცემა. უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ. წ. XVI, თბ., 1965, გვ. 6.

⁶⁵ ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011, გვ.201.

⁶⁶ თ. ბერაძე, ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით. ჟურნ. „მაცნე“, 3, თბ., 1971, გვ. 148.

⁶⁷ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 168.

⁶⁸ Ган К., Экскурсия в Нокалакеви летом 1903, Известия Кавказского отделения императорского Московского археологического общества. вып. II, М., 1905.

⁶⁹ თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989, გვ. 257.

საკუთარ, განსხვავებულ განმარტებას არ გვთავაზობს⁷⁰.

შესაძლებელია ტოპონიმ „მოქვის“ მეგრული ენის ნიადაგზეც ახსნაც. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **მოქვი** დღესაც ცოცხალი სიტყვაა სამურზაყანოს მეგრელთა მეტყველებაში და მისი ერთ-ერთი მნიშვნელობაა „რიყიანი, ქვით მოფენილი ადგილი“. ა. ქობალიას ლექსიკონში მოქვი, მოქვილი განმარტებულია, როგორც „რიყიანი“⁷¹. მოქვის მეორე მნიშვნელობა – „მოფქული, ფქვილით მოფენილი; ჩქერალი“, სემანტიკურად ასევე „ქვებით გადათეთრებულ ადგილს“ შეიძლება დაუკავშირდეს⁷².

მუწისწყალი//მუწუსწყალი. ვახუშტი ბატონიშვილი მუწის წყალს უწოდებს მდინარეს, რაც „ზუფუს დასავლით“ მიედინება⁷³. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ მდინარეს ამჟამად მჭიშთა ეწოდება.

ჰიდრონიმი გვხვდება ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერაშიც (1621 წ.), **მუწუს-წყლის** ფორმით. პ. ინგოროყვა სახელწოდებას ქართული წარმომავლობისად მიიჩნევდა და შენიშნავდა, რომ გარკვეულ მანძილზე მდინარის მიწისქვეშა დინება უნდა გამხდარიყო ასეთი სახელდების მიზეზი. მაშასადამე, პ. ინგოროყვას აზრით, მდინარის თავდაპირველი ფორმა **მიწის წყალი** უნდა ყოფილიყო, საიდანაც უნდა მიგველო მუწისწყალი⁷⁴. ეს თვალსაზრისი პირველად გამოთქვა აკად. ს. ჯანაშიამ⁷⁵.

მაშასადამე, ფიქრობენ, რომ სახელწოდება მიწისქვეშა მდინარის, კარსტული მდინარის აღმნიშვნელია (შდრ. მიწისქვეშა წყარო – წყარო სოფ. დრეში (ატენის თემი, გორის რ.)).

შესაძლოა ამ სახელწოდების ეტიმოლოგია დაუკავშირდეს სიტყვას – **მუნწილი//მუნჭილი**, რაც მეგრულ ენაში აღნიშნავს დამუწულს, მოკუძულს, დახურულ სივრცეს. ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ მუნწუა//მუნჭუა განმარტებულია როგორც „მუწვა (ტუჩებისა)“⁷⁶. ამ შემთხვევაში **მუწისწყალი** (←**მუნწილწყარი**) აღნიშნავს მდინარეს, რაც დახურულ სივრცეში დის

⁷⁰ კ. ოკუჯავა, აფხაზეთი XVII საუკუნეში, თბ., 2002, გვ. 97.

⁷¹ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 479.

⁷² ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 479.

⁷³ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 784.

⁷⁴ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მათე საუკუნისა, გვ. 181.

⁷⁵ ს. ჯანაშია, შრომები, ტ. VI, თბ., 1988, გვ. 287; მსჯელობისათვის იხ. კ. ოკუჯავა, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია XVII საუკუნეში, თბ., 1998; ს. ბახია-ოქრუაშვილი, აფხაზთა ეთნიკური ისტორიის საკითხები, 2010, გვ. 200.

⁷⁶ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 499.

(ვოკლუზს).

ამასთანავე, **მურწა** ერთგვარი თევზიცაა (**მურწა ჩხომი** „წვრილი თევზი“) და ბალახიც⁷⁷. **მუნწი/მუწი** ეწოდება ლოფორთქინას, ლალის ჭიას. **მუწიში** ლალისყურია, ხოლო **მუწიმ წყარი** იგივეა, რაც ლალის წყალი⁷⁸.

ცხომი/ცხუმი/სოხუმი. უძველესი ქალაქის სახელწოდების წარმომავლობით დაინტერესდა პ. ინგოროყვაც. ამჟამად არსებული ფორმა ქალაქის სახელწოდებისა – სოხუმი/სუხუმი, პ. ინგოროყვას აზრით, მომდინარეობს ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში VIII ს-იდან (ჯუანშერის მატთანე) დადასტურებული პირველადი ფორმიდან: ცხომი/ცხუმი. მეცნიერი სახელწოდებაში გამოყოფდა **ომ**-ი ბოლოკიდურ ფორმანტს, ადარებდა მას ასეთივე დაბოლოების მქონე ქართულ გეოგრაფიულ სახელებს (წრომი, ბორჯომი, ბათომი, დიღომი, თორთომი...) და ფიქრობდა, რომ ცხომი/ცხუმი თავისი გრამატიკული გაფორმებით ქართული წარმოშობისა უნდა ყოფილიყო. პ. ინგოროყვა დამატებით იმოწმებს მსგავს გეოგრაფიულ სახელწოდებებს: **ცხუმარი/ცხმარი** – თემი სვანეთში, **ცხმორი** – სოფელი რაჭაში, **ცხმორისი** – სოფელი აჭარაში, **ცხომარეთი** – სოფელი იმერეთში, საჩხერის რაიონში, **საცხომარითი** – ხობის ერთ-ერთი უბანი... ასევე ვარაუდობს, რომ **ცხომი/ცხუმი** უნდა უკავშირდებოდეს მხარის სახელწოდებას – ჩხუმს⁷⁹.

ასეთია ქართველი მეცნიერის მსჯელობა **ცხომ/ცხუმის** მნიშვნელობის შესახებ, თუმცა თვით ტოპონიმის ეტიმოლოგიაზე პ. ინგოროყვას საკუთარი მოსაზრება არ გამოუთქვამს.

ქ. ლომთათიძის დაკვირვებით, ტოპონიმ „ცხუმის“ ქართულობას ადასტურებს მასში **ცხ** კომპლექსის არსებობა, რაც აფხაზურს არ ახასიათებს⁸⁰.

„სუხუმის“ თურქული წარმომავლობის ტოპონიმად მიჩნევას მხარს უჭერდა ცნობილი აფხაზი ისტორიკოსი დიმიტრი გულია. თურქებს ამ ქალაქისათვის სუგუმი (და არა **სუხუმი**) უნდა ეწოდებინათ, რაც მდ. გუმისთას სახელის მიხედვით „გუმის წყალს“ უნდა ნიშნავდეს, – ფიქრობდა დ. გულია და თავისი მოსაზრების „გამყარებას“ იმ ფაქტით ცდილობდა, რომ გუმისთა

⁷⁷ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 500.

⁷⁸ ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 501.

⁷⁹ პ. ინგოროყვა, ვიორგი მერჩულე ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, გვ. 147.

⁸⁰ ქ. ლომთათიძე, აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ, ჟურნ. „მნათობი“, №12, თბ., 1956.

ჯიქთა მიერ იწოდებოდა, როგორც „გუმ-ფსი“⁸¹.

აფხაზი ისტორიკოსები – ვ. ფაჩულა, ო. ბლაჟუა და ს. ლაკობა მხარს უჭერენ ტოპონიმ „სოხუმის“ ძალიან საეჭვო ეტიმოლოგიას, რომ, თითქოს, ეს სახელწოდება შედგება სამი კომპონენტისაგან: „თურქებს თავისებურად ესმოდათ ეს სახელწოდება, როგორც „სუ“ – წყალი, „ხუმ“ – ქვიშა, „კალა“ – ციხესიმაგრე, ქალაქი“⁸².

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ **სუხუმი** ქართველური **ცხუმის** თურქიზებულ ფორმას წარმოადგენს, ვინაიდან თურქულს არა აქვს **ც** აფრიკატი; ამასთანავე, ვინაიდან სიტყვის დასაწყისში ორი თანხმოვნის თავმოყრას თურქული ენ ავერ ჰგუობს, ამიტომ „ცხუმ“ ფორმის ნაცვლად თურქულში მკვიდრდება სახენაცვალი ფორმა **სუხუმუ** და **სუხუმ**. სწორედ ამ ვარიანტებით გვხვდება სახელწოდება „ცხუმი“ თურქულ და არაბულ წყაროებში⁸³.

ფიქრობენ, რომ ცხუმი შესაძლებელია თურქულად წარმოითქვას როგორც „სუხუმ“, ასევე როგორც – „სოხუმ“. იმის გათვალისწინებით, რომ 1923 წლამდე თურქული დამწერლობა კონსონანტური ტიპისაა და, ძირითადად, თანხმოვანი ასონიშნების შემცველ არაბულ ანბანს ეფუძნებოდა, ისტორიკოსი კ. კვაშილავა (პროფ. გ. ანჩაბაძის მიერ გაწეული კონსულტაციის საფუძველზე) ფიქრობს, რომ „ცხუმის“ თურქულ-არაბული დამწერლობით გადმოსაცემად გამოიყენებოდა, აგრეთვე არაბული ასო-ნიშანი, რომელსაც რამდენიმენაირი წაკითხვა გააჩნია“⁸⁴. მკვლევარი საილუსტრაციოდ მოიხმობს XVIII-XIX სს. ზოგიერთ წყაროში დადასტურებულ ფორმებს – „**Сокум-Кала**“, „**Согум-кала**“⁸⁵. მკვლევართა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე დადასტურებული სახელწოდება **ცხუმის//ცხომის** ამოსავალი უნდა იყოს სვანური **ცხუმ//ცხვიმ//ცხვმ**, რაც რცხილას, ცხემლას

⁸¹ Гулия Д., История Абхазии, I, Тифлис, 1925, 148.

⁸² Мачавариани К. Д. Описательный путеводитель по городу Сухуму и Сухумскому Округу. С историко-этнографическим очерком Абхазии. Сухум, 1913: 224; Шамба Г., Древний Сухум, 2005: 94.

⁸³ თ. ვანცელაძე, ქართველური ქრისტიანული ტერმინების აფხაზურ ენაში სესხების დროის საკითხისათვის. ჟურნ. „არტანუჯი“, №10, თბ., 2000, გვ. 88; ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 117.

⁸⁴ კ. კვაშილავა, ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა – 1840 წელი. თბ., 2011, გვ. 144.

⁸⁵ კ. კვაშილავა, ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან, გვ. 144, და იქვე მითითებული ლიტერატურა.

ნიშნავს. **ცხუმში** რცხილნარია, **ცხუმრა** – რცხილის ხე⁸⁶. ეს მოსაზრება პირველად მ. ქაღდანმა გამოთქვა, რაც შემდეგ გაიზიარეს გ. მელიქიშვილმა, თ. მიბჩუანმა, გ. გასვიანმა, თ. გვანცელაძემ, ვ. ზუხბაიამ, კ. ოკუჯავამ და სხვებმა⁸⁷.

აკად. გ. მელიქიშვილის დაკვირვებით, კუთხის სახელწოდება „ლენხუმი“ და ჰენიოხური ქალაქის ძველქართული სახელწოდება „ცხუმი“ სვანური წარმოშობისა უნდა იყოს⁸⁸. მკვლევარი მოიხმობს საილუსტრაციო მასალას: **ცხუმარი, ცხუმელური, ცხუმ ზაგარ//ცხვიმ ზაგარ** („რცხილნარი ქედი“), **ცხმორი, ცხომარეთი, ცხემარისვა**. გ. გასვიანის დაკვირვებით, ცხუმისა და ცხუმარის დაკავშირებას მცენარე რცხილის სვანურ სახელთან, მხარს უჭერს მსგავსი სახელწოდებების ფართოდ გავრცელება სვანეთსა და სვანთა ნამყოფ ადგილებში. მკვლევარი სახელწოდება „ლენხუმის“ ლეცხუმიდან წარმომავლობასაც ნაკლებ საეჭვოდ მიიჩნევს და დაასკვნის: „აფხაზეთის ქალაქ ცხუმის სახელწოდების შემოქმედი თავის დროზე სვანურენოვანი მოსახლეობა იყო... ის ცხუმ-რცხილიდან წარმოდგება და პრეისტორიული, ფუძე ქართული ტოპონიმია“⁸⁹.

თუკი ტოპონიმ „ცხუმის“ სვანური წარმომავლობის შესახებ გამოთქმულ თვალსაზრისს სარწმუნოდ მივიჩნევთ, ჩვენის მხრივ დავამატებდით ფონეტიკური და შინაარსობრივი მსგავსების თვალსაზრისით მეტნაკლებად ნიშანდობლივ მიკროტოპონიმებს: **ცხვიმ** – 1. სათიბ-საბალახოები ეცერის თემის სოფლებში – უღვალსა და ისკარში; 2. სახნავი სოფ. გულიდაში (ლენტეხის რ.); **ცხვიმალდ** – სოფელი ლენტეხის რაიონში; **ცხვიმანი** – ტყე სვიფსა და ლეზგარაში (ცხუმარის თემი); **ცხვიმი ლალკან შუკე** – გზა სოფ. გულიდაში (ლენტეხის რ.); **ცხვიმიშ სარაგ** – წყარო სვიფში (ცხუმარის თემი); **ცხვიმიე** – სათიბი ლახუშდში (ლატალის თემი); **ცხვიმელდაშიშ ცხეკ//ცხვიმელდაში ცხეკ** – ტყე თავრარში (ნაკის თემი); **ცხომარ** – ტყე-ფერდობი ფარში (მესტიის რ.); **ცხუმანი** – ეკლესიის შემოგარენი და სათიბ-

⁸⁶ კ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 2001, გვ. 359.

⁸⁷ თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, გვ. 264-265; გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1991: 206; თ. გვანცელაძე, ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ., 1998: 52; კ. ოკუჯავა, აფხაზეთი XVII საუკუნეში, თბ., 2002, გვ. 86.

⁸⁸ გ. მელიქიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 341.

⁸⁹ გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, გვ. 206.

საძოვარი ყიბე ლევერში (ჩოლურის თემი); **ცხუმარ** – სათიბი ლამხერში (ფარის თემი); **ცხუმამ** – ყანა ძულარეში (ხელედის თემი); **ცხუმელილალე ლავოგ** – მთა ყვედრეში; **ცხუმერი** – სახნავი ზემო მამში (ჩოლურის თემი); **ცხუმირ-ზაგარ** – რცხილნარი ნესგუნში (ლენჯერის თემი); **ცხუმრა ლარალ** – საძოვარი მაცხვარიში (ლატალის თემი); **ცხუმარე ქვან** – ფლატე კალაში (ეცერის თემი)...

„ცხუმისა“ და „სოხუმის“ ეტიმოლოგიის გარშემო სხვადასხვა დროს გამოთქმული მოსაზრებები (კ. ჰანი, მ. ქალდანი, გ. მელიქიშვილი, ს. ჯანაშია, ქ. ლომთათიძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. გასვიანი, თ. მიბჩუანი, შ. ინალიფა...) მიმოიხილა ს. ბახია-ოქუაშვილმა და ა. ჭკადუას ნაშრომზე მითითებით შემდეგი დასკვნა გამოიტანა: „ცხომ//ცხუმში სემანტიკური, ეტიმოლოგიური და ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, სახელდების პრინციპები საერთო ქართველურია. მოტივაციის საფუძველია ამ ადგილებში „რცხილის“ არსებობა. მაგ.: ქართული **ცხემლოვანი, ცხინვალი, ცხმორისი**, მეგრ. **ცხემურონი, ცხიბურონი, ცხემურეში**, ჰან. **ცხემურეფუნა**, სვან. **ცხუმელირ, ცხუმალდ, ცხმარ, ლეცხუმერ**. სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ საფუძველს, როგორც ახალი, ისე ძველი ფორმებისათვის წარმოადგენს ძველქართული გეობოტანიკური ტერმინი **ქრცხემლ-** ან **ქრცხილ-**. ტოპონიმიკურ დონეზე საერთო სვანურისათვის ამოსავალი იქნება **ცხუმ**“⁹⁰.

მ. თავდიშვილის მოსაზრებით წყლის ხმაურის აღმნიშვნელი ხუ ელემენტი უნდა გამოიყოს ტოპონიმ „სუხუმში“: „აშკარაა, რომ **სუ** წყლის აღმნიშვნელი ტერმინია (ვსუამ, სუამ, სუამს). **ხუ** ხმაურის, კერძოდ, წყლის ხმანობის აღმნიშვნელი უნდა იყოს. **სუ-ხუმი** რომ წყალს აღნიშნავს, ამას ამტკიცებს ამ ქალაქის აფხაზური სახელწოდება აქუა. **აქუა** ნიშნავს წყალს. აქუა შესაძლოა იყოს აყუა სიტყვის ფონეტიკური ვარიანტი. აყუა ისევ წყალს ნიშნავს“⁹¹. მნიშვნელობითა და შედგენილობით „სუხუმის“ ადეკვატური აგებულების სახელწოდებებად მიიჩნევს მკვლევარი ხევსურეთსა და შუხუთს⁹². ჩვენი აზრით, მ. თავდიშვილის მსჯელობა დამაჯერებლობას მოკლებულია.

ა. დიარკოვ-ტარასოვი ტოპონიმ ცხუმს უკავშირებდა „ცხელი“ სიტყვის

⁹⁰ ს. ბახია-ოქუაშვილი, აფხაზთა ეთნიკური ისტორიის საკითხები, გვ. 220-221, და იქვე მითითებული ლიტ-რა.

⁹¹ მ. თავდიშვილი, ბახმარო. ჟურნ. „საქართველოს ბუნება“, №11, თბ., 1973.

⁹² იქვე.

მეგრულ შესატყვისს – ჩხე⁹³.

პროფ. ზ. პაპასქირის ვარაუდითაც, ცხუმში შესაძლებელია უკავშირდებოდეს ხის ჯიშების მეგრულ სახელებს – **თხუმუს** ან **ცხიმურს**⁹⁴.

პროფ. გიორგი ფიფიას მოსაზრებით, ტოპონიმ „ცხუმის“ ამოსავალი რცხილის ერთ-ერთი სახეობის ზანური სახელწოდება, რაც იწერება ერთი თანხმონითა და ირაციონალური ხმოვნით. ესაა **ცვ**, რამაც სხვა ზანურ-მეგრულ სიტყვასთან („ხუმ“) შეთანხმებით მოგვცა ტოპონიმი **ცვუმ** ანუ „მშრალი რცხილა“. მკვლევარი იმოწმებს აფხაზეთში ჩაწერილ, ხმელი ხის სახელწოდებისაგან წარმოქმნილ ტოპონიმს. ესაა გალის რაიონის სოფ. ხუმუმქურის სახელწოდება, რაც „გაშლის ხმელ ხეს“ ნიშნავს⁹⁵. ტოპონიმთა ამ რიგს შეიძლება დაემატოს ცუმურხუმლა „გამხმარი ტყემალი“ – ფერდობი სოფ. რეჩხში; ჭყონხუმლა „გამხმარი მუხა“ – სოფელი ჭუბურხინჯის თემში. ატრიბუტული მსახვდრელის პოსტპოზიციურობა ზემოთ ჩამოთვლილ ტოპონიმთა სიძველის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს⁹⁶.

ტოპონიმ „ცხუმის“ პროფ. გიორგი ფიფიასეული განმარტება დაზუსტებას საჭიროებს. თუკი ჩავთვლით, რომ „ცხუმის“ ერთ-ერთი კომპონენტია **ხუმ**- სიტყვა, მაშინ იგი უნდა ითარგმნოს არა როგორც მშრალი, არამედ – ხმელი. ამასთანავე, კავკასიური რცხილის მეგრული შესატყვისია ცხემური//ცხიმური, ხოლო **ცვ** იგივეა, რაც თელა და თელადუმა⁹⁷.

ამდენად, **ცხემი//ცხომი** უნდა გავიაზროთ როგორც „ხმელი თელა“.

⁹³ ა. ღიაკოვ-ტარასოვი, გაგრა და მისი შემოგარენი. რუს. თარგმნეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს ზ. პაპასქირმა და ბ. ზორავამ. თბ., 2003: 65.

⁹⁴ ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. 1, უძველესი დროდან 1917 წლამდე. თბ., 2004: 27.

⁹⁵ გ. ფიფია, აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხისათვის. გაზ. „სახალხო განათლება“, №10, 1990, გვ. 13.

⁹⁶ პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია, თბ., 2004, გვ. 110.

⁹⁷ ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1991: 152.

IGOR KEKELIA

Some of the Points about Egris-Abkhazia's Historical Geography and Toponymy in the work of Pavle Ingorokva

The work of a famous Georgian Scientist Pavle Ingorokva "*George Merchule – a Writer of the 10th Century*" gives us important information about Egris-Abkhazia's historical geography and toponymy. The work was published as a separate book in 1954.

The scientist gives us information about Abkhazia's historical ethnography. The book tells us about the population's ethnical composition in the antique period and middle ages. We also get information about the tribes that lived on the territory of Abkhazia and the history of the foundation of "the Kingdom of Abkhazia", West Georgia there.

P. Ingorokva's discussion about the geographical names of parts of Abkhazia that can be found in Historical works is analyzed in the study. Different etymology of the toponyms can also be found here.

ქეთევან მარგანი (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

**პავლე ინგოროყვა – „სვანეთის საისტორიო ძეგლების“
რედაქტორი და გამომცემელი**

დიდი ქართველი მკვლევრის, მოაზროვნის, ლიტერატურათმცოდნის, კრიტიკოსის, პოლიგლოტის – **პავლე ინგოროყვას** სახელი არაერთი ეროვნული და საშვილიშვილო მნიშვნელობის მქონე საქმის წამოწყებასა და თაონობასთან ასოცირდება: ჯერ კიდევ 1925 წელს მისი ინიციატივით დაფუძნდა გამომცემლობა „ქართული წიგნი“, რომელმაც, სწორედ, პავლე ინგოროყვას რედაქტორობით გამოსცა ილია ჭავჭავაძის მრავალტომეული. სამწუხაროა, რომ აღნიშნული მრავალტომეულის და ეროვნული ხასიათის სხვა წიგნების გამოცემის გამო, გამომცემლობა მალევე დახურეს. პავლე ინგოროყვამ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობის არცთუ ისე უმნიშვნელო ნაწილი დაუთმო შოთა რუსთაველის და „ვეფხისტყაოსნის“ კვლევას, რის შედეგადაც შექმნა უამრავი ნაშრომი: „რუსთაველიანა“, „რუსთაველიანაზე“, „რუსთაველი და მისი პოემა“, „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“, „შოთა რუსთაველი“, „ვეფხისტყაოსნის ტექსტი“... მისი ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომია „გიორგი მერჩულე“, რაზეც თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში მუშაობდა.

განუზომლად დიდია დიდი ქართველი მოღვაწის როლი სვანეთის კულტურულ და ისტორიულ სიძველეებთან მიმართებასა და კვლევის საქმეში. 1941 წელს სვანეთის სხვადასხვა თემატიკის საისტორიო აქტებისა და სულთა მატრიანების ტექსტების გამოქვეყნებით პავლე ინგოროყვამ დიდი ამაგი დასდო სვანეთის საისტორიო ძეგლების შესწავლის საშვილიშვილო საქმეს. საისტორიო აქტები სხვადასხვა თემატიკისაა: 1. სათემო აქტები სრულიად სვანეთისა; 2. აქტები პატრონ-ყმობისა; 3. აქტები თემისა და პატრონთ ცილობის შესახებ; 4. წიგნი სასისხლო საქმისა ბალსზემო სვანეთსა და თავად ჯაფარიძეთა შორის; 5. სათემო აქტები ბალსზემო სვანეთისა; 6. სათემო აქტები ცალკე ხეობათა, სეტის ხევის სათემო აქტები; 7(ა). კერძო აქტები ბენდან ვახთანგიანისა და სეტიელთა სახლისა; 7 (ბ). კერძო აქტები; 8. ფრაგმენტები; 9. გვიანი დროის სვანური აქტები (XVII-XVIII საუკუნეები); 10. მეფისა და დადიანისსეული აქტები XIII-XIV საუკუნეთა.

გამოცემის წინასიტყვაობაში ნათქვამია: „**სვანეთის საისტორიო ძეგლები**“ გამოქვეყნდება სამ ნაკვთად: პირველ ნაკვეთში შედის: 1. აღწერილობა სვა-

ნეთში დაცულ ძველ-ქართულ ხელნაწერებისა: 2. გამოკვლევა სვანეთის საისტორიო აქტებისა; 3. გამოკვლევა ძეგლისა: მატიანე სუანეთისა კრებისად. მეორე ნაკვეთში შედის ტექსტები: 1. სვანეთის საისტორიო აქტები; 2. მატიანე სუანეთისა კრებისად; მესამე ნაკვეთში შედის: 1. სვანეთის ეპიგრაფიკა; 2. ნარკვევი სვანეთის ისტორიული გეოგრაფიისა და მოსახლეობის შესახებ საშუალ-საუკუნეებში. ამჟამად პირველ რიგში ვაქვეყნებთ მეორე ნაკვეთს.¹

„მატიანე სუანეთისა კრებისად“ XIII საუკუნის II ნახევრის მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლია, როგორც სვანეთის, ისე სრულიად საქართველოს ისტორიისათვის. **დემეტრე ლოღელიანის** ხელით დაწერილ, ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით უადრესად ფასეულ ამ ძეგლს ზუსტი ანალოგი, გარდა „ტბეთის სულთა მატიანისა“, საქართველოს სხვა კუთხეებში არც კი ეძებნება, როგორც ამას ისტორიკოსები და შესაბამისი საკითხებით დანტერესებული მკვლევრები აღნიშნავენ.

ძეგლი პირველად 1941 წელს **„მატიანე სუანეთისა კრებისად“**-ს სახელწოდებით გამოაქვეყნა სწორედ პავლე ინგოროყვამ და XIII საუკუნის II ნახევრით დაათარიდა. ექვთიმე თაყაიშვილმა კი მას **„სვანეთის სულთა მატიანე“** უწოდა და იქვე მისი ზუსტი, მოკლე და ამომწურავი დახასიათებაც მოგვცა: „ამ სათაურით ჩვენ ვგულისხმობთ დიდ ტყავის გრაგნილს, რომელზედაც ნუსხა-ხუცურით დაწერილია განჩინებანი სვანეთის ხევთა წარმომადგენლებისა, სასულიეროსი და საეროსი, ამა თუ იმ პირთა ადაპების შესახებ, რომელთაც გაუღიათ შესაწირავი ეკლესიებისათვის. მატიანეში აღნიშნულია სოფლების სახელები, სადაც კრებები გაუმართავთ, და შემდეგ სახელი და გვარი მათი, ვისაც ცოდვა შეუნანებია და სული შეუვედრებია ღვთისათვის“²

„მატიანე სუანეთისა კრებისად“-ს პირველი გამოცემის ტექსტს, რომელიც ძალზედ შთამბეჭდვად აგრძნობინებს არა მხოლოდ სპეციალისტს, ნებისმიერ მკითხველს შუა საუკუნეების სვანეთის სუნთქვას და, მართლაც, გვაოცებს სიზუსტით, არქაულობით, გამომცემლის პროფესიონალიზმითა და სიძველეებისადმი ფრთხილი, მოკრძალებული დამოკიდებულებით, ალაგ-ალაგ ერთვის რედაქტორის – პავლე ინგოროყვას განმარტებები და კომენტარები: მაგ., „ბერუს აღწერით სრულდება სვანეთის ერთი ნაწილის, ეგრეთ-წოდებულ „ქვემო-ტევი“ (საბალსქევი) ტევის აღწერა, ბერუს ამ აღწერას უშუალოდ მისდევს

¹ პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, მატიანე სუანეთისა კრებისად“, თბ., 1941.

² ე.თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, ქართული ეპიგრაფიკული ლიტერატურა, დაბრუნება, თბ., 1991, გვ. 431.

შემდეგი ნაკვთი, რომელიც არ წარმოადგენს მატიანის ძირითად ნაწილს, არამედ დამატებულია მატიანის განმახლებელთა მიერ XIV საუკუნის მეორე ნახევარში³ „იწყება მეორე კეფი (recto), რომელსაც თავში მიკვრებული აქვს პირველი „კეფთა-შუალედი“ (ეტრატის ვიწრო ზოლი, ჩატანებული კეფთა შუა). გრაგნილს პირველსა და მეორე კეფს შუა, რომლებიც ამჟამად ერთმანეთს მოცილებულია, შესაძლოა აკლდეს ტექსტი“. ამის შემდეგ დაუწერელად ყოფილა დატოვებული საკმაოდ დიდი არე, სახელდობრ, ერთი „კეფთა-შუალედი“ და ერთი სრული კეფი (მე-4), ახალ მოსალოდნელ დამატებათა ჩასაწერად მომავალში. ამ გაშვებული თავისუფალი არის შემდეგ, სვანეთის მეორე ნაწილის, ბალს-ზემო ჯევის აღწერილობის წინ, ისევ ჩაწერილია ოთხი მოსახსენებელი, რომელიც აგრეთვე XIV საუკუნის მეორე ნახევარს, მატიანის განახლების დროს ეკუთვნის.⁴

„მატიანე სუანეთისა კრებისაჲ“ (XIII საუკუნის II ნახევრისა) საკმაოდ მდიდარი ონომასტიკური მასალის შემცველი ძეგლია. აქ წარმოდგენილი მდიდარი ანთროპონიმია და ტოპონიმია საკვებით სრულ წარმოდგენას იძლევა შუა საუკუნეების სვანეთში უკვე არსებული გეოგრაფიული ნომენკლატურისა და, ზოგადად, სახელდების პროცესების შესახებ. ძეგლი დაწერილია მდივან-მწიგნობართა მიერ; იგრძნობა, რომ სულთა მატიანეში სწორედ XIII საუკუნის რეალობა, ენობრივი ნორმები და სპეციფიკა არის წარმოჩენილი; ძეგლში ჩამოთვლილია ყველა ის დასახლებული პუნქტი თუ სოფელი, სადაც კრებები გაუმართავთ და სული შეუკედრებით ღმრთისათვის; ძეგლში წარმოდგენილი მდიდარი ონომასტიკური მასალიდან განსაკუთრებით საინტერესოა აქ წარმოდგენილი არქაული ანთროპონიმული ფორმები... აქ გვხვდება დღეს, სამწუხაროდ, უკვე გამქრალი და გადაშენებული არაერთი გვარსახელი: ჰირეკიანი, ფოხელიანი, აბუგიანი, ამნასარიანი, ითანოზიანი, მანაშიანი, ბობჩიანი, ფალგარიანი, გაჟანიანი, კიკედიანი, ტბელიანი, მსავიანი, ჭუშულიანი, ჯაჩილიანი, რუბაგიანი... ჩხუმიფხე, გოშუანიფხე, ბეუთმანიფხე...

„ვინცა **ეცერს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰკვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: ინაჲ **თეტნიანისა**, მარიამ **ჩხუფუშელიანისა**... მართა **წარეკელიანისა**... ირინე **კვირკელიანისა**, მიქაელ **ჩაჯღელიანისა**... „ვინცა ლეტვრით ამა კრებასა მოეგება და სული შეჰკვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთ-

³ პ. ინგოროყვა, მატიანე სუანეთისა კრებისაჲ, თბ., 1941 გვ. 157.

⁴ პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 158.

თმან: სუკვად ბეუთმანიფხესა, მამაქან ათარიფხესა... ივანე მსავიანისა⁵...

„ვინცა ლალავერს ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველ-
თა შეუნდოს ღმერთმან: გიცარადსა გიცარიანისა... საღირ ჰირეკიანისა...
ფურთუხ ლღინიანისა...“⁶

ანთროპონიმიკასთან შედარებით ტოპონიმიკური მასალა ძეგლისა მწირია; „სულთა მატიანეში“ გვხვდება: ლალავერი, კიჩხლდაში, ლახაძლი, ლემტერი, მამ, ლჰა, ეცერი, კალაში, ცხმარი, ებუდი, დოლი, ბეჩუ; ბალსზემო სვანეთის ტოპონიმაგან წარმოდგენილია – ლატალი, ლენჯერი, სეტია, მულახი, წურეში, ზეგენა, კალა, უშქული, უდაშდი, ჩეში, უსგური. სულთა მატიანეების და, ზოგადად, X-XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობითი ძეგლების ანთროპონიმია და თანამედროვე სვანურ გვარსახელთა სისტემა ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. დღეს თანხმოდანფუძიანი საზოგადო სახელები – ზუნ <სვან. ზუნ „საძირკველი“, კოჯ „კოლდე“, ბერეჟ „რკინა“, ზვერგ... XIII საუკუნის მატიანეში ხმოდანფუძიანებია: ზუნა, კოჯა, ბერეჟი, ზვერაგო/ზვერაგუ... რაც გვაკარაუდებინებს, რომ ბოლოკიდურ ხმოდანთა მოკვეცა სვანურში ახალი ფონეტიკური პროცესია, ქრონოლოგიურად XIII საუკუნის შემდგომდროინდელი. აუსლაუტის საკითხთან მიმართებით აღნიშნული დაკვირვება ზოგადად სვანურისათვის, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. ყოველგვარი ანთროპოფორმანტის დართვის გარეშე ძეგლებში პირის, ძირითადად მამაკაცთა სახელებად გვხვდება ტოპონიმები: ბალდადი, იორდანე, ყირიმი, ხახული... ეთნონომები: ფრანგი, მესხი, ჯავახი, ჯიქი, თათარი... ძეგლებში გამოიყოფა ყოველგვარი მარკირების გარეშე ანთროპონიმებად ქცეული ქართული და სვანური აპელატივების ჯგუფები: მამა, აღმართი, აზნაური, ჭიქა, ქარი, რკინა, გედი, ჯავშანი, თოვლაი, თვარე/მთვარეი, თეთვრაი, მახარობელ, ოდიშ-ელ-იან, საღირ-ელ-იან... სვანური: სარაგ „წყარო“ ნელარ „კასრი“ ნინ „ენა“ ბერეჟ „რკინა“, შიხ „ნახშირი“ ზუნ „საძირკველი“ ბაჟინ „მაცნე, შიკრიკი“ მანგურ... სვანეთის წერილობით ძეგლებში გვხვდება სვანური სემანტიკის ანთროპონიმებიც: ჯიჯი, კიბირა, ქვარ/ქუვარა, ზოჯი, კოჩა, ჭკომი... გვარსახელები: კოჩიანი, უხოჯელიანი... გამოიყოფა აგრეთვე ჯგუფი კნინობით-მოფერებითობის -ა სუფიქსით მარკირებული ანთროპონიმებად ქცეული აპელატივებისა: ნაკვეთა, ლხინა, ნალდა, მალალა, ერთგულა, ახალა, ნალველა... საინტერესოა, რომ საზოგადო არსებით სახელებთან ერთად ანთროპონიმებად გა-

⁵ პ. ინგოროყვა, მატიანე სუანეთისა კრებისად“, თბ., 1941 გვ. 121-122.

⁶ პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 117-118.

მოყენებულია სხვადასხვა მეტყველების ნაწილი: ზედსართავი, ნაცვალსახელი, მასდარი და ზმნის პირიანი ფორმებიც კი.

„ვინცა **მამს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: **ბერეუი** ღოღელიანისა... ვინცა **ლახამლს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: **ხუცისა** ქელბაგიანისა... **ჯგვაბამსა**...**უჯგუშისა**... **ჯიჯისა**... **თვალშავისა**... **ოდიშელისა**, **თოულამსა**, **ღუღად** ქარჩიანისა... **ჯიჯი** **ცხვიმიანისა**... **ბახსანელასა**... **ცხაგა ფალგარიანისა**...⁷

სულთა მატაიანების ანთროპონიმიკის ლექსიკურ-სემანტიკური მხარე თანამდროვე სვანურთან შედარებით ბევრად უფრო მკაფიო და გამჭვირვალეა; თანამდროვე სვანურისაგან განსხვავებით X-XVIII საუკუნეების სვანეთის წერილობით ძეგლებში ქართველურ -იან/-ან გვარდაბოლოების გვერდით გვხვდება ძველი ქართული -ეან და დასავლურ ქართულ არეალში გავრცელებული -ფხე სუფიქსები.

„ვინცა **ღეშტერთ** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: **სუკვად ბეუთმანიფხესა**... **მამქან ათარიფხესა**... **მარიამ გოგორელიფხესა**... **საღირელას**... **ვეშაგ ღოღელიანისა**... ვინცა **მამს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: **ნათელ რატიანისა**... **ღუღაილასა**... **გიორგი დაბიერელისა**... **ნინოსა**... **გიორგი ტბელიანისა** – **მეუღლესა მისა თოვლამსა**... ვინცა (**ფარს?**)/ **მამს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: **ფურთუხ ტბელიანისა**... **გულქან ათარიანისა**... **იწე ჯახწონიანისა**, **ნაკვეთად ჩარამიანისა**... **თოვლამსა**... **ლხინად** ღოღელიანისა...⁸ „ვინცა მითგნ **ეცერს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: **რუსუღან ასიბერიანისა**, **სანთელამსა**, **ალაფა თეტენიანისა**... **მამა აშეხიანისა**... **კორიანისა** და **მეუღ-ჯუგულისა**... **არღაშელისა**... **იაკობ ხუცისა**... **იწე სანთელანისა**... **უჩინარიფხესა** **სუკუამსა**... **ჯანგვა კორიანისა**... **მიქელად სანიგაიანისა**...⁹ „ვინცა **ღოღლს** ამა კრებასა მოეგება და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: **ასიბერისა**... **მუშტილასა**... **იწე ასიბერიანისა** – **ბაღდადისა** – **მრმისა** – **იამსა** – **თვალშავისა** და **მისა მისისა** აბესალამს... **თვალმინდი ხვერგუანისა**... ვინცა **ღოღლს** ამა კრებასა მოეგება

⁷ პ. ინგოროყვა, მატაიანე სუანეთისა კრებისად“, თბ., 1941 გვ. 120.

⁸ პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 124-126.

⁹ პ. ინგოროყვა, იქვე, გვ. 130-133.

და სული შეჰვედრა, მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმან: მართა **შენკობილიანისა** – **იწად** ხიჭიანისა შვილისა მისისა **ფრანგისა... ჩიხად** გაზანიანისა მეუღლესა მისა **ნაღდაძსა...**¹⁰

ჩვენი ყურადღება მიიქცია მატიანეებში ირაციონალური **ჯ** ხმოვნის შემცველი ანთროპონიმების არარსებობამ. ადრეული პერიოდის ძეგლებში **ჯ** ფონემის შემცველი ანთროპონიმების არარსებობა პრაქტიკული მიზეზებით უნდა იყოს განპირობებული; მდივან-მწიგნობარნი ზოგადად და „**მატიანე სუანეთისა კრებისად**“-ს შემთხვევაში დემეტრე ლოლელიანი ირაციონალურ ხმოვანს გადმოსცემენ ხან უ-თი, ხან ე-თი, ხანაც ნულით.

სვანეთის სხვადასხვა თემატიკის საისტორიო აქტებისა და სულთა მატიანეების ტექსტების გამოქვეყნებით **პავლე ინგოროყვამ** დიდი ამაგი დასდო სვანეთის საისტორიო ძეგლების გამოცემის, კვლევისა და შესწავლის მეტად მნიშვნელოვან საქმეს.

¹⁰ პ. ინგოროყვა, მატიანე სუანეთისა კრებისად, თბ., 1941 გვ. 149–150.

პავლე ინგოროყვა ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ

ცნობილ მეცნიერს, კრიტიკოსს, საზოგადო მოღვაწეს – პავლე ინგოროყვას მრავალ, მეტად ღირებულ ნაშრომებთან ერთად დაწერილი აქვს მონოგრაფია ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ, რომელიც პირველად 1938 წელს გამოქვეყნდა.

პავლე ინგოროყვა შესავალში აღნიშნავს, რომ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი, დიდი ტრადიციების მქონე ლიტერატურის ისტორიაში ნიკოლოზ ბარათაშვილს საპატიო ადგილი უჭირავს, რომ იგი არის გენიალური პოეტი, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. მისი შემოქმედებიდან „ბუდი ქართლისა“ და „მერანი“ არის ნიშანსვეტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა XIX საუკუნის საქართველოში.

კრიტიკოსი გვაცნობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიას, პოეტის ოჯახურ წრეს, გენეალოგიას. კერძოდ, იგი შთამომავლობით მაღალ არისტოკრატიას ეკუთვნოდა. მისი მამა თავადი მელიტონ ბარათაშვილი განათლებული პიროვნება ყოფილა. ჩინებული მცოდნე რუსული ენისა და ქართული ლიტერატურისა, საუცხოო მოსაუბრე, მჭერმეტყველი. რუსული ენის კარგად ფლობის გამო, იგი მაღალი რანგის თარჯიმანი ყოფილა საქართველოს მთავარმართებელთან. მელიტონი დიდი გავლენით სარგებლობდა თავადაზნაურობის წრეებში. ის ერთხმად აურჩევით თბილისის მაზრის მარშლად. ყოფილა ფიცხი და მრისხანე, ამავე დროს, ძალზე სტუმართმოყვარე და ხელგაშლილი, რასაც გაუღარიბებია მისი ოჯახი და დიდ ვალებში ჩაუდგია.

პოეტის დედა ეფემია, ერეკლე მეფის შვილთაშვილი, ქვემო ქართლის დიდი მებატონის – ზურაბ ორბელიანის ასული და პოეტ გრიგოლ ორბელიანის და ყოფილა, მომხიბლავი გარეგნობით. თანამედროვენი მას იხსენიებენ როგორც მაღალი სულიერებისა და ნათელი ბუნების, კარგ მეოჯახესა და მეტად მოსიყვარულე ქალბატონს.

ამის შემდეგ პავლე ინგოროყვა გადმოგვცემს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბავშვობის, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელსა (1830 წელს გიმნაზიად გადაკეთდა) და პანსიონში სწავლის წლებს, სადაც იგი კარგი სწავლით და მხიარული ხასიათით გამოირჩეოდა თურმე, ასევე აქვე გამოვლენილ პოეტის პირველ ლიტერატურულ ცდებს. გვამცნობს აგრეთვე, რომ მისი ყველა ლექსი, გიმნაზიელო-

ბის დროს დაწერილი, ჩვენამდე არ მოღწეულა. საუბრობს ამ დროს ბარათაშვილის დაინტერესების შესახებ ძველქართული კლასიკური მწერლობით, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნით“, რომლის მრავალი ადგილი მომავალ პოეტს ზეპირად სცოდნია და რომლის „ტრფობის გამოსხივება“, კრიტიკოსის თქმით, „მერანში“ და „ჩინარში“ იგრძნობა“.

პავლე ინგოროყვა მონოგრაფიაში გვიჩვენებს იმდროინდელი საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას, იმ სულისშემძვრულ გარემოს, რომელშიაც უხდებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილს ცხოვრება და მოღვაწეობა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს 1832 წლის შეთქმულებას და მის აქტიურ წევრთა გავლენას დიდი პოეტის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი პოეტისა და ეკატერინე ჭავჭავაძის რომანტიკულ ისტორიას. მას პავლე ინგოროყვა „ტრაგიკულ რომანს“ უწოდებს, რომელმაც, მისი აზრით, დიდი გავლენა იქონია პოეტის შემოქმედებაზე და რომლის სახით შთაგონებულია მთელი წყება ნ. ბარათაშვილის ლირიკული ლექსებისა.

კრიტიკოსი, უპირველეს ყოვლისა, ახასიათებს ეკატერინე ჭავჭავაძეს. იგი წერს: „ეკატერინე ჭავჭავაძე იყო იმ ოჯახიდან, რომელსაც სამართლიანად უნდა მიეკუთვნოს სახელი – ქართული პოეზიის მუხათა სადგური.

ეკატერინე იყო ქალი განთქმული პოეტის – ალექსანდრე ჭავჭავაძისა. განგებათ ყველა საჩუქარი უხვად გაიმეტა ამ ქალისათვის. ეკატერინე ყოფილა განსაკუთრებული სილამაზისა, რომელზეც ალტაცებით მოგვითხრობენ თანამედროვენი, არტისტული განათლებით, ამასთან გონებამახვილი, თან მშვენიერი მომღერალი და დამკვრელი.

XIX საუკუნის II მეოთხედში ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის გარშემო იკრიბებოდა ქართული გონებრივი ელიტა. ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში ბრწყინავდა მისი ორი ქალი, ეკატერინე და უფროსი დაი ეკატერინესი – ნინო. აქვე ხშირად შეხვდებოდით მანანა ორბელიანს“¹.

პავლე ინგოროყვას თვალსაზრისით, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ეკატერინე ბავშვობიდანვე თანშეზრდილნი ყოფილან და წლოვანებითაც ტოლნი. ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მელიტონ ბარათაშვილის ოჯახებიც განსაკუთრებით დაახლოებულნი ყოფილან. ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი დიდად აფასებდა თბილისის ერთი უწარჩინებულესი ოჯახის შვილის – ნ. ბარათაშვილის პოეტურ ტა-

¹ პ. ინგოროყვა, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, თბ. 1975, გვ. 65–66

ლანტს. ბარათაშვილმა თავისი პოემა „ბედი ქართლისა“ პირველად ალ. ჭავჭავაძის სახლში წაიკითხა 1839 წელს. კერძოდ, ეკატერინე ნ. ბარათაშვილის პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა. შემდეგ კრიტიკოსი გადმოგვცემს, ნიკოლოზისა და ეკატერინეს ბავშვობისდროინდელი მეგობრული გრძნობა თუ როგორ გადაზრდილა დიდ სიყვარულში, გვისურათებს იმასაც, რომ თავისი ნების წინააღმდეგ, „ანგარიშის ქორწინებით“ (ეკატერინე დედოფალი ზდებოდა) თუ როგორ გაათხოვეს ეკატერინე სამეგრელოს უკანასკნელ მთავარ დავით დადიანზე და ეს გარეგნულად ბრწყინვალედ გადახდილი ქორწინება, სინამდვილეში ეკატერინესთვის არ ყოფილა ბედნიერების მომტანი. აღნიშნავს იმასაც, რომ დადიანზე დაქორწინების შემდეგაც, 1840-41 წლებში ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ეკატერინეს შორის განახლებულა მეგობრობა, რომელსაც უცნობი მიზეზით, მალე განხეთქილება მოჰყოლია.

პავლე ინგოროყვა გვაცნობს იმ ლექსებს, წერილებს და მათ ისტორიას, რომლებიც პოეტმა ეკატერინეს მიუძღვნა და რომლებშიც მათი „რომანის ისტორიაა დაშიფრული“. ეს ლექსებია: 1. „თავადის ჭ(ავჭავა)ძის ასულ ეკ(ატერი)ნას“ – 1839 წ.; 2. „საყურე“ – 1939 წ.; 3. „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“ – 1839 წ.; 4. „აღმოხდა მნათი“ – 1840 წ., „ცისა ფერს“, „სატრფოვ, მასხოვს“, 1840 წ., „სული ობოლი“, „არ უკიჟინო, სატრფოლო“, „მიყვარს თვალები“ და სხვ.

კრიტიკოსი ღრმად მიმოიხილავს აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის იმ პოეტურ მემკვიდრეობას, რომელშიც პოეტის საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეებია გადმოცემული; როგორიცაა: „საფლავი მეფის ირაკლისა“, „სუმბული და მწირი“, „ბედი ქართლისა“, „მერანი“. ხაზს უსვამს უკანასკნელი ლექსის ნათესაობას „ვეფხისტყაოსანთან“ და აღნიშნავს ამავე დროს, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა შემდეგდროინდელ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე (მოჰყავს პარალელები).

მკვლევარი მონოგრაფიაში ყურადღებას ამახვილებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფიულ ხელნაწერებსა და პოეტის ჩვენამდე არმოდწეულ თხზულებებზე, ბოლოს კი საუბრობს ნიკოლოზ ბარათაშვილის მძიმე ხვედრისა და ცხოვრების უკანასკნელ წლებზე.

პავლე ინგოროყვა დაასკვნის, რომ, „მართალია, ბევრი დაიკარგა და ჩვენამდე ვერ მოაღწია ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობიდან, მაგრამ ბარათაშვილის პოეზია ისევ დარჩა აღსავსე და უკლები; მისი პოეზიის სული დარჩა ისევ ძლიერად მოსილი. ბარათაშვილმა „მერანისა“ და „ბედი ქართლისა“-ს ავტორმა შეასრულა თავისი ხალხის წინაშე დიადი მისია... ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობა შევიდა ქართველი ერის გონებრივ სამკვიდრეებში, როგორც უძვირფასესი განძი“.

Pavle Ingorokva about Nikoloz Baratashvili

Pavle Ingorokva, an outstanding scientist, critic and public figure, wrote plenty of valuable works. Among them is a monography about Nikoloz Baratashvili, which was first published in 1938.

In the introduction Pavle Ingorokva remarks that Nikoloz Baratashvili holds an honourable place in centuries old history of Georgian Literature. He goes on to say that Baratashvili, a genius, a founder of new Georgian Literature, played an important role in Georgian people's social life. His masterpieces _ 'Bedi kartlisa' and 'merani' are milestones of Georgian national liberation movement of XIX century.

Pavle Ingorokva introduces us with poet's biography, family, genealogy, childhood, his first attempts in literature revealing some unfamiliar facts of his life. He puts a special emphasis on conspiracy of 1832 paying attention to how its members influenced on the formation of poets political and social attitudes.

The critic discusses the political and social situation of Georgia in the given period describing the conditions the poet had to live through as unbearable. Apart from this he shows Baratashvili's private life paying attention to Baratashvili and Ekaterine CHavchavadze's love story.

After that, he thoroughly discusses the poetic legacy of Baratashvili which airs poet's political and social views. Baratashvili had a huge influence on the next generation of public figures and writers while Nikoloz Baratashvili's works were affected by Shota Rustaveli's masterpiece 'The Knight in the Panther's Skin'.

The prominent scientist also represents Baratashvili's autobiographical manuscripts informig us about his lost works as well. In the end Ingorokva reveals facts about Baratashvili's tough fate and the last period of his life.

Pavle Ingorokva concludes that notwithstanding the fact that many of Baratashvili's works were lost, his poetry still remains to be complete and hiomnipotent. The author of '~bedi Kartlisa' and 'Merani' accomplished a great mission for his nation. His poetic work is a precious part of Georgian people's mental state.

მაია ნინიძე (თსუ შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი)
ვლადიმერ ჭელიძე (იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის
ფოლკლორის კვლევის ცენტრი)

პავლე ინგოროყვას ისტორიოგრაფიული კვლევების კვალდაკვალ

ქართული დამწერლობის განვითარების სისტემური კვლევის საფუძველზე წიგნში *ასომთავროლიდან პირველსახისკენ* (ნინიძე 2005: 39-40; ნინიძე 2007: 122-134) გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ თავდაპირველი ქართული გრაფემები თავგახსნილი იყო და მოგვიანებით მოხდა მათი ტრანსფორმირება (თავშეკვრა, სიმადლეში გათანაბრება) ბერძნული ანბანის მოდელზე (იხ. სქემა).

ⵏ (ა) ⵏ	ⵏ (რ) → ⵏ → ⵏ
ⵏ (ბ) → ⵏ → ⵏ	ⵏ (ს) → ⵏ → ⵏ
ⵏ (გ) → ⵏ → ⵏ	ⵏ (ტ) → ⵏ → ⵏ
ⵏ (დ) → ⵏ → ⵏ	ⵏ (ჯ) → ⵏ → ⵏ
ⵏ (ე) → ⵏ → ⵏ	ⵏ (ყ) → ⵏ → ⵏ
ⵏ (ვ) → ⵏ → ⵏ	ⵏ (ქ) - †
ⵏ (ზ) → ⵏ	ⵏ (ღ) → ⵏ
ⵏ (თ) → ⵏ	ⵏ (ყ) → ⵏ → ⵏ
ⵏ (ი) → ⵏ → ⵏ	ⵏ (შ) → ⵏ → ⵏ
ⵏ (კ) → ⵏ → ⵏ	ⵏ (ჩ) → ⵏ → ⵏ
ⵏ (ლ) → ⵏ → ⵏ	ⵏ (ც) → ⵏ → ⵏ → ⵏ
ⵏ (მ) → ⵏ → ⵏ	ⵏ (ძ) → ⵏ → ⵏ
ⵏ (ნ) → ⵏ → ⵏ	ⵏ (წ) → ⵏ → ⵏ → ⵏ
ⵏ (ო) → ⵏ → ⵏ	ⵏ (ჭ) → ⵏ → ⵏ → ⵏ → ⵏ
ⵏ (პ) → ⵏ → ⵏ → ⵏ → ⵏ	ⵏ (ხ) → ⵏ → ⵏ → ⵏ
ⵏ (ჟ) → ⵏ	ⵏ (ც) → ⵏ → ⵏ
ⵏ (რ) → ⵏ	ⵏ (ჭ) → ⵏ → ⵏ
ⵏ (ს) → ⵏ	
ⵏ (ტ) → ⵏ → ⵏ	

ნეკრესის, რუსთავისა და პალესტინის უახლესმა აღმოჩენებმა ნაწილობრივ დაადასტურა ეს ვარაუდი, მაგრამ, რამდენადაც მეცნიერთა აზრი ამ წარწერების დათარიღებასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარია, საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ ზემოხსენებული კონცეფცია გადაგვემოწმებინა ისეთ წარწერებთან მიმართებით,

რომელთა დათარიღებაც ეჭვს აღარ იწვევს.

2013 წელს გამოქვეყნდა იულონ გა-
გოშიძისა და სოსო მარგიშვილის ნაშრომი
„მეფე ფლავიოს დადეს ვინაობისთვის“, რო-
მელშიც გაანალიზებულია არმაზის საპიტი-
ასშო ნეკროპოლში (სამარხი №3) აღმოჩე-
ნილ ვერცხლის დიდ ლანგარზე გაკეთებული
ბერძნული წარწერა. სტატიაში ფუნდამენტუ-
რი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლე-
ვის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა:



...I საუკუნის 70-იან წლებში იბერთა მეფეს შეექმნა ისეთი პოლიტიკური
სიტუაცია... როდესაც იგი საჭიროდ ჩათვლიდა მისი თანამედროვე რომაე-
ლი იმპერატორის სახელის მიღებას... იმხანად იბერიის სამეფო ტახტზე
მჯდომმა მეფე მითრიდატე II-მ მიიღო კიდევ სახელი ფლავიუსი და ვესპა-
სიანე ფლავიუსის პატივსაცემად იწოდა ფლავიუს დადედ (გაგოშიძე, მარ-
გიშვილი 2013: 80).

იმის გამო, რომ უცნობია მითრიდატე II-ს მეფობის ზუსტი წლები, სტატიაში
ლანგარაც შესაბამისად მიახლოებით არის დათარიღებული არაუგვიანეს ახ. წ. I
საუკუნის 80-იანი წლებით (გაგოშიძე, მარგიშვილი 2013: 82). ვესპასიანეს მეფო-
ბის წლების (ახ. წ. 69-79 წწ.) და მცხეთასთან აღმოჩენილი ახ. წ. 75 წლით და-
თარიღებული წარწერის საფუძველზე, რომელშიც საუბარია ვესპასიანეს მიერ
იბერიის მეფისთვის დედაქალაქის გალავნის გამაგრებაზე, ჩვენ შევძელით, ლან-
გარზე გაკეთებული ბერძნული წარწერის თარიღის დაზუსტება. ვესპასიანეს 75
წლის წარწერაში იბერიის მეფე მოხსენიებულია მითრიდატედ და არა ფლავიოს
დადედ. მითრიდატეს რომ იმ დროს ფლავიუსების წოდება უკვე მიღებული ჰქონო-
და, ეს ფაქტი ბერძნულ ეპიგრაფიკულ ძეგლში ნამდვილად აისახებოდა. შესაბამი-
სად, ლანგარზე გაკეთებული წარწერა, რომლის მიხედვითაც მითრიდატე ფლავი-
ოს დადედ იხსენიება, 75 წლის წარწერაზე უფრო გვიანდელია, ხოლო რადგან
ვესპასიანემ ამის შემდეგ სულ ოთხი წელი იმეფა, ლანგარი შეგვიძლია დავათარი-
ლოთ ახ. წ. 75-79 წლებით.

არმაზის ლანგარის ბერძნული წარწერის შექმნის თარიღის დაზუსტებამ კი-
დეგ უფრო გაზარდა პავლე ინგოროყვას იმ სენსაციური აღმოჩენის მნიშვნელობა,

რომელიც ეხება ზემოხსენებული ვერცხლის ლანგრის კიდეებზე გაკეთებულ ბერძნულ წარწერაში მოხსენიებული პირის – ბერსუმ პიტიახშის ინიციალების შესატყვისი ქართული გრაფემების არსებობას ამავე ლანგრის ფსკერზე (ინგოროყვა 1941: 411-427).

ამ ნაშრომს სამ ათეულზე მეტი წლის შემდეგ გამოეხმაურა აკაკი ბაქრაძე. მის წერილში „მატიანის კვალდაკვალ“ ვკითხულობთ: „არმაზში ნაპოვნი წარწერების შესწავლა უნდა გავრძელდეს. კიდევ ბევრი ახალი აღმოჩენაა მოსალოდნელი... თავის დროზე არმაზის წარწერების ქართულად წაკითხვა სცადა პავლე ინგოროყვამ. საყურადღებო დასკვნებიც გააკეთა. მაგრამ მაშინ ამას არ მიექცა სათანადო ყურადღება. იქნებ პ. ინგოროყვას ცდას უფრო ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ?“ (ბაქრაძე 1977: 171-182). პავლე ინგოროყვას მიგნებების შესახებ დაიბეჭდა კიდევ ერთი გამოხმაურება (ჭელიძე 1980), რომელშიც აღნიშნულია ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც ამ მეცნიერის კვლევებს აქვს ქართული წერილობითი კულტურის ისტორიისათვის, 2013 წელს კი – თამაზ მჭედლიძემ წიგნში – „წარმართული ხანის ქართული წარწერები“, – პავლე ინგოროყვას მიერ აღმოჩენილ ლიგატურებს სათანადო ადგილი მიუჩინა ქართული დამწერლობის ძეგლების ქრონოლოგიურ რიგში (მჭედლიძე 2013).

ეს გამოხმაურებები მანც ძალიან ცოტაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეცნიერთა დიდ ნაწილს ქართული ანბანი კვლავ ქრისტიანულ ეპოქაში შექმნილად მიაჩნია. შესაბამისად, საჭიროდ ჩავთვალეთ, განგვეხილა დიდი მეცნიერის მიერ აღმოჩენილი ქართული ლიგატურები ზემოხსენებული მოდელის ფონზე.

ერთ-ერთ ლიგატურაში ბერსუმ პიტიახშის ინიციალების ამოკითხვა უდავოა. ასეთი „ბ“ და „პ“ გრაფემები გვხვდება არაერთ უძველეს ქართულ წარწერაში, მაგ. შეადარეთ ლიგატურის **ჟ** (ბ) ასეთივე კუთხოვანი ფორმის მქონე „ბ“ გრაფემებს ნეკრესის №9 და №10 წარწერიდან **ჟჟ** და **ჟ** (პ) დავათის სტელაზე გამოსახულ „პ“-ს **ჟ**.

რაც შეეხება მეორე ლიგატურას, საეჭვოდ მიგვაჩნდა მასში ასო „ქ“-ს ამოკითხვა და მისი დაკავშირება ქარძამ მეფის სახელთან. ამიტომ გადავწყვიტეთ ხელახლა შეგვესწავლა ეს მონოგრამა. ქართული ასომთავრული ასო „ქ“ არ დასტურდება არცერთ უძველეს წარწერაში, რომელიც აშკარად გამოხატული ქრისტიანული პერიოდისა არ არის. ისტორიულად ჩვენი მეზობელი ქვეყნების (სომხეთი, რუსეთი) ქრისტიანული ეპოქის ასომთავრულ დამწერლობებში იესო ქრისტეს ინიციალთან ასოცირებული გრაფემა ყველგან ჯვრის ფორმისაა და ეს ლოგიკურიცაა, მაგრამ არადაამაჯერებელია, რომ რომელიმე წარმართულ ანბანში

ჯვრის ფორმა ბუნებრივად დამთხვეოდა სწორედ „ქრისტეს“ ინიციალს.

იმ დასკვნამდე, რომ ლიგატურაში მოიაზრება „ქარძამი“ პავლე ინგოროყვა მის მიერ „ქ“-დ მიჩნეულმა გრაფემამ მიიყვანა (მისი მოსაზრებით ორივე ლიგატურა ერთად ასე იკითხება – „ბერსუმ პიტიახში ქარძამის ძეი“. რამდენადაც პირველი საუკუნის ლანგარზე ჯვრის ფორმის ასო „ქ“-ს არსებობა ეჭვქვეშ დადგა და თან ისტორიული წყაროებით ქარძამი მითრიდატე II-მდე საუკუნეზე მეტი ხნით ადრე – ძველი წელთაღრიცხვით I საუკუნის შუა წლებში მეფობდა (ჭელიძე 1999), საჭიროდ მივიჩნით ამ მოსაზრებაზე დამყარებული იმ დასკვნის გადამოწმებაც, რომელიც ქარძამს შეეხება.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ ვისი ინიციალები შეიძლება მოიაზრებოდეს მეორე მონოგრამაში.

ლანგრის ფსკერზე გამოსახული ორი ლიგატურა სრულიად განსხვავებული სტილით არის შესრულებული. ერთი რკალური მოყვანილობისაა, მეორე კი მართკუთხოვანი; ერთი უფრო გაკრული ხელით არის შესრულებული, მეორე კი – მკაფიოდ გამოხატული გეომეტრიული სიზუსტით. მათში გამოსახულ გრაფემათა ჰორიზონტალური ხაზები ერთმანეთის გასწვრივი არ არის და არც ვერტიკალური ხაზებია ერთმანეთის პარალელური. ეს გვაფიქრებინებს, რომ ლანგარზე აღბეჭდილი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხელით შესრულებული ორი გრაფიკული ნიშანი ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ.

მეორე ლიგატურის ამოკითხვაში დაგვეხმარა ლანგარზე გაკეთებული ბერძნული წარწერა: “შე მეფემან ფლავიოს დადემან უუძღვენ ბერსუმ პიტიახშს”. რადგანაც, გრაფიკული ნიშნების სტილისა და მათი სიბრტყეში განლაგების მიხედვით მივედით იმ დასკვნამდე, რომ ლიგატურები სხვადასხვა დროს არის შესრულებული, გაკვირვდა აზრი, რომ მეორე მონოგრამაში შეიძლებოდა ფლავიუს დადეს სახელი ყოფილიყო აღბეჭდილი. ბერძნული წარწერის შინაარსიდან გამომდინარე, იგი ბერსუმ პიტიახშის ლიგატურაზე უფრო ადრე იქნებოდა შესრულებული.

თუ ეს ლიგატურა ლანგრის ფსკერის ზედაპირზე გაკეთებული პირველი წარწერა იყო, იგი ნებისმიერი პოზიციიდან შეიძლებოდა გაკეთებულიყო. სწორედ ამ ვარაუდმა გვიკარნახა, რომ ლანგარი შემოგვეტრიალებინა და სხვადასხვა რაკურსით დაკვირვებოდა გრაფიკულ ნიშანს. რის შედეგადაც მივაგენით პოზიციას, რომლიდანაც ლიგატურამ მიიღო ასეთი სახე 𐌕 და ნათელი გახდა, რომ იგი

მართლაც ფლავიოს დადეს მონოგრამაა და იყოფა შემდეგნაირად: $\text{𐌕} \rightarrow \text{𐌕} \text{ } \text{𐌕}$

წიგნში ასომთავრულიდან პირველსახისკენ წარმოდგენილი მოდელის მიხედ-


ვით ასო „ფ“-ს თავდაპირველად ზემოთ აღმართული რკალისა და მისი ვერტიკალურად მკვეთი სწორი ხაზის ფორმა ჰქონდა და ასეთი ზემოთგახსნილი რკალით იგი გვხვდება VII საუკუნის ხანმეტ ლექციონარში ^ყ, ნახევრადგახსნილი კი – არაერთგან, მათ შორის, ნეკრესის №9 წარწერაშიც ^ყ, სადაც მარჯვენა ელემენტი ბოლომდე შეკრული არ არის, მარცხენას კი ზუსტად ისეთი მახვილკუთხოვანი ფორმა აქვს, როგორც არის არმაზის ლანგარზე. რაც შეეხება ასო „ღ“-ს, იმავე კონცეფციის მიხედვით, მას ჰორიზონტალურ ხაზზე ქვემოდან მიერთებული მარცხნივ გახსნილი რკალის სახე ჰქონდა, რაც უძველეს წარწერებში არაერთგან დასტურდება, მათ შორის, ნეკრესის იმავე (№9) წარწერაში ^ღ. როგორც ვხედავთ, ლიგატურის შემადგენელი გრაფემები რეალურად ემთხვევა ქართულს და ამოკითხული სახელიც – ფლაგიოს დადე ის პიროვნებაა, ვისი მონოგრამაც, ბერსუმ პიტიახშის დარად, ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი ამ ლანგარზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველი მონოგრამა გაკეთებულია იმ დროს, როდესაც ლანგარი ფლაგიოს დადეს ეკუთვნოდა, მეორე კი – მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც იგი ბერსუმ პიტიახშის მფლობელობაში გადავიდა.

არმაზის ლანგარის მსგავსად, ჭურჭლის ფსკერზე წრეში, ე. წ. მედალიონში, ჩასმული გრაფემები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აღმოჩენილ ბევრ სხვა ჭურჭელზე გვხვდება და უმთავრესად მათი მფლობელის ვინაობას გვიმხელს. მაგალითად, ძვ. წ. VIII საუკუნის ნესტორის თასზე, ძვ. წ. V საუკუნის ფიდაისის თასზე, ამავე პერიოდის ჭურჭელზე, სადაც ლიგატურა (დელტა და ეფსილონი) მიგვანიშნებს მის ხალხისადმი „დემოსისადმი“ კუთვნილებაზე, სემიბრატნის ყორღანში ნაპოვნ ძვ.წ. IV-III საუკუნეების და ტამანის ნახევარკუნძულზე ნაპოვნ ძვ. წ. III-II საუკუნეების თასებზე და სხვ.


გვხვდება ზუსტად არმაზის მსგავსი შემთხვევებიც, როცა ჭურჭელზე სხვადასხვა მფლობელთა ვინაობაა ამოკვეთილი. ქერჩში ნაპოვნ ახ. წ. III საუკუნის ვერცხლის ლანგარის შუაში მოთავსებულ წრეში აღბეჭდილია იმპერატორ ანტონინუს ინიციალები, ლანგარის უკანა მხარეს კი – მეფე რისკუპორიდ მესამისა (შავროვი 2009:31). მარკუს ავრელიუს ანტონინე კარაკალა რომის იმპერატორი იყო (211-217 წწ.), რისკუპორიდი კი – ბოსფორის მეფე (210-226 წწ.). რისკუპორიდიც, არმაზის წარწერაზე მოხსენიებული ფლაგიოს დადეს მსგავსად, თავის სახელს რომელი იმპერატორისას ამატებდა და იწოდებოდა „ტიბერიუს იულიუს რისკუპორიდად“, კეისრისა და რომაელთა მეგობრად. როგორც წარწერიდან ჩანს, ეს ლანგარი მას რომის იმპერატორმა უძღვნა. ამ ვერცხლის ლანგარზეც, არმაზის

ლანგრის მსგავსად, სხვადასხვა დროს მისი ორი მფლობელის სახელია აღბეჭდილი და მათგან ერთ-ერთი (რომის იმპერატორისა), ლიგატურის სახით არის წარმოდგენილი.

სხვადასხვა დროს სამი სხვადასხვა მფლობელის სახელია აღბეჭდილი 1962 წელს შვეიცარიაში, კაიზერაუგსტში აღმოჩენილი ვერცხლის საგანძურის ორი სხვადასხვა ლანგრის ფსკერზე, რომლებიც, მეცნიერთა აზრით, იმპერატორ ივლიანეს ეკუთვნოდა და ამ ტერიტორიაზე 361 წელს მისი ვიზიტის დროს უნდა დარჩენილიყო (გუგისბერგი 2003: 47, 171).




Handwritten annotations in Georgian script:
 1. ოქ
 2. 1962/1
 3. 190
 4. 15



ვერცხლის ლანგრებზე შესრულებული წარწერები არის როგორც ცენტრისკენ მიმართული, ისე ცენტრიდან გარეთ მიმართული, მაგ. კაიზერაუგსტის ერთ-ერთ თასზე აღბეჭდილი ინიციალი „რ“ მიმართულია გარედან ცენტრის-

კენ R (გუგისბერგი 2003: 65), ისევე, როგორც ფლავიუს დადეს მონოგრამა, მეორეზე აღბეჭდილი „მე“ კი, პირიქით ME ცენტრიდან გარეთ (გუგისბერგი 2003: 48), როგორც ბერსუმ პიტიახშისა. საგულისხმოა ისიც, რომ ლანგრებზე ახალი წარწერის გაკეთებისას იშვიათად აქცევენ ყურადღებას მის პოზიციურ მიმართებას წინა წარწერისადმი. იხ. მაგ. კაიზერაუგსტის კიდევ ერთი ვერცხლის ლანგრის ვრცელი წარწერა კიდის გაყოლებით და მფლობელის შემოკლებული სახელი „მარ“ (მეცნიერთა აზრით, „მარცელიანე“) შიდა ნაწილში (გუგისბერგი 2003: 53). ერთსა და იმავე ლანგარზე გაკეთებული ეს ორი წარწერა ცენტრის მიმართ სხვადასხვა რაკურსით არის გაკეთებული, ისევე, როგორც ფლავიოს დადესა და ბერსუმ პიტიახშის მონოგრამები.



იმისათვის, რომ უკეთ წარმოვიდგინოთ, რა საჭირო იყო ლანგარზე მიძღვნის ტექსტის აღბეჭდვა ან მფლობელთა მონოგრამების გაკეთება, თვალი გადავაკვლოთ ისტორიას. არქეოლოგ ლევ კლიენის მტკიცებით:

ვერცხლის ჭურჭელი (განსაკუთრებით, მედალიონებიანი) რომის გარშემო მდებარე წარმართული ქვეყნების მმართველთა წრეში სამეფო ყოფისა და საერთაშორისო ურთიერთობების ელემენტი იყო (კლიენი 1979: 217).


ყუბანში ნაპოვნ ძვ. წ. V-IV საუკუნეების ვერცხლის თასზე გაკეთებულია წარწერა: „მე ვეკუთვნი ფაზისის მმართველს – აპოლონს“, სოკთან ნაპოვნ ახ. წ. III საუკუნის ვერცხლის ლანგარს კი აწერია მისი წინა მფლობელის ვინაობა: „წინათ ეკუთვნოდა ქერმანის მეფე ვარახრანს“. როგორც ვხედავთ, ისტორიული ტრადიცია და სხვადასხვა ქვეყნების არქეოლოგიური მონაპოვარი ადასტურებს იმის შესაძლებლობას, რომ არმაზის ლანგარზე წარმოდგენილი ორი ლიგატურა მისი პირველი და მეორე მფლობელის – ფლავიოს დადესა და ბერსუმ პიტიახშის ინიციალებს წარმოადგენდეს.

არმაზის ლანგართან მჭიდრო კავშირშია იმავე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ე.

წ. შარაგასის/ჩარგასის სტელა, რომელზე ამოკვეთილი ლიგატურაც [↖] ზემოხსენებულ ნაშრომშივე ჰქონდა განხილული პავლე ინგოროყვას და კითხულობდა სახელს „ჭევახოს“. ჩვენი აზრით, ამ სტელაზე ნამდვილად არის ქართული ასომთავრულით შესრულებული ინიციალები „ჭ“ და „ს“, მაგრამ ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება, რომ ეს პიტიახშის მამის სახელი იყოს. ვიზიარებთ მეცნიერის აზრს, რომ პიტიახშის არამეულად დაქარაგმებული სახელი ქართულად შეიძლება ყოფილიყო „ჭარგას“ და არა „შარგას“. სახელი „შარგას“ ქართულ დოკუმენტურ წყაროებში არსად არ გვხვდება, „ჭარგასის“ მოდიფიცირებული ფორმა „ჩარგასი“ კი ჩვენს დრომდეა გავრცელებული საქართველოს მთიანეთში. გალაკტიონ ტაბიძეს პიესის ერთ-ერთ პერსონაჟადაც კი ჰყავს გამოყვანილი. საყურადღებოა, რომ გვაქვს ამ ფუძიდან წარმოებული გვარიც – „ჩარგაზია“.

განსაკუთრებით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ, ლიგატურის გარდა, „ჭარგასის“ სახელის ინიციალი აღბეჭდილია ქვასვეტის სხვა მონაკვეთშიც – მონოგრამის აღსაბეჭდად ზუსტად შესაფერის ადგილას – სტელის მარჯვენა ფრთის ზედა ნაწილში, რომლის პარალელური მეორე ნაწილიც ჩამოტყვერეულია. ვფიქრობთ, მარცხენა ფრთის იმავე ადგილას შეიძლება აღბეჭდილი ყოფილიყო სიტყვა „პიტიახშის“ საწყისი ასო – „პ“.

პავლე ინგოროეცას მოსაზრება, რომ სტელის დაზიანების შემდეგ ვენზელის დასაწყისში მასზე შემორჩენილი ვერტიკალური ხაზი არის მფლობელობის აღმნიშვნელი ნიშნის ⁴ ნაშთი, უფრო ვარაუდის დონეზე იყო გამოთქმული, ვიდრე მტკიცებულებისა, რადგან სტელაზე ამ ვერტიკალური ხაზის ზემოთ



ქვა მთლიანად ჩამოტეხილია და დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, იყო იქ წარწერის გაგრძელება, თუ არა. ჩვენი აზრით, ეს ვერტიკალური ხაზი უნდა იყოს ლიგატურაში შემავალი გრაფემის ნაწილი და არა ცალკე სიმბოლო. სახელის „ჭარგას“ წინ, ლოგიკურად, უნდა ყოფილიყო სიტყვა „პიტიასში“ ან „ქართლის პიტიასში“.

საგულისხმოა, რომ ლიგატურის საწყისი ელემენტი ⁵ წიგნში *ასომთავრულიდან პირველ სახისკენ* წარმოდგენილი კონცეფციის მიხედვით, ემთხვევა გრაფემა „ქ“-ს (ნინიძე: 36) და მარცხნივ 90-გრადუსიანი შემობრუნებით, გრაფემა „პ“-ს

⁶ ეს სწორედ ის ორი ასო-ნიშანია, რომლებიც სავარაუდო იყო ჭარგასის სახელის წინ – ინიციალები სიტყვებისა „ქართლის პიტიასში“. მართალია, ქართული დამწერლობის ხსენებულ მოდელში წარმოდგენილი „ქ“ გრაფემის ასეთი ფორმა ჯერჯერობით არცერთ სხვა წარწერაში არ არის ამოკითხული, მაგრამ, რაც შეეხება „პ“-ს, ეს მოხაზულობა ქართული ასომთავრულისთვის საკვებით ტიპიურია. შესაბამისად, ჩვენი აზრით, პიტიასშის სტელის ვენზელი უნდა გაი-

შიფროს ასე: „ქართლისა პიტიასში ჭარგას“ ⁷ ან „პიტიასში ჭარ-

გას“ ⁸ იმ ფაქტს, რომ ქართულ დამწერლობაში ლიგატურები ადრეული პერიოდიდანვე გამოიყენებოდა, ადასტურებს სასანური პერიოდის, კერძოდ VI

საუკუნის, ფულზე აღბეჭდილი ლიგატურა – ⁹, რომელიც იშლება ასომთავრულ გრაფემებად „გ“ და „ნ“ – ¹⁰. ლიგატურისთვის საკვებით ბუნებრივია, ასოს გადახრაც და ისიც, რომ მისი გარკვეული ელემენტები საზიარო იყოს რამდენიმე გრაფემისთვის. რაც შეეხება სტელის მარჯვენა ფრთის თავში აღბეჭდილი

„ჭ“-ს – ¹¹, იგი საკვებით შეესაბამება ამ გრაფემის გავრცელებულ ფორმას. იხ. მაგ. ნეკრესის №6 წარწერა – ¹².

ბერსუმ პიტიასშის მონოგრამაში ჯერ იკითხება სახელი (ბერსუმ) და შემდეგ მისი თანამდებობა (პიტიასში). რამდენად მოსალოდნელია, რომ დაახლოებით იმა-

ვე პერიოდის არმაზის სტელის ქართულ მონოგრამაში ჭარგას პიტიანში მოხსენიებული იყოს ჯერ თანამდებობით „პიტიანში“ ან „ქართლისა პიტიანში“ და შემდეგ სახელით „ჭარგას“? ამის გადამოწმების ერთადერთი გზა უძველესი ქართული წერილობითი ტექსტებია. „ქართლის ცხოვრებასა“ და „მოქცევა ქართლისა“ -ში თანამდებობისა და სახელის კომპლექსებში სიტყვათა თანმიმდევრობა გვხვდება ორივენაირი წყობით. იხ. მაგალითები, სადაც თანამდებობას მოსდევს სახელი: „და მისა შემდგომად მეფობდა მირდატ. და ესე წარიყვანა პიტიანშმან ვარაშ ბაღდადს და მუნ მოკუდა“; „ვითარ-იგი შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატ სპარსთა წყობასა შინა“; «სპასპეტი სუმბატ ბივრიტიანი“; „მოკუდა მეფე მირდატ და დარჩა ვახტანგ შვიდისა წლისა ყრმაი“ აგიოგრაფიაში გვხვდება ასეთი წყობის ფრაზაც – „ქართლისა პიტიანში“ (მარტ ლობა : 1) შესაბამისად, წყობა – „პიტიანში ჭარგას“ ან „ქართლისა პიტიანში ჭარგას“ სრულიად ბუნებრივია ძველი ქართული წერილობითი წყაროებისათვის.

არმაზის სტელაზე აღბეჭდილ არამეულ წარწერაში ჭარგასი მოხსენიებულია ფარსმან დიდის ძის – მითრიდატეს პიტიანში. მკვლევართა ვარაუდით ეს იგივე მითრიდატეა, რომელსაც 75 წელს რომის იმპერატორმა დედაქალაქის გალაზნის კედლები გაუმაგრა (ჩხარტიშვილი 2009: 42, გაგოშიძე, მარგიშვილი 2013: 80) და, შესაბამისად, იგი იბერიის ის მეფეა, რომელიც მოგვიანებით ფლავიოს დადედ იწოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 75 წლის წარწერის მსგავსად, ჭარგასის სტელის წარწერის შესრულების დროსაც მითრიდატეს ფლავიუსების სახელი ჯერ მიღებული არა აქვს, შესაბამისად, ისიც არმაზის ლანგრის წარწერაზე უფრო ადრეულია. რაც შეეხება ამ ორი ეპიგრაფიკული ძეგლის ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, 75 წლის წარწერის მიხედვით მითრიდატე უკვე რომის იმპერატორ ვესპასიანეს მოკავშირეა, ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭარგასის სტელაზე გაკეთებულია მხოლოდ არამეული და არა ბერძნული წარწერა, რომთან სიახლოვე მინიშნებითაც კი არ ჩანს და ნახსენებია იბერთა ბრძოლები და მომიჯნავე ტერიტორიების დაპყრობა, რაც რომისთვის მისაღები არ იყო, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჭარგასის სტელის არამეულენოვანი წარწერა 75 წლისაზე უფრო ადრინდელია და შეიქმნა ახ. წ. 75 წლამდე.

როდესაც ვდგავართ ფაქტის წინაშე, რომ ერთ კონკრეტულ ლოკალურ ტერიტორიაზე ნაპოვნ პირველი საუკუნის ძეგლებზე ამოკვეთილი შვიდი ინიციალი არ ემთხვევა საქართველოში იმ დროისათვის გავრცელებული არცერთი უცხოური დამწერლობის (ბერძნული, არამეული/ფალაური) ასო-ნიშნებს და ემთხვევა იმ მოხაზულობებს, რომლებიც შეესატყვისება ფლავიოს დადეს, ბერძნულ პიტიანშია და პიტიანში ჭარგას-ის ქართულ მონოგრამებს, ეს დადასტურება იმისა, რომ აღ-

ნიშნული გრაფემები ქართულია.

ქართული დამწერლობის ქრისტიანობამდელ ეპოქაში შექმნის თეორიის აღიარებას ხელს უშლიდა ის ფაქტი, რომ უძველესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, წარმოდგენილია ლიგატურებისა და ცალკეული გრაფემების, და არა ნარატიული ტექსტის სახით, მაგრამ ამის გამო მათ ისტორიულ ღირებულებაზე უარის თქმა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. მეცნიერთა დიდი ნაწილის მიერ არადამაჯერებლად აღიქმებოდა ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნით დათარიღებულ არეშის დერგზე და ვანის წითელკეციან ჭურჭელზე ერთნაირი მოხაზულობის ნიშანი ქართული გრაფემა „ჩ“-ა გამოსახული, მაგრამ რუსთავის №2, 3 და ნეკრესის №1, 10 წარწერების ასომთავრულით შესრულებული ტექსტების ბოლოს ზუსტად იმავე გრაფიკული ნიშნის დადასტურებამ (ნინიძე 2015) საბოლოოდ დაამტკიცა, რომ პირველი საუკუნით დათარიღებულ ზემოხსენებულ ორ ძეგლზე გამოსახული ერთი და იგივე გრაფემაც ქართულია. ყველა ეს მაგალითი, ადრეული ეპიგრაფიკული ძეგლების სიმწირისა და სპეციფიკურობის პირობებშია, გვაძლევს საშუალებას დავადასტუროთ, რომ ქართული დამწერლობა ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში უკვე არსებობდა.

ამდენად, სწორედ პიტიანში ჭარგასის (დათარიღებული ახ. წ. 75 წლამდე, ხანმოკლე პერიოდში), ფლავიოს დაღესა და ბერსუმ პიტიანში (დათარიღებული ახ. წ. 75-79 წწ.) არმაზული ლიგატურებით იწყება ქართული წერილობითი კულტურის დოკუმენტური ისტორია.

შენიშვნები

სტატიაში გამოყენებულია თამაზ მჭედლიძის ბლოგზე <http://asomtavruli.blogspot.com/> განთავსებული გრაფიკული მასალა.

დამოწმებანი

ბაქრაძე 1977: ა. ბაქრაძე, *მატიანის კვალდაკვალ*, კრიტიკული გულანი, თბილისი, 1977.

გაგოშიძე, მარგიშვილი 2013: ი. გაგოშიძე, ს. მარგიშვილი, მეფე ფლავიოს დადის ვინაობისთვის, იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, 9, 2013.

გუგისბერგი 2003: *Der spatromische Silberschatz von Kaiseraugs*, He-

rausgegeben von Martin A. Guggisberg. Unter Mitarbeit von Annemarie Kaufmann-Heinimann, Römerstadt Augusta Raurica, Augst 2003

ინგოროყვა 1941: პ. ინგოროყვა, *ქართული დამწერლობის ძეგლები ანტიკური ხანისა* [აღმოჩენილი მცხეთა-არმაზში არქეოლოგიური გათხრების დროს 1940 წელს], ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის (ენიმკის) მოამბე. - თბილისი, 1941, ტ.10.

კლეინი 1979: Л. Клейн, *О характере римского импорта в богатых курганах сарматского времени на Дону*, Научные ведомости Белгородского государственного университета. «Античный мир и археология». Вып. 4. Саратов, 1979.

მარტ ლობა : მარტ ლობა და მოთმინება წმიდისა ევსტათი მცხეთელისა <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/texte/etcs/cauc/age-o/gh/gh1/gh1.htm?gh1023.htm>

მჭედლიძე 2013: თ. მჭედლიძე, *წარმართული ხანის ქართული წარწერები*, ფულდა, 2013.

ნინიძე 2005: მ. ნინიძე, *ასომთავრულიდან პირველსახისკენ*, 2005.

ნინიძე 2007: M. Ninidze, *A New Point of View on the Origin of the Georgian Alphabet*, The Kartvelologist _ Journal of Georgian Studies, №14, 2007. <http://www.litinfo.ge/volume-2/14%20dek.%20ingl%20anb.pdf>

ნინიძე 2015: მ. ნინიძე, *ნეკრესისა და რუსთავის პალეოგრაფიული ძეგლების დათარიღება და ქართული ანბანის შექმნის ხანა*, ქართული წყაროთმოდინება, XVII, 2015.

შავროვი 2009: О. Шавров, *Серебрянное блюдо с монограммой из погребения с золотой маской в Керчи*, Научные ведомости №1(56), 2009.

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი, *სახეები საქართველოს წარსულიდან*, გამომც. უნივერსალი, თბილისი, 2009.

ჭელიძე 1980: ვლ. ჭელიძე, *საიდან დაეწყოთ? სახალხო განათლება*, თბილისი, 1980, 12 ნომბერი.

ჭელიძე 1999: ვლ. ჭელიძე, *ლეონტი მროველის მეფეთა ცხოვრება და უცხოური საისტორიო გადმოცემები*, ლიტერატურული ძიებანი, XX, 1999.

Mariam (Maia) Ninidze, Vladimer Chelidze
Model of Georgian Alphabet and I Century A.D. Georgian Inscriptions
(In the Footsteps of Pavle Ingorokva's Historiographic Researches)

More than a hundred years ago, when scientists began fundamental paleographic investigation of the Georgian Alphabet, the most ancient scripts known to them were written with capital letters (*Asomtavruli*) and dated around the 5-th century and later. The oldest of those inscriptions had letters with circular elements while the others (with later dates) had arc-shaped forms instead of the circular. Scientists generalized the data and worked out the principle of dating – if the letters of the inscriptions instead of circular forms have arc-shaped ones, they should be dated later than V-VI centuries. The book *From Georgian Capital Alphabet to its Origins* suggests different vision, according to which the origin of Georgian graphemes had arc-shaped forms but the alphabet was reformed according to Greek letters and the forms were replaced by circular and angular ones. Therefore the old principle, worked out by the Georgian paleographers, if not revised, may cause dating of all newfound old inscriptions with much later dates than they really belong to. Pavle Ingorokva considered that on the I century large silver dish and stele found in Armazi necropolis, besides Greek and Aramaic narrative inscriptions, are some Georgian ligatures, representing initial letters of the personal names mentioned in the narrative foreign texts. We specified some details, added several arguments and came to the conclusion that these are Georgian letters the forms of which correspond to the model given in the above mentioned book and they represent monograms of **Flavios Dade** (Mitridat II), **Bersoumas Pitiax** and **Pitiax Chargas**.



ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი

ლადო ჭელიძე (იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი,
ფოლკლორის კვლევის ცენტრი)

შოთა რუსთაველი იერუსალიმში

(პავლე ინგოროყვას „რუსთველიანას“ კვალდაკვალ)

ქართულ საისტორიო თხზულებათა კრებული „ქართლის ცხოვრება“ ქრონოლოგიური და გენეალოგიური თანმიმდევრობით მოგვითხრობს ჩვენი ქვეყნის ისტორიას. ამ კრებულში შესული თანადროული ეპოქის წერილობით ძეგლებში წარმოდგენილ მეფეთა და ერისთავთა შორის მკვლევრები გულდასმით ცდილობენ მოიძიონ ისტორიული პირი, რომელმაც შექმნა პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

ცნობილი ქართველი მეცნიერი და იშვიათი გამჭვიანობის მქონე მკვლევარი, გამოჩენილი რუსთველოლოგი **პავლე ინგოროყვა** მნიშვნელოვანი, საინტერესო და საგულისხმო მიგნება-დაკვირვებების საფუძველზე გენიალური ქართული პოემის – „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელს – შოთა რუსთაველს ჟამთააღმწერლად წოდებული უცნობი ავტორის საისტორიო თხზულების – „ასწლოვანი მატიანის“ რამდენიმე ეპიზოდში მოხსენიებულ ჰერეთის ერისთავთან – შოთა კუპართან აიგივებდა (ინგოროყვა 2016 (I): 167-232; ინგოროყვა 2016 (II): 170-497; ინგოროყვა 2016 (III):73-174). პავლე ინგოროყვამ პირველად თავის მონოგრაფიულ ნაშრომში – „რუსთველიანი“ – გამოთქვა აღნიშნული მოსაზრება, რომ ჰერეთის ერისთავი შოთა კუპარი უნდა იყოს შოთა რუსთაველი, რაც რუსთველოლოგთა შორის მეტწილად არ არის მიღებული და ფართოდ გავრცელებული შეხედულება.

შოთა რუსთაველის ვინაობის დასადგენად „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის ბოლო სტროფში არსებული რეალიების წარმოჩენა და გათვალისწინება მიზანშეწონილი („ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა, აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა, დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშვრომელსა, ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-მეუშრომელსა“ – 1662). აღნიშნული სტროფი, საგარაუდოდ, რუსთაველს არ ეკუთვნის და უფრო გამგრძობლების მიერაა დამატებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მასში დაცული ეს მონაცემები თავისთავად განსაკუთრებულ ნდობას მაინც იმსახურებს, რადგანაც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით კარგადაა ცნობილი შავთელი და სარგის თმოგველი, მინიშნებულია ასევე მათი მოღვაწეობის ხანა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გადმოგვცემს: „შავთელი – ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამოთქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული“. „ასწლოვანი მატიანი“ კი გვაუწყებს:

„თმოგუელი სარგის – კაცი სწავლული და ფილასოფოსი და მრავალღონე“. სარგის თმოგველს „მრავალღონება“ უწევდა თამარ მეფის ასულის – რუსუდანიას (1223-1245 წწ.) და მისი ძმისწულის – დავით ულუს (1247-1270 წწ.) მეფობათა პერიოდში. საგულისხმოა, რომ ის მეტად გამორჩეულ და აქტიურ სახელმწიფო მოღვაწეობას ეწეოდა.

დიდად მნიშვნელოვანია, რომ „ასწლოვან მატთანეში“ სარგის თმოგველთან ერთად შოთა კუპარი მოხსენიებულია იმ ქართველ წარჩინებულთა შორის, რომელთაც 1245 წელს მიიღეს უშუალო და განსაკუთრებული მონაწილეობა მონღოლთა წინააღმდეგ მოწყობილ ჯავახეთის, კერძოდ, კონსტანტინის შეთქმულებაში („ამათ შფოთთა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კონსტანტინსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპარი შოთა, თორღაი, ჰერ-კახნი, ქართუელნი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგუელი“ – „ქართლის ცხოვრება“, 2008: 566). დიდ ყურადღებას უდავოდ იქცევს ის გარემოება, რომ ჰერეთის ერისთავი შოთა, როგორც საქართველოს სამეფოს წარჩინებულთა ერთ-ერთი ღირსეული და აქტიური წარმომადგენელი, სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესებში არაერთგზის იღებდა მონაწილეობას.

კორნელი კეკელიძე პავლე ინგოროყვას აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებდა, მაგრამ, ამავე დროს, პოემაში თავის მიერვე მოდიებული ისტორიული რეალობის გათვალისწინებით მიიჩნევდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“, კერძოდ, უნდა შექმნილიყო მონღოლთა ეპოქაში (კეკელიძე 1973: 51-82). აღსანიშნავია ის, რომ მიუხედავად ამ ორი დიდი მეცნიერის პოზიციათა შორის არსებული სხვადასხვაობისა, მათ შეხედულებებში საინტერესო დამთხვევებიც გვხვდება, რადგანაც შოთა კუპარი ამავე ხანაში მოღვაწეობს. აღნიშნულ თვალსაზრისთა კორექტირებით დასმული პრობლემის გაერთმნისწილად ლოგიკურია, რისთვისაც აუცილებელია ახალი მონაცემების მოძიება.

პოემაში მხატვრულად განზოგადებული და ალეგორიულად (ანუ „შეფარვით“) ასახულია არა მხოლოდ თამარის მეფობის, არამედ, როგორც ჩანს, მომდევნო ეპოქის მოვლენებიც. „ასწლოვანი მატანის“ ავტორი ჰერეთის ერისთავის – შოთა კუპარის შესახებ წერს: „მანისა ფერობისათვის კუპრობით უხმობდნენ“². ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა³. აღნიშნული ეპოქის (XI-XIII სს.) ძველ ქართულ სალიტერატურო პროცესში დამკვიდრებული ელინოფილური სამწერლო ტრადიციიდან გამომდინარე, აქ პირველი სიტყვა („მანისა“) უნდა იყოს ბერძნული წარმომავლობის ტერმინი მ ა ნ ა (μανία - „გიჟი“, „ვენებაპორეული“; „ვენება“, „სიგიჟე“, „მისწრაფება“), რომელსაც, რო-

გორც მეტაფორას, აქვს მნიშვნელობა – „ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი“. ბერძნული ტერმინი $\mu\alpha\nu\alpha$ ძველ ქართულში შეესაბამება სიტყვას ხელი („გიჟი“, „შმაგი“). შესაბამისად, „მანისა ფერობისათვის“ გადატანითი მნიშვნელობისაა („ხელისა ფერობისათვის“, „ხელობისათვის“, „შმაგობისათვის“). ამ ტერმინის მნიშვნელობა აშკარად ვლინდება რუსთაველის პოემის პროლოგში: „ჩემმან ხელმქმნელმან დამმართოს, ლაღმან და ლამაზმან ნები“. მსგავსი კონტექსტისაა ეს სტრიქონებიც: „მე, რუსთველი ხ ე ლ ობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი: ვის ჰპორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ...“).

როგორც ჩანს, პოეტი, კერძოდ, ტარიელს გულისხმობს, რადგან პროლოგის ამ ნაწილში ავტორი უშუალოდ მიმართავს პოემის მთავარ გმირს და მას არაერთხელ ასხენებს: „მით შევეწვივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება“ (6); „მო, დავსნდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის არ-შეშრობილი“ (7). საგარაულოდ, ცნობილი სტროფის ბოლო სტრიქონშიაც ავტორი პოემის სწორედ ამავე მთავარ პერსონაჟს გულისხმობს და არა თამარ მეფეს („მისი სახელი შეფარვით ქვემოთ მითქვამს, მიქია“ – 19, 4).

როგორც ცნობილია, შოთა რუსთაველის ეპიკური ნაწარმოების ორიგინალური სათაური („ვეფხისტყაოსანი“) მეტაფორული მნიშვნელობისაა, რომლის პოეტური გააზრებაც ემყარება პოემაში გადმოცემულ რომანტიკულ ეპიზოდს, როცა მეფესა და დედოფალთან გამართული თათბირის შემდეგ ტარიელი ნესტან-დარეჯანს შეხვდება („ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხეხუელი, არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული“ – 522, 1-2). ელგუჯა ხინთიბიძე აღნიშნავს, რომ სიტყვა „ვეფხვი“ თავისთავად მხატვრული სახეა, რომელიც ლექსში მიუთითებს შეყვარებულ მთავარ წყვილზე“, რაც აღნიშნულ ეპიზოდში მეტაფორულად წარმოაჩენს ბიბლიური ედემის სიმბოლიკას („ჰგვანდა ... ხე ალვა, ედემს ხებული“). ამგვარი პოეტური კონტექსტი მთლიანად გამორიცხავს სპარსულიდან თარგმნის ჰიპოთეტურ ვარაუდს. მაკა ელბაქიძე მიუთითებს, რომ „როგორც „ვეფხისტყაოსნში“, ასევე ევროპული რაინდული რომანების ავტორთა შორის, ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, სივრცით-დროითი პარადიგმა მჭიდრო კავშირშია კონკრეტულ პერსონაჟთან და დამოკიდებულია მის ქცევასა და ხასიათზე“.

ტარიელი მიჯნურის გამო ვეფხვის ტყავის მატარებელი მოყმე ანუ ვეფხისტყაოსანია („რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისხავს, ამაღ მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს – 657, 1-2). მეტაფორულად მსგავსი კონტექსტის მქონე პარალელ-ანალოგები ვლინდება რუსთაველის პოემის პროლოგის პოეტურ სტრიქონებში: „მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი: ვის ჰპორჩი-

ლობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი, დაუძღურდი, მიჯნურ-
თათვის კვლა წამალი არსით არი, ანუ მომცეს განკურნება“ (8, 1-4). ამასვე მია-
ნიშნებს სხვა სტრიქონი: „მიჯნური შმაგსა გვიქვიან ...“ (22, 1).

აღნიშნული მეტაფორული პარალელები ახლებურად გააზრებულ, არგუმენ-
ტირებულ და მყარ საფუძველს უქმნის პავლე ინგოროყვას მოსაზრებას შოთა ჰე-
რეთის ერისთავისა და შოთა რუსთაველის იგივეობის შესახებ.

პოემის პროლოგში გადმოცემულია მხატვრულ-შემეცნებითი პრიორიტეტები.
კერძოდ, ამ ეპიკური ნაწარმოებისათვის არსებითია სიბრძნისმეტყველება („ში-
რობა პირველადვე სიბრძნისა ერთი დარგი“ – 12, 1; „ვთქვენ ხელობანი ქვენანი,
რომელნი ხორცთა ჰხვდებიან“ – 21, 3) ჟამთააღმწერლისათვის მსოფლმხედვე-
ლობრივად მიუღებელია ამგვარი პოზიცია, რადგან ის ნაკლებად თანხვდება
ღვთისმეტყველების ჭეშმარიტ არსს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საგუ-
ლისხმოა პოემის სხვა „საჭოჭმანები“ მხატვრულ-შემოქმედებითი კრიტიერიუმე-
ბის მოძიება, რაზედაც ძირითადი აქცენტებია ეპიკურ პოეტურ ნაწარმოებში გადა-
ტანილი („ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები. ვით მარგალიტი ობო-
ლი, ხელის-ხელ საგომანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭ-
მანები, ჩემძან ხელ-მქმნელძან დამმართოს ლაღძან და ლამაზძან ნები“ – 9).

გარდა ამისა, არსებითი მნიშვნელობა აქვს ასევე სპარსული ამბის („ესე ამბავი
სპარსული“) მეტად მწვავე და საკამათო საკითხის გარკვევას. „ქართლის ცხოვ-
რების“ ქართულ ისტორიულ თხზულებებში ტერმინები „სპარსელი“ და „სპარსე-
თი“, სპარსელებისა და სპარსეთის გარდა, იგულისხმება, კერძოდ, თურქები, ასევე
კავკასიელი ალბანელები, რომელიც ცხოვრობდნენ საქართველოს აღმოსავლეთით
(ჭელიძე 2020, 89).

უნდა ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სპარსული ამბავი ერთგვარი მხატ-
ვრულ-პოეტური ფიქციაა, რასაც ადასტურებს რუსთაველოლოგთა არაერთი
კვლევა (ხინთიბიძე 2018, 47-50).

რაც შეეხება ტერმინს „ნათარგმანები“, უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ
მწერლობაში „თარგმანი“ და „თარგმანება“ ნიშნავს არა მხოლოდ „თარგმანს“,
არამედ ასევე „განმარტებას“, „კომენტარს“, „ინტერპრეტაციას“ და სხვა: „ჩუენ
სხუათა მახარებელთა თარგმანებასა შინა (=განმარტებაში) გ თქუამს უვრცელე-
სადრე“ (ბულგარელი 2013; 126); „გ თქუამს ამისთ ს თარგმანებასა შინა (=გან-
მარტებაში) მატეთესა“ (ბულგარელი 2013; 416); „ანდრია ს მთავარებისკობოსი-
სა კესარია-კაბადო კიელისა თარგმანება (=განმარტება) გამოცხადებისა წმი-
დისა იოვა ნე მახარებელისა“ (იმნაიშვილი: 376); „წიგნი, რომელ არს თარგმანე-
ბა (=განმარტება) ფსალმუნთა“ (თვალთვაძე 2009: 3); „სამოციქულო სა სიტ-

სა თარგმანება (=განმარტება) – იოანე ოქროპირისა“ (თვალთვაძე 2009: 3); „ყოველთა ძუ ლთა და ახალთა წიგნთა თარგმანებანი (=განმარტებანი) აღუწერიან“ (თვალთვაძე 2009: 3); „თარგმანება (=განმარტება) ძუ ლისა შჯულისა წიგნთა“ (Esbroeck 1984: 11).

ტერმინი „ვპოვე“ ძველ ქართულ ლიტერატურაში, კერძოდ, საისტორიო პროზაში (ლენტი მროველითან) ამგვარად განისაზღვრება – „მე გადმოვეცი//გამოვხატე//გამოვიგონე//შევექმენი“. სწორედ ეს მეტაფორული ცნებები უნდა იყოს გათვალისწინებული პოემაში აღნიშნული სიტყვის განმარტების შემთხვევაში.

მხატვრული გამონაგონის გადმოცემისა და ალევორიულ-ნართაული საშუალებებით ამბის ასახვის პრინციპია (ლიტერატურული ფიქცია) რუსთაველისათვის ნიშანდობლივი, რაზედაც პოეტი პირდაპირ მიუთითებს: „მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“ – 19, 4) ჟამთააღმწერლისათვის კი შემოქმედებითი და შექმენებითი პრიორიტეტი „ჭეშმარიტების მეტყველება არს და არა თვალახმა ვისთვისმე“⁵. შესაბამისად, ფრაზის „მანის ფერობისათ ს“ მოცემულ პარალელურად შედარება აჩვენებს, რომ ეს ალევორიული ანუ არაპირდაპირი მინიშნებაა შოთა რუსთაველზე, როგორც პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზე. ალევორიულ მნიშვნელობას იძენს მომღვენო ფრაზაც „კუპრობით უკმობდეს“. ალექსანდრე ელერდაშვილი მიიჩნევს, რომ „კუპარი“ მომდინარეობს არაბული სიტყვიდან „ქოფერ“ – ურჯულო, ურწმუნო (Kofer [كفر] – ურწმუნობა, Kafer [كافر] – ურჯულო, ურწმუნო), „თავისუფლად მოაზროვნე“. შალვა წიწუაშვილი მიუთითებს, რომ ებრაული სიტყვაც קופר „ქუფერ“ ნიშნავს – ურწმუნოს ან თავისუფლად მოაზროვნეს. სარა ნემერის დაკვირვებით სემიტური (კერძოდ, არაბულ-ებრაული) წარმომავლობის ეს სიტყვა „კუპარი“/„ქუფარი“ ამავე მნიშვნელობით ფართოდაა გავრცელებული ნახურ-დაღესტნურ ენებში.

„ქართლის ცხოვრების“ ინგლისურ და რუსულ გამოცემებში აღნიშნული ტექსტი ამგვარად არის თარგმნილი: «Who was called K’up’ari because of his swarthinness»; «Кого из-за смуглости именовали Купари». უნდა ითქვას, რომ „მანის ფერობისათ ს“ თარგმნა «of his swarthinness» და «из-за смуглости» ფრაზებით არაადეკვატურია, რადგან საისტორიო ტექსტის აზრობრივი კონტექსტი სრულიად შეუსაბამოა თანადროულ რეალებთან. ჰერეთის ერისთავის როგორც სახელმწიფო მოღვაწის მიზანმიმართული და შეგნებულად სუბიექტური აღწერილობა განპირობებული ჩანს „ასწლოვანი მატიანის“ ავტორის როგორც სასულიერო მოღვაწის მსოფლმხედველობრივი მოსაზრებებით.

პოემის პროლოგში გადმოცემული რუსთაველის შემოქმედებითი პრიორიტეტი სრულიად ბუნებრივია განსხვავდება „ასწლოვანი მატიანის“ ავტორის დოგმატურ-

რი პოზიციებისგან: „შიაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ – (12, 1); „ვოქენე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან“ – (21, 3).

ნესტან სულავას სავსებით მართებული მოსაზრებით „პოემაში გადმოცემულია მოძღვრება მიჯნურობის შესახებ. სიყვარულის მრავალგვარ სახეობათა შორის უმაღლესია საღმრთო სიყვარული, საზეო მიჯნურობა“.

ღია კარიჭაშვილის შეხედულებითაც „ადამიანური სიყვარულის გადმოცემა („ვოქენე ხელობანი ქვენანი“) პოეტს სჭირდება იმდენად, რამდენადაც ის ბაძავს და განასახოვნებს ღვთიურს, ეს ყოველივე ქრისტიანული თეოლოგიის სიღრმიდან არის ამოზრდილი და ალეგორიული ფორმით გადმოცემული“.

ზოგადად, აღორძინების ეპოქის ესთეტიკას სრულიად ახალი, თავისუფალი აზროვნება და თავისთავადი ჰუმანისტური იდეალები ახასიათებს. ეს ეპოქა სწორედ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანით“, ამ გენიალური პოემის მეტაფორულ-ალეგორიული სახისმეტყველებითა და სიბრძნისმეტყველებით იწყება.

გარდა ამისა, საისტორიო თხზულებებისა და პოემის შედარების შედეგად შესაძლებელია სხვა ისტორიულ-ლიტერატურული პარალელების მოძიებაც. ეპიკური პოეტური ნაწარმოების მთავარ პრობლემა სამეფო ტახტის მემკვიდრეობის საკითხის გარკვევა, რომელიც წარმოდგენილია სამ განსხვავებულ სიტუაციაში. კერძოდ, არაბეთში ეს არის მეფის ასულის გამეფება, ინდოეთში – მეფის ასულის ქორწინება, ხოლო მულგაზანხარში – ბიძისა და მისი მემკვიდრეების მიერ ტახტის უკანონოდ წართმევა. ასეთი მოვლენები განვითარდა მხოლოდ იმ ეპოქის საქართველოს სამეფოს რეალობაში, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი „ქართლის ცხოვრების“ საისტორიო თხზულებებში — „ლაშა-გიორგის დროინდელი მატიანე“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“, ბასილი ეზოსმოდვარის „ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა თამარისა“.

პარალელები ეპიკურ ნაწარმოებში მეტად აშკარაა – თამარის მამის, გიორგი III-ისა და მისი ძმისშვილის დრამატული სამხედრო დაპირისპირება, თამარ მეფის გამეფება და გათხოვება, რადგანაც „პოემის არაბულ და ინდურ მოთხრობებში ამ ერთი პრობლემის ორი გამოსავალია შემოთავაზებული“ (ხინთიბიძე 2018: 50). ეს ისტორიული პირები იყვნენ „ვეფხისტყაოსანის“ პერსონაჟების პროტოტიპები. რუსთაველის პოეტური შემოქმედების მთელი სიუჟეტი ეფუძნება იმ ეპოქის საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის რეალობას. ავტორი საისტორიო თხზულებისა – „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“ – თამარ მეფის მეორედ გათხოვებისა და გი-

ორგი რუსის წინამძღოლობით აჯანყებულ ქართველ ერისთავთა დამარცხების შემდგომ განვითარებულ სიტუაციას ამგვარ განმარტებას ურთავს: „ვინა ესეცა უწყოდეთ, რომელ წურთათა ღმრთისათა სივრცე დიდ ფრიად არს; რამეთუ კეთილთა და კეთილ-გამგონეთა ნიშთა აღჩენითა სწურთის კეთილად-დართვითა, ძლევა-მინიჭებითა. რამეთუ კეთილისა სულისათჳს ღმრთის-მოყუარე და თჳსად მისი არს, ვითარ იტყვისცა დღე ბერძენთა ხედვისა პლატონ: „კეთილი კეთილთათჳს არს კეთილ, ვინა იგივე კეთილი ბოროტთათჳს ბოროტ“ (ქართლის ცხოვრება 2008: 426). ჟამთაღმწერლის პოზიციისგან განსხვავებით, ამ საისტორიო თხზულების ავტორის ეს მოსაზრება, როგორც ჩანს, გარკვეული მსოფლმხედველობრივი (სიბრძნის-მეტყველებითი) კონტექსტის მქონე ანალოგსა და ლიტერატურულ-შემეცნებითი ხასიათის მსგავსებას პოულობს შოთა რუსთაველის პოემის ერთერთი თავის („ავთანდილის ანდერძი“) ცნობილ პოეტურ სტრიქონებთან: „მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა: „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (789, 3-4).

განსაკუთრებით საგულისხმო მსგავსება-შესაბამისობა ეძებნება ისტორიული კონტექსტის მოძვენო ეპიზოდს, რომელსაც „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთან“ ასე აღწერს: „და შეიქმნა მშკლობა, სიხარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა ვის უხილავს. და „ერთბამად ძოვდეს ლომი და ჯარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა, და მგელი ცხუართა თანა“ (ქართლის ცხოვრება 2008: 427). ანალოგიური ხასიათის ეპიზოდია ასახული პოემის ბოლო თავში: „მიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს“ (1664, 4). ამ პარალელებს საფუძვლად უდევს საერთო ბიბლიური კონტექსტი (წინასწარმეტყველება ესაიასი 11, 6. „მაშინ ძოვდეს მგელი კრავთა თანა, და ვეფხი თიკანთა თანა განისუენებდეს, და ზუარაკი და ლომი და კუროდ ერთად ძოვდენ“; 65, 25. „მაშინ მგელნი და კრავნი ძოვდენ ერთბამად და ლომი, ვითარცა ჯარი ბზესა ჭამდეს“).

კორნელი კეკელიძის მოსაზრებას პოემის შექმნის ეპოქის შესახებ ადასტურებს ახალი მონაცემები. კერძოდ, 2020 წლის ზამთრის მზებულობა დაემთხვა მეტად განსაკუთრებულ ასტრონომიულ მოვლენას. კერძოდ, მზის სისტემაში შემავალი ორი დიდი პლანეტა (სატურნი და იუპიტერი) ისე დაუახლოვდა ერთმანეთს, რომ ორივემ იშვიათი პლანეტარული პოზიცია დაიკავეს. ალექსანდრე ელერდამ-ვილის აზრით პოემის ავტორი მეტაფორულად ადარებს სატურნისა და იუპიტერის ანალოგიურ პოზიციასთან „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირების სამიჯნურო შეხვედრას: „ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლნი ღვარნეს; ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს“ (1429, 1-2). მუშთარი და ზუალი

ძველ ქართულში არის იუპიტერი და სატურნი. 1226 წლის 4 მარტს იუპიტერი და სატურნი მართლაც გაერთიანდნენ. როგორც ჩანს, პოემის ავტორისთვის 1226 წლის ამ ორი პლანეტის იშვიათი პლანეტარული პოზიცია კარგად არის ცნობილი. აქედან გამომდინარე, ეს პოეტური ნაწარმოები უნდა შექმნილიყო 1226 წლის აღნიშნული ასტრონომიული მოვლენის შემდეგ, რაც პოემაში ალევორიულად აისახა. კერძოდ, მუშთარი (იუპიტერი) მეტაფორულად გულისხმობს ტარიელს, შესაბამისად ზუალი (სატურნი) კი – ნესტანდარეჯანს, როდესაც ის გაათავისუფლა სამმა გმირმა ქაჯეთის ციხიდან. ზოია ჯინჯიხაშვილი პოემის ამ მეტად საინტერესო ეპიზოდში სიმბოლურად ხედავს იერუსალიმის განთავისუფლების წმინდა იდეის ალევორიულ წარმოჩენას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გამორჩეულია „ასწლოვან მატანეში“ გადმოცემული ვრცელი ამბავი ახალგაზრდა მეფის ლაშა-გიორგის პირველი განძაში ლაშქრობის შესახებ (ქართლის ცხოვრება 2008: 523-525).

აღნიშნულ საისტორიო მონაკვეთს მეტად საგულისხმოდ აზრობრივ-ტექსტობრივი ანალოგი ეძებნება პოემაში. კერძოდ, მისივე მსგავსია დიდი პოეტური ექსპრესიითა და დინამიურობით ასახული ტარიელის ასევე პირველი ბრძოლის ვრცელ ამბავი: „ხატაეთს მყოფნი ყოველნი ჩვენნი სახარაჯონია, აწ მათნი ჯვარნი ჩვენ ზედა ჩვენგან არ დასათმონია!“ (377, 3-4); „წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე“ (379, 2); „ვუბრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია. იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია“ (402, 1-2); „მათ ლაშქართაგან სამასნი კარგნი მოყმენი, ქველანი, თანა წამომყვეს, წა-ცა-ვე, დავყარენ სპანი ყველანი, დავჰვედრე: «სადა მე მევლოს, ვლენით იგივე ველანი, ახლოს მომდევედით, მიშველეთ, ვიხმობ, თუ მინდეს შველანი» (427, 1-4); „შუბი ვსთხოვე, ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად; საომარად ატეხილი ვიყავ მათად გამტეხელად; ერთსა წავსწყდი უტევანსა, წავგრძელდი და წავე გრძელად. მათ ურიცხვი რაზმი ეწყო, წყნარად დგეს და აუშლელად“ (445, 1-4); „შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი, კაცი კაცსა შემოვსტყორცე. ცხენ-კაცისა დავდგი გორი; კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი, ერთობ სრულად ამოვწყვიდე წინა კერძი რაზმი ორი“ (447, 1-4); „რამაზ მეფე ჩამოვადე, ერთმანერთსა გავეხრძლენით, მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოვკლენით“ (451, 3-4); „არ ვპბრძოლე, კარი ქალაქთა უომრად გავალებინე (455, 4). აღსანიშნავია, რომ მსგავსია საისტორიო თხზულებასა და პოემაში გადმოცემული მოხარკე ქვეყნების დასაქვემდებარებლად განხორციელებული შთამბეჭდავი საბრძოლო პერიპეტები, როცა ისტორიული პირი და ეპიკური გმირი რიცხობრივად ნაკლები რაოდენობის

რაზმებით სასტიკად ამარცხებენ მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეებს.

საგულისხმო და გასათვალისწინებელი ისიც, რომ ხატაეთი რეალურად არსებული ქვეყანა იყო და არა პოეტური გამონაგონი, რომელიც „ასწლოვანი მატია-ნის“ გადმოცემით ლაშა-გიორგისა და რუსუდანის (შესაბამისად, ჰერეთის ერისთავის შოთას) თანადროულ ეპოქაში მონღოლებს ჰქონდათ დაპყრობილი: „ჩინგიზ-ყაენი მივიდა ხატაეთს, ებრძოლა ხატაეთის ელმწიფესა არსლან-ხანსა ზედა და სძლო“ (ქართლის ცხოვრება 2008: 531). აღნიშნული საისტორიო მონაცემები პირდაპირ მიანიშნებს, რომ ეს პოემა შექმნილია თამარის მეფობის შემდგომ ეპოქაში. კერძოდ, მასში მხატვრულად ასახულია მომდევნო პერიოდში (ჰერეთის ერისთავ შოთას მოღვაწეობის დროს) განვითარებული ისტორიული მოვლენები.

პოემის დაწერის თარიღს მიახლოებით აკონკრეტებს ის არსებითი ხასიათის საგულისხმო და ასევე საყურადღებო პარალელები, რაც ამ ეპიკურ ნაწარმოებს საისტორიო თხზულებასთან ეძებნება. პროლოგში ავტორი ძირითად და გამორჩეულ ყურადღებას უთმობს მიჯნურობას: „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა, მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა“ (22, 1-2); „მისთვის დათმოს ყველაკაი, მისთვის ველთა გამოვარდეს, ნურა გაჰვა, სოფელიცა მისი კერძი გარდაქარდეს“ (26, 3-4).

თამარს არ ჰქონია მიჯნურობის მსგავსი ეპიზოდები. მისი მეორედ გათხოვების აღწერისას „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთან“ პირდაპირ გადმოგვცემს: „მამინ თამარ... ესრეთ თქუა მბრძანებელმან: „... აროდეს ყოფილა გული ჩემი მოწადინე ქმროსნობისა, არცა პირველ, არცა აწე“ (ქართლის ცხოვრება 2008: 420).

„ასწლოვან მატიაწეში“ ლაშა-გიორგის მიჯნურობის ერთი მეტად გამორჩეული ეპიზოდია მოთხრობილი: „მისრულმან კახეთს სოფელსა ერთსა, ველისციხესა, იხილა ქალი ფრიად ქმნულ-კეთილი, და მყის აღტაცებულ იქმნა გულისთქმათა მიერ... და შეიყურა ფრიად“ (ქართლის ცხოვრება 2008: 526). როგორც ჩანს, ამგვარი მწველი სიყარულის ამბავი დაელო საფუძვლად რუსთველურ მიჯნურობას. ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ გეოგრაფიული სახელწოდების („ველის ციხე“) პირველი სიტყვა („ველი“), არა უნდა იყოს მექანიკური დამთხვევა, არამედ მიზანმიმართულად გააზრებულია პოეტის მიერ⁸. აღნიშნული სიტყვა ველი განზოგადებულ მეტაფორული მნიშვნელობისა პროლოგის სტრიქონებში: „აჰა, გული გამიჯნურდა, მიჰხვდომია ვ ე ლ თ ა რბენა!“ (10, 2); „მისთვის დათმოს ყველაკაი, მისთვის ვ ე ლ თ ა გამოვარდეს“ (26, 3). ასევეა პოემის ერთერთ სამიჯნურო ეპიზოდში: „რა მიჯნური ველთა რბოდეს, მარტო უნდა გასაჭრელად“ (162, 2).

საყურადღებოა პოემის ის ეპიზოდი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ნესტანდარეჯანი სურთ მიათხოვონ ხვარაზმშას ძეს: „მეფემან ბრძანა: „ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია, თუ მოგვცემს შვილსა საჩვენოდ, მისებრი არ-რომელია» (511, 3-4); „დედოფალმან თქვა: „ხვარაზმშა მეფეა მორჭმით მჯდომელი, მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი!» (513, 1-2).

თავის მხრივ, ჟამთაღმწერელი გადმოგვცემს, რომ ხვარაზმშას ძე ჯალალედი-ნი ცოლობას სთხოვს რუსუდანს (ქართლის ცხოვრება 2008: 538). ხვარაზმშას ძის – ჯალალედინის ასეთი შემოთავაზება მიუღებელი იყო რუსუდანისთვის: „განკ რდა მეფე და უცხო უჩნდა საქმე ესე“.

როგორც ცნობილია, პოემაში ნესტანდარეჯანიც ასევე კატეგორიულად წინააღმდეგია, რომ მიათხოვონ ხვარაზმშას ძეს და ამას ეუბნება ტარიელს: „ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“ (540, 4). ამავ დროს, ინდოეთის მეფის ასული, როგორც მიჯნური მიჯნურს, შესაბამის დავალებას აძლევს თავის ქვეყნის სამეფო ტახტის მომავალ მემკვიდრეს: „დიდსა სისხლსა ვერ შეგაქმნევ, ვერ ვიქმნები შუა კედლად: რა მოვიდეს სიძე, მოკალ მისთა სპათა აუწყვედლად“ (542, 2-3). ტარიელი ავთანდილთან საუბარში აღწერს, როგორ შეასრულა ეს დავალება: „კარავსა შევე, იგი ყმა ვითა წვა, ზარ-მაც თქმად ენით, უსისხლოდ მოკვალ იგი გლახ, თუცა ხმდა სისხლთა დადენით“ (557, 3-4); „კარვის კალთა ჩახლათული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე, ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევეუტაკე“ (558, 1-2).

ანალოგიური ხასიათის გადმოცემაა მოთხრობილი „ასწლოვან მატინანეში“ ჩალატა ნონინის მკვლელობასთან დაკავშირებით (ქართლის ცხოვრება 2008: 563). სრულიად აშკარაა, რომ ერთმანეთის მსგავსია მონღოლთა მიერ ალამუთის ციხის ასაღებად წარმოებული შვიდწლიანი ომის დროს (მასში მონაწილეობას ქართველებიც იღებდნენ) ჩალატა ნონინისა და პოემაში ხვარაზმშას ძის მკვლელობათა ეპიზოდები. მრავალთა დახოცვისაგან გადარჩენის მიზნით მხოლოდ ერთი პიროვნების დასჯის იდეა თანხვედრილია ისტორიულ და მხატვრულ კონტექსტებში.

განსაკუთრებით საყურადღებოა საისტორიო გადმოცემა კონტასთავს შუკრების შესახებ, რომლის მონაწილე სხვებთან ერთად ჰერეთის ერისთავი შოთაც იყო (ქართლის ცხოვრება 2008: 566). ცოტნე დადიანის ზნეობრივი გმირობის გამორჩეული ისტორიული ეპიზოდი, როგორც ჩანს, მხატვრულ-შემცნებით განზოგადებას პოულობს პოემის აფორისტულ გამონათქვამებში („ავთანდილის ანდერძი“): „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“ (799, 4); „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ (800, 4). გამარჯვებულის მიერ დამარცხებულის მიმართ გამოჩენილი დანდობის ასევე ზნეობრივ საქციელს გარ-

კვეული შესაბამისობა ეძენება პოემაში: „ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ, დაიყოვნე; გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე“ (1614, 3-4). მხატვრულ კონტექსტი მიანიშნებს თვითმხილველის მიერაა პოეტურად ასახული დრამატული ისტორიული რეალობი.

თავის მხრივ, „ასწლოვანი მათიანის“ გეოგრაფიული სახელწოდება „ველის ციხე“ წარმოაჩენს წართმეული შეყვარებულის მკვიდრობის ადგილს. აღნიშნული სახელწოდების („ველის ციხე“) გარკვეულ ანალოგს, სავარაუდოდ, წარმოადგენს „ქაჯეთის ციხე“, რომელიც, როგორც ბოროტების სიმბოლო, ასევე წართმეული მიჯნურის ადგილსამყოფელის განზოგადებული მხატვრული სახეა: „ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია: ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია, მას კლდესა შუა გვირაბი, ასადრომელი ხვრელია, მუნ არის მარტო მნათობი, მისთა შემყრელთა მწველია“ (1242, 1-4).

შესაბამისად, ლაშა-გიორგის სიყვარულის ისტორიული კონტექსტი პოეტურ ნაწარმოებში მეტაფორულ მნიშვნელობას იძენს.

ამავე დროს, „ქაჯთა ქალაქი“, როგორც ცნობილია, ციხე-ქალაქია არტანუში, რომელსაც ლეონტი მროველი 3 ეპიზოდში აღწერს თავის საისტორიო თხზულებაში „მეფეთა ცხოვრება“ (ჭელიძე 2015-2016: 275; ჭელიძე 2016: 169-170). პირველად ის გვხვდება ამ თხზულების მეორე თავში, რომელშიაც გადმოცემულია ისტორიულ-ლექსიკონური ამბები ქართლის ეთნარქეპონიმების შესახებ: „ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქუა ქაჯთა ქალაქი“ (ქართლის ცხოვრება 1955: 30). ხოლო მეორედ ამავე ისტორიულ რეალებზე ავტორი მიუთითებს თხზულების მესამე თავში („ამავეი ფარნავაზისა“): „ნაქალაქევსა თანა არტანისასა, რომელსა ერქუა მაშინ ქაჯთა ქალაქი, რომელ არს ჰური“ (ქართლის ცხოვრება 1955: 43). აღნიშნულ ეპიზოდებს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს მესამე მონაკვეთი, რომელიც გადანაცვლებული და ჩართულია ორმეფობის ხანის მეორე წყვილის მეფობის პერიოდის აღწერილობაში. კერძოდ, ლეონტი მროველი სომეხთა მეფის იარვანდის (ორონტ II-ის, ძვ. წ. III ს-ის ბოლო და II ს-ის დასაწყისი) მიერ ჩვენი ქვეყნის სამხრეთით მდებარე სასაზღვრო მხარეების მიტაცებას ასე მოგვითხრობს: „მაშინ მეფე იქმნა სომხითს დიდი იგი მეფე იარვანდ. ... და მოულო საზღვარსა ქართლისასა ქალაქი წუნდა და არტანი მტკურამდე და დასხნა წუნდას შინა კაცნი მ ეცნი, ნათესავნი დევთანი, და უწოდა წუნდასა სახელად ქაჯატუნი, რომელი-ესე ითარგამნების „დევთა-სახელად“⁹ (ქართლის ცხოვრება 1955: 59). აღსანიშნავია ისიც, რომ არა მხოლოდ ციხე-სიმაგრეთა სახელწოდებებია თანხვედრილი, არამედ მათი მკვიდრნიც ერთმანეთის მსგავსია. ლეონტი მროველის მათ ასე ახასიათებს: „კაცნი მ ეცნი, ნა-

თესავნი ღვეთან¹⁰. პოემაშიც ანალოგიური კონტექსტია: „ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი კაცნი, გრძნებისა მცოდნელნი, ზედა გახელოვნებულნი“ (1247, 1-2). ამავე დროს, „მეფეთა ცხოვრება“ განმარტავს ამ ციხე-ქალაქის სახელწოდებას: „ქაჯატუნე, რომელი-ესე ითარგამნების „ღვეთა-სახლად“. ამ გადმოცემას ანალოგი ეძებნება ტარიელის ავთანდილისათვის მოთხრობილ ერთერთ ეპიზოდში: „მოღეს ქვაბნი წავუხვენი, დავზოცე ღვეთა დასები, მას აქათ მათი აქა ძეს საჭურჭლე ძვირ-ნაფასები“ (1364, 3-4). გარკვეული შესაბამისობებია საისტორიო თხზულების სიტყვა-ტერმინებსა და პოემისეულ ფრაზებს შორის („ღვეთა-სახლად“/„ქვაბნი ღვეთა“; „ნათესავნი ღვეთან“/„ღვეთა დასები“). ისტორიულ და პოეტურ ტექსტთა შედარება გვიჩვენებს, რომ ციხე-სიმაგრეებისა და მათი მცხოვრებლების სახელწოდებები სინონიმებია. „ქაჯთა ქალაქს“ მსგავსება გვიანანტიკური ხანის ქართულ ისტორიულ რეალებთან ეძებნება, რაც ამკარად მიუთითებს ორიგინალური საისტორიო და საერო-საკარო ლიტერატურულ ტრადიციათა უწყვეტობასა და მთლიანობაზე, კერძოდ კი, ადრეული პერიოდიდან დაწყებული ლეონტი მროველის დრომდე (XI ს.). ეს შემოქმედებითი პროცესი თამარ მეფისა და მის მომდევნო ეპოქებშიც გაგრძელდა (XII-XIII სს.). პოემის „ქაჯთა ქალაქი“ საყურადღებო პარალელებს პოულობს ველისციხის, არტანისა და ალამუთის ციხე-ქალაქთა ისტორიულ კონტექსტებში¹⁰, რადგანაც სხვადასხვა პროტოტიპის თავმოყრა ერთიან მხატვრულ კონტექსტში პოემისთვის მეტად დამახასიათებელი შემოქმედებითი მოვლენაა.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი ისტორიული და მხატვრული კონტექსტების ანალოგ-პარალელები ასახავს არა მხოლოდ თამარისა და დავით სოსლანის, არამედ ლაშა-გიორგისა და მისი დის რუსუდანის მეფობის თანადროულ ეპოქას¹¹. ხოლო მომდევნო ქრონოლოგიური მსგავსება-შესაბამისობა, კერძოდ, ალამუთის ციხე-სიმაგრის აღების ეპიზოდი (1256 წელი), გარკვეულად მიანიშნებს დავით ულუს მოღვაწეობის ხანაზე. ამას ადასტურებს ისტორიულ-ლიტერატურული პარალელები. კერძოდ, ინდოეთის სამეფოში ტანტის შემკვიდრების მწვავე პრობლემას ასახავს პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რაც სიუჟეტურად აერთიანებს და ამთლიანებს ეპიკურ პოეტურ ნაწარმოებს. მასში მხატვრულად წარმოჩენილია აღმზრდელი მამიდის სრულიად გაუგონარი მოქმედებები ნესტან დარეჯანის მიმართ: „ევე წყრომა მეფისაგან ვისცა ესმა, ვინცა იცის, მან უამბო დავარ ქაჯსა, ვინ გრძნებითა ცაცა იცის“ (575, 3-4); „რა დავარ გაძღა ცემითა, მისითა დაღურჯებითა, წამოდგეს ორნი მონანი, პირითა მით ქაჯებითა, მათ კიდობანი მოჰქონდა, ეუბნეს არ აჯებითა, მას შიგან ჩასვეს იგი მზე, ჰგავს, იქმნა ღარაჯებითა“ (580).

საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის მეტად რთულმა და წინააღმდეგობრივად განვითარებულმა ანალოგიურმა პრობლემამ განაპირობა აღმზრდელი მამიდის რუსუდანის წარმოდგენელი და დაუჯერებელი გაწყვეტილებები, კერძოდ, მისი ძმისწულის წინააღმდეგ „შემდგომად დიდთა განსაცდელთა“ მოწვევნა, რაც ვრცლად, დეტალურად და დრამატულად აქვს ასევე მოთხრობილი ჟამთააღმწერელს.

საგულისხმოა, რომ შემდეგ ტყვეობიდან დაბრუნებულ დავითს სხვებთან ერთად შეეგება ჰერეთის ერისთავი შოთა. გარდა ამისა, განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემაში ასახული ქაჯეთის ციხის აღების საბრძოლო პერიპეტეების საოცარი მსგავსება მონღოლთა მიერ 1258 წელს ბაღდადის ციხე-ქალაქის წინააღმდეგ წარმოებული ალყის საბრძოლო ეპიზოდებთან, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდა დავით ულუ ქართულ მხედრობასთან ერთად. მეტად საგულისხმოა ისიც, რომ მხოლოდ მან მოახერხა ბაღდადის ხელში ჩაგდება, რომელსაც ასევე სამი მხრიდან უტყვევნენ, როგორც პოემაში ქაჯეთის ციხეს: „ხოლო ვითარ მოიწყო მეფემან სამეფო, წარვიდა ყაენს ულოს წინაშე ნიჭითა დიდითა, რომელი იხილა რა ულო ყაენმან, პატივითა შეიწყენარა, და ნოინთა თანა დააწესა წინა-სადგომად და ჯომად, და განმკითხველად და ბჭედ. ამათა ჟამთა ინება ულო ყაენმან აღმ ედრება ბაბილოვანს ზედა, რომელ არს ბაღდადი, და ელმწიფესა ბაბილოვნელთასა ხალიფას ზედა, და მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა, და წარემართა ბაღდადს, ბრძოლის ყოფად ხალიფასა. მივიდა ქუეყანასა ბაბილოვნისასა, და ვერ წინააღუდგა ხალიფა, არამედ შეივლტოდა ბაღდადს, ხოლო ყაენი გარე მოადგა, და მოიცვა იგი ერთ-კერძო თ თ ყაენი მოადგა წყალს აქეთ, და წყალს იქით ელგონ ნოინი, და ერთ-კერძო დავით მეფე, რამეთუ მის წინაშე იყვნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი. და ბრძოდეს ძლიერად, არა მრავალთა დღეთა, არამედ ათორმეტ დღე, აღიღეს ბაღდადი. მეფემან დავით უბრძანა ლაშქართა მისთა, რათა შეთხარონ ზღუდეთა ქუეშე. და შეთხარეს ზღუდესა შიგან, შევიდეს ქართველნი, და იქმნა ძლიერი ბრძოლა, და მოსრვიდეს სპარსთა ბაღდადელთა და შიში ფრიადი აქუნდა ბაღდადელთა და ესრეთ განახუნეს კარნი ქალაქისანი ქართველთა და თათართა და შევიდეს. ... ესრეთ ადვილად რა ელთ იგდეს სახელგანთქმული იგი ქალაქი ბაბილოვანი, ვინ-მე მიუთხრნეს განსაცდელნი და ჭირნი, რომელ მოიწივნეს ბაღდადს ზედა მოსრნეს. მახ ლითა ესოდენი სიმრავლე, რომელ არა იყო რიცხვი, და სავსე იყვნეს უბანნი, ფოლოცნი და სახლნი მკუდართა მიერ, ხოლო სიმდიდრისა და ალაფისა მაშინ პოვნელთა ვინ-მე მიუთხრნეს? რამე, აღივსნეს თათარნი და ქართველნი ოქროთა, ვეცხლითა, თუალითა, მარგალიტითა, პატიოსნითა ლარითა და შესამოსლითა, სამსახურებელითა ჭურჭლითა, ოქროსა და ვეცხლისათა, რომელ

არავინ აილებდა, თვინიერ ოქროსა და ვეცხლისა, თუალსა და მარგალიტსა, და შე-
ამოსელთაგან კიდე“.

გრიგორ ბარ ჰებრაუსი თავის საისტორიო თხზულებაში „სირიული ქრონიკა“
ვრცლად წარმოადგენს მონღოლთა მიერ ბაღდადის დაპყრობის მასშტაბურ პერი-
პეტიებს. ამ ქრონიკაში აღწერილია ასევე იბერიელთა საბრძოლო მოქმედებებიც,
რაც ქართველი მემატიანისეული გადმოცემის სანდოობას დამატებით ადასტურებს
(Bedrosian 1976: 550): «The IBERIANS especially effected a great slaughter.
And the Catholicus collected all the Christians into the church of the Third Ba-
zar, and there he protected them, and none of the Christians was injured»
(„იბერიელებმა განსაკუთრებით დიდი ზოცვა მოაწყვეს. კათოლიკოსმა შეაგროვა
ყველა ქრისტიანი მესამე ბაზრის ეკლესიაში და იქ დაიცვა ისინი და მათგან არავინ
არ დაშავებულა“). ასეთი დრამატული კონტექსტი განპირობებულია არაბების ხა-
ნაში უსასტიკეს ძალმომრეობით საქართველოსა და საამიროდ გადაქცეულ თბი-
ლისში ოთხსაუკუნოვანი გაბატონების სანაცვლოდ. როგორც ჩანს, ქართველთა
მხრიდან დაუნდობელი მოქმედებები სამაგიეროს გადახდას ისახავდა მიზნად.

ბრძოლის მსვლელობა ანალოგიურად ასახულია პოემაში: „სამთავე სამად გა-
იყვეს თვითომან თვითო – კარები“ (1412, 1); „სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავ-
სა მით უყვეს რიალი, იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი“
(1414, 3-4); მაშინ ქაჯეთს მოიწია უსაზომო რისხვა ღმრთისა“ (1415, 1); მათვე
რისხვით გარდუბრუნდა ბორბალი და სიმგრგველე ცისა, ველნი მკვდართა ვერ
იტყედეს, გადაიდა ჯარი მკვდრისა“ (1415, 3-4); ციხისა მცველი ყველა იდვა
მართ ვითა სნეული, თავით ფერხამდის დაჭრილი, აბჯარი მუნ დახეული, ციხისა
კარნი განხმულნი, კართა ნალეწი – სრული“ (1419, 1-3); მოკრიფეს ჯორი, აქ-
ლეში, რაცა ვით პოვეს მალეში; სამიათასსა აჰკიდეს მარგალიტი და თვალები,
თვალი ყველაი დათლილი, იაგუნდი და ლალები“ (1426, 1-3).

შესაბამისად, დავით ულუ უნდა იყოს მოხსენიებული პოემის ეპილოგში: „ქარ-
თველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად, ესე ამბავი გავლექსე
მე მათად მოსახმარებლად, ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს შუქთა მარბ-
ლად, ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად“. ეპიკური ნაწარ-
მოების მთავარი მოქმედი გმირის – ტარიელის სადარი ქართველი მეფის შესახებ
პოეტი მომდევნო სტროფის დასაწყისში დასძენს: „დავითის ქმნანი ვითა ვთქვნე
სიჩალზე-სინაფეთანი!“ (1667, 1). დავით ულუ, ისევე როგორც მისი სახელოვანი
პაპა და მამა - დავით სოსლანი და ლაშა-გიორგი თავიანთი საგმირო საქმეებით პოე-
მის მთავარი პერსონაჟის ტარიელის პროტოტიპები გამოდიან. ახლო აღმოსავ-

ლეთში მიმდინარე საომარ პროცესებში დავით ულუს ბრძოლების აღწერის დროს მემატთანე მიუთითებს ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე: „მის წინაშე იყვნენ ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი“. წარჩინებულები ამ შემთხვევაში ჩამოთვლილი არ არიან, მაგრამ მემატთანე მათ ასახელებს დავით ულუს საქართველოში დაბრუნების ცნობილ ეპიზოდში, რომელთა შორის იყო შოთა კუპარი. როგორც ჩანს, XIII საუკუნის შუა პერიოდში შოთა რუსთაველი ასევე არის საქართველოს მაღალი რანგის სამხედრო მეთაურთა შორის. ბაღდადის ციხე-ქალაქის აღებიდან ორი წლის შემდეგ, კერძოდ, 1260 წლის დასაწყისში, მონღოლები ქართული ჯარის მონაწილეობით შევიდნენ ერეკ ისრაელში და მამლუქთაგან იმავე წლის 3 სექტემბრამდე მთლიანად გაათავისუფლეს წმინდა ქალაქი იერუსალიმი.

კონსტანტინე ლერნერმა სწორედ 1260 წლით დაათარიღა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთერთ ხელნაწერზე (კერძოდ, ბასილი ღვთისმეტყველის კრებულზე) დართული მინაწერი, რომელიც ეკუთვნის ამ მონასტრის წიგნის შემკაზმელს: „ესე... დიდი ბასილი მე... გერმანემან მონაზონმან ეზდაველიძემ შეეკაზმე..., ოდეს მოწყალებისა კარი ჩამოა სნეს თათართა და ზღუდე გაათავეს“. როგორც აშკარად ჩანს, მონღოლთა მხრიდან მხარდაჭერა ქრისტიანთათვის გროგოლ ბარ-ჰებრაუსის „სირიულ ქრონიკასთან“ ერთად („არც ერთი ქრისტიანი... არ დაზარალებულა“) ასევე დასტურდება ქართულ წერილობით წყაროშიც: „ოდეს მოწყალებისა კარი ჩამოა სნეს თათართა და ზღუდე გაათავეს“. ამ შემთხვევაში იგულისხმება ოქროს კარიბჭე ანუ ტაძრის მთის აღმოსავლეთი მხარის შემოსასვლელი, რომელიც ისტორიულად უზრუნველყოფდა წმინდა ქალაქში შესვლას (შარაპ-რაზაამიმ, ებრაული **ד'מרחי רעש** – მოწყალების კარი).

ამ წერილობით წყაროზე დაყრდნობით შოთა რუსთაველის ფრესკა და წარწერები ასევე 1260 წლით უნდა დათარიღდეს, რომელებიც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ისევ განახლეს. აღნიშნული წარწერები განთავსებულია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის პირველ სვეტზე, მარჯვნივ, მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის ფრესკებს შორისაა განთავსებული:

„ამის დამხატავსა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“.

„შოთა რუსთველი“.

ასლო აღმოსავლეთის თანადროული რეალიებიდან გამოდინარე, რომ შოთა რუსთაველი მხოლოდ ამ პერიოდში მოახერხებდა სააღმშენებლო-სარესტავრაციო საქმიანობის ჩატარებას იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში¹².

როგორც ცნობილია, XIII საუკუნის შუა წლებში მონღოლებმა საქართველო დაყვეს ცალკეულ ღუმანებად, რომელთა სათავეში დააყენეს ერისთავები. ეგარ-

სლან ბაკურციხელის შემდგომ კახეთ-ჰერეთისა და კუხეთის დუმნისთავი შოთა კუპარი უნდა გამხდარიყო როგორც ჰერეთის ერისთავი (აბულაძე 2017, 184-185).

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართული ფრესკული წარწერები მიანიშნებს, რომ შოთა რუსთაველი მონღოლების სამხედრო აღიანსში ერთერთი დაწინაურებული ქართველი წარჩინებულია. ამას ადასტურებს მისი წოდება რ უ ს თ ვ ე ლ ი, რაც აღნიშნავს ციხე-ქალაქ რუსთავის ანუ როგორც კუხეთის, ისე მთელი ამ დუმანის ადმინისტრაციული ცენტრის მფლობელობას.

დუმნისთავის საქმიანობის გარდა, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპთა წიგნის „შოთა სა მეჭურჭლეთუხუცესისა“-ს შესახებ ჩანაწერის მიხედვით ასევე დადგენილია, რომ რუსთაველი როგორც საქართველოს სამეფოს უპირველსი ხაზინადარი სახელმწიფო მისიას ასრულებს და იერუსალიმის ქართულ ტაძარში თაონსობს საადმშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოს, რაც ბერ გერმანე ეზდაველიძის მინაწერის მონაცემებით დადგენილი თარიღის თანახმად 1260 წელს განხორციელდა.

აქედან გამომდინარე, პოეტის სრული ტიტულატურა, კერძოდ, ასეთი იქნება: „ერისთავი ჰერეთისა და მეჭურჭლეთუხუცესი საქართველო სა შოთა რუსთაველი“. მისი აქტიური სახელმწიფო, სამხედრო და პოეტური შემოქმედებითი მოღვაწეობა სწორედ აღნიშნულ პერიოდს მოიცავს.

ქართულ წყაროებში ახლად მიგნებული და წარმოჩენილი ისტორიულ-ლიტერატურული კონტექსტებით ვლინდება ის, რომ "ვეფხისტყაოსანი" იქმნებოდა 1258 წლიდან - 1260 წლის სექტემბრის დასაწყისამდე, რაც პოემაში ალეგორიულადაა მინიშნებული (Chelidze 2022: 5-6): „მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა, ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა, ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა. სულთქვნა, რა ნახა ყვაილი მან, უნახავმან ხანისა“ (1337).

ამდენად, შოთა რუსთაველმა თავისი პოემა 1260 წლის ზაფხულში დაასრულა ქართველ წარჩინებულთა იერუსალიმის სამხედრო-სამეფო რეზიდენციაში, რითაც საფუძველი ჩაუყარა ახალ ეპოქას.

დამოწმებანი:

აბულაძე 2017, ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში (ენციკლოპედიური ლექსიკონი) – ავტორები: თამარ

აბულაძე, ცისანა აბულაძე, ხათუნა ბაინდურაშვილი, ვლადიმერ კეკელია, დარე-ჯან კლდიაშვილი, შზია სურგულაძე, თბილისი.

ამირხანაშვილი 2016, ამირხანაშვილი ი., ჩვენი ისტორიის ასოვალა არგუსი (პავლე ინგოროყვას მონოგრაფია შოთა რუსთაველზე), შესულია წიგნში – პავლე ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, III, თბილისი.

ბულგარელი 2013, თეოფილაქტე ბულგარელი, ლუკას სახარების განმარტება, თბილისი.

გაბესკირია 2004 2005, გაბესკირია შ., რუსთაველოლოგიის ზოგი პრობლე-მური საკითხის შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი.

გაბესკირია 2016, გაბესკირია შ., ფიქრები რუსთაველოლოგიის რამდენიმე პრობლემურ საკითხზე, ისტორიულ-ფილოლოგიური კრებული – „ელიზბარ ჯაველიძე 75“, თბილისი.

ვეფხისტყაოსანი 2011, შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი.

იმნაიშვილი 1961, გამოცხადებისა წმიდისა იოვანე მახარებელისა, ი. იმნა-იშვილი, იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ძველი ქართული ენის კათედ-რის შრომები, თბილისი

ინგოროყვა 2016 (I), ინგოროყვა პ., რუსთველოლოგიური თხზულებანი, I, თბილისი.

ინგოროყვა 2016 (II), ინგოროყვა პ., რუსთველოლოგიური თხზულებანი, II, თბილისი.

ინგოროყვა 2016 (III), ინგოროყვა პ., რუსთველოლოგიური თხზულებანი, III, თბილისი.

თვალთვაძე 2009, თვალთვაძე დ., ეფრემ მცირის კოლოფონები, თბილისი.

კარიჭაშვილი 2016, კარიჭაშვილი ლ., მზე დგას ზენიტში (პავლე ინგოროყ-ვას რუსთველოლოგიურ თხზულებათა ოთხწიგნეულის კორპუსი), წიგნში – პავლე ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, IV, თბილისი.

კარიჭაშვილი 2019, კარიჭაშვილი ლ., კიდევ ერთხელ რუსთაველის შესა-ხებ, კრებული „რუსთველოლოგია“, X, თბილისი.

კეკელიძე 1973, კეკელიძე კ., ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწე-რისა, წიგნში – ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. 12, თბილისი.

სულავა 2009, სულავა ნ., „ვეფხისტყაოსანი“ - მეტაფორა, სიმბოლო, ალუ-ზია, ენიგმა, თბილისი.

ქართლის ცხოვრება 1955, ქართლის ცხოვრება, ტომი I, ტექსტი დადგენილი

ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.

ქართლის ცხოვრება 2008, ქართლის ცხოვრება, თბილისი.

ქართლის ცხოვრება 2011, ქართლის ცხოვრება. ტექსტი ახალ ქართულ ენაზე თარგმნა და კომენტარები დაურთო ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილმა. თბილისი.

ღაღანიძე 2002, ღაღანიძე მ., „ვეფხისტყაოსნის“ გმირები შინ და გარეთ, ლიტერატურა და ხელოვნება, №1, თბილისი.

ღაღანიძე 2016 (I), ღაღანიძე მ., რუსთველის კვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რელიგიური აღმსარებლობის შესახებ მე-20 საუკუნის საზოგადოებრივ-კულტურულ კონტექსტში, „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ადგილი მსოფლიო მწერლობაში: თანამედროვე ინტერპრეტაციები: საერთაშორისო კონფერენცია (კონფერენცია ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ შექმნიდან 850-ე საიუბილეო წლის-თავს) (მასალები), თბილისი.

ღაღანიძე 2016 (II), ღაღანიძე მ., ვასილ ბარნოვი „რუსთველიანას“ წინააღმდეგ, წიგნში - პავლე ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, IV, თბილისი.

ჩხეიძე 2016 (I), **ჩხეიძე რ.**, „ვეფხისტყაოსანი“ – მომავლის ორიენტირად (პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიური ოთხწიგნეული), წიგნში – პავლე ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, I, თბილისი.

ჩხეიძე 2016 (II), **ჩხეიძე რ.**, ოპ, ეს ვარიანტული სახესხვაობანი, წიგნში – პავლე ინგოროყვა, რუსთველოლოგიური თხზულებანი, IV, თბილისი.

ხინთიბიძე 2018; ხინთიბიძე ე., თანამედროვე რუსთველოლოგიური კვლევებით კომენტირებული ვეფხისტყაოსანი, თბილისი.

ჭელიძე 2015-2016, ჭელიძე ვლ., ქართული საისტორიო პროზის განვითარების ადრეული ეტაპები, ნაწილი პირველი, ჟურნალი „ქართული წყაროთმცოდნეობა“, XVII-XVIII, თბილისი.

ჭელიძე 2016, ჭელიძე ვლ., ქართული საისტორიო პროზის განვითარების ადრეული ეტაპები, ნაწილი მეორე, ჟურნალი „სჯანი“, 17, თბილისი.

ჭელიძე 2017, ჭელიძე ვლ., ჰერეთის ერისთავი შოთა (რუსთველიანას კვალდაკვალ), კრებული „რუსთველოლოგია“, VIII, თბილისი.

ჭელიძე 2018, ჭელიძე ვლ., ქართლის (იბერიის) მეფე-ერისთავთა დინასტიური წარმომავლობა (პირველწყაროს ლიტერატურული მოდელი – ფიქციიდან არაფიქციისკენ), ჟურნალი „ქართული წყაროთმცოდნეობა“, XIX-XX, თბილისი.

ჭელიძე 2021, ჭელიძე ლ., ჰერეთის ერისთავი და მეჭურჭლეთ-უხუცესი შოთა („ოდეს მოწყალებისა კარი ჩამოა სნეს თათართა“), ჟურნალი „ანეული“, 1,

ობიგისი.

mitai-Preiss 1995, Amitai-Preiss R. *Mongoly and mamlyuki, 1260-1281*, Cambridge: Cambridge University Press.

Bedrosian 1976, Grigoli Bar-Hebraus, *Syriac Chronicle*, Bedrosian Publishing Esbroeck 1984; *Les versions géorgiennes d'Épiphane de Chypre, Traité des poids et des mesures*, édité par Michel-Jean van Esbroeck, Louvain.

Elbakidze 2010, Elbakidze M. *The Chronotope of Shota Rustaveli's Romance "The Knight in the Panther's Skin" in the Context of Theory of Liminality*, KADMOS.

Available at: <https://kadmos.iliauni.edu.ge/index.php/kadmos/article/view/47/37> (Accessed 12.11.2020).

Lerner 2003, *The Wellspring of Georgian Historiography: The Early Medieval Historical Chronicle 'The Conversion of Kartli' and 'The Life of St Nino'*, by Constantine B. Lerner.

Chelidze 2022, Chelidze VI., *Linguistic, Historical and Literary Parallels of Folk Meta-proverbs (In the Footsteps of Georgian Folklore)*. *English Language, Literature & Culture*. Vol. 7, No. 1.

თინა აბულაშვილი (საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტი)

ციხე-ქალაქი ლორე

(ისტორიულ-არქეოლოგიური მიმოხილვა)

შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი ლორე მდებარეობს ქვემო ქართლში, ისტორიულ ტაშირში, მდ. დებედას მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ლორი-ბერდის ტერიტორიაზე, რომელიც ახლა მოქცეულია სომხეთში, სტეფანავანის რ-ნის ფარგლებში. მის შესახებ მოგვითხრობენ როგორც წერილობითი წყაროები, ისე არქეოლოგიური მონაპოვარი. იგი იხსენიება შემდეგ წყაროებში: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“; „ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაზე“; „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“; ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი, მეორე და მესამე ტექსტი; პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“; ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“; იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერა“; XII-XVIII სს. ისტორიული საბუთები - ქრონიკები; ქართ. სამართ. ძეგ; სამხ. საქ. ისტ., საქ. სიძ., დოკ. საქ. სოც. ისტ., მასალები საქ. ისტ., ნიკო დადიანის „ქართველთ ცხოვრება“; ბარბაროს „მოგზაურობა“; ჰასან რუმლუს „აჰსან ათთავრიზი“; XVI ს-ის თურქული წყაროები; დონ კრისტოფორო დე კასტელის „ცნობები და აღბომი საქართველოს შესახებ“; იოჰან გიულდენშტედტის „მოგზაურობა საქართველოში“¹.

ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ ამ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლის ისტორიულ-არქეოლოგიური სურათი, მის ტერიტორიაზე არსებული მიწისქვეშა და მიწისზედა არქეოლოგიური ძეგლები და ვაჩვენოთ მისი ფუნქციონირების პერიოდი.

ლორე-ტაშირი საქართველოს ისტორიულ ტაშირ-გოგარენის მხარეს მოიცავდა და სტრატონის ცნობით ის თავდაპირველად იბერიას ეკუთვნოდა. ტაშირის სომხეთის ქედის თხემის სამხრეთით მდებარე ტერიტორია ეკავა ლორეს ვაკის ჩათვლით. მას შუაზე კვეთდა მდ. ტაშირისწყალი, ახლანდელი ძოგარეთი. მის შესართავთან მდებარეობდა ლორე. ვახუშტი ბაგრატიონი ამ მხარეს ასე აღწერს: „ხოლო ლოქის მთის სამხრით კერძოს მდინარენი, რომელნი დიან და მიერთვიან

¹ ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013.

ტაშირის წყალსა, იგი ერთვის ლორის ციხესთან მდინარეს დებედას²; „არს შემკობილი მთითა და ბართა, რამეთუ არა არს ადგილი, რომლისა მთა-ბარი არა იყოს ესრეთ“³. ლორე X ს-ში დაარსდა და 1065 წლიდან ტაშირ-მოგარეთის სამეფოს ცენტრი გახდა⁴. დედაქალაქთან სიახლოვე ამ კუთხეს განვითარებისათვის დიდ უპირატესობას უქმნიდა. მაგისტრალური და საქარავნო გზები, მდიდარი სასოფლო-სამეურნეო რაიონები, საზამთრო და საზაფხულო საძოვრები რეგიონის სწრაფ განვითარებას უწყობდა ხელს. ტაშირ-მოგარეთის მეფეთა გაბატონების შემდეგ ქვემო ქართლის გარკვეულ ტერიტორიას „სომხითი“ დაერქვა. ეს სახელწოდება წყაროებში მხოლოდ X ს-ის შემდეგ გვხვდება⁵. ზოგადი ტერმინი „სომხითი“ ზოგჯერ ქვემო ქართლის შემადგენელი ნაწილების სახელებითაც აღინიშნებოდა: ლორე, ყოველი სამშვილდე, ქუემო კერძო ქუეყანასა სომხითისა და ა. შ. სომეხი ისტორიკოსი ვარდანი აღნიშნავდა, რომ X ს-ში ტაშირის მხარეში წათმეულ ციხე-ქვეყნებს ქართველები სომხითს უწოდებენ⁶. გარკვეულ დროს, შესაფერის ისტორიულ პირობებში, ქვემო ქართლის დიდ ნაწილს ტაშირი ერქვა. ის თავიდან სასაზღვრო რაიონი იყო სომხეთისა და ქართლის სამეფოს შორის. XII ს-ში სახელი „ლორე“ მთელ ტაშირზე იყო გავრცელებული⁷. XII-XIII სს-ში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ორი ადმინისტრაციული ერთეული – გაგისა და ლორეს სანაპირო საერისთავოები არსებობდა. XIII ს-დან მოყოლებული ქვემო ქართლმა, მთელ აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთად, მონღოლების, თემურ-ლენგისა და სხვა მომთაბარე ტომთა გამუდმებული შემოსევების გამო ძნელბედობის ხანა გადაიტანა, ხოლო XV ს-ის ბოლოს, როდესაც საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ქართლის სამეფოში ქვემო ქართლი საბარათიანოს სახელით შედიოდა თავისი ციხეებით, კოშკებით, სასახლე-რეზიდენციებით, მონასტრებით და სასაფლაოთი⁸. XV-XVIII სს-ის წერილობით წყაროებში სომხითი ქვემო ქართლის მხოლოდ ერთ ნაწილს ეწოდებოდა. სომხითი ერქვა ბოლნის-შულავე-

² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ ტ. IV, თბ., 1973, გვ. 312, 16-18.

³ ვახუშტი ბარათიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, გვ. 31.

⁴ ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან ქვემო ქართლი. ნაკ. I, თბ., 1979, გვ. 73, 129.

⁵ ჯავახიშვილი ივ., საქართველოს საზღვრები, თბ., 1919, გვ. 21.

⁶ ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან ქვემო ქართლი, ნაკ. I, თბ., 1979, გვ. 37.

⁷ იქვე გვ. 51, 77.

⁸ იქვე გვ. 81; 92.

რის ხეობებსაც და მათ შორის მცირე ხეობებსაც⁹. ვახუშტი ბაგრატიონი მათ ქართლის სომხითად მოიხსენიებს: „დებედიდამ ბოლნისის დასავლეთ მცირე მთამდე და ქციის მდინარიდამ ლელვარ-ლოქის მთამდე“¹⁰. ასეთი ტერმინი სხვა წყაროებში არ გვხვდება. ეს ტექნიკური ტერმინი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ტერმინიც უნდა ყოფილიყო და ალბათ ამ მხარის ქართულ და არაქართულ მოსახლეობას გულისხმობდა.

განსაკუთრებული სტრატეგიული და სამხედრო მნიშვნელობის გამო ლორე საქართველოს სანაპირო საერისთავოს ცენტრსა და ამირსპასალართა რეზიდენციას წარმოადგენდა. საუკუნეების მძიმე ლორე ხელიდან ხელში გადადიოდა და მტრისაგან მრავალჯერ იყო აღებული და განადგურებული. 1117 წ. მეფე გიორგი III-ის (1156-1184) წინააღმდეგ მოწყობილ ორბელთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ ლორე ყუბასარს გადაეცა. 1118 წელს დავით აღმაშენებელმა ლორე საქართველოს შემოუერთა და გააუქმა სომეხ ფეოდალთა მმართველობა. 1186 წელს ლორე თამარმა მხარგრძელთა საგვარეულოს უბოძა სამართავად: „და განაჩინა ამირსპასალარი სარგის მხარგრძელი... და უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხთისა შინა, და წყალობა ყო ძისაცა მისისა ზაქარიას“¹¹. ამ პერიოდში ლორე განვითარდა, აშენდა სასახლეები, ეკლესიები ხიდები. 1236 წ. ლორე მონღოლებმა დაარბიეს, 1400 წელს კი თემურ-ლენგმა ააოხრა¹². XIV ს-ის II ნახევარში ლორე თურქმანმა ტომებმა დაიკავეს „მოვიდნენ სარკინოზნი და აღიღეს ლორე“¹³, რის შემდეგ ალექსანდრე მეფემ შემოიმტკიცა: „მეფემან ალექსანდრე ლორე აიღო, და კუალად იხება აღშენება ყოველთა საქართველოს ციხეთა და საყდართა“¹⁴. შემდეგში ოსმალებმა ისევ დაიპყრეს ლორეს ციხე, რომლის გასათავისუფლებლად დიდხანს იბროდა სვიმონ მეფე. ბოლოს მეფემ აიღო ციხე, მაგრამ ოსმალებმა დაიბრუნეს ის და მეფე სვიმონი დაატყვევეს, „ხოლო ოსმალთა აღიღეს ლორე, დაადგინეს

⁹ იქვე გვ. 99.

¹⁰ ვახუშტი ბარატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, გვ. 37.

¹¹ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 33.

¹² ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან ქვემო ქართლი ნაკ. I, თბ., 1979, გვ. 79, 84, 87, 90.

¹³ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ ტ. IV, თბ., 1973, გვ. 280.

¹⁴ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 474.

მას შინა მცველნი“; „შეიპყრეს მეფე სვიმონ, წარიყვანეს და მიჰგვარეს ფაშას“¹⁵. ლორეს ციხე შემდეგში მეფე გიორგიმ დაიბრუნა. XIV-XV სს-ში ლორე დაქვეითდა და მხოლოდ ციხე-სიმაგრის ფუნქციები შეერჩა. XVII ს-ში შაჰ-აბასმა ლორე ცალკე მაჰმადიანურ სახანოდ აქცია „დაიპყრა ციხე ლორისა შააბაზ და შეაყენნა სპანი თჳსნი“¹⁶, XVII-XVIII სს-ში კი ირან-ოსმალთა და ლეკთა შემოსევების შედეგად ლორე სრულიად გაუკაცრიელდა¹⁷. XIX საუკუნეში ეს კუთხე „ლორე-ბამბაკი“ თბილისის გუბერნიაში შედიოდა, ხოლო შემდეგ სომხეთს გადაეცა.

პირველი არქეოლოგიური გათხრები მდ. დებედის ხეობაში, სოფ. ვორნაკთან, 1893 წელს აწარმოა ნიკო მარმა. მან გათხარა წინარექრისტიანული სამაროვანი და გამოავლინა ქვის ყუთები მდიდარი ივენტარით. რუსეთის არქეოლოგიურმა კომისიამ ვორნაკში მოპოვებული ნივთები სხვადასხვა დაწესებულებებს გადაუნაწილა: ერმიტაჟს გადასცა 68 ნივთი, ისტორიულ მუზეუმს 247, არქეოლოგიურ ინსტიტუტს 18, თბილისში დარჩა 60 ნივთი, ხოლო ენშიაძინში გაიგზავნა 95¹⁸. სამწუხაროდ ეს მასალა არ გამოქვეყნებულა.

შუა საუკუნეების ლორეს ციხე მდებარეობდა მაღალ სამკუთხა პლატოზე, ზ. დ. 1500 მ სიმაღლეზე. მას ორი მხრიდან ხეობები იცავდა, მესამე მხრიდან კი ციხესიმაგრეთა კლდის სისტემა. ციხის კედელი რომლის სიგრძე 200 მ-ს აღწევდა ციტადელის როლს ასრულებდა. კედელზე სავარაუდოდ იყო მრგვალი და კვადრატული კოშკები. ციხიდან მდინარემდე გვირაბი გადიოდა. 1830-1831 წწ. ციხის ნანგრევებთან აღმოჩნდა ვერცხლის მონეტების განძი, რომელიც 2430 მონეტისაგან შედგებოდა. მათ შორის 600 ბიზანტიური მონეტა იყო და, სავარაუდოდ, ტრაპეზონის ასპერების მინაბაძს წარმოადგენდა. 503 აღმოსავლური მონეტიდან 13 ჯუჩიდიური იყო, 22 ჰულაგუიდიური, 9 ჯელაიართა, 16 თემურ-ლენგის, 47 თემურიდების, 50 შირვანშაჰების, 8 ოსმანიდების, 3 მამელუქების, 90 ყორა-ყონილუ, 9 აყონილუ და 67 ქართული მონეტა. განძი დათარიღდა XV ს-ით. დაცულია სანკტ-პეტერბურგის აზიურ მუზეუმში.¹⁹

1968 წ. არქეოლოგიური გათხრები ციხე-ქალაქ ლორეს ტერიტორიაზე

¹⁵ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ ტ. IV, თბ., 1973, გვ. 418.

¹⁶ ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 537.

¹⁷ ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან ქვემო ქართლი. ნაკ. I, თბ., 1979, გვ. 52, 114.

¹⁸ Миханкова В., Николай Яковлевич Марр, Л-М., 1949.

¹⁹ ლუნდა გ., სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV ს. საქართველოში, თბ., 1964, გვ. 37, 81, 82.

აწარმოა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ. ციხე-სიმაგრის გათხრების შედეგად გამოვლინდა სასახლის ნაშთები, ორი აუზითა და შადრევნით, ციტადელისა და ზოგიერთი ნაგებობის ნაშთები. გაითხარა XI-XIII სს-ის ორი აბანო. პირველი აბანო ოთხი განყოფილებისაგან შედგებოდა, რომელთაგან ერთი გასახდელ დარბაზს წარმოადგენდა, სამი კი საბანაო განყოფილებას. გამოვლინდა საცეცხლური, საკვამლე, საქვაბე ცივი წყლისათვის, წყალსადენის თიხის მილები. მეორე აბანო ორი განყოფილებისაგან შედგებოდა - საბანაო და გასათბობი განყოფილება. საბანაო განყოფილებებს ჰქონდათ ორმაგი იატაკი, რომელშიც გადიოდა კვამლი და ათობდა ოთახს.

1969-1973 წწ. იმავე ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ შეისწავლა ლორი-ბერდის ნამოსახლარი და სამაროვანი. ნამოსახლარი მდებარეობდა სოფ. ლორი-ბერდში, მდ. მისხანის მარცხენა ნაპირზე. ნამოსახლარის დიდი ნაწილი დაზიანებული იყო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა გეგმაში არასწორი ოთხკუთხედის ფორმის ციკლოპური წყობით ნაგები საცხოვრებელი ნაგებობა, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის სიგრძე 24 მ, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთისა 26 მ იყო, კედლების სისქე 2,5 მ-ს შეადგენდა. შიგნით სივრცე 1,2 მ სისქის კედლით ოთხ მართკუთხა ოთახად იყო გატიხრული. იატაკი რიყის ქვის იყო, თიხით გადალესილი. აღმოსავლეთი კედლის ცენტრში დაფიქსირდა წრის მეთხედის ფორმის მოედანი. ეს იყო მონუმენტური ქვის ნაგებობა, რომლის კედლები ქვით, მშრალი წყობით იყო ნაგები. ნამოსახლარს გარშემო ჰქონდა 7 მ სიგანის ციკლოპური კედელი. აღმოჩნდა შავპრიალა და მონაცრისფრო თიხის ჭურჭელი, რომელიც ჩარხზე იყო დამზადებული. ქოთნები და ჯამები გეომეტრიული ორნამენტით და მებანდრებით იყო შემკული. ჭურჭელი მონატული იყო წითელი და შავი ფერებით. ჭარბობდა ჰორიზონტალური სარტყელები, ირიბი დაშტრიხული რომბების რიგი, პარალელური ტალღოვანი ხაზები. ასევე აღმოჩნდა ხელსაფქვაკები, სანაყები, სასრესები, ობსიდიანის ისრისპირები, კაჟის ნამგლის ჩასართები, სალესი ქვები, სატეხი, სადგისი, საფხეკები და სხვ. ნამოსახლარი ძვ. წ. XVIII ს-ის მეორე ნახევრით - XVI ს-ის დათარიღდა. ნამოსახლარზე ასევე გამოვლინდა ძვ. წ. VIII-VI სს-ის კულტურული ფენა რომელიც ძლიერ იყო დაზიანებული და მხოლოდ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა²⁰. ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ ლორი-ბერდის ნამოსახლარი წარმოადგენდა ქალაქური ტიპის გამაგრე-

²⁰ Деведжян С. Лори-берд, результаты раскопок 1969-1973, т. I, Ереван, 1981, с. 17, 18.

ბულ ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ და სავაჭრო ცენტრს.²¹

სოფ. ლორი-ბერდის ჩრდილო-აღმოსავლეთით შესწავლილი იქნა სამაროვანი, რომლის უდიდესი ნაწილი ასევე განადგურებული იყო. შესწავლილ იქნა 13 სამარხი, რომელთა შორის იყო ყორღანები (№7,9,10), კრომლეხები (№4,8,13), ქვის სამარხები (№3) და ორმოსამარხები (№11,12). ყორღანების დმ 1-2 მ-ს, სიმაღლე 0,5-2 მ-ს შეადგენდა, კრომლეხების დმ 4-15 მ-ს. სამარხების დამხრობა სხვადასხვაგვარი იყო: ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ან აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მიცვალებულების პოზის დადგენა შეუძლებელი იყო, თუმცა ზოგიერთ სამარხში, მიცვალებულები დაკრძალული იყვნენ მარცხენა გვერდზე კიდურებმოკეცილი, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხთა ერთი ნაწილი კრემაციული იყო. დადასტურებული იქნა სამარხთა მეორადი გამოყენების შემთხვევაც. სამაროვანზე მიცვალებულთან ერთად აღმოჩნდა ცხენისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დასაფლავების ფაქტებიც. სამარხთა უმრავლესობა გაძარცვული იყო. აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს, რკინის, ქვისა და ძვლის საყოფაცხოვრებო ნივთები; ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის სამკაული; სარიტუალო ან სამზარეულო დანიშნულების თიხის ჭურჭელში იყო შავპრიალა, სადაზედაპირიანი, ორნამენტირებული, წითელი ან თეთრი საღებავით მოხატული ჭურჭელი: დაბალყელიანი, მრგვალმუცლიანი, პირგადმოკეცილი ქოთნები, ბიკონუსური, დაბალყელიანი დოქები; ინკრუსტირებული ჯამები, ღია წითელ ფერში ანგობირებული სანელსაცხებლე და სხვ. ბრინჯაოს ნივთებიდან აღსანიშნავია სოლისებურღეროიანი ფრინველის ფიგურები, ეტლის მოდელი, რომისებური ორნამენტით შემკული ხარის თავი, ცხენის მორთულობის ფრაგმენტები, ფოთლისებური ფორმის გრძელყუნწიანი ისრისპირები, დანები, ლურსმნები, სხვადასხვა ფორმის ეყვნები, ბალთები და სხვ. სამაროვანზე რკინის ნივთები (მოხრილი დანები, ლაგამი და აღვირის ფრაგმენტები) მცირე რაოდენობით იყო აღმოჩენილი, მხოლოდ ორ სამარხში აღმოჩნდა (№№2, 4). სამკაულიდან აღსანიშნავია ბრინჯაოს, ვერცხლის სადა ან დაკბილულ ზედაპირიანი, თავებგახსნილი, გველისთავებიანი სამაჯურები; რგოლები; ფიბულები; ოქროს დიადემა, წერტილოვანი ორნამენტით და ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებით; ოქროს სამკუთხა ფირფიტაზე დამზადებული ნახევარწრეებით, სამკუთხედებითა და ცვარათი შემკული საყურე; სხვადასხვა ფორმის ბრინჯაოს, სარდონის, აქატის, იასპის, ქარვის, თეთრი და ცისფერი პასტის მძივები; ძვლის

²¹ Devedjian S., Lori Berd (Bronze moyen), II, Erevan, 2006.

და ქვის იარაღებიდან აღმოჩნდა კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირები; ფიქალის ქვის ყალიბი მძივებისათვის; ძვლის გრავირებული ბალთა; კონუსური ფორმის ქვიშაქვის საბეჭდავი და სხვ.²². სამაროვანი დათარიღდა ძვ. წ. XVI-VI სს-ით.²³ როგორც ვხედავთ, ლორი-ბედი ფუნქციონირებდა ხანგრძლივი დროის მანძილზე და ის ერთ-ერთი მსხვილ პოლიტიკურ და სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა ძველ საქართველოში.

²² Деведжян С. Лори-берд, результаты раскопок 1969-1973, т. I, Ереван, 1981, с. 24, 50, 62, 149.

²³ იქვე.

ვიქტორ ბალათურია (თბილისის ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
იგორ კეკელია (ფოთის №15 საჯარო სკოლა)

ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან

XIX ს-ის II ნახევარსა და XX საუკუნის ათიან წლებში ახალსენაკის ცხოვრებაში მომხდარმა არაერთმა მნიშვნელოვანმა ამბავმა გამოძახილი ჰპოვა იმდროინდელი ქართული პრესის ფურცლებზე. ეს ცნობები ერთი შეხედვით უმნიშვნელოდაც შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცა დაბის ყოველდღიურობის, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ისტორიის შესასწავლად საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. სამეურნეო-ეკონომიკური ხასიათის ძვრებთან ერთად გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა თეატრალური მიმართულებითაც, რაც არსებითად შეესიტყვებოდა ახალსენაკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპს XIX ს-ის 70-90-იან წლებში. შეიძლება ითქვას, რომ იმდროინდელი დაბა ახალსენაკი თეატრალური კულტურის მეტად რთული და საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობდა.

1868 წლის 11 აპრილს მწერლისა და საზოგადო მოღვაწის – ანტონ ფურცელაძის (1839-1913 წწ.) ინიციატივით დაბა ზუგდიდში დაიდგა მოლიერის „ძალად ექიმი“ (თარგმანი რ. ერისთავისა)¹. 1873 წელს სენაკის მაზრის სოფელ ბანძაში ალ. იოსელიანმა დადგა შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“, ხოლო 1874 წლის 25 აპრილს სოფ. სუჯუნაში წარმოადგინეს ა. ცხვედაძის „ბედნიერი ქორწილი“² და მეფარიონის „ქმრები გავაბით მახეში“ (რეჟისორი ა. იოსელიანი). ერთი წლის შემდეგ ამავე სოფელში სკოლის სასარგებლოდ ადგილობრივი სცენისმოყვარეების ძალეებით დაიდგა მოლიერის „სკაპენის ცუდლულტობა“³.

1850 წელს გიორგი ერისთავის მიერ დაარსებული თეატრი მიჩნეულია საქართველოში პირველ ქართულ პროფესიულ თეატრად, რამაც ხელი შეუწყო საქართველოს დაბა-ქალაქებში სცენისმოყვარეთა მიერ თეატრალური წარმოდგენე-

¹ გ. გაბისონია, ა. ბარამია, ზუგდიდის თეატრი, თბ., 1968: 4

² 1881 წელს აღნიშნული სპექტაკლი წარმოდგენიათ სოფ. კავთისხევშიც. „დროება“, №106, 24 მაისი, 1881: 2

³ იქვე: 5; ფრანგი დრამატურგისა და თეატრალური მოღვაწის – ჟან ბატისტ პოკლენის, იგივე მოლიერის, შემოქმედებას საქართველოში XIX საუკუნეში გაეცნენ. მისი „სკაპენის ოინები“ თარგმნა აკაკი წერეთელმა (სათაურით „სკაპენის ცუდლულტობა“)

ბის გამართვას. არც ახალსენაკის საზოგადოება ჩამორჩენია ამ კარგ წამოწყებას⁴.

თეატრალურმა ცხოვრებამ განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიიღო 80-იანი წლებიდან. **სცენისმოყვარეთა პირველი თეატრალური წარმოდგენა ახალსენაკში 1881 წლის 8 თებერვალს გაიმართა.** დაიდგა მოლიერის „ძალად ექიმი“. თუ ვინ იყო წარმოდგენის თაოსანი ან მონაწილე, სამწუხაროდ, დაუდგენელია. „დროება“ აღნიშნავს მხოლოდ ფაქტს სპექტაკლის წარმოდგენის შესახებ: „ახალ-სენაკიდან გვწერენ, რომ ამ თვის 8-ს იქ ყოფილა ქართული წარმოდგენა. მოთამაშეებს, განსაკუთრებით ქალებს, ძალიან რივიანათ შეუსრულებათ თავისი როლები“, და რეპორტიორი ბოლოს დასძენს: „მაგრამ ყველაზე უფრო მომეტებული ყურადღება დაუმსახურებია ერთს ქალს – ნ. ჩ.-ს, რომელსაც ქართული სიმღერები უმღერია“⁵.

ამავე წლის 20 თებერვალს იმავე სცენისმოყვარეთა მონაწილეობით წარმოდგენიან „ძალად ექიმი“ და გიორგი ერისთავის⁶ კომედია „გაყრა“. გახეთ „დროების“ 1881 წლის №40-ში „ახალი ამბების“ რუბრიკით გამოქვეყნებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ახალსენაკში ნორმალური სკოლის სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენას მრავალი ადამიანი დასწრებია. პირველი კომედია („ძალად ექიმი“) სცენისმოყვარეებს სუსტად წარმოდგენიან, რის გამოც საზოგადოება უკმაყოფილო დარჩენილა. ზოგს ძილიც მოსდიოდაო, აღნიშნავს რეპორტიორი და დასძენს, რომ მეორე კომედია მაყურებელს უფრო გულთბილად მიუღია. გამხიარულებული საზოგადოება მალ-მალე ტაშს უკრავდა მსახიობებს. განსაკუთრებული მოწონება სომეხი მიკირტუმას როლის შემსრულებელს – ახვლედიანს დაუმსახურებია, „ამ წარმოდგენაში საქები იყო ბ. ახვლედიანი (სომეხი), რომელმაც კარგა ოსტატურათ წარმოადგინა ეს როლი“. ავტორი იქვე დასძენს: „ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა სცენაზედ ჩვენ მოთამაშეებს, მაგრამ მე უნდა შევნიშნო მარტო შემდეგი: ყველანი ერთობ ძრიელ ჩქარობენ ლაპარაკში; მათი ლაპარაკი წააგავს უფრო ერთი ხმით წიგნში კითხვას, ვინემ დამჯდარ ბაასს“⁷.

⁴ ნ. ლაშხია, დაბა ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №6, 14 იანვარი, 1963, გვ. 4

⁵ „დროება“, №34, 14 თებერვალი, 1881

⁶ გიორგი ერისთავი (1813-1864 წწ.) იყო ქართველი დრამატურგი, პოეტი და თეატრის მოღვაწე.

⁷ „დროება“, №40, 24 თებერვალი, 1881, გვ. 2; სენაკის თეატრალური ისტორიის საკითხებზე მიმოხილვითი ხასიათის საგაზეთო სტატიები გამოქვეყნებული აქვთ საქართველოს თეატრალური მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელს – ნათელა ლაშხიას და დ. გვეენავას. მსჯელობისათვის იხ. ნ. ლაშხია, დაბა ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №6, 14. 01. 1963; მისივე, პირველი სპექტაკლი – 1881 წელს. გაზ. „კოლხეთი“, №6, 14. 01. 1978; მისივე, ასიკო ცაგარელი ახალსენაკში. გაზ. „კოლხეთი“, №24, 24. 02. 1977: 4; დ. გვეენავა, თეატრალური კოლექ-

გაზეთი „დროება“ (№45) წერდა, რომ ახალსენაკის პირველი სცენისმოყვარენი დიდი ხალისით მოჰკიდებიან საქმეს. თეატრალურ საკითხებში გათვითცნობიერებული რეპორტიორის სტატიის მიხედვით მოცემულია სცენისმოყვარეთა მიერ აქტიური შესრულების დონე. ავტორის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი თეატრს არც კი იცნობდა, მაინც მშვენივრად შეუსრულებით ნაკისრი როლები. თავისთავად ეს ინფორმაცია უაღრესად მნიშვნელოვანია ახალსენაკის თეატრალური ისტორიის შესასწავლად. ამიტომ „დროების“ უცნობი ავტორის კორესპონდენტის აქვე უცვლელად დავიმოწმებთ:

„ახალ-სენაკი, 22 თებერვალს. ახალსენაკელები თითქო ეჯიბრებიან და არ უნდათ უკან ჩამორჩნენ იმ მოწინავე პირებს, რომელნიც კისრულობენ თავის თავზე სხვადასხვა გვარს შრომას ქველმოქმედებითი საქმის მისაწვენელად. ეჭვი არ არის, რომ დიდრონ ქალაქებში, საცა დიდი საზოგადოებაა, ამნაირი მიზნის ასრულება უფრო ადვილია, მინემ იმისთანა მიყრუებულს ადგილს, როგორც ახალ-სენაკია.

მაგრამ ამ ბოლოს დროს აქაც გამოიჩინეს ამნაირი კეთილი სურვილი და ყოჩახათ შეასრულეს, რაც მონიღომეს. მე ვამბობ თეატრზე.

ოც ამ თებერვალს აქ წარმოადგინეს „ძალათ ექიმი“ – მოლიერიის და „გაყრა“ – გ. ერისთავის კომედიები. ეს იყო მეორე წარმოდგენა ამ მოკლე ხანში ახალ-სენაკში. წინაკვირებში ითამაშეს მარტო „ძალათ-ექიმი“.

ხანდისხან კაცი იმისთანა ადგილს ისრეთს მოულოდნელს მოვლენას წააწყდება, რომ თითქო ზარდაცემულივით გაბეცებული რჩება და ფიქრობს: აქამდის რატომ არ მომაგონდა ესაო? სწორეთ ესრე იყო აქაც: როცა ვიღაცამ ასტეხა ლაპარაკი, მოდი ერთი წარმოვადგინოთ ახალ-სენაკშიც რამეო. უმეტესი ნაწილი წინააღმდეგი იყო ამისთვის, რომ ვაი თუ არავინ მოვიდესო, ვაი თუ წარმომადგენლები ვერ ვიპოვნოთ და ან თუ ვიპოვნეთ, ვერ წარმოადგინონო და სხ. ახლა წარმოდგინეთ იქამდის გადასძლია კეთილმა სულმა, რომ, არათუ ერთხელ, ორჯერაც ზედიზედ წარმოადგინეს ამ მოკლე დროში.

ამ წარმოდგენებში მიიღეს მონაწილეობა იმისთანა პირებმა, რომელნიც ჯერ არ ყოფილან თავის დღეში სცენაზე და მგონი ნახვითაც ბევრი არ უნახავთ; ზოგი მოთამაშებთაგანი ჭკალარა წვერ-ულვაშის მექონნი აღტაცებით აღებდნენ როლებს და ყმაწვილური ხალისით ასრულებდნენ თავიანთ საქმეს. ყველანი ისეთის ხალისით და გულითადის სურვილით სცდილობდნენ, რომ თითქო ერთიმეორეს ეჯიბ-

ტივები ახალსენაკის მაზრაში. გაზ. „ავანგარდი“, №145, 13. 12. 1959; №150, 25. 12. 1959; მისივე, ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. ჟ. „საბჭოთა ხელოვნება“, №9, 1960: 58-60

რებიანო, – არა, მე ვავაობო, არა – მეო. ყოველ შემთხვევაში არ შემიძლია არ დავასახელო ისინი, რომელთაც ღირსეულად დაავგირავკინეს საერთო შრომა: კნ. ვ. დადიანისამ, მ. ხოფერიასამ, ბ. ბებურიშვილისამ და კნ. ნ. მხეიძისამ. მაღლობის ღირსნი არიან ეს სსენებული ქალბატონები არა მარტო იმისთვის, რომ არ იუცხოვეს სცენაზე გამოსვლა და კიდევაც მშენიერათ ითამაშეს, იმისთვისაც, რომ თავიანთის თავდაბლობით, მოთმინებით და სრულის სიყვარულით მაგალითს აძლევდნენ იმ მოთამაშებს, კაცებს, რომლებიც უფრო უსასოთ ეკიდებოდნენ საქმეს. კაცებში სწორეთ ნამდვილი სცენის ნიჭი გამოიჩინეს დ. ჟვანიამ – მევაქსის და ივანეს როლში, გ. ბებურიშვილმა ანდუყაფარის როლში, ენუქიძემ – აქაურმა მასწავლებელმა, ლომინაძემ – სმოტრიტელმა და ბ. ქავთარაძემ.

ორივე წარმოდგენაზე მაყურებელით სავსე იყო ზალა და ხუთ-ხუთ მანეთს იძლეოდნენ, ოღონდ შესვლის ნება ქონოდათ. საზოგადოებამ ითხოვა, კიდევ წარმოადგინონ რამე. ამ საქმის მოთავეებს ახლა უნდათ საკუთარი სახლი შეიძინონ, ბალაგანი⁸.

ახალსენაკის სცენისმოყვარეთა მიერ გადადგმულმა პირველმა თეატრალურმა ნაბიჯებმა ნაყოფი გამოიღო და, როგორც მკვლევარი ნ. ლაშხია აღნიშნავს, საქველმოქმედო მიზნით გამართული პირველი სპექტაკლების მიმართ მაყურებლის მიერ გამოჩენილმა დიდმა ინტერესმა მსახიობებს კიდევ უფრო გაუძლიერა სპექტაკლების გამართვის სურვილი. მათ გადაწყვიტეს, რომ გამოენახათ შენობა თეატრისათვის, შეეძინათ სცენისათვის საჭირო რეკვიზიტები და ტანისამოსი. განხორციელდა თუ არა მათი სურვილი, ამის შესახებ არაფერია ცნობილი, რადგან 10 წლის მანძილზე ამ საკითხზე პერიოდულ პრესაში არაფერი დაბეჭდილა⁹.

ახალსენაკში ხშირად ჩამოდოდნენ გამოჩენილი მსახიობები და მომღერლები წარმოდგენების, კონცერტებისა და მხატვრული საღამოების გასამართავად. საინტერესოა გაზეთ „ივერიის“ ცნობა ახალსენაკში ჩეხი მომღერლის, ლოტბარ იოსებ ივანეს ძე რატილის (1840-1912 წწ.) კონცერტის შესახებ¹⁰: „ჩვენს მოწყე-

⁸ ბალაგანი ეწოდება სათეატრო, საცირკო, საესტრადო წარმოდგენებისათვის განკუთვნილ დროებით ნაგებობას. სპარს. ბალახანე „ზედა ოთახი, ზედა აივანი“. ბალაგანში იდგმებოდა არლეკინიდა, ფარსები, კლასიკოსთა ძლიერ შემოკლებული ნაწარმოებები. გამოდიოდნენ მეფოკუსეები, მუშაითები, ტანმოვარჯიშეები, თოჯინების ხალხური თეატრის მსახიობები... საქართველოში რუსეთის მეფის მოხელეები ცდილობდნენ ეროვნული ხალხური სანახაობებისათვის ბალაგანის დაპირისპირებას. და იმაში გამართონ ხოლმე წარმოდგენები“ (დროება, №45, 1881: 2)

⁹ ნ. ლაშხია, დაბა ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. გაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №6, 14. 01. 1963

¹⁰ რატილი 1879 წლიდან ცხოვრობდა თბილისში. 1880 წლიდან იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი. აქ დაუახლოვდა იგი ქართველ მუსიკოსებს – ანდრია ბენაშვილს, ანდრია

ნილ დაბას ბ-ნი რატილი ეწვია თავის ქალითურთ და 28 თებერვალს გამართა კონცერტი აქაურის სამოქალაქო სკოლის დარბაზში, თუმცა საზოგადოება ნაკლებად დაესწრო, მაგრამ ბ-ნი რატილი ამ გარემოებას არ შეუშინდა და კონცერტი მშვენივრად ჩაატარა და საზოგადოება დიდი ნასიამოვნები დარჩა¹¹.

1891 წელს ახალსენაკელ სცენისმოყვარეებს წარმოუდგენიათ აკაკი წერეთლის „კინტო“, ხოლო 1892 წლის 19 იანვარს – რაფიელ ერისთავის კომედია „ძალად ექიმი“ (ორ მოქმედებად) და მისივე ვოდევილი „ბიძისთან გამოხუმრება“ (ერთ მოქმედებად). სპექტაკლში მონაწილეობდნენ ქალბატონები: ვ. ალლაძისა, ვ. ჯიჯიხიასი, კვიციანიძისა, კ. მესხისა, ნ. კალანდარიშვილისა; ბატონები: ს. ყიფიანი, ვლ. აბაშიძე, ე. კვიციანიძე, ლ. ჟვანია, კ. კალანდარიშვილი და ვ. ელიავა. ეს პირველი მაგალითია, რომ სენაკში ჩვენი განათლებული საზოგადოება მართავს ქართულ წარმოდგენას საქველმოქმედო დანიშნულებით, – წერდა „ივერიის“ კორესპონდენტი. შემოსავლის დანიშნულებას გუბერნიების დამშუელ მკვიდრთა დახმარება შეადგენდა. „ვისურვებთ, რომ ჩვენს პატივცემულს სცენის მოყვარეებს შემდეგშიაც გაემართოთ ჩვენს მიძინებულს სენაკში წარმოდგენა“, – აღნიშნავს ავტორი¹². ნ. ლაშხია თავის სტატიაში იმოწმებს ქ. სენაკის მკვიდრის, ყოფილი სემინარიელის – თეოფანე კალანდარიშვილის ნაამბობს, რომ დაახლოებით იმავე წლებში თბილისის სემინარიის მეორე და მესამე კურსის მოსწავლეებს, ახალსენაკის მცხოვრებთ, არდადეგებზე რამდენიმე სპექტაკლი გაუმართავთ ახალსენაკში. სპექტაკლში მონაწილეობა მიუღიათ თეოფანე კალანდარიშვილს, ირაკლი კალანდარიშვილს, გიორგი გამზარდიას, ივანე კალანდარიშვილს, ასევე ახალსენაკის ინტელიგენციის წარმომადგენლებს: ტრიფონ კალანდარიშვილს („ივერიის“ კორესპონდენტს), ბაგრატ ჟურულს (ბანკის თანამშრომელს) და ს. საჯავიას; ქალ-

ბალანჩივაძეს, ია კარგარეთელს, კ. მალრაძეს, ხ. სავანელს, ფილიმონ ქორიძეს, ზაქარია ჩხიკვაძეს. გაეცნო ქართული მუსიკალურ ფოლკლორს, მოიხიბლა მდიდარი, მრავალხმიანი სიმღერებით. ქართული ფოლკლორით მოხიბლული რატილი ჩაერთო ქართული საგალობლების ნოტებზე გადატანის საქმეში. მან პირველმა ჩაწერა და დაამუშავა 30-ზე მეტი ქართული ხალხური სიმღერა. მათ შორის იყო: „დაიბეგო“, „ალილო“, „კახური სუფრული“, „გურული ოდელია“, „ცანგალა და გოგონა“ და სხვ. 1885 წელს სათავეში ჩაუდგა ლადო აღნიაშვილის მიერ შექმნილ ხალხური სიმღერის გუნდს – „ქართული ხორა“. რატილის „ქართული ხორა“ შემკვიდრდა დღეს მოქმედი ანსამბლი „ერისთონი“. 1888 წელს რატილმა გუნდის ხელმძღვანელობა გადასცა მელიტონ ბალანჩივაძეს. იყო საქართველოს მუსიკალური საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე. იოსებ რატილი გარდაიცვალა 1912 წლის 17 თებერვალს. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე, კათოლიკეთა უბანში. ერის სახელით მირთმეულ გვირგვინზე ეწერა: „ქართველი ერის პატიოსან და მოჭირნახულე მგეობრის იოსებ ივანეს ძე რატილის ხსოვნას“. რატილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ იხ. ს. ლეკიშვილი, რატილი საქართველოში, თბ., 1961; ქსე, ტ. VIII, 1984, გვ. 308

¹¹ „ივერია“, №49, 6 მარტი, 1891

¹² ივერია, №17, 24. 01. 1892

ბატონებიდან: ეკა ჟურულს, გოგუცა საჯაიას, ფელოსია კალანდარიშვილს. სცენისმოყვარეებს წარმოდგენიათ თუთაევის „უშნო არშიყი“ და „ცოლები დაკარგეთ“. წარმოდგენები სოფელ შხეფშიც გაუმეორებიათ. მათი თამაში მოსწონებია ახალსენაკის შტაბის მოსამსახურეს – მ. დიდებულისძეს და უთხოვია, რომ დაბაშიც გაემართათ წარმოდგენა. მართლაც, მ. დიდებულისძის რეჟისორობით ახალსენაკში მათ წარმოდგინეს ვალერიან გუნიას „ხოლვერობა“. მ. დიდებულისძეს საკუთარი დასიც შეუდგენია და ამის შემდეგ ხშირად დგამდა თურმე სპექტაკლებს ახალსენაკში¹³.

ახალსენაკელ სცენისმოყვარეთა რეპერტუარი ყოველწლიურად ივსებოდა ახალი პიესებით. რეპერტუარის მრავალფეროვნება იწვევდა სცენისმოყვარეთა წრეების გაფართოებას, ახალი თეატრალური კოლექტივების წარმოქმნასა და განვითარებას. თანდათან იზრდებოდა მაცურებელთა მოთხოვნილებაც. დასის წინსვლას ხელს უწყობდნენ ცალკეული ენთუზიასტები, გამორჩეული ორგანიზატორული ნიჭისა და უნარის ადამიანები. ამგვარი არაერთი მოღვაწის სახელი შემოუნახავს ქართულ გაზეთებს. თეატრალური სცენა იქცა ეროვნული და პოლიტიკური თვითშეგნების ზრდისა და რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის საიმედო ტრიბუნად. რეპერტუარში უცხოურთან ერთად წამყვანი ადგილი ეჭირა ქართულ ორიგინალურ პიესებს.

1893 წლის 27 ივნისს ახალსენაკში ტფილისის ქართული თეატრის არტისტმა ვასო აბაშიძემ წარმოდგინა დრამატული ეტიუდი ერთ მოქმედებად „ტასიკო“, ახალი პიესა „სწავლული ცოლი“, სცენა-მონოლოგი ერთ მოქმედებად – ვ. აბაშიძისა, და დასასრულ „ოინბაზი“ – ვოდევილი ერთ მოქმედებად. წარმოდგენებში მონაწილეობდნენ ქ. არლანია, აბაშიძე, მჭედლიშვილი და თამაზაშვილი. „წარმოდგენას დაესწრო ჩვენი საზოგადოება და ვინც-კი დაესწრო, ყველა დიდად ნასიამოვნები დარჩა... მოთამაშებმა თავიანთი როლები სწორედ სანაქებოდ ჩაატარეს და საზოგადოებაც დიდს აღტაცებაში მოიყვანეს“, – წერდა გაზეთი „ივერია“¹⁴.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX ს-ის 90-იან წლებში ახალსენაკის სცენისმოყვარეთა წრეს ხელმძღვანელობდა მიხეილ დიდებულისძე, რომელმაც დიდი ამა-

¹³ ნ. ლაშხია, დაბა ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. ვაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №6, 14. 01. 1963

¹⁴ „ივერია“, №138, 2 ივლისი, 1893

გი დასდო სენაკში თეატრალური ცხოვრების შემდგომ განვითარებას¹⁵. იმდროინდელი პრესის ფურცლებიდან ამოკრებილი ცნობები ადასტურებს მიხეილ დიდებულიძის უდიდეს ამაგს ახალსენაკში სცენისმოყვარეთა მიერ სპექტაკლების გამართვის საქმეში.

1894 წლის 9 იანვარს მისი თაოსნობით ადგილობრივმა ქართველმა სცენისმოყვარულებმა წარმოადგინეს ვ. გუნიას „მონადირე“, ვ. აბაშიძის „ტასიკო“, მისივე „ცოლი თუ გინდათ, ეს არის“ და კ. ყიფიანის ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დასწრება. „ერთმა მოთამაშეთაგანმა ბ-ნ ნესტორ ზ. გაბუნია მეტისმეტად გაგვახალისა. მისი მიხვრა-მოხვრა, სიტყვების კარგად წარმოთქმა, აგრეთვე წარმოდგენის დასასრულ – ლეკური სწორედ მშვენიერება იყო“, –წერდა გაზეთი¹⁶.

სენაკის ქართული საზოგადოების დიდი მოწონება დაუმსახურებია 1894 წლის 23 იანვარს, კვირას, მისი თაოსნობით სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ წარმოდგენებს: „რაც არ მერგება, არ შემერგება“, ვოდევილი ერთ მოქმედებად, ვალერიან გუნიაის; „ტასიკო“ – დრამატული ეტიუდი ერთ მოქმედებად, ვასო აბაშიძისა; „დატრიალდა ჯარა“, ვოდევილი ერთ მოქმედებად, კ. ყიფიანისა, და „ხოლერობა“, ვოდევილი, ხუმრობა ერთ მოქმედებად, ვ. გუნიაის. წარმოდგენაში სულ 11 ადამიანი მონაწილეობდა. ცნობილია ზოგი მათგანის ვინაობაც (ქალებიდან: ეკატერინე ჟურული, ფედოსია კალანდარიშვილი, პ. საჯაია, მამაკაცებიდან: ნესტორ გაბუნია, ტრიფონ კალანდარიშვილი...). „ამათ მიერ ამ თთვის ცხრას კიდევ იქნა წარმოდგენა გამართული, ბ-ნ მ. ზ. დიდებულიძის თაოსნობითვე. პირველმაც და მეორე წარმოდგენამაც მშვენივრად ჩაიარა. რაც შეეხება მოთამაშეებს, ყველას ეტყობოდათ, რომ როლების შესწავლაში არავითარი შრომა არ დაეზოგათ. განსაკუთრებით ყურადღების ღირსნი იყვნენ ქალები, მათი მიხვრა-მოხვრა და მკაფიო ლაპარაკი, კარგი დიქცია. ეს პატივცემული ქალები პირველად გამოვიდნენ სცენაზე და ახლავე, ეტყობათ, რომ მომავალში უკეთეს ნიჭს და უნარს გამოიჩინენ. ყმაწვილებმაც ყველამ კარგად შეასრულეს თავიანთი როლები“. ამ ორი წარმოდგენიდან შემოსულა ცხრა თუმანადე. ხარჯმა თითქმის ექვს თუმანზე მეტი შეადგინა. დანარჩენი თანხიდან ნაწილი ახალსენაკში ახლად ასაშენებელი ეკლესიისთვის გადაიღო, ხოლო სხვა დანარჩენი – საქველმოქმედო საქმისათვის. „მადლობის ღირსია ბ-ნი მიხეილ ზ. დიდებულიძე, – წერს „ივერია“, – რომელმაც ჩვენს

¹⁵ 1890 წელს მ. დიდებულიძე ქართული დრამატული დასის მსახიობი იყო. 1916 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრი ყოფილა

¹⁶ „ივერია“, №9, 13. 01. 1894

ახალ მოთამაშეებს თაოსნობა გაუწვია და თავის მხრით არავითარი ზრუნვა არ დაუზოგავს. აგრედვე მადლობის ღირსნი არიან თავ. ფ. მხეიძე, რომელმაც დარბაზი უსასყიდლოდ დაუთმო მოთამაშეებს, ბ-ნი ჟურული ბილეთების გასყიდვისათვის და გაბუნია ხალიჩების და სხვა ნივთების დათმობისათვის. ჩვენი საზოგადოება ამ წარმოდგენებით დიდი კმაყოფილი დარჩა.

ანტრაქტებში მუსიკას უკრავდნენ აქაურ სამოქალაქო სასწავლებლის შეგირდები¹⁷.

მ. დიდბულიძემ „ივერიის“ 1894 წლის №81-ში გამოაქვეყნა „წერილი რედაქციის მიმართ“, საიდანაც ირკვევა, რომ 9 და 23 იანვარს გამართული წარმოდგენებიდან შემოვიდა სულ 102 მან. გარკვეული თანხა დაინარჯა სცენის მოსაწყობად, ინვენტარის შესაძენად და სხვა ტექნიკური მხარეების მოსაგვარებლად. მოთამაშე ყმაწვილებმა ჩაიბარეს 34 მან., საიდანაც 10 მან. მათ ნებაყოფლობით გადასცეს ბლალოჩინს, ახალსენაკში მშენებარე ეკლესიისათვის¹⁸.

ახალსენაკის ცხოვრებაში მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა 1894 წელს კლუბის დაარსება, სადაც ერთი პატარა დარბაზი თეატრს დაეთმო. კლუბთან ჩამოყალიბებული სამკითხველოს სასარგებლოდ 1895 წელს ფასიანი საცეკვაო საღამოც გამართულა¹⁹.

ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების გამოცოცხლება დაკავშირებულია აკვსენტო ცაგარელის სახელთან. ცნობილია, რომ 1895 წელს იგი დაინიშნა ახალსენაკის რკინიგზის სადგურის უფროსად. შესაბამისად, სამსახურებრივად აქ გადმოსახლებულ და დამკვიდრებულ ასიკო ცაგარელს თან ჩამოყვა მისი მეუღლეც, ქართული თეატრის შესანიშნავი მსახიობი ნატო გაბუნია. ცოლ-ქმარმა დიდი ამაგი დასდეს ახალსენაკში თეატრალურ საქმეს²⁰.

1895 წლის 21 მარტს სათავადაზნაურო სკოლის ზედამხედველის – სამსონ ყიფიანის (1855-1937 წწ.)²¹ თაოსნობით, ამავე სკოლის სასარგებლოდ, გაიმართა

¹⁷ „ივერია“, №20, 27 იანვარი, 1894, გვ. 1

¹⁸ „ივერია“, №81, 14 აპრილი, 1894, გვ. 4

¹⁹ ნ. ლაშხია, დაბა ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. ვაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №6, 14. 01. 1963

²⁰ ნ. ლაშხია, ასიკო ცაგარელი ახალსენაკში. „კოლხეთის ცისკარი“, №24, 24. 02. 1977

²¹ ჰედაგოგიური მუშაობის პარალელურად სამსონ ყიფიანი მოღვაწეობდა ქართულ სცენაზე, როგორც მსახიობი და თანამშრომლობდა გაზეთ „დროებასთან“. „დროების“ დაზურვის შემდეგ ათავსებდა კრიტიკულ, მხატვრულ და იუმორისტულ წერილებს „ივერიაში“; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მესვეურებმა ს. ყიფიანს შესთავაზეს ძველ სენაკში განზრახული სააზნაურო სკოლის ხელმძღვანელობა. სასწავლებელი გაიხსნა 1884 წელს. იგი ენერგიულად შეუდგა სასწავლებლის მოწყობისა და გახსნის საქმეს. ძველი სენაკის სააზნაურო სკოლის,

წარმოდგენა, რამაც ჩინებულად ჩაიარა. წერილის ავტორი, ვინმე „სცენის მოყვარე“ „ივერიაში“ აღნიშნავს, რომ „ამ წარმოდგენას აქაური ინტელიგენცია უფრო დაესწრო, ვიდრე სოფლის ხალხი. რა იყო მიზეზი? ისევ იმ ბილეთების სიძვირე 2 და 3 მანეთი, რომლის შეძლება მუშა ხალხს არა აქვს“. დაე, იმ მდიდარი ინტელიგენციისათვის მაინც გამართონ წარმოდგენები, დასძენს კორესპონდენტი, ოღონდ უქმად ნუ გაჩერდებიან. მოქმედი პირნი საკმაოდ არიან აქ. ნატო გაბუნია-ცაგარლისა აქ არის და მისი დახმარებით შეიძლება წარმოდგენა თვეში ორჯერ მაინც გაიმართოს და ბილეთის ფასიც ისეთი იყოს, რომ გლევკაცობასაც შეეძლოს წარმოდგენის ყურება²².

1895 წლის 27 მარტს ახალსენაკში გამართული ქართული წარმოდგენის შესახებ „ივერიის“ კორესპონდენტი ტრიფონ კალანდარიშვილი აღნიშნავდა, რომ ქართველი საზოგადოების საყვარელი მსახიობი ქალის – ნატო გაბუნია-ცაგარლის (1859-1910 წწ.) მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა ავქსენტი ცაგარლის სამმოქმედებიანი კომედია „ხანუმა“. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ ქალბატონები – ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ბ. გრიგოლია, ე. კვიციანიძისა, ეკ. ჟურული და ა. ჯაფარიძისა, ბატონები – ს. ყიფიანი, ს. მგალობლიშვილი, ვ. ელიავა, ი. გოგოლაშვილი და ნ. გაბუნია. რაც შეეხება მოთამაშეებს, შენიშნავს ტრ. კალანდარიშვილი, – ყველას თავისი როლები კარგად ჰქონდა შესწავლილი. მათ შორის საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იზიდავდა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქალბატონი ნატო გაბუნია-ცაგარლისა. ამ პატივცემულ მსახიობ ქალს კარგი სახელი აქვს დამსახურებული. სცენაზე არაერთხელ იქნა გამოწვეული და ვაშას ძახილით დაჯილდოებული. აქაური საზოგადოება პირველად ხედავდა საყვარელი მსახიობი ქალის თამაშს და, რა თქმა უნდა, სცენაზე მის გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. „ხანუმას“ როლს თვითონვე თამაშობდა, რომელმაც ნამდვილად დაუხატა ყველას მაჰანკლობა. დანარჩენი მოთამაშე პირებიც კარგები იყვნენ თავიანთ როლებში და ღირსეულად ითამაშეს. კაცთა შესახებაც ასევე გვეთქმის, რაც ქალებზედ ვთქვით.

საზოგადოება ამ წარმოდგენას საკმაოდ დაესწრო და ჩინებულად ჩაიარა. ამ წარმოდგენის შემოსავალი, ხარჯს გარდა, საქველმოქმედო დაწესებულებებს მოხმარდება. ავტორი წერს, რომ რადგან პროვინციებში წარმოდგენები ხშირად არ იმართება, სასურველია, ბილეთების ფასები ისე იყოს დანაწილებული, რო-

როგორც ქართული კულტურის პატარა კერის შემქმნელი და ხელმძღვანელი სამსონ ყიფიანი იყო. იგი ამ თანამდებობაზე 1898 წლამდე იყო.

²² „ივერია“, №78, 15 აპრილი, 1895, გვ. 2

გორც პროვინციებს შეჰფერის და არა ისე, როგორც დიდ ქალაქებშია სასურველია, სანამ ხალხი წარმოდგენის სიყვარულს შეითვისებდეს, მანამდე ბილეთები ცოტა ნაკლებ ფასად იყიდებოდეს. ამით ხალხი უფრო მალე მიეჩვევა წარმოდგენას და მოთავეც მეტ ხეირს ნახავს...²³.

1895 წლის 25 ნოემბერს ასიკო ცაგარლისა და ნატო გაბუნიათა თაოსნობით ახალსენაკის საზოგადო საკრებულო დარბაზში (კლუბში) დაიდგა რაფიელ ერისთავის მიერ გადმოკეთებული ვოდევილი (ორ მოქმედებად) „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი“ (ეპიზოდი დავით აღმაშენებლის დროიდან). სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ფედოსია კალანდარიშვილი, ვ. ელიავა, ნესტორ გაბუნია, ტრიფონ კალანდარიშვილი, ნატო გაბუნია-ცაგარლისა და ასიკო ცაგარელი. „მოთამაშეებმა თავიანთი როლები კარგად შეასრულეს, – წერდა ათანასიძე, – მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად კარგნი იყვნენ თავ-თავიანთ როლებში ბ-ნი გაბუნია-ცაგარლისა და ბ-ნი ა. ცაგარელი. მომეტებულად კი პირველი „დედის“ როლში იმ დროს, როცა დედა ეთხოვება შვილს და დედის სულისკვეთებით ისტუმრებს სამშობლოს დასაცველად. ეს სცენა ისე ხელოვნურად და სინამდვილით იქმნა დახატული, რომ დიდი გავლენა და შთაბეჭდილება იქონია მაყურებლებზე და ბევრს ქალს თუ კაცს ცრემლები აფრქვევინა. სხვა მოთამაშეებსაც არაფერი უჭირდათ, როგორც ახალს მოთამაშეებსა. შემდეგში, რასაკვირველია, ჩვენი ახალი მსახიობები კარგად ეცდებიან, თუ უნდათ საზოგადოების ნდობა და სიყვარული მოიპოვონ“²⁴.

სპექტაკლის შემდეგ მიხეილ დიდებულიძეს ჭიანურზე დაუკრავს და ნატო გაბუნიათ უმღერია „სამშობლო ხევსურისა“ და სხვა ქართული სიმღერები. სპექტაკლის დასასრულს გამართულმა ლეკურმა შუალამის 2 საათამდე გასტანა. აგრეთვე უკრავდა სამტრედიიდან მოწვეული მუსიკალური ჯგუფი. „ახლა ჩვენს ახალ-სენაკში „კლუბიც“ არის, – წერს რეპორტიორი, – სადაც შეიძლება წარმოდგენების გამართვა მალ-მალე, მით უფრო, რომ წარმოდგენისათვის ცალკე არის დიდი დარბაზი სცენისათვის მოწყობილი“. წარმოდგენის შემოსავალის ნაწილი მოთამაშეების სურვილისამებრ რაფიელ ერისთავის ფონდის სასარგებლოდ გადადებულა²⁵. იმავე წლის 28 დეკემბერს ნატო გაბუნიათ საბენეფისოდ წარმოდგენილი ყოფილა რაფიელ ერისთავის „ბიძიასთან გამოსუმრება“ და ა. ცაგარლის „ხანუმა“. ახალ-

²³ ტრ. კალანდარიშვილი, თეატრის მატიანე. „ივერია“, №66, 25 მარტი, 1895

²⁴ „ივერია“, №263, 5. 12. 1895

²⁵ „ივერია“, №263, 5. 12. 1895; მსჯელობისათვის იხ. აგრეთვე ნ. ლაშხია, დაბა ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. ვაზ. „კოლხეთის ცისკარი“, №6, 14. 01. 1963

სენაკის სცენისმოყვარეებთან ერთად წარმოდგენებში მონაწილეობდნენ თბილისი-დან საგანგებოდ ჩამოსული ვასო აბაშიძე და ვასო ბალანჩივაძე. მყურებლის განსაკუთრებული მოწონება დაუქსახურებია ნატო გაბუნიასა და ვასო აბაშიძის მიერ შესრულებულ როლებს (იქვე).

ავექსენტი ცაგარლისა და ნატო გაბუნიას თეატრალურ ღვაწლს დიდად აფასებდა ახალსენაკის მოწინავე ინტელიგენცია, რაც კარგად ჩანს 1896 წელს გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციიდან. გაზეთი წერდა, რომ „ახალსენაკი თანდათან იღვიძებს: ხშირად იმართება ქართულ-რუსული წარმოდგენები, რომელიც საზოგადოებას დიდად იზიდავს და ყველანი მაღლიერნი არიან ქ-ნის ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ახალ-სენაკელ ქართულ სცენის მოყვარე მსახიობისა, რომლებიც სიამოვნებით იღებენ მონაწილეობას წარმოდგენებში“²⁶.

სულ მალე იგივე გაზეთი მკითხველს აუწყებდა ცოლ-ქმრის ახალსენაკიდან წასვლის შესახებ: „ახალ-სენაკიდან გვატყობინებენ, რომ ბ-ნი ავექ. ცაგარელი და მეუღლე მისი ნ. მ. გაბუნია ცაგარლისა ახალსენაკს თავს ანებებენ“²⁷, რადგანაც სამსახურისა გამო სხვა ადგილას გადაუყვანიათ ავექ. ცაგარელი. ამ გარემოებას დიდად სამწუხაროდ მიიჩნევს მთელი ახალ-სენაკი, რადგანაც მათის წყალობით საკმაოდ კარგად მოვაწყეთ ქართულ-რუსული წარმოდგენების საქმე და საძუძამო დასიც გვეყვადო, გვწერს ჩვენი კორესპონდენტი და ესლ-აკი ეს დიდად პატივცემულნი პირნი, რომელთაც არა მცირედი ღვაწლი მიუძღვოდათ ამ საქმეში, გვშორდებიანო“²⁸.

ზოგიერთი წარმოდგენა საქველმოქმედო ხასიათისა იყო. ასე, მაგალითად, „ივერია“ გვაუწყებს 1896 წელს დიდთოვლობისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ახალსენაკში დადგმული სპექტაკლების შესახებ: 14 აპრილს, კვირას, ახალსენაკის საზოგადო საკრებულოს დარბაზში ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა ნატო გაბუნიას დახმარებით გამართეს წარმოდგენა მიმდინარე წლის წყალდიდობისა და დიდთოვლობისგან დაზარალებულთა სასარგებლოდ. წარმოდგენილი იყო გ. ერისთავის კომედია „ტუნწი“, ორ მოქმედებად, და ვალერიან გუნიას ვოდევილი „ხოლვერობა“, ერთ მოქმედებად. რუსულად წარმოადგინეს ერთმოქმე-

²⁶ „ივერია“, №7, II იანვარი, 1896, გვ. 1

²⁷ ა. ცაგარელი ახალსენაკის რკინიგზის სადგურის უფროსად დაინიშნა 1895 წელს, სადაც დამკვიდრდა მეუღლესთან ერთად. ერთი წლის შემდეგ სოფელ ჭალადიდის სადგურის უფროსად გადაყვანის გამო შეწყდა ცოლ-ქმრის სასარგებლო და უადრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების სასარგებლოდ. იხ. ნ. ლაშხია, ასიკო ცაგარელი ახალსენაკში. გაზ. „კოლხეთი“, N24, 24. 02. 1977

²⁸ „ივერია“, №14, 19. 01. 1896

დებიანი ვოდევილი მიხაილოვისა – „ბეზჟენი“. ქალებმაც და მამაკაცებმაც თავიანთი როლები კარგად შეასრულეს. ცუდი ამინდის მიუხედავად საზოგადოება ბლომად დაესწრო წარმოდგენას და კმაყოფილი დარჩა. წმინდა შემოსავალი ხარჯს გარდა იყო 53 მან. და 40 კაპ., რომელიც გადაეცა ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარეს, სენაკის მაზრის უფროსს – ი. ქ. ქავთარაძეს²⁹.

იმავე გაზეთის 1896 წლის №9 5-ში გამოქვეყნებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ თბილისის ქართული თეატრის არტისტი ვ. ა. აბაშიძე ამჟამად მარტომარტო იმყოფება სენაკში და აპირებს წარმოდგენას ახალსენაკსა და ძველ სენაკში, ადგილობრივ სცენისმოყვარეთა დახმარებით. „ძალიან კარგს ინებებდა ბ-ნი აბაშიძე, – წერს „ივერია“, – რომ ერთი ან ორი არტისტი კიდევ მოეშველებინა ტფილისიდან“³⁰.

1896 წელს ახალსენაკის თეატრის შენობა ხანძარმა მთლიანად გაანადგურა, რის გამოც შეწყდა დრამატული წრის მუშაობა და დასიც დაიშალა. ამ დროს ახალსენაკში მოღვაწე მასწავლებლის, შემდეგში ექიმის – თ. მიქელაძის ინიციატივით დრამატული დასი საჯარო წარმოდგენებს კერძო ოჯახებში მართავდა. „ახალსენაკში მშვენიერი სახლი და კარ-მიდამო ჰქონდათ ბესარიონ, დიმიტრი და ნესტორ მხეიძეებს. მათთან ხშირად იკრიბებოდნენ ადგილობრივი ინტელიგენციის წარმომადგენლები. იმართებოდა სჯა-ბაასი საზოგადოებრივ და ლიტერატურულ საკითხებზე. ეწყობოდა საოჯახო წარმოდგენები. სწორედ აქ ჰპოვეს თავშესაფარი უბინოდ დარჩენილმა ახალგაზრდა სცენისმოყვარეებმა. მათ დახმარებისათვის მიმართეს ადგილობრივ ხელისუფალთ და გავლენიან პირებს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ“, – წერს დ. გეგენავა³¹. ასევე ცნობილია, რომ თეატრალური წარმოდგენები იმართებოდა ახალსენაკში მცხოვრები ცნობილი თავადის – ფარნაოზ მხეიძის სახლში.

საბოლოოდ ქართველ ქმელმოქმედთა და ახალსენაკის მოწინავე საზოგადოების დაუღალავი მცდელობის შედეგად 1902 წლიდან დრამატულმა დასმა ბინა დაილო დაბის ცენტრში, იმ შენობაში, სადაც შემდეგ კავშირგაბმულობის რაიონული კანტორა იყო განთავსებული. 1902 წლის ზაფხულში სწორედ ამ შენობაში გაიმართა კონცერტი ქუთაისის სასულიერო სემინარიის მოწაფის, ლოტბარ მიხეილ კეკელიას ხელმძღვანელობით. გუნდში მღეროდა შემდეგში ცნობილი მომღერალი

²⁹ „ივერია“, №86, 20 აპრილი, 1896, გვ. 2

³⁰ „ივერია“, №95, 1896, გვ. 2

³¹ დ. გეგენავა, ახალსენაკის თეატრალური ცხოვრების წარსულიდან. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, №9, 1960, გვ. 58

ვასილ შარაბიძე. კონცერტი, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა, ხალხის თხოვნით რამდენჯერმე განმეორდა და იმავე წელს კონცერტები გაიმართა სუჯუნაში, ბანდაში, აბაშასა და ფოთში³². 1916 წელს ახალსენაკის ცენტრალური ქუჩის კუთხეში ძმებმა სანიკიძეებმა ააგეს სამსართულიანი შენობა, რომლის ერთ მხარეს მოთავსდა თეატრი, სრული და განიერი სცენით. თეატრის დარბაზი 800-მდე მაყურებელს იტევდა. აქვე იყო კინოდარბაზი 400-მდე მაყურებლისთვის, ხოლო შენობის მეორე მხარეს (ახლანდელი ჭავჭავაძის ქუჩაზე) – ასნომრიანი სასტუმრო, რესტორანი, ლიმონათის ქარხანა და სხვ.³³

როგორც აღვნიშნეთ, ახალსენაკს სხვადასხვა დროს არაერთი ქართველი მსახიობი სწვევია. 1898 წლის 13 ივნისს, ქუთაისის დრამატულმა დასმა დაბა ახალსენაკში ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგინა ვალერიან გუნიას „და-ძმა“. თეატრის შენობის უქონლობის გამო წარმოდგენა გამართულა გვიჩიას სახლის დარბაზში. პრესა იუწყებოდა, რომ წარმოდგენას უამრავი ადამიანი დასწრება. ცარიელი ადგილი რომ აღარ იყო, ამიტომ ბევრი იძულებული გამხდარა, რომ უკან დაბრუნებულიყო. ამ დღისთვის ბევრი ჩამოსულა სოფლებიდანაც. სპექტაკლის ნახვით ნასიამოვნებ საზოგადოებას ალექსი მესხიშვილი დაპირდა, რომ მეორე წარმოდგენას 29 ივნისს გამართავდა³⁴.

აღნიშნული წარმოდგენის შესახებ ვრცელი რეცენზია გამოქვეყნდა აგრეთვე გაზეთ „ივერიის“ №135-ში, „თეატრის მატეანის“ რუბრიკით. რეცენზიის ავტორი, ვინმე ჯაკუ აღნიშნავს, რომ ქუთაისის დრამატულმა დასმა ახალსენაკში დადგა ხუთმოქმედებიანი დრამა „და-ძმა“, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, და, როგორც ეტყობოდათ, საზოგადოებაზე ამ წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. სცენა კარგად იყო მოწყობილი, თუმცა დარბაზის სიმცირემ ხალხი მეტად შეაწუხა. რაც შეეხება არტისტებს, – წერს ავტორი, – ბატონი ალექსი მესხიშვილი (გ. ფალავას როლში) მართლაც შეუდარებლად თამაშობდა. ხმა გვკარიანი ჰქონდაო, აცხადებს რეცენზენტი, მაგრამ არ ერიდება მსახიობის კრიტიკასაც და აღნიშნავს, რომ უკანასკნელ მოქმედებაში, ჩვენდა სამწუხაროდ, ხმა ცოტად შეუსუსტდაო. ქალბატონმა ჩხეიძისამ (მარინეს როლში) ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ მისი არტისტული ნიჭი ღირსშესანიშნავი და პატივსაძებია. ჯოლიას როლი დიდი ხელოვნებით დაგვისურათა მსახიობმა ბლანჩივამქმე. დანარჩენი არტისტებიც წესიერად და დაკვირვებით ასრულებდნენ თავიანთ როლებსო, – წერს ავ-

³² დ. გეგენავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58

³³ იქვე.

³⁴ „ივერია“, №129, 19. 06. 1898

ტორი. „მაღლობის ღირსია თეატრის გამგე, ქ-ნი მოსიძისა; სასურველია მიიღებდეს შრომას და ხშირად გაჰმართავდეს ხოლმე წარმოდგენებს, ვინაიდან საზოგადოება შეძლებისდაგვარად არ იშურებს თავისს წვლილს და ბლომად ესწრება...“.

თეატრალური წარმოდგენები³⁵ XIX ს-ის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, XX ს-ის ათიანი წლებშიც იმართებოდა ახალსენაკის მაზრის სოფლებშიც. 1892 წელს დაბა ძველ სენაკში გამართული ერთი ასეთი წარმოდგენის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა „ივერიაში“, საიდანაც ირკვევა, რომ წარმოდგენა გაიმართა 25 მარტს, სათავადაზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქნა მოლიერიის სამმოქმედებიანი კომედია „სკაპენის ცუდლუტობა“ და „ადვოკატი მელატი“. ბილეთები გაიყიდა 200 მანეთისა. ვახშამმა და ბუფეტმა შემოიღანა 75 მანეთი და 85 კაპიკი. სულ შესდგა 275 მან. და 85 კაპ. სულ დაიხარჯა 115 მან. და 85 კაპ., ხოლო დარჩენილი წმინდა შემოსავალი 165 მან. და 90 კაპ. გადაღებულ იქნა სამეურნეო განყოფილების სახლის მშენებლობისათვის. წერილის ავტორი მაღლობას უხდის ბაბილინა ვახტანგის ასულს და მის მეუღლეს – გ. გ. ბებურიშვილს, აგრეთვე ოლ. ქავთარაძისას, ბილეთების გაყიდვისათვის, ქალბატონ ივლ. იოსელიანისას, რომელმაც დიდი შრომა გასწია ბუფეტისა და ვახშამის გამართვისათვის. სცენისა და გრიმების მოწყობაში დასს დახმარებია ბ-ნი ნ. პ. მურადოვი, ხოლო სპექტაკლებში როლები უთამაშიათ: ვერა ნიკოს ასულ ჯიჯიხიას, ნატალია ირაკლის ასულ კალანდარიშვილს, თავად ვლადიმერ ს. აბაშიძეს, ლ. ი. ჟვანიას, ბესარიონ მიქაძეს, ვლად. ელიაშვილს და არისტარხო კალანდარიშვილს³⁶.

ცნობილი დრამატურგის, მსახიობის, მთარგმნელის, პუბლიცისტისა და რეჟისორის – კოტე (იაკობ) მესხის (1857-1914 წწ.) სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სპექტაკლები საქართველოსა და ამიერკავკასიის მასშტაბით გამართულა 1911 წელს. კ. მესხის საიუბილეო დასი მათ შორის სწვევია სამეგრელოში ახალსენაკს, აბაშას, ფოთსა და ზუგდიდს³⁷.

1916 წლის 3 ივლისს სოფელ ლეხაინდრავოში ადგილობრივმა სცენისმოყვარეთა წრემ წარმოადგინა „მოტყუებულნი“. ბატონმა ხაინდრავამ სიკოიას როლის ბრწყინვალე შესრულებით დამსწრე საზოგადოება ძალიან ასიამოვნაო, – წერდა სანჯანელი და იქვე დასძენდა, რომ „ამ წარმოდგენა-საღამოს გამართვისთვის მაღლობის ღირსია ადგილობრივი ინტელიგენცია და, განსაკუთრებით, თომა გაბუნია, რომელიც ითვლება ყველა კულტურულ საქმის ინიციატორად“. წარმოდგენას

³⁵ მოსაძებნია ათანასე, თეატრის მატანე. „ივერია“, №263, 5 დეკემბერი, 1895, გვ. 3-4.

³⁶ „ივერია“, №82, 21 აპრილი, 1892

³⁷ გაზ. „ხალხი“, №12, 22. 02. 1911

ბევრი ადამიანი დასწრებია და ღამის 12 საათზე ნასიამოვნები დაშლილა³⁸.

გაზეთი „ჩვენი აზრი“ წერდა, რომ 1909 წლის ივლისის პირველ რიცხვებში სენაკის მაზრის სოფ. აბედათში სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნებოდა ირეთელის პიესა „დამარცხებულნი“, რომლის შემოსავალიც მოხმარდებოდა სოფლის უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს³⁹.

1911 წლის 19 აპრილს ახალსენაკს ეწვია ალექსი მესხიშვილის რუსული დასი. დადგეს ა. ჩეხოვის „შავი ბერი“, ლევ ტოლსტოის მიერ გადაკეთებული. რეცენზენტი აღნიშნავს: „დიდძალი ხალხი დაესწრო, მაგრამ ვისთვის, ან რისთვის იყო საჭირო აქ რუსული პიესის დადგმა? რუსობა აქ თითზე ჩამოსათვლელია და დიდ უმრავლესობისათვის პიესის ენა და მით უმეტეს მისი შინაარსი სრულებით გაუგებარი იყო, რასაკვირველია! „გასაგები“ იყო მხოლოდ ტანიას და ანდრუშას ამბორი!.. ბ. ალ. მესხიშვილს ჩვენი საზოგადოება პატივისცემს, როგორც ნიჭიერს და დამსახურებულს მსახიობს და რომ პროვინციის სცენებზე ქართულს გაგვაგონებდეს გასტროლების დროს და ისიც სხვებსავით სათავეშივე წყლის ამღვრევას თავს დაანებებდეს, უფრო მეტი პატივისცემის ღირსი იქნება ჩვენგან“. რეცენზენტის („დამსწრე“) წერილს ახლავს რედაქტორის შემდეგი მინაწერი: „ვლ. მესხიშვილის თაოსნობით მოგზაურ-რუსულ დასზე დასავლეთ საქართველოს ქალაქ-დაბეებიდან რამდენიმე სხვა წერილებიც მოგვივიდა: გვეწვია ღიდათ პატიეცემული, შვენება ქართული სცენისაო რუსული დასით, რუსულ წარმოდგენებით, ხალხი ყველგან ნაკლებ ესწრება ამ წარმოდგენებს; გარდა ვლ. მესხიშვილისა ერთი ცოტათ მანც რიგიანი მსახიობიც არ ურევია დასშიო და სხვ. მიკვირს და გაგკვირვებია, რა მიზანი აქვს ბ. ვლ. მესხიშვილს, რომ ასეთი დასით და რუსულ წარმოდგენებით უმასპინძლდება ჩვენი ქვეყნის პროვინციას?“⁴⁰.

გ. ელიავას მოსაზრებით, XIX ს-ის 90-იან წლებში სენაკის მოწინავე ინტელიგენციის ერთ-ერთი საზრუნავი იყო საკუთარი ქართული დრამატული საზოგადოების შექმნა⁴¹. სინამდვილეში ახალსენაკის დრამატული საზოგადოება შეიქმნა 1915 წლის 15 სექტემბერს, რომლის წესდებაც დაამტკიცა მთავრობამ. ჩატარდა დამფუძნებელი კრებაც. არჩეულ გამგეობის წევრებს დაევალათ საქმის წარმოება, მაგრამ საქმე წინ არ წასულა, რის გამოც მთავრობამ საზოგადოება გააუქმა. მიუხედავად ამისა, მას მუშაობა მაინც არ შეუწყვეტია, და როგორც გაზეთ „საქარ-

³⁸ №29, 17. 07. 1916: 14

³⁹ „ჩვენი აზრი“, №46, 3. 07. 1919

⁴⁰ „კოლხიდა“, №23, 26. 04. 1911

⁴¹ გ. ელიავა, საყურადღებო მასალები რაიონის კულტურული ცხოვრების ისტორიიდან. გაზ. „კოლხეთი“, №86, 2 ივლისი, 1968; მისივე, სამეგრელო. მხარეთმცოდნეობითი შრომები. ტ. II, თბ., 2023: 9-53

თველოშია“ აღნიშნული, 24 ივლისიდან 10 გიორგობისთვის შუთი წარმოდგენა გაუმართავს. წარმოდგენების გამართვაზე ნებართვას საგასტროლოდ მოწვეული მსახიობი იღებდა. პარალელურად აღიძრა ახალი შუამდგომლობა საზოგადოების წესდების დასამტკიცებლად, რაც ძალე გაკეთდა კიდეც. მოწვეულ იქნა კრება, სადაც თავმჯდომარის ამხანაგმა საზოგადოების წევრებს გააცნო მუშაობის ანგარიში. გაირკვა, რომ წარმოდგენებიდან შემოსულა 750 მან., ხოლო ხარჯების გასტუმრების შემდეგ დარჩენილა 25 მან. არაოფიციალური კრების ანგარიშის დასრულების შემდეგ დაიწყო ოფიციალური კრება, რომელმაც ჩაატარა ახალი არჩევნები. თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კნენა მერი დადიანი. არჩეულ იქნა ასევე გამგეობის 6 წევრი, 2 კანდიდატი და 3 სარევიზიო კომისიის წევრი⁴².

1916 წლის 23 ივნისს ახალსენაკის სამკითხველოს დარბაზში გაიმართა ქართული დრამატული საზოგადოების წლიური კრება, რასაც ესწრებოდა 23 ძველი და 12 ახალი წევრი. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ვანო კანდელაკი, მდივნად – გ. პ. ჯაკობია. გამგეობის სახელით კრებაზე მოხსენება წაიკითხა პ. ლორთქიფანიძემ⁴³, რომელმაც აღნიშნა, რომ დრამატულ საზოგადოებას დაარსებიდან დღემდე 80-მდე წევრი შეემატა. ამის შემდეგ განხილულ იქნა ინსტრუქცია. კამათი გამოიწვია იმ მუხლმა, რომელიც ეხებოდა გამგეობისა და დრამატული დასის ხელმძღვანელის დამოკიდებულებას. დაადგინეს შემდეგი: გამგეობამ მეთვალყურეობა გაუწიოს არამართო წრის მიერ არჩეულ ხელმძღვანელს, არამედ რეჟისორსაც. გ. ჯაკობიამ ინსტრუქციაში შემდეგი სახის შესწორების შეტანა მოითხოვა: რეპერტუარის შემუშავება ევალებოდეს გამგეობას, რეჟისორთან ერთად. დანარჩენი მუხლი ინსტრუქციისა უცვლელად იქნა მიღებული და დამტკიცებული.

კრებამ გამგეობის წევრებად ერთხმად აირჩია კნენა ნინო მიქელაძისა (თავმჯდომარე), აგრაფინა დვალისა, ნადია ზუნწარია, ფლორენცია კალანდარაშვილი, სამუელ კეკელია, ბარნაბა ლაბარტყავა და ვლადიმერ ჭვიშვილი; მათ კანდიდატებად: ვარლამ ლომია, ვერა ცომაია და ნინო კალანდარაშვილი; სარევიზიო კომისი-

⁴² გაზ. „საქართველო“, 11 გიორგობისთვის, 1916

⁴³ პოლიკარპე ესტატეს ძე ლორთქიფანიძე იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი. 1897 წელს იგი საწირის სკოლის, ხოლო 1899 წლის სექტემბრიდან ძველი სენაკის სკოლის მასწავლებლად მუშაობდა. 1906 წლის იანვრიდან იყო ძველი სენაკის სკოლის გამგის თანამდებობაზე. 1908 წლიდან ძველი სენაკის მებრეშუმეთა ამხანაგობის მმართველი იყო, 1909-1917 წწ. – ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივანი, 1912 წლიდან 1919 წლამდე – ძველი სენაკის სკოლის ინსპექტორი (ხელმძღვანელი). სწავლობდა ზონის საოსტატო სემინარიაში (დაათავრა 1906 წელს). ჰყავდა ოთხი შვილი. 1905 წლის ქმწკგს-ის ანგარიშის მიხედვით ძველი სენაკის სკოლის პედაგოგი პ. ლორთქიფანიძე 31 წლის იყო. მამასადაამე, დაბადებული ყოფილა 1874 წელს

აში: ვასილ კანდელაკი, გიორგი მანანარაძე და პოლიკარპე ლორთქიფანიძე⁴⁴.

დრამატული საზოგადოების ახალმა გამგეობამ მიიწვია ახალი და ძველი სცენისმოყვარეები და დააარსა წრე, რომლის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა სტუდენტი გ. ჯაკობია⁴⁵.

„სახალხო ფურცლის“ ცნობით, 1916 წლის 14 ივლისს, კვირას, სენაკის ქართული დრამატული საზოგადოება ხსნის სეზონს და მართავს წარმოდგენებს. წარმოდგენილი იქნება შიუკაშვილის⁴⁶ ოთხმოქმედებიანი პიესა „მეგობრობა“. მონაწილეობის მისაღებად მოწვეული ყოფილა დამსახურებული მსახიობი ვალერიან გუნია. წარმოდგენის გამართვის დღეს უნდა კურთხეულიყო ახალი თეატრი.

ამ სეზონში დაუდგამთ აგრეთვე ალ. ყაზბეგის პიესა „არსენა“, ილია ჭავჭავაძის „ბატონი და ყმა“, იოსებ გედევანიშვილის „მსხვერპლი“ და სხვ.⁴⁷

იმავე გაზეთის №636-ში გამოქვეყნებული კორესპონდენცია იწყებოდა, რომ „დაბა ახალ-სენაკს მიემატა ფრიად საინტერესო დაწესებულება – ახალი თეატრი. სათეატრო საქმეს განაგებს ადგილობრივი დრამ. საზოგადოება, რომლის წესდება უკვე დამტკიცებულია სათანადო უწყებისაგან“.

გაზეთი „სამშობლო“ ყურადღებას ამახვილებდა ახალსენაკის ინტელიგენციისა და მცხოვრებთა სრულ უმოქმედობაზე და მიუთითებდა, რომ საქართველოს არცერთ კუთხეში თქვენ ვერ შეხვდებით ახალსენაკივით კულტურულად ჩამორჩენილ დაბას. სენაკის საზოგადოებას არ ჰქონდა არცერთი თვალსაჩინო და საყურდღებო სასწავლებელი, გარდა ერთი ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებლისა, არ ჰქონდა თეატრი, რის გამოც სენაკში იშვიათად იმართებოდა წარმოდგენები, ლექციები და საღამოები. სცენისმოყვარენი ცდილობდნენ მოეწყოთ ქართული წარმოდგენა. ისინი მეტად ძნელსა და აუტანელ პირობებში მუშაობდნენ, შესაფერისი დარბაზისა და სცენის მოწყობილობის არქონის გამო... საქმის ასეთ ცუდ მდგომარეობას ნათლად ხედავდა სენაკის ინტელიგენცია, მაგრამ საქმის მოსაწესრიგებლად და გასაუმჯობესებლად არავითარ მზრუნველობას არ იჩენდა. მის უმოქმედობას ბოლო არ ჰქონდა, მაგრამ გავიდა დრო და სენაკის ინტელიგენციამ ნათლად იხილა მთელი შედეგები თავისი უმოქმედობისა, თავისი შეცდომები და ამ ბოლო დროს შეუდგა შეცდომების გამოსწორებას.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი,

⁴⁴ „სახალხო ფურცელი“, №615, 5. 07. 1916

⁴⁵ „სახალხო ფურცელი“, №632, 24. 07. 1916

⁴⁶ ივლისისხმება ცნობილი ქართველი პედაგოგი, დრამატურგი, ბელეტრისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ შიუკაშვილი 1870-1938 წწ.

⁴⁷ დ. გვეგენავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58

რომლის სასარგებლოდ უკვე შეგროვილია რამდენიმე ათასი მანეთი.

დიდი ხნის შემდეგ ველირსეთ თეატრის დარბაზსაც, რომელიც უკვე შეუდგა მოქმედებას. წრემ განიზრახა საზაფხულო სეზონისათვის ქართველ მსახიობთა მოწვევა წრის სახელმძღვანელოდ და წარმოდგენების სისტემატურად გასამართად. ეს ყოველივე იმის მაჩვენებელია, რომ სენაკის ინტელიგენციამ თავი დააღწია საღატას ძილს და მოქმედების გზაზე გამოვიდა. ჩვენ ძლიერ გვახარებს ეს მოვლენა და იმედი გვაქვს, მომავალშიც ისეთივე ენერგიით განაგრძობს სენაკის ინტელიგენცია თავის მოქმედებას, თუკი მას გულთ სურს ხალხის სამსახური⁴⁸.

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ იუწყებოდა, რომ 1916 წლის საზაფხულო სეზონს დაბა ახალსენაკის ქართული დრამატული საზოგადოება დაიწყებდა 10 ან 17 მკათათვეს და ამავე დღეს იყო დაგეგმილი თეატრისთვის განკუთვნილი დარბაზის კურთხევა. წარმოდგენაში მონაწილეობა უნდა მიეღო ვალერიან გუნიას⁴⁹.

ახალი თეატრი 24 ივლისს გაიხსნა ნ. შიუკაშვილის ცნობილი პიესით – „მეგობრობა“. მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდა სცენისმოყვარენი – ადგილობრივი ინტელიგენცია, სტუდენტობა, მასწავლებლები და მოსწავლეები. საგანგებოდ მოწვეულმა ქართული თეატრის მოამაგემ და ბურჯმა – ვალ. გუნიამ სპექტაკლში არჩილის როლი ითამაშა. სამი საათის მანძილზე მიმდინარე წარმოდგენას დიდძალი ხალხი ესწრებოდა. წარმოდგენის შემდეგ თეატრის მოტრფიალე ინტელიგენციამ ვ. გუნიას გაუმართა ნადიმი-ბანკეტი, სადაც მრავალი საგულისხმო სიტყვა იყო ნათქვამი. დრამატული საზოგადოების გამგეობას მეთაურობდა სტომატოლოგი ს. კეკელია⁵⁰.

„სახალხო ფურცელი“ იუწყებოდა, რომ 1916 წლის 23 ივნისს არჩეულმა სენაკის ქართული დრამატული საზოგადოების ახალმა გამგეობამ აღძრა შუამდგომლობა საზოგადოების აღდგენის შესახებ, ქუთაისის გუბერნატორის წინაშე. ადმინისტრაციის მიერ 30 ოქტომბერს აღდგენილი საზოგადოების ახალი გამგეობის

⁴⁸ სამშობლო, №361, 1916

⁴⁹ „თეატრი და ცხოვრება“, №28, 10 მკათათვე, 1916: 16. ცნობილი დრამატურგი, მსახიობი, პედაგოგი და რეჟისორი ვალერიან გუნია (1862-1938 წწ.) დაიბადა სენაკის მაზრის სოფელ ეკში. 1882 წელს ვასო აბაშიძის ხელმძღვანელობით პირველად გავიდა სცენაზე. აქტიურად იყო ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1883 წლიდან მოღვაწეობდა ქართულ პროფესიულ თეატრში. მას სცენაზე გამოარჩევდა დიდი სცენური მომხიბველობა, შთამბეჭდავი გარეგნობა, შესანიშნავი ხმა და ძლიერი ტეატრამენტის რედაქტორობდა ჟურნალ „თეატრს“; იყო გაზეთ „ცნობის ფურცლის“ და იუმორისტული ჟურნალის – „ნიშადურის“ დამაარსებელი. 1888 წელს გამოსცა „საქართველოს კალენდარი“. წლების განმავლობაში სთავადა ედგა ქართულ დრამატულ დასებს. მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართველ პროფესიონალ მსახიობთა აღზრდის საქმეში. 1913 წლიდან მოღვაწეობდა კინოში

⁵⁰ „სახალხო ფურცელი“, №636, 29. 07. 1916

თავმჯდომარე იყო კნენა მერი დადიანი, წევრები: ნადია ზუნწარია, ვერა ცომაია, მარო ზოფერია, სამუელ კეკელია, ბარნაბა ლაბარტყავა, კანდიდატები: აგრაფინა კერზაია და ვლ. კალანდარიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრები იყვნენ: გ. მალ-ნარაძე, პ. ლორთქიფანიძე და ს. გამყრელიძე⁵¹.

სენაკის ქართული დრამატული საზოგადოებისა და წერა-კითხვის საზოგადოების ინიციატივით 22 ოქტომბერს ნიკოლოზ ბარათაშვილის 100 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა სალიტერატურო საღამო. გაზეთის ცნობით აქ განიზრახეს ქართველ მომღერალთა გუნდის დაარსება, რომლის მიზანი იქნებოდა ხალხური სიმღერების შეკრება. ამ საქმის ინიციატორები ყოფილან თავადი კოკი დადიანი და ქართული სიმღერების მცოდნე ლოტბარი ძუკუ ლოლუა. ამ მიზნით კოკი დადიანის მოწოდებით 3 დეკემბერს შემდგარ კრებაზე აირჩიეს კომისია სამი პირის შემადგენლობით (თავადი კოკი დადიანი, თავადი ბესარიონ ხეცია და ექიმი ივლიანე ზოფერია), რომელთაც დაევალით წესდების შედგენა და წარდგენა ქუთაისის გაუბერნატოროთან დასამტკიცებლად⁵².

იმავე გაზეთის №735-ში გამოქვეყნდა ინფორმაცია 22 ნოემბერს ნ. ბარათაშვილის დაბადებიდან ასი წლისთავის აღსანიშნავად ლიტერატურული საღამოს გამართვის შესახებ. საღამოზე ია ეკალაძემ წაიკითხა პოეტის მოკლე ბიოგრაფია და მოღვაწეობა. მოწაფეთა ზორომ მღვდელ ა. სახოკიას ლოტბარობით შეასრულა შემდეგი ქართული სიმღერები: „მორბის არაგვი“, „წარვე წყლის პირსა“ და „მერცხალი“. მოზრდილთა ზორომ კი, ვ. გეგეჭკორის ლოტბარობით – „აღსდექ, გმირთ გმირო“, „სამშობლო“, „ვახტანგ მეფე“. ახალსენაკის მასწავლებლებს და მოწაფეებს წაუკითხათ ნ. ბარათაშვილის რჩეული ლექსები, ბოლოს კი დადგმული იქნა ცოცხალი სურათები ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებიდან⁵³.

1916 წლის 10 სექტემბერს ახალსენაკის დრამატული საზოგადოების დასის მიერ „თამარ ბატონიშვილის“ წარმოდგენის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოში“. ამ ინფორმაციიდან ცნობილი ზდება, რომ ახალსენაკს სწვევია იტალიელი მომღერლები – სოირი და ბერნანდი: „წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, დიდძალი საზოგადოებაც დაესწრო. ქრისტეშობის 11-ს იტალიელმა მომღერალმა ქაღმა სოირიმ ბატონ ბერნანდთან ერთად გამართა კონცერტი. შეასრულეს არიები და დუეტები სხვადასხვა ოპერებიდან. კონცერტმა დიდძალი საზო-

⁵¹ „სახალხო ფურცელი“, №721, 12 დეკემბერი, 1916: 3

⁵² „სახალხო ფურცელი“, №721, 1916

⁵³ „სახალხო ფურცელი“, №735, 1916

გაღობა მიიზიდა“⁵⁴.

1916 წლის 26 ნოემბერს ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა წითელი ჯვრის სასარგებლოდ წარმოადგინეს თუთაევის სამმოქმედებიანი დრამა – „მეორე კაინი“. „სახალხო ფურცელი“ ამასთანავე იუწყებოდა, რომ აღდგენილი იქნა სენაკის ქართული დრამატული საზოგადოების გაუქმებული უფლება და შემდეგი წარმოდგენა „თამარ ბატონიშვილი“ (დრამა ხუთ მოქმედებად) წარმოდგენილი იქნებოდა შაბათს, 10 დეკემბერს.⁵⁵

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერ მასალათა ფონდში დაცულია „წესები სენაკის ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის საქმეთა წარმოებისათვის“⁵⁶. დოკუმენტის მიხედვით, საზოგადოების გამგეობა ხელმძღვანელობს საზოგადოების წესდებით და იყოფა ადმინისტრაციულ და სათეატრო სექციებად. გამგეობის მოვალეობას შეადგენს თავმჯდომარის ამხანაგის, მდივნის, ხაზინადარის, საზოგადოების ქონების გამგის, სექციის წევრებისა და სხვა თანამდებობის პირთა არჩევა; სექციებისა და თანამდებობის პირთა მოქმედებების შეთანხმება და საერთო ხელმძღვანელობა, დამტკიცებული სათანადო წესების საფუძველზე. გამგეობის შეერთებული სხდომის მოწვევა და ხელმძღვანელობა ევალებოდა თავმჯდომარეა ან მის ამხანაგს.

ადმინისტრაციულ სექციაში შედიოდა გამგეობის თავმჯდომარე, მდივანი ან ერთი ან ორი წევრი გამგეობისა, არჩევით. სექციის მოვალეობას შეადგენდა საკანცელარიო საქმეებისა და მიმოწერის წარმოება, საზოგადოების ქონების მოვალაპატრონობა, წლიური ანგარიშებისა და მოხსენებების მომზადება გამგეობის დასადასტურებლად და კრებისადმი წარდგენა; საწევრო თანხის შეკრება; საზოგადოების წევრთა რიცხვის გაზრდა და ზრუნვა საზოგადოების მატერიალურად გაძლიერებისათვის; კანცელარიის ან თეატრის მსახურთა დაქირავება, დათხოვნა და სხვ.

თეატრალურ სექციაში სამ წევრს ირჩევდა გამგეობა, ხოლო სექციის წევრები მათ შორის ირჩევდნენ თავმჯდომარეს და მისი ხელმძღვანელობით მართავდნენ სხდომებს. სექციის მოვალეობას შეადგენდა: სცენისმოყვარეთა მუდმივი წრის შესადგენად ძალების მოპოვება; წინასწარი მოლაპარაკება ანტრეპრენერებთან, არტისტებთან, ლექტორებთან და სხვ., წარმოდგენებისა და ლიტერატურული საღამოების გასამართავად; მოლაპარაკება სათეატრო დარბაზის პატრონთან, დარბაზის დათმობის პირობების შესახებ; წარმოდგენისა თუ სალიტერატურო საღამოს

⁵⁴ „საქართველო“, 18 სექტემბერი, 1916

⁵⁵ „სახალხო ფურცელი“, 9. 12. 1916

⁵⁶ გმმ, ხმფ, ა. ჯგ. №185

გასამართავად საჭირო ნივთების დამზადება; მუსიკოსებისა და დამკვრელების მოწვევა; სეზონური რეპერტუარის შედგენა; ხელმძღვანელობა სცენისმოყვარეთა წრისა რეპეტიციების დროს; ბილეთების დამზადება და ა. შ.

საზოგადოების კანცელარიის საქმეებს განაგებდა საზოგადოების მდივანი. ის მიიღებდა და აგზავნიდა კორესპონდენციებს და სათანადო შენიშვნებით ჩაწერდა განსაკუთრებულ დავთარში. საქმეების საწარმოებლად კანცელარიას გააჩნდა შემოსავალ-გასავლის წიგნი, შემოსავლებისა და ხარჯების კასის წიგნი, წევრთა სია, მიღებული კორესპონდენციის ჩანაწერი დავთარი, მთავარი საკვიტანციო წიგნი, გასავლის ორდერების წიგნი, მუდმივ წევრთა ბილეთების წიგნი, საზოგადო კრებების ოქმების წიგნი, მოწერილი კორესპონდენციების რემარკების დავთარი, სხდომის მოსაწვევე უწყებათა დავთარი და სხვა წიგნები.

დრამატული საზოგადოების საქმიანობისათვის საჭირო თანხების შესახებ წესდებაში აღნიშნულია, რომ საზოგადოების კასაში შემოსული ყოველი ფული ჩაირიცხება ან სახარჯო თანხაში, ან საგანგებო ან სათადარიგო თანხებში; სახარჯო თანხა შედგება საწევრო გადასახადისაგან, წარმოდგენების შემოსავლისა და შემოწირულებათაგან. ფულის სახარჯავად გამოტანა ევალებოდა ხაზინადარს, თავმჯდომარის ნებართვით და ფულის გამოსატან საბუთზე მისივე ხელმოწერით.

სცენისმოყვარეთა წრეს თეატრალური სექციის წინადადებით იწვევდა საზოგადოების გამგეობა. წარმოდგენებში სისტემატურად მონაწილე სცენისმოყვარენი ითვლებოდნენ საზოგადოების ნამდვილ წევრებად, საწევრო თანხის გადაუხდელად. სცენისმოყვარეთა ხელმძღვანელობას უწევდა მოწვეული რეჟისორ-ადმინისტრატორი, ან მათ შორისვე მათგან არჩეული მეთაური თეატრალური სექციის ერთ-ერთი წევრის მეთვალყურეობის ქვეშ. წესდების თანახმად, სცენისმოყვარე, რომელიც წელიწადში ხუთჯერ მაინც მიიღებდა აქტიურ მონაწილეობას წარმოდგენებში, ისარგებლებდა უფლებით, უსასყიდლოდ დასწრებოდა საზოგადოების მიერ გამართულ იმ წარმოდგენასაც, რომელშიც ის მონაწილეობას არ იღებდა. მას დაეთმობოდა თეატრში დაბალფასიანთა ადგილი უსასყიდლოდ ან საზოგადოების ხარჯით, მაშინაც კი, როცა ადგილობრივ სცენაზე ითამაშებდნენ, რომელიმე საყურადღებო და რთული პიესისას მოწვეულნი ან გზად გამოძვლელი თვალსაჩინო მსახიობები. სცენისმოყვარე ემორჩილებოდა სათეატრო დისციპლინის კანონებს. არ ჰქონდა უფლება რეპეტიციების შეფერხებისა და წარმოდგენების მსვლელობისა. ვალდებული იყო, დამორჩილებოდა რეჟისორის ან მეთაურის კანონიერ მოთხოვნებს, როგორც, მაგალითად, ამა თუ იმ როლის მიღების, როლის გადაწერის და დასწავლის, რეპეტიციებზე თავის დროზე დასწრებისა და სხვა ამგვარი წესების დაცვის შესახებ. მიღებული წესების დამრღვევი სცენისმოყვარე დათხოვნილი

იქნებოდა საზოგადოების წევრობიდან და ამის შემდეგ არ ჩაითვლებოდა ამ წოდებაში. წრის წევრთა და წრის ხელმძღვანელთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება გაირჩეოდა თეატრალური სექციის მიერ და დასკვნა მოხსენდებოდა გამგეობის გაერთიანებულ სხდომას, რომელიც დაადასტურებდა თეატრალური სექციის განაჩენს⁵⁷.

1909 წლის 6 თებერვალს ახალსენაკის საკრებულო დარბაზში აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის დასაარსებელი ფონდის სასარგებლოდ წარმოდგენიანთ პ. ირეთელის პიესა „დამარცხებულნი“. ამასთან დაკავშირებით „ჩვენი საქმე“ წერდა: „მიუხედავთ მრავალ დაბრკოლებისა, სიამოვნებით აღვნიშნავთ, ახალგაზრდობას და საღამოს დიასახლისს ქ-ნ ოლღა გ. ხოფერიასას, დიდი ენერგია დაეხარჯათ, რომ ხსენებული პიესა შეძლებისდაგვარათ ხეირიანათ ჩატარებულიყო და რამდენიმეთ გაუმართლდათ იმედი. დარბაზი ერთიანათ გაიჭედა ხალხით. საერთოთ წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა. მეტს ვერ მოვთხოვთ სცენის მოყვარეთ... პიესამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე და ბევრი მოგონებანი აღუძრა დამსწრეთ განმათავისუფლებელ მოძრაობის დროიდან. და ბოლოს წარმოადგინეს რუსულათ „Кутайская невол/ница“, რომელიც მშვენივრად ჩატარდა. დამსწრე საზოგადოება სრული კმაყოფილი დაიშალა ღამის 1 საათზე“⁵⁸.

1908 წლის 28 ივნისს მსახიობ ბ. გუგუშვილის მონაწილეობით ახალსენაკში საქველმოქმედო მიზნით წარმოადგინეს რამდენიმე სპექტაკლი. 28 ივნისს ნაჩვენები იქნა „სიმდიდრის მსხვერპლი“ და „თავიუღლი“. კორესპონდენტის ცნობით ამ სპექტაკლებს მოუშხადებლობა ეტყობოდა, რამაც საზოგადოებაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და მყუერებელთა უმეტესობამ დატოვა დარბაზი. 29 ივნისს წარმოდგენილი „ძუნწი“ და „საცოლე ერთი საათით“ შედარებით უკეთესი იყო, თუმცა მოუშხადებლობა აქაც ეტყობოდა ზოგიერთ მოთამაშეს. პირველი დღის წარმოდგენებს ხალხი საკმაოდ დაესწრო, მეორე დღისას კი – ნაკლები. ორივე დღის წარმოდგენების სრული შემოსავალი 200 მანეთს აღემატებოდა. კორესპონდენციაში აღნიშნულია, რომ ქალაქის კლუბის შენობაში წარმოდგენების გასამართავად გამოყოფილი უკანა ოთახი პატარაა, როგორც სიმაღლით, ისე სივრცე-სიგანით. ამის გამო აქ თავისუფლად გადაადგილება და ჯდომა, თავისუფლად სუნთქვაც შეუძლებელია. დროა შეივნოს ამ დაბის საზოგადოებამ, თუ რა არის თეატრი და შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყონ თეატრალური ხელოვნების გაფართოე-

⁵⁷ გ. ელიავა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 953-957

⁵⁸ „ჩვენი საქმე“, №7, 12. 02. 1909

ბას⁵⁹.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ახალსენაკის თეატრის მდგომარეობა გაუარესდა. რაც კარგად ჩანს საარქივო დოკუმენტის შემდეგი ჩანაწერიდანაც:

„1. მიეცეს წინადადება სასურსათო კომიტეტს (თავმჯდომარე გ. ჯავახია) მომღერალთა გუნდიდან აძლიოს მოსამსახურეთათვის დაწესებული ულუფა მხოლოდ იმათ, ვინც მსახურობს რომელიმე საბჭოთა დაწესებულებაში გუნდის გარეშე და გუნდის გამგეს.

1. ვინაიდან დრამატული სექცია თავისი მრავალრიცხოვანი შტატით მძიმე ტვირთად აწვება ადგილობრივ რეკომს, დაევალოს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ვ. ქობულიას ჩაიბაროს თეატრის ქონება, ხოლო დრამატული სექცია იქნას დაშლილად გამოცხადებული და ახალი დასის შედგენა მიენდოს ვ. ქობულიას“⁶⁰.

⁵⁹ „ნაპერწკალი“, №34, 5 ივლისი, 1908

⁶⁰ გაზ. „კოლხეთი“, №6, 13 იანვარი, 1990, გვ. 3

თენგიზ გუმბერიძე (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

„ვეფხისტყაოსანი“ და „ომანიანი“

(მსგავსებანი და განსხვავებანი)

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ დროთა განმავლობაში სულ უფრო პოპულარული ხდებოდა. პოემისადმი ინტერესი განსაკუთრებით ძველი ქართული მწერლობის აღორძინების ეპოქაში გაიზარდა, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნდა, თუმცა ამის შემდეგაც მიმდინარეობდა ხანგრძლივი დავა პოემის, როგორც დაწერის თარიღთან დაკავშირებით, ისე ავტორის ვინაობის დაზუსტების გამო. რაც შეეხება რუსთაველისა და თამარ მეფის ეპოქების თანხვედრას, ამაზეც არაერთხელ გამოუთქვამთ სხვადასხვაგვარი აზრი. აქვე აღვნიშნავთ, რომ მართებულად მიგვაჩნია პროფ. სარგის კაკაბაძის ის მოსაზრება, რომელიც გაჟღერებულია მის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, რომლის მიხედვით, ქართული ლიტერატურული პროცესის შენელების ხანაში, ბუნებრივია, შოთას პოემის მიმართ განსაკუთრებული დაინტერესება არ ჩანს, თუმცა დღის სინათლეზე მისი გამოსვლიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ უნდა დაწერილიყო პოემის გაგრძელება – „ინდო-ხატაელთა ამბავი“, რომელშიც ასეთი სტროფი გვხვდება:

„იყო არაბეთს მეფობა მეფისა როსტევეანისი,

მას ჰქონდა სპარსთა ქვეყანა, მართ ვითა შანშეს ანისი;

უძრწის და ჰმონებს ყოველი ხელთა აქვს მას საბრძანისი,

თქვეს თუ ხამს ხმელთა პატრონად ან ალექსანდრე, ან ისი“¹

როგორც ვხედავთ, ამ სტრიქონების ავტორი ანისის მთავრის – შანშე მხარგრძელის კეთილისმსურველია. შესაძლოა, მისი კარის მეხოტბეა. შანშე იყო ცნობილი ზაქარია მხარგრძელის შვილი, რომელიც 1261 წელს გარდაიცვალა. „ვეფხისტყაოსნის“ გავლენით დაწერილი ეს სტროფიც მეტყველებს, რომ შოთას პოემა სწორედ XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე უნდა დაწერილიყო. მოტანილი სტროფი, უდავოა, შანშე მხარგრძელის ზეობის ხანას განეკუთვნება. ძნელი წარმოსადგენია, რომ XVII საუკუნის რომელიმე გაწაფული მოლექსე XIII საუკუნის მოლექსე შანშე მხარგრძელს ოდას უძღვნიდეს. ისიც მართალია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გარეშე მისი ანალოგიით შექმნილი ეს სტროფი, ცხადია, ვერ დაიწერებოდა.

¹ ს. კაკაბაძე, შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1966, გვ. 240.

ზემოთ მოტანილი სტროფის მიხედვით, სარწმუნოა, რომ შოთას პოემას იმ-თავითვე გამოხმაურებია ზოგიერთი მელექსე, მაგრამ პოემის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი მაინც XVII საუკუნიდან გამოიკვეთა, როცა ძველი ქართული კულტურა ისევ დაადავალა ალორძინების გზას. ალორძინების ხანამ თვალი მიაპყრო „ოქროს ხანას“ და „ვეფხისტყაოსანი“ თავის სანიშნოდ და გზამკვლევად დაისახა. შოთას პოემის გავლენას განიცდის თითქმის ყველა მწიგნობარი და მოკალმე. განსაკუთრებით გავრცელდა თექვსმეტმარცვლიანი შაირი, შეიქმნა მრავალი მიბაძვითი ლექსი, ქართული პოეტური სამყარო ივსება „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა იდენტური სახეებით. უნდა ითქვას, რომ მათგან მაინც ყველაზე შთამბეჭდავია XVII საუკუნის I ნახევრის ვრცელი პოემა „ომანიანი“, რომლის ავტორი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი გახლავთ. „ომანიანის“ დედანი დღემდე მიუკვლეველია. პოემა ჩვენამდე XVIII საუკუნის ხელნაწერთაა მოსული. აღნიშნული პოემა „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა გაგრძელებას წარმოადგენს, ვინაიდან „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებად მიჩნეული „ინდო-ხატაელთა ამბიდან“ და „ხეარაზმელთა ამბიდან“ ომანიანის ავტორი არაერთ პასაჟს სესხულობს. სახელწოდება „ომანიანი“ განივრცო იმ მიზეზის გამო, რომ მთავარ გმირს ომანიი ჰქვია. ავტორი ქაიხოსრო ომანიის ძე ჩოლოყაშვილი და მისი ძმა, ცნობილი ნიკიფორე ირბახი, ზშირად ომანიიშვილებადაც იხსენიებიან. ზოგიერთები პოემას „ომანიანსაც“ უწოდებენ. იგი გვხვდება სხვადასხვა ხელნაწერში. მას ასევე ახსენებს იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში“. მეფე-პოეტი არჩილი მას „ომანიანს“ უწოდებს, რაც უმეტესად გაზიარებულია მკვლევართა შორის.

თხზულება მიეკუთვნება სამიჯნურო-სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებს. ქაიხოსროს, ვეფხისტყაოსნის გარდა, გამოუყენებია სხვა საგმირო-სარაინდო ნაწარმოებებიც: „უხეზად ბაძავს გენიალურ პოემის ავტორს სიუჟეტურ დეტალებში, ფრაზეოლოგიაში, მხატვრულ ხერხებში, ლექსიკაში, აფორიზმებსა და სენტენციებში და ა. შ. ქაიხოსრო ძლიერ ბაძავს აგრეთვე „ამირანდარეჯანიანსა“ და „როსტომიანს“². ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ძლევაძოსილი პიროვნება ყოფილა. იგი გვერდით ედგა თეიმურაზ I-ს და მთავარსარდლობდა კახეთის ლაშქარს. ქაიხოსრო, როგორც ცნობილია, დალატით მოაკვლევინა თეიმურაზმა. ამ საქმეში, როგორც გადმოგვცემენ, შაჰ-აბასის ხელი ერია. ქაიხოსრო სიყვარულით გულდამწვარი პიროვნება ყოფილა. „ზეგარდმო მადლით ცხებული ვაჟკაცი, დელოფლისადმი შენამსჭვალეები, მისი სილამაზის მალმერთებელი, მისი სახმილი სწვაგ-

² ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, თბ., 1975, გვ. 438.

და...“³. ვერაგ შაჰს თვალთახედვიდან არაფერი გამორჩებოდა. მან თეიმურაზს ჩააგონა, რომ ქაიხოსრო ტანტს წაგართმევსო და შეაგულიანა, გზიდან ჩამოეშორებინა იგი. კახეთში დაგვემილი ლაშქრობების წინ ამ სწორუპოვარი მხედართმთავრის სიკვდილი შაჰისთვის ძალზე საწაღელი ფაქტი იყო.

ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ქაიხოსრო არ უნდა იყოს „ომანიანის“ ავტორი, მაგრამ ყველაზე სარწმუნოდ მოჩანს ისევე არჩილის გადმოცემა თავის „თეიმურაზიანში“:

„ქაიხოსრომან შიგჩართვით ლექსად თქვა ომანიანი
ომანიის სიმხნე, სიქველე, ჯაჭვის-ცმა მაემნიანი,
კარგად რომ უთქვამს, მის გამო არა ვთქვი მისი ზიანი“⁴.

მამინდელი საზოგადოების ინტერესებს პოემა „ომანიანი“ კარგად ეწყობოდა, რასაც მოწმობს მისი ხელნაწერების სიმრავლე, რომელთა შორის თვალშისაცემია მნიშვნელოვანი განსხვავებანი. ზოგიერთ ხელნაწერში გამოკვეთილია აზრი, რომ „ომანიანი“ სპარსულიდან გადმოთარგმნილი ნაწარმოებია, რომელშიც ავტორს შეუტანია „ვეფხისტყაოსნისეული“ ელემენტები. კ. კეკელიძის აზრით, „ისეთი პირებიც გამოჩნდნენ, რომლებსაც უნდოდათ სცოდნოდათ ამ გმირთა შთამომავლების ურთიერთობა; ასეთმა სურვილმა XVII საუკუნის დასაწყისში წარმოშვა „ომანიანი“⁵ საინტერესოა, რომ „ომანიანი“ შეიცავს საბიბლიოგრაფიო ხასიათის ცნობას „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსისა და მოცულობის შესახებ. ომანიი დაქორწინდება მისრეთის დედოფალ ბურნე მელიქზე. ქმარი ახლადშერთულ მეუღლეს უამბობს თავისი წინაპრების ამბავს, კერძოდ, ტარიელისას. თხრობას ამთავრებს ტარიელის სიკვდილით და მისი ვაჟის – სარიდანის გამეფებით. ვრცელია პოემის პერსონაჟთა გალერეა: ომანიი, ბურნე მელიქი, ზღვათა მეფის შვილი, ვისგანაც ომანიი იღებს ამბავს ბურნე მელიქის შესახებ, ბურნე მელიქის მოურავი ქალი, მისრეთის ხელმწიფე ალი-აქბარი, მოხუცი ვაჭარი, ომანიის დედ-მამა - სარიდანი და მისი მეუღლე და სხვა მრავალი.

ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ომანი ჭაბუკის თავგადასავლის თხრობისას იყენებს „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულას, ეპიზოდებსა და სურათებს. ასევე დასესხებია შოთასეულ შეხედულებებსა და მოტივებს. „ომანიანში“ გამოყენებულია რუსთველური ფრაზეოლოგია და მხატვრული სახეები.

³ ე. მაღრაძე, რად სოფელი, თბ., 1984, გვ. 78.

⁴ ჩვენი საუნჯე, ტ IV, თბ., 1960, გვ. 135.

⁵ კ. კეკელიძე, რუსთაველის გავლენა ქართულ პოეზიაზე, გაზ. „კომუნისტი“, 1937, №4, 14 დეკემბერი.

„ომანიანი“ „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებაა და, რა თქმა უნდა, მასზე შოთას პოემას მრავალმხრივი გავლენა მოუხდენია. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის პოემაში უხვად გვხვდება „ვეფხისტყაოსნის“ რემინისცენციები. შინაარსობრივად გამეორებულია ზოგიერთი ეპიზოდი და სურათები. ესეისება მხატვრულ აქსესუარებსა და ფრაზეოლოგიას. პირველივე სტროფიდან საცნობი ხდება, რომ „ომანიანი“ მთლიანად დავალებულია „ვეფხისტყაოსნისგან“⁶. აი, პოემის დასაწყისი:

დიდება შენდა, დიდება, ღმერთო ყოვლისა მპყრობელო,
ჩვენ უღირსთაგან უცნობო, ენითა მიუთხრობელო,
ცათა და ცისა მნათობო, საკვირვლად მაბრუნებელო.
ქვეყნისა ქართა, ჰაერთა და ზღვათა შემძრწუნებელო“⁶.

მეორე სტროფის დასაწყისში გვითხულობთ:

„ჰე, ღმერთო, შენ ხარ ხელმწიფე ყოველთა უზემთესისა“.

„ომანიანის“ პროლოგშიც საუბარია მიჯნურობასა და შაირობაზე (მოლექსეობაზე):

„მოლექსეთა ცრემლთა დენა ძველად თქმულა მართ დასტურად,
მიჯნურობა აატირებს, ზის ნიადაგ სისხლთა წურად“.

პროლოგშივე ახსენებს რუსთველსა და სხვა მოლექსეთ და თავისებურად გარდასახავს შოთასეულ ტაეპებს:

„ვინცა ვისთვის ჭირსა ნახავს, ბოლოს აღარ წაუხდების;
ვით ამირანს მოსესაგან ქება კარგად შეუხდების,
აბდულ-მესიას შავთელი ენა მრავლად მოუხდების,
დილარგეთისთვის თმოგველსა სიტყვა შაქრად გაუხდების.
ტარიელისთვის რუსთველი მიწყვიც ცრემლისა მღვრელია,
მისთა ნათქვამთა მსგავსებით სმენას ნულარვინ ელიან“.

ქაიხოსრო, რუსთველის მსგავსად, ხაზს უსვამს გლახაკთათვის საჭურჭლის გაცემას:

„გლახაკთათვის საჭურჭლისა მრავლისა ქნეს გარდადება“

სახეზე გვაქვს სიუჟეტური გავლენაც – „ომანიანის“ პერსონაჟ სარიდანსაც ჰყავს ერთი ვაჟი, რომელიც, ტარიელის მსგავსად, გამორჩევა რაინდობითა და ვაჟკაცობით. მისრეთის მეფის – ალი-აქბარის ოჯახიც როსტევეან მეფის ოჯახის მსგავსია. ალი-აქბარსაც ჰყავს მშვენებით გამორჩეული ერთადერთი მემკვიდრე ქალი ბურნე-მელიქი. ზღვათა მეფის შვილმა:

⁶ ტექსტობრივი მასალა მოტანილია 1937 წ. გამოცემული გ. ჯაკობიას „ომანიანიდან“.

„თქვა: მე არა ჰყავს მეფესა ცეცხლი სწავს მით არ ნელია,
ერთი ქალი ჰყავს, მასთანა მზის შუქი საწუნელია,
მისგან მრავალთა შექნია გულსა წვა დაუნელია.“

ბურნე-მელიქიცი, თინათინის მსგავსად, მამის სიცოცხლეში იკავებს სამეფო ტახტს, ალი-აქბარიც მოინძობს ვეზირებს და ჰკითხავს რჩევას საკუთარი ასულის გამეფების თაობაზე. „აწე სიბერე გამოძინია“–ო და ჩემი ქალის გამეფება მსურსო. ვეზირებმაც მეფის საამებლად იუარეს ალი-აქბარის სიბერე, თუმცა მისი მოსაზრება ასულის გამეფებაზე ერთხმად მიიღეს და ასე გამეფდა ბურნე-მელიქი მამის სიცოცხლეში.

ზოგიერთი ეპიზოდის დასაწყისი სრულიად ორიგინალურია, მაგრამ მოქმედებათა განვითარებაში უცებ იჩენს თავს შოთასეული თხრობის ანალოგიები. ერთხელ სუფრასთან მოქეიფე ომანინი დარბაზიდან გარეთ გამოდის და მოულოდნელად მოჰკრავს თვალს დამწუხრებულ და „ცრემლმეუშრობელ“ ახალგაზრდა კაცს, რომელიც თავისთან ახმობინა, მაგრამ „იგი მოყმე“ ომანინთან არ გამოცხადდა:

„მასვე მონასა უბრძანა, რომე პირველ დაეხარა;
წადი იგი მოყმე ნახე, ვინ შუქთა ფენს მზეებარა,
უთხარ: ვიცი შეგეტყობის გული ჭირსა დაება რა,
მოდი, მითხარ, ნუ თუ გარგო, ვნახთო ღვთისა განგება რა“.

მივიდნენ და უთხრეს ომანინის დანაბარები უცნობ მოყმეს. თან დაამშვიდეს და დააიმედეს, რომ ომანის „მოხმარება დია სჭირსა“, მაგრამ;

„მან მონასა შემოხელა, გვანდა საქმე განაჭირსა –
„წადი, ჰკადრე: „ვერვინ მარგებს უკეთ ვიცნობ ჩემსა ჭირსა“.

გიფიცხდა ომანინ, მაგრამ არ აჰყვა გულისწყრომას და დაითმინა. გადაწყვიტა თავად მისულიყო მოყმესთან: „ბრძანა წავალ თავად ვნახავ, რა გინდ რა ვინ დამიზრახოს“. მივიდა, „გვერდსა დაისვა, დაუწყო მას ამო საუბარია... შენ იაგუნდი რამ შეგქმნა აწ ეგრე ფერმიმხდარია?“ შემდეგ:

ადგა, ყელსა მოეხვია, მათ აკოცეს ერთმანერთსა
ატირდა და აატირა, გული ჰგვანდა განაერთსა“.

როგორც ვხედავთ, „ომანიანის“ კითხვისას თვალშისაცემია „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდები, ნაცნობი სიტყვა-პასუხით გაჯერებული ეპიზოდები. ხშირად მოვლენათა განვითარება მთლად „ვეფხისტყაოსნის“ იდენტურია. მასში გვხვდება შოთასეული მხატვრული ფორმები, ყველაზე მეტად კი მეტაფორული გარდასახვები. ხშირად მეორდება შოთასეული ტაეპები. ასე, მაგალითად:

„მართ მეფე და დედოფალი უშვილობას დაელონათ“.
„ესოდენსა სიხარულსა ერთი ჰქონდათ საჩივარი
ძე არ ჰყვანდათ, ჟამი იყო, გულსა სჭირდათ სატკივარი...
იტყოდეს თუ: რა ვყოთ ანუ რა ვქნათ საქმის საძივარი?
შევეხვეწნეთ სახიერსა ჩვენი მხსნელი იგივე არი“.

მათი თხოვნა ისმინა ყოვლადძლიერმა: „ჟამი იქმნა განგებითა დაორსულ-
და დედოფალი...“ შემდეგ სტროფში გადმოცემულია ომანის დაბადების ამბავი:

„ვაჟსა სახელად დაარქვეს ომან გვარისეულად,
ვით იზრდებოდა, რა გაადრო, ან რა გვარ ყოფაქცეულად!
პირი მზისაებრ შეენებით, ტანი ალვისა ხეულად;
ხუთისა წლისა ვერ მორჩის აბჯარი გაუხვეველად“

ომანი, მსგავსად ტარიელისა, ძლევაძლიერი რაინდია, იგი შემკობილია ყვე-
ლა ღირსებით, ოღონდ განმასხვავებელია ის, რომ ხშირად უზის საქეიფო სუფ-
რებს და ახასიათებს მოჭარბებული ღვინისმსმელობა, რაც ქაიხოსროს ეპოქის მა-
ხასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ, რასაც პოეტი გვერდს ვერ უვლის.

ზემოთ მოტანილი სტროფები და ცალკეული ტაეპი აზრობრივად სრულიად
იმეორებს რუსთველის პოემაში გადმოცემულ ამბავს და გაჯერებულია „ვეფხის-
ტყაოსნისეული“ რემინისცენციებით. მართალია, „ომანიანში“ ვხვდებით მრავალი
განმასხვავებელი ნიშანიც, მაგრამ ისინი პოემას მაინც ვერ სძენენ სრულყოფილი
ორიგინალობის ელფერს.

„ომანიანის“ პოეტიკაც ძალიან მიბაძვითა და მასში ხშირად ვხვდებით რუს-
თველის პოემის ანალოგიებს. ერთ-ერთი ყველაზე განმასხვავებელი ნიშანი არის
ის, რომ „ომანიანს“ მხოლოდ ნაწილობრივია დაწერილი ლექსად, ნაწილობრივ
კი – პროზად. ომანის მიერ ბურნე მელიქის ცოლად შერთვის ამბავამდე პოემა
გადმოცემულია პოეტური თხრობით მცირედენი პროზაული ჩანართებით, დანარ-
ჩენი კი დაწერილია პროზაულად. პროზაულ ნაწილშიც აქა-იქ ჩართულია სალექსო
სტროფები. საინტერესოა, რომ სალექსო ნაწილში ავტორი საუბრობს მოლექს-
სეობის საკითხზე და მეტად რთულ საქმედ მიაჩნია პოეტობა. აღნიშნავს, რომ
ლექსის მთქმელზე ძალდატანება პოეტს უქმნის რთულ მდგომარეობას. პოეტმა
უნდა წეროს თავისუფლად და თავისი სურვილით:

„იცოდეთ ლექსთა მთქმელისა გული ნიადაგ წუხდების,
იტყვის, თუ: „ვერ ვთქვა საფერად, ვის ტანი ლერწმად უხდების

ბევრჯერ მოსულა მთაზედა – ცა რისხვით მოუქუხდების,
ზოგჯერ ნათელსა უბოძებს იგი, ვინ მიწყვი უხდების“⁷

რუსთველის თქმისა არ იყოს, პოეტმა, თუ ლექსის წერას ვედარ აგრძელებს, „არ შეამციროს სათქმელი, არა ქნას სიტყვა მცირობა“. ამიტომ ქაიხოსრო ანებებს ლექსად გამოთქმას თავს და სათქმელს პროზად აგრძელებს:

„ლექსნი დადგეს და სიტყვები აწ სხვაებრ გაგრძელებისა,
ვიცი ამბავთა ჩამოჯრა უმეცრად დამედებისა“⁸

„ომანიანში“ გვხვდება რუსთველური აფორიზმების აზრობრიბი გამეორება-ნიც. მაგალითად, შოთასეული „სხვა სხვისა ომსა ბრძენია“ ასეა ფორმულირებული: „სხვა სხვისა მეცნიერია“, ან კიდევ: „მაშა ლხინსა ვინ მოიძკის პირველ ჭირთა უმუშაკო“, ომანიანში შემდეგნაირადაა: „მაგრამ ლხინსა ვერა ჰპოებს, ვინ სასჯელსა ერიდების“. რუსთველის მიბაძვით ქაიხოსროს მიერ გამოთქმულია კიდევ ბევრი აფორიზმი, მაგალითად: „ხამს მოყვრისათვის სიკვდილი ესე მე დამიც წესადა“, „მოყვრისათვის სასიკვდილოდ თავი წამსა გარდიდების“, „...ვერვინ შემლის განგებთა მომავალსა“ და მრავალი სხვა.

ამდენად, „ომანიანი“, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელებათა გაგრძელება, მრავალ კომპონენტში ჰკავს „ვეფხისტყაოსანს“. მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში რუსთველური მაღალი ლექსის ხარისხი კარგავს თავის სახეს და უბრალოვდება კიდევ, იგი მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს სუსტ ნაწარმოებად. ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს მნიშვნელოვანი შრომა გაუწყევია, პოემას ზედ ეტყობა ავტორის დიდი პოეტური გარჯა და არც ურიგოდ უთქვამს სათქმელი. მეფე-პოეტი არჩილიც ხომ ასე აფასებს ქაიხოსროს პოემას: „კარგად რომ უთქვამს, მის გამო არა ვთქვი მისი ზიანი“.

⁷ ომანიანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბ., 1937, გვ. 15.

⁸ იქვე, გვ. 88

„The Knight in the Panther's Skin” and „maniani”

Resume

«Omaniani» is a heroic–Indian novel. It is written in imitation of Shota Rustaveli's «The Knight in the Panther's Skin» and is in a way a continuation of it. The Omaniani was written in the first quarter of the 17th century, but its origin remains elusive. The poem came down to us as the 18th century manuscript. The poem is long, although it is written partly in poetry, partly in prose.

The characters of Kaikhosro Cholokashvili's poem are identical to the characters of «The Knight in the Panther's Skin». The main character is Omain, he is the prototype of the author of the poem. Kaikhosro and his brother, prominent church and public figure Nikifore Cholokashvili (Irbakhi) were sons of Omani and were also referred as Omanishvili. Omain is a knight similar to Tariel in his stature and strength. Along with his physical build, he is also a flawless and beautiful knight in spirit. Omain is also too sensitive.

Rustaveli's influence on «Omanian» is also felt in the plot. As Saridan has an only son Tariel, so «Omanian» Saridan also has an only son Omain, who, like Tariel, will look for his true love in the «open» forest and fields. In the prologue of the poem, we can find the narration of «The Knight in the Panther's Skin». The narration of the story begins with an appeal to God, while the author talks about poetry and intimacy. In the poem, there is a country similar to the Arab kingdom, Misreti, whose king has only one daughter and will proclaim her king during his lifetime. Omain, young man, will also go to the forest and fields in search of true love.

The poem contains many aphorisms, metaphors and phraseology. The beginning of some events is completely different from the «The Knight in the Panther's Skin» passages, but in the course of the narration, Rustaveli's story suddenly appears, sometimes the meaning, style and manner of the narration completely coincide. Reminiscences of «The Knight in the Panther's Skin» can be found abundantly in «Omanian».

There are many such episodes in the poem, the likes of which you will not find in «The Knight in the Panther's Skin». Some of the events developed in it have their origin in a completely different environment and situation, which is the result of the poetic mastery of Kaikhosro Cholokashvili. The creation of such different and original stories makes us believe that its author is an independent creator and has significant poetic ability.

თენგიზ გუმბერიძე (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

**ერეკლე მეორისა და ანტონ კათალიკოსის ლიტერატურული პერსონაჟები
ალექსანდრე კალანდაძის რომანში „ნეიშნის ფიცი“**

სამას წელზე მეტი გავიდა მეფე ერეკლე II-ისა და ანტონ კათალიკოსის (ერობაში თეიმურაზ ბატონიშვილი) ამქვეყნად მოვლინებიდან. ისინი განეკუთვნებიან XVIII საუკუნის საქართველოს ურთულესი პერიოდის გამორჩეულ მამულიშვილთა გაღერეას, რომელთაც საკუთარ მხრებზე იტვირთეს ქართველი ხალხის მაშინდელი აუტანელი ყოფის ყველა სირთულე და უბედურება. განუსაზღვრელია ერეკლე II-ისა და ანტონ კათალიკოსის ის წვლილი, რომელიც მათ შეიტანეს ჩვენს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში. ამდენად, უცნაურიც კი იქნებოდა, რომ ამ გამოჩენილ ისტორიულ პიროვნებათა შესახებ ცნობები მხოლოდ მემპტიანეთა ქრონიკებს შემოენახა და ქართულ მხატვრულ შემოქმედებას საკადრისი სიტყვა არ ეთქვა მათზე. სწორედ ამ მისიას ემსახურება მწერალ ალექსანდრე კალანდაძის ისტორიული რომანი „ნეიშნის ფიცი“, რომლის მთავარ პერსონაჟებად გვევლინებიან თეიმურაზ ბატონიშვილი და პატარა კახი. რომანის წამყვანი ფიგურა მაინც თეიმურაზ ბატონიშვილია. რომანში წარმოსახული მხატვრულ-ისტორიული ფაქტები და მოვლენები ძირითადად მის პიროვნებასთანაა დაკავშირებული.

ერეკლე II-ის მეფობის დასასრული ეტაპის ძალზე ტრაგიკული მოვლენა გახლავთ კრწანისის მარცხი, რითაც აგრერიგად ისარგებლა ერთმორწმუნე მეზობელმა რუსეთმა და საქართველო თავის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა. ქართველმა მეფემ თავი ვერაფრით დააღწია უზარმაზარ ვეშაპს, რომელიც ერთმორწმუნეობის ყალბი პოლიტიკის წყალობით, სხვა უამრავ ბოროტებასთან ერთად, საკუთარ მარწუხებში იქცეოდა მუსლიმანურ სამყაროსთან გამუდმებულ ომებში დასუსტებულ ჩვენს ქვეყანას. მიუხედავად ამისა, საქართველოს ისტორიიდან და ქართული ლიტერატურის ფურცლებიდან ერეკლე II მაინც გვესახება მამულისთვის თავდაუზოგავ მეომრად და გმირად. იგი მიაჩნდათ ომის ღმერთად. მაშინ ერეკლეს იმედით სულდგმულობდა ქართველი ხალხი.

თავის დროზე ერეკლე II-ის მხატვრული სახე განსაკუთრებით აქტუალური იყო ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაში, ასევე XIX საუკუნის 60-იანელთა შემოქმედებაშიც და XX საუკუნის მწერლობაშიც. რაც შეეხება ანტონ კათალიკოსის მხატვრულ სახეს, იგი ქართული მწერლობის შედარებით მოკრძალებული პერ-

სონაჟია, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება მას მაინც XIX საუკუნის 60-იანელებმა მიაქციეს. აკაკი წერეთელმა მკვეთრად გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ამ დიდი საეკლესიო მოღვაწისა და მეცნიერის მიმართ, რაც გამოწვეული იყო ამ უკანასკნელის მიერ სამი სტილის თეორიის დანერგვით, რამაც უარყოფითად იმოქმედა ქართული სალიტერატურო ენის შემდგომ განვითარებაზე. ასევე ვერ პატიობდა „ვეფხისტყაოსნისადმი“ უდიერ მოპყრობას. მიუხედავად ამისა, აკაკი წერეთელს სრულიად გააზრებული ჰქონდა ანტონის დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო მოღვაწეობა და განსაკუთრებულ პატივსაც მიაგებდა მას. აკაკის თქმით, „ანტონ პირველმა, კათალიკოსმა, არა ნაკლებ ვახტანგზე გამოჩენილმა პირმა, ისე ურიგოთ დაინახა „ვეფხის-ტყავოსანი...“¹. უნდა ითქვას, რომ ანტონ კათალიკოსის, როგორც პირველი ქართული გრამატიკის ავტორის, დამსახურება ფასდაუდებელია საენათმეცნიერო მოღვაწეობაში. აკაკიც მართებულად მიიჩნევდა ვახტანგზე არანაკლებ გამოჩენილ პიროვნებად მას.

ყველაზე სრულყოფილი მხატვრული სახეები XVIII საუკუნის ამ ორი ბუმბერაზი პიროვნებისა წარმოაჩინა XX საუკუნის ცნობილმა ქართველმა მწერალმა ალექსანდრე კალანდაძემ თავის რომანში „ნეიშნის ფიცი“. წიგნი შედგება 535 გვერდისგან. იგი არის ვრცელი ისტორიული რომანი, რომელშიც მთავარ პერსონაჟებად ერეკლე მეფე და ანტონ კათალიკოსი გვევლინებიან. ავტორი აღწერს რა ერეკლე მეფის უდიდეს მამულიშვილურ ღვაწლს, იქვე ხაზს უსვამს ანტონ კათალიკოსის განსაკუთრებულ დამსახურებას ქვეყნის სასულიერო, სამეცნიერო-საგანმანათლებლო, ასევე საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებში. რომანისთვის დამახასიათებელი სასიყვარულო-სატრფიალო ხაზის განვითარების ერთ გარკვეულ მონაკვეთსაც ყრმა ბატონიშვილის ჭაბუკური განცდები და გივი ამილახვრის ასულ ანინოსთან მისი სამიჯნურო თავგადასავალი შეადგენს.

რომანის ავტორს თეიმურაზ იესეს ძე ბატონიშვილი (შემდეგ დიდი საეკლესიო მოღვაწე ანტონ კათალიკოსი) რომანის დასაწყის ნაწილშივე შემოჰყავს ნაწარმოების ფონზე. 1720 წლის 17 ოქტომბერს მეფე იესეს მისი დაბადება ახარეს. ყრმას თეიმურაზი დაარქვეს. იგი იესეს უმცროსი ვაჟი გახლდათ. დედის მხრივ იყო კახეთის მეფე თეიმურაზ II-ის დის (ელისაბედი, ელენე) შვილი, ე. ი. ერეკლე მეფის ღვიძლი მამიდაშვილი, მისი თანატოლი და კახეთის მეფის სასახლეში ერთმანეთთან თანშეზრდილები.

რომანის შინაარსიდან გამომდინარე, მკითხველს უცილობლად დარჩება ისეთი

¹ აკ. წერეთელი, ტ. XII, თბ., 1960. გვ. 86

მოსაზრება, რომ თითქოს აღმოსავლეთ საქართველოში, სპარსეთის შემოსევებთან შედარებით, განსაკუთრებით აგრესიული იყო ოსმალთა შემოსევები, ვინაიდან სწორედ ოსმალებმა გაააქტიურეს ლეკები და მათ იწყეს რეგულარული თავდასხმები ქართლ-კახეთზე. რომანის ავტორიც, ძალზე სამართლიანად, მკითხველის თვალთახედვას ოსმალთა სწორედ ამ ბოროტ პოლიტიკურ სვლაზე მიაპყრობს. ოსმალები უფრო აქტიურად იყენებდნენ ლეკთა მარბიელ ლაშქრობებს და აზიანებდნენ ქვეყანას. ლეკთა თარეში წელში წყვეტდა მთელი აღმოსავლეთ საქართველოს. როგორც ცნობილია, 15 წლის ერეკლე ბატონიშვილმა პირველად სწორედ ლეკთა წინააღმდეგ აისხა საომარი აბჯარი. მაშინ მას გვერდით ახლდა თანატოლი მამიდაშვილი თეიმურაზ ბატონიშვილიც. მათ ერთად მიიღეს პირველი საბრძოლო ნათლობა ნეიშნის ველზე ლეკთა წინააღმდეგ გამართულ ლაშქრობაში. სწორედ იმ პირველი ბრძოლის წინ დადეს მათ ცნობილი ფიცი - ან გავიმარჯვოთ, ან ნეიშნის ველზე დავინოცოთო. მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ნალეკარი სოფლებისა და ეკლესია-მონასტრების დათვალიერებამ გული მოუკლა ყმაწვილ ბატონიშვილებს. ისევ დათქვეს: „ერთობილ ვიყოთ... ვიყოთ ძმანი სულიერნი, ვითარცა ვართ ძმანი სულითა და ხორციით“.

ავტორი ყრმა თეიმურაზის მხატვრულ სახეს მოკლედ ასე გადმოგვცემს: „იჯდა თეთრონზე მედიდურად თავაწეული, მხრებგანიერი, წელვიწრო და პირხმელი“² „მთელი დღეები ერეკლესთან ერთად მთაღრებში ცხენს დააჭენებდა, ფარიკაობდა, ვარჯიშობდა, მთიულებსაც აოცებდა მისი სიჩაუქე და მოხდენილობა, მსუბუქი ნაბიჯი, ზუსტი სროლა და ხმლის ძალა“³.

თეიმურაზმა აღუთქვა ბიძაშვილ ერეკლეს: „ვფიცავ საქართველოს ნათელს, მხარში ამოვიდგე, არ შევუშვა გულში არა ეჭვი, არა ცილი, არა სიხარბე, არა შური, არა პატივმოყვარეობა! იყოს არა ჩემი, არამედ ჩვენი... ერთობილ აღვუდგეთ ბოროტმზრახველთა, მოსპობის მოსურნეთა, ურჩთა...“ როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაამტკიცა, მათ ეს სიტყვები სიკვდილამდე ერთგულად დაიცვეს.

რომანის მიხედვით, სამეფო კარის ინტრიგებმა ჩამოაგდეს უნდობლობა თეიმურაზის მიმართ. კახეთის მეფე თეიმურაზ II ერთგვარ სიხარულსაც კი განიცდიდა თამაზ ყული ხანის (შემდეგში ნადირ შაჰის) თბილისში მოსალოდნელი სტუმრობის გამო, რასაც აღმოსავლეთ საქართველოდან თურქთა განდევნა უნდა მოჰ-

² ალ. კალანდაძე, ნეიშნის ფიცი, თბ., 1977, გვ. 83

³ იქვე;

ყოლოდა შედეგად, მაგრამ გივი ამილახვარი თავისი სათაყვანო ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ შემზადებულა. მალე თავის ასულს თეიმურაზ იესეს ძეზე დააქორწინებს და ცდილობს, ქორწილის დღეს სიძე ქართლის მეფედაც გამოაცხადოს თურქთა მხარდაჭერით. ასეთი გარემოება კახეთის მეფეს ხელს არ აძლევდა. ლეკთა თარეშს ბოლო არ უჩანდა, თურქები საშინელ ბოროტებას თესდნენ. კახეთის მეფე მიესალმებოდა 16 წლის დისშვილის ქართლში გამეფებას, მაგრამ გივი ამილახვრის გაერთიანება თურქების მომხრე იესესთან და თურქების დახმარებით უფლისწულ თეიმურაზის ქართლის სამეფო ტახტზე ასვლას ნამდვილად ვერ ურიგდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომი მოვლენები სულ სხვანაირად წარიმართა (თბილისში შემოსულმა თამაზ ყულმა გივი ამილახვრის ნდობის მოსაპოვებლად და მისგან კავშირის დასამტკიცებლად თავად განიზრახა ანინოზე დაქორწინება და თეიმურაზ ბატონიშვილს საცოლე პირდაპირ საქორწილო სუფრიდან წაჰგვარეს), კახეთის მეფის დამოკიდებულება დისშვილის მიმართ ბოლომდე გამრუდებული დარჩა, რაც არაერთხელ გამოვლინდა კიდევ სხვადასხვა დროს.

აღექსანდრე კალანდაძის რომანში თეიმურაზ იესეს ძე წარმოჩენილია, როგორც ქართლში სპარსული ორიენტაციის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი, რის საბაბიც ნამდვილად გააჩნდა. მას სულთი ხორცამდე სძაგდა ყიზილბაშები, რამდენჯერმე ჩაუსაფრდა და თავს დაესხა თამაზ ყულის რაზმებს. რამდენიმე ასეთი ჩანაფიქრიც კიდევ განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ მის აქტიურ ანტისპარსულ ბრძოლას საბოლოოდ ჩასცა მახვილი ყიზილბაშთა მიერ გივი ამილახვრისა და სხვა თანემებრძოლ ქართველთა შეპყრობამ და სპარსეთს წარგზავნამ. წონასწორობადაკარგული უფლისწული თვისტომთა შორის ადგილსა და დასაყრდენს ვეღარსად პოულობდა. იგი ღრმა დეპრესიამ შეიპყრო და სულიერი განცდების განსაქარვებლად ეკლესიას მიაშურა. ბერადაც აღიკვეცა, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ განიკურნა. მაშინ დედამ, ელენემ, განიზრახა რუსეთს გამგზავრება და შვილის თან წაყვანა. მათ ხომ იქ ბევრი ნათესავი ჰყავდათ არჩილისა და ვახტანგის ოჯახური განშტოებების სახით (პაპა ერეკლეც ხომ იქ აღიზარდა და ბევრი რამ სმენოდა იქაურ გარემოზე). რუსეთს გამგზავრებამ შედეგი გამოიღო. უფლისწული თეიმურაზი, ბერობაში ანტონად წოდებული, ჩამოყალიბდა დიდ საეკლესიო მოღვაწედ. ამასთანავე მსუყე ნაყოფი მოიხსა წიგნებისადმი მისმა განსაკუთრებულმა სიყვარულმაც. ანტონი იქცა განმანათლებლად და მეცნიერ მოღვაწედ. „აღადგენდა გაპარტახებულ ეკლესია-მონასტრებს; მძაფრად ილაშქრებდა სომეხ მონოფიზიტთა იმხანად განსაკუთრებით გააქტიურებული პროპაგანდისტული შემოტევების წი-

ნააღმდეგ... გარს შემოიკრიბა საქმიანი და განათლებული ადამიანები ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან⁴. ცნობილია, რომ მისი თაოსნობითა და მონაწილეობით დაარსდა თბილისისა (1755 წ.) და თელავის (1782 წ.) სემინარიები, განაახლა ვახტანგისეული სტამბა, შეიმუშავა გეგმა-პროექტი უმაღლესი სასწავლებლების დაარსებისა თბილისში, თელავსა და გორში, რაც განუხორციელებელი დარჩა. იგი არის ავტორი საენათმეცნიერო და ფილოსოფიურ-თეოლოგიური სახელმძღვანელოებისა. რომანის ავტორი თითქმის ყველა ამ საკითხს ეხება.

ალექსანდრე კალანდაძის რომანში თანმიმდევრულადაა გამოყენებული თითქმის ყველა ისტორიული ცნობა და დოკუმენტი, რომლებიც ავტორის მიერ თავისებურადაა შეფასებული და მხატვრულად გარდასახული. იქვე ნაჩვენებია ანტონის დაუოკებელი სწრაფვა ევროპული აზროვნებისკენ, იყო ევროპული კულტურისა და განათლების მიმდევარი. დაეწაფა ფსიქოლოგიასა და ფიზიკას. უმეცარს უწოდებდა ფიზიკის არმცოდნეთ. და რაც ერთობ საინტერესო და საკვირველიცაა, იგი იყო რომის პაპისა და კათოლიკური ეკლესიის პატივისმცემელი, რის გამოც არაერთხელ გაიხლართა წინააღმდეგობათა ქსელებში. ასეთი მიმართულებისა და მიდრეკილებების გამო იგი კიდევაც გაასამართლეს და კითხვაზე - იყო თუ არა კათოლიკე - პასუხმა - მე ვარ კათოლიკე მართლმადიდებელი - დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, როგორც საეკლესიო პირთა შორის, ისე სამეფო ოჯახშიც. ყურებს არ უჯერებდა თავად ერეკლეც. ყრმობიდან ტრაგიკული ბედის კაცი თეიმურაზ იესეს ძე ბატონიშვილი ეკლესიის კედლებში ცდილობდა სიმშვიდის მოპოვებას, მაგრამ აქაც ხელი მოეცარა. ანტონი განდევნეს. განდევნეს სხვა კათოლიკეებიც, თუმცა ნეიშნის ფიცის ერთგულმა ერეკლემ იგი დააბრუნა და კვლავ ქართლის კათალიკოსად აღაზნა. არაერთხელ დაპირისპირებია თავად ერეკლე მეფესაც. წიგნში ავტორი ანტონს ახასიათებს, როგორც პრინციპულ და შეუვალ მოღვაწეს.

რომანის ავტორი ეხება საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის მრავალ უმწვავეს საკითხს, რომელთა გადაწყვეტასაც ერეკლე II ცდილობდა, მათ შორის, ტყვეთა სყიდვის ამკრძალავი ღონისძიებების გატარება, რომელიც მან 1747 წელს დაიწყო. ქართლისა და კახეთის მეფეთა მიერ შერისხული ამ უღირსი საქმიანობის მიმდევარნი, „აზნაურები და გლეხები ანტონ კათალიკოსის წინაშე ფიცსა დებდნენ...“⁵, რომ ასეთ ღვთის საგმობ საქმეს მეტს აღარ ჩაიდენდნენ. საგარეო საქმიანობაში კი აუცილებელი იყო რუსეთთან კავშირ-ურთიერთობის დასამყარებლად

⁴ ვ. კოზმანაშვილი, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, მცხეთა, 2012, გვ. 53.

⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 528

გზების ძიება ოსმალურ-სპარსული წინააღმდეგობების პირობებში. ამ ბრძოლაშიც ქართლ-კახეთის მეფეს მუდმივად გვერდით ედგა კათალიკოსი ანტონი, რომელსაც იმპერატრიცასადმი მიწერილ წერილებში მეფე ყოველთვის საკუთარ მძაღ მოიხსენიებდა. მაგალითად, „ჩვენ გაახელით ჩვენი ძმა კათალიკოსი ანტონ“. ერეკლე მეფის დავალებით ანტონმა დიპლომატიური მისიით რამდენჯერმე იმოგზაურა რუსეთს.

რომანის ბოლო მონაკვეთში განხილულია გენერალ ტოტლებენის მოღალატური საქციელი და ერეკლე მეფისადმი მისი მტრული დამოკიდებულება. ეკატერინე II-ისადმი ამ ფაქტის გამო გამართულ მიმოწერაში აქტიურად მონაწილეობდა ანტონ კათალიკოსიც. ავტორი საკმაოდ კრიტიკულად ახასიათებს ამ მოღალატურ ფაქტს და სათანადოდ უარყოფითად აფასებს მაშინდელ რუსულ კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში, რომელიც კაბალურ ვითარებაში აქცევდა ჩვენს ქვეყანას. წარსულის მსგავსი საკითხების გამოამჟღავნებს უფროსხვა საბჭოთა მმართველობაც, ვინაიდან ეკატერინესეულიცა და საბჭოურიც ორივე რუსული იყო და უბრალო მკითხველსაც კი არ გაუძნელდებოდა საქართველოსადმი ძველსა და ახალ კოლონიურ დამოკიდებულებებს შორის თანაბარი და იდენტური პირობების აღმოჩენა. ამის დასტურია გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაწყებული „მეგობრული“ წარსულის დიად დაგვირგვინებად მონათლული გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის გახანგრძლივებული ზეიმი. საქართველოსადმი რუსული პოლიტიკა მუდამ იყო მხოლოდ ფარსი და ღალატი, რაც სრულად დასტურდება 1801 წელს რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოს გაუქმებით, ოკუპაციითა და ანექსიით, შემდეგ საბჭოთა ანექსიითა და თანამედროვე ოკუპაციით.

რომანის ავტორს ყურადღების მიღმა არ რჩება და მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ანტონისა და ზაქარია გაბაშვილის წინააღმდეგობრივ ურთიერთობას. ავტორი განიხილავს კუპლებებს ზაქარიას პოემიდან „კატის ომი“, რომელიც მან სწორედ ანტონის დასამცირებლად შეთხზა.

რომანში არაფერია ნათქვამი კრწანისის ომში განცდილ მარცხზე. ავტორი წიგნში თავს არიდებს ისტორიული ფაქტების მხატვრულ გადაადგილებებს და სათქმელს ნამდვილი ამბების კვალდაკვალ მოგვითხრობს. აქედან გამომდინარე, კრწანისის ტრაგედიას ვერც შეეხებოდა, რადგან თხრობას ანტონის გარდაცვალებით ამთავრებს: „მე ვკვდები, მაგრამ საქართველო ცოცხალია. ამქვეყნიდან ყველა გულნაკლული მიდის არა სიკვდილის შიშით, არამედ იმედების აუხდენლობით გულნაკლული. ჩვენით არა თავდება რა, ყველას თავისი დრო და მოვალეობა აქვს, ყველას შეუძლია იზრუნოს, იღვანოს, გააუმჯობესოს. ვინძლო, ჩვენზე მეტი და

უკეთესი იღონოს. ჩვენ ამის მეტი ვერა ვიღონეთ რა“⁶. ავტორი არ განმარტავს, მაგრამ ამ სიტყვებს ალბათ თვალცრემლიანი ანტონი ამოთქვამდა სიკვდილის წინ. იგი გულნაკლული და გულმოკლული წავიდა იმიერ სამყაროში, ვინაიდან, უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად, ბევრი ვერაფერი არგო ყოველმხრივ მტრების გარემოცვაში ჩავარდნილ ქვეყანას, რომელსაც თვისრჯულიც და მუსლიმანიც თავთავისკენ სწეწდა.

სასიკვდილო სარეცელზე მწოლარეს თავს ადგა ერეკლე მეფე. უმაღლესი ამბავი მოუტანეს, ხუნძახელ ომარ ხანს, სულეიმან ფაშას და კიდევ სხვებს საზღვრები გადმოუღალახავთ და ყვარლის ციხეს შემოსდგომიანო. ერეკლე სწრაფად გავიდა, მაგრამ იგრძნო, მძაღნაფიცი თეიმურაზ ბატონიშვილი სრულიად მარტო რჩებოდა. მეფემ კიდევ მოიხედა და ანტონის ტუჩების თრთოლვაში ამოიცნო, რომ სიკვდილის უკანასკნელ წუთს იგი ისევ საქართველოზე ლოცულობდა. რომანის ასეთი დასარულიც ცხადყოფს, რომ წიგნი უმეტესად ანტონის ცხოვრებასა და ღვაწლს წარმოაჩენს, რომლის მსგავსი ეოსოდენ ვრცელი და სრულყოფილი მხატვრული ქმნილება ჯერჯერობით სხვა არ მოგვეპოვება.

Tengiz Gumberidze

**Literary characters of Erekle II and Anton Catholicos in Alexander Kalandadze's
novel «Oath of Neishni»**

Aleksandre Kalandadze's novel «Oath of Neishni» describes the most acute problems of the domestic and foreign policy of the eighteenth century Georgia, whose solutions were led by prominent state and religious figures such as Erekle II and Anton Catholicos. These two knee-jerk figures, Erekle and Anton, took the most severe measures and resolved many issues, including the prohibition of the purchase of captives and the cessation of lekkanism, but it was still impossible to finally solve the problems. It was necessary to find other means... Anton Catholicos, as the spiritual leader of Georgia, repeatedly went to the Moscow Imperial Court on a diplomatic mission. The difficult situation of Georgia was well taken advantage of by the northern neighbor and our country was subjected to the now well-known Georgievsk Treaty, which was preceded by the treacherous activities of Russian generals (Totleben, Sukhotin...) at the court of King Erekle. The Treaty of Georgievsk was perceived as a posi-

⁶ ალ. კალანდაძე, ნეიშნის ფიცი, თბ., 1977, გვ. 534.

tive event, but Imperial Russia never respected such agreements and, as a rule, used them only for its own purposes.

A heavy dramatic scene in the novel is the showing of Anton's last days in the palace of King Erekle, weakened in search of a better future for Georgia. He was confronted by King Erekle, who was immediately informed that Khundzakhel Omar Khan and Suleiman Pasha had crossed the borders of Kakheti and were destroying the villages here. Erekle quickly left the room...

«Oath of Neishni» is a novel of the Soviet era. In it, together with the Turkish-Persian expansion, despite the Soviet ideological restrictions, the true face of Christian Russia as an occupier can still be clearly seen. A certain part of the novel is dedicated to the political and religious relations between Russia and Georgia, which were led by Anton Catholicos from the Georgian side.

ქუეყანა ჭყონდიდისა

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის აზრით, ამა თუ იმ ქვეყნის მნიშვნელობა ფეოდალურ ხანაში სულ ერთნაირი არ ყოფილა და სხვადასხვა დროს სხვადასხვა როლს თამაშობდა. ზოგი ქვეყანა წამყვანი ხდებოდა და ფართოვდებოდა, ზოგი კი პირიქით – მცირდებოდა ან მოიშლებოდა¹. მაგრამ რა ქმნიდა ცენტრს, რა ნიშნები იყო ამისთვის საჭირო, ან საკმაო, – გეოგრაფიული ბუნებრივი პირობა? მკვლევარი ფიქრობდა, რომ ისტორიულ-გეოგრაფიული „ბუნებრივი პირობა“ არ არის გეოგრაფიული კატეგორია. ეს ისტორიული კატეგორიაა. გეოგრაფიული პირობა რჩება, ცენტრი კი შეიძლება მოიშალოს და სხვაგან გადავიდეს. მაშასადამე, „საზოგადოების განვითარების სხვადასხვა დროს მრავალგვარ პირობათა კომპლექსი ქმნის იმ „ბუნებრივ პირობას“, რომელიც ამა თუ იმ პუნქტს ცენტრად აქცევს“².

ქუეყანა უცენტროდ წარმოუდგენელია. ყოველ ქუეყანას თავისი ცენტრი გააჩნია. იგი ორი სახისაა: ადმინისტრაციულ-პოლიტიკური და სამეურნეო-ეკონომიური³. ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევდა, რომ ქვეყნის შესწავლისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მისი ცენტრი, ქალაქი, საში ნაწილისაგან შემდგარი ორგანული მთელი (დედაციხე, გარეუბნები და ქალაქის მიმდგომი ქუეყანა, ანუ სამოქალაქო⁴. „ქვეყნის“ ცენტრს ქალაქი წარმოადგენს, მისი სახელოსნო თუ სამიწათმოქმედო უბნებით (ავარანი, „ქალაქის პირის სოფლები“, „ქალაქი და მიმდგომი მისი“, „სამოქალაქო“, „ციხე მისითა შესავლითა“)⁵.

შუა საუკუნეების „კუთხეებს“ („სამთავროებს“, ქვეყნებს) ნ. ბერძენიშვილი ბარისა და მთის ერთგვარ შეერთებად, ერთიანობად წარმოიდგენდა. თვით მთელი საქართველოც ასეთი ქვეყნებისაგან შედგენილი ერთეული იყო, რომლის დაშლაც შეიძლებოდა მის შემადგენელ „ქვეყნებად“, მაგრამ თითოეული ამ „ქვეყნის“ დაშლა შეუძლებელი იყო მეურნეობის მოუშლელად⁶. ამდენად, „ქუეყანა“ მისი უძველესი გაგებით, ეს იყო „ცენტრი“ მისი სამეურნეო გარემოთი.

¹ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 109-110

² იქვე, გვ. 110

³ იქვე, გვ. 110-111

⁴ იქვე, გვ. 111

⁵ იქვე, გვ. 135

⁶ იქვე, გვ. 142-143

ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, უნდა არსებულებოდა „ნოქალაქევის ქვეყანა“⁷, ხოლო ეკონომიკურად უშუალოდ მასზე დაქვემდებარებული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული უნდა ყოფილიყო „ონოგურისის ქვეყანა“.

სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით დაწინაურებული პუნქტები, რომელსაც ეგრისის პოლიტიკური ცენტრი არქეოპოლისი-ციხეგოჯი აკონტროლებდა, აბაშისა და ტეხურის ხეობებში მდებარეობდა. დასავლეთით ეს „ქვეყანა“, ალბათ, შავიზღვისპირეთამდე (?) ვრცელდებოდა, ხოლო აღმოსავლეთით ცხენისწყალი ესაზღვრებოდა. ამ სექტორში თითქმის ყველგან გვხვდება ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები – „ნაოხვაშები“, „დიხაგუშები“ და „დიხაზურები“. გორა-ნამოსახლარების სიმრავლე თვალსაჩინო მოწმობაა მოსახლეობით ამ მიკროქვეყნის მჭიდროდ დასახლებისა წინაფეოდალურ და ფეოდალურ ხანაში⁸.

აბაშისა და ტეხურის ხეობების ეკონომიკურ დაწინაურებაზე მიანიშნებს მდიდარი არქეოლოგიური მასალა. ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან ამ სექტორში სამოსახლეობის არსებობა დადასტურებულია ნოქალაქევიში, მუხურჩაში, ნოსირსა და სხვაგან⁹.

აბაშის, ტეხურისა და ციხის/ცივის აუზებში მჭიდროდ დასახლებული სოფლების არსებობაზე ასევე არანაკლებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ბიზანტიური წერილობითი წყაროები. კერძოდ, ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) თანამედროვე ბიზანტიელი ჟამთააღმწერლის, იუსტინიანეს კარის ისტორიკოსის, იურისტისა და დიპლომატის – პროკოპი კესარიელის ცნობით, ფაზისის (რიონის) მარჯვენა სანაპირო განსაკუთრებით დასახლებულია. „ლაზთა სოფლები ხომ აქ ყველა მდებარეობს მდინარის აქეთა (მარჯვენა – ავტ.) ნაპირას და ქალაქებიც მათ ძველთაგანვე აქ უშენებიათ. მათ შორის არის არქეოპოლისი, ძალიან გამაგრებული, სევასტოპოლისიც არის აქ და პიტიუნტის სიმაგრეც, ხო-

⁷ ისტორიკოსი დიურეში ერთგან ასხენებს „ტეხურის ქვეყანას“ და ამ ქვეყნის, იგივე დასავლეთ ლაზიკის, ცენტრად მოიაზრებს არქეოპოლისს, რომელიც თავისი მნიშვნელობით უცილობლად პირველი უნდა ყოფილიყო VI საუკუნის ლაზიკაში. ნ. ბერძენიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 466

⁸ ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ.8.

⁹ გოგაძე ე., კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982; მიქელაძე თ., კოლხეთის ადრეკინის ხანის სამაროვნები, თბ., 1985; ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია, თბ., 1997; ლომიბაშვილი დ., ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII–ახ. წ. VI სს. (ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003.

ლო სკანდა და სარაპანი – იბერიის საზღვრებისაკენ¹⁰. მისივე ცნობით, სწორედ ფაზისის მარჯვენა მხარეს მდებარეობს ერთი ქალაქი – არქეოპოლისი, „რომელიც არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“¹¹.

ბუნებრივია, ლაზების ქვეყნის უდიდესი, მთავარი, უპირველესი და ძალიან გამაგრებული ქალაქი არქეოპოლისი, როგორც ლაზეთის სამეფოს დედაქალაქი, გულისხმობს მის გარშემო, „საკონტროლო ზონაში“ მდებარე, მჭიდროდ დასახლებულ სოფლებს, საეკლესიო და საფორტიფიკაციო ნაგებობებს, ფიზიკურ-გეოგრაფიული, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ერთიან რაიონს – „ქუეყანას“ („არქეოპოლისის ქუეყანა“//„ტეხურის ქუეყანა“) და მასზე დამოკიდებულ, უფრო მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს, ანდა სულაც – სამეურნეო ზონას (ადრეფეოდალურ ხანაში – „ონოგურისის ქვეყანა“?).

უნდა ვიფიქროთ, რომ არქეოპოლისი-ციხეგოჯი, როგორც ეგრისის პოლიტიკური ცენტრი, პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ვერ დაწინაურდებოდა, თავისი სასოფლო-სამეურნეო რაიონი, თავისი საგარეუბნო-სამეურნეო ზონა, საკუთარი „სამოქალაქო“ რომ არ ჰქონოდა (მდრ., „მოხირისი“//„მუხირისი“, „ქუთათისის სამოქალაქო“). ასეთ რაიონს კი მის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით მდებარე აბაშის ხეობა წარმოადგენდა, რაც უშუალოდ ეკვროდა ეგრისის (ლაზიკის) დედაქალაქს, და სადაც გადიოდა ძირითადი საგზაო არტერიები აღმოსავლეთ ლაზიკისაკენ.

თავის საექსპედიციო ჩანაწერებში ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, რომ აბაშის ხეობა ცალკე ქვეყანა, მიკროქვეყანა უნდა ყოფილიყო. „შეიძლება ამ ფაქტს გულისხმობდეს ციხე ონოგურისი არქეოპოლისის ახლოს და მის საკონტროლო ადგილში... წყაროები გარკვევით მოწმობენ, რომ ონოგურისის ციხე, იგულისხმება რა თქმა უნდა, მისი ქვეყნით, ცალკე ერთეულია, მაგრამ არც ისე ცალკე, როგორც ვთქვამთ, მუხერისის ერთეული. არქეოპოლისი და მუხერისი ორი თანაბარტოლი (მნიშვნელობით) ერთეულია, ასევეა ვარდციხის ერთეული, მაგრამ ონოგურისი უფრო დამოკიდებულია, როგორც ქვეყანა, არქეოპოლისიდან“¹².

ლაზიკა, ისევე როგორც სრულიად საქართველო, დაყოფილი იყო ცალკეულ „ქვეყნებად“. დიდი და „დამოუკიდებელი“ ქვეყანა ბატონობდა რომელიმე მცირე ქვეყანაზე, ან ქვეყნებზე, ზოგი მცირე ქვეყანა კი პირიქით, მეურნეობრივად და პოლიტიკურად დამოკიდებული უნდა ყოფილიყო უფრო დიდ ქვეყანაზე. თითოეულ

¹⁰ გეორგია, II, გვ. 101.

¹¹ იქვე, გვ. 182.

¹² იქვე, გვ. 463

ქვეყანას, დიდს, გინდა მცირეს, თავისი „ცენტრი“ აქვს, რომლის მნიშვნელობაც ქვეყნის სიდიდე-სიმცირეზე იყო დამოკიდებული. ზოგი ქვეყნის ცენტრს მხოლოდ ციხე წარმოადგენდა, დიდ „ქვეყანას“ კი ციხის გვერდით განვითარებული „ქალაქი“ ახასიათებს. ორი ციხე (თავისი „ქვეყნით“) ისევე, როგორც ორი ქალაქი აგრეთვე ორი ეკონომიკური რაიონით – ქვეყნით, ერთ ტერიტორიაზე ვერ იბოგინებენ. ორივეს თავთავისი ქვეყანა უნდა. დიდი ქალაქი, დასძენს ნ. ბერძენიშვილი, დიდ ქვეყანას გულისხმობს *ceteris paribus*“. ციხეები (ქალაქები) ბუნებრივად, მეურნეობრივი განვითარების შედეგად წარმოიშვა და „ქვეყნის“ პოლიტიკურ და სამეურნეო გამოხატულებას წარმოადგენს და არა ნებისმიერად, რაციონალურად აგებულ-დაარსებულ რასმე. ქვეყანა წარმოიშვა გარკვეულ ტერიტორიულ სივრცეზე, საზოგადოების მეურნეობრივი განვითარებისდა კვალად¹³.

„ონოგურისის ქვეყანა“, ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, ეკონომიკურად უშუალოდ ნოქალაქევის ქვეყანას დაქვემდებარებული ისტორიულ-გეოგრაფიული ერთეული უნდა ყოფილიყო („არქეოპოლისის მომიჯნავე ქვეყანა“). ასეთი ქვეყანა კი მდინარე აბაშის ხეობაა. სტრატეგიული თვალსაზრისით გამორჩეული პუნქტები აბაშისა და ნოღელის თბილ და ნაყოფიერ ხეობებში მდებარეობდა, მდ. ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირამდე. ასეთი იყო სეფიეთი, მუხურჩა, ონოღია, ბობოთ-სერგიეთი, ნახუნაო, ხუნწი და, უპირველეს ყოვლისა, ბანძა, მასზე გამავალი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალით, რაც სწორედ ამ სოფელში განიტოტებოდა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სოფელი გვიანბრინჯაო-ადრერკინის, ანტიკური, ელინისტური და ადრეფეოდალური ხანის მნიშვნელოვანი ძეგლებითაა ცნობილი და დღესაც მჭიდროდ არის დაკავშირებული აბაშის ხეობასთან გზებით, სასმელი წყლებით, ბალ-ვენახებით, სამეურნეო ტრადიციებით. საკულტო ძეგლებიდან აქ ყველაზე მნიშვნელოვანია სეფიეთის ბაზილიკა, ბანძის ტეტრაკონქი („ნოჯიხევი“) და რვააფსიდიანი ეკლესია და ჭყონდიდის ტაძარი. საერო ხუროთმოძღვრების ძეგლებიდან უმნიშვნელოვანესია „ქაჯიმ ნამარანუ“ მარტვილში და თვით „ონოგურისად“ მიჩნეული ციხე სოფ. აბედათში. ამ ორი ციხის გაბატონებას ხელს უწყობდა მათი სტრატეგიული დანიშნულება, ეგრისის სამეფოს დედაქალაქის – ციხე-გოჯ-არქეოპოლისის „საკონტროლო ზონაში“ მდებარეობა. მეტი მნიშვნელობის მქონე „თავადი ციხის“ გაბატონება სხვა, უფრო მცირე ზომისა და ლოკალური დანიშნულების ციხეზე ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი მოვლენაა.

ამრიგად, აბაშის ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში ფიზიკურ-გეოგრაფიულად

¹³ იქვე, გვ. 464

კარგად გამოკვეთილი რაიონი („ჭუეყანა“) იყო, რაც დასავლეთით უნაგირას მთათა სისტემით (ბუერის, აბელათის, კალამონის, შქანთის მთები) იყო შემოზღუდული. უნდა ითქვას, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ ლაზიკის საზღვარი სწორედ უნაგირას („ონოგურისის“) მთებზე გადიოდა. აღმოსავლეთით ეს ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონი, როგორც აღენიშნეთ, ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირამდე ვრცელდებოდა, ხოლო ჩრდილოეთით მოიცავდა აბაშის ხეობის ზემო წელზე მდებარე სოფლებს – ნალეფსაოს, ინჩხურს, ბალდას, რაჩხის მთამდე, და, შესაძლებელია, უფრო ჩრდილოეთითაც, ლეჩხუმის საზღვრამდე მდებარე ტერიტორიას. სამხრეთით ვრცელდებოდა აბაშა-ტეხურის „ხერთვისამდე“, აბაშის ორივე ნაპირას მდებარე ტერიტორიის თანხათვლით, სადაც მდებარეობს ახლანდ. აბაშის მუნიციპალიტეტის (ისტორიული „საჭილაოს“) სოფლები: სუჯუნა, შუაქალაქი, ონტოფო, კადარი, ზანათი, რომლებიც, მართალია, გეოგრაფიულად თვალსაჩინოდ არ იყო გამოიჯნული და რიონის მარჯვენა სანაპიროთი იზღუდებოდა, მაგრამ ეს იყო აბაშის ხეობის ქვემო წელის ტიპიური სასოფლო-სამეურნეო რაიონი, სადაც მაღალ დონეზე იყო განვითარებული მესაქონლეობა და მიწათმოქმედება. ამ სოფლების მნიშვნელობას ზრდიდა ისიც, რომ გაშლილ ველზე მოედინება მდ. რიონი – „ბაჟს ქვეით ფრიად მდორე და განიერი ზღვადმდე, და უფრო ცხენისწყალს ქვეით განვრცდლებული“¹⁴. ვახუშტის ცნობით, „ამას რიონს მიერთვის ჩრდილოდამ აბაშა-ტეხურის მდინარე“¹⁵. რიონი (ფაზისი) იყო სანაოსნო მდინარე, ხოლო მის ნაპირს მიუყვებოდა სახმელეთო გზა ფაზისი-ისულა-შუაქალაქი-ორპირი-კოტაისის (ქუთაისი) მიმართულებით, რასაც დიდი ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა უძველესი დროიდან. ტოპონიმიში ეს სახმელეთო მაგისტრალი **ჯვეში ნაშარუს** (ძველი ნაგ ზაური) სახელწოდებითაა ცნობილი, რომლის ცენტრებსაც წარმოდაგენდა ისულა/ნესოსი, შუაქალაქი და ორპირი¹⁶.

ტეხურ-ცხენისწყლის ორმდინარეთი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით – ხე-ტყით, სამშენებლო მასალით, კერამიკული თიხებით და ა. შ. რელიეფური მრავალფეროვნება (გორაკ-ბორცვები, მდინარეთა ვიწრო თუ განიერი ხეობები, დაბლობები) და ბუნებრივი რესურსების არსებობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ამ სექტორში დასახლებათა უძველესი დროიდან არსებობისათვის¹⁷.

¹⁴ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997. გვ. 148.

¹⁵ იქვე, გვ. 149.

¹⁶ ელიავა გ., რიონისპირეთის ისტორიული ღირსშესანიშნაობანი, გმმ VI, სამეცნიერო სესია. მუშაობის ვეგმა და მოხსენებათა თეზისები, ქუთ., 1965, გვ. 29-30.

¹⁷ ლომიჭაშვილი დ., ცენტრალური კოლხეთი ძვ. წ. VIII-ახ. წ. VI სს. (ციხე-გოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის

როგორც აღვნიშნეთ აბაშის ხეობაში მდებარე, არქეოპოლისის ქვეყანაზე პოლიტიკურად დამოკიდებული „ქვეყნის“ სახელწოდებად ნ. ბერძენიშვილი „ონოგურისის ქვეყანას“ ასახელებს, ხოლო ერთგან აღნიშნავს „მარტვილის ქვეყანას“. მკვლევარი ვარაუდობს, რომ მარტვილში უძველესი დროიდან უნდა ყოფილიყო ადამიანის საცხოვრისი, ხოლო VII საუკუნიდან აქ ეკლესიის არსებობა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იმ დროისათვის „მარტვილის ქვეყანა“ უკვე არსებობდა, „მაგრამ არა ჩანს, რომ ის დამოუკიდებელი ერთეული იყო. თუმცა ონოგურის ციხე იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ გვიანდელი სალიპარტიანო, მართალია ნოქალაქევისაგან დამოკიდებულს, მაგრამ მაინც ერთ ერთეულს („ქვეყანას“) წარმოადგენდა“¹⁸.

ჩემი აზრით, სახელოვანი მეცნიერის მიერ აბაშის ხეობის ამ მიკროქვეყნის „ონოგურისის ქვეყნად“, ან „მარტვილის ქვეყნად“ სახელდება მთლად მართებული არ უნდა იყოს, რამდენადაც ისტორიულ წერილობით წყაროებში გვაქვს პირდაპირი მითითება იმის შესახებ, რომ არსებობდა „ჭყონდიდის ქვეყანა“.

კლიმატური გარემო ხელს უწყობდა აგრარული მეურნეობის, კერძოდ, მიწათმოქმედების განვითარებას. მეცხოველეობის, მეთევზეობისა და ნადირობის განვითარებაზე მეტყველებს არქეოლოგიური ძიების გზით გამოვლენილი მდიდარი ოსტეოლოგიური მასალა, კერძოდ, შინაური ცხოველების – ძროხის, ცხვრის, თხისა და ღორის ძვლები. მნიშვნელოვანია აგრეთვე მეთევზეობასთან დაკავშირებული ისეთი არტეფაქტების გამოვლენა, როგორცაა ბადის საწაფები, ანკესები და სათევვე ზეღანგები¹⁹.

„ქვეყნის“ სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურება, ბუნებრივია, გულისხმობს მოსახლეობის კონცენტრაციას და საკმაოდ დაწინაურებული და მჭიდროდ დასახლებული პუნქტების არსებობასაც. ასეთი სამოსახლოები ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრიდან არსებობდა ნოქალაქევეში, ნოსირში, აგრეთვე მეზობელ დასახლებულ პუნქტებში – მუხურჩასა და ოჩხომურში²⁰.

მოსაპოვებლად, თბ., 2003, გვ. 2-3; გამყრელიძე გ., ბიოგეოგრაფიის ზეგავლენის შესახებ ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე. კრ. „სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში“, თბ.-ზუგდ., 1999, გვ. 13; მურღულია ნ., ეგრისის სამეფოს გამაგრების სისტემა IV-VI საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით). არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2012, გვ. 140-141.

¹⁸ იქვე, გვ. 462

¹⁹ მურღულია ნ., დასახლებული ნაშრომი, გვ. 141.

²⁰ იხ. გოგაძე ე., კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982; მიქელაძე თ., კოლხეთის ადრეკინის ხანის სამაროვნები (ურეკისა და ნივეზიანის სამაროვნები), კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები. ტ. I, რედაქტორი ოთარ ლორთქიფანი-

ამა თუ იმ პუნქტის გასაჩენად აუცილებელი პირობა ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ ბუნებრივად ხელსაყრელი გარემოს შერჩევა იყო. უმთავრესი პირობა უნდა ყოფილიყო კოლხეთის ჭაობიანი დაბლობისაგან გამორჩეული, შედარებით მშრალი ადგილი, რათა ადამიანს ჯანმრთელ კლიმატურ პირობებში, სუფთა ჰაერზე ცხოვრება შეძლებოდა. მეორე პირობად, აუცილებელი ქალაქისა თუ დაბასოფლის შექმნისათვის, მიჩნეულია მისი გარშემორტყმა სამეურნეო რაიონით. „ქვეყნის“ შუაგულში, აბაშის ნაპირზე მდებარე საეკლესიო ცენტრის – ჭყონდიდის (რომლის სანახებშიც მდებარეობს დღევანდელი მარტვილი) ირგვლივ სწორედ სოფლის მურნეობისათვის მეტად ნოყიერი მიწებია, რაც თვით ცენტრის მარჩენალია. მესამე პირობაც – გზის სიანლოვე, ჭყონდიდ-მარტვილში დადებითად იყო გადაწყვეტილი.

ბე, თბ., 1985; ჯიბლაძე ლ., კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია, თბ., 1997; ლომიტაშვილი დ., დასახელებული ნაშრომი, 2003.

ივორ კეკელია (ფოთის №15 საჯარო სკოლა)
ელიშერ ბალათურია (თბილისი ივანე ჯავახიშვილის
სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

შალვა კუჭავა-პონტოელის შემოქმედებითი პორტრეტისათვის

*„როგორ გიყვარდა ამ ცხოვრების ყოველი წუთი,
რარე გინდოდა სიხარული გევრძნო წამითაც,
შენი სიცოცხლე შფოთიანი, მაგრამ სათუთი
უიღბლოდ გაჩნდა და უიღბლოდ გაქრა, წავიდა“.*

ჰამლეტ ნადარაია

„ნივთების როკვა“ – ასე ჰქვია წიგნს, სადაც რამდენიმე ლექსია გაერთიანებული. ავტორის ბიოგრაფიას კარგად ასახავს ეს პოეტური კრებული, როგორც წარსულის – უკვე ჩავლილისა და განცდილის, ერთგვარი გახსენება აწმყოში სიფხიზლისათვის. საოცარი მუსიკალურობა და ჟღერადობა, სისადავე და სიღრმე გამოარჩევს შალვა კუჭავას (პონტოელის) ლექსებს. ამ სისადავის მიღმა მკაფიოდ იკვეთება შემოქმედის უაღრესად გამორჩეული, რთული და წინააღმდეგობებით დაღდასმული სულიერი სამყარო. მთავარი სათქმელი წიგნის სათაურშივე ფოკუსირდება. ავტორის უპირველესი საწინააღმდეგო თითქმის ყველა ლექსში სხვადასხვა ფორმითაა გამჟღავნებული.

შალვა კუჭავას ფიქრების უმთავრესი სანიშნე ამქვეყნიური, პირველყოფილი, ხელთუქმნელი სილამაზეა. სასრულობასა და უსასრულობას შორის მსაჯულივით ჩამდგარი პოეტის აზრით, ბუნებასთან დაპირისპირება, მის მიმართ უპატივცემლო დამოკიდებულება იწვევს ადამიანში ესთეტიკური საწყისის, პოეტური სულისა და მშვენიერების აღქმის გაქრობას.

სინათლითა და სითბოთი სავსე მელოდია შეიგრძნობა თითოეული ლექსის კითხვისას. წარმოიდგენ პოეტის უმძაფრეს განცდებს: ქალაქი ერთფეროვანი და უსიცოცხლო რიტმით სუნთქავს; ისტერიულად აყვავებულ, მტკრიან ქუჩებში ბავშვობასთან ერთად დაეხეტება და ენატრება ჩავლილ დღეებთან სულის მოსათქმელად მიბრუნება. პოეტის ბავშვურად უმანკო სული სავსეა პირველხილულ საგანთა კაშკაშა სინათლითა და მონატრებული ბავშვობის დღეებით, რადგან, იქ, ბავშვობაში დარჩენილა პირველყოფილი სიწმინდე და მშვენიერება; გული კვლავ ტეხურის ნაპირებისკენ მიუწევს; შორეული წლებიდან გამოყოლია ტყეში ჩასახლებული მითებისა და ზღაპრების სიყვარული; კავკასიონის მთებზე რკინის ჯაჭვებით მიბმული ამირანის მიმართ სიბრალულის გრძნობაც იმდროინდელია; ზამ-

თრის მკაცრ სიცივეში, ბუხრის პირას, გოლიათზე მოსმენილი თქმულება შთააგონებს, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწეროს ეპოსი ამირანზე და ამით თავი დააღწიოს მეხსიერებაში მტკიცედ აღბეჭდილ უცნაურ და უჩვეულო ხმებს, სოფლის ტყეებისა და ღრანტეების იღუმალ წიაღში რომ მოუსმენია და ამ ხმების შემაჟღერებელი განცდით გულშემძრულს დღემდე ძილს უფერთხობს და მოსვენებას უკარგავს.

ქალაქის ექსპრესიული, თავბრუდამხვევი ცხოვრებით ქანცაწყვეტილს თვალწინ დაუდგება ხსოვნაში ფოტოასლებად დარჩენილი და მშვენიერების მათრობელა სურნელით გაჟღენთილი სოფელი; მტანჯველი ფიქრების აღმძვრელია დიდი ქალაქი თანამდევით მარტოობით, პომპეზურ ფასადას მიღმა არსებული სიციველითა და მშრალი უსასრულობით; ამიტომ ცდილობს, გაექცეს აწმყოს, ქალაქური ყოფის სულისშემხუთველ და პროზაულ სოციალურ ატმოსფეროს; დრამატულია და უნუგემო წარსულში დაბრუნებაც, მაგრამ მან იცის, რომ მომხიბვლელია წარსული, როგორც „მთელი ძველი ფილოსოფია ოხვრა-ვაების და აცვენინლ ცრემლთა ციბრუტის“ („მოკითხვა სოფელს“); სოფლის მორალურ კლიმატს შესისხლხორცება მისი სული; ამიტომ ზის და ფუნჯით ნათელ ფერებში ხატავს პოეტური შთაგონების სამყაროს – ბავშვობისდროინდელ შთაბეჭდილებებს; ხატავს ბუნებასთან, მიწასთან ახლოს მყოფ ადამიანებს – ზნეობრივებსა და ჭეშმარიტი სულიერი სიღამაზის მატარებლებს; ისინი უფრო ღრმად და შინაგანად შეიგრძნობენ ბუნების პულსაციას, პირველქმნილ მშვენიერებას; სწორედ ამ მშვენიერებასთან სიახლოვე და უხილავი ძაფებით კავშირია შემოქმედის სულიერი მდგომარეობის კრიტერიუმი; მთისკალთებიდან ბარტყივით აფრენილი სიო და ხრამში ამეტყველებული თეთრი ღამეები შეახსენებს, რომ ისიც საერთო-უნივერსალური ყოფიერების – ბუნების ნაწილია; მთლზე კერპივით გაშიშვლებული გაჟაკაცი გაჟყურებს ხრამებსა და ზღაპრულ აფრებად გადმოშლილ მთავრეხილებს; სულში უფაქიზეს სითბოდ ეღვრება ნაკადულების სიმღერები.

„მოსჩანდა მთვარე, სივრცეებით გადატკეპნილი და მარაოებს ბალახებში არხევდა ღამე.

ჩემს წინ დგებოდნენ გუმბათები ურიცხვ ქვეყნების, ვიკვლევდი ფიქრთა სამყაროებს უცხო მზვერავი; მოსჩანდნენ მთები მიწის ზურგზე მწვანე კეხებად და მერანივით ნავარდობდა ქარი ვერანი...“

ქალაქის ყოველდღიური, ერთფეროვანი ცხოვრების რუტინასთან შეგუება, „მანქანების კვამლით გაბერილი“ ქუჩებისა და როსკიპივით დაკორტინილი მთვარის ხილვა სულიერი მარტოობის განცდას უძლიერებს პოეტს; უნუგემო წარსუ-

ლისკენ პირშექცეული პაპიროსივით აბოლებს დღეებს და მაშინ,
„როდესაც გული აქშინდება როგორც საკირე,
ავღრიალები ქვაფენილზე მშვიერ მგელივით,
ან ვედარები ინლოეთის მფრინავ ფაკირებს.“

ქალაქის გაუცხოებული და ობივატელური ატმოსფერო „შეახსენებს“, რომ ნამდვილი ფასეულობებისათვის აქ ადგილი არ არის, რომ ნივთების როკვაში შეუძლებელია იგრძნო ბუნებასთან, როგორც პირველსაწყისთან, სიახლოვე და ერთიანობა. ინდუსტრიულ ცივილიზაციას სტანდარტული ბედნიერება ახასიათებს, რაც მიუღებელია მისი ფაქიზი სულისათვის; გრძნობს, რომ ქარხნების საყვირი და ფოლადის ღვედები დეჰუმანიზირებულ ზეგავლენას ახდენს ადამიანის შინაგან სამყაროზე: „სხეულზე ფოლადის ღვედები გვეხვევა და გვბურავს მღელვარე ნივთების ზღვა“ („მგზავრობა სოფლიდან ქალაქში“), მაგრამ პოეტს ისიც მოეხსენება, რომ ტექნიკური პროგრესისგან „განზე დგომა“ და კარჩაკეტილობა, გარეისინამდვილისაგან გაქცევა შეუძლებელია იმდენად, რამდენადაც თავად ცხოვრებაა ადამიანის წარმმართველი ძალა.

„ესლა, დაიკო, ვინც შეჩერდება
ახალ ბილიკზე ძველი ზოტბებით;
დაუწყებს ქარის წისქვილს შეტევას
ლამანჩელ რაინდ დონ-კისოტივით.
უკან მოხედვა არას გვარგია,
რომ არ ვაბარებთ წარსულს ანგარიშს;
დღეს სამარაგო ნივთთა ბარგია
მთები ოდესღაც ნააბრაგალი.“

– წერს პოეტი დისადმი მიძღვნილ ლექსების ციკლში.

ყოფის ეკრანზე დინჯად ჩავლილი წარსული ცხოვრების ახალმა სტილმა შეცვალა:

„და მოვა ქვეყანა, უძირო, ახალი,
სადაც გზა ცეცხლია, რკინები ზღვა...“

და რომ

„ბრჭყვიალა ჩანჩქერმა სხეული შეღება
და ახალ ცხოვრების ვკითხულობთ წიგნს.“

(„მგზავრობა სოფლიდან ქალაქში“).

თავისი დროის უამრავ საფიქრალზე კონკრეტული პასუხი შ. პონტოელის არაერთ ლექსში გვხვდება.

„თან ეუბნება: – გოგო ღარიბო!...
შენ გაგონდება ცხოვრება სოფლად!
მამაშენს ყავდა კარგი ხარები
და იწურავდა ცხოვრებას ოფლად!
ზოგჯერ ღელეში თევზებს იჭერდი,
ანკარა წყაროც მოგქონდა თასით
და ფეხშიშველი სოფლის ბიჭები
ცოცხალ თაიგულს გაფენდნენ თავზე...
მაგრამ ჩემს ლექსსაც დაუგდე ყური!..
სულ სხვაგვარია ჩემი რომანსი,
იქ უდარდელად ზეცა გეხურა,
აქ კი ოცნებობ კეთილ შრომაზე.
მიმოიხედე!... აქ თამაშია,
ყოველ თამაშზე უფრო მაგარი!
იქ ბალახებში სძინავს მამაშენს,
აქ-კი სჩქეფს ბრძოლის ნაამაგარი.“

(„ქალაქი წუთით“)

არქაულ სოფლურ ცხოვრებასა და ქალაქურ ცხოვრებას შორის გამართული ბრძოლა შალვა პონტოელის შინაგან სამყაროში მძაფრად მიმდინარეობს.

„ვარ ორ ნაწილად გაპობილი ადამიანი:

ერთი წინ გარბის და მეორე შესცქერის კულისს“,

– ეს ნაწევებია ლექსიდან „არდატევის მანდატი“.

ასეთივე განწყობაა შემდეგ სტრიქონებში:

„იყო თვალებში სამყარო ორი:

ერთი მხრით – სივრცე პლანეტებს შორის

და მეორე მხრით – ცრემლი ბავშვური;“

ან

„დედაო – დედა

დღეს შენი შვილი ორ მხარეს ხედავს

და დგას მათ შორის უცნაურ მხედრად“.

(„განგებ დაობლება თუ გამბედაობა?“).

წარსულის სასოწარკვეთილი ექო და აწმყოში არსებულ სინამდვილეზე აქ-ცენტრირებული შიშის სიმძაფრე გამოარჩევს ლირიკულ პოემას – „ქართული ღამე ევროპიულ ტფილისში“. ავტორის ფიქრებისა და განცდების დაფარული ტრაგიზმი და განწირულობის ინტონაცია მასში ისე იკვეთება, როგორც კონტურები

ჩრდილების თეატრში. ტფილისის ცაზე გიდელივით დაკიდებული მთვარის ხე-ლოვნური სხივები მეტეორივით დაცემია საქართველოს დედამდინარეს:

„დაეცა მძლავრად და შემოსძახა
რაღაც საშიში, ცეცხლის არია: –
მთვარეს, ტარიელს ვედარ მონახავ,
რადგანაც შოთა უკვე მკვდარია!
მკვდარია შოთა და ვეფხის ტყავით
პოემის გმირებს არავინ ბურავს –
ზის დარეჯანი კაფეში ყავით
და თინათინიც მიირთმევს ბურახს.
ავთანდილს ხელში უჭირავს ტროსტი
და ტარიელი მიათრევს პორტფელს,
რომ დაემსგავსა ნესტანი როსკიპს
და ცხელ ქუჩებში ვნებას აორთქლებს“.

დროის დინება, როგორც საშიში და მკაცრი რეალობა, მძაფრი განცდით შეიგრძნობა ზემოთ მოტანილ სტროფებში. ტექნიკური რეკოლუციის შეუზღუდველი პროცესი ემპირიული გარდუვალობაა და, თავისთავად, რთულია მისგან თავდაღწევა, გაქცევა. ქალაქს აკლია ინტენსიური შინაგანი აქტივობა; მშრალი ღღებების მდორე და უსიცოცხლო რიტმი აჩლუნგებს სულის გამძაფრებულ ენერგიას, რაც იწვევს შემოქმედში სევდის წახნაგების გაშიშვლებას; მაშინ სულის ფსკერში ჩაღეჭილი შრეებიდან უსამელო კაემანიც ამოტივტივდება. მონოტონური, ცხოვრების ერთფეროვანი და მოწესრიგებული დინება სოციალურად სასარგებლო აქტივობის წინააღმდეგაა მიმართული. დროის დინებას გაჰყვლია სიმსუბუქე, ჰაეროვნება, რომანტიკულობა, სულიერი ცხოვრების ემოციური მთლიანობა.

შეუნიღბავ სიმართლესთან პირისპირ მდგარი ხედავს, რომ დაკარგულა სწორზაზობრივობის ნიშანი წარსულსა და აწმყოს შორის, ჩაზშობილა „სულის-მიერი ხმა“ და ტრადიციებისადმი ერთგულება. ამ პოემაში უადრესად თანამედროვე ადამიანის თვალითაა დანახული მწარე რეალობა. პოეტი აზრობრივი და ემოციური თვისებების ერთობლიობით მკვეთრად განსაზღვრავს თავის პოზიციას. ესაა სკეპსისთან და პრაგმატიზმთან შეუგუებლობის გრძნობით გამოწვეული ტკივილი და ტკივილისგან ვერგაქცევის სევდა.

შ. პონტოელის წიგნში წარმოდგენილი ასოციაციები გარდასულიდან უფრო მეტად შეგვაგრძნობინებს უსუსურობის ჩალამებულ სევდას:

„ამპარტავანო, უძლეველო და ქედმაღლო!..
დედამდინარევე, საქართველოს, დაუგეშელო!...
გშვენოდა ერთ დროს მისტიური, შორი დუდუნი
და ნაპირებზე ქალდეველთა მძლავრი კივილი....
დედურ ნანინით აძინებდი, მტკვარო, მაღალო!
შენს ნაპირებზე ატირებულს მგოსნების თარებს!
გახსოვს მურვანი, შაჰ-აბასი, ალა-მაჰმად-ხანი;
თურქ-მონღოლების და ირანის ტირანის რისხვა...“
(„მტკვარი“).

დროის უღმობელ დინებას გაჰყოლია მტკვრის „მისტიური, შორი დუდუნი და ნაპირებზე ქალდეველთა მძლავრი კივილი“. საუკუნის შურდულით დაგლეჯილ დედამდინარისთვის ეპოქათა ცვალებადობას მკაცრი განაჩენი გამოუტანია და უკვე

„მტკვარო, მდინარევე საქართველოს, ტკბილო დედაო!
ჩამოღრჩობილო სხივთა ბომზე ზვიად ზაჰესით!...
აგიხდა წყევლა, მოგინელა ცეცხლის ვეშაჰმა,
ხარ უილაჯო, უსახსარო და უნუგეშო!“

ეს ლექსიც, ისევე როგორც სხვა დანარჩენი, იმისთვის დაიწერება, რომ ურბანიზაციის გლობალური მოვლენებით სულის მოსალოდნელი გაუხეშებისაგან იხსნას პოეტმა ადამიანი. ესაა პოეზიის უპირველესი და უმთავრესი დანიშნულება, იმდენად, რამდენადაც სწორედ პოეზიაშია მოცემული დროის შესაფერისი პასუხი ადამიანის განწყობილებასა თუ სატკივარზე. შალვა პონტოელიც გამჭვირვალე და თავისთავადი პოეტური შთავონებით, კრისტალური სიწმინდით, ერთგულად ემსახურებოდა ადამიანის სულის თვისებების გადარჩენისა და სიწმინდის დამკვიდრების ურთულეს საქმეს. შემოქმედებითი ცხოვრების მიზანდასახულობად ამაზე ფიქრი მიაჩნდა და გარდაცვალებამდე სტანჯავდა. თუმცა, სამწუხაროდ, მისი პოეზია, დრამატურგიული ნაწარმოებები ყოველთვის ლიტერატურის კრიტიკოსთა ყურადღების მიღმა რჩებოდა...

1960 წლის 6 მარტს ჩუმად, უხმაუროდ გაეცალა წუთისოფელს...

საბედნიეროდ, დროისა და გემოვნების დისტანციურობის წყალობით უფრო მეტად შევიგრძნობთ აუზღვრეველი სინათლის იმ ნაკადს, რაც ასე უხვად მოედინება შალვა კუჭავას (პონტოელის) პოეტური სამყაროდან.

გამოყენებული ლიტერატურა

პონტოელი 1928 – შ. პონტოელი, ნივთების როკვა. ტფ., 1928.

კეკელია, გაწერელია, 2013 – ი. კეკელია, ს. გაწერელია, შალვა კუჭავა-პონტოელის შემოქმედებითი პორტრეტისათვის. პროფესორ სერგი დანელიას დაბადებიდან 125 და გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი I საერთაშორისო კონფერენცია (მასალები). ქუთ., 2013.

სერგი დანელიას ეროვნული თვალთახედვის ზოგიერთი ასპექტი ქართულ ფილოსოფიურ კრიტიკაში

ცნობილი ქართველი მოაზროვნის, ლიტერატურათმცოდნის, პედაგოგისა და ფილოსოფოსის – პროფესორ სერგი დანელიას (1888-1963 წწ.) ცხოვრება და შემოქმედებითი მემკვიდრეობა უკვე გახდა არაერთი მეცნიერის სპეციალური კვლევის ობიექტი. ქართულ ფილოსოფიაში მისი ადგილისა და როლის გარკვევას, მისივე შეხედულებების ანალიზს, უამრავი სტატია და მონოგრაფია (ბ. კარტოზია, ე. კოდუა, ბ. ურიდია, გ. თევზაძე, კ. ბლაგიძე, ი. კეკელია) მიეძღვნა. ჩატარდა რამდენიმე რესპუბლიკური თუ საერთაშორისო კონფერენცია, მაგრამ ბევრი რამ მისი მდიდარი მემკვიდრეობიდან კვლავ გამოსაკვლევია და დასადგენია.

ს. დანელიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას ფასდაუდებელი ამაგი დასდო ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ელუარდ კოდუამ (1929-2002 წწ.). 1975 წელს გამოიცა მისი ნაშრომი „სერგი დანელია“. 1978 და 1988 წლებში განხორციელდა ამ ნაშრომის შევსებული გამოცემა, ხოლო 1998 წელს მკვლევარმა ასევე ცალკე წიგნად გამოსცა „სერგი დანელიას ეროვნული თვალსაწიერი“. სახელოვანი მეცნიერის ეროვნული თვალთახედვის ჭრილში ელუარდ კოდუას მიერ საფუძვლიანადაა გაანალიზებული შემდეგი საკითხები: ს. დანელიას სოციოლოგიური შეხედულებანი, მისი პოლიტიკური მრწამსი (რუსული სულის დახასიათება და ბოლშევიზმისა და საქართველოს შეუთავსებლობა), ს. დანელია ეროვნული მოძრაობის შუაგულში, ს. დანელიას ნაციონალიზმი.

ამჯერად მიზნად ვისახავთ, ყურადღება გავამახვილოთ საკითხზე, თუ როგორ ესახება ე. კოდუას XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის დიდი წარმომადგენლის, პროფესორ ს. დანელიას ეროვნული თვალთახედვის ზოგიერთი ასპექტი.

როგორც გამოკვლევაშია აღნიშნული, სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლისას ს. დანელია დიდ დაინტერესებას იჩენდა ქართული სინამდვილისა და მისი განვითარების ტენდენციების კვლევის მიმართ. ის ნაკლებად იყო დაინტერესებული მსოფლიოს სოციალური პრობლემებისა და სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების დაფუძნების კვლევით. ს. დანელია ზოგიერთ გამოკვლევაში ეხებოდა საქართველოს სოციალური ყოფის საკითხებს, ხალხის დასაქმების ძირითად სფეროებს. ქართულ სინამდვილეში ძველისა და ახლის ბრძოლის, საქართველოს სხვადასხვა

პარტიების მიერ სახელმძღვანელოდ წარმოდგენილი პოლიტიკური პროგრამების ანალიზით ს. დანელიას ადრინდელ გამოკვლევებში წარმოდგენილია ქართველი მოსახლეობის მოძრაობის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობის, სოციალური სტრუქტურისა და მისი განვითარების პრობლემური საკითხები. ქართველი ერის აწმყო და მომავალი – ასეთია სახელოვანი მოაზროვნის მეცნიერული ინტერესის საგანი. ამ მიმართულებით ე. კოდუა იმოწმებს ს. დანელიას პირველ სოციოლოგიურ გამოკვლევას (მონოგრაფიას) – „საქართველო 1905 წლის შემდეგ“, რაც 1914 წელს ს. დარიანის ფსევდონიმით დაიბეჭდა რუსულ ენაზე, ქ. ქუთაისში. ქართული სინამდვილის სოციოლოგიურ ანალიზს ეძღვნება აგრეთვე ს. დანელიას კიდევ ორი წიგნაკი: „საქართველოს ეკონომიური ვითარებისათვის“, გამოცემული 1920 წელს, და „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, გამოცემული 1927 წელს, ასევე რამდენიმე საგაზეთო წერილი და მის არქივში დაცული, გამოუქვეყნებელი სტატიები¹.

ე. კოდუა იმოწმებს და მეცნიერის სოციოლოგიური ნააზრების შუქზე ანალიზებს ს. დანელიას ხელნაწერს – „Грузинская (наша) социал-демократия и национализм“. „იმედიანის“ ფსევდონიმით ხელმოწერილი ეს გამოკვლევა 1912 წელს, ფოთშია დაწერილი და მიმართულია ნოე ჟორდანიას მიერ გამოთქმული იმ მოსაზრების წინააღმდეგ, რომ თითქოს ქართველებს ეროვნული გრძნობა არ გააჩნიათ. ს. დანელია კარლ მარქსის თეორიის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დაასკვნია, რომ ეს თეორია არამეცნიერულია, მეტაფიზიკურია და, შესაბამისად, ქართული სინამდვილისათვის აბსოლუტურად გამოუსადეგარი და თავსმოხვეულია.

ს. დანელიას მეცნიერული მსჯელობის ამოსავალი ქართული მოძრაობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათით განსაზღვრული ინტერესები იყო. ს. დანელია მკაცრად ილაშქრება ნ. ჟორდანიას ბროშურაში („ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“) წამოყენებული პირველი თეზისის წინააღმდეგ, რომლის თანახმად ქართველ ერს არ გააჩნდა ეროვნული თვითცნობიერება. ამის ახსნას ნ. ჟორდანია შემდეგი არგუმენტით ცდილობდა: რომ საქართველოში ნაციონალისტური პარტიები არ სარგებლობდნენ დიდი მხარდაჭერით და, რომ 1905 წლის რევოლუციაში გლეხობამ და ინტელიგენციამ მხარი დაუჭირა ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიას. ამ თეზისს ს. დანელია უპირისპირებს იმ თვალსაზრისს, რომ ქართველ ხალხს აქვს ეროვნული თვითცნობიერება და სოციალ-დემოკრატები-

¹ ე. კოდუა, სერგი დანელიას ეროვნული თვალსაწიერი, თბ, 1998, გვ. 3-4 .

სადმი ქართველების სიმპათია არ იყო განპირობებული ეროვნული თვითცნობიერების უქონლობით. ს. დანელიას დაკვირვებით, ერს, როგორც მყარ ერთობას და თავისებურ ორგანიზმს, აქვს სხეული და სული. თვითცნობიერებაში სწორედ ერის სული მოიაზრება, რომლის გარეშეც ორგანიზმის არსებობა შეუძლებელია.

ქართული სინამდვილის შესახებ სერგი დანელიას მიერ წარმოდგენილ ანალიზს დადებითად აფასებდა ნიკო ნიკოლაძე, ხელნაწერზე გაკეთებულ მინაწერებში².

თუ რატომ გაჰყვა ქართველი ინტელიგენცია სოციალ-დემოკრატიას და რატომ არ ახსიათებს მას ქართველი ხალხის შესაფერისი სიმყარე, ს. დანელიას მიერ ახსნილია იმ მიზეზით, რომ ქართველი ინტელიგენცია ჩამორჩენილია ევროპულ ინტელიგენციასთან შედარებით, ხოლო ეს ჩამორჩენა განათლების სისტემის ნაკლოვანებების შედეგია³.

სავსებით სამართლიანია სერგი დანელიას წუხილი, რომ ქართველი ინტელიგენცია უნიადაგოა და ანგარიშს არ უწევს საკუთარ სინამდვილეს. სინამდვილე კი ისაა, რომ მას ტექნიკურად გადმოაქვს სხვა სინამდვილის მიმართ შექმნილი თეორიები.

ელუარდ კოდუა ქართული სინამდვილის ს. დანელიასეული ანალიზის უკეთ წარმოსაჩენად ყურადღებას ამახვილებს შემდეგ საკითხზე. როგორია ცნობილი მოაზროვნის შეხედულება ერთი შეხედვით ძნელად გასამიჯნავ ორ ცნებაზე – **ქართველი ინტელიგენტი** და **ქართული ინტელიგენტი**. „ქართველი ინტელიგენტი გაცილებით მეტია, ვიდრე ქართული ინტელიგენტი. ქართველი ინტელიგენტი, ქართული ინტელიგენტის გარდა, გულისხმობს იმასაც, ვინც რუსეთის გუბერნიებში სახელმწიფო სამსახურშია. ქართული ინტელიგენტი მხოლოდ ისაა, ვინც თავისი ცხოვრება ქართველი ხალხის სამსახურს მოახმარა. ქართველი ინტელიგენტის დიდი ნაწილი სამოღვაწეოდ რუსეთს მიდიოდა, რადგან საქართველოში მისთვის არ იყო ასპარეზი, არ ჰქონდათ პრესა, სადაც მათი დასაქმება შეიძლებოდა, არც განვითარებული სავაჭრო და სამრეწველო ცხოვრება. ამიტომ ქართველი ინტელიგენტი საკუთარ ნიადაგს სწყყდებოდა და უნიადაგო ცხოვრებას ეწეოდა რუსეთში“⁴.

ს. დანელიას აზრით, ქართველი სოციალ-დემოკრატები დროზე ადრე მოფრე-

² მსჯელობისათვის იხ მ. პაჭკორია, პ. რატიანი, ნიკო ნიკოლაძის უცნობი სტრუქტურები“. ჟურნ. „ცისკარი“, №3, 1972, გვ. 133-137

³ იქვე, გვ. 7.

⁴ იქვე, გვ. 10.

ნილი და პირობების არქონის გამო გაყინული მერცხლები არიან. სოციალ-დემოკრატიები ქართულ სინამდვილეს დაშორებულნი არიან სოციალიზმით და კოსმოპოლიტიზმით. ქართველი მოაზროვნე მიიჩნევდა, რომ ერთ-ერთი რეალური და მისაღები ძალა იყო ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა. ს. დანელია დადებით მხარეს ხედავს სოციალისტ-ფედერალისტების ნააზრევშიც, განსაკუთრებით მათი ნაციონალიზმის სახით, თუმცა ამ პარტიასაც სინამდვილიდან მოწყვეტილად მიიჩნევს, „ს. დანელია ამოდის კანტის პრინციპიდან – „მაქსიმა, რაც უფრო კონკრეტულია, მით უფრო კარგია“. ამ პრინციპით ხელმძღვანელობს, დანელიას აზრით, ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც ეწაფება განათლებას, საკუთარი თავის გაჯანსაღებასა და გამდიდრებას. შეიძლება ეს წვრილმანად მოეჩვენოთ, მაგრამ ასეთი წვრილმანები, დანელიას აზრით, მომავალი დიდი საქმეების წინამძღვარი და ხილია. პრაქტიკული საქმეებისაკენ სწრაფვა ქართველ ინტელიგენციას უფრო ნიკოლაძესთან აახლოებს, ვიდრე ნოე ჟორდანიასთან“⁵.

ე. კოდუა განიხილავს ქართველი მოაზროვნის შეხედულებებს ქართველი თავად-აზნაურების, გლეხებისა და სამღვდელოების შესახებ. აღნიშნავს, რომ სოციალური პრობლემების გააზრების ცდა მოცემულია 1920 წელს გამოცემულ წიგნში – „საქართველოს ეკონომიური ვითარებისათვის“⁶. მასში გამოყენებულია სოციალური სინამდვილისადმი კრიტიკული ანალიზისა და სოციალური მოვლენების კვლევის მეთოდები, რომლებიც მიესადაგებოდა საქართველოს სინამდვილეს.

ს. დანელიას სოციოლოგიური კონცეფცია, პროფ. ედუარდ კოდუას სამართლიანი დაკვირვებით, ვლინდება სოციალ-დემოკრატიებისა და ფედერალისტების სოციოლოგიურ შეხედულებათა კრიტიკაში. ს. დანელია აკრიტიკებს ამ მხრივ არჩილ ჯორჯაძისა და მიხაკო წერეთლის ორგანიციზმს, თუმცა ფედერალისტებთან უფრო მეტ სიახლოვეს ავლენს, ვინაიდან, შენიშნავს ე. კოდუა, ამოსავალი წერტილი უფრო საერთო აქვთ ერის სახით, ისე, როგორც იდეალი და საზრისიც, რომელიც ერის ყოფიერებას უკავშირდება... დანელია ფედერალისტებთან ერთად, ერის ყოფიერებიდან ამოდის, თუმცა იდეალად და საზრისად ერის დასახვაშიც მისი შეხედულება განსხვავდება ფედერალისტთა შეხედულებისაგან⁷.

ფედერალისტთა და სოციალ-დემოკრატითა პოლიტიკური პრინციპების საფუძვლიანი კრიტიკა, ე. კოდუას დაკვირვებით, ს. დანელიას მიერ ოთხ პუნქტად არის ჩამოყალიბებული:

1. ქართველი ერი დამოუკიდებელი ორგანიზმია;

⁵ ე. კოდუა, დასახლებული ნაშრომი, გვ. 12.

⁶ იქვე, გვ. 19.

2. ამ ორგანიზმის განვითარება ევროპული ეტაპის იქნება;
3. ეს განვითარება საქარხნო მრეწველობის მიმართულებით მოხდება;
4. ამ განვითარებას მოჰყვება კაპიტალის კონცენტრაცია და სოციალისტური რევოლუცია⁷.

საგულისხმოა სერგი დანელიას შემდეგი დაკვირვება: საქართველოს, როგორც ერთიან ეკონომიკურ ორგანიზმს, არ სჭირდება ორგანიზმისთვის საჭირო ყველა ფუნქციის განვითარება, მით უმეტეს, ისეთის, როგორცაა მრეწველობა, რადგან საქართველოს მრეწველობის ტრადიცია არ გააჩნია. მას ხელსაყრელი პირობები აქვს სასოფლო-სამეურნეო და საკურორტო მიმართულებით განსავითარებლად, ვინაიდან ორივეს პირობები და ტრადიცია აქვს სხვაზე მეტადაც.

ე. კოდუა მართებულად მიიჩნევს და სავსებით იზიარებს ორგანიზმის ს. დანელიასეულ კრიტიკას და, საერთოდ ბიოლოგიზმს სოციოლოგიაში; იმოწმებს ციტატას ქართველი მოაზროვნის გამოკვლევებიდან, რომ „ერის შედარება ორგანიზმთან, ან კიდევ საერთოდ ეროვნული ვითარების აღსანიშნავად ბიოლოგიური ტერმინების გამოყენება, უბრალო მეტაფორაა და არა ჭეშმარიტება“⁸.

ე. კოდუა აღნიშნავს, რომ ქართველი მოაზროვნისთვის მიუღებელია ერის იდეის გაფეტიშება და იმ კერპად ქცევა, რომელსაც მსხვერპლად შეეწირება ცალკეული ინდივიდი და მისი ინტერესები. პიროვნების ხარჯზე იდეალის განხორციელება და ასეთი ნაბიჯით კაცობრიობის მთელი პროგრესი ბავშვის ერთ ცრემლადც არ ღირს. პიროვნების ინტერესები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კლასობრივ და ეროვნულ ინტერესებს, ვინაიდან ერი არ დგას პიროვნებაზე მაღლა. სერგი დანელია წინააღმდეგია ადამიანის დამონებისა და გაუცხოების ყველა ფორმისა. სწორედ ამიტომ ცდილობს სოციალ-დემოკრატიებისა და სოციალისტ-ფედერალისტებისათვის საერთო, ზემოთ დასახელებული ოთხივე პრინციპის უკუგდებას⁹.

ს. დანელია ქართული სინამდვილის შესახებ ამ თეორიების უარყოფითა და დაძლევი შეეცადა ქართული სინამდვილის განვითარების პოზიტიური გზების დასახვას¹⁰.

ელუარდ კოდუა განიხილავს სერგი დანელიას ავტორობით ცალკე წიგნაკად

⁷ იქვე, გვ. 20.

⁸ ს. დარიანი, საქართველოს ეკონომიური ვითარებისათვის, თბ., 1920, გვ. 31; მსჯელობისთვის იხ. ე. კოდუა, სერგი დანელიას ეროვნული თვალსაწიერი, გვ. 20.

⁹ იქვე, გვ. 22.

¹⁰ იქვე, გვ. 23.

გამოქვეყნებულ კიდევ ერთ გამოკვლევას („ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“). მასში ვაჟას პოეზიის ფილოსოფიურ ანალიზთან ერთად მოცემულია ისტორიული ყოფიერების საზრისის, ისტორიის საზრისის ცნების გარკვევის ცდა.

ე. კოდუას შეხედულებით, ვაჟას მსოფლმხედველობა მკვლევარს წარმოდგენილი აქვს, როგორც თავისებური წრებრუნვის თეორია, ეს წრებრუნვა კი წარმოადგენს უსასრულო მოძრაობას. მასში მოცემულია წარმართული პოლითეისტური და ქრისტიანული მონოთეისტური სარწმუნოებების ბრძოლის ანალიზი.

ერის ყოფიერებისა და მისი საზრისის შესახებ ს. დანელიას თვალსაზრისი შემდეგი სახისაა: ადამიანმა ადამიანურ სამყაროში, ხოლო ერმა კულტურისა და ცივილიზაციის სფეროში უნდა განახორციელოს თავისი ყოფიერება და საზრისი. ე. კოდუა არ იზიარებს ს. დანელიას მოსაზრებას, რომ თითქოს ჩვენ „ისტორიის შესავალ კარებს ვერ გავცდით“ და რომ „ჩვენი ისტორია რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტებია, წამოწყებული და კვლავ დანგრეული შენობაა“. „ს. დანელიას შრომის ეს დებულებები, – შენიშნავს ე. კოდუა, – წინააღმდეგობაშია როგორც ამ შრომის, ისე ს. დანელიას სხვა შრომების ძირითად იდეასთან, რომელიც ჩვენი ეროვნული სულისა და ისტორიული ცხოვრების ნამდვილად ღრმა განჭვრეტასა და გააზრებას ემყარება“¹¹. ს. დანელიას გამოკვლევაში ამ დებულებების წინააღმდეგობას მკვლევარი იმ გარემოებით ხსნის, რომ მისთვის განსსაზღვრელი ფაქტებისადმი მიუკერძოებელი მიდგომის ტენდენცია და თვითკრიტიციზმი იყო, რომ მას დადებითი და უარყოფითი ერთნაირად გამოჰქონდა საამკარაოზე და მიღწევებთან ერთად გულანდილად მსჯელობდა ნაკლოვანებებზეც. „მას, როგორც მეცნიერს, – დასძენს მკვლევარი, – მიაჩნდა, რომ სიმაღლე, როგორი მწარეც არ უნდა იყოს იგი, არ უნდა დაიმალოს...“¹²

ეს თვალნათლივ ჩანს კანტის ერთი გამოთქმის მიმართ ს. დანელიასეულ კრიტიკულ შეფასებაში. მოაზროვნე მიიჩნევს, რომ კანტის გამოთქმა – „ნუ ლაპარაკობ ყველაფერს, რასაც ფიქრობ“, – არ არის მთლად სწორი აფორიზმი. მეცნიერი ვალდებულია თქვას ყველაფერი, რასაც ის ფიქრობს მეცნიერების საკითხებზე. მეცნიერს არა აქვს უფლება, სიჩუმით ჩაუაროს მეცნიერების ისეთ საკითხებს, რომელთა შესახებ მას, მისივე რწმენით, შემუშავებული აქვს გარკვეული მეცნიერული შეხედულება. შესაძლებელია მეცნიერს არ ჰქონდეს თავისი შეხედულების სრულად გამოქვეყნების საშუალება, მაგრამ ის უნდა ცდილობდეს თავისი მეცნიერული შეხედულების გამოქვეყნებას, თუკი მას არ სურს მეცნიერის წოდებას ულა-

¹¹ ე. კოდუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 33-34.

¹² იქვე, გვ. 34.

ლატოს¹³.

ქართველი ფილოსოფოსის სოციოლოგიური შეხედულებების ანალიზისას პროფ. ე. კოდუა მიუთითებს, რომ ს. დანელიას ეთიკა აგებული იყო პრინციპზე – „მოყვარეს პირში უძრახე“. ქართველი ერის წარუმატებლობა იყო შედეგი იმისა, რომ ჩვენ თვითკრიტიკული არ ვიყავით ჩვენი ისტორიის მიმართ, გვიყვარდა მისი წარმოსახვა შელამაზებულად, რომ, თითქოს, ჩვენი წარსული გამარჯვებათა უწყვეტი ჯაჭვია¹⁴. სხვანაირად ფიქრობდა სერგი დანელია და ამიტომაც წერდა კიდევ: „ჩვენი ისტორია რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტებია, წამოწყებული და კვლავ დანგრეული შენობა“, და რომ ქართველი ერი ისტორიის შესავალ კარებს ვერ გასცდა. ნაშრომში – „ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი“, მოცემული კრიტიკული პათოსი მის ავტორს აახლოებს დიდი ილიას პოზიციასთან: „საკუთარი ერისადმი სიყვარულის შეჩამება ერისადმი კრიტიკულ პოზიციასთან ახასიათებდა ყველა ერის დიდ შვილს. თუ ქართველი ერისათვის ასეთი იყო დიდი ილიას პოზიცია, რუსეთისთვის ასეთი იყო დოსტოევსკის, გერმანელებისთვის კი შოპენჰაუერისა და ნიცშეს პოზიცია. ერის ყოფიერების კრიტიკულ განხილვას იმით ჰქონდა ღირებულება, რომ ერს აფხიზლებდა თვითკმაყოფილების გრძნობისაგან და მოუწოდებდა იმაზე მეტის შექმნისკენ, რაც შექმნა. სწორედ ერის საბრძოლო სილისკვეთების ამადლებას ემსახურებოდა ს. დანელიას პოზიციაც, და ყველა იმ მოაზროვნისა, რომლებიც ს. დანელიასთან ერთად ნიჰილისტებად და კოსმოპოლიტებად მონათლეს 40-იანი წლების დასასრულის“¹⁵.

სერგი დანელიას სიტყვები, რომ საქართველოს ისტორია ნაწყვეტ-ნაწყვეტებია, წამოწყებული და კვლავ დანგრეული შენობაა, და რომ ერთიანი გაბმული, უწყვეტი ჯაჭვი არ არის, იგივეა, რაც ილიას მიერ ლექსებში – „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ და „ბედნიერი ერი“, გამოხატული კრიტიკული პოზიცია ქართველი ერისა და საქართველოს ისტორიისადმი. ეს არის ბრძოლა ლუარსაბ თათქარიძის, კულტურისა და ადამიანის სიკვდილის მაუწყებელი თვითკმაყოფილების, გულგრილობისა და უძრაობის წინააღმდეგ.

ე. კოდუას საკვებით მართებული შეფასებით, ქართველმა მოაზროვნემ – სერგი დანელიამ შეძლო დოგმატიზმის გადალახვა და კრიტიციზმის დამკვიდრებით შეეცადა, რომ გარკვეული ბიძგი მიეცა სოციალური აქტივობისთვის. მაშასადამე, მისი კრიტიციზმი არ უნდა აღვიქვათ როგორც ნიჰილიზმის გამოხატულება და

¹³ ე. კოდუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 34.

¹⁴ იქვე, გვ. 35.

¹⁵ იქვე, გვ. 36.

უმოქმედობის ქადაგება. პირიქით – უფრო მეტი აქტივობისკენ მოწოდებით ერს ეძლეოდა მისი ყოფიერების საზრისის განხორციელების შესაძლებლობა¹⁶.

შესაძლებელია ამ თვალსაზრისით გარკვეული პარალელი გავავლოთ რუსი ფილოსოფოსის – ჩადაევის ნააზრევთან, რომელიც კრიტიკულად აღიქვამდა რუსული სულის დახასიათებას და შეულამაზებლად წარმოაჩენდა ნაშრომში – „შემლილის აპოლოგია“. „სამშობლოსადმი სიყვარული მშვენიერი საქმეა, მაგრამ არის უფრო მშვენიერი – ეს არის ჭეშმარიტების სიყვარული... არა სამშობლოსი, არამედ ჭეშმარიტების გზას მიყვარათ ზეცამდე. მე ვერ ვისწავლე ჩემი სამშობლოს დახუჭული თვალებით, თავდახრილად და მოკუმული ტუჩებით სიყვარული“.

ნაშრომის II თავში („სერგი დანელიას პოლიტიკური მრწამსი“) ე. კოდუა აღნიშნავს, რომ ს. დანელიას სიცოცხლის საზრისს მეცნიერების სამსახური წარმოადგენდა, თუმცა მის ცხოვრებაში პოლიტიკურ მოღვაწეობას და ღირებულებასაც გარკვეული ადგილი ეკავა. ეს რომ პოლიტიკური მოღვაწეობის სურვილით არ იყო განპირობებული, ჩანს თვით მისი გადაწყვეტილებიდან, როცა უარი თქვა დამფუძნებელი კრების წევრობის კანდიდატად დასახელებაზე. „მას კრიტიკული პოზიცია ჰქონდა ყველა მთავრობის მიმართ, მაგრამ მთავრობაში მოღვაწეობის სურვილის გარეშე“¹⁷.

იმის მიუხედავად, რომ მას პოლიტიკური კარიერა არ იზიდავდა, ე. კოდუას შეფასებით, პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმით ს. დანელიამ შეძლო გარკვეული პოლიტიკური შეხედულების შემუშავება. მეცნიერულ და პოლიტიკურ ასპარეზზე უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობით იგი ქართველი ერის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მიღწევას ისახავდა მიზნად.

ს. დანელია რუსული ნაციონალიზმის გამტარებლებლად მიიჩნევა ბოლშევიკებს და მკაცრად ილაშქრებოდა რუსული იმპერიალისტური, დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ, დიდმპყრობელობის სწრაფვას ექსპანსიისკენ კი რუსული სულის ერთ-ერთ ძირითად ნაკლად აცხადებდა¹⁸.

რუსული სულის ს. დანელიასეული დახასიათება ე. კოდუას გამოკვლევაში გაანალიზებულია თვით რუსი მოაზროვნეების – დოსტოევსკის, ბერდიაევისა და ჩადაევის კრიტიკული ნააზრევის ფონზე. ქართველი მოაზროვნე რუსეთის შესახებ ბევრს ვერაფერს იტყოდა ახალს და იმაზე მეტს, უარყოფითი თვალსაზრისით,

¹⁶ იქვე, გვ. 36-37.

¹⁷ იქვე, გვ. 37.

¹⁸ იქვე, გვ. 37-38.

რაც უკვე თვით რუსებს ჰქონდათ ნათქვამი. თქმულის საილუსტრაციოდ ე. კოდუა რამდენიმე ციტატას მოიხმობს კრიტიკული ცნობიერებით გამორჩეული ბერდიაევისა და ჩადაევის ნაშრომებიდან.

რუსი ერისა და რუსული სულის კრიტიკა სერგი დანელიას გადმოცემული აქვს 1920 წელს გამოქვეყნებული წერილების სერიაში – „ბოლშევიზმი და საქართველო“. გასული საუკუნის დასაწყისში გამოთქმული ეს მოსაზრებები, ე. კოდუას შეხედულებით, „მოლიანად ემთხვევა ბერდიაევის ნააზრევს, როგორც რუსული სულის და სივრცის კავშირზე, ასევე რუსის უუნარობაზე, ფორმა მიანიჭოს საკუთარ სინამდვილეს“¹⁹.

ს. დანელია რუსული სულის ერთ-ერთ ნიშნად, რუსეთისათვის დამახასიათებელ მოვლენად ნიჰილიზმს მიიჩნევს, რაც ამ ფორმით უცხოა ევროპისთვის. რუსები, როგორც დოგმატური რელიგიური მოაზროვნენი, ამბოხის მოყვარულები არიან, რაც იწვევს მათში საპირისპირო თვისებებს. რუსები ორთოდოქსები, ერეტიკოსები, გამთიშველები, აპოკალიპტიკოსები და ნიჰილისტები არიან და ამ მრავალფეროვნებაში ავლენენ რუსი ხალხისთვის დამახასიათებელ ერთ საერთო თვისებას – ანტისახელმწიფოებრიობას და ანარქისტულ მიდრეკილებას. ამასთანავე, მათში მძვინვარე დესპოტური სული ქმნის რუსეთის ისტორიის ორ უკიდურესობას – ანარქიზმსა და დესპოტიზმს²⁰. ამდენად, დაასკვნის პროფ. ედუარდ კოდუა, – ს. დანელიას თვალსაზრისი სრულ თანხმობაშია თვით რუსი ერის წარმომადგენელთა მიერ მოცემულ დახასიათებასთან²¹.

რუსი და ქართველი ხალხის დაპირისპირება ს. დანელიას ნაშრომში გაანალიზებულია ევროპასთან მიმართებაში. ორივეს ისა აქვს საერთო, რომ საქართველოც და რუსეთიც ეწინააღმდეგება ევროპას, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ „რუსი უარყოფს ევროპელს, ქართველი ევროპული კულტურის დაცვის საქმეში უფრო ევროპელია, ვიდრე თვით ევროპელები“, – დაასკვნის ე. კოდუა²².

ე. კოდუას საანალიზო გამოკვლევის ბოლო, IV თავში მოცემულია მსჯელობა დიდი ქართველი ფილოსოფოსის ნაციონალიზმზე. აღნიშნულია, რომ ს. დანელია მეცნიერული კვლევისას ხშირად მიმართავდა პარალელებს მეგრულსა და ევროპულ ენებს შორის, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ მიმართებით ვერ დაიმოწმებდა სათანადო მაგალითებს ქართული ენიდან. როგორც საქართველოს, ისე მისი ნაწი-

¹⁹ იქვე გვ. 49.

²⁰ იქვე, გვ. 53-54.

²¹ იქვე, გვ. 55.

²² იქვე, გვ. 58.

ლის – სამეგრელოს მიმართ ყოველ კნინობით გამოსვლას, ვისგანაც არ უნდა ჰქონოდა ასეთ შემთხვევას ადგილი, სერგი დანელია მტკივნეულად განიცდიდა და პრინციპულად კრიტიკულად აღიქვამდა. ამ თვალსაზრისით ე. კოდუას წიგნში მოთხრობილია სერგი დანელიას მიერ კუტანის წინააღმდეგ გალაშქრება, ასევე მისი კრიტიკული პოზიცია დიდი ინგლისელი ემპირიკოსის – ჯონ ლოკის წინააღმდეგ. ლოკი მეგრელების მაგალითზე აღნიშნავდა, რომ სამეგრელოს ქრისტიანი მცხოვრებნი თავიანთ შვილებს ცოცხლად ისე მარხავენ, რომ სინდისის ქენჯნას არ გრძნობენ²³. ამის საპასუხოდ, – დასძენს ე. კოდუა, – სერგი დანელიას შეეძლო მიეთითებინა საკუთარ არსებობაზე და ეთქვა, რომ მის მშობლებს ის ცოცხლად არ დაუმარხავთ, და მაშასადამე, ის ცოცხალია²⁴.

სერგი დანელია ეროვნულ თვითიდენტიფიცირებას თავისი მეგრელობით ახდენდა. აღნიშნულის ფონზე ე. კოდუა საჭიროდ მიიჩნევს საკითხის შემდეგი სახით დაყენებას: ნიშნავს თუ არა სეპარატიზმს ს. დანელიას მიერ მეგრული ზნე-ჩვეულებების, ხალხური სიბრძნისა და ენის დაცვა-გამოყენება, ან კიდევ კრიტიკული გამოსვლა იმათ წინააღმდეგ, ვინც მეგრულს ამცირებდა? „არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ყველა კრიტიკული შენიშვნა, მიმართული საკუთარი ერის, თუ კულტურის წინააღმდეგ, სერგის მიერ რეფლექსირებული იყო და ემსახურებოდა ქართული კულტურის დაცვას. მაშინაც, როდესაც მეგრულს იცავდა, სერგი ხელმძღვანელობდა პრინციპით, რომ მეგრული ქართული კულტურის ნაწილია და მისი დაცვა მთელი ქართული კულტურის დაცვის ერთ-ერთი გზა“²⁵.

საკუთარი კუთხისადმი სერგი დანელიას განსაკუთრებული სიყვარულის უკეთ წარმოსაჩენად პროფ. ე. კოდუა შენიშნავს, რომ საქართველო მრავალი ეთნოგეგუფისაგან შედგება და ამ ჯგუფის ყოველ წარმომადგენელს უყვარს თავისი ქვეყანა, როგორც თავისი სამშობლო, მაგრამ ამ სიყვარულში უფრო დიდ გრძობას მშობლიური კუთხის მიმართ ავლენს, იმ დასახლებების, უბნის, ქუჩისა და კარმიდამოს მიმართ, სადაც დაიბადა, აღიზარდა და ცხოვრობს. სამშობლო ხომ სწორედ იმ კერიიდან იწყება, სადაც ადამიანი იბადება, ფეხს იდგამს და ლაპარაკს იწყებს, მშობლიური გარემოს გარეთ მოხვედრილს უორკეცდება სიყვარულის გრძნობა თავის სამშობლოსა და იმ კუთხისადმი, სადაც გაიზარდა და ფეხი აიდგა²⁶.

²³ Д. Локи, Избранные философские произведения. М., 1960, стр. 98.

²⁴ ე. კოდუა, დასახელებული ნაშრომი, გვ. 81, 83-84.

²⁵ იქვე, გვ. 86.

²⁶ იქვე, გვ. 106.

„რამდენად დიდი იყო მშობლიური კუთხისადმი სერგის სიყვარული, – წერს ე. კოდუა, – ამას მოწმობს მისი რეაგირება ილიას ნათქვამზე – სამეგრელოში მო-
ვედი და აქ ვნახე საქართველო. რეგიონის მაცხოვრებლებმა ილიას ეს გამოთქმა
აღფრთოვანებით მიიღეს. სერგიმ კი ამას კრიტიკულად შეხედა და თავის დღიურ-
ში წერს: „რატომ უნდა გაკვირვებოდა სამეგრელოში საქართველო რომ იხილა,
განა არ იცოდა სად მიდიოდა?“²⁷.

ელუარდ კოდუას გამოკვლევა მნიშვნელოვანი შენაძენია სახელოვანი მოაზ-
როვნის ფილოსოფიური მემკვიდრეობისა და პოლიტიკური შეხედულებების გასა-
აზრებლად. ამ მიმართულებით კვლევა უფრო მეტად წარმოაჩინს სერგი დანელიას
განუზომელ ამაგს ქართველი ერისა და, ზოგადად, ქართული მეცნიერების წინაშე.

²⁷ იქვე, გვ. 117.

ქართული ფილოსოფიის ისტორიის
თვალსაჩინო მკვლევარი
(პროფესორ ბონდო კარტოზიას დაბადების
100 წლისთავის გამო)



შესრულდა 100 წელი ღვაწლმოსილი მეცნიერისა და უმაღლესი სკოლის დამსახურებული პედაგოგის, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის, პროფესორ **ბონდო კარტოზიას** დაბადებიდან.

ბონდო ნიკოლოზის ძე კარტოზია დაიბადა 1923 წლის 18 ოქტომბერს, სოფელ ბანძაში (ახლანდ. მარტვილის მუნიციპალიტეტი). 1930 წელს სწავლა დაიწყო სოფლის ოთხწლიან სკოლაში (ე. წ. ებრაელთა სკოლა), ხოლო 1940 წელს დაასრულა ბანძის საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. 1948-1951 წლებში სწავლობდა ფილოსოფიის კათედრის ასპირანტურაში. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო მარქსისტული ფილოსოფიის კათედრის გამგე, დოც. ალექსანდრე ქუთელია. ბ. კარტოზია ჩემთან პირად საუბრებში ყოველთვის თბილად იგონებდა ალექსანდრე ქუთელიას, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში. ჯერ კიდევ ასპირანტურის პირველ კურსზე ირიცხებოდა, ფილოსოფიის ფაკულტეტზე სასემინარო საათები რომ დაუთმო. შემდეგ, 1951 წლის 19 სექტემბრიდან, მისივე ნებით ჩარიცხეს შტატში, თსუ-ის დიპლექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრის ასისტენტის თანამდებობაზე. აქ გაიარა ბ. კარტოზიამ გრძელი გზა ასისტენტობიდან პროფესორობამდე. 1956 წელს გადაიყვანეს უფროსი მასწავლებლის, ხოლო 1959 წელს – დოცენტის თანამდებობაზე. პირველი ნაშრომი – „ეფრემ მცირის სქოლასტიკური აზროვნებისათვის“ – გამოაქვეყნა თსუ სტუდენტთა IX სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისებში, 1947 წელს. 1953 წლის 29 ივნისს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თსუ სამეცნიერო საბჭოს 1992 წლის 28 სექტემბრის დადგენილებით მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება, თეო-

რიული ფილოსოფიის სპეციალობით. მისი კვლევის მთავარი თემა იყო XX საუკუნის ქართული ფილოსოფიურ-სოციოლოგიური აზრის ისტორია. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა 1995 წლამდე. 1995 წლიდან გარდაცვალებამდე ლოგიკისა და ფილოსოფიის კურსს კითხულობდა სოხუმის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის უნივერსიტეტსა (ქალაქ ფოთში) და სოხუმის ცოტნე დადიანის სახელობის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში (ქალაქ სენაკში). გარდაიცვალა 2000 წლის 22 იანვარს. დაკრძალულია სოფელ ბანძაში, შაურკარის სასაფლაოზე.

ბ. კარტოზიას ქართული ფილოსოფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სტატია და რეცენზია. ცალკეული გამოკვლევებიდან აქვე დავასახელებთ რამდენიმეს: „საზოგადოება და პიროვნება“¹, „ქართული ფილოსოფიური აზრი სოციალისტური რევოლუციის პირველ ეტაპზე“², „ს. დანელიას პედაგოგიური შეხედულებანი“³, „დ. უზნაძის სოციოლოგიური შეხედულებები“⁴, „სოციოლოგიის საკითხები დ. უზნაძის შრომებში“⁵, „რევოლუცია და ენა [ს. დანელიას დაბადებიდან 90 წლისთავის გამო]“⁶, „დიმიტრი უზნაძე ყოფნა-არყოფნის პრობლემის შესახებ და ქართული ხალხური პოეზია“⁷, „ჯოჯი თუ ჯორი?“ [„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის შესახებ]“⁸ და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, ბ. კარტოზიამ 1953 წელს დაიცვა დისერტაცია. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად მას წარდგენილი ჰქონდა გამოკვლევა, თემაზე – „ისტორიული მატერიალიზმის საკითხები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომაში – „გერმანული იდეოლოგია“, რაც შედგება შესავლის, სამი თავისა და გამოყენებული მიტერატურის სიისაგან. ბ. კარტოზიას აზრით, სადისერტაციო შრომის ამოცანას შეადგენს მარქსიზმის წარმოშობის ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, სახელდობრ, მარქსისა და ენგელსის მიერ ისტორიის მატერიალისტური გაგების აღმოჩენა და ამ საფუძველზე ახალგაზრდა ჰეგელიანელთა (ლ. ფოიერბახი, ბ. ბაუერი, მ. შტირნერი, კ. გრიუნეი...) იდეალისტური ფილოსოფიურ-ისტორიული თეორიების კრიტიკა, რაც პირ-

¹ თსუ შრომები, ტ. 97, 1961, „ხელოვნების თეორიის საკითხები შ. ნუცუბიძის შემოქმედებაში“. ფ. „ცისკარი“, №2, 1970

² „მნათობი“, №7, 1970

³ „სკოლა და ცხოვრება“, №2, 1973

⁴ თსუ შრომები, ტ. 169, 1975

⁵ „განთიადი“, №2, 1977

⁶ „ცისკარი“, №5, 1980

⁷ „ცისკარი“, №8, 1986

⁸ „კრიტიკა“, №4, 1988

ველად განხორციელდა მარქსისა და ენგელსის შრომაში - „გერმანული იდეოლოგია“.

აქვე შევნიშნავთ, რომ ჰეგელიანელობა გულისხმობს ჰეგელის მოძღვრების შინაგან წინააღმდეგობათა გამოვლენის შედეგად XIX საუკუნის 30-40-იანი წლების გერმანიაში წარმოშობილ მიმდინარეობას. ჰეგელიანელები იყოფოდნენ ორ – მემარცხენე და მემარჯვენე ფრთად. მემარცხენე ანუ ახალგაზრდა ჰეგელიანელების წარმომადგენლები იყვნენ დ. შტრაუსი, ბ. ბაუერი და სხვანი. ისინი მემარჯვენე ანუ ძველი ჰეგელიანელების (კ. გეშელი, ჰ. ჰინრიხსი, გ. გაბლერი და სხვ.) წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს უჭერდნენ ჰეგელის დიალექტიკას, აკრიტიკებდნენ ქრისტიანულ რელიგიას. მემარჯვენე ჰეგელიანელები კი, პირიქით, ჰეგელის ფილოსოფიის მიზნად მიიჩნევდნენ რელიგიურ და ფილოსოფიურ სიმბიოზს, უარყოფდნენ დიალექტიკას. შინაარსობრივად ეს ბრძოლა შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც პოლიტიკური ბრძოლა ახალი იდეების მატარებელ იდეოლოგებსა და პოლიტიკაში რეაქციონერებს შორის. მემარცხენე ჰეგელიანელებს ეკუთვნოდნენ ადრეულ პერიოდში ლუდვიგ ფოიერბახი, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. თუმცა ეს ორი უკანასკნელი 1844 წლიდან იწყებს ჰეგელიანელობის კრიტიკას და ახალი, მატერიალისტური მსოფლმხედველობის შემუშავებას. XIX საუკუნის II ნახევარში ჰეგელიანელობა კვლავ აღორძინდა ევროპაში. XX საუკუნის დამდეგს ჰეგელიანელობა ნეოჰეგელიანობაში გადაიზარდა⁹. ნეოჰეგელიანელობა, როგორც XIX-XX სს. იდეალისტური ფილოსოფიის მიმდინარეობა, ცდილობდა შეექმნა მთლიანი მსოფლმხედველობა ჰეგელის ფილოსოფიის განახლებული ინტერპრეტაციის საფუძველზე.

დისერტაციის I თავში ბ. კარტოზია წარმოადგენს ახალგაზრდა ჰეგელიანელთა პოლიტიკური და ისტორიული შეხედულებების წინააღმდეგ მარქსისა და ენგელსის ბრძოლის ისტორიის საკითხებს. II თავში გადმოცემულია ისტორიის მეცნიერული ახსნის ძირითადი პრინციპები, მარქსისა და ენგელსის მოძღვრება საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის შესახებ; განხილულია საზოგადოებრივი ცნობიერებისა და მისი პროდუქტების წარმოშობისა და ბუნების საკითხი. III თავში ნაჩვენებია, თუ როგორ გამოიყენეს მარქსმა და ენგელსმა ისტორიული მატერიალიზმის პრინციპები სოციალიზმის დამყარების აუცილებლობის დასასაბუთებლად. ბ. კარტოზიას დისერტაციის მიზანს შეადგენს ჩვენება იმისა, თუ როგორი იყო მარქსისა და ენგელსის თვალსაზრისი ცალკეულ საკითხებზე

⁹ მ. ჭელიძე, ჰეგელიანელობა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI, თბ., 1987, გვ. 612

1845 წლამდე და როგორ განვითარდა და დამუშავდა ეს თვალსაზრისი მათ შემდგომ, მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის შრომებში¹⁰.

აღნიშნული დისერტაცია, ისევე როგორც იმ დროის ფილოსოფიური ლიტერატურა, მიზნად ისახავს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გაიდებულებას. მარქსიზმის წარმოშობას ბ. კარტოზია უწოდებდა „ნამდვილ აღმოჩენას“, „რევოლუციას ფილოსოფიაში“. დისერტანტი მიიჩნევდა, რომ მარქსიზმის წარმოშობით დაიწყო ფილოსოფიის ისტორიის სრულიად ახალი პერიოდი. „ამიერიდან ფილოსოფია მასების კუთვნილებად იქცა. მარქსიზმი ბოლომდე თანმიმდევრული მეცნიერული მსოფლმხედველობაა, რომელიც იცავს ჩაგრული მასების, პროლეტარიატის ინტერესებს. მისი წარმოშობა დაკავშირებული იყო ბოლომდე თანმიმდევარი რევოლუციური კლასის, პროლეტარიატის წარმოშობასა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მის კლასობრივ ბრძოლასთან“¹¹. ისტორიის მატერიალისტურმა შექმენებამ, მკვლევრის აზრით, მოსპო ძველი, იდეალისტური ფილოსოფიურ-ისტორიული თეორიები. ბონდო კარტოზია მას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გარკვეული ისტორიული საფეხურის პროდუქტად მიიჩნევს¹². „მარქსმა და ენგელსმა, – დასძენს ბ. კარტოზია, – განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მატერიალიზმის თანმიმდევრულად გატარებას საზოგადოებრივ მოვლენათა სფეროზე... ბუნების მატერიალისტური შეცნობის გავრცელებამ ადამიანთა საზოგადოების შესწავლაზე ნათელი გახადა ის, თუ რა იწვევს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, როგორ ხდება გადასვლა საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი წყობიდან მეორეზე. ისტორიის მატერიალისტური ახსნით, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესახებ მთლიანი და მწყობრი მეცნიერული თეორიის წარმოშობით, იდეალიზმი განდევნილი იქნა მისი უკანასკნელი თავშესაფრიდან, ისტორიის, საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროდან, ბოლო მოეღო იმ ქაოსსა და თვითნებობას, რაც ბატონობდა ადამიანთა საზოგადოების შესახებ მარქსიზმის წარმოშობამდე არსებულ შეხედულებებში“¹³.

1969 წელს გამოიცა ბ. კარტოზიას წიგნი – „კლასობრივი ბრძოლის ლენინური თეორია და თანამედროვეობა“. XIX ს-ის 40-იანი წლებიდან მტკიცედ დამ-

¹⁰ ბ. კარტოზია, ისტორიული მატერიალიზმის საკითხები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომაში – „გერმანული იდეოლოგია“. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. 1952, გვ. 18. ხელნაბეჭდი. ინახება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში

¹¹ იქვე, გვ. 3

¹² იქვე, გვ. 10

¹³ იქვე, გვ. 5

კვიდრებული მეცნიერულ-მატერიალისტური თვალსაზრისის თანახმად, აღნიშნავს მკვლევარი, საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების განმსაზღვრელ ძალას ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი მატერიალური დოვლათის, სა-არსებო საშუალებათა წარმოება წარმოადგენს. საზოგადოების ისტორია წარმოების, მწარმოებელ ინდივიდთა, ხალხის ისტორიაა, მაგრამ ხალხი, საზოგადოება, პირველყოფილ-თემური წყობილების გამოკლებით, ყოველთვის შეიცავდა ორ ან მეტ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ, ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ჯგუფებს, კლასებს და, ამდენად, საზოგადოების ისტორია სხვა არაფერია, თუ არა კლასთა ბრძოლის ისტორია. კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორია ახალ ისტორიულ პირობებში განავითარა და უმაღლეს საფეხურზე აიყვანა ვლადიმერ ლენინმა, რომლის ნაშრომებშიც ყურადღება გამახვილებულია კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული თეორიის მნიშვნელოვან საკითხებზე (კლასების განსაზღვრა, პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი, კლასების საბოლოო მოსპობა და ა. შ.). ბ. კარტოზიას აზრით, კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის შესახებ ლენინური თეორია მარქსისტული სოციოლოგიის რაიმე დამოუკიდებელ სფეროს კი არ წარმოადგენს, არამედ ეს იგივე მარქსისტული თეორიაა, აყვანილი ახალ საფეხურზე¹⁴.

წიგნში განხილულია შემდეგი საკითხები: კლასობრივი ბრძოლის ლენინური თეორია, კლასობრივი ბრძოლის თეორიის აქტუალური მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე კაპიტალისტურ ქვეყნებში, კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ბანაკის ურთიერთობა, მათი თანაარსებობა, როგორც კლასობრივი ბრძოლის თავისებური ფორმა.

ავტორი ცდილობს იმის დასაბუთებას, რომ კლასების განსაზღვრების, კლასობრივი ბრძოლისა და მისი ფორმების, პოლიტიკური ბრძოლის როლის დადგენისა და სხვა საკითხების შესახებ მარქსისტული მოძღვრების შემდგომი განვითარება და წინ წაწევა ვ. ლენინის დამსახურებაა, რომელმაც მოგვცა კლასების დამთავრებული და სრული ცნება. ამ დებულების საილუსტრაციოდ მკვლევარი იმოწმებს და აანალიზებს მრავალრიცხოვან სტატისტიკურ მასალას და დაასკვნის, რომ კლასობრივი ბრძოლის ლენინური თეორია თავის ძალას ინარჩუნებს თანამედროვე ეტაპზეც და მიმართულია დასავლეთის სოციოლოგთა მტკიცებულებების წინააღმდეგ.

¹⁴ ბ. კარტოზია, კლასობრივი ბრძოლის ლენინური თეორია და თანამედროვეობა, თბ., 1969, გვ. 3-6

ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ეტაპები და გზები, მისი თავისებურებანი გარდამავალ პერიოდში (XX ს. 20-30-იანი წლები), ქართველ მოაზროვნეთა ფილოსოფიური მემკვიდრეობის ანალიზის საფუძველზე, განხილულია ბ. კარტოზიას წიგნში – „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ქართული ფილოსოფიური აზრი“ (1971 წ.). წიგნის შესავალში აღნიშნულია, რომ XIX ს-ის 90-იანი წლებიდან საქართველოში გავრცელებული მარქსიზმი გაბატონებულ იდეოლოგიად მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იქცა. ესაა პერიოდი მწვავე იდეოლოგიური ბრძოლისა და ქართული ფილოსოფიური აზრის მარქსისტულ-ლენინური, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებზე გადასვლისა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ XX ს-ის 20-იან წლებში ქართველი მოაზროვნეები – შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, კ. კაპანელი და სხვები არამარქსისტული ფილოსოფიური იდეებით უპირისპირდებოდნენ მატერიალიზმს. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ დაიწყო შეურიგებელი ბრძოლა იდეალიზმის წინააღმდეგ და დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპების პროპაგანდა ფილიპე მახარაძის, მიხა ცხაკაიას, მალაქია ტოროშელიძის, შ. დუდუჩავას, კ. გორდელაძის, ი. ვაშაყაძის, გ. მუშიშვილისა და სხვა იდეოლოგების მიერ¹⁵.

XX ს-ის 20-იანი წლების დასაწყისამდე ქართული ფილოსოფიური აზრის ზემოთ დასახელებულ კორიფეთა (შ. ნუცუბიძე, ს. დანელია, კ. კაპანელი) შეხედულებანი ძირითადად იდეალისტური იყო, მაგრამ 20-იანი წლების შუა პერიოდიდან ქართველ ფილოსოფოსთა, მათ შორის მ. გოგბერიძისა და კ. ბაქრაძის აზროვნებაში დაიწყო რთული ევოლუციური პროცესი და, როგორც ბ. კარტოზია აღნიშნავს, ქართული ფილოსოფიური აზრის თანდათანობით „შემობრუნება“ მარქსისტული ფილოსოფიისაკენ. მკვლევარი ცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ობიექტური, ისტორიული აუცილებლობა მოითხოვდა რევოლუციური გზით სიარულს, ქართული ფილოსოფიურ-იდეალისტური აზრის ცნობილი წარმომადგენლების მიერ თავიანთი ძველი ფილოსოფიური შეხედულებების გადასინჯვასა და ახლებურად გააზრებას, ფილოსოფიურ ევოლუციას იდეალიზმიდან მარქსისტული მატერიალიზმისაკენ, რამაც თავი იჩინა შ. ნუცუბიძის, ს. დანელიასა და კ. კაპანელის შემოქმედებაში¹⁶.

¹⁵ ბ. კარტოზია, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ქართული ფილოსოფიური აზრი, თბ., გვ. 6

¹⁶ ბ. კარტოზია, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და ქართული ფილოსოფიური აზრი, გვ. 36

საბჭოთა ტოტალიტარული იდეოლოგიისათვის ჩვეული პარტიულ-კლასობრივი მიდგომის მკაცრი მოთხოვნის პირობებში, მკვლევარი-ფილოსოფოსი, ბუნებრივია, იძულებული იყო, რომ ნაშრომები დაეწერა მარქსიზმის პოზიციიდან და მარქსისტული იდეოლოგიის დაცვის მიზნით. აქედან გამომდინარე, ბ. კარტოზიას მიერ XX ს-ის 50-80-იან წლებში გამოქვეყნებულ წიგნებსა და გამოკვლევებში სუბიექტივისტურად და აშკარად მცდარი ფორმითაა წარმოჩენილი ქართული ზოგადმსოფლმხედველობრივი და სოციოლოგიური აზრის კარდინალური საკითხები.

ბ. კარტოზიას ეკუთვნის ქართული ეროვნული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის – დიმიტრი უზნაძის ადრეული პერიოდის სოციოლოგიურ შეხედულებათა ანალიზისადმი მიძღვნილი მცირე ზომის წიგნი. მკვლევარს შესწავლილი აქვს საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის, ადამიანის ცხოვრების საზრისის, საზოგადოებრივი პროგრესისა და საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა ფორმის (რელიგია, მეცნიერება, ხელოვნება), აგრეთვე ომისა და მშვიდობის საკითხები დიდი მოაზროვნის სოციოლოგიურ შეხედულებათა შუქზე. ფილოსოფიის ისტორიკოსის დასკვნა, რომ დ. უზნაძის ახალგაზრდობისდროინდელ შეხედულებებს ძირითად საზებში შეიძლება ეწოდოს ისტორიის მეცნიერულ-მატერიალისტური გაგება და რომ რელიგიის საკითხებზე დ. უზნაძის ნააზრევი მნიშვნელოვანწილად ემთხვევა ფრიდრიხ ენგელსის შეხედულებებს, რასაკვირველია, კომუნისტური დოგმატური იდეოლოგიითაა ნაკარნახევი და სადღეისოდ აშკარად მიუღებელი და არაობიექტური შეფასებაა გამოჩენილი მოაზროვნის ფილოსოფიური შეხედულებებისა. ასევე კონიუნქტურულია ბ. კარტოზიას დებულება ახალგაზრდა შ. ნუცუბიდის შესახებ, რომელიც მარქსისტად იყო გამოცხადებული მკვლევრის არაერთ გამოკვლევაში. შალვა ნუცუბიძე, მკვლევრის აზრით, პიროვნების როლის საკითხს თითქოს მარქსიზმის პოზიციებიდან აშუქებდა. შ. ნუცუბიდის გასული საუკუნის 10-იანი წლების შემოქმედების სხვაგვარ შეფასებას იძლევა შ. ხიდაშელი. მისი აზრით დიდი მეცნიერის სამეცნიერო მოღვაწეობის პირველი პერიოდის ნაშრომები არ ეფუძნება მარქსისტულ იდეოლოგიას.

მეტად ფასეულია ბ. კარტოზიას სამეცნიერო სტატიები და წერილები დიდი ქართველი მოაზროვნის, ქართული ფილოსოფიური აზრის თვალსაჩინო წარმომადგენლის – პროფესორ სერგი დანელიას ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ შეხედულებებსა და ისტორიულ დამსახურებაზე, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული ეროვნული ფილოსოფიური და სოციოლოგიური კულტურის განვითარებაში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბ. კარტოზიას ნაწერებში ს. დანელიას მეცნიერული დამსახურების შეფასებისას თვალნათლივ გამოსჭვივის ულ-

რმესი სიყვარული და პატივისცემა სახელოვანი თანასოფლელისა და მასწავლებლის მიმართ. ბევრ საყურადღებო, ობიექტურ, სათანადო ანალიზზე დაფუძნებულ მოსაზრებებს შეიცავს მისი წიგნები: „სერგი დანელია“ (1970 წ.) და „სერგი დანელიას ეროვნული მრწამსი“ (2008 წ., თანაავტ. ი. კეკელია).

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ფართო გასაქანი მიეცა საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მათ შორის სოციოლოგიური თემატიკის კომპლექსურ კვლევას. ქართველ მეცნიერ-ფილოსოფოსთა საკუთრივ სოციოლოგიური კვლევის თვალსაზრისით გამოირჩევა ბ. კარტოზიას ნაშრომი „ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან (XX ს. 10-30-იანი წლები)“. მისი ცალკე წიგნად გამოცემა 1977 წელს განხორციელდა, ხოლო მეორე გამოცემაში უფრო ვრცლადაა მოცემული ქართველ მოაზროვნეთა სოციოლოგიური შეხედულებების კვლევის ძირითადი შედეგები. უნდა ითქვას, რომ დასახელებული მონოგრაფია სავსებით სამართლიანადაა აღიარებული უაღრესად რთულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში მოღვაწე ქართველ მოაზროვნეთა – შ. ნუცუბიძის, ს. დანელიას, კ. კაპანელის, მ. გოგიბერიძისა და სხვათა სოციოლოგიური შეხედულებების სისტემური სახით გადმოცემის პირველ სერიოზულ ცდად.

ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიაში ბ. კარტოზია XX საუკუნეს და, განსაკუთრებით პირველ ათეულ წლებს, მნიშვნელოვან ადგილს მიაკუთვნებს. ესაა დიდი სოციალური ძვრების პერიოდი, როცა იწყება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის რთული ისტორიული პროცესი, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დამკვიდრება და გამარჯვება. აღნიშნულმა პროცესმა ასახვა ჰპოვა ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მამამთავრის – დიმიტრი უზნაძის, ახალი ქართული ფილოსოფიური აზრის უდიდესი წარმომადგენლების – შალვა ნუცუბიძის, სერგი დანელიასა და კონსტანტინე კაპანელის შემოქმედებაში. მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობა უხვ მასალას შეიცავს ქართული ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ესთეტიკური, პედაგოგიკური და სხვა საკითხების ისტორიისათვის. „ნარკვევებში“ ბ. კარტოზია ანალიზებს უმთავრესად მათი მოღვაწეობის სოციოლოგიურ ასპექტებს¹⁷. მონოგრაფიაში წარმოჩენილია XX საუკუნის გამოჩენილი ფილოსოფოსის – მოსე გოგიბერიძისა და ფართო საზოგადოებისათვის უცნობ სხვა მოაზროვნეთა (კ. გორდელაძე, გრ. გოგიბერიძე, ა. თავაძე, იპ. ვართაგავა, მ. უზნაძე, ე. მირიანაშვილი) წვლილი მარქსისტული სოციო-

¹⁷ ბ. კარტოზია, ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან (XX ს. 10-30-იანი წლები), გვ. 5-198

ლოგის – ისტორიული მატერიალიზმის დაცვასა და განმტკიცებაში¹⁸.

XX საუკუნის I მესამედის ქართული სოციალურ-ფილოსოფიური აზრის შესახებ ბონდო კარტოზიას გამოკვლევებიდან ზემოთ დამოწმებული და სხვა, ანალოგიური, ურთიერთსაწინააღმდეგო და მიუღებელი დებულებები სადღეისოდ საფუძვლიანად, მიუკერძოებლად და ობიექტურადაა შეფასებულ-გააზრებული. გადასინჯული და უკუგდებულია დოგმატური და სუბიექტივისტური შეფასებები და იდეოლოგიური იარაღიები, რაც ახასიათებდა ამ პერიოდის საზოგადოებრივ და ფილოსოფიურ მეცნიერებებს. ამის მიუხედავად, მკვლევრის არაერთ მოსაზრებას დღესაც თეორიული სიახლე გამოარჩევს. ბ. კარტოზიას გამოკვლევებმა თემატურად და შინაარსობრივად წინ წასწია მისი მასწავლებლების მიერ დაწყებული ძიებები. აქვე მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ თემატური სიახლით გამოირჩევა ბონდო კარტოზიას მცირე ზომის სოციოლოგიური გამოკვლევა – „ერი და ეროვნული მოძრაობა“ (თანაავტ. ი. კეკელია. ცალკე ბროშურად დაიბეჭდა 2011 წელს).

¹⁸ ბ. კარტოზია, ნარკვევები ქართული სოციოლოგიური აზრის ისტორიიდან (XX ს. 10-30-იანი წლები), გვ. 199-229

**About the Cultural Possession of the Borjomi Vally
in the 8th-7th centuries BC**

The Borjomi Valley historically was a part of the Tori province. Tori was divided in three main parts: Gujareti, Shavtskala and Kheoba. The last one was called Borjomi Kheoba (Valley) since the beginning of 20th c. This 60 kilometers long region is starting from Tashiskari and ending in Atskuri and includes the villages on both riversides of Mtkvari. The whole Tori region, and Borjomi among other parts of it, belonged to the South Georgian historical region of Samtskhe (Meskheti). There always passed and still exists the main highway connecting Shida Kartli to Meskheti.

The archaeological researches of Borjomi region started in 1911. This year, there were accidental finds in the village Rveli (Baniskhevi), which were followed by the archaeological excavations, leaded by P. Vinogradov-Nikitin and E. Takhaishvili. The same year prof. A. Gorodtsov has leaded another expedition of the sight.

In 1940, in connection with the construction of the railway, prof. G. Nioradze has initiated some reconnaissance works and archaeological excavations of small scale. Lately he published a paper about the results of these field works.¹

In 1966 the permanent archaeological expedition was founded in the region. Prof. O. Ghambashidze was assigned as the leader of the expedition, who continued his researches until 1995. The research has revealed several important archaeological findings in Rveli, Chitakhevi, Kviratskhoveli and Bornighele cemeteries. All four cemeteries were multi-layered and were dated from (15th-14th c. B.C.) to Classical era (5th-3th c. B.C.). The most numerous group of burials is dated to the 8th-7th c. B.C.

Until now, the archaeological sites of Meskheti of 8th-7th c. B.C. are testified only in Borjomi area. Thus, it has great scientific value for studying issues of farming, living, religious beliefs, cultural affiliation of the region and relations with neighboring countries.

A number of researchers (G. Nioradze, O. Japaridze, O. Gambashidze, T. Mikeladze, O. Lortkifanidze, T. Chubinishvili, A. Javakhishvili, V. Licheli, L. Sak-

¹G. Nioradze, Archaeological inquiries in the gorge of the river Kura. *The Works. volume I. 2011. Tbilisi. pp.101-148* (on Georgian).

harova, A. Ramishvili, I. Ghambashidze, J. Apakidze, etc.) have expressed a noteworthy opinions regarding Borjomi findings. O. Japaridze refers to the sites of Meskheti (including the Borjomi gorge) of the Late Bronze and Early Iron ages. He believes that in this period, in many ways, quit complicated circumstances have affected the local inhabitants and the region is strongly influenced by Western and Eastern cultures. The researcher mainly relies on the complexes of the early stage of the Late Bronze Age (early burials of Chitakhevi, Kviratskhoveli and Bornighele, as well as Gomna cemetery) and concludes that in this period the influence of the Shida (central) Kartli is felt in Meskheti, which is mainly reflected in the shapes of weapons (open socketed spearheads, leaf-shaped spearheads, maces , bronze flat arrowheads and etc.). At the same time, he also mentions that there is no known case of East Georgian axe being found in this region, and he explains this by the fact that the Colchian axe began to spread here quite early and intensively. According to him, by the end of the 2nd millennium, the influence coming from Shida Kartli is gradually weakening in Meskheti, which must be caused by the fact that at this time the Ior-Alazani culture is beginning to strengthen in Shida Kartli, while Meskheti is already under the strong influence of Colchian culture. The researcher considers the existence of the metallurgical workshop of Tzagveri to be one of the visible examples of this.²

Based on the hoard of Ude, where the items characteristic of the Colchian culture predominate, A. Javakhishvili and T. Chubinashvili considered Meskheti as a region included in the sphere of influence of Colchian culture.³

In his works, T. Mikeladze also spoke about the ethnic identity problems of the Meskhetians in his works. Based on Eastern and Greek sources, archaeological material and toponymy of southern Georgia, including the Borjomi region, T. Mikeladze concluded that the Moskhi (Meshkhi) people were a Western Georgian, Zanuri-speaking tribe and that «Meskhi and Kartli should not be considered identical».⁴

The processes taking place in the II-I millennia in South Georgia B.C. were studied by V. Licheli. He believes that in the second half of the 2nd-1st millennium B.C. the Central Transcaucasian culture dominates in South Georgia, but at the same time, certain ethnic changes are indicated by the metal and clay products fo-

² O. Djaparidze, At the Beginning of Georgian History. 2003. Tbilisi. pp. 236-24.

³ A. Javakhishvili, T. Chubinashvili, The Hoard of Ude. ~*Sabchota Khelovneba*” (*The Soviet Art*), 1959 #4. Tbilisi. pp. 59-62 (on Georgian).

⁴ T. Mikeladze. Researches from the history of the ancient populatsion Colchis and the Southeastern Black Sea littoral. 1974. Tbilisi . pp. 30 (on Georgian).

und in the excavated burials in the Borjomi gorge. According to V. Licheli, the character of material culture changes dramatically and it is formed on the basis of Western Georgian (Colchian) elements. As an example of this, the researcher brings the hoard of Ude and Telovani and the Mzetamze cemetery. According to V. Licheli, from the 4th c. B.C., the character of the material culture in South Georgia is changing again, and the eastern elements are beginning to regain strength.⁵ These events interpreted O. Lordkipanidze as: «*With the infiltration of the Colchian culture and possibly the Colchian ethnic element in the neighboring regions*» (meaning Meskheta and Shida Kartli).⁶ Some researchers (O. Japaridze, K. Pitskhelauri, etc.) believe that the Colchian culture spread to Shida Kartli from Meskheta.

According to A. Ramishvili, the region of Meskheta of the Late Bronze Age has not yet been studied at an appropriate level from an archaeological point of view, the main part of the obtained material has not been published, and thus it is impossible to fully take it into account. Thus it is difficult to conclusively prove whether this area was included in the area of Colchian culture or not. In his opinion, the discovery of Colchian axes and even the molds for making them should not mean that the region is necessarily in the field of Colchian culture.⁷

This problem was addressed by J. Apakidze, who, based on the material of the Rveli, Kviratskhovli, Chitakhevi and Bornighele cemeteries, believes that the Colchian culture begins to appear and spread in this area quite early. For example, he brings the mold of Telovani, the axe of Mitarbi and the hoard of Ude. He believes that in the early stages of the Late Bronze Age in Meskheta, Eastern Georgian and Colchian cultures were equally spread and thus, he considers this region as a «zone of mixed cultures». According to him, since the end of the 2nd millennium B.C. Meskheta has been one of the regions of the spread of Colchian culture, where a large number of samples of Colchian ceramics, weapons and jewelry have been found. He also mentions that next to the complexes containing

⁵ V. Licheli, The Ethnocultural Innovations of the South Georgia in the 22th-1th millenniums BC. *Kutaisi Discussions VI. Proceedings of the Symposium. 1999. Kutaisi. pp. 106-107* (on Georgian).

⁶ O. Lordkipanidze, Dynamics of Ethnocultural System Development in West Georgia during the second half of the 2th millennium and first half of the 2th millennium BC. *Kutaisi Discussions VI. Proceedings of the Symposium. 1999. Kutaisi. pp. 111-113* (on Georgian).

⁷ A. Ramishvili. Problems of archaeology of the final stage of the bronze age in Shida Kartli. *Disertatsion. pp.201.* (on Georgian).

such material, have also been revealed the complexes containing different artifacts. However, from the end of the 2nd millennium B.C., Meskheta is still the area of spread of Colchian culture.⁸

The issue of the relationship between the Colchian and Eastern Georgian cultures in Meskheta and specifically in the Borjomi region, was repeatedly studied by O. Ghambashidze and I. Ghambashidze. In addition to these two powerful cultural layers, they also saw elements from Asia Minor, which, in their opinions, were mainly reflected in the burial customs, namely cremation and beritual burials.⁹

From this point of view, what material does the Borjomi gorge cemeteries (dated by 8th-7th B.C.) reveal?

These cemeteries have many similarities with the Eastern Georgian synchronous sites from the point of view of the construction of the tombs and the burial rites. In particular, inhumation burial of the dead, pit burials, stone-built tombs, cenotaphs. The facts of finding only skulls in the tombs are widespread mainly in the area of the Central Caucasian culture, however, the inhumation burial of the dead is not alien to the Colchian world, especially to Northwestern Colchis. Along with this, secondary burials with partial cremation can be found in the Borjomi region, which is a phenomenon characteristic for the Colchian world. But in the Borjomi gorge, the cremated bones are placed in household clay vessels and in many cases, together, in one grave with the inhumated deceased. From this point of view, the Borjomi gorge differs from all other regions, and beritual burials are a phenomenon characteristic only for this area.

From the point of view of metal weapons, samples characteristic for both the above-mentioned cultures have been confirmed on this site: Colchian bronze and iron axes (**Tab. I-1,2,3,4**), the so-called Samtavro type swords and base-grooved arrowheads (**Tab. II-3,5**), Colchian type swords (**Tab. II-1,2**), engraved spearheads (**Tab. III-1,2**) and iron spearheads characteristic of the Eastern Transcaucasian culture (**Tab. III-3,4**), shafted and ridged arrowheads (**Tab. II-4**), and «Hybrid» («Meskhetaian») axes which are characteristic for only south-western Georgia (**Tab. I-5**).

Some types of jewelry and clothing artifacts show similarities with the material of the synchronous period of Eastern Georgia. e.g. the so-called «Flat-headed»

⁸ J. Apakide, The Chronology of the Late Bronze and Early Iron Age Colchian Culture. 2002. *Dissertation*. (on Georgian).

⁹ O. Ghambashidze, I Ghambashidze, New Archaeological Materials from Samtskhe-Javakheti. «*Dzeglisi Megobari*», 1987 #4. Tbilisi, pp. 36-43 (on Georgian).

pins are mainly characteristic for Eastern Georgian sites (Beshtasheni, Samtavro and others, **Tab. IV-1**), but next to them there are also samples that are characteristic for both Eastern and Western Georgian sites. E.g. the so-called «Enlarged headed» pins (**Tab. IV-2, 3**), neck-rings with round cross-section and twisted stem (**Tab. IV-8, 9**), bracelets with stylized snake heads (**IV-4, 5**), etc. The bronze buckles found in the Borjomi valley cemeteries belong to the Colchian culture circle (**Tab. IV-6, 7**).

In the pottery industry, is clearly visible a trend characteristic only for this region, namely the intensive use of Quartz and Silicate minerals. There are bowls, which are mainly characteristic for the Central Caucasian and «Samtavro» culture. For example, biconical and oblong shaped pots (**Tab. V-1,2**), hollow-heeled jars and bowls of different shapes (**Tab. V-3**) and others. The «barrel-shaped» and «jar-shaped» jugs (**Tab. V-4,5**) and the footed cups of Colchian type, found in the Borjomi Valley, show a close proximity to the material found at the sites of Colchis of the 7th-6th centuries B.C.

On the basis of above mentioned archaeological evidences we can say that the Borjomi region of the 8th-7th centuries B.C. can be considered a meeting and coexistence zone of the Central Caucasian (Eastern Georgian, Samtavro) and Colchian cultures. It is difficult to say which culture was dominant. The difficulty is that the settlements of this period have not been studied. Despite the fact that the Borjomi region contains many items characteristic for the Colchian culture, the main elements of this culture have not been confirmed: the hoe, segmental tools and the billhook. However, this may also be explained as there was possibly no tradition of burring them with the dead, or perhaps due to the peculiarities of farming in the Borjomi valley.

Colchian artifacts are quite abundantly present in the graves of the early period (15th-9th centuries B. C.) of the Borjomi region. According to O. Lordkipanidze, this phenomena «could have been caused by the infiltration of the Colchian ethnic element.»¹⁰ This assumption is strengthened by the toponymy of the region. In particular, such toponyms as «Chitakhevi», «Chobiskhevi» and others. as the academician Arnold Chikobava believes that the last one («Chobikhevi») is especially noteworthy, because all toponyms derived from the root «chob» (ches-

¹⁰ O. Lordkipanidze, Dynamics of Ethnocultural System Development in West Georgia during the second half of the 2th millennium and first half of the 2th millennium BC. *Kutaisi Discussions VI. Proceedings of the Symposium. 1999. Kutaisi. pp. 113* (on Georgian).

tnut) separate the oldest layer of the Zan language in Samtskhe. This should indicate the early settlement of the Zanian population here.¹¹ It seems that such a trend did not change in the next era either, and the tombs of the 8th-7th centuries B.C. in the Borjomi vally are a proof of this.

As for the economic characteristics of the Borjomi vally in the 8th-7th centuries B.C: the abundance of bronze and iron objects reveals a fairly high level of metallurgy and metalworking. Pottery production was also well developed. The variety and diversity of pottery artifacts indicates a high level of agriculture and cattle-breeding. Unfortunately, the material has not undergone metallographic and palynological studies, otherwise we would have much more information in this regard. It should also be noted that in the Borjomi vally, as well as elsewhere, there is an obvious trend characteristic of the era: the serial production of both metal objects and ceramic vessels and the unification of forms, which must have been caused by the technical innovations introduced in metalworking and pottery. In this period, it is rare to find such refined, highly artistic items as in the early graves of the same cemeteries (bronze disc-shaped pendants, clay vessels decorated with versatile images of animals, etc.).

Bronze disc-shaped pendants and disc-shaped pins, which are from the Borjomi vally cemeteries found in tombs of the 15th -12th centuries B.C., are considered to be items related to the solar cult, and belonged to the sun priestess. The cult of the sun is connected with the so-called «Window» vessels as well.¹² If this is true, such vessels found in the graves No. 23 and No. 25 of Bornighele may indicate that the cult of solar deities was existing in the Borjomi valley in the 8th-7th B.C. centuries as well, but in a different form and with a different cult attribution. The small bronze figures (of a horseman, an ithyphallic male and a swimming bird) found in the tomb No. 32 of Bornighele (**Tab. VI**) may be related to the cult of war and fertility.

Among the cemeteries of the Borjomi Valley dated to the 8th-7th centuries B.C., there were also graves where much more and better inventory was found compared to other tombs. This may perhaps indicate to the proprietary diversity in the society of the period.

¹¹ A. Chikobava, Chanian-Georgian comparative Dictionary. Tbilisi 1938 (on Georgian).

¹² G. Nioradze, The Cemetery of the ~Glass Factory." *Dmanisi, volume V*". Tbilisi, pp. 15-24. (on Russian); S. Makalatia, The Cemetery of Flavismani. Tbilisi. pp. 223-240 (on Georgian).

ბორჯომის ხეობის კულტურული კუთვნილების შესახებ ქრ.წ. VIII-VII საუკუნეებში

ბორჯომის ხეობა ისტორიული სამცხის შემადგენელი ნაწილია. იგი მრავალმხრივ საინტერესო და რთული რეგიონია არქეოლოგიური თვალსაზრისით. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ის მუდამ იყო სხვადასხვა არქეოლოგიურ კულტურათა შეხვედრისა და თანაარსებობის ადგილი.

სტატიაში მოკლედ განხილულია რეგიონის არქეოლოგიური კვლევის მოკლე ისტორია და სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. რველის, ჩითახევის, კვირაცხოვლისა და ბორნიღელის ქ. წ. VIII-VII სს. დათარიღებული სამარხების მასალის მიხედვით ნაჩვენებია, რომ ამ პერიოდის ბორჯომის ხეობა იყო აღმოსავლურქართული („ცენტრალურ-ამიერკავკასიური“, „სამთავრული“) და კოლხური კულტურების შეხვედრისა და თანაარსებობის ზონა.

I



1




2



3







4




5










IV








1



2



3



ქალაქების თვითმმართველობების არჩევნები სამეგრელოში (1919 წ.)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში საქალაქო არჩევნები 1918 წლის 28 დეკემბრიდან 1920 წლის 21 მარტამდე მიმდინარეობდა.

1918 წლის 14 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ქალაქის საბჭოს ხმონანთა არჩევნების დებულება დაამტკიცა. დებულების თანახმად ქალაქის საბჭოს ხმონანები ორი წლის ვადით ირჩეოდნენ. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის ყველა იმ მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა, რომელსაც შესრულებული ჰქონდა 20 წელი. არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდათ „ბერ-მონაზვნებს და იმ პირებს, რომლებიც კანონის მიხედვით აღიარებულნი იყვნენ შეურაცხადად, ყრუ-მუნჯებად, ასევე, სასამართლოს მიერ სასჯელმისჯილ პირებს“ და ა. შ. (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 471: 51-54; **ხვადაგანი, 2021: 249-255**).

საქალაქო არჩევნები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა ქალაქში¹ უნდა ჩატარებულიყო, მათ შორის სამეგრელოში. ამ დროისათვის სამეგრელო 4 ქალაქს აერთიანებდა: ახალსენაკს, ზუგდიდს, ყულევსა და ფოთს.

ქალაქი ახალსენაკი.

1919 წლის 26 იანვარს ქალაქ ახალსენაკში საქალაქო არჩევნები ჩატარდა. არჩევნების შედეგად საქალაქო საბჭოში, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ – 12 ხმოსანი, ხოლო, საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ, საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარეგოლაციო პარტიამ და საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ ერთიანობაში 8 ხმოსნის გაიყვანა შეძლო (რამდენი ხმა მიიღო თითოეულმა პოლიტიკურმა სუბიექტმა, ცნობილი არ არის) (**ეროვნულ-დემოკრატიული, 1919: 2; საქართველოს, 1919: 36; ახალ-სენაკის, 1919: 1-2**).

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა გაზეთ „საქართველოში“, სადაც ეს შედეგი დიდ და ნამდვილ

¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ამ დროისათვის აერთიანებდა სულ 34 ქალაქს, მათ შორის, ყოფილი თბილისის გუბერნიის 14 ქალაქი; ქუთაისის გუბერნიის – 12; სოხუმის ოლქი – 4; სოჭის ოლქი – 3; ზაქათალას ოლქი – 1.

გამარჯვებად იქნა აღქმული, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც მათ წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების, ფედერალისტებისა და ესერების ბლოკი იბრძოდა (**ეროვნულ-დემოკრატიის, 1919: 1**), მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ეს სიხარული ხანგრძლივი არ აღმოჩნდა, რადგანაც აღნიშნული არჩევნების მიმდინარეობისას დაფიქსირდა არაერთი დარღვევა. მათ შორის, სენაკის განაპირა მხარეს მცხოვრებ 1 000-ზე მეტ მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა არ მიეცა; პირადი ბარათები ყველა მოქალაქისათვის არ აღმოჩნდა დამზადებული. ხოლო აღნიშნული ბარათის არმქონე მოქალაქეები საარჩევნო უბნებზე არ დაუშვეს; ამავდროულად ადგილი ჰქონდა კიდევ სხვა არაერთ დარღვევას. შესაბამისად, აღნიშნული არჩევნები ქუთაისის საოლქო სასამართლოში გასაჩივრდა (**ქ. სენაკის, 1919: 2**).

1919 წლის 18 თებერვალს ქუთაისის საოლქო სასამართლომ ზემოხსენებული არჩევნების კანონიერების საკითხი განიხილა და იგი ბათილად გამოაცხადა (**სენაკის, 1919: 2**). ხელახალი არჩევნები იმავე წლის 30 მარტს დაინიშნა.

1919 წლის 30 მარტს ქალაქ ახალსენაკში ჩატარდა ხმოსანთა არჩევნები. საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული 2 250 ამომრჩეველი იყო (**არჩევნების გარშემო, 1919: 3**). არჩევნებში მონაწილეობა 931 ამომრჩეველმა მიიღო. ამომრჩეველთა აქტივობამ 41,37 % შეადგინა.

პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღებული ხმები ასე გადანაწილდა:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 569 ხმა;

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 170 ხმა;

საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 97 ხმა;

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 95 ხმა.

ქალაქ ახალსენაკის საქალაქო საბჭოში 20 ხმოსანი აირჩიეს. მათი რაოდენობა პოლიტიკურ პარტიებს შორის ასე გადანაწილდა:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 12 ხმოსანი;

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 4 ხმოსანი;

საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმოსანი;

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმოსანი (**არჩევნები, 1919: 3; ახალი ამბები, 1919: 3**).

აღნიშნული არჩევნების კანონიერებაც ეჭვქვეშ დადგა. სწორედ ამიტომ, 1919 წლის 1 აპრილს სამსონ იოთომის ძე გამყრელიძემ საჩივარი გააგზავნა ქუთაისის გუბერნიის კომისრის სახელზე, რომელიც ეხებოდა ქალაქ ახალსენაკის არჩევნებს. საჩივრის მიხედვით, 1919 წლის 30 მარტს ახალსენაკის ხმოსანთა არჩევნე-

ბი უკანონო იყო და უნდა გაუქმებულიყო, რადგან:

ა. 1918 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ქალაქის საბჭოების ხმოსანთა არჩევნების დებულების მე-8 მუხლის თანახმად: „სა-არჩევნო სიებს ქალაქის გამგეობა ადგენდა“ (სეა სცა, ფ. 1836, ან. 1, ს. 84: 28-43). აღნიშნული არჩევნებისათვის კი სრულიად უკანონოდ შემდგარმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც „არჩევნებისათვის რუსეთის დამფუძნებელი კრებისთვის შედგენილი საარჩევნო სიით უნდა ეხელმძღვანელოთ“. ეს უკანასკნელი კი ოცისთავისა და ასისთავის მიერ იყო შესწორებული. აღნიშნული შესწორების შემდეგ სრულიად დაირღვა ზემოხსენებული მე-8 მუხლი.

ბ. ზემოხსენებულ კომისიას არ ჰქონდა უფლება, საარჩევნო სიების შედგენაზე რაიმე სახის მსჯელობა ჰქონოდა, რადგანაც ეს მის კომპეტენციაში არ შედიოდა. შესაბამისად, დებულების მე-8 მუხლი დაირღვა.

გ. კომისია იმ პირებისგან უნდა ყოფილიყო შედგენილი, რომელიც საარჩევნო დებულების მე-15 მუხლში იყვნენ აღნიშნულნი. ამ არჩევნებისათვის კი საარჩევნო სიის შესადგენად კომისია „ოცის და ასის თავების“ შემადგენლობით ჩამოყალიბდა. ამის შესახებ საარჩევნო დებულებაში არაფერი იყო ნათქვამი და არც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონებს არ ჰქონდათ მსგავსი რამ დადასტურებული. შესაბამისად, უკანონოდ შემდგარი კომისიის მიერ მიღებული დადგენილება უკანონო იქნებოდა.

დ. საარჩევნო დებულების მე-14 მუხლის ძალით, კანდიდატების სიები უნდა წარედგინათ ქალაქის მოურავთან, არჩევნებამდე არაუგვიანეს 10 დღისა. კანდიდატების რიცხვი არ უნდა ყოფილიყო ხმოსანთა საერთო რიცხვზე მეტი, რომელიც საარჩევნო იყო. ამ არჩევნებისათვის კი ხმოსანთა კანდიდატების სიები გვიან იქნა წარდგენილი. „ერთი სია, სახელდობრ, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არჩევნებამდე 7 დღით ადრე, ხოლო დანარჩენი სამივე პოლიტიკური პარტიის სია არჩევნებამდე 8 დღით ადრე წარადგინეს. რიცხვი ამ კანდიდატების არ უნდა ყოფილიყო 20-ზე მეტი. ზედმეტნი კი – ამოშლილი უნდა ყოფილიყვნენ. რაც არავის არ მოუხდენია“. საარჩევნო სიები არჩევნებამდე 7 დღით ადრე საყოველთაოდ უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ ამ შემთხვევაში არჩევნებისათვის ეს არ ყოფილა შესრულებული, რადგანაც ერთი პოლიტიკური პარტიის საარჩევნო სია მხოლოდ შვიდი დღით ადრე შევიდა. ყოველივე ზემოთ ხსენებული საარჩევნო დებულების მე-14 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა.

ე. თარიღი აღნიშნულ საკანდიდატო სიებზე იყო უკანონო. „სიების მიძღებს არ ჰქონდა აღნიშნული, რომელი სია რომელ საათზე იყო შემოსული. იმავე დროს რამდენიმე სიაზე თარიღი აღნიშნული იყო წითელი მელნით, ნომრები კი – შავი

მელნით. ამიტომ შეუძლებელი იყო მსჯელობა მასზე, თუ რომელი სია იქნა პირველად მიღებული“. ესეც წარმოადგენდა მე-14 მუხლის დარღვევას.

ვ. არჩევნების დღეს საარჩევნო კომისიამ ხმის მიცემის უფლება მისცა ისეთ პიროვნებებს, რომლებიც საარჩევნო სიაში არ იყვნენ შეყვანილნი. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ეხელმძღვანელა ორი სიით. ერთი, შესწორებული ოცის და ასისტაგების მიერ და მეორე – რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის შედგენილი საარჩევნო სიით. ეს კი საარჩევნო დებულების მე-8, 9, 10, 11 და სხვა მუხლების უხეში დარღვევა იყო.

ზ. საარჩევნო დებულების მე-13 მუხლის მოთხოვნით, „არჩევნები უნდა ჩატარებულიყო დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე“. კომისიამ ეს დებულება, როგორც ეს საარჩევნო ოქმიდან ნათლად გამოჩნდა, რამდენჯერმე დაარღვია და არჩევნების მსვლელობა სხვადასხვა მიზეზთა გამო შეწყვიტა. პირველი ასეთი შეწყვეტა 10 საათიდან 11 1/2 საათამდე გაგრძელდა, როგორც ეს ოქმშია აღნიშნული, ხოლო საარჩევნო პროცესის მეორეჯერ შეწყვეტა საერთოდ არ არის ასახული საარჩევნო ოქმში. ამას ემატება ამავე ოქმში აღნიშნული გარემოება, „კომისია ჯერ კიდევ 10 საათზე თავმჯდომარის ამხანაგს ირჩევდა“. დებულების თანახმად კი, თავმჯდომარის არჩევა უნდა მომხდარიყო წინა დღით. ოქმიდან ნათლად გამოჩნდა, რომ საარჩევნო კომისიამ ნახევარ დღეზე მეტი სხდომებს და კამათს მოანდომა, რითაც კომისიამ ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეზღუდა.

თ. არჩევნების მიმდინარეობისას, საარჩევნო ყუთში ამომრჩევლები კონვერტებს თავად ადებდნენ. ეს კი საარჩევნო დებულების მე-20 მუხლის დარღვევას წარმოადგენდა (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 3-20).

1919 წლის 29 აპრილს ქუთაისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა აღნიშნული საჩივარი და ახალსენაკში ჩატარებული არჩევნები გააუქმა (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 26-27; სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 900: 116).

1919 წლის 12 მაისს ახალსენაკის ქალაქის გამგეობამ ახალი არჩევნები 1919 წლის 22 ივლისს, კვირას დანიშნა (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 37).

ახალსენაკის ხმოსანთა არჩევნებში შემდეგმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა მიიღეს მონაწილეობა:

- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია;
- საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 40).

1919 წლის 10 ივნისს ახალსენაკის ქალაქის გამგეობამ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიიდან მიიღო (პარტიის საარჩევნო ნომერი იყო №1). სიაში იყვნენ შემდეგი პირები: *დავითაია ლუკა კონსტანტინეს ძე; ფიჩხაია აკაკი ალექსის ძე; ანჯაფარიძე ანდრო მაქსიმეს ძე; მადნარაძე გიორგი ისიდორეს ძე; მალანაია ისიდორე მათეს ძე; გეგენავა ლავრენტი ტარიელის ძე; ნოდია მიხეილი ზოსიმეს ძე; მელაია სიმონი დავითის ძე; გამსახურდია რაჟდენი გიორგის ძე; კანკავა გრიგორი ბიტუს ძე; ლაბაზუა ვლადიმერ გიორგის ძე; ხოფერია ვლადიმერ დიმიტრის ძე; ქობალავა დათიკო კოსტას ძე; ანჯაფარიძე კოლია აქვსენტის ძე; კლანდარიშვილი ფლორენცია მიხეილის ასეული; კეკელია სამუელ ანტონის ძე; ჭოჭუა გრიგორი ვასილის ძე; შენგელია პავლე; სილოგავა თომა; ქაჯაია გიორგი (სუა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 50).*

1919 წლის 11 ივნისს, დილის 11 საათზე, ქალაქ ახალსენაკის გამგეობამ ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სია საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიიდან მიიღო (პარტიის საარჩევნო ნომერი იყო №2). სიაში იყვნენ: *ჯაკობია გიორგი პავლეს ძე; გეგენავა ნესტორი (შალვა) მურზაყანის ძე; ჩხეტია ალექსანდრე მიხეილის ძე; ფულარია ვეგენი ალექსის ძე; გეგენავა მურზაყანი ვენატეს ძე; ჩხეტია იპოლიტე მიხეილის ძე; მუსერიძე ალექსანდრე ივანეს ძე; ლორთქიფანიძე ალექსანდრე გიორგის ძე; ფრანგიშვილი ივანე მარკოზის ძე; ალავიძე ნიკოლოზი პავლეს ძე (სუა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 51).*

1919 წლის 11 ივნისს, დილის 11 საათზე, ახალსენაკის გამგეობამ, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სია საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიიდან მიიღო (პარტიის საარჩევნო ნომერი იყო №3). სიაში იყვნენ: *ქავთარაძე პეტრე პავლეს ძე²; ხარბედია ბექტორი მიხეილის ძე; კობახიძე აქვსენტი ნიკოლოზის ძე; კიზირია ისაკ დიმიტრის ძე; კოკაია ლიუდოვიკ კოსტას ძე; ცაავა ლევან კოსტას ძე; კუჭავა კოსტა დავითის ძე; ადამია თეოფანე ბეგოს ძე (სუა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 52).*

1919 წლის 11 ივნისს, საღამოს 2 1/2 საათზე, ქალაქ ახალი სენაკის გამგეობამ, ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა სია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან მიიღო (პარტიის საარჩევნო ნომერი იყო № 4). სიაში იყვნენ: *ხოფერია ბესარიონ ლუკას ძე, ღვებუაძე პეტრე მიხეი-*

² პეტრე ქავთარაძე (1889-1966) – ქართველი ნევროპათოლოგი. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი.

ლის ძე, გამზარდა ვიორჯი ვასილის ძე, გეგელაშვილი დავითი პეტრეს ძე, ღვაძი-
ჩავა მიხეილ მაქსიმეს ძე, ძიძიგური გრიგოლ პავლეს ძე, ვერულაშვილი თელქისე-
დეკ, იოსელიანი რაუდენ სამსონის ძე, გვათუა იოსებ ნიკოლოზის ძე, ქაჩიბაია სამ-
სონ ქაიხოსროს ძე, კოკაია კონდრატე ბაგრატიის ძე, კალანდარიშვილი შალვა მა-
თეს ძე, უვანია დავითი დიმიტრის ძე, ჯობავა ლეონტი საბას ძე, კინწურეიშვილი
იასონ ერისტუს ძე, ცხადაია ელიზბარ თადეოზის ძე, დუდუჩავა მურზა ლომიკაის
ძე, მისაბიშვილი მაქსიმე ჯარვას ძე, ცომაია დიმიტრი მიხეილის ძე, სალაყაია თე-
დოტი პავლეს ძე (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 53).

1919 წლის 18 ივნისს, დილის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის მოწვევით გამ-
გეობაში გამოცხადდნენ 22 ივნისს ჩასატარებელი საქალაქო არჩევნების კომისიის
წევრები. კომისიის სხდომა ქალაქის გამგეობაში გაიმართა. სხდომას ესწრებოდ-
ნენ: ქალაქის თავი პოლიკარპე ლორთქიფანიძე, მის მიერ მოწვეული აპოლონ ძი-
გუა და ივლიანე ჯონდის ძე კოკაია, საკანდიდატო სიებზე ხელის მომწერები: ერ-
მილე ალექსის ძე ჭეიშვილი, მოსე გიგოს ძე ქადარია, არტემი ღვაძბერია და ილია
ხაუომია. მოწვეულთაგან ვერა ცომაია არ გამოცხადდა. კომისიის თავმჯდომარის
მოადგილედ არტემ ღვაძბერია აირჩიეს, მდივნად – ილია ხაუომია (სეა სცა, ფ.
1863, ან. 1, ს. 1425: 54).

1919 წლის 22 ივნისს ქალაქ ახალი სენაკის საბჭოს ხმოსანთა საარჩევნო
კომისია შემდეგი შემადგენლობით შეიკრიბა: კომისიის თავმჯდომარე – პოლი-
კარპე ლორთქიფანიძე, არტემი ღვაძბერია, იულონ კოკაია, ერმილე ჭეიშვილი,
აპოლონ ძიგუა, მოსე ქადარია და ილია ხაუომია. 8 სთ და 30 წუთზე კომისიამ სა-
არჩევნო ყუთის სიცარიელე შეამოწმა. საარჩევნო პროცესი მიმდინარეობდა დი-
ლის 9 საათიდან საღამოს 21 საათამდე. საარჩევნო სიის მიხედვით აღნიშნულ სა-
არჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 3 011 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწი-
ლეობა 832 ამომრჩეველმა მიიღო, რაც ამომრჩეველთა 23 ½ % შეადგენდა.³

პოლიტიკურ პარტიებს შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 400 ხმა;

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 80
ხმა;

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 110 ხმა;

³ აღნიშნულ მონაცემში ცთომილებაა, პროცენტული მაჩვენებლის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ქალაქ ახალსენაკის საარჩევნო უბანში, არჩევნებში მონაწილეობა, მოსახლეობის არა 23 %-მა, არამედ 27.6 %-მა მიიღო (832X100:3011=27,63).

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 242 ხმა⁴ (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 55; **პროვინციის ცხოვრება, 1919: 4**).

არჩევნების შედეგად ახალი სენატის საქალაქო საბჭოში აირჩიეს 20 ხმოსანი. ხმოსნების რაოდენობა პოლიტიკურ პარტიებს შორის ასე გადანაწილდა:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 9 ხმოსანი: *ლუკა კონსტანტინეს ძე დავითაია, აკაკი ალექსის ძე ფიჩხაია, ანდრო მაქსიმეს ძე ანჯაფარიძე, ვიორგი ისიდორეს ძე მალნარაძე, ისიდორე მათეს ძე მალანია, ლავრენტი ტარიელის ძე გეგენავა, მიხეილი ზოსიმეს ძე ნოღია, სიმონი დავითის ძე მელია, რაჟდენ ვიორგის ძე გამსახურდია*.

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმოსანი: *ვიორგი პავლეს ძე ჯაკობია და ნესტორი მურზაყანის ძე გეგენავა*.

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 3 ხმოსანი: *პეტრე პავლეს ძე ქავთარაძე, ბიქტორ მიხეილის ძე ხარბედია, აქვსენტი ნიკოლოზის ძე კობახიძე*;

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმოსანი: *ბესარიონ ლუკას ძე ხოფერია, პეტრე მიხეილის ძე დგებუაძე, ვიორგი ვასილის ძე გამზარდია, დავითი პეტრეს ძე გეგელაშვილი, მიხეილ მაქსიმეს ძე ლვამიჩავა, ვრიგორი პავლეს ძე ძიძიგური (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 56; **ახალსენაკი, 1919: 2**).*

ახალსენაკის ქალაქისთვის *პოლიკარპე ლორთქიფანიძე იყო, მოადგილე ლავრენტი გეგენავა (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1425: 58, 63).*

ამდენად, საქართველოს სამართლის ისტორიაში ეს არის ის უნიკალური და პრეცედენტული მოვლენა, როდესაც ჩატარებული არჩევნების შედეგები, არჩევნ-

⁴ განსხვავებული მონაცემი აქვს მოყვანილი ირაკლი ხვადაგანს, ნაშრომში, „ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1917-1921“. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია“, 2021 წ. გვ. 152; ასევე „ახალსენაკი“. ერთობა, 1919, 24 ივნისი, № 138, გვ. 2, რომელთა თანახმად: ქალაქ სენაკის საქალაქო არჩევნებში 835 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა. პოლიტიკურ პარტიებს შორის ხმები ასე გადანაწილდა: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 406 ხმა; საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 80 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 110 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 392. აღნიშნულ მონაცემებში არაერთი უზუსტობაა: როგორც ავტორი აღნიშნავს არჩევნებში მონაწილეობა 835 ამომრჩეველმა მიიღო, ხოლო მის მიერ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად (406+80+110+392=988) მივიღებ 988. შესაბამისად, შეუძლებელია ხმა მიეცა იმაზე მეტ ამომრჩეველს, ვიდრე მონაწილეობა ჰქონდა მიღებული. ასევე არასწორად არის მითითებული საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტატისტიკური მონაცემები. აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ არა 406, არამედ 400 ხმა, ხოლო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ არა 392, არამედ 242 ხმა მიიღო.

ბის მიმდინარეობისას აღმოჩენილი პროცედურული დარღვევების გამო, სასამართლომ ორჯერ გააუქმა. ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებით დანიშნულ იქნა ხელახალი არჩევნები. აღნიშნულ არჩევნებში კი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ დამაჯერებლად გაიმარჯვა.

ქალაქი ფოთი.

1919 წლის 9 თებერვალს ქალაქ ფოთის საქალაქო არჩევნები გაიმართა. ფოთი 5 საარჩევნო უბნად დაიყო.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ ქალაქ ფოთის საბჭოს ხმოსნების კანდიდატებად შემდეგი პირები წარადგინა: *საბახტარაშვილი კონსტანტინე ბეჟანის ძე; ჩიტაია გიორგი სპირიდონის ძე; კორძაია ალექსანდრე ბეგლარის ძე; კილურაძე ლავროსი პავლეს ძე; ხოფერია კონსტანტინე (კრიშა) ალექსანდრეს ძე; ინწკირველი ამბროსი ნესტორის ძე; ნოდია ვანო მარკოზის ძე; ქუთათელაძე პეტრე იორდანეს ძე; ტულუში ლავრენტი მაქსიმეს ძე; პაიჭაძე სოლომონ ვიგოს ძე; მეგრელიძისა ლუდმილა იზმაილის ასული; ქადიეშვილი მარგარიტა ვასილის ასული; სამოსანე (ტექესტში ასე წერია) არისტარხი ივანეს ძე; გოგბერიძე სიმონ კონსტანტინეს ძე; ჯაკობია თომა მანუჩარის ძე; კომახიძე (კობახიძე?) ვანო არსენის ძე; ცხადაია ერმილე თეიმურაზის ძე; სვანიძე აპოლონ ლუარსაბის ძე; მახარაძე ნიკო სიმონის ძე; ჟვანია ნიკოლოზ ერასტოს ძე; ლოლუა გიორგი (ჯოდო) კინტირას ძე; ნადარეიშვილი სიმონ (გუჯუ) ივანეს ძე; ნოდია ივანე (ბანძლი) რომანოზის ძე; ვაშაკიძე ბესარიონ მიხეილის ძე; იმნაძე ვანო გაბრიელის ძე; ჯიბლაძე კოლია გაბრიელის ძე; კოხრეიძე იოსებ ივანეს ძე; ცანავა ალექსანდრე (ალექსი) გაბრიელის ძე; ჯაიანი კირილე ივანეს ძე; დოლიძე გიორგი ზურაბის ძე და შოთაძე ირაკლი გიორგის ძე (საარჩევნო, 1919: 3-4).*

საარჩევნო სიაში რეგისტრირებული იყო 8 144 ამომრჩეველი (საქართველოს, 1919: 3; არჩევნების გარშემო, 1919: 3), არჩევნებში მონაწილეობა 3 959 ამომრჩეველმა მიიღო. ამომრჩეველთა აქტივობამ 48,61% შეადგინა.

პოლიტიკურ პარტიებს შორის მიღებული ხმები ასე გადანაწილდა:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 2 864 ხმა;

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 721 ხმა;

საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 282 ხმა⁵;

⁵ განსხვავებული მონაცემი არის ასახული გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (ფოთი. არჩევნები ფოთში. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, 13 თებერვალი, № 35, გვ. 3), რომლის თანახმადაც: საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიას 281 ხმა აქვს მიღებული. აღნიშნული

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 88 ხმა;

უპარტიოები – 4 ხმა.⁶

ქალაქ ფოთში 31 ხმოსანი აირჩიეს. არჩეული ხმოსნების რაოდენობა პოლიტიკურ პარტიებს შორის ასე გადაანაწილდა:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 22 ხმოსანი;

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმოსანი;

საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 2 ხმოსანი;

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 1 ხმოსანი (**უკანასკნელი, 1919: 2; ფოთის, 1919: 2; ფოთი, 1919: 3; საქართველოს, 1919: 36**).

1919 წლის 4 მარტს ქალაქ ფოთის საბჭოს თავმჯდომარედ სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი *ლავროსი პავლეს ძე კილურაძე* აირჩიეს, მის მოადგილედ ასევე სოციალ-დემოკრატი – *არისტარხ სამსონაძე*, ხოლო მდივნად უპარტიოთა წარმომადგენელი – *სოლომონ პორფირის ძე ოსიძე*. ქალაქისთავად აირჩიეს *ალექსანდრე ბეგლარის ძე კორძაია*, ხოლო, გამგეობის წევრებად – *გიორგი სპირიდონის ძე ჩიტაია* (იგი ამავდროულად ქალაქისთავის მოადგილის თანამდებობას იკავებდა), *ამბროსი ნესტორის ძე ინწკირველი* და *პეტრე იორდანის ძე ქუთათელაძე*. ოთხივე ზემოთ ხსენებული პიროვნება იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენელი (**სეა სცა**, ფ. 1863, ან. 1, ს. 900: 102-108; **სეა სცა**, ფ. 1863, ან. 1, ს. 1080: 6; **სეა სცა**, ფ. 1863, ან. 1, ს. 1411: 12, 26, 34, 43, 50, 55 63, 112; **ახალი ამბები, 1919: 3; ზვადაგანი, 2021: 145; ზორავა, 2021: 187**).

ამდენად, ქალაქ ფოთის თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა საარჩევნო დებულების სრული დაცვით. საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას არანაირ კანონდარღვევას, რომელსაც შეეძლო რაიმე სახის ზეგავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგზე, ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება არჩევნების შედეგებს, იგი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გამარჯვებით დასრულდა. შესა-

საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ფოთის საქალაქო არჩევნებში საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიამ არა 281, არამედ 282 ხმა მიიღო.

⁶ განსხვავებული მონაცემი აქვს მოყვანილი ირაკლი ზვადაგიანის ნაშრომში - ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1917-1921. თბ., გამომცემლობა „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია“, 2021 წ. გვ. 145, რომლის თანახმადაც: ქალაქ ფოთში უპარტიოებს 41 ხმა აქვთ მიღებული. აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ უპარტიოებმა ქალაქ ფოთში 4 ხმა მიიღეს და არა 41, როგორც ეს ზემოთ ხსენებულ ნაშრომშია აღნიშნული.

ბამისად, არჩეული ხმოსნების უმრავლესობას სწორედ აღნიშნული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები შეადგენდნენ.

ქალაქი ზუგდიდი

1919 წლის 9 თებერვალს ქალაქ ზუგდიდის საქალაქო არჩევნები უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ საბჭოს აღნიშნული დადგენილება გაუქმდა და არჩევნები დაფუძნებული კრების არჩევნების შემდეგ, იმავე წლის 16 მარტამდე გადაიდო (**ზუგდიდის, 1919: 2**).

1919 წლის 16 მარტს ზემოთ ხსენებული არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში ექვსმა პოლიტიკურმა სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა:

- №1 – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია;
- №2 – საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;
- №3 – საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია;
- №4 – უპარტიოთა ჯგუფი;
- №5 – საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია;
- №6 – ზუგდიდის მოსახლე უპარტიოთა კავშირი.

ზუგდიდში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 3 234 ამომრჩეველი.⁷ მათგან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1 293 ამომრჩეველმა. ამომრჩეველთა აქტივობამ კი 39,98 % შეადგინა (**ხვადაგიანი, 2021: 148**).

- მიღებული ხმები პოლიტიკურ პარტიებს შორის ასე გადანაწილდა:
- საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 391 ხმა;
- საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 432 ხმა;
- საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 310;
- საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 109 ხმა;
- ზუგდიდის მოსახლე უპარტიოთა კავშირი – 51.

ზუგდიდის საქალაქო საბჭოში 20 ხმოსანი აირჩიეს. მათი რიცხვი პოლიტიკურ პარტიებს შორის ასე გადანაწილდა:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 6 ხმოსანი: *ლეო მიხეილის ძე შენგელაია (ლეო ქიაჩელი); გიორგი ნესტორის ძე ჭვიადა; იასონ ნიკიფორეს ძე მუჯირი, ბაგრატ ივანეს ძე ჩილაჩავა; ანტონ (მამია) მაქსიძეს ძე ანკაფარიძე და მაქსიმე კონსტანტინეს ძე კეიკუა.*

⁷ განსხვავებული მონაცემია ასახული პუბლიკაციაში - საქართველოს პარლამენტის უკანასკნელი კრება. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, 2 თებერვალი, № 23, გვ. 3. რომლის მიხედვით ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო სიაში რეგისტრირებული იყო 3 553 ამომრჩეველი.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 6 ხმოსანი: *ილია ილიას ძე დადიანი; იონა მიხეილის ძე მუნარგია; ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე დარასელაია; გრიგოლ მიხეილის ძე შელია; ვლადიმერ კონსტანტინეს ძე წულუკისძი და ეგნატე მახარაია ძე ნადარაია.*

საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია – 5 ხმოსანი: *კალისტრატე ასლანგერის ძე კობახიძე; სოკრატ ივანეს ძე კეშელავა; მელქისედექ ისიდორეს ძე კობახიძე; ნიკოლოზ საბას ძე ბუკია და ანდრია ბესარიონის ძე დგებუაძე.*

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია – 2 ხმოსანი: *მიხეილ ივანეს ძე ბერულავა და ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე ბერიძე.*

ზუგდიდის მოსახლე უპარტიოთა კავშირი – 1 ხმოსანი: *ტროფიმე გიორგის ძე ჯოხთაბერიძე (ზუგდიდის, 1919: 2-3).*

ქალაქ ზუგდიდის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს *გიორგი ჭვია (სეა სეა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1426: 16-19).*

აღნიშნულ არჩევნებში, სხვა არჩევნებისაგან განსხვავებით, ყველაზე მეტმა პოლიტიკურმა სუბიექტმა მიიღო მონაწილეობა. საარჩევნო პროცესი დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით წარიმართა. რაიმე სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებას პოლიტიკური პარტიების მხრიდან ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება არჩევნების შედეგებს, ამ შემთხვევაში შედეგები გამორჩეული და საინტერესო იმით არის, რომ გამარჯვების მოპოვება მმართველმა პარტიამ ვერ შეძლო. არჩევნებში ოპოზიციამ, კონკრეტულად კი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ გაიმარჯვა. მაგრამ ხმები ისე გადანაწილდა, რომ გამარჯვებულმა და მეორე ადგილზე გასულმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიამ ერთი და იმავე რაოდენობის (ექვს-ექვსი) ხმოსნის გაყვანა შეძლო.

ქალაქი ყულევი.

1919 წლის 8-10 ივნისს ქალაქ ყულევში (რედუტ-კალე) საქალაქო არჩევნები ჩატარდა. 8 ივნისს, 9 საათსა და 24 წუთზე საარჩევნო კომისიამ რედუტ-კალის ქალაქის თვითმმართველობის ხმოსნების არჩევნები გახსნილად გამოაცხადა. საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი: თავმჯდომარე – *ივანე სოლომონის ძე ნანეიშვილი*, მდივანი – *იოსებ შარვანის ძე შონია*; წევრები: *კირილე სპირიდონის ძე კვინჩია, ამბაკო ივანეს ძე მალანია, ვლადიმერ პეტრეს ძე აფაქიძე და თეოფანე გიტოს ძე გვასალია*. მთელი დღის განმავლობაში საარჩევნო პროცესი დარღვევების გარეშე მიმდინარეობდა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ 22 საათსა და 22 წუთზე საარჩევნო პროცესი შეჩერებულად გა-

მოაცხადა, რის შემდეგაც საარჩევნო ყუთი დალუქეს. 9 ივნისს, 9 საათსა და 10 წუთზე საარჩევნო კომისიამ საარჩევნო პროცესი კვლავ განაახლა, რომელიც 18 საათსა და 15 წუთზე შეწყდა. 10 ივნისს 9 საათსა და 5 წუთზე საარჩევნო პროცესი კვლავ განაახლდა და მთელი დღე წარმოებდა.

აღნიშნული არჩევნების მიმდინარეობისას დაცული იყო ყველა მუხლი „ქალაქთა და საბჭოების ხმოსანთა არჩევნების დებულებისა“, რომელიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1918 წლის 21 დეკემბრის №23-ში.

საარჩევნო სიის მიხედვით ქალაქ ყულევში რეგისტრირებული იყო 392 ამომრჩეველი. საარჩევნო ყუთის გახსნის შედეგად დადგინდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა 253 ამომრჩეველმა მიიღო. ამომრჩეველთა აქტივობამ 64,54% შეადგინა.

ყულევის საქალაქო საბჭოში 20 ხმოსანი აირჩიეს. მათი რიცხვი პოლიტიკურ პარტიებს შორის ასე გადანაწილდა:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია – 15 ხმოსანი;

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია – 5 ხმოსანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ ყულევში ჩატარებული არჩევნები განსხვავებული იყო იმ თვალსაზრისით, რომ აქ ამომრჩეველები ხმას აძლევდნენ არა პოლიტიკურ პარტიებს, არამედ ხმოსნებს და ამისთვის თეთრ და შავ ბარათებს (კენჭებს) იყენებდნენ.

შესაბამისად, რედუტ-კალის ქალაქის ხმოსნების შედეგები ასე გადანაწილდა:

საბახტარაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე, თეთრი ბარათი – 252, შავი ბარათი – 1;

ბუკია ბარნაბა კონსტანტინეს ძე, თეთრი ბარათი – 251, შავი ბარათი – 2;

ალექსანდრია კონსტანტინე მაჯის ძე, თეთრი ბარათი – 251, შავი ბარათი – 2;

სამურკასოვი იოსებ ივანეს ძე, თეთრი ბარათი – 246, შავი ბარათი – 7;

ნადარაია პეტრე ივანეს ძე, თეთრი ბარათი – 249, შავი ბარათი – 4;

შონია იოსები შარვანის ძე, თეთრი ბარათი – 251, შავი ბარათი – 2;

შონია ვლადიმერი შარვანის ძე, თეთრი ბარათი – 251, შავი ბარათი – 2;

კვინჩია ექვთიმე სპირიდონის ძე, თეთრი ბარათი – 250, შავი ბარათი – 3;

მალანია სუმო გვანის ძე, თეთრი ბარათი – 245, შავი ბარათი – 8;

ცომია პლატონ გაიოზის ძე, თეთრი ბარათი – 242, შავი ბარათი – 11;

ბერაია იოსები კონსტანტინეს ძე, თეთრი ბარათი – 246, შავი ბარათი – 7;

მანია გაბრიელი ივანეს ძე, თეთრი ბარათი – 247, შავი ბარათი – 6;

ბუკია მუხრანი ტაგუს ძე, თეთრი ბარათი – 247, შავი ბარათი – 6;

ვეკუა ივლონ ხახუს ძე, თეთრი ბარათი – 246, შავი ბარათი – 7;
სიჭინავა ესტატე ბეჩუნის ძე, თეთრი ბარათი – 245, შავი ბარათი – 8;
ჭითანავა მარკოზი თამუას ძე, თეთრი ბარათი – 243, შავი ბარათი – 10;
ჯალალონია სუჟო დავითის ძე, თეთრი ბარათი – 243, შავი ბარათი – 10;
ალექსანდრია ნესტორი ბახვას ძე, თეთრი ბარათი – 247, შავი ბარათი – 6;
ალექსანდრია თემრაზი (ტექსტში ასეა – ბ. ლ.) ბახვას ძე, თეთრი ბარათი – 248, შავი ბარათი – 5;

სიჭინავა ალექსი დავითის ძე, თეთრი ბარათი – 245, შავი ბარათი – 8;
გარუჩავა ანტონი იაგორას ძე, თეთრი ბარათი – 251, შავი ბარათი – 2.

ქალაქისთავად მიხეილ ალექსანდრეს ძე საბახტარაშვილი აირჩიეს (**სეა სცა**, ფ. 1863, ან. 1, ს. 900: 135-136; **სეა სცა**, ფ. 1863, ან. 1, ს. 946: 78; **სეა სცა**, ფ. 1863, ან. 1, ს. 1426: 21; **ხვადავიანი, 2021: 151; ხორავა, 2021: 187**).

ამდენად, ქალაქ ყულევში ჩატარებული არჩევნები სრულიად განსხვავდებოდა სხვა ყველა არჩევნებისაგან. სხვა არჩევნებში თუ მოსახლეობა ხმას აძლევდა პოლიტიკურ პარტიებს და ხმოსნები პარტიების მიერ მიღებული ხმების შესაბამისად აირჩეოდნენ, ამ შემთხვევაში წარდგენილი იყვნენ უშუალოდ ხმოსნები, ამომრჩევლებს ჰქონდათ თეთრი და შავი ბარათები (თეთრი თანხმობის ნიშანი იყო, შავი უარყოფის) რომლითაც გამოხატავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას ამა თუ იმ კანდიდატის მიმართ. უშუალოდ საარჩევნო პროცესმა, დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით, ყოველგვარი დარღვევების გარეშე ჩაიარა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა: საარქივო მასალები

1. **სეა სცა** - საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1836, ან. 1, ს. 84.
2. **სეა სცა** - საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1863, ან. 1, ს. 471.
3. **სეა სცა** - საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1863, ან. 1, ს. 900.
4. **სეა სცა** - საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1863, ან. 1, ს. 946.
5. **სეა სცა** - საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1863, ან. 1, ს. 1080.

6. **სეა სცა** - საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1863, ან. 1, ს. 1411.
7. **სეა სცა** - საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1863, ან. 1, ს. 1425.
8. **სეა სცა** - საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1863, ან. 1, ს. 1426.

სამეცნიერო ლიტერატურა

1. **ხვადაგიანი 2021** – ირაკლი ხვადაგიანი. ქალაქი. საქალაქო თვითმმართველობის რეფორმა და მუნიციპალური პოლიტიკა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1917-1921. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, 2021.
2. **ხორავა 2021** – ბეჟან ხორავა. სამეგრელოს სოფელი 1918-1921 წლებში. წგნ.: – დავით ჭითანავა, ბეჟან ხორავა, ქეთევან ციმიჩტია, იოსებ შენგელია. სამეგრელოს სოფელი ძველად და ახლა. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2021.

პერიოდიკა

1. **ახალ-სენაკის** – ახალ-სენაკის ქალაქის არჩევნები. 1919 – „სოციალ-დემოკრატი“: სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. გამომცემელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტი. №73, 2 აპრილი, 1919.
2. **ეროვნულ-დემოკრატიის** – ეროვნულ-დემოკრატიის გამარჯვება საქალაქო არჩევნებში. 1919 – „საქართველო“: ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების. №22, 30 იანვარი, 1919.
3. **საარჩევნო** – საარჩევნო სამზადისი ფოთში. სია. 1919 – „ერთობა“. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. 1918 წლის 26 ნოემბრიდან იწოდებოდა, როგორც „ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა“. №24, 31 იანვარი, 1919.
4. **ქ. სენაკის** – ქ. სენაკის საქალაქო არჩევნები. 1919 – „ერთობა“. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. №28, 5 თებერვალი, 1919.
5. **უკანასკნელი** – უკანასკნელი ცნობები. ფოთი. 1919 – „ერთობა“. №35, 13 თებერვალი, 1919.

6. **ზუგდიდის** – ზუგდიდის საქალაქო არჩევნები. 1919 – „ერთობა“. №37, 15 თებერვალი, 1919.
7. **სენაკის** – სენაკის თვითმმართველობის ხმოსანთა არჩევნები. 1919 – „ერთობა“. №46, 27 თებერვალი, 1919.
8. **ახალი ამბები** – ახალი ამბები. 1919 – „ერთობა“. №73, 1 აპრილი, 1919.
9. **საქართველოს** – საქართველოს რესპუბლიკის ქალაქების არჩევნების შედეგები. 1919 – „კავკასიის ქალაქი“. იყო ორკვირეული გამოცემა, რომელიც მიმოიხილავდა მუნიციპალურ საკითხებს. გამოდიოდა 1918-1919 წლებში. შეიქმნა როგორც რუსეთის ქალაქთა კავკასიის სამხარეო ორგანიზაციის ჟურნალი, შემდეგ გადაკეთდა საქართველოს ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანოდ. № 2, 1 თებერვალი, 1919.
10. **ეროვნულ-დემოკრატიული** – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვება სენაკში. 1919 – „საქართველო“. ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა. №22, 30 იანვარი, 1919.
11. **ფოთის** – ფოთის ქალაქის არჩევნების შედეგი. 1919 – „საქართველო“. ქართული პოლიტიკური, ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების. №34, 13 თებერვალი, 1919.
12. **არჩევნების გარშემო** – არჩევნების გარშემო. ამომრჩეველთა რიცხვი საქართველოში. 1919 – „საქართველოს რესპუბლიკა“. თავდაპირველად გაზეთი გამოდიოდა 1918 წლის 25 ივლისიდან 1921 წლის 23 თებერვლამდე და წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მოამბეს. 1920 წლის 6 დეკემბრიდან გაზეთმა აღადგინა ფუნქციონირება და წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოს. №32, 9 თებერვალი, 1919.
13. **არჩევნები** – არჩევნები სენაკში. 1919 – „საქართველოს რესპუბლიკა“. №74, 2 აპრილი, 1919.
14. **საქართველოს** – საქართველოს პარლამენტის უკანასკნელი სხდომა. 1919 – „საქართველოს რესპუბლიკა“. № 26, 2 თებერვალი, 1919.
15. **არჩევნების გარშემო** – არჩევნების გარშემო. ამომრჩეველთა რიცხვი საქართველოში. 1919 – „საქართველოს რესპუბლიკა“. თავდაპირველად გაზეთი გამოდიოდა 1918 წლის 25 ივლისიდან 1921 წლის 23 თებერვლამდე და წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის მოამბეს. 1920 წლის 6 დეკემბრიდან გაზეთმა აღადგინა ფუნქციონირება და წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანოს. №32, 9 თებერვალი, 1919.

16. **ფოთი** – ფოთი. არჩევნები ფოთში. 1919 – „*საქართველოს რესპუბლიკა*“. № 35, 13 თებერვალი, 1919.
17. **ახალი ამბები** – ახალი ამბები. ფოთის ქალაქის საბჭო. 1919 – „*სოციალ-დემოკრატი*“. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. გამომცემელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტი. №51, 6 მარტი, 1919.
18. **ზუგდიდის** – ზუგდიდის ქალაქის საბჭოს არჩევნები. 1919 – „*საქართველოს რესპუბლიკა*“. № 66, 23 მარტი, 1919.
19. **პროვინციის ცხოვრება** – პროვინციის ცხოვრება. ქ. ახალსენაკი. 1919 – „*სოციალ-დემოკრატი*“. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. გამომცემელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტი. №9, 7 ივლისი, 1919.

კერძო საკუთრების კონფისკაცია სამეგრელოში
(1919-1920 წწ.)

1919 წლის 11 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების თანახმად მთავრობას ეძლეოდა უფლება რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე იძულებით ჩამოერთვა კერძო მესაკუთრებისთვის უძრავი ქონება. ცენტრალურმა მთავრობამ ადგილობრივ დონეზე ქალაქთა და ერობათა თვითმმართველობებს აღნიშნულით სარგებლობის უფლება მისცა. მათი გადაწყვეტილება კი შეთანხმებული და სანქცირებული უნდა ყოფილიყო ცენტრალური ხელისუფლებისგან (სეა სცა, ფ. 1833, ან. 1, ს. 15: 4-5).

1919 წლის 9-11 დეკემბერს გაიმართა სენაკის მაზრის გამგეობის სხდომა, რომელსაც ვიორჯი მალნარაძე თავმჯდომარეობდა. სხდომას ესწრებოდნენ: ლავრენტი გეგენავა, ვალიკო მონიავა, იპოლიტე ჩხეტია, ბესარიონ დუნდუა, გრიგოლ თოფურაძე, ლუარსაბ მიქაძე, ალექსანდრე კორძია, ლევან დარციმელია, ილია პლოხოროეს ძე ხაყოშია, კოსტა პირტახია, ისიდორე ადამია, ან. კიზირია, ვიორჯი მალნარაძე, ევგენი ფულარია, ევროპი როგავა, პ. ქობალავა, ისდორე პერტია, ლუკა დავითაია, ვლადიმერ ხოფურია, ბარნაბა პავლეს ძე ძველიაია, ალექსანდრე ცანავა, გრიგოლ ცეკვაშვილი, ვიორჯი ლავრენტის ძე ბოკერია, ვლადიმერ დემურია, აკაკი ფიჩხია, ვ. გადილია, ბიქტორ ხარბელია და ისიდორე მალანია.

სხდომის განსახილველ საკითხს ქონების (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთი) იძულებითი ჩამორთმევა წარმოადგენდა. მოხსენება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამგეობის თავმჯდომარემ ისიდორე მალანიამ გააკეთა, რომელმაც აღნიშნა, რომ სამაზრო ერობას სხვადასხვა განყოფილებისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების მოსათავსებლად შენობები და ადგილები ესაჭიროებოდა. თავის მხრივ, სენაკის ერობას მათ დასაქირავებლად ეკონომიკური რესურსი არ გააჩნდა. ამიტომ იძულებული იყო კერძო მესაკუთრებისთვის უძრავი ქონება ჩამოერთვა.

სენაკის ერობის მიერ კონკრეტული პირებისთვის ჩამორთმეული ქონება გამოიყენებოდა შემდეგი დანიშნულებისთვის: ამბულატორიისა და სამაზრო აფთიქის მოსაწყობად, ჩამორთმეული მიწის ფართობზე სახალხო სახლის, აბანოსა და სამაზრო საავადმყოფოს ასაშენებლად, სამაზრო მილიციის სამმართველოსა და მისი რეზერვის მოსათავსებლად და სხვ.

აღნიშნულ სხდომაზე სენაკის ერობის გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვე-

ტილებიშ შესაბამისად ქონება ჩამოერთვათ შემდეგ პირებს:

1. *მაკარ ვასკოვსკის – 502 საყენი მიწის ფართობი¹, ერთსართულიანი სახლი. აღნიშნული ტერიტორია მოიცავდა შემდეგ საზღვრებს: აღმოსავლეთით აკაკის ქუჩა, დასავლეთით გიორგი მალნარაძისა და პავლე გრივოლაიას მიწის ფართობი, ჩრდილოეთით – სახელმწიფო ხაზინის შენობა და სამხრეთით – ალექსი ჭანტურაიასა და გრივოლ ბენდელიანის მიწის ფართობი.* ქონება 36 000 მანეთად იყო შეფასებული. ამ სახლში ერობას უნდა განეთავსებინა ამბულატორია და სამაზრო აფთიაქი.

2. *ალექსანდრე ბესარიონის ძე მხეიძეს, კუთვნილი 250 საყენი მიწის ფართობი, ხუთოთახიანი ქვის დუქნით.* ქონება 20 000 მანეთად იყო შეფასებული.

3. *გიორგი ქავთარაძეს, 100 საყენი მიწის ფართობი.* ქონება 150 მანეთად იყო შეფასებული.

4. *ივანე ზესაშვილს და ბესარიონ კოკაიას, 100 საყენი მიწის ფართობი.* ქონება 150 მანეთად იყო შეფასებული.

5. *პეტრე დგებუაძეს, 36 საყენი მიწის ფართობი, რომელზეც ერთოთახიანი დუქანი იყო განთავსებული.* ქონება 20 000 მანეთად იყო შეფასებული.

ზემოთ ჩამოთვლილი პირებისთვის (გარდა მაკარ ვასკოვსკისა) ჩამორთმეულ მიწის ფართობზე ერობას სასახლო სახლი უნდა აეშენებინა.

6. *გიორგი ჩიჩუას, 700 საყენი მიწის ფართობი.* აღნიშნული ტერიტორია მოიცავდა შემდეგ საზღვრებს: აღმოსავლეთით – გიმნაზიის ქუჩა, დასავლეთით – ივანე გაბუჩიას მიწის ფართობი, ჩრდილოეთით – გიორგი გამზარდიას მიწის ფართობი და სამხრეთით – ლელე. ქონება 100 მანეთად იყო შეფასებული.

აღმოჩნდა, რომ გიორგი ჩიჩუასთვის ჩამორთმეული მამული სინამდვილეში ივლიტა ჩიჩუას საკუთრებას წარმოადგენდა, რისი დამადასტურებელი საბუთიც მან წარადგინა კიდევ.

7. *გიორგი ცაავას კუთვნილი 350 საყენი მიწის ფართობი, რომელზეც ორსართულიანი ხუთოთახიანი სახლი და სხვა საოჯახო შენობა-ნაგებობები იყო განთავსებული.* აღნიშნული ტერიტორია მოიცავდა შემდეგ საზღვრებს: აღმოსავლეთით – გიმნაზიის ქუჩა, დასავლეთით – ნიკო დგებუაძის მიწის ფართობი, ჩრდილოეთით – მიხეილ დემურაის მიწის ფართობი და სამხრეთით – ჭავჭავაძის ქუჩა.

¹ საყენი - ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული. 1835 წლის ბრძანებულებით საყენი განისაზღვრა 7 ინგლისური ფუტით ან 84 დიუმიტით. ეს უდრიდა 3 არშინს ან 48 ვერშოკს (213, 36 სმ). საყენისაგან წარმოებულია კვადრატული საყენი (უდრიდა 9 კვადრატულ არშინს) და კუბური საყენი (უდრიდა 27 კუბურ არშინს).

ქონება 15 000 მანეთად იყო შეფასებული.

აღმოჩნდა, რომ გიორგი ცაავასთვის ჩამორთმეული ქონება ეკუთვნოდა ექიმ კონსტანტინე ადამიას. მან წარმოადგინა სათანადო ცნობა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ აღნიშნული ქონება მან 5 დეკემბერს აუქციონზე 100 000 მანეთად შეიძინა.

ერობას ზემოთ ხსენებული შენობა სამაზრო მილიციის სამმართველოსა და მისი რეზერვის განსათავსებლად ესაჭიროებოდა.

8. *სოლომონ სვანიძეს, 1 050 საუენი მიწის ფართობი, მასზე განთავსებული ოთხოთახიანი ქვის შენობითა და პარკის საშრობით.* აღნიშნული ტერიტორია მოიცავდა შემდეგ საზღვრებს: *აღმოსავლეთით – ევნატე ხუნწარიასა და მურზა კოლოშვილის მამულები, დასავლეთით – პეტრე დგებუაძისა და მიხეილ ფაჩულიას მამულები, ჩრდილოეთით – ზუგდიდი-ორპირის ქუჩა და სამხრეთით – ალექსანდრე ფარულავას მამული.* ქონება 24 000 მანეთად იყო შეფასებული.

ერობას ზემოთ ხსენებულ ტერიტორიაზე სასურსათო საწყობის მოწყობა სურდა.

9. *დავით და ერასტი მხეიძეებს, 10 190 საუენი მიწის ფართობი, რომელზეც განთავსებული იყო თორმეტოთახიანი, თუნუქით გადახურული ქვის შენობა, ორი ქვის ფრილერი – ნ-ოთახიანი, აგურით აშენებული სამზარეულო და ორი სასიძინდე.* აღნიშნული ტერიტორია მოიცავდა შემდეგ საზღვრებს: *აღმოსავლეთით – დავით აღმაშენებლის ქუჩა, დასავლეთით – ლელე, ჩრდილოეთით – შოთა რუსთაველის ქუჩა და სამხრეთით რკინიგზის ლიანდაგი.* ქონება 10 000 მანეთად იყო შეფასებული.

ერობას აღნიშნულ ტერიტორიაზე საოსტატო სემინარიის მოწყობა უნდოდა.

10. *გიორგი ცაავას, 1 841 საუენი მიწის ფართობი.* ქონება 500 მანეთად იყო შეფასებული.

11. *ბესარიონ კოკაიასა და ივანე ზესაშვილის ორ-ორი ქცევა მიწის ფართობი².* ქონება 300 მანეთად იყო შეფასებული (**იხ. დანართი № 1**) (**სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 610: 14, 68-69**).

ზემოთ ხსენებულმა თითოეულმა მოქალაქემ, რომელთა ქონების კონფისკაციის გადაწყვეტილება სენაკის სამაზრო ერობის გამგეობამ მიიღო, სათანადო თხოვნის წერილით მიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესა და შინაგან საქმეთა მინისტრს. წერილში ისინი ითხოვ-

² ქცევა - მიწის ფართობის საზომი ერთეული დასავლეთ საქართველოში. იგი უდრიდა დაახლოებით 3 600 კვადრატულ მეტრს.

დნენ, არ ჩამორთმეოდათ კუთვნილი ქონება (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 610: 1-6, 9-13).

1920 წლის დასაწყისში სენაკის მაზრის ერობის გამგეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის ტერიტორიაზე არსებული ქონების კონფისკაციის შესახებ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა განიხილა. შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგი შინაარსის განკარგულება გამოსცა: „დაკმაყოფილებულ იქნეს სენაკის სამაზრო ერობის გამგეობის შუამდგომლობა და მოხსენებაში აღნიშნული უძრავი ქონება გარდა ვიორგი ჩიჩუასი, რომელიც ეკუთვნის სხვას, ვიორგი ქავთარაძეს და სოლომონ სვანიძის, რომელთა უწყებები არ წარმოუდგენიათ სენაკის ერობის გამგეობას და ვიორგი ცაავას, რომელიც შეუძენია კონსტანტინე ადამიას, იძულებით ჩამორთმეულ იქნეს სენაკის სამაზრო ერობის საკუთრებად“ (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 610: 62-63).

1920 წლის 27 თებერვალს გაიმართა ზუგდიდის სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა. აღნიშნულ ყრილობაზე მოხსენებით გამგეობის თავმჯდომარე ლეო შენგელაია გამოვიდა. მოხსენება ეხებოდა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მინგრელსკის და პრინცესა ანტუანეტა მიურატის ქ. ზუგდიდში მდებარე ქონების ჩამორთმევას.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მინგრელსკის მამული შეადგენდა: *58 დესეტინა მიწის ფართობს, რომელზეც განთავსებული იყო პარკი-ბაღი, ორი ორ-ორ სართულიანი ქვის სასახლე, ერთი ეკლესია და ერთი ხის სასიძინდე. ნიკოლოზ მინგრელსკის კუთვნილი აღნიშნული ქონების საზღვრები იყო: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით – სოხუმის გზატკეცილი, დასავლეთით – მდინარე ჩხოუში, სამხრეთით – მოქალაქე ლევანი ჩიჩუას მამული და პრინცესა მიურატის მამული და ქალაქის გზა. ქონება 100 000 მანეთად იყო შეფასებული.*

პრინცესა ანტუანეტა მიურატისთვის (ბებე) ჩამორთმეული მამული შეადგენდა *5 1/2 დესეტინა მიწის ფართობს, მასზე აღმართული ორი სახლით, რომელშიც მოთავსდა სამაზრო ერობის საავადმყოფო და ლაბორატორია (შენობაში ადრე განთავსებული იყო ციხე). ანტუანეტა მიურატისთვის ჩამორთმეული ქონების საზღვრები ასეთი იყო: ჩრდილოეთით და დასავლეთით მინგრელსკის მამულები, სამხრეთით ქალაქის გზა და აღმოსავლეთით – სოხუმის გზატკეცილი, მალხაზი და რასელიას და ალექსი ბერიძის მამულები. ქონება 16 000 მანეთად იყო შეფასებული (იხ. დანართი № 2).*

მინგრელსკის უძრავი ქონება ერობას კანცელარიის, სკოლისა და მუხუჟმის მოსათავსებლად, ეზო კი საცდელი მინდვრების მოსაწყობად ესაჭიროებოდა. პრინცესა მიურატის მამული ერობას საავადმყოფოსა და გადაძღვნილ სენით ავადმყოფთა სამკურნალოდ უნდა გამოეყენებინა (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1085: 19,

50-51, 55-56; სეა სცა, ფ. 1863, აბ. 1, ს. 610: 52).

1920 წლის 27 აპრილს გაიმართა ქ. ზუგდიდის საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: გიორგი ჭედია, ილია დადიანი, ანტონ ანჯაფარიძე, ლეო შენგელაია, სარდიონ ნიკოლოზის ძე მალლაკელიძე, გრივოლ შელია, მაქსიმე ვეკუა, მელქისედექ კობახიძე, იასონ მუჯირი, ბავრატ ჩილაჩავა, კალისტრატე კობახიძე, ნიკოლოზ ბუკია, ნიკო გვეგელია, სოკრატ კეშილავა, ნიკოლოზ დარასელია, ვლადიმერ წულუისკირი, ეგნატე ნადარაია, ნესტორი ალახია, პავლე შენგელაია (ჯიქია, 2015: 43), პეტრე უვანია, ანდრია დგებუაძე. აღნიშნულ სხდომაზე გიორგი ჭედიამ გააკეთა განცხადება, რომ შემოსული იყო 9 ხმოსნის განცხადება, რომლებიც მინგრელსკისა და პრინცესა მიურატის ქონების კონფისკაციას ერობის სასარგებლოდ ეწინააღმდეგებოდნენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მწვავე დაპირისპირება გაიმართა ერობის გამგეობისა და ქალაქის საბჭოს წარმომადგენლებს შორის. ლეო შენგელაიამ განაცხადა, რომ ზუგდიდის სამაზრო ერობას განზრახული ჰქონდა მინგრელსკის მამულში გაეკეთებინა საცდელი საჩვენებელი მინდორი სანერგით. იქვე უნდა გახსნილიყო საშუალო სამეურნეო სასწავლებელი, ხოლო მინგრელსკის პარკი კი უნდა აღედგინათ, რაც ქალაქს დაამშვენებდა. ხალხს ერთადერთი ისტორიული განძი გააჩნდა მთავრის სასახლეებში, რომლის ბაზაზეც მუზეუმი უნდა მოწყობილიყო. სამაზრო ერობას კი მუზეუმის მოსაწყობად შესაფერისი მხოლოდ ეს შენობები გააჩნდა. ასევე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ამ დროისათვის ზუგდიდის სამაზრო ერობის აპარატი მინგრელსკის ერთ-ერთ სასახლეში იყო განთავსებული და ის იქ უნდა დარჩენილიყო.

რაც შეეხება პრინცესა მიურატის ერთ-ერთ სასახლეს, სადაც იმხანად საავადმყოფო ფუნქციონირებდა, ლეო შენგელაიას აზრით, ის უნდა მომსახურებოდა როგორც ქალაქის მოსახლეობას, ასევე მაზრის მოსახლეობასაც. პრინცესა მიურატის ერთ-ერთი სასახლე ერობამ გადააკეთა და იქ გადაამდებ სნეულებათა ავადმყოფებს მკურნალობდნენ.

ხმოსანმა ნიკოლოზ ბუკიამ განაცხადა, რომ მინგრელსკის ბევრი მამული ჩამოერთვა, რომელიც გლეხობას გაუნაწილდა, შესაბამისად, მინგრელსკის ქალაქში არსებული ქონება ქალაქის საბჭოს საკუთრებაში უნდა გადასულიყო. ქ. ზუგდიდის საბჭოს განკარგულებაში არ იყო თავისუფალი მიწის ფართობი. ქალაქის ბუნებრივი ზრდის პარალელურად დაიწყებოდა ქალაქში ქარხნების მშენებლობა.

აღნიშნული მსჯელობის შემდეგ ქალაქის საბჭომ თერთმეტი ხმით ათის წინააღმდეგ შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: „*ვინაიდან ეს მინგრელსკის და პრინცესას მამულები ერთადერთი არიან ქალაქის ფარგლებში, რომელნიც სავსებით*

აკმაყოფილებს ქალაქის თვითმმართველობის მოთხოვნილებას და ვინაიდან არსებული კანონით და სხვა საბუთების მიხედვით, მისი ჩამორთმევა ქალაქის უფლებას შეადგენს, დაადგინა: ჩამორთმევის თანახმად 1919 წლის კანონისა პატრონთ ქალაქის სასარგებლოდ“ (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 610: 167-169).

1920 წლის 3 მაისს ზუგდიდის მაზრის ერობის გამგეობამ შინაგან საქმეთა სამინისტროში გააგზავნა მოხსენება, სადაც საუბარი იყო ქ. ზუგდიდის საბჭოს მიერ ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილების არასამართლიანობაზე. მოხსენების თანახმად, ქ. ზუგდიდის საბჭოს სხდომაზე დაირღვა 1919 წლის 11 ივლისს მიღებული კანონი უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევის შესახებ. კონკრეტულად დარღვეული იყო აღნიშნული კანონის მე-4 მუხლი, რომლის თანახმადაც „დადგენილება კანონიერად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, თუ ის მიღებულია გამგეობის მოხსენებით“. ქალაქის გამგეობას კი ამ საკითხზე საერთოდ არ უმსჯელია.

ამასთან ქ. ზუგდიდის საბჭოს გადაწყვეტილებაში არ ჩანდა მინგრელსკისა და მიურატის ჩამორთმეული ქონების დანიშნულება. დადგენილებაში ასევე არ იყო ჩამორთმეული ქონების საზღვარი და ფართობი მითითებული (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 610: 166).

მიუხედავად არაერთი მცდელობისა და მსჯელობისა, რომელიც გაიმართა ქ. ზუგდიდის საბჭოსა და ზუგდიდის სამაზრო ერობის გამგეობის წევრებს შორის, თუ ვის სასარგებლოდ უნდა მომხდარიყო მინგრელსკისა და პრინცესა მიურატის ქონების კონფისკაცია, მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

1920 წლის 4 ნოემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთა მმართველობამ შინაგან საქმეთა მინისტრს გაუგზავნა მოხსენება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მინგრელსკისა და მიურატის იძულებით ჩამორთმეული უძრავი ქონება ზუგდიდის სამაზრო ერობას უნდა გადასცემოდა (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1085: 1).

1920 წლის 8 ნოემბერს ფოთის თვითმმართველობამ იმუქმდგომლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რათა მოეხდინათ მოქალაქე ფარნა კაჭარავას უძრავი ქონების ჩამორთმევა.

აღნიშნული ქონება მდებარეობდა ქ. ფოთში, ნოე ჟორდანიას ქუჩაზე (ყოფ. ივანოვის). მიწის ნაკვეთის სივანე 11 საჯენი, სივრძე 26 საჯენი – სულ 286 ოთხკუთხედი იყო. მიწის ფართობზე აგურის ერთსართულიანი შენობა იყო აშენებული, რომელიც მოიცავდა 91 1/4 ოთხკუთხედი საჯენს. მასზე აგურის დუქანი იყო მიშენებული – სულ 9 23/3 ოთხკუთხედი საჯენი. ასევე, ორსართულიანი აგურის სახლი – სულ დაახლოებით 26 ოთხკუთხედი. ერთსართულიანი აგურის შენობა მანქანებისთვის – სივრძე დაახლოებით 11 ოთხკუთხედი საჯენი. ძველი ხის პატა-

რა სახლი, სივრცით 14 15/10 ოთხკუთხედი. აღნიშნული ქონება ფოთის თვითმმართველობას ესაჭიროებოდა ქალაქის სახალხო თეატრის განსათავსებლად. (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1059: 55).


ქალაქ ფოთის თვითმმართველობის აღნიშნული შუამდგომლობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დააკმაყოფილა.

ქალაქ ფოთის თვითმმართველობამ კიდევ ერთი შუამდგომლობა აღძრა საქართველოს დემოკრატიული მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე. აღნიშნული შუამდგომლობა ეხებოდა, მოქალაქე ანდრია (ჯაკუ) ქავთარაძის უძრავი ქონების იძულებით ჩამორთმევის საკითხს. ზემოთ ხსენებული ქონება ქალაქის თვითმმართველობას ესაჭიროებოდა ფოთის პროფესიული კავშირის შენობით უზრუნველსაყოფად.


ანდრია ქავთარაძის მამული შეადგენდა ორი ქვის შენობას, რომელიც განთავსებული იყო 244.66 ოთხკუთხედ საუენ მიწის ფართობზე. აღნიშნული შენობები წარმოადგენდა ერთ, ერთსართულიან და მეორე, ორსართულიან თუნუქით დახურული სახლს. ეს მამული მდებარეობდა ქალაქ ფოთში, მიხეილის და ციციანოვის ქუჩებზე. იგი შეფასებული იყო 200 000 მანეთად (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1059: 43).

1920 წლის 16 დეკემბერს, ზემო ხსენებული შუამდგომლობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა და მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც: ფოთის ქალაქის თვითმმართველობის შუამდგომლობა ანდრია ქავთარაძის მამულის იძულებით ჩამორთმევასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა (სეა სცა, ფ. 1863, ან. 1, ს. 1059: 86).

ამდენად, 1919 წლის 11 ივლისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული ქონების კონფისკაციის დადგენილების აქტიურ აღსრულებას შეუდგა ზუგდიდის, სენაკისა და ქ. ფოთის სამაზრო და საქალაქო თვითმმართველობები. მათ არაერთგზის იშუამდგომლეს ცენტრალური ხელისუფლების წინაშე კონკრეტული ქონების ჩამორთმევის მოთხოვნით. ზუგდიდის მაზრაში დაფიქსირდა ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი ქონების მიმართ (ნიკოლოზ მინგრელსკისა და პრინცესა ანტუანეტა მიურატის უძრავი ქონება) ინტერესი, როგორც ერობის გამგეობამ, ასევე ქალაქის თვითმმართველობამ გამოთქვა. ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ნათელი გახდა, რომ ცენტრალური ხელისუფლება თითოეულ შუამდგომლობას კრიტიკულად იხილავდა და რაიმე სახის დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში კონფისკაციის საკითხი უარყოფილი იყო.



საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 610, ფურცელი 15.



საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1863, ანაწერი 1, საქმე 1085, ფურცელი 46.

გამოყენებული ლიტერატურა

საარქივო მასალა

1. **სეა სცა** – საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1833, ანაწერი1, საქმე 15.
2. **სეა სცა** – საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1863, ანაწერი1, საქმე 610.
3. **სეა სცა** – საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1863, ანაწერი1, საქმე 1059.
4. **სეა სცა** – საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1863, ანაწერი1, საქმე 1085.

სამეცნიერო ლიტერატურა

1. **ჯიქია 2015** – ლევან ჯიქია, 1924 წლის ანტისაბჭოთა ეროვნული აჯანყება ზუგდიდის მაზრაში. თბ., 2015.

სურამის ისტორიისათვის

ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთებიდან გამოედინება „წყალი სურამისა“ (ვახუშტი) (იგივე სურამის წყალი, სურამის ფრონე, სურამულა), რომელიც ამავე სახელწოდების ხეობას ქმნის. ეს ხეობა ლიხის ქედის სანახებიდან იწყება და „ოსიაურის ახალსოფელთან“ მთავრდება. მდინარე ამის შემდეგ გაივლის სატიევს, მოხისს, ქვენა ტკოცას და აგარასთან უერთდება საქართველოს დედამდინარეს – მტკვარს.

ამ ხეობის ცენტრია დაბა სურამი – ძველი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი.

ვახუშტი ბატონიშვილი სურამის ხეობას ასე აგვიწერს: „ხოლო კუალად აღის-წყლის დასავლეთით არს წყალი სურამისა. გამოსდის ლიხის მთას, მიერთვის ჩრდილოდამ მტკუარს, ოსიაურს ზეით. აქ არს ჭალა სურამისა, მტკუარის კიდესა, დაღალულადამ შოლამდე. არამედ გაჰკაფა ჟ-დ მეფემან ვახტანგ და ჰქმნა დაბნები. ოსიაურს ზეით, ხაშურს, ერთვის სურამის წყალს ქემერტის-წყალი, აღმოსავლიდამ. გამოსდის ლიხის მთას. ამ ხევის შესართავის დასავლით, შინდარას დასავლით, არს სურამი, მცირე ქალაქი, მოსახლენი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი. არს საშუალს ციხე მაღალ კლდესა ზედა მტკიცე. არს ჰავითა მშუენი და მხიარული. სურამს ზეით, სამხილამ, მოერთვის ამ წყალს ურთხვის-ხევი. მას ზეით არს იტრიის მონასტერი ყოვლადწმიდისა, უგუშბათო, დიდშენი, აწ ხუცის ამაღრად. სურამის ბეკიდამ ასტყდების მაღალი გორა, მდებარებს დასავლით წიფამდე და ლიხამდე. ამ მთის სამხრით არს ბეკამი, ტეძერი, ვიდრე შოლამდე; ჩრდილოდ სურამის ხეობა...“¹.

ეს ტერიტორია მტკვრის მარცხენა სანაპიროს წარმოადგენს. ამ ჭალის ნაშთები შემორჩენილია ქვემო ოსიაურთან (ოსიაურის ტყე) და გომთან, ადგილ დაღალულასთან. ასევე შემორჩენილი იყო ხაშურის დღევანდელი უბნის – ჭალის უბნის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ცნობილი იყო ჭალის ტყის სახელწოდებით, რომელიც XX ს-ის 70-იან წლებში განადგურდა აქ მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის გამო. იოანე ბატონიშვილი „ქართლ-კახეთის აღწერაში“ ქართლში ასახე-

¹ ქართლის ცხოვრება, ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 377

ლებს სურამის მინდორს, გუგულის მთამდე)².

ვახუშტის მიხედვით, მდ. სურამულა ქმნის ხეობასა და ჭალას, რომლებიც სურამის სახელწოდებით არიან ცნობილი. სურამის ხეობა სურამის სახელით ცნობილი დასახლებული პუნქტის ჩრდილოეთით მდებარეობს. რაც შეეხება „სურამის ჭალას“, იგი მის სამხრეთით მოიაზრება და საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. მართალია, ვახუშტის მიხედვით მდ. სურამულა ახალსოფელთან ერთვის მტკვარს და აქვე უნდა მთავრდებოდეს სურამის ჭალაც, მაგრამ იგი მდინარე შოლიდან იწყება და დაღალულამდე (მინდორი და სოფელი) გრძელდება.

გერმანელი მოგზაური, ნატურალისტი, მედიცინის დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი იოჰან ანტონ გულდენშტედტი წერს: „პატარა მდინარე სურამულა იწყება კირიან მთებში და მტკვრის მარცხენა ნაპირის პარალელურად მიედინება სამხრეთის მიმართულებით და ჩადის მტკვარში“³.

რატომღაც გიულდენშტედტი აქვე წერს, რომ „მასზე (მდ. სურამულაზე – თ. ლ.) და მის გარშემო არის ქართული მხარე საწერეთლო“ (იქვე). სხვაგანაც გიულდენშტედტი „მხარეს“, რომელსაც მდინარე სურამულა ქმნის, საწერეთლოდ მიიჩნევს: „სურამულას მხარე მოიცავს ქართულ მხარე საწერეთლოს“⁴.

უნდა შევნიშნოთ, რომ „სურამულას მხარე“ არასდროს არ მოიაზრებოდა საწერეთლოდ, არასდროს ყოფილა „იმერეთის თავადის – წერეთლის“ კუთვნილებაში. მაშინაც კი, როდესაც ეს მხარე – არადეთის წყლიდან მოყოლებული სურამის წყლის ჩათვლით ტერიტორია, შედიოდა იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში (1527-1556 წწ.). საისტორიო წყაროებში დასტურდება რამდენიმე შემთხვევა, რომ მდ. სურამულაზე მდებარე სოფელს – ახალსოფელს, ვახტანგ VI აძლევს წერეთელს, მაგრამ ამ ფაქტს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ამ მხარეზე არ მოუხდენია. შემდგომში ეს სოფელი ქართლის ცნობილი გვარის – ვეზირიშვილების ხელშია. ამ გვარს ეს სოფელი ჯერ ერეკლე II-მ, ხოლო შემდეგ გიორგი XII-მ მისცა.

იოანე ბატონიშვილი „სურამის წყალზე და მის ხეობაზე“ შემდეგ სოფლებს აფიქსირებს: ახალსოფელი, ოსიაური, გორათი, ხაშური, კლდისწყარო, ლუბრმა (ლუბრუმა), კაკალახევი (კაკალათხევი), ქემერტი (ქემფერი), წაბლოვანი (წაბლოვანა), ოძისი, ცეღანი, შინდისი (შინდარა), სურამი, ბეკამი, ბიჯნისი, ჯაფნიაუ-

² ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ. 80

³ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ. 1962, გვ. 225

⁴ იქვე, გვ. 279). იქვე მიუთითებს: „ის ეკუთვნის იმერეთის თავადს წერეთელს და, მაშასადამე, აძენდა იმერეთს, თუმცა მდებარეობს ქართლში“ (იქვე, გვ. 279

რი (ჯაფინაური), უთხვა (ურთხვა), ჩუმათელეთი, იტრია, წიფა⁵.

იოანე ბატონიშვილი ძირითადად ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერას“ და მის მიერ შედგენილი რუკის მონაცემებს ეყრდნობა. ვახუშტის მიხედვით მდ. სურამულა „ოსიაურს ზეით“, ახალსოფელთან ერთვის მტკვარს და აქ მთავრდება სურამის წყალი და მისი ხეობაც. იგივეს იმეორებს ი. ბატონიშვილიც, რადგან სურამის წყლისა და მისი ხეობის აღწერას სწორედ ახალსოფლით იწყებს. თუმცა, როგორც ცნობილია, სურამულა ახალსოფლის შემდეგაც გრძელდება და დაბა აგარასთან ერთვის მტკვარს. სურამულას ერთვის აგრეთვე აღისწყალი (აღისფრონე, ჭერათხევი), ფცისწყალი (ფციოულა, ფცისფრონე) და მისი მეშვეობით ჩაედინებიან მტკვარში.

სურამულა, როგორც ვხედავთ საკმაოდ დიდ აუზს ქმნის, შესაბამისად ხეობასაც, ჭალასაც და მინდორსაც.

სურამი ინტერესს იწვევს არქეოლოგიური თვალსაზრისითაც. აქ დაფიქსირებულია ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ფეოდალური ხანის ჩათვლით არაერთი საინტერესო ძეგლი. სამწუხაროდ, დღემდე ამ მხარეში სპეციალური არქეოლოგიური გათხრები არ განხორციელებულა. ამის გამოა, რომ დღეს მხოლოდ შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალის მიხედვით გვიხდება საუბარი სურამისა და მისი შემოგარენის უძველეს პერიოდზე.

ამ მხრივ საყურადღებო უნდა იყოს სურამის ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია. ციხე ბუნებრივ გორაზე აგებული. ეჭვგარეშეა, რომ პირველი დასახლება სწორედ ამ გორაზე აღმოცენდებოდა. ნ. ბერძენიშვილი ავითარებს რა ე. წ. „გორაების“ თეორიას, წერს, რომ „გარკვეულ დროს ჩვენი წინაპრები, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ისევე როგორც სხვა ხალხთა წინაპრებიც, „გორაებად“ სახლობდნენ... დღეს სადაოდ არავის უჩანს, რომ ეს „გორაები“ ჩვენი წინაპრების სოციალური განვითარების გარკვეული საფეხურის მანიშნებელია, რომ ეს „გორაები“ იყო საფუძველი, საიდანაც განვითარდნენ უძველესი „დაბები“, „ქალაქები“, „ციხეები“, „სალოცავები“, დღეს ჩვენთვის, მაგალითად, რომ მცხეთა და თბილისი, კასპი და უფლისციხე, ვანი და რუსთავი, სურამი და გორი, ურბნისი და აღჯაყალა, ხუნანი და სამშვილდე და ყველა ძველი ქალაქი თავდაპირველად „გორა“ იყო“⁶.

ამიტომ საინტერესო უნდა იყოს სურამის ციხის მიდამოების არქეოლოგიური შესწავლა, რაც უდავოდ, მნიშვნელოვან მასალას წარმოაჩენს არა მარტო სუ-

⁵ ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 44

⁶ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ. 1962, გვ. 363

რამის, არამედ საქართველოს უძველესი ისტორიისთვისაც.

სურამი საკმაოდ გავრცელებული ტოპონიმა და ამ სახელწოდების რამდენიმე ობიექტია ჩვენთვის ცნობილი. ამ სახელს ატარებს დაბა, აგრეთვე მდინარე (სურამის წყალი, სურამის ფრონე, სურამულა), რომელიც დაბაში მოედინება. ვახუშტი ბატონიშვილი აღწერს სურამის ჭაღას, რომელიც ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. იგივე ვახუშტი საუბრობს სურამის ხეობაზეც, რომელიც დაბის ჩრდილოეთით მდებარეობს და აღნიშნული მდინარე ქმნის. იოანე ბატონიშვილი თავის მხრივ მიგვითითებს სურამის მინდორზე, რომელიც, ისევე, როგორც სურამის ჭაღა, დიდ ტერიტორიას (გუგულის ქედამდე) მოიცავს.

ქართულ საისტორიო წყაროებში სურამი პირველად ჟამთააღმწერელთან გვხვდება 1260 წელს მონღოლებსა და აჯანყებულ ქართველებს შორის შინდარაში გამართული ბრძოლის დროს. თუმცა ჟამთააღმწერლამდე, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორის მიხედვით, XII საუკუნის 60-იანი წლებისათვის უკვე ჩანს სურამელთა ფეოდალური გვარი.

ბექა სურამელი 1161 წელს გიორგი III-ის მიერ ქალაქ ანისისათვის გამართულ ბრძოლაში მონაწილეობს. თუ უკვე არსებობს ზეწოდება სურამელი, ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი (ამ ზეწოდების მატარებლები) სურამის მფლობელები არიან. ეს კი თავის მხრივ იმას გულისხმობს, რომ სურამი, როგორც დასახლებული პუნქტი, დიდი ხანია, არსებობს.

ტოპონიმი „სურამი“ ყოველთვის იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. ცდილობდნენ, მოეცათ მისი ახსნა, გაერკვიათ მისი წარმომავლობა, შინაარსი და სხვ. სპეციალურ ლიტერატურაში ტოპონიმ „სურამის“ შესახებ გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება.

პროფ. ზ. ჭუმბურიძის მოსაზრებით, „სურამ თურქულად ნიშნავს „ციხეს“ და სწორედ ციხის მიხედვით უნდა დარქმეოდა გეოგრაფიულ პუნქტს ეს სახელი. მაგრამ ამავე დროს ადამიანის სახელი ზურაბ თურქულ გამოთქმაში იცვლება და გვაძლევს **სურამ** ფორმას. ამის გამო სახელი ზურაბი დაუკავშირდა სურამის ციხეს და ეს უკანასკნელი გაგებული იქნა, როგორც „ზურაბის ციხე“⁷.

ზ. ჭუმბურიძე სხვა დროსაც შეხება ტოპონიმ „სურამს“ და თითქმის ერთი და იგივე ახსნა აქვს მოცემული. მაგალითად, მას მიაჩნია, რომ სურამი არის იგივე ზურაბი, ოღონდ თურქული გამოთქმის მიხედვით შეცვლილი. სხვაგან იგი შემდეგ აღნიშნავს სურამის შესახებ: „სურამი, როგორც ირკვევა, არის იგივე ზურა-

⁷ ზ. ჭუმბურიძე, დედაენა ქართული, თბ., 1987, გვ. 504

ბი (ადამიანის სახელს ზურაბს ფონეტიკურ ცვლილებათა შედეგად მოუღია სურამი)⁸.

ტოპონიმ სურამის წარმომავლობის საკითხს ეხება პროფ. შ. ქურდაძეც, რომელიც სამართლიანად თვლის, რომ საკითხის კვლევა უნდა დაფუძნდეს „უპირველესად, ადგილობრივი, თვითმყოფადი ცნობების საფუძველზე“ და არ იზიარებს ზ. ჭუმბურიძის მოსაზრებას „ზურაბ სახელიდან სურამის სახელწოდების მიღების შესახებ“. „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, – აღნიშნავს შ. ქურდაძე, – საქმე იმაშია, რომ სურამის ციხე სურამზე ადრე არ აღინიშნება ისტორიულ წყაროებში. ჩვენს უმთავრეს ისტორიულ მატრიანებში სურამის ტერიტორიაზე არსად ზურაბის სახელწოდების ციხე არ სახელდება. ციხე სურამის სახელით ზმირად მოიხსენიება XVII საუკუნიდან, ხოლო ლეგენდა ზურაბის ციხეში ჩატანების თაობაზე დანიელ ჭონქაძის მეოხებით დაუკავშირდა სურამის ციხეს XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში. ცხადია, ასეთ ვითარებაში დიდად საეჭვო ხდება ზურაბის სახელის პირველადობის საფუძველზე წარმოვიდგინოთ ქალაქის ტრადიციული სახელწოდების წარმომავლობა. ვიმეორებთ: ძველ წყაროებში რომ სადმე, სურამის რეგიონში, მოხსენებული იყოს ზურაბის ციხე ან ზურაბის მოდგმა მაშინ, შესაძლოა, გვეფიქრა სურამის ზურაბ სახელიდან წარმომავლობის შესახებ. სხვა შემთხვევაში კი, ვფიქრობთ, გამწვანდება ამ მოსაზრების დაჯერება“⁹.

არ შეიძლება, არ დაეთანხმო შ. ქურდაძეს, როცა იგი აღნიშნავს, რომ ტოპონიმ „სურამის“ წარმომავლობის ზუსტი ახსნა-განმარტება არ ხერხდება, თუნდაც იმ მწირი ცნობისა თუ მასალის მიხედვით, რაც მას გააჩნია. იგი შესაძლებლად მიიჩნევს, სურამის გააზრება დაუკავშიროთ სიტყვა „სურმას“ და ვრცლად მიმოიხილავს ამ სიტყვას. კერძოდ, იგი ამბობს, რომ სიტყვა „სურმა“, საბას აზრით, „სხვათა ენაა, მოსახლდომს სურმას ქართულად საოლავი ეწოდების და სამკურნალო საოლაგს კოლურიო“. მეორე მხრით, დიდი ლექსკოგრაფი „საოლაგს თვალის სურმას“ უწოდებს. ნ. ჩუბინიშვილი სურმას „საგრიმელადა და საოლაგად“ იხსენებს.

შ. ქურდაძე შემდგომ აღნიშნავს, რომ იოანე ბატონიშვილი „ქართლ-კახეთის აღწერაში“ თრიალეთის მხარის მთებისა და მინდორ-სამოვრების დახასიათებისას ჩვენთვის საინტერესო სიტყვას „სურმას“ ამგვარად გვამცნობს: „ქართლისა: დოღლაურის ჭალა და სურმის მინდორი გუგულის მით“ და შემდეგ დასკვნას აკეთებს: „ამგვარად, როგორც ვხედავთ, ისტორიულად და გეოგრაფიულად სიტყ-

⁸ ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ, თბ., 1966, გვ. 96

⁹ შ. ქურდაძე, დაუეწიარი გაკვეთილები, გორი, 2001, გვ. 11

ვა „სურმა“ დასტურდება ახლანდელი სურამის მიდამოებთან ახლოს. ამასთან, მოცემულ კონტექსტში „სურმა“ სიტყვა წარმოდგენილია შეკვეცილი სახით „სურმის“. აქედან შეიძლება, ვიფიქროთ, რომ ტოპონიმ სურამის წარმოშობას, თავდაპირველად, ლიბოდ შეიძლება, დასდებოდა მის ველ-მინდვრებში ადამიანთა სახის შესამკობად ზემოთ ხსენებული საშუალებით „სურმის“ არსებობა“.

შ. ქურდაძის მოსაზრებით, მის ვარაუდს ერთგვარად ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ იოანე ბატონიშვილი „ქართლ-კახეთის აღწერაში“ „სურამის“ ტრადიციულ სახელთან ერთად ასახელებს მის მეორე დასახელებასაც, „ყასაბა ქალაქი“. იქვე მიუთითებს, რომ სიტყვა „ყასაბა“ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ახსნილია, როგორც „ყასაბა არაბ. კასაბა“, ნაზი ქსოვილი, ეგვიპტური, მზის სხივი“, იგივეა რაც შუბლსაფენი, „თავზე შემოსაკვრელი ირიბათ იყო გამოჭრილი, ყასაბას ვეძახდით იმას“.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზეც, რომ სიტყვა „ყასაბა“ ინგილოურ დიალექტში ადამიანის ვიწრო ჩასაცმელთან არის დაკავშირებული. მკვლევარი დაასკვნის: „წარმოდგენილი ცნობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სურამის მეორე სახელწოდებაც მის სამეურნეო საქმიანობასთან – ადამიანის მოსახდენი ჩასაცმელის (თუ შუბლსაფენის) დამზადების კულტურის არსებობასთან არის დაკავშირებული. ახლა თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად სურამი მოიხსენიება, როგორც კურორტი დაბა, მაშინ სურამის სახელწოდების (თუ სახელწოდებების) წარმომავლობა, მისი ცალკეული სამეურნეო და კულტურული დარგების განვითარების მიხედვით, პირობითად, დაახლოებით შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: უძველესი სურამი ადამიანთა პირისახის კოსმეტიკის საშუალებების მიღებას, გამოყენებას შეიძლება, დაუკავშირდეს. ძველი – სურამი, „ყასაბა ქალაქი“, ორივე სახელწოდება ერთად, შეიძლება, ადამიანთა ჩაცმულობისა თუ შუბლსაფენის დამზადებას დაუკავშირდეს“.

ავითარებს რა ასეთ თვალსაზრისს, შ. ქურდაძე სურამის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ, შემდეგ დასკვნას გვთავაზობს: „და ბოლოს, ორიოდ სიტყვით „სურმას“ და „სურამის“ ურთიერთმიმართების ენათმეცნიერული ინტერპრეტაციის შესახებ: შესაძლოა, სიტყვა „სურმაში“ მეტათეზის საფუძველზე ხმოვანი „ა“ გადავიდა „მ“-ანის წინ და შემდეგ „მ“ მაწარმოებლის მეშვეობით მივიღეთ „სურამი“. ამ შემთხვევაში ჩვენ იმავე ტიპის ტოპონიმკურ წარმობასთან შეიძლება გვკონდეს საქმე, როგორც, მაგალითად, ბეკამ-ი, თეზამ-ი, ოკამ-ი, ცხამ-ი, ხარჯამ-ი, ბეთლემ-ი, ილემ-ი, გრემ-ი და სხვ. ან: სიტყვა „სურმადან“ ისტორიულად „მ“ ტიპის მაწარმოებლით შესაძლოა, მივიღეთ „სურამი“. შემდეგ კი ფუძისეული „მ“ ამოვარდნის შემდეგ, დისიმილაციის საფუძველზე, მივიღეთ ტოპო-

ნიმი „სურამი“. ძალიან მოკლედ, ასეთია ჩვენი მოკრძალებული ვარაუდი ტოპონიმ სურამის წარმომავლობის შესახებ – აღნიშნავს შ. ქურდაძე სტატიის დასასრულს¹⁰.

როგორი საინტერესოც არ უნდა იყოს ზ. ჭუმბურიძისა და შ. ქურდაძის მოსაზრება და მსჯელობა ტოპონიმ „სურამის“ შესახებ, თავიდანვე გვინდა შევნიშნოთ, რომ მათ მიერ ტოპონიმის ასეთ ახსნას ვერ გავიზიარებთ. ჯერ ერთი, ტოპონიმ „სურამის“ ახსნა თურქული სინამდვილიდან, როგორც ამას ზ. ჭუმბურიძე აკეთებს, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, რადგან სანამ თურქები გამოჩნდებოდნენ საქართველოში, ხოლო შემდეგ დაუმეზობლდებოდნენ კიდევ, სურამი, როგორც დასახლებული პუნქტი, დიდი ხნის წინ უკვე არსებობდა და ბერძენ და რომაელ მოგზაურებთან და გეოგრაფებთან იგი დაფიქსირებულია, როგორც სურეში, სურა და სხვ. ამდენად, სურამის, როგორც ტოპონიმის, გააზრებაში თურქული ელემენტი უნდა გამოვრიცხოთ.

რაც შეეხება შ. ქურდაძის მოსაზრებას, უნდა შევნიშნოთ, რომ მას თავისდა უნებურად დაშვებული აქვს რიგი უზუსტობანი, რაც მომდინარეობს ი. ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერის» არასწორი წაკითხვისაგან.

ი. ბატონიშვილის „აღწერის» ორი გამოცემა არსებობს. პირველად იგი დაიბეჭდა 1980 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებულ ტოპონიმიკური ლაბორატორიის კრებულში, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის – ნორა კოტინოვას მიერ¹¹, ხოლო მეორედ, ცალკე წიგნად გამოვიდა „ქართული საისტორიო მწერლობის“ სერიით, 1986 წელს, თინა ენუქიძისა და გურამ ბედოშვილის რედაქციით¹². როგორც ამ უკანასკნელი გამოცემიდან ირკვევა, ძეგლის ნორა კოტინოვისეულ პუბლიკაციას მთელი რიგი უზუსტობანი ახლავს. ერთ-ერთი ასეთი ხარვეზია გამომცემლის მიერ არასწორად წაკითხული ტექსტი. სურამთან დაკავშირებით შემდეგი ხარვეზებია დაშვებული: ხელნაწერში საუბარია სურამის მინდორზე, ხოლო ნ. კოტინოვისეულ პუბლიკაციაში – სურამის მინდორზე. სწორედ ეს უზუსტობა დაედო საფუძვლად პროფ. შ. ქურდაძის მსჯელობას „სურამის“ „სურამიდან“ წარმოშობის შესახებ. ი. ბატონიშვილი გარკვევით ლაპარაკობს „სურამის“ და არა სურამის მინდორზე. სხვათა შორის, სურამის მინდორი, ველი დასტურდება სხვა წყაროებითაც. ამდე-

¹⁰ იქვე, გვ. 11-12

¹¹ ტოპონიმიკა, 1980, გვ. 337-382

¹² ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986

ნად, ი. ბატონიშვილზე დაყრდნობით ტოპონიმ „სურამის“ გააზრება სიტყვა „სურმას“ საფუძველზე არასწორად მიგვაჩნია. თუმცა, სიტყვა „სურმას“ შ. ქურდაძე საკვებით სწორედ განიხილავს. მაგრამ ამ შემთხვევაში მას არავითარი საერთო არ აქვს სურამთან. ასევე, არასწორად მიგვაჩნია შ. ქურდაძის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ი. ბატონიშვილი სურამის ტრადიციულ სახელთან ერთად ვითომ ასახელებს მის მეორე სახელწოდებას – „ყასაბა ქალაქს“ და მასზე დაყრდნობით კვლავ ტოპონიმ „სურამის“ ახსნას ცდილობს. „ყასაბასთან“ დაკავშირებით შ. ქურდაძის მსჯელობა სწორია, მაგრამ ეს ვარაუდი ტოპონიმ „სურამთან“ დაკავშირებით არაზუსტია, რადგან „ყასაბა ქალაქად“ ი. ბატონიშვილი მართო სურამს არ მიიჩნევს, იგი ასეთივე ქალაქად ასახელებს ანანურს, ახალგორს, დუშეთს, ცხინვალს. აქვეა დასახელებული ყასამჩა ქალაქი გორი და ქალაქები: ახალციხე, სიღნაღი და თბილისი. ე. ი. იოანე ბატონიშვილის მიხედვით, მის თანადროულ საქართველოში ქალაქის სამი ტიპია: ყასაბა, ყასამჩა და ქალაქი. „ყასაბა“ და „ყასამჩა“ სპარსული ტერმინებია. ჩვენთვის საინტერესო ყასაბა ლექსიკოგრაფ მ. ლაფარევის მიხედვით ნიშნავს სოფელს, დასახლებულ პუნქტს, ქალაქის ტიპის დასახლებას. ი. რუბუნჩიკის მიხედვითაც იგივე მნიშვნელობით არის განმარტებული ყასაბა და ყასამჩა: სოფელი, პატარა ქალაქი, დაბა.

ამრიგად, როცა ი. ბატონიშვილი სურამს ყასაბა ქალაქს უწოდებს, თელის, რომ სურამი ქალაქის ტიპის დასახლებაა, პატარა ქალაქია, დაბაა.

როგორც ვხედავთ, შ. ქურდაძისეულ „ყასაბას“ გააზრებას არავითარი საერთო არა აქვს ი. ბატონიშვილისეულ „ყასაბასთან“. შ. ქურდაძე სულ სხვა მნიშვნელობით განიხილავს მას, მაშინ, როცა ი. ბატონიშვილთან იგი სხვა შინაარსის მატარებელია.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ერთი მოსაზრებაც. სურამი, ისევე როგორც ბეკამი, -ამ სუფიქსით ნაწარმოები სახელია. მასში ძირია „სურ“, -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია. ძირი „სურ“ სხვა სახელებშიც გვხვდება. მაგ.; სურ-ები, კელა-სურ-ი, ხევ-სურ-ეთ-ი... ჩვენი ყურადღება მიიპყრო პროფ. ს. მაკალათიას ნაშრომმა „ხევსურეთი“, სადაც კვითხულობთ: „ხევსურეთი მაღალმთიანი ქვეყანაა, რომელიც ღრმა ხევებით არის დაღარული. მისი გეოგრაფიული სახელწოდებაც „ხევსურეთი“ უეჭველია აქედან არის წარმომდგარი და ნიშნავს ღრმა ხევებიან ადგილს“¹³.

ამრიგად, ს. მაკალათიას აზრით, ამ კუთხეს „ხევსურეთი“ დიდი მთავორიანო-

¹³ ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბ., 1984, გვ. 9

ბისა და ღრმა ხევებით „დაღარულობის გამო შერქმევია“. მართალია, სურამის რეგიონი ისეთი ღრმა ხევებით არ გამოირჩევა, როგორც ხევსურეთისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ აქაც არაერთი ხევი გვხვდება, რომლებსაც მდ. სურამულას პატარა შენაკადები ქმნიან (ბაიანთხევი, კაკალათხევი, ურთხვის ხევი და ა. შ.). რეგიონი მრავალი ხევით არის დაღარული. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ეს ფაქტორი შეიძლება დადებოდა საფუძვლად სურამის სახელწოდებას.

უკანასკნელ პერიოდში ტოპონიმ „სურამის“ შესახებ გამოჩნდა კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც ეკუთვნის პროფ. გ. ყორანაშვილს. იგი სურამს მიიჩნევს ზანურ ტოპონიმად და წერს: „ამავე ენის (ე. ი. ზანურის – თ. ლ.) მიხედვით „სურამი“ აიხსნება, როგორც სუროიანი... („ამ-ი“ სუფიქსი ეთანადება ქართულ „იანს“)“¹⁴.

თუ გავითვალისწინებთ შ. ქურდაძის მითითებას, რომ სურამის სახელწოდების ასხნა „უპირველესად, ადგილობრივი, თვითმყოფადი ცნობების საფუძველზე“ უნდა დავაფუძნოთ, მაშინ გ. ყორანაშვილის მოსაზრება მისაღები უნდა იყოს. ქართველი მეცნიერები (ს. ჯიქია, რ. რამიშვილი, გ. ზორნაული, ჯ. გვასალია და სხვები) უკვე დიდი ხანია, რაც ქართულ ტოპონიმიაში არათუ მარტო ხედავენ, არამედ მეცნიერულადაც ასაბუთებენ ზანური ტოპონიმების არსებობას „აღმოსავლეთ საქართველოს მიწა წყალზე, „ზენა სოფლიდან“ მოკიდებული ქვემო ქართლამდე და მთელ კახეთ-ჰერეთ-სოჯეთში“¹⁵. ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამონაკლისი არც ტოპონიმი „სურამი“ იყოს. ვფიქრობთ, ტოპონიმ „სურამის“ შესახებ გამოთქმული ყველა მოსაზრება საინტერესოა.

სურამში დასახლების კვალი ჩვენს წელთაღრიცხვამდე საკმაოდ დიდი ხნის წინ არის ნაპარაუდები. ამ ადგილებში ადამიანს ადრე ბრინჯაოს ხანიდან უცხოვრია, ამაზე მეტყველებს ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც აქ შემთხვევით არის მოპოვებული. ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ სურამი ანტიკური ხანის ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქია.

როგორც ცნობილია, შორეულ წარსულში სურამზე გადიოდა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მიმავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზა. ადრეანტიკურ ხანაში სავაჭრო ურთიერთობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის წარმოებდა სურამის უღელტეხილით, რასაც ადასტურებს 1856 წელს სურამში აღმოჩენილი ძვ. წ. VI-V საუკუნეების ვერცხლის აქემენიდური სიკილა,

¹⁴ გ. ყორანაშვილი, ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხი, თბ., 2014, გვ. 90

¹⁵ რ. რამიშვილი, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1972 წელს, „მაცნე“, ისტორიის... სერია, №1, თბ., 1973, გვ. 185

კოლხურ „თეთრთან“ ერთად. როგორც ჩანს, მონეტები სურამში მოხვდა სწორედ სურამის უღელტეხილის მეშვეობით. ამავე პერიოდში აღნიშნული უღელტეხილით ბერძნული იმპორტი იჭრება აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო ელინისტური ხანიდან, როცა ვაჭრობა იღებს ე. წ. „მსოფლიო“ ხასიათს და მასში არა მხოლოდ მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ შუა აზიის ქვეყნები, ინდოეთისა და ჩინეთის შორეული რაიონებიც ებმება, იქმნება ერთიანი დიდი სავაჭრო-სატრანზიტო გზა ინდოეთიდან ფაზისისაკენ¹⁶.

ამ გზის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ IV-III საუკუნეების ბერძენი ისტორიკოსებისა და გეოგრაფების – არისტობულის, პატროკლეს, ერასტოსთენეს შრომებში გვხვდება. სტრაბონი მათ ცნობებს ასე გადმოგვცემს: „არისტობულე ოქსოსს (მდ.ამუდარია) მიიჩნევს უდიდეს მდინარედ. არისტობულე და პატროკლეს სიტყვით, ერასტოსთენეც ამბობენ, რომ ეს მდინარე სანაოსნოა და ამ მდინარით ბევრი ინდური საქონელი შემოაქვთ პირკანიის (კასპიის) ზღვაში, ხოლო აქედან ალბანიაში გადააქვთ და შემდეგ მტკვრითა და მის მომდევნო ადგილებით ევქსონიის (შავ) ზღვაში ჩააქვთ“¹⁷.

ამრიგად, „ინდური საქონელი მდ. ამუდარით ჩაჰქონდათ კასპიის ზღვაში და იქიდან მტკვრით ამოჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოში. აქედან კი უკვე ხმელეთით – სურამის უღელტეხილით – ეზიდებოდნენ დასავლეთ საქართველოში, სადაც საქონელი მდ. რიონით შავი ზღვის სანაპირო ქალაქებს, კერძოდ, ფაზისს ანუ ფოთს აღწევდა“¹⁸.

სწორედ ამ გარემობას უნდა განეპირობებინა სურამის ქალაქად ჩამოყალიბება, მისი ზრდა და განვითარება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ სურამის, როგორც ქალაქის, აღმოცენება იწყება ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე, ხოლო III ს-ის ბოლოსთვის მას უკვე მკვეთრად გამოხატული ქალაქური იერსახე უნდა მიეღო.

სხვათა შორის, ზემოთ აღნიშნული გზის არსებობასა და მდინარე მტკვრის სანაოსნო გამოყენებას ადასტურებს სოფ. ცხრამუხასთან ახლოს მდ. მტკვარში XIX ს-ის 90-იან წლებში ნაპოვნი გემის ლუზა. 1890 წლის 1 სექტემბერს გაზეთი „ივერია“ წერდა: „როგორც შევიტყვეთ ს. ცხრამუხას ახლო, გორის მაზრაში, მტკვარში მეტივეებს უპოვნიათ ერთი ლუზა... სულ უძველეს დროს, როგორც ის-

¹⁶ ო. ლორთქიფანიძე, ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIX, №3, 1957

¹⁷ საქართველოს ისტორია, ტ. I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1956, გვ. 47

¹⁸ ს. ყაუხჩიშვილი, რას მოგვითხრობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964, გვ. 75

ტორიიდან ვიცით, მტკვარზედ იალქნიანი გემები დადიოდნენ და სურამს ახლო, ცხრამუნასა და ქვიშხეთს შუა, ნავთსადგური ყოფილა გამართული. ნაპოვნი ღუზა გემისაა. ეს ახლად (ნაპოვნი) ღუზა ცხადად ამტკიცებს ძველის ისტორიკოსების გარდმოცმას, რომ კასპის ზღვიდან სურამამდე საქონელი გემებით გადაჰქონდათ და მტკვარი სანავოსნო მდინარე იყოვო“.

მოგვიანებით ამ ფაქტს „სახალხო გაზეთი“ მიუბრუნდა და 1913 წლის 9 იანვარს გამოაქვეყნა მღვდელ ქრისტოფორე ციციქიშვილის მცირე მოცულობის წერილი – „მტკვარში ნაპოვნი ღუზა“, რომელშიც კვითხულობთ: „ქართულ საეთნოგრაფიო საზოგადოების დავალებით, 29 დეკემბერს 1912 წელს ავედი სურამის ახლო მდებარე სოფელ ბეკამში, სადაც მღვდელს იოანე ციციქიშვილს ჰქონდა შენახული ძველი ღუზა, რომ ეს ჩამომეტანა ტფილისში. ეს ღუზა უპოვნია ამ ოცდახუთი წლის წინად სოფელ სავანლის ტეზრის გლეხს ბადრიაშვილს მდინარე მტკვარში სოფელ ტამისკარის ახლო. ამ გლეხს ტივი მოჰქონებია, ტივი წამოსდებია ღუზის კაპს და გაჩერებულა. მეტივეს გაუთავისუფლებია ტივი და უნახავს წყლდამ ამოშვერილი რკინა. დაუბამს კამეჩები ამ რკინისათვის, გამოუთრევი ნაპირზე, წამოუღია შინ სავანლის-ტეზერში და დაუგდია თავის ეზოში. მერე ეს გლეხისათვის უცნაური რკინა უნახავს მღვდელს მამა იოანე ციციქიშვილს, შეუცვინა ღუზად, შუსყიდნია და მოუტანა თავის სახლის ეზოში, სადაც ეგლო მას შემდეგ დღემდის. დღეს ეს ღუზა ჩამოტანილია ტფილისში და გადაცემულია საისტორიო-ეთნოგრაფიის საზოგადოებისადმი, რომელსაც დღევანდელმა პატრონმა ღუზისა უფასოდ შესწირა.

ღუზა წონით რვა ფუთია. ჰქონია ოთხი კაპი, რომელთაგან ორი მოსტეხია. სიგრძით იქნება ორი არშინი. ჩემის ფიქრით, წმინდა რკინისა არ უნდა იყოს, რადგანაც ჟანგს მაგრე რიგად ვერაფერი დაუკლია. თუ ეს რკინა, მართლა ძველი დროის ღუზა გამოდგა, ძალიან შესანიშნავ ისტორიულ განძად ჩაითვლება, რადგანაც იგი იქნება დამამტკიცებელი საბუთი იმ ძველი ცნობისა, რომ უწინ გემები დადიოდნენ მდინარე მტკვარზე და რომ გემებით ინდოეთის საქონელი ამოჰქონდათ სურამამდე, აქედან ხმელეთით გადაჰქონდათ შორაანამდე და მერე ისევ გემებით ჩაჰქონდათ შავ ზღვამდე. ეს მდინარეები, უნდა ვიფიქროთ, მაშინ ერთი-სამად და ერთი-ხუთად მეტ იქნებოდა დღევანდელთან შედარებით. იმედია, მცოდნე პირები დაათვალიერებენ აღნიშნულ ღუზას და თავისს აზრს გამოსთქვამენ“.

ზემოაღნიშნულთან ერთად, სურამის დაწინაურებას ხელს უწყობდა აგრეთვე ადგილობრივი გარემოებაც. სურამზე გამავალი საქარავნო გზა აკავშირებდა და აახლოებდა აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს რეგიონებსაც. შიდა სავაჭრო ურთიერთობებიც ამ გზით წარმოებდა, რაც კარგად ჩანს აქ შემ-

თხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალით. უფრო მეტიც, საყურადღებო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა დასავლურ-ქართული და აღმოსავლურ-ქართული კულტურების ურთიერთობის შესახებ.

სურამის ასეთმა სტრატეგიულმა მდებარეობამ, საერთაშორისო და საშინაო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში მისმა აქტიურმა ჩართვამ განაპირობა აქ ქალაქის წარმოშობა და განვითარება. აქედან გამომდინარე, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ აქ ციხე-სიმაგრე სწორედ სურამის ქალაქად გადაქცევისთანავე აიგო, რადგან ეს აუცილებლობით იქნებოდა გამოწვეული. კერძოდ, აუცილებლობას წარმოადგენდა სურამზე გამავალი გზების ხელთქონება და კონტროლი, რომლის განხორციელებაც ციხე-სიმაგრის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

აქვე, სურამში, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, იმთავითვე უნდა ვივარაუდოთ საბაჟოს არსებობაც, რაც შემდგომში, გვიანდელი პერიოდის არაერთი დოკუმენტით დასტურდება. როგორც ცნობილია, საბაჟო იქ არსებობს, სადაც ციხე-სიმაგრეა. ამავე პრინციპით უნდა ყოფილიყო გამართული საბაჟოები ხაშურის დღევანდელ რეგიონშიც. აქ არსებული სამივე საბაჟო ფუნქციონირებს იქ, სადაც ციხე-სიმაგრე ან რაიმე თავდაცვითი ხასიათის ნაგებობაა (მაგალითად კოშკი). ალის საბაჟო-ალის ციხეშია, ტაშისკარისა-ტაშისკრის კოშკში, სურამის საბაჟოც, რა თქმა უნდა, სურამის ციხე-სიმაგრეში უნდა ყოფილიყო განთავსებული და მასზე დაყრდნობით ახდენდა თავისი საქმიანობის განხორციელებას.

სურამზე უნდა საუბრობდეს ცნობილი ბერძენი გეოგრაფი და ასტრონომი კლავდიოს ფტოლემეოსი (ახ. წ. II ს-ის 20-60-იანი წლები) თავის „გეოგრაფიის სახელმძღვანელოში, როცა ქართლში (იბერიაში) ასახელებს პუნქტს – სურა¹⁹.

გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ფტოლემეაუსის მიერ დასახელებული სურა შეიძლება, აწინდელ სურამთან დააკავშიროთ. ვფიქრობთ, ეს მოსაზრება გასაზიარებელი უნდა იყოს, რადგან იგივე ავტორი კოლხეთში ასახელებს სურიუმს²⁰.

ისტორიკოსი პლტონ იოსელიანი, ძველ ბერძენ გეოგრაფებზე დაყრდნობით მიუთითებს, რომ: „სურამი ძველი ქალაქია, პლინიუსის, პტოლემეაოსის, სტრაბონის მიერ იდესად ან პოლიხნიად წოდებული. აქ ადაგო ბელისწერისგან დევნილმა ფრისკემ ლეკოთეას ტაძარი, ფარნავაზის და მითრიდატე პერგამელის იავარქმნი-

¹⁹ ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეაოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955, გვ. 46

²⁰ იქვე, გვ. 45

ლი“²¹.

გვიანანტიკური (III-V სს.) და ადრეფეოდალური ხანის (V-X სს.) სურამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროების შესახებ არავითარ ინფორმაციას არ გვაწვდის. სურათი იცვლება განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისიდან. X ს-ის მიწურულსა და XI ს-ის დასაწყისში საქართველო პოლიტიკურად გაერთიანდა და ქვეყანა აღმავლობის გზას დაადგა. ეს გამოიხატებოდა ეკონომიკურ დაწინაურებაში, რაც აისახებოდა სოფლის მეურნეობის, ვაჭრობა-ხელოსნობის, საქალაქო ცხოვრებისა და სხვა ფაქტორების განვითარებაში.

საინტერესო სურათთან გვაქვს საქმე საქალაქო ცხოვრების განვითარების თვალსაზრისით. IX-X სს-ში საქართველოში ადგილი აქვს ძველი ქალაქების (არტანუჯი, დმანისი და სხვა) აღმშენებლასა და ახალი ქალაქების (ახალქალაქი, თმოგვი, ოლთისი, თელავი, სხვა) ჩამოყალიბების პროცესს. ამ დროიდან ქვეყნის ცხოვრებაში კვლავ ჩნდება სურამი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სურამი განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყისში – XI-XII საუკუნეებში წარმოშობილი ქალაქია.

XII ს-ის 60-70 იანი წლებიდან XIV ს-ის II ნახევრამდე სურამი და მისი ციხე-სიმაგრე სამეფო კარის მიერ სავაჭროდ გადაცემულია მასთან დაახლოებული ფეოდალური გვარისათვის, რომელიც სურამლების სახელით არის ცნობილი საქართველოს ისტორიაში. აღნიშნული გათვალისწინებით სურამი და მისი ციხე-სიმაგრე სურამელთა რეზიდენცია უნდა ყოფილიყო.

ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, რომ „სურამლობა, რა თქმა უნდა, იმავე პრინციპიდან წარმოდგება, რაც ბედიანი, ახალციხელი, ჯაყელი და სხვა და აღნიშნავს, რომ ამ დროს ქართლის ერისთავის სახლის მთავარი ადგილსამყოფელი სურამის ციხე და ქალაქი იყო“²². ქართულ საისტორიო წყაროებზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს, აღვნიშნოთ, რომ ისინი სურამს ფლობენ და აქედან გამომდინარე სურამელის ზეწოდებას ატარებენ ქართლის ერისთავთ-ერისთავის სახელის მიღებამდე.

სურამელები XII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან ჩანან საქართველოს ისტორიაში. იმავე საუკუნის მხოლოდ 70-იანი წლების ბოლოდან ლეულო-

²¹ პლ. იოსელიანი, აღწერა თფილისის სიძველეთა, თბ., 2022, გვ. 252

²² ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IX, თბ., 1979, გვ. 247-248

ბენ ქართლის ერისთავთ-ერისთავის სახელოს. ამავდროულად სურამელების გვარის წარმომადგენლები სამეფო კარზე ფლობენ მნიშვნელოვან სახელოებს და გარკვეულ როლსაც თამაშობენ ქვეყნის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ისიც უნდა ავლნიშნოთ, რომ ისტორიული წყაროებით არ შეგვიძლია დადასტურება, რომ სურამელების რეზიდენცია სურამშია. ამაზე მიგვანიშნებს მხოლოდ ზეწოდება **სურამელი**. და კიდევ ერთი, სურამელთა ხელიდან, თუ სამეფო კარისგან გამოსულ საბუთებში კასპის რეგიონი ფიგურირებს მხოლოდ. სურამში სურამელთა რეზიდენციის არსებობაზე მიგვანიშნებს ახლად გამოვლენილი წარწერა სურამის ღვთაების ეკლესიიდან. მიუხედავად იმისა, რომ ეს წარწერა დაზიანებულია, ერთადერთი უტყუარი მოწმობაა იმის შესახებ, რომ სურამელთა რეზიდენცია სურამშია.

წარწერა, რომელიც XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გახდა ცნობილი ჩრდილოეთის კედლის ნალესის ჩამოშლისას, საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს, როგორც სურამის, ასევე სურამელების საგვარეულოს შესახებ. ეს კი იმაზე მიგვითითებდა, რომ სურამი არა მარტო მათი რეზიდენცია იყო, არამედ აქ ისინი გარკვეულ სააღმშენებლო საქმიანობასაც ეწეოდნენ. წარწერას სპეციალიტები ასე კითხულობენ: „+ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრ)თის(ა) თ[ა], [(მ)ა]მი[ს]ა, ძისა და ს(უ)ლი/სა წ(მი)დ(ი)ს(ა) თა, წ(მი)დ(ი)სა ღ(მრ)თ(ი)სმშ(ო)ბ(ე)ლის(ა) თა ღ/ა წ(მი)დ(ი)სა ვ{ო}ვ{ა}ნე ნ[ათ]ლ{ი}სმ[ც]{ე}მ{ე}ლ{ი}ს{ა} თ{ა}< >, ყ{ოვე}ლთ/ა წ(მი)და)თა მ{ი}სთ{ა} თა, მე, + რ(ა)ტი ერ(ი)სთ(ა)ვმ(ან), ძემ{ან} + ბ(ე)გ(ა) ერ(ი)სთ(ა)ვ(ი)ს(ა)მ(ან), ავ{ა}შენ წ(მი)და) ესე ეკლესია ს{ა}ლ{ო}ცველ[ა]დ ს(უ)ლ(ი)სა ჩ{ე}მისა და ს{ა}ლზინ{ე}ბელ{ა}დ ც{ო}დვ[ა]თა ჩ{ე}მთა. შ{ე}მდგ{ო}მითი შ{ე}მდგ{ო}მად მ(ო)გუ[ი]/ ს(ე)ნებდ(ე)თ და ლ{ო}ცვც{ა}თა თქ{უე}ნთა, გ /ვე)და, მდ[ე]ლო, [---]ა[-]ო[---]“²³. როგორც ვხედავთ, წარწერა ეკუთვნის ერისთავ რატის, ბეგა ერისთავის ძეს.

XIV საუკუნის შუა წლებიდან სურამელები ისტორიის ასპარეზზე აღარ ჩანან, „უჩინარდებიან“, თითქოს არც ყოფილან, სდუმს საისტორიო წყაროებიც და დოკუმენტებიც.

ყურადღებას იქცევს საკითხი, – სად წავიდა ქართლის ერისთავთ-ერისთავების – სურამელთა საგვარეულო? შემდგომი პერიოდის რომელ საგვარეულოში

²³ თ. ჯღჯუა, თ. გოგოლაძე, 1180-1210-იანი წლების უცნობი სააღმშენებლო წარწერა სურამის გვერდისუბნის ღმრთაების ეკლესიიდან ქართლის ერისთავების ბეგა I და რატი სურამელების მოხსენიებით, საისტორიო კრებული, 4, თბ., 2014, გვ. 275

აგრძელებენ ისინი არსებობას? ეს ჩვენთვის უცნობია. მაგრამ მაინც სად უნდა ვეძებოთ სურამელთა საგვარეულოს კვალი? ვფიქრობთ, კასპის რეგიონში უნდა იყოს შესაძლებელი მათი კვალის მიგნება. ამას გვაფიქრებინებს ის ფაქტი, რომ მათი ხელიდან გამოსულ საბუთებში მხოლოდ ეს რეგიონია ასახული მისთვის დამახასიათებელი სინამდვილით (თუნდაც ტოპონიმი). ეს ფაქტი აძლიერებს ჩვენს ეჭვს, რომ ეს საგვარეულო კასპის რეგიონთან დააკავშირეთ.

ამასთან ჩვენს ყურადღებას იპყრობს გ. ოთხმეზურის სტატია „ნიაბის წარწერები“, რაც კიდევ ერთხელ აძლიერებს ჩვენს აზრს სურამელების საგვარეულოს კასპის რეგიონთან კავშირის შესახებ. მკვლევარი ნიაბის ეკლესიის წარწერას პროფ. ს. მაკალათიასგან განსხვავებით (XIV ს.) ათარიღებს 1247-1250 წლებით და გამოთქვამს ვარაუდს, რომ მასში სურამელები უნდა იყვნენ მოხსენიებულნი. ადვილი შესაძლებელია ეს ასეც იყოს, რადგან სურამელთა მამულები შიდა ქართლში მდებარეობს, მათ შორის თემის ხეობაშიც²⁴.

ქართლის ერისთავთ-ერისთავის სახელოს დაკარგვასთან ერთად სურამელებს თავიანთი რეზიდენცია – სურამიც უნდა ჩამორთმეოდათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ სურამი ამ დროიდან სამეფო კარის განკარგულებაში გადავიდა და საუფლისწულო მამული ხდება. იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლობის დასრულების შემდეგ (XVI ს-ის 80-იანი წლების დასაწყისი) დოროთეოზ კათალიკოსი თავის ცნობილ სიგელში აღნიშნავს: „გარდახდეს ჟამნი რაოდენნიმე, ბატონი გამოეცვალა სურამსა მოვიდა მეფეთ-მეფის ბატონის სვიმონის პირმშო ძე, და ღმრთისაგან შეყვარებული და საღმთო-საკაცობოძი ზნესრული“²⁵.

მართალია, ეს ფაქტი საკმაოდ დაშორებულია სურამელების მოღვაწეობის ეპოქას, მაგრამ გვაფიქრებინებს, რომ სურამი უკვე კარგა ხანია, სამეფო ქალაქია და სამეფო სახლის წარმომადგენელი განაგებს – ან დედოფალი, ან ბატონიშვილი. სვიმონ მეფის ტყვეობაში ყოფნის დროს (1569-1578 წწ.), საფიქრებელია, რომ სურამი სვიმონის შემცვლელი ქართლის მეფის დაუდ ხანის ოჯახის წევრის მფლობელობაში იყო. სვიმონის ქართლში დაბრუნების შემდეგ კი, სურამი, როგორც საუფლისწულო მამული, მისი ძის გიორგი ბატონიშვილის მფლობელობაში გადავიდა და ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს დოროთეოზ კათალიკოსის სიტყვებიც: „ბატონი გამოეცვალა სურამსა“ და იქვე მიუთითებს, რომ ეს ახალი ბატონი

²⁴ გ. ოთხმეზური, ნიაბის წარწერები, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები, II, თბ., 2011

²⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ო. ლოლიძემ, ტ. III, თბ., 1970, გვ. 355

„მეფეთ-მეფის ბატონის სვიმონის პირმშო, ძეა“.

სურამი, რომ უკვე დიდი ხნის სამეფო მამულია. ამაზე უნდა მეტყველებდეს ერთი ფაქტიც. დღორთეოზ კათალიკოზმა 1525-1527 წლებში გიორგი IX-გან იყიდა „სურამის პირსა სოფელი ნიტრია, დიდის ფასითა, აზნაურნი იქ მსახლობელნი“ და ა. შ. მამასადაძე, სურამი და მისი შემოგარენი სახელმწიფოს ხელშია და სამეფო კარი განაგებს, იგი განკარგავს.

სხვათაშორის, უფრო ადრე, ბაგრატ VI 1465-1467 წლებს შორის, სურამი შესწირა მთის წმინდა გიორგის ეკლესიას. შეწირულობის სიგელის თანახმად, ბაგრატი მთის წმინდა გიორგის უახლებს დავით აღმაშენებლისა და მისი ძის – დემეტრეს შეწირულობებს. ამავე დროს მოაჭედვინა და განუახლა ეკლესიას ხატები, შესწირა გლეხები და იქვე მიუთითებს „...აწ, ახლად შემოგწირეთ და დავიკუიდრეთ... ფონას ნოზგებანიძე მათით მზღვრითა სამართლიანითა. ამა პირსა ზედან სურამი ვისი გინდა იყოს, მეპართლომეს მეტსა კაცსა ხელი არავის შეუვიდოდეს, არავის არა“²⁶.

ინტერესეს იწვევებს მთის წმინდა გიორგის ეკლესიის მდებარეობის საკითხი. ბაგრატ VI-მ სურამი, როგორც ზემოთ ითქვა, მას შესწირა, თანაც ასეთი პირობით: „ვისი გინდა იყოს“, ე. ი. ვისიც უნდა იყოსო.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მთის წმინდა გიორგის ეკლესია რაჭაშია. რაჭაზე საუბრის დროს იგი არაერთხელ მიუთითებს წმინდა გიორგის მთაზე. მდ. რიონის შენაკადის – ძმუის-მუყულეთის ხევის აღწერისას აღნიშნავს, რომ იგი „გამოსდის წმიდის გიორგის მთას“²⁷.

რაჭის საზღვრებზე საუბრისას ვახუშტი აღნიშნავს, რომ წონიდან წამოსულ მთას, არპანსა და დღნორამდე „...საერთოდ უწოდებენ რაჭის მთას, ხოლო განყოფით დღნორს ზეით წმიდის გიორგისას“²⁸. ოკრიბას საზღვრების აღწერისას ვახუშტი კვლავ მიუთითებს წმინდა გიორგის მთაზე²⁹.

რაც შეეხება ეკლესიას. რაჭის აღწერისას ვახუშტი აღნიშნავს, რომ „ამას (ხიდისკარის, წესის, ნინიას ციხის – თ. ლ.) ზეით მოერთვის რიონს სამხრიდამ ხევი ბარულა. გამოსდის კეცების მთას, დის ჩრდილოთ კერძ. ამ ხევს ერთვის ჩონისის ხევი დასავლეთიდამ. ამავე ბარის წყალს ზეით არს მთაში მრავალძალს ეკ-

²⁶ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, III, თბ., 2014, გვ. 157

²⁷ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა... გვ. 762), ან „ტოლის ხევს ზემოთ მიერთვის ბარულას ხევი რიონს სამხრიდამ“, რომელიც „სდის წმიდის გიორგის მთას“ (იქვე, გვ. 763

²⁸ იქვე, გვ. 769

²⁹ იქვე, გვ. 775

ლესია წმიდის გიორგისა და ჯუარი დიდი ოქროსი, სასწაულთ-მოქმედი“³⁰. მართალია, ვახუშტი აქვე ლაპარაკობს წმინდა გიორგის სხვა ეკლესიაზეც („ხიდის-კარიდამ წავალს მცირე მთა კლდიან-ქარაფიანი ჩრდილოთ, ვიდრე კავკასამდე. ამაზედ არს ეკლესია თხემსა ზედა შენი, წმიდის გიორგისა, სასწაულიანი. უწოდებენ მთითურთ ველეიეთსა“), მაგრამ მრავალძალი რომ უნდა იგულისხმებოდეს მთის წმინდა გიორგიში, ამაზე თავად ვახუშტი მიგვანიშნებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბარულას ხევი ვახუშტის მიხედვით, „სდის წმინდის გიორგის მთას“. ბარულაზეა საუბარი მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიის ადგილმდებარეობის დაფიქსირების დროსაც. ამდენად, მთის წმინდა გიორგი, რომელსაც ბაგრატ VI-მ სურამი შესწირა, რაჭის კარგად ცნობილი მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიაა³¹. ამ დროს, როცა ბაგრატ VI სურამს სწირავს მთის წმ. გიორგის, სურამელები, როგორც ფეოდალური საგვარეულო, ასპარეზზე აღარ ჩანან. ამრიგად, სურამელების შემდეგ სურამი სამეფო მამული ხდება და მას სამეფო კარი განკარგავს. მოგვიანებით, XVI საუკუნიდან სურამი ბატონიშვილების მამული ხდება, რაც არაერთი დოკუმენტით დასტურდება.

XIV-XV სს-ში სურამის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ცხოვრებაში კნინდება. ამაზე თავისი გავლენა იქონია თემურ-ლენგის შემოსევებმა და ქვეყანაში შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა. თემურ ლენგის შემოსევების შედეგები განსაკუთრებით საგრძნობი იყო ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამან თავისი ასახვა ჰპოვა სოფლის მეურნეობის, ვაჭრობა-ხელოსნობის, კულტურისა და ცხოვრების სხვა ნებისმიერი სფეროს მდგომარეობაზე.

მძიმე სურათია საქალაქო ცხოვრების თვალსაზრისითაც. მოიშალა არაერთი მანამდე დაწინაურებული ქალაქი. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა სურამიც.

XVI ს-დან იწყება სურამის ხელმეორედ დაწინაურება. ამ დროს ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო უკვე დაშლილია ცალკე სამეფო-სამთავროებად. სურამი და მისი ციხე-სიმაგრე ქართლის სამეფოსა და მასთან გამეზობლებული ოსმალეთის საზღვრის სიახლოვეს აღმოჩნდა. ამიერიდან სურამმა და მისმა ციხე-სიმაგრემ მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა ქვეყნის ცხოვრებაში. ამავე დროს, სუ-

³⁰ იქვე. გვ. 765

³¹ ჩვენი აზრით, მკვლევრის მოსაზრება, სადაც მრავალძალზეა საუბარი, დაზუსტებას საჭიროებს. წყაროში დასახელებული მრავალძალი ამჟამინდელი სოფელი მრავალძალია ონის მუნიციპალიტეტში. როგორც ჩანს, ტოპონიმმა ველიეთმა ავტორი შეცდომაში შეიყვანა. საქმე იმაშია, რომ ველიეთი წმ. გიორგის მონასტერთანაცაა და მრავალძალთანაც. მთის წმ. გიორგის ეკლესიის შესახებ საინტერესო მონოგრაფია ეკუთვნის ისტორიკოს ნიკოლოზ ფლენტს. იხ. ნ. ფლენტი, მთის წმინდა გიორგის მონასტერი. ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა. თბ., 2023 – რედაქტორის შენიშვნა.

რამი თავისი ციხე-სიმაგრითურთ ოსმალეთისა და ირანის ინტერესების სფეროში მოექცა. ვინც ფლობდა სურამსა და მის ციხეს, მისი გავლენა ადვილად ვრცელდებოდა ქართლის სამეფოზე. 1518 წელს, სპარსელი ისტორიკოსის ჰასან რუმლუს ცნობით, სეფიანთა ირანის შაჰის ისმაილ პირველის დავალებით დივ-სულთან სამცხის ათაბეგ ყვარყვარესთან ერთად ლაშქრით საქართველოსაკენ გამოემგზავრა. „დივ-სულთანმა ციხე გორი და სურამი დაიპყრო“ – დასძენს ჰასან რუმლუ³².

მართალია, ჰასან რუმლუ გორის ციხის მსგავსად პირდაპირ არ მიუთითებს სურამის ციხეზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დროს აქ, სურამში, ციხე-სიმაგრე არ არის. საქართველო უკვე სამეფო-სამთავროებად არის დაშლილი და ქართლის სამეფოს მხრიდან, დასავლეთით საზღვრის დაცვა და კონტროლი ამ მხარეში ციხე-სიმაგრის უქონლობის გარეშე წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო. საუკუნეების მანძილზე კი ასეთი როლი ქართლის დასავლეთით სასაზღვრო ზოლში სწორედ სურამის ციხე-სიმაგრეს ეკისრებოდა. ახალციხის მხარეში ოსმალეთის გაბატონებისა და ქართლის სამეფოსთან მისი დამეზობლება ამის სასარგებლოდ მეტყველებს.

XVI საუკუნის 20-იანი წლებიდან სურამი გვიანდელი ზემო ქართლის სხვა პუნქტებთან ერთად იმერეთის სამეფოს შემადგენლობაშია. 1525 წელს, როცა ქართლის მეფე დავით X იძულებული გახდა, ტახტიდან გადამდგარიყო და ბერად აღკვეცილიყო, სამეფო ტახტის უზურპაცია მისმა ძმამ გიორგი IX (1525-1527) მოახდინა. ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ – ლუარსაბმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს ბაგრატ III (1510-1565) მიმართა, რომლის ხელშეწყობითაც 1527 წელს ქართლის ტახტზე ავიდა. სწორედ ამ დახმარებისათვის მიუცია ბაგრატ III სურამი, ალი და ახალდაბა. „...მისცეს მეფე ბაგრატს ქართლი, მეფეა იმერეთისა-სა, არადეთის წყალს გამოლმა, ალი, სურამი და ახლდაბა“³³.

ცხადია, იმერეთის მეფის ხელში უნდა გადასულიყო სურამის ციხე-სიმაგრეც. ეს მდგომარეობა XVI საუკუნის 60-იან წლებამდე გრძელდებოდა. კერძოდ, სანამ სპარსეთის შაჰმა თამაზმა 1554 წელს არ დაიკავა სურამის მხარე. ამ მოვლენასთან დაკავშირებით სურამის ციხე-სიმაგრე კვლავ სპარსულ წყაროში მოიხსენიება. იმერეთის მეფე ბაგრატ III პრეტენზიას აცხადებს ყიზილბაშების მიერ დაკავებულ სურამზე და ოსმალეთის სულთანს – სულეიმან I-ს თხოვს დახმარე-

³² ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვ. ფუთურძემ, თბ. 1966, გვ. 35

³³ ცხორება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 41

ბას³⁴.

ამის თაობაზე საინტერესო ცნობაა დაცული სპარსეთის შაჰის, თამაზის, დიდმოხელეების სევენდიუქ ბეგისა და უსტაჯლუ შაჰ ყულუ ბინ ჰამზას წერილში, რომელიც მათ გაუგზავნეს ოსმალეთის სულთნის, სულეიმანის ერთგულ მოხელეს, არზრუმის მმართველ აია ფაშას.

ამ წერილიდან ვიგებთ, რომ შაჰ-თამაზმა ქართლში მეოთხე ლაშქრობის დროს დაიკავა არადეთის წყალი, ალი, სურამი და ახალდაბა. ყიზილბაშთა ჯარების ასეთმა მოქმედებამ უკმაყოფილება გამოიწვია ბაგრატ მეფის მხრიდან, რომელიც სამართლიანად მიიჩნევდა ამ ტერიტორიას იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ბაგრატმა დახმარებისათვის სულეიმან I მიმართა, რომელმაც თავის მხრივ ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხი მოსთხოვა ირანის მესვეურებს. ეს ამბავი დაემთხვა ირან-ოსმალეთის პირველ ომთან (1541-1555 წწ.) დაკავშირებულ საზავო მოლაპარაკების მსვლელობას. ამიტომ არის, რომ შემფოთებული სევენდიუქ ბეგი და უსტაჯლუ შაჰ ყულუ ბინ ჰამზასი ცდილობენ, წარმოადგინონ ირანის მოქმედება სავსებით გამართლებულად, ხოლო ბაგრატ მეფის მოთხოვნები უსაფუძვლოდ. „რასაც ბაში-აჩუკი თავის ციხისა და სიმაგრის (ე. ი. სურამის ციხე-სიმაგრის – თ. ლ.) გარშემო წერდა, – აღნიშნავენ ისინი წერილში, – ასევე მოყვანილი იქნება ჭეშმარიტებისა და სამართლის თანახმად, რათა თქვენ ბრწყინვალე აზრს ნათლად და გამოკვეთილად შესძლოს დაინახოს, რომ მისი (ე. ი. ბაგრატ III – თ. ლ.) მოხსენებიდან მისი მიზნები გამომდინარეობენ, რათა უბედურება აცილონ საკუთარი თავიდან და კვლავ ჩამოაგდოს შუღლი მაჰმადიანთა შორის, ასე რომ ეს არ შეეფერება სინამდვილეს და ეს საქმე არ ღირს იმად, რომ მასზე მიმდინარეობდეს მოლაპარაკება, რათა მოგვარდეს ურთიერთობა ლუარსაბისა და ბაში-აჩუკის ქვეყნებს შორის, გამოირკვეს და მხედველობაში მიღებულ იქნეს ამ ქვეყნებს შორის არსებული საზღვარი. ხოლო ის მიწები და ციხეები, რომლებიც დასახელებული უთანხმოების მიზეზნი არიან, არავითარ შემთხვევაში მასა და მის ქვეყანას არ ეკუთვნიან. მოკლედ რომ ვთქვათ, ასეთია ბაში-აჩუკის მოთხოვნები სურამის პროვინციაზე და ციხეზე“³⁵.

ეს წერილი საინტერესო დოკუმენტია საქართველოსა და ირან-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიისათვის, მაგრამ აქ ჩვენთვის საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ამ ურთიერთობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სურამს და მის ციხეს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს დოკუმენტი არის ჯერ-ჯერობით

³⁴ ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II ნაწილი, თბ., 1998, გვ. 113

³⁵ გ. მამულია, ჟურნ. „დროშა“, V, 1960, გვ. 14

ერთადერთი პირველი ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც სურამის ციხე უშუალოდ მოიხსენება.

საინტერესო ცნობებია დაცული სურამის მხარის შესახებ, იტრიის ეკლესიისადმი ქართლის კათალიკოსის – დოროთეოზის შეწირულობის ცნობილ სიგელში³⁶.

მართალია, სიგელში პირდაპირი მინიშნება არ არის სურამსა და მისი ციხე-სიმაგრეზე, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ XVI ს-ის 40-70-იან წლებში იგი განზე ვერ დარჩებოდა იქვე ახლოს მდებარე, იტრიასა და აქ ახლადაშენებული ეკლესიის თავს დატრიალებული მოვლენებისაგან. მხედველობაში გვაქვს შაჰ-თამაზის ცნობილი შემოსევები 1541-1556 წლებში და ოსმალების ლაშქრობა ქართლში 1579 წელს. სიგელის თანახმად, იტრიის ეკლესიამ XVI ს-ის 40-70-იან წლებში არაერთხელ განიცადა აოხრება ჯერ შაჰ-თამაზის, ხოლო შემდეგ ოსმალების მხრიდან. უნდა ვიფიქროთ, რომ იგივე ბედი სწვეოდა სურამსა და მის ციხე-სიმაგრესაც. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1554 წელს შაჰ-თამაზმა სურამი და მისი ციხე-სიმაგრე დაიჭირა. იგივე მოვლენას ჰქონდა ადგილი 1579 წელს ოსმალების შემოსევისას. ამ პერიოდს მიეკუთვნება ერთი ცნობა, რომელიც ქართლის სხვა მხარეებთან ერთად სურამის მხარის აოხრებას ეხება. მასში კარგად ჩანს ის სისასტიკე, რასაც დამცობლები იჩენდნენ მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე. 1557 წელს საქართველოს შემოესია ყარაბაღის ბეგლარ ბეგი შავერდი სულთანი ზიად ოღლი ყაჯარი. ქართლის მეფე სიმონ I (1556-1601 წწ.) იძულებული იყო, მთებისთვის შეეფარებინა თავი. მტერმა საშინლად აიკლო ქართლი, მათ შორის სურამის მხარეც. სპარსი ისტორიკოსი ჰასან რუმლუ ამის შესახებ წერს: „ლაზიებმა გორის, სურამისა და საბარათიანოს ვილაეთი დაარბიეს, სოფლები და მხარეები ააოხრეს, ყანები და ხეები მწიფე ხილით ძირიანად ამოგლიჯეს (მიწიდან) და გამარჯვებულნი უამრავი ნადავლით განჯაში დაბრუნდნენ“³⁷.

XVII ს-ის 10-იან წლებში სურამის ციხესთან დაკავშირებული მოვლენები შაჰ აბასის ცნობილ შემოსევებს უკავშირდება. 1614 წელს კახეთის აოხრების შემდეგ, შაჰ აბასი ქართლში გადმოვიდა თავისი ჯარით. აქ მან გორისა და სურამის ციხეები შეაკეთა და შიგ ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენა. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში. იგი წერს: „შაჰმა გადაწყვიტა ქვეყნის სიკეთისთვის ქართლში ორი ციხე აეშენებინა: ერთი სურამ-

³⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ. 353-354

³⁷ ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 21

ში, რომელიც ახალციხისა და ბაში-აჩუკის (იმერეთის – თ. ლ.) ახლოს არის და მეორე – გორში ქართლის მეფეთა ძველ სატახტო ქალაქში. ქვეყნის მბრძანებლის ფირმანის თანახმად იმ ორ ადგილას დაწყებულ იქნა ციხის შენება და რამოდენიმე დღეში მოათავეს და გაამაგრეს ორივე³⁸. ამ ცნობიდან კარგად ჩანს, რომ „ქვეყნის სიკეთისათვის“ შაჰ აბასის ზრუნვა, თავისი პოზიციების გამტკიცებას ნიშნავდა ქართლში. ამიტომაც ამაგრებს იგი სურამის ციხეს, „რომელიც ახალციხისა და ბაში-აჩუკის (იმერეთის) ახლოს არის“. შაჰ-აბასს ამ დროს ოსმალეთან გართულებული ურთიერთობა აქვს, ხოლო იმერეთის სამეფოში, რომელიც 1555 წლის ამასიის ზავით ოსმალეთის გავლენის სფეროა, თავს აფარებენ ქართლისა და კახეთის მეფეები – ლუარსაბი და თეიმურაზი. სურამის ციხის ხელთქონება კი შაჰისათვის ქართლის სამეფოს დასავლეთ საზღვრების ხელშეუხებლობის გარანტიას ნიშნავდა.

შემდგომ წლებში, როგორც ჩანს, სურამის ქართველების ხელშია. ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ 1624 წელს გიორგი სააკაძემ სპარსელების თავდასხმის მოლოდინში, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, გაამაგრა „...ციხენი კიკნათბერი, ალისა, სურამისა, კეხვისა“³⁹. თვითონ გიორგი სააკაძე კი ახალციხისკენ გაემგზავრა, სადაც მისი ოჯახი იყო. ამ ფაქტს ეხმაურება იოსებ სააკაძე თავის „დიდმოურავიანში“, როცა გიორგი სააკაძე ათქმევინებს: „ალი, სურამი გვაგამაგრე, არ არს ადვილ ასაღები...“⁴⁰. მაგრამ „არ არს ადვილ ასაღები“ სურამისა და ალის ციხეები, „სისხლთა მღებმა“ სპარსალებმა მალე დაიკავეს. 1632 წელს ქართლში გამეფდა პირველი მაჰმადიანი მეფე როსტომი, რომელმაც მეფობის დასაწყისშივე იზრუნა თავისი პოზიციების განსამტკიცებლად. ამ მიზნით, ვახუშტის ცნობით, მან 1632 წელსვე აღადგინა „...გორის ციხე და შეაყენეს მცველნი ყიზილბაშნი, აგრეთვე სურამის ციხესა შინა“⁴¹. ასეთივე შინაარსის ცნობას გვაწვდის ბერი ეგნატაშვილიც: „მაშინ აღაშენეს ციხე გორისა და შეაყენეს მცველნი, და კუალად შეაყენეს მცველნი სურამის ციხეშიაც“⁴².

სურამის ციხე, ამ პერიოდიდან, საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, – XVIII საუკუნემდე, – ყიზილბაშებს უკავიათ, რასაც ადასტურებს არაერთი სა-

³⁸ ისქანდერ მუნში, ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ, გამოსცა ვ. ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 90

³⁹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა..., ტ. IV, გვ. 433

⁴⁰ იოსებ სააკაძე, დიდმოურავიანი, წიგნში „ქართული მწერლობა“, ტ. VI, გვ. 633

⁴¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა..., ტ. IV, გვ. 438

⁴² ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1973, გვ. 417

ისტორიო წყარო და იმ პერიოდის დოკუმენტური მასალა.

როსტომის გამეფებამ ქართლში ფეოდალთა ერთი ნაწილის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მათ გვერდით ედგა თეიმურაზ მეფე. სხვათაშორის 1635 წლით დათარიღებულ შაჰ-სეფის ფირმანიდან ჩანს, რომ როსტომსა და თეიმურაზს შორის ერთ-ერთი ბოლო ბრძოლა სურამთან მოხდა. „...დიდებული ხელმწიფეების შთამომავალმა, – ნათქვამია ფირმანში, – ქველმა ხელმწიფემ, დიდებულმა და ბედნიერმა ჩვენმა ძმამ როსტომ-ხანმა, საქართველოს ვალიმ, მოგვახსენა იმ სიდიადის საფარველის ვაჟკაცობა, თავდადებისა და ერთგულების შესახებ ამჟამად, როცა თეიმურაზი დამარცხებული იქნა სურამის სანახებში და გაიქცა“⁴³.

ამავე ფაქტს ეხება ფარსადან გორგიჯანიძეც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ბრძოლას საკმაოდ დეტალურად აღწერს და ადგილმდებარეობასაც აკონკრეტებს. იგი ბრძოლის ადგილად ქვიშხეთს ასახელებს. „ბატონი თეიმურაზ გორით აიყარა და ქვიშხეთს მივიდა. როსტომ მეფე ერანის ლაშქრით ქალაქში შემოვიდა და ბატონის თეიმურაზის ულაშქრობა მეფეს როსტომს მოახსენეს. ქალაქით ორითათსი ცხენკეთილი კაცნი დაარჩივეს და ქვიშხეთს გაუძახეს, რომ ბატონს თეიმურაზს დაესხან. იმათაც შეეცყო და ჯალაბნი და ბარგი წინ გაესტუმრებინა და თვითან სახმარის კაცებით უკან ასდევნოდეს და მღევართაც ზოგთ ცხენები დავარდნოდათ, ცოტა ვინმე წამოსწოდნენ და ომს დარიდებოდნენ, უკან დავარდნილის კაცისა და ბარგისაგან ემოვნათ, გორს მეფეს მორათვეს და ბატონი თეიმურაზ იმერეთს გადავიდა...“⁴⁴.

„პარიზის ქრონიკის“ ავტორიც ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას იმეორებს და ბრძოლის ადგილს ზოგადად ზემო ქართლს მიუთითებს. ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი კი იმის აღნიშვნით იფარგლებიან, რომ თეიმურაზი პერანგის მთის გადასასვლელით გადავიდა იმერეთში⁴⁵. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ მოვლენების შემდეგ შეაყენა როსტომ მეფემ სურამის ციხეში მცველებად ყიზილბაშები, რაც სამხედრო თვალსაზრისით მისი მდგომარეობის განმტკიცების ერთ-ერთი წინაპირობა უნდა ყოფილიყო ზემო ქართლში (როგორც ჩანს, თეიმურაზს საკმაო მომხრეები ჰყავდა ზემო ქართლში). ეს კი, თავისთავად ცხადია ირანის პოზიციების ქართლში განმტკიცებასაც ნიშნავდა.

⁴³ სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნსაცავებში, წ, I, ნაკ. I, გამოსცა ვლ. ფუთურაძემ, თბ., 1961

⁴⁴ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, იხ. საისტორიო მოამბე, წიგნი II, ტფ., 1925, გვ. 240

⁴⁵ ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა).... გვ. 93; ქართლის ცხოვრება, ტ. II, ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება..., გვ. 417; ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა..., ტ. IV, გვ. 438

თვით ფარსადან გორგიჯანიძეც გვერდს ვერ უვლის იმ ფაქტს, რომ როსტომის გამეფებას „ქართლის ყიზილბაშებით ავსება“ მოჰყვა⁴⁶. ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს იმას, რომ ამის შემდეგ „იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება... გაძლიერდნ თათარნი და კადნიერებდნ ქართველთა ზედა“⁴⁷.

ბევრმა ისეთმა წესმა მოიკიდა ფეხი საქართველოში, რომელიც მანამდე უცხო იყო ქართული სინამდვილისათვის. ეს ეხებოდა მანამდე არსებულ ნებისმიერ ქართულ ტრადიციას, ზნე-ჩვეულებას. ამ დროს, ბერი ეგნატაშვილის თქმით, „შემოვიდა ზოგ-ზოგან ტყვის სყიდვა თავადთაგან და, რომელნიცა იყვნენ ობოლნი და ქურიენი, გამოიყუნებდნ, და გაჰყიდიან, და განმრავლდა ცოდვა“ (იქვე).

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული ეკლესიაც, იგივე ბერი ეგნატაშვილი აღნიშნავს: „...თვით სამღვდელთა და მღვდელთმთავარნიცა მიდრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა... ამას შინა მოუძღურდა სჯული და განირყუნა წესი ეკლესიისა“⁴⁸.

ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სურამის მხარეებშიც. მით უფრო, რომ აქ ყიზილბაშების გარნიზონი იდგა.

ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერის“ ერთი ადგილის მიხედვით, რომელიც XVII საუკუნის დასასრულის ქართლის მდგომარეობას გვიხატავს, თითქმის ისეთივე მოვლენებს აქვთ ადგილი ამჯერადაც, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. ამ დროს ქართლში მეფობდა ერეკლე I (ნაზარალიხანი, 1688-1701 წწ.), ისიც მაჰმადიანი სარწმუნოების აღმსარებელი. მისი მეფობის პერიოდს ვახუშტი ასე ახასიათებს: „...იცვლებოდა ქცევა-ზნენი ქართლისანი და იქცოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა და ყოვლითა უწესობითა ქრისტიანულისათა ცოდვითურთ“⁴⁹.

სურამის ციხეში ჩაყენებული ყიზილბაშები ისე „გათამამებულიყვნენ“ რომ ახლომანძლი ადგილებიდან ტყვეებს იტაცებდნენ და ჰყიდნენ: „ამა ჟამთა იპარავდიან სილადითა მცველნი ციხისანი, თათარნი ტფილისისა, გორისა და სურამისა ტყუეთა და ჰყიდიან...“ – წერს ვახუშტი ბატონიშვილი⁵⁰.

უფრო მეტიც, ტყვეთა სყიდვას არა მარტო ყიზილბაშები, არამედ უკვე სურამის მხარის ზოგიერთი თავადიც აღარ ერიდებოდა. „...შეერთა ქართველთაცა სყიდვა ტყუეთა“, – შენიშნავს ვახუშტი ბატონიშვილიც ქართველებში ფეხმოკი-

⁴⁶ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, გვ. 240

⁴⁷ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება... გვ. 424

⁴⁸ იქვე, გვ. 425

⁴⁹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა..., გვ. 476

⁵⁰ იქვე

დებული მძიმე სენის შესახებ.

აქვე უნდა ავლინდნოთ, რომ სურამის რეგიონში XVII საუკუნის 20-30-იან წლებში ჩამოყალიბდა მცირე სათავადოები, ჯერ საჩხეიძო, ხოლო შემდეგ – სახიდირბეგიშვილო. გარდა ჩხეიძეებისა და ხიდირბეგიშვილებისა, სურამში ყმა გლეხობას ფლობდნენ აბაშიძეები, აბაზაძეები, მურვანიშვილები, ხეროდინაშვილები, აქვე იყო სახაზინო და საეკლესიო ყმა-გლეხობაც. დოკუმენტებით დასტურდება, რომ აქაური თავადობა ტყვეთა სყიდვას არ ერიდებოდა.

XVIII საუკუნის დასაწყისიდან (1701 წ.) სურამის ციხე ქართველების ხელშია. ამას წინ უძღოდა ქართლსა და ირანს შორის ურთიერთობის ნორმალიზაცია.

ქართლში ერეკლე I-ის გამაფებას გიორგი X არ შერიგებია, იგი იმერეთში გადავიდა და ცდილობდა ტახტის დაბრუნებას. ერთი პერიოდი ქართლში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, როცა თბილისში შაჰის მიერ ხელდასმული ერეკლე I იჯდა, ხოლო ქართლს რეალურად გიორგი X განაგებდა. ირანის ტახტზე შაჰ – სულთან ჰუსეინის ასვლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და გიორგი კვლავ იძულებული ხდება იმერეთში გადასულიყო. ამ დროს მან „...ბატონიშვილი გიორგი⁵¹, ვახტანგ და რძალი (რუსუდანი – თ. ლ.) გაგზავნა ჩხეიძის ქაიხოსროს სახლში, ვითაც ერთგული იყო და შვილი ქაიხოსროსი თეიმურაზ ისპაანს ბატონიშვილს ლევანს შერჩომოდა და ერეკლე მეფეს არ გამოჰყოლოდა“⁵².

ჩხეიძეები სურამთან ახლოს, იტრიაში, სახლობდნენ. ერეკლე I იწყინა ჩხეიძეთა საქციელი. „რა ჩხეიძეს მეფის ერეკლეს წყრომა მოუვიდა, ველარც ბატონიშვილები დადგნენ, აიყარნენ, წაუძღვა სეხნია (ჩხეიძე – თ. ლ.) ერთ-პირად მოყვარე იყო აბაშიძე გიორგი, ციხე ჰქონდა მაგარი, ხარაგეულს დააყენა ბატონიშვილი ვახტანგი, რძალი მეფისა რუსუდანი, ბატონი თინათინ ქვაბს დააყენა, დადგა ბატონიშვილი ქაიხოსრო წიფას“. ირანის შაჰის დამოკიდებულება გიორგი X-ის მიმართ საგრძნობლად შეიცვალა XVII საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა გიორგი მის სამსახურში ჩადგა. მოგვიანებით, 1703 წელს შაჰმა მასვე დაუბრუნა ქართლი. ამავე დროს შაჰმა შეიწყინარა ქართლის სამეფო კარის თხოვნა და ერეკლე I-ს უბრძანა ვახტანგის ქართლში მოყვანა და მისთვის მამამისის კუთვნილი საუფლისწულო მამულები დაებრუნებია. ერეკლე მეფემ, რომელიც „დაღათუ არა მნებელი ამის, ვერ ურჩ ექმნებოდა ყვენსა“ და ვახტანგთან გააგზავნა კათალიკოზი ევდემოზი და სპასპეტი ლუარსაბი. უფრო მეტიც, ტყვეთა სყიდვას არა

⁵¹ უნდა იყოს ქაიხოსრო – თ. ლ.

⁵² სეხნია ჩხეიძე, ამბავი მეფეთა, იხ. საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ. 1913, გვ. 8

მართო ყიზილბაშები, არამედ უკვე სურამის მხარის ზოგიერთი თავადიც აღარ ერიდებოდა. „...შეერთათ ქართველთაცა სყიდვა ტყუეთა“, – შენიშნავს ვახუშტი ბატონიშვილიც ქართველებში ფეხმოკიდებული მძიმე სენის შესახებ იმერეთის წარჩინებულებმაც ვახტანგს ქართლში წასვლა ურჩიეს. ვახტანგი აღში გადმოვიდა, აქ შეხვდნენ ერეკლე მეფის წარგზავნილები, „შემოჰფიცეს კათალიკოზმან და ლუარსაბ უვნებლობისათვის“ და ჩავიდა თბილისში. ვახტანგი ერეკლე მეფემ კარგად მიიღო და აცნობა შაჰის გადაწყვეტილებას. ამის შემდეგ, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, „...მოვიდა სურამს ვახტანგ და მოიყვანა ცოლი და ძენი თვისნი და სახლეულნი და იყოფებოდა ოდესმე ნაზარ – ალიხანისა თანა ხოლო რა ჟამს ეუფლა ვახტანგ მამულსა თვისსა, მოსცა აბაშიძემ ხეფინის ხევი: „ვინაიდგან მკვიდრი თქუენი არის“⁵³.

სენია ჩხეიძის მიხედვით, ვახტანგი ხარაგეულიდან რუსუდანთან და ბაქართან ერთად უშუალოდ სურამში გადმოვიდა. ამ შემთხვევაშიც შაჰმა წერილი (რაცაში) მოწერა ერეკლე მეფეს, რომელმაც „ისმინა ბრძანება ხელმწიფისა, აახლეს კაცი ბატონიშვილს ვახტანგს. იქავ იმერეთს ხარაგეულს ექნა ქორწილი ჩერქეზის ბატონის ასულს რუსუდანზედა და ესვა ძე ერთი ბაქარ, გადმოვიდა სურამს, შექქათ მათ ერთგულთა სიხარული და ორგულთა წყენა“⁵⁴.

ვახტანგი ქართლში გადმოსვლისას უნდა დაუფლებოდა სურამის ციხეს. ამრიგად, XVIII საუკუნის დასაწყისიდან სურამის ციხე ქართველების ხელშია, თუმცა ორი ათეული წლის შემდეგ იგი ახალი დამპყრობლის ხელში აღმოჩნდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1701 წელს, როდესაც ვახტანგ ბატონიშვილი სურამში – მამამისის საუფლისწულო მამულში დადგა, შემოიკრიბა თავისთან საუკეთესო მწერალ-მწიგნობარნი და დიდი სამეცნიერო და კულტურული მუშაობა გააჩაღა. სულხან-საბასთან ერთად შეადგინა დასტურლამალი, სამართლის წიგნი. შეკრიბა სიგელ-გუჯრები, ქართლის ცხოვრების ხელნაწერები და ნუსხები, შექმნა „სწავლულ კაცთა კომისია“, რომელსაც ბერი ეგნატაშვილი ჩაუყენა სათავეში. კომისიამ შეძლო შეეკვრო დიდი ხარვეზი ქართულ ისტორიოგრაფიაში და შეადგინა „ახალი ქართლის ცხოვრება“. ვახტანგის საქმიანობა, რასაც ადგილი ჰქონდა სურამში, XVIII საუკუნის I მეოთხედის ქართული მეცნიერებისა და კულტურის აღორძინების ხანის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ. ეს კი მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს სურამის კულტურული ცხოვრების ისტორიისათვის.

საინტერესო უნდა იყოს სურამის იერსახე. ქართულ და უცხოურ წყაროებში

⁵³ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა..., გვ. 478

⁵⁴ სენია ჩხეიძე, ამავე მუხვითა, გვ. 19

ამის შესახებ არაერთ საყურადღებო, თითქმის მსგავს ინფორმაციას ვნახულობთ. ჟან შარდენი, ფრანგი მოგზაური, წერს: „ქართლში ოთხი ქალაქია: გორი, სურამი, ალი და ტფილისი“. თუმცა იგივე შარდენი სურამის შესახებ მიუთითებს რომ „სურამი, კაცმა რომ თქვას, მხოლოდ და მხოლოდ დაბას წარმოადგენს, იგი უფრო პატარაა, ვიდრე გორი“⁵⁵. ჟან-შარდენი საინტერესოდ აღწერს სურამსა და მის შემოგარენს: „...გაგნრდით სურამის ველზე, ციხესთან ახლოს დიდ სოფელში, რომელსაც ასევე სურამი ჰქვია. სურამის ველი ძალიან ლამაზი ადგილია, დაფარულია დაბალი ტყეებით, სოფლებით, ბორცვებით, აგარაკებით და ქართველ დიდებულთა პატარა ციხეებით. მთელი მხარე დამუშავებულია, ერთი სიტყვით, იგი უმშვენიერესი კუთხეა“ (იქვე).

სურამმა მცირე ქალაქის სტატუსი შეინარჩუნა XVIII საუკუნის განმავლობაშიც. ვახუშტი ბატონიშვილი მას მცირე ქალაქს უწოდებს: „არს სურამი, მცირე ქალაქი“⁵⁶. ამასვე აღნიშნავენ სხვებიც. ალ. ამილახვარი სურამს ქართლის ერთ-ერთ მთავარ ქალაქად განიხილავს გორთან, ცხინვალთან და ალთან ერთად⁵⁷.

იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთში ქალაქის სამ ტიპზე მიუთითებს ესენია: ყასაბა, ყასამჩა და ქალაქი. სურამი იოანე ბატონიშვილის მიხედვით, ყასაბა ქალაქია⁵⁸. ასეთივე ქალაქებად არის მის მიერ მიჩნეული ანანური, ახალგორი, დუშეთი და ცხინვალი. გორი ყასამჩა ქალაქია, ხოლო ახალციხე, სიღნაღი და თბილისი ქალაქი. ამრიგად სურამი ქალაქის ტიპის დასახელებაა, პატარა ქალაქია, დაბაა. გამაგრებულ დაბად მოიხსენიებს სურამს მურავიოვი, რომელიც ამის შესახებ 1770 წელს პანინს წერს⁵⁹.

იაკობ რაინეგსი წერს, რომ სურამი (პლინიუსის სურიუმი) ქალაქია, მდებარეობს მდინარე სურამულაზე და უწინ კოლხეთს ეკუთვნოდა⁶⁰.

ერეკლე II-ს სურამი ქართლ-კახეთის ქალაქთა შორის აქვს მოხსენებული⁶¹. გიულდენშტედტი შიდა ქართლის მნიშვნელოვან ქალაქებს შორის – ცხინვალთან

⁵⁵ ჟან შარდენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 289

⁵⁶ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა..., გვ. 377

⁵⁷ ალ. ორბელიანი, ბრძენი აღმოსავლეთისა, 1997, გვ. 33

⁵⁸ ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 44

⁵⁹ შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბ., 1983, გვ. 228

⁶⁰ იაკობ რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 148

⁶¹ ჟ. „კვალი“, 1898, №11; შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, III, გვ. 228

და გორთან ერთად ასახელებს სურამს⁶².

ამრიგად, XVIII საუკუნეებში სურამი, თავის სიმცირის მიუხედავად, თითქმის ერთმნიშვნელოვნად სახელდება ქართლის ერთ-ერთ ქალაქად.

ინტერესს უნდა იწვევდეს საკითხი, თუ სად მდებარეობდა ძველი ქალაქი სურამი და როგორი ურთიერთობა იყო ქალაქსა და მისი სახელით ცნობილ ციხეს შორის. „შუა საუკუნეების ქალაქები, – წერს პროფ. პ. ზაქარაია, – წესისამებრ, ციხესთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც, იმ დროს ქალაქი ციხე-სიმაგრეა. ჩვეულებრივ ასე იყო შუა საუკუნეების ქალაქი, მაგრამ შეიძლება, ყოფილიყო გამო-ნაკლისიც, ე. ი. ქალაქი ციხის გარეთ, მას საკუთარი გალავანი არ ჰქონოდა“⁶³.

სხვათაშორის, სურამი მხოლოდ გვიანდელ რუსულ წყაროებში მოიხსენიება ციხე-ქალაქად, რაც სხაგან არ დასტურდება. იმ მონაცემის მიხედვით, რაც გავკაზნია ქალაქ სურამისა და მისი ციხის შესახებ, არ ჩანს, რომ სურამი, როგორც ქალაქი, ციხის შიგნით ყოფილიყო განთავსებული.

პ. ზაქარაია სურამის ძველი ნაქალაქარის ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით შემდეგს წერს: „სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ სურამი ფეოდალური ხანის ბოლომდე ქალაქი იყო და გასულ საუკუნეებში ისე მოშლილა ყველაფერი, რომ ახლა ნაქალაქარიც გარკვევით არ ჩანს. ასეთი სახელის მატარებელ ქალაქს დღემდე არ მოუღწევია. მისი ადგილმდებარეობა, კონკრეტულად, თუ სად იყო, დღევანდელ სოფელ სურამში არ ჩანს. არც მემპტიანეებს მიუთითებიათ. ადგილზეც ქალაქის ნანგრევები ამკარად არ ჩანს“⁶⁴. პ. ზაქარაია ამავე დროს სახსენებთ სამართლიანად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ციხე აუცილებლად ძველი ქალაქის შემადგენელი ნაწილი უნდა ყოფილიყო და მის გარშემო მიაჩნია სავარაუდებელი ნაქალაქარის არსებობა. „ლოგიკა გეკარნახობს, – აღნიშნავს პ. ზაქარაია, – რომ ქალაქის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს ეს დიდებული ციხე, რომელიც სოფლის აღმოსავლეთის ნაწილში დგას. მართალია, ჩვენამდე მოაღწია ციხის მთავარ ნაწილმა, მაგრამ მისი გაგრძელება უნდა ყოფილიყო ციხიანი კლდოვანი გორაკის სამხრეთ-აღმოსავლეთ და ნაწილობრივ დასავლეთით“⁶⁴. ამ მონაკვეთზე ჯერ კიდევ 40-იან წლებში ჩანდა რაღაც ნაგებობებისა და გალავნის კვალი. შეიძლება, ეს ნაშთები ნაქალაქარზე მიგვანიშნებდეს“⁶⁴. პ. ზაქარაია ქალაქ სურამთან დაკავშირე-

⁶² გიულენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანი-თურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1962, გვ. 267

⁶³ პ. ზაქარაია, ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია, უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე, თბ., 2002, გვ. 138

⁶⁴ ალბათ, უფრო ჩრდილოეთით, რადგან დასავლეთით ჩამოედინება მდ. სურამულა და ამ მხარეს ციხის განვითარება არ მოხერხდებოდა.

ბით აღნიშნავს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქალაქი ციხის გარეთაა გაშენებული. იგი წერს: „აქ უნდა გავიხსენოთ ვახუშტის ნაშრომის ერთი ადგილი. ავტორი ქალაქის დახასიათების შემდეგ აგრძელებს: „არს საშუალოს ციხე მაღალს კლდესა ზედა“, ე. ი. ქალაქის შუაზე არის ციხე. ვახუშტის ამ ტექსტიდან ნამდვილად დასტურდება, რომ კლდეზე აღმართული ციხე-ქალაქის შუაშია მოქცეული. ჩვენ მიერ მოყვანილი მსჯელობა ციხისა და ქალაქის ურთიერთობაზე, ვფიქრობთ, ამ ცნობით დასტურდება“. ამრიგად, პ. ზაქარაია ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაზე დაყრდნობით, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სურამში ციხე „ქალაქის შუაშია მოქცეული“ და იგი არ წარმოადგენს ციხე-ქალაქს, როგორც ხშირ შემთხვევაში ეს შუა საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი. აქ ქალაქის ციხის გარეთ არის და მას საკუთრივ გალავანი არ გააჩნია. აქ მხოლოდ ერთ მომენტზე უნდა შევაჩეროთ ყურადღება. მიუხედავად იმისა, რომ პ. ზაქარაია სწორედ განსაზღვრავს ციხისა და ქალაქის ურთიერთდამოკიდებულებას, არასწორად აქვს გაგებული ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები – „არს საშუალოს ციხე“. აქ ვახუშტი იმაზე კი არ მიგვანიშნებს, რომ ციხე ქალაქის შუაშია მოქცეული, არამედ იძლევა მის დახასიათებას და მიუთითებს, რომ სურამის ციხე სიდიდის მიხედვით საშუალოა, იგი დიდი ციხე არ არის, მაგრამ არც პატარაა, საშუალოა. ამდენად, ვახუშტის ცნობის პ. ზაქარაიასეული გააზრება ქალაქისა და ციხის ურთიერთობის განსაზღვრავად არ გამოდგება.

რასაც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს სურამის ციხის შესახებ, იგივე დასტურდება სხვა ავტორებთანაც (ეგლია ჩელები, ჟან შარდენი და სხვები). ეს ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სურამის ციხე პატარა, საშუალო ციხე-სიმაგრეა; ასახელებენ მისი გარნიზონის რაოდენობასაც, რაც საკმაოდ მცირეა და სხვა. იმაზეც მიუთითებენ, რომ იგი სურამთან, დასასწავლელ პუნქტთანაა ახლოს.

როგორი განვითარებაც უნდა ჰქონოდა სურამის ციხეს, იგი მაინც არ იქნებოდა ციხე-ქალაქი. ადგილზე ამის არავითარი მონაცემები არ არსებობს. ამაზე მიგვანიშნებს უცნობი იტალიელი მხატვრის გრაფიურაც. მართალია, ციხის გარშემო მოჩანს გალავნის ნაწილი, რაღაც შენობები, მაგრამ ეს მაინც არ მიუთითებს, რომ იგი ციხე-ქალაქია.

1770 წლის აპრილის აღწერით, სურამში 200 კომლი მოსახლეა (დაახლოებით 1000-ზე მეტი კაცი), რომელთა განთავსება ციხის შიგნით შეუძლებელი იქნებოდა, მით უფრო, რომ ყველა ავტორი მიუთითებს, რომ იგი საშუალო ციხეა და მაღალ კლდეზეა აგებული. ციხის ასეთი განლაგება კი მოსახლეობის ციხის შიგნით ცხოვრების არავითარ შესაძლებლობას არ იძლევა.

ქალაქი სურამი ციხის გარეთაა, მის გარშემოა განსაზღვრული მოსახლეობა.

მაგრამ მაინც როგორი იყო ქალაქის განვითარება ციხის გარშემო?

როგორც ცნობილია, სურამი თავიდანვე წარმოდგენილი იყო ქართველი, ებრაელი და სომეხი მოსახლეობით. ვახუშტის მიხედვით, „...არს სურამი, მცირე ქალაქი, მოსახლენი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი...“⁶⁵. თუ გვიანდელ ცნობებს მივიღებთ მხედველობაში, მოსახლეობა სურამში ციხის გარშემო ეთნიკური ნიშნის მიხედვით უბნებად ცხოვრობს. ალბათ, ასე უნდა ყოფილიყო ადრეც.

1878 წელს ჟურნალი „ივერია“ წერს: „სურამი უბან-უბან არის დაყოფილი მცხოვრებთა კვალობაზედ. არის განათლებულთა უბანი, გლეხთა უბანი, სომეხთა უბანი და ურიათა უბანი“⁶⁶. იგივე „ივერიის“ 1888 წლის ცნობით, „სურამს ძველთაგანვე, ციხის გარდა, შერჩენია სომეხები და ურიები, რომელნიც ციხის გარშემო ცხოვრობენ“⁶⁷.

ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, ისევე როგორც XIX საუკუნეში, წინა საუკუნეებშიც, ქალაქი სურამი უბნებად იყო წარმოდგენილი. ციხის გარშემო იყო სომეხებისა და ებრაელების დასახლება, აქვე უნდა ვივარაუდოთ ქართველი მოსახლეობის რაღაც ნაწილიც, რაზეც უნდა მიგვანიშნებდეს ამ მხარეს (მდ. სურამულას მარცხენა სანაპირო) ქართული ეკლესიების – კვირაცხოველის, ღვთისმშობლისა და წმ. მარინეს ეკლესიების არსებობაც. მაგრამ ქართული მოსახლეობა ძირითადად მაინც მდ. სურამულას მარჯვენა მხარეს ჩანს. ღვთაებისა და სამების ეკლესიების სიანხლოვეს. აქ უნდა ვიგულისხმობთ ჟურნალ „ივერიის“ დასახელებული „განათლებულთა უბანი“ და „გლეხთა უბანი“. „განათლებულში“ თავადაზნაურობა, ხოლო „გლეხებში“ ჩვეულებრივ ქართველი მოსახლეობა უნდა მოვიანოთ. ზოგიერთ ისტორიულ წყაროში გვხვდება „ზე სურამიც“. „ზე სურამი“ დაფიქსირებულია რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარში⁶⁸. უფრო ადრე დოროთეოზ კათალიკოსის იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიისადმი შეწირულობის ცნობილ სიგელში⁶⁹ და სხვ.

„ზე სურამი“ ზემო სურამს ნიშნავს და იგი გვერდისუბანი უნდა იყოს. ამაზე მიგვანიშნებს ის ფაქტი, რომ წყაროებში ერთდროულად, მონაცვლეობენ „ზე სურამი“ და გვერდისუბანი. „ზე სურამისა“ და გვერდისუბნის იდენტურობაზე მიგვანიშნებს აგრეთვე მთელი რიგი სხვა მონაცემებიც. ამრიგად, სურამის ციხის გარ-

⁶⁵ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა..., გვ. 377

⁶⁶ ჟ. „ივერია“, 1878, №12, გვ. 2

⁶⁷ გაზ. „ივერია“, №15, 1888

⁶⁸ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, H-1294

⁶⁹ ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 35

შემო არსებობს ქალაქი. ციხე-სიმაგრე კი დასახლების ცენტრში, ამაღლებულ გორაკზეა აღმართული. შ. მესხია აღნიშნავს, „...ისე, როგორც მთელ ქვეყანაში, საქართველოს ქალაქებშიც ბატონყმური ურთიერთობა იყო გაბატონებული და მისი მოსახლეობის ძირითად ნაწილს ყმა ხელოსნები და ვაჭრები წარმოადგენდნენ“⁷⁰.

შ. მესხიას ეს დებულება სურამის შემთხვევაში ბოლომდე არ გამოგვადგება. მართალია, აქ სახეზეა ხელოსანთა და ვაჭართა ფენა, მაგრამ ჩანს, რომ ეს ფენა მცირერიცხოვანი უნდა ყოფილიყო და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. მოსახლეობის საქმიანობის მთავარი მიმართულება იყო მიწათმოქმედება, მევენახეობა და მესაქონლეობა. ეს კარგად ჩანს ისტორიული წყაროებიდან და დოკუმენტებიდან. სურამის მოსახლეობა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, თავიდანვე ერთფეროვანი არ უნდა ყოფილიყო, აქ საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ ქართველები, ებრაელები და სომხები. ამ ფაქტმა ასახვა ჰპოვა, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ წყაროებში.

ეკლია ჩელები მიუთითებს, რომ სურამის „მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველები, გოქლოლაკები და სომხები არიან“⁷¹. ასეთივე შემაღვენლობით არის წარმოდგენილი სურამის მოსახლეობა ვახუშტი ბატონიშვილთან. მის მიხედვით, აქ „მოსახლენი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანნი“⁷².

შემორჩენილია მოსახლეობის XVIII საუკუნის აღწერა არაერთი დავთარი, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის სურამის მოსახლეობის არა მარტო ეთნიკურ თუ რელიგიურ, არამედ სოციალურ მდგომარეობაზეც.

რუისის სამწყოს 1715 წლის აღწერის დავთარში სურამიდან შეყვანილია 22 კომლი (მურვანიშვილი (2 კომლი), ტურლიაშვილი, ციმაკურიძე, ბაიაშვილი, პაპინაშვილი, ნებიერიძე (2-2 კომლი), სანდაძე, ჯობაძე (8 კომლი), ლოხინაიშვილი, ბებიაშვილი (3-3 კომლი), რევაზიშვილი, ბარბაქაძე (2-2 კომლი), ძანაშვილი, ბიბილური, შათირიშვილი, ურიაყოფილი, სვიმონაშვილი, კვირიკაძე (თითო კომლი)⁷³.

ამავე დავთარში „ზე სურამიდან“ (გვერდისუბანი) შეყვანილია 15 კომლი (მთიულიშვილი, გვერეხაშვილი (4), ბებიაშვილი, ქურდაძე, ღარეშიშვილი, ცხრელაშვილი, ყიშშიძე, ადობლიშვილი, ჩოლაყაშვილი, მუჟლაძე, ბარბაქაძე (იქ-

⁷⁰ შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. III, გვ. 269

⁷¹ ეკლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაუთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკ. I; თბ., 1971, გვ. 296

⁷² ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა..., გვ. 377

⁷³ ხეც, H-1294

ვე)·

ვფიქრობთ, რომ დავთარში სურამიდანაც და გვერდისუბნიდან ქართველი მოსახლეობის მხოლოდ ის ნაწილია შეყვანილი, რომელთაც რუისის ეკლესიის მიმართ რაიმე ვალდებულება ჰქონდათ დაკისრებული.

სურამის მოსახლეობის შედარებით სრული აღწერა მოცემულია ოსმალების მიერ 1728 წელს შედგენილ თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში.

სოფელი **სურამი**, ასეა დავთარში დაფიქსირებული გვიანდელი ზემო ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი. აქ 148 კომლია (სახლია) აღწერილი. მათ შორის არის ხუთი ახნაური. რაც შეეხება გადასახადების გადამხდელ სრულასაკოვან კაცს, 255-ია. სურამში არის მიწის ნაკვეთი, რომლის მესაკუთრეც იხდის 100 ახნას. ისფინჯის გადასახადს 255 კაცი იხდის და შეადგენს 8000 ახნას. ერთ კაცი იხდის 32 ახნას. რაც შეეხება მარცვლეულის გადასახადს. სურამელები იხდიან 100 ქილა ხორბალს (2000 ახნა); 80 ქილა ქერს (1600 ახნა); 20 ქილა ჭვავს (300 ახნა); 20 ქილა ფეტვს (300 ახნა). უშრის გადასახადი ვენახზე სურამისათვის შეადგენდა 2000 ახნას. აქ იყო 50 ღონუმი ვენახი. როგორც სხვაგან, აქაც ერთ ღონუმზე გადასახდელი იყო 40 ახნა. სურამელები იხდიან უშრის გადასახადს აგრეთვე ხილზე – 50 ახნას. ერბოზე გადასახადი იყო 120 ახნა, სკაზე – 90, ცხვარზე – 910 და ღორზე 120 ახნა. სურამელები იხდიან თივაზე გადასახადს – 90 ახნას. არუსანეს გადასახადი შეადგენდა 180 ახნას, ხოლო ღეშთიბანი-სა და მიწაზე თაფუს გადასახადი 80 ახნას. სურამში ამ დროს ყოფილა ერთი თვალი წისქვილი, რომელზეც წლიურად გადასახადი შეწერილია 120 ახნა. ბაღიჭავას ჯგუფის გადასახადები შეადგენდა 40 ახნას. ოსმალური გადასახადების ოდენობა სულ სურამისთვის შეადგენდა 15000 ახნას⁷⁴.

დავთარში ოსმალური გადასახადები გაერთიანებული უნდა იყოს **გვერდისუბნისა და ებრაელთა დასახლებისათვის**. გვერდისუბანში აღწერილია 19 კომლი (სახლი) 26 სრულწლოვანი გადამხდელით. მიწის ნაკვეთზე შეწერილია გადასახადი 50 ახნის ოდენობით. რაც შეეხება ებრაელთა დასახლებას, აქ აღწერილია 36 კომლი, რომელშიც არის გადასახადების გადამხდელი 46 სრულასაკოვანი კაცი. ისფინჯის გადასახადი შეადგენს 1500 ახნას. მარცვლეულის გადასახადი შეადგენდა: 50 ქილა ხორბალს (1000 ახნა), 25 ქილა ქერს (500 ახნა), 20 ქილა ჭვავს (250 ახნა) და 20 ქილა ფეტვს (250 ახნა). უშრის გადასახადი ვენახზე შე-

⁷⁴ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წიგნი I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევიითა და ფაქსიმილიებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. ს. ჯიქიამ და პროფ. ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 258-261

ადგენდა 540 ახჩას. აქაც არი 14 დონუმი ვენახი. უშრის გადასახადი იყი ხილზეც – 80 ახჩა. ერბოზე გადასახადი შეწერილი იყო 120 ახჩა, თივაზე – 80, სკაზე – 90, ცხვარზე – 150 და ღორზე – 60. არუსანეს გადასახადი 120 ახჩაა შეწერილი, დეშთობანისა და მიწაზე თაფუს გადასახადი კი 80 ახჩა. ბადიჰავას ჯგუფის გადასახადი 80 ახჩაა. გადასახადების ჯამი შეადგენს 5000 ახჩას⁷⁵.

როგორც აღინიშნა სურამში ცხოვრობს 148 კომლი, აქვე ნაგულისხმევი უნდა იყოს სომხობაც. კომლთა შორის 5 საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენელია – აზნაურია. რაც შეეხება გვერდისუბანს, აქ წარმოდგენილია 26 კომლი. დავთარში ცალკეა გამოყოფილი ებრაელთა დასახლება 50 კომლით. თუ გავითვალისწინებთ, რომ დავთრისეული გვერდისუბანი (რუისის სამწყოსეული „ზე სურამი“) სურამის ერთ-ერთი უბანია (გვერდისუბანია), მისი ნაწილია, ამას გარდა ებრაელთა დასახლებაც სურამს უნდა მივაკუთვნოთ, მაშინ სურამში, (გვერდისუბნისა და ებრაელთა დასახლების ჩათვლით) ცხოვრობს 218 კომლი, დაახლოებით 1090 კაცი. მოსახლეობა მცირედ შემცირებული ჩანს XVIII ს-ის 70-იანი წლებისათვის. 1770 წლის 5 აპრილის აღწერით, „არს მცირე ქალაქი სურამი და ამას შინა მკვიდრობენ ქართველნი, სომეხნი და ურიანი, კომლი ორასი“⁷⁶. ამ ცნობის თანახმად, 1770 წლისათვის სურამში დაახლოებით 1000-ზე მეტი სული ცხოვრობს. უფრო შემცირებული ჩანს მოსახლეობა XIX ს-ის დასაწყისისათვის. 1804 წლის კამერალური აღწერით, სურამში სულ 129 კომლი ცხოვრობს. აქედან სახაზინი იყო 72 (ქართველი – 21 კომლი, სომეხი – 38, ებრაელი – 12). დანარჩენი 57 კომლი ეკუთვნოდათ ბევრთაბეგიშვილებს, თარხნიშვილებს, ხიდირბეგიშვილებს, ჩხეიძეებს, აბაშიძეებს, ერისთავებს და სხვ.⁷⁷

სურამი XVII-XVIII- საუკუნეების განმავლობაში ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო და აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. ასეთივე მდგომარეობა შეინარჩუნა მან XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისშიც.

ჩვენ არ მოგვეპოვება პირდაპირი ცნობები, თუ როგორ იყო წარმოდგენილი XVII-XVIII სს-ში სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები სურამში. სხვა სურათი გვაქვს XIX ს-ის სურამის სავაჭრო-ეკონომიკურ სურათზე. ამ მხრივ მეტად

⁷⁵ იქვე, გვ.264-265

⁷⁶ ვ. მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის II ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III, ნაკ. I, თბ. 1988, გვ. 547

⁷⁷ ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 145-146

საინტერესო მასალაა დაცული საქართველოს სიძველეთსაცავებში. ძალზე მწირი ცნობებია შემონახული სურამში ხელოსნობის საერთოდ და კერძოდ, მისი ცალკეული დარგების შესახებ. ალბათ, ხელოსნობა აქ ისევე უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, როგორც ეს მის მსგავს საქართველოს მცირე ქალაქებში იყო. ცხადია, როგორი მცირეც არ უნდა ყოფილიყო ქალაქი, ამ შემთხვევაში სურამი, ქალაქისათვის დამახასიათებელი ეს მნიშვნელოვანი სფერო – ხელოსნობა რაღაც დარგებით (რაც აუცილებელი იყო ყოველდღიური ცხოვრებისათვის) მაინც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სამღებროები. საეთოდ, „სამღებროებსა და ღებვის საქმეს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ფეოდალურ საქართველოს მერნეობაში“⁷⁸.

სამღებროების არსებობას დიდი ხნის ისტორია აქვს. მათი რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა XVIII საუკუნეში, სამღებრო გვხვდება არამარტო სურამში, არამედ მასთან ახლოს მდებარე დასახლებულ პუნქტებში: ბეკაშში, ქვიშხეთში, ხეფინისხევეში, ვახანში და სხვაგან. ნიკო ბერძენიშვილის ცნობით, XIX საუკუნის დასაწყისში სურამში (თუ ჭალაში) აგებენ ახალ ორ (ერთი იყო) სამღებროს. დასტურლამალის მიხედვით, სამღებროები დედოფლს ეკუთვნოდა. სურამის სამღებროებიც სადედოფლო იყო და დარეჯანი განაგებდა. დარეჯან დედოფალი 1772 წლის ერთი წერილით სურამის მოურავს იესე მურვანიშვილს ავალებს, ვახანიდან გადმოიყვანოს მისი „მამიდაშვილის მხეიდის შვილი“ და თხოვს, რომ ცხენის ქირა მისი სამღებროს „გამოსავლიდან“ გასცეს⁷⁹.

ამავე წერილში დედოფალი იესე მურვანიშვილს წერს, რომ სამღებროს გამოსავლიდან მას „უნდა გაერიგებინა ბაჟი“ მღებრისათვის და ახლა მას ავალებს „გაურიგოს: „მაგ მღებარს, მიეც ახლავ... შარშანდელი სულ მიცემული აქვს და წელს ხომ ჯერ დრო არ მოსულა. რა წამს ჩვენი წიგნი მოგივიდეს მაშინვე მიეც, თორემ დიად გიწყენთ იცოდე“. პროვინციაში სამღებროები განსხვავდებოდა მართვის მხრივ. თუ ქართლის, საბარათაშვილოს და ყაიყულის სამღებროების მართვა ქალაქის მღებართუხუცესის ხელით ხდებოდა, ზემო ქართლში (ამ შემთხვევაში სურამის, ბეკაშის, ზემო ჭალის და სხვ.) სამღებროები იჯარით გაიცემოდა და ასე ხდებოდა მათი მართვა.

ნ. ბერძენიშვილის თანახმად, სურამის, ხეფინისხევას, ბეკაშის სამღებროების

⁷⁸ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1967, გვ. 309

⁷⁹ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Ad-1433

საიჯარო ფასი 12 თუმანი უნდა ყოფილიყო⁸⁰.

იაკობ რაინეგსი აღნიშნავს, რომ „რადგან (სურამი – თ. ლ.) ერთადერთი სასაზღვრო ადგილია იმერეთსა და ქართლს შორის, ამიტომ იქ საკმაოდ გაცხოველებული ვაჭრობაა“⁸¹. ამ ცნობის მიხედვით, სურამში თავს იყრიდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოდან, ახალციხის საფაშოდან ცნობილი ვაჭრები. სისტემატურად იმართებოდა ბაზრობები. სურამში, თუნდაც მწირი ცნობების საშუალებით, ცნობილი ხდება, რომ გამართული იყო სავაჭრო დუქნები და სახელოსნოები.

გიორგი ქართველიშვილმა 1757 წლის 19 მარტს ყოფილი ურიაყოფილს მიჰყიდა თავის სამკვიდრო ალაგი, რომლის ერთი გვერდი „დუქნის მიდგამამდია“⁸². ლუარსაბ მურვანიშვილის ასულის – მაიას თხოვნაში (XIX ს-ის დასაწყისი) აღნიშნულია, რომ მათ სურამში ეკუთვნით ექვსი დუქანი⁸³. 1810 წლის 20 მარტს გიორგი სალიბეგაშვილმა როსტომ ფასუაშვილს მიჰყიდა მის მიერვე „...ნასყიდი ხეროდინაშვილისეული სადუქნე, ზომით ხუთი ადლლი განი და შვიდი ადლი სიგრძე, ქვეით გვერდი მამინაშვილის დუქნის მიდგამამდი...“⁸⁴. ამილახორთა 1856 წლის გაყრის აქტიდან („აქტი გაყოფისა“) სურამში დუქანი ერგო იოანე ამილახორს⁸⁵.

სურამის ებრაელების ერთი, მცირე, ნაწილისათვის ძირითად საქმიანობას ვაჭრობა წარმოადგენდა. რაც შეეხება ებრაელთა მეორე ნაწილს, უმრავლესობას, მათი ეკონომიკური საქმიანობა უმთავრესად დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობასთან. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ვაჭარ-ებრაელთა ფენისათვისაც უცხო არ უნდა ყოფილიყო სოფლის მეურნეობა, მიწათმოქმედება. ეს კარგად ჩანს იმ სამართლებრივი აქტებიდან რომლებიც ეხება მიწის ყიდვა-გაყიდვის ფაქტებს და სხვ. საქართველოს ისტორიაში ცნობილი ფაქტია, რომ ყველა ნებისმიერი ეროვნება, ვინც კი აქ ცხოვრობდა, სამართლებრივი თვალსაზრისით, გათანაბრებული იყო ადგილობრივ მოსახლეობასთან, უფლებრივად მდგომარეობა ყველასთვის თანაბარი იყო. ეს კარგად ჩანს სამართლებრივი ხასიათის ძეგლებიდან. ხშირია შემთხვევა, როცა ებრაელთა სამართლებრივი განსჯა ებრაული სამართლით

⁸⁰ ნ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, IV, გვ. 323

⁸¹ ი. რაინეგსი, მოგზაურობა საქართველოში, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გია გელაშვილმა, თბ. 2002, გვ. 248

⁸² სცსსა, ფ. 1450, დავთ. 48. საბ. 96

⁸³ ხეც, Hd-9093

⁸⁴ ხეც, Qd-10656

⁸⁵ სცსსა, ფ.1449, საბ. 277

ხდება. იგივე ითქმის სომხებისა და ბერძნების შესახებაც. სამეფო კარი ყოველთვის ცდილობდა, დაეცვა ებრაელების კანონიერი ინტერესები, ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა მათ საჩივრებსა და მოთხოვნებს და სადავო საკითხებს კანონის თანახმად წყვეტდა. აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულების მიერ ყურადღება არ ექცეოდა სოციალურ მდგომარეობას. ამასთან დაკავშირებით არაერთი საბუთი შეიძლება მოვიშველიოთ. განსაკუთრებით საინტერესოა თავად ხიდირბეგიშვილებსა და მანაშერაშვილებს შორის ატეხილი დავა, რომელიც ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრდა.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან სურამი, ისევე როგორც მის სიახლოვეს მდებარე დასახლებული პუნქტები, სისტემატურად განიცდიდა ლეკთა თავდასხმებს. ამავე დროს იგი ზემო ქართლში ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლის დასაყრდენ ცენტრს წარმოადგენდა. სურამი და მისი ციხე 1742-1745 წლებში ყიზილბაშების წინააღმდეგ აჯანყებული გივი ამილახვარის დასაყრდენს წარმოადგენდა. სურამი XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან რუსეთის ყურადღების ცენტრშია. აქ სხვადასხვა დროს რუსეთის საჯარისო ნაწილები იდგნენ. აქ არსებობდა საბაჟო. საქართველოს ქალაქების მართვა-გამგებლობა მეფის მიერ დანიშნული მოხელეების მეშვეობით ხორციელდებოდა. ასევე იყო სურამშიც. მას ჰყავდა თავისი „მოხელენი და მოსაქმენი“. დოკუმენტებში ხშირად ვხვდებით ისეთ მოხელეებს, როგორებიც არიან მოურავი, მამასახლისი, ნაცვალი, მწერალი, მებაჟე, ციხისთავი და სხვ. ინტერესს იწვევს სურამის მოურავის სარგო. შემორჩენილია სურამის მოურავის ევგენი აბაშიძის მოხსენება რუსული მმართველობისადმი მისი კუთვნილი სარგოს შესახებ. მოხსენების მიხედვით იჯარიდან და ბაჟიდან მისი შემოსავალი იყო: „ვინც იჯარას აიღებდა, იმას ფეშქაში, იქილამ მერგებოდა ოცი თუმანი. რაც ბატონის ფარჩა იყიდებოდა, იქილამ მერგებოდა თუმანზე ორი შაური, ათითორმეტი ათასი თუმნის იყიდებოდა. ლეკებსაც მიეცემოდა შვიდი-რვა ათასი თუმნის ფარჩა, იქილამ მერგებოდა თუმანზე ორი შაური“. მას დანიშნული ჰქონდა წლიური ულუფაც: „წლის ულუფა მქონდა დღემდე ორი ლიტრა პური, სამი ლიტრა ქერი, ორი თუნგი ღვინო, ორი ლიტრა ხორცი, მარხვის ერთი წყვილი დოში, ერთი ჩარეკი ხიზილალა, ღამეში ორის ბისტის სანთელი“. მთლიანი შემოსავლის შესახებ მოხსენიებაში ნათქვამია: „მოურავი ვიყავი სურამისა, ალიას ქებინის ხევისა, ვარაუდით მოვახსენებთ, ოცი თუმნისა მეტი მერგებოდა, მაგრამ ცოტა და-

მიწერია⁸⁶.

ევგენი აბაშიძის სარგოზე სურამის მოურაობიდან სხვაგან ნათქვამია: „მესამე სახელო სურამი უკანასკნელის მეფისაგან ბოძებული თავად ევგენისა და დავითს და პაატას სახელზედ ჩყ (1800) წელსა, აპრილის დ (4) დღესა. ესეცა არის თანა-შეერთებული ხეფინის ხევის მოურაობასთან. აქედამ გვეკონდა შემოსავალი ბაჟის ათისთავი, სამღებროს ათისთავი და ახალწელიწადს სამი დღე, რაც შეილებე-ბოდა საჩექმე, თავის გასამტეხლო, გასამყრელო შეძლების გვარად და ძღვენი. აგრეთვე სხვა რიგათ წვრილი შემოსავალი ან მოჩივარიდამ და ან სხვიდამ იქნებოდა წელიწადში უმეტესი ორმოცდაათის თუმნისა...“⁸⁷.

ევგენი აბაშიძის რძალი სალომე მეუღლის (პაატა აბაშიძე) გარდაცვალების შემდეგ 1805 წელს წერდა: „ჟამსა განსვენებულისა ირაკლისასა იყო მოურავად თავადი ევგენი აბაშიძე და ძე მისი პაატა საქართველოს ჩვეულებებისამებრ და შემდგომად უკანასკნელის მეფის გიორგის დამტკიცებით მიიღო ძემან მისმა და ქმარმა ჩემმან პაატა აბაშიძემან მოურაობა სრული ყოველსა ზედან და მართავდა იგი მათ... და იყო მათი შემოსაველი ჩვენად სარგო უმეტეს სამასის თუმნისა, როდესაც ვფლობდით ვიდრე 1805 წლამდე...“⁸⁸.

სურამის, როგორც ქალაქის, სამოხელეო ინსტიტუტში **ციხისთავის** სახელოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელო იყო. რადგან სურამის ციხე სახელმწიფო ციხედ ითვლებოდა, მის ციხისთავს სამეფო კარი ნიშნავდა. პროფ. შ. მესხია აღნიშნავს, რომ „ამა თუ იმ ქალაქის ციხისთავი იმის მიერ ინიშნებოდა, ვისაც ქალაქი ეკუთვნოდა თუ ემორჩილებოდა. როცა საქართველოს ზოგიერთი ქალაქი უცხო დამპყრობელთა ხელში იყო, ციხისთავი უცხოელ მებატონეთა მიერ დანიშნული და ქალაქში უცხოელთა ბატონობისა და პოლიტიკის განმხორციელებელი იყო. ხოლო, როცა ესა თუ ის ქალაქი საქართველოს მეფეთა კუთვნილებას შეადგენდა, ქალაქის ციხე და მისი ციხისთავი ქალაქის მფლობელი, ქალაქის მოსახლეობაზე ბატონობის გამტარებელი იყო“⁸⁹. აღნიშნული მთლიანად ვრცელდება სურამის ციხეზეც.

არაერთ დოკუმენტში დაფიქსირებულია სურამის ციხის ციხისთავი, გვხვდება აგრეთვე უცხოური ტერმინითაც – „მინაში“. ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი,

⁸⁶ ხეც. Hd-89 72; იხ. აგრეთვე, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, გვიანფოლად-ლური ხანა, წიგნი III, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ 351-352

⁸⁷ ხეც. Hd-3871

⁸⁸ ხეც. Hd-4035

⁸⁹ შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1983, გვ. 454

რომელშიც იხსენიება სურამის ციხის ციხისთავი, მიეკუთვნება XVII საუკუნის 30-იან წლებს. ეს არის როსტომ მეფის 1633 წლის წყალობის წიგნი, რომლითაც ფარეშთუხუცესს პაატა ჯავახიშვილს ახალდაბის მოურავობა აქვს ნაბოძები. მასში ნათქვამია: „აწე მიბრძანებია კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, სხუანო მოსაქმენო, სურამის ციხისთავო, მოურავო, თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარეგათაც ამა ჩუენისა ნაწყალობევსა ფარვანაში ეწეროს და ნუ შეეცდებით, თანა ღვთისა და შეწევნისაგან კიდე“⁹⁰. როსტომ მეფის 1635 წლის სიგელში, რომელიც ეხება ნასყიდა არუწაშვილისათვის გენახის დაბრუნებას, სამეფო კარის მოხელეების გვერდით გვხვდება სურამის ციხისთავიც. „აწე გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხუათა მოსაქმენო, სურამის ციხისთავო, ვინცავინ ღღეს იყვნეთ და ანუ ამას უკან იქნებოდეთ, თქვენცა ასრე გაუთავეთ და ნურას მოუშლით“. სურამის ციხისთავი ასევე გვხვდება როსტომ მეფის მიერ შამხულიძეებისათვის სურამში 1644-1645 წლებით დათარიღებულ მამულის წყალობის წიგნში, ელენე დედოფლის მიერ აბაზაძის გვარისათვის 1693 წლის მიცემულ სიგელში და სხვ.

ლოკუმენტიდან ჩანს, რომ სურამის სამოხელეო ინსტიტუტში სურამის ციხისთავს საპატიო ადგილი უჭირავს და მისი გავლენა საკმაოდ დიდია ამ მხარეში. სურამის ციხეს გარდა ციხისთავისა (მინბაშისა), ჰყავს აგრეთვე **ასისტავი (უზბაში)**. ეს დასტურდება ერეკლე II მიერ მდივანბეგ ნიკოლოზისადმი (აბაშიძე) 1785 წლის 6 აგვისტოს გაგზავნილი წერილით. წერილის მიხედვით, ქვიშხეთელი აბაშიძეების წარმომადგენელს, ნიკოლოზ აბაშიძეს, რომელიც მდივანბეგის სახელის ფლობს, თვითნებურად დაუკავებია სურამის ციხე. ამ თვითნებობას მოჰყვა ერეკლე მეფის წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ახლა სურამის მოურავისა გვესმის, რომ სურამის ციხეში აღარ უშვებ და დაგიბოძონია. შენ მაგ ციხეში სრულობით საქმე არა გაქვს რა. მაგ ციხიდან უნდა გამოხვიდე, მამულები გაქვს და თქვენს მამულში, საცა გინდოდეს, მიბრძანდი და დადეგ, **მინბაშისა და უზბაშეებისათვის** (ხაზი ჩვენია – თ. ლ.) მოგვიწერია, ეს ასე უნდა აღსრულდეს: თქვენი მანდ ღვთა აღარ იქნება“ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზემოთ მოტანილი წერილის მიხედვით, სურამის ციხეს რამდენიმე უზბაში (ასისტავი) ჰყავს.

სურამის ციხის მიმართ სამეფო კარი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა, ასეთივე ყურადღება ჩანს ციხისთავის მიმართაც.

საბუთებში გვხვდება აგრეთვე ციხის სხვა მოხელეებიც, კერძოდ, თავლანდა-

⁹⁰ ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, ტფ., 1909, გვ. 31

რი. სურამის ციხის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის იულონ ბატონიშვილის მიერ 1793 წელს სურამელი ბერი ლოტუაშვილისათვის მიცემული წყალობის წიგნი, რომელიც თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. მასში საუბარია სურამის ციხისთავის შესახებ და ამ მხრივ დოკუმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი ერთადერთ სრულყოფილ წერილობით წყაროს წარმოადგენს სურამის ციხისთავის სამოხელეო ინსტიტუტის შესახებ.

წყალობის წიგნის მიხედვით, ბერი ლოტუაშვილი სურამის მამასახლისი ყოფილა და რაღაც მიზეზის გამო ეს სახელი მისთვის ჩამოურთმევიათ, თუმცა იულონ ბატონიშვილი იქვე მიუთითებს, რომ იგი სამეფო კარის „ერთგული მოსამსახურე კაცი“ იყო და მამასახლისის სახელს ჩამორთმევა მისი სურვილით არ მომხდარა. როგორც ჩანს, ამ საქმეში ისეთი პირი ყოფილა ჩარეული, რომელსაც უარი „არ ეთქმოდა და იმისის შუამავლობით სურამის მამასახლისობა სხვას ებოძა“.

ამის შემდეგ, – განაგრძობს იულონ ბატონიშვილი, – „მისმა სიმღლემა, სრულიად საქართველოს მეფემ ბატონმა მამაჩვენმა და საქართველოს დედოფალმა ბატონმა დედაჩვენმაც ინებესთ, და ჩვენ იმ სახელს სამაგიეროდ წყალობად თქვენ (ე. ი. ბერი ლოტუაშვილს – თ. ლ.) სურამის მეციხოვნობა გიბოძეთ, რომ ის ციხე თქვენ უნდა გეპარებოდესთ. როგორც მეციხოვნობის რიგი და მართებულია იმ წესით უნდა იქცეოდეთ. ამას გარდა, კიდევ გიბოძეთ ციხის თავლანდრობა, რაც იქ სათავლანდრო საქმე არის სულ თქვენ უნდა გეპარებოდესთ და გეკითხებოდესთ. ამ სახელოების მოვლაზედ დიდად ბეჯითად უნდა იყოთ, და რაც შეგეძლოსთ, თქვენ გარჯას უნდა არას აკლებდეთ. მარადის ის ციხე თქვენ გაბარათ და თავლანდარიც თქვენა ხართ“.

ამრიგად, 1793 წლიდან სურამის ციხისთავი ბერი ლოტუაშვილია, რომელსაც ეს სახელო უჭირავს 1797 წლამდე.

როგორც ცნობილია, ქალაქის ციხისთავს სამეფო ხელისუფლება ჯამაგირსა და ულუფას უნიშნავდა. იულონ ბატონიშვილის წყალობის წიგნის მიხედვით, ჯამაგირი და ულუფა აქვს დანიშნული სურამის ციხისთავსაც. როგორც ცნობილია, სურამში არსებობდა საბაჟო და აქაც ქალაქში შემოტანილ საქონელზე დაწესებული იქნებოდა საგანგებო ბაჟი, რომელიც „სამინბაშო ბაჟის“ სახელწოდებით არის ცნობილი. სამინბაშო ბაჟს სამეფო ხელისუფლება განსაზღვრავდა და გათვალისწინებული იყო არა მარტო „ციხის კარის გასამშვენებლად“, არამედ თავად ციხისთავისთვისაც.

წყალობის წიგნის მიხედვით, სურამის ციხისთავი გათავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისგან და სურამის საბაჟოდან წელიწადში დანიშნული აქვს

სამი თუმანი. „ჩვენ ყოველი სათხოვრიდამ ასე გაგვითარხნებიხართ, და გაგვითავი-სუფლებიხართ, რომ არავითარი სათხოვარი თუ ბეგარა არა გეთხოვებთ რა. ამას გარდა, ჯამაგირიც გიბოძეთ წელიწადში სამი თუმანი. იქაურის ბაჟილად ყოველსა წელიწადს უნდა აიღებდეს,“ – ნათქვამია დოკუმენტში. ეს არის ერთადერთი პირდაპირი მითითება სურამის ციხისთავის ჯამაგირის შესახებ. იულონ ბატონიშვილი იქვე მიუთითებს ბერი ლოტუაშვილს, რომ „ჩვენს სამსახურზე რასაც ერთგულად კიდევ უფრო გარჯას გვიჩვენებთ, სხვა წყალობაც დაგემართებათ“.

ამრიგად, ერთგული და თავდადაბული სამსახურისთვის ციხისთავს სამეფო კარისაგან, შეიძლებოდა კიდევ სხვა არაერთი წყალობა მიეღო.

სურამის ციხეში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მუდმივად უნდა მდგარიყვნენ მეციხოვნეები. მისი გარნიზონის შემადგენლობა რაოდენობრივი თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ხშირად იცვლებოდა. ერთ-ერთი პირველი ცნობა სურამის ციხის გარნიზონის რაოდენობის შესახებ ფრანგ მოგზაურთან – ჟან შარდენთან არის დაფიქსირებული. მისი თქმით, სურამის ციხის გარნიზონი ასი კაცისაგან შედგებოდა. სურამის ციხის გარნიზონი ძირითადად სამეფო ყმა-გლეხებისაგან შედგებოდა, ამას ემატებოდა ადგილობრივი თავად-აზნაურების ყმა-გლეხებიც. მათი შენახვა მოსახლეობას ეკისრებოდა. 1774 წელს ერეკლე მეფე ერთ-ერთ ბრძანებაში, რომლითაც სურამის მოურავს ციხეში ხალხის დაყენებას ავალებს, ნათქვამია: „ერთიც ეს სამი კაცი ჩვენის სახასოლად და ორი შენი კაცი, ხუთი კაცი ციხეში დააყენე. ამათთვის სურამში მყოფთ მემკვიდრემ და ხიზანმა თითო ლიტრა ფუკილი და თითო თუნგი ღვინო უნდა მისცეს“⁹¹.

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სხვადასხვა დროს სურამის ციხისთავები იყვნენ მურვანიშვილების, ხიდირბეგიშვილების, ჩხეიძეებისა და სხვა გვარის წარმომადგენლები.

ისეთი მოხელე, როგორც არის **მწერალი**, ანუ **მღვანი**, სურამში ტრადიციულად ზეროდინაშვილების გვარი ფლობდა.

სურამში, როგორც ჩანს, ოდითგანვე უნდა ყოფილიყო საბაჟო. წყაროებში XVIII საუკუნოს დასაწყისიდან გვხვდება, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას რომ მანამდე აქ საბაჟო არ იყო.

როგორც სხვაგან, აქაც საბაჟო იჯარით გაიციმობდა. 1799 წლის 17 სექტემბრით დათარიღებულ ფარნაოზ ბატონიშვილის სახელზე ისაკ მანაშერაშვილის მიცემულ საჩივარში არუთენა ლოტუაშვილი აცხადება, რომ მას სურამის საბაჟო

⁹¹ ხეც, Hd -11054

ეჭირა⁹². 1800 წლის 7 ივნისს ღვათ ბატონიშვილი სურამის მოურავებს ევგენ და ღვათ აბაშიძეებს სურამისა და ხეფინის ხევის ბაჟისა და სამღებროების განკარგვას ავალებს: „ბატონს სურამის და ხეფინის-ხევის მოურავს, აბაშიძეებო ევგენ და ღვათ! მერმეთ როგორც რიგი იყოს და ჩვენი შესამატი, სურამის ბაჟს, სამღებროს და ეგრეთვე ხეფინისხევის სამღებროს თქვენ უნდა გასცემდეთ და ჩვენ მოგუართმევედეთ. ჩვენი შემოსავლიდამ ათის თავს თქვენ აიღებდით“⁹³.

XIX საუკუნის დასაწყიდიდან, საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, სურამი რუსეთისათვის ზურგის დასაყრდენს წარმოადგენდა დასავლეთით იმერეთის სამეფოსა და სამხრეთით ახალციხის საფაშოს მიმართულეობით. საქართველოს გაერთიანების შემდეგ, სურამმა თნდათან დაკარგა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი ადგილი და მთლიანად ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩაერთო, ამავე დროს თნდათან იძენს მხარის ადმინისტრაციული და კულტურული ცხოვრების ცენტრის ფუნქციას.

⁹² სცსსა, ფ. 1450, ღვათ. 25/46

⁹³ მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, გვიანფეოდალური ხანა, წიგნი II, მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა, თბ. 1953, გვ 252

For the history of Surami

A small river flows from the Likhi ridge, which is known by the name of Suramula, it is also called the water of Suram and the frone of Surami. It forms a valley of its own name, the center of this valley is Surami - the old city. Surami is a town now. A number of interesting moments from the history of Georgia are connected with it.

Surami can be seen from ancient times. Its advancement was facilitated by the trade-transit way, that led from East Asia to the West, to Europe. In the era of developed feudalism, it was the residence of Eristavt-Eristavis of Kartli. In the late Middle Ages, two small principalities – Sachkheidzeo and Sakhidirbegishvilo - were formed in its ruins.

During the 18th century, Surami was the most important trade-economic and cultural center of Zemo Kartli. This situation continues until the 90s of the XIX century. After that, it maintains the function of the administrative and cultural center of the country. Georgians, Armenians and Jews lived here side by side. Armenians and Jews were equal in legal status with the Georgian population.

Surami had its officials (Mouravi, Mamasakhlisi, Natsvali, Tsikhistavi, etc.).



კალობა სურამში



სახალხო დღესასწაული „ყეენობა“ სურამში



სურამის ხედი



სუგრამის ციხე გრავეიურა XIX ს. მხატვარი გამბა.

უნიკალური არტეფაქტები ხაშურის მუზეუმიდან

ბრინჯაოს გრავირებული სარტყელი. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში უხვადაა წარმოდგენილი ისეთი უნიკალური ნივთები, რომლებიც სავსებით შესაძლებელია ხელოვნების ნიმუშების რანგში განვიხილოთ. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ბრინჯაოს გრავირებული სარტყელი, რომელიც ძველი ქართული ჭედური ხელოვნების შესანიშნავ ნივთად შეიძლება ჩაითვალოს.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს სამკაულის თვითმყოფადობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ნივთია ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით დათარიღებული გრავირებული სარტყელები, რომლებიც რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ამსახველი სამკაულის გამორჩეულ ფორმას განეკუთვნება¹. მათ შორის გვხვდება როგორც სადა, ისე გეომეტრიული ორნამენტით შემკული ნიმუშები. მათი დამზადების მთავარ კერას კავკასია წარმოადგენდა. „კავკასიაში აურაცხელი რაოდენობით აღმოჩენილი ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის ბრინჯაოს გრავირებული ნიმუშები გამოირჩევა თავად ნივთების, განსაკუთრებით სამკაულის მრავალფეროვნებითა და რაც მთავარია, მათზე შესრულებული ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებებით. ამ ნიმუშებისათვის დამახასიათებელია ე. წ. დაბალი, ე. ი. არალრმა კვეთით შესრულებული გრავირების საკუთარი – „კავკასიური „გრაფიკული“ სტილი“². ძველი კავკასიური ხელოვნების ეს მხატვრული სტილი აისახა ისეთ ძეგლებზე, როგორცაა ფართოდ ცნობილი კოლხურ-ყობანური ცულები, ამავე ტიპის აბზინდები, მშვილდსაკინძები. მაგრამ ეს სტილი მთელი სისრულით არის ასახული ბრინჯაოს გრავირებულ სარტყელებზე, რომლებზეც ხშირად გადმოცემულია მრავალფეროვანი კომპოზიციები და ორნამენტული სახეები.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია ასეთი ტიპის სარტყელის ორი საინტერესო ნიმუში, რომელთაგან ერთი ორნამენტირებულია, ხოლო მეორე სადაა, გლუვზედაპირიანი, მაგრამ ორივე მათგანი ადრეული რკინის ხანის ქართული ჭედური ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს.

ხაშურის მუზეუმში დაცული ორნამენტირებული სარტყელი (ტაბ. I, 1, 2)

¹ ნ. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული სამკაული, თბ., 2015, გვ. 112

² ნ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 116

აღმოჩენილია საქართველოს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხაშურის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, ნაცარგორის სამაროვანზე, გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, 227-ე სამარხში (საინვენტარო ნომერი: ხმმ, 15604/ა3199).

აქვე წარმოვადგენთ ხაშურის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს გრავირებული სარტყლის აღწერილობას.

სარტყელს არმიასავით გარს შემოუყვება საკმაოდ განიერი ჩარჩო, რომელიც დეკორატიულ ხასიათს ატარებს. სარტყლის შესაკრავთან, ორივე კიდეზე, ჩარჩო გადადის სამკუთხედის ფორმის ორნამენტში. ეს ორი სამკუთხედი წელზე ერთდება და ქმნის საკმაოდ მოზრდილ რომბს, რომელიც სარტყელზე დამაგრებული ბალთის შთაბეჭდილებას ახდენს. სამკუთხედები დაფარულია იმავე სახის ორნამენტით, როგორც სარტყლის ჩარჩოზე (ე. წ. ზენური ხეიბები). ამას გარდა იგი გამდიდრებულია სხვა სახეებითაც. სამკუთხედებს შორის, სარტყლის ცენტრში, გრძელი ოთხკუთხედის ფორმის ზოლია, რომელიც ჩარჩოს ორნამენტს იმეორებს. ორნამენტი ზენური ხეიბების სახითაა წარმოდგენილი. ეს ზოლი სარტყელს ორ ფრიზად ყოფს, რომელთაც სწორი მართკუთხედის ფორმა აქვს. ფრიზებზე გამოსახულებები კადრის ფორმის სიზუსტითაა წარმოდგენილი. ფრიზული განლაგება მეტად თავისებურ სახეს აძლევს მთელ კომპოზიციას – ფიგურები პირობით გეომეტრიულ ჩარჩოებშია მოთავსებული და ერთგვარად მოწესრიგებული. ფრიზები მკაცრი სიმეტრიითაა განლაგებული. ზედა და ქვედა ფრიზიც ორ თანაბარ ნაწილად არის შუაზე გაყოფილი. ორივე მათგანზე ორ-ორი თანაბარი მართკუთხედი იქმნება. ერთი მართკუთხედის გარშემო ფანტასტიკური ცხოველების წრიული პროცესიაა წარმოდგენილი, ცხოველების მხოლოდ ზედა ნაწილია გამოსახული. მეორე მხარეს ზიგზაგების მონაცვლეობაა გამოსახული. იგივე შეიძლება ითქვას ქვედა ფრიზის შესახებაც, ოღონდ ამ შემთხვევაში ცხოველების წრიული პროცესია და ზიგზაგები საპირისპირო მხარესაა წარმოდგენილი. ზედა და ქვედა ფრიზების დიაგონალებზე მსგავსი ფიგურების (ფანტასტიკური ცხოველებისა და ზიგზაგების) მონაცვლეობაა გამოსახული. სარტყლის თავი და ბოლო სწორი ვერტიკალური ხაზით არის გამოყოფილი. ამ ნაწილებში, როგორც ვთქვით, სამკუთხედებია მოთავსებული. ერთ მხარეს, სამკუთხედის შიგნით, კიდეც ორი სამკუთხედეა ჩასმული. ზედა მხარეს, სამკუთხედს, სარტყლის არმიასა და ცენტრალურ კომპოზიციას შორის, ასევე სამკუთხედი არეა დარჩენილი, რომლის შიდა ნაწილში ფანტასტიკური ცხოველისა და ფრინველების, აგრეთვე ციური მნათობების გამოსახულებებია მოცემული.

ასეთივე გამოსახულებებია წარმოდგენილი ქვედა მხარეზეც. სარტყლის მეო-

რე მხარეზე, დიდი სამკუთხედის შიგნით, ასევე ორი სამკუთხედაა ჩასმული. მის ზედა და ქვედა მხარეზე ასევე სამკუთხა არეები იქმნება, რომელთა შიდა სივრცე მაქსიმალურად არის ათვისებული. აქ წარმოდგენილია ფანტასტიკური ცხოველები, დიდი (ირემი?) და პატარა (ჯიხვი?). ცხოველები პირით ერთი მიმართულებით არიან შებრუნებულნი. მათ ორივე მხარეს ციური მნათობების სიმბოლური გამოსახულებებია მოცემული.

სადა და ორნამენტირებულ ბრინჯაოს ასეთ სარტყლებს ზოგჯერ აქვთ მრგვალი ნახვრეტები, რომლებიც შესაძლოა, სხვადასხვა საგნის (მაგ., ბრინჯაოს მინიატურული სკულპტურების) ჩამოსაკიდად იყო განკუთვნილი.

ორნამენტირებული სარტყლის თანმხლები ინვენტარი. ნაცარგორის მრავალფენიანი სამაროვნის 227-ე სამარხში ბრინჯაოს სარტყელთან ერთად შემდეგი სამარხეული მასალა იქნა აღმოჩენილი:

კათხა, თიხის. კასრისებური, ბრტყელიძირა, ცალყურა, ყური ოვალურგანივკვეთიანი, ზედა ნაწილზე მკვებით. პირს ქვემოთ შემოსდევს 3 ამოღარული ზოლი. ზედაპირი შავპრიალაა, კეცი – მოწითალო (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15597/ა3192).

ჯამი – თიხის (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15598/ა3193).

ქოთან – თიხის. გადმოშლილი პირით, ბიკონუსური ტანით, ოდნავ ამოღებულქუსლიანი ძირით, ზედაპირი ლეგა-მოშავო, კეცი – ლეგა-მოწითალო (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15599/ა3194).

ხელადა – თიხის. შესქელებული, მხარზე – ნაპრიალები სივრძივი ზოლებით, ცილინდრული ყელით, თითქმის სფერული ტანით, ოდნავ გულამოღებულქუსლიანი ძირით. ზედაპირი შავპრიალაა, კეცი – ლეგა-მოშავო (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15600/ა3195).

ლოქი – თიხის. მცირედ გადმოშლილპირიანი, დაბალი ყელით, ქვემოთკენ წაგრძელებული, სფეროსებური ტანით და ბრტყელი ძირით. ყელზე შემოსდევს რელიეფური ზოლი, ხოლო ყელსქვემოთ ამოღარულ ზოლებს შორის მოქცეული ირიბი ნაჭდეგები. ზედაპირი შავპრიალაა, კეცი – მოწითალო (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15601/ა3196).

სატყვარი – ბრინჯაოსი. ტარშეურჩენელი, სამკუთხა ყუნწით, ყუნწის ზედა ნაწილში, ცალ ფერღზე – 2, მეორეზე – 1 ბრინჯაოსავე მანჭვალი აქვს. პირგრძელი, ბოლოსკენ მკვეთრად შევიწროებული და წვეტიანი, მთელ სივრძეზე რელიეფური ორფერდა ქედით (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15602/ა3197).

შუბისპირი – რკინის. მასრაგახსნილი, ქელიანი, მხრებდაქანებული, მასრამოტეხილი და დამტვრეული (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15603/ა3198).

სარტყელი – ბრინჯაოსი. გრავირებული, ძლიერ დაშლილი. სიგრძე – 102 სმ, სიგანე – 18 სმ (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15604/ა3199).

ფიბულა – რკინის. სუბმიკნური, დიდი, დაშლილი (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15605/ა3200).

ლულოვანი ძვალი – ერთი ბოლო გადაჭრილი, მეორე – გახეხილი (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15606/ა3201).

ზოდი – ბრინჯაოსი. სამი ნატეხი, შედარებით თხელი (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15607/ა3202).

ქვები – კოხის ან შურდულის, 13 ცალი. ცილინდრული, თეთრი პასტის (?), ინკრუსტირებული. ერთი მათგანი დაზიანებულია (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15608/ა3203).

მძივი – გიშრის 2 ც. (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15609/ა3204).

მძივი – სარდიონის, 169 ც. (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15610/ა3205).

მძივი – სარდიონის, 1 ც., მრგვალი, გვერდებშებერილი (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15611/ა3206).

მძივი – სარდიონის, 2 ც., ცილინდრული (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15612/ა3207).

მძივი – სარდიონის, 1 ც., სამკუთხედი (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15613/ა3208).

მძივი – სარდიონის, მსხლისებური (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15614/ა3209). **მძივი** – პასტის, 18 ც., მილისებური (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15615/ა3210).

მძივი – პასტის, 2 ც., ცისფერი, გვერდებშებერილი (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15616/ა3211).

მძივი – პასტის, 2 ც., ოთხკუთხედი, შემკრები (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15617/ა3212).

იოტი – პასტის, 595 ც., ცისფერი, გვერდებშებერილი (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15618/ა3213).

ძვლები – წვრილფეხა საქონლის თავის ქალისა (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15619/ა3214).

ძვლები – წვრილფეხა საქონლისა (საინვენტარო ნომერი: ხმმ 15620/ა3215).

ეს გახლავთ ამ უნიკალური სარტყელის თანმხლები სამარხეული ინვენტარი.

თუ ამ მასალის მიხედვით ვიმსჯელებთ, სამარხი მაშაკაცს უნდა ეკუთვნოდეს, რაზეც მეტყველებს სამარხში ჩატანებული საბრძოლო იარაღები და თვით სარტყელის ზომაც. იგი საკმაოდ დიდი ზომისაა (სიგრძე 102 სმ, სიგანე 18

სმ), და, როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, ასეთი ზომის სარტყლები მეტწილად მამაკაცის სამარხებში გვხვდება; ასევე მეტად მრავალრიცხოვანი სამკაული (მძივები, რომლებიც მეტწილად, ტანისამოსის შესამკობელს წარმოადგენდა) და მრავალფეროვანი თიხის ჭურჭელი (5 სხვადასხვა ტიპის კერამიკა). ზემოხსენებული ტიპის მძივები, როგორც დადასტურებულია ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც, ხშირად ტანისამოსის შესამკობადაც გამოიყენებოდა.

ხაშურის მუზეუმში მეორე ბრინჯაოს სარტყელიცაა დაცული (ტაბ. I, 3). ეს სარტყელი, განსხვავებით პირველისაგან, სადაა. იგი შემთხვევით ნაპოვნებს მიეკუთვნება. აღმოჩენილი ქარელის რაიონის სოფელ ბრეძაში. მუზეუმში შემოტანილია ვასილ შუბითიძის მიერ, 20. 05. 1964, აქტი №118.

აღწერილობა: ბრინჯაოს სარტყელი წარმოდგენილია ფრაგმენტულად (7 ნაწილად). მათგან 4 ფრაგმენტს კიდეების გასწვრივ ნახვრეტები აქვს. ზედაპირი პატინითაა დაფარული. დიდი ნაწილის ზომა - 17,5/12 სმ.

ზოგადად დაისმის მრავალი კითხვა ამ სარტყლების შესახებ:

1. რომელ ეპოქაში არის ისინი გავრცელებული?
2. რომელი რეგიონია მათი გავრცელების გეოგრაფიული არეალი?
3. კიდევ სად არის ისინი აღმოჩენილი?;
4. რას წარმოადგენს ამ ტიპის სარტყლები? რა დანიშნულებით გამოიყენებოდა ისინი?
5. რა შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა სარტყელზე წარმოდგენილ გამოსახულებებს? და ა. შ.

დღეისათვის მიღებულია რომ ასეთი ტიპის სარტყლების აქტიური გავრცელების პერიოდი ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარი, კერძოდ, ძვ. წ IX-VII საუკუნეები, ე. წ. ადრეული რკინის ხანა. სარტყლები გვხვდება ამ ეპოქის სამარხებში, რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ ამ ტიპის სარტყლები სამარხეულ ინვენტარს მიეკუთვნოთ.

ძვ. წ. IX-VII სს. ამიერკავკასიაში რკინის ფართო ათვისების ხანაა. რკინის იარაღი გაბატონებულია მეურნეობის ყველა დარგში, ხოლო ბრინჯაო გამოყენება ძირითადად სამკაულებისა და საკულტო დანიშნულების ნივთების დასამზადებლად. ამ პერიოდში ჩნდება ბრინჯაოსაგან დამზადებული ისეთი საყურადღებო ნიმუშები, როგორიცაა გრავირებული სარტყლები. სარტყელი კეთდებოდა 1,5-2 მმ სისქის ბრინჯაოს ფურცლისაგან, სიგრძით 80-85 სმ, ხოლო სიგანით 16-22 სმ. სარტყლის ბოლოები მომრგვალებულია, ნაპირებზე კი მას პატარა ნახვრეტები ჰქონდა, შიგნითა პირზე ტყავის ან ქსოვილის ამოსაკერებლად. ასეთი ტიპის სარ-

ტყელები, როგორც მიიჩნევენ, იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს თითქმის ყველა კუთხეშია აღმოჩენილი. ეს სარტყელები გამოჩნეულია თავისი მაღალი რანგის სახელოვნებო შესრულებით, განსაკუთრებული სტილისტიკით და თვითმყოფადობით. მსგავსი ტიპის სარტყელები შესაბამის პერიოდში გავრცელებულია ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს

ტერიტორიაზე, ასევე დასავლეთ აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ სომხეთში. დღეისათვის მეცნიერები თანხმდებიან იმაზე, რომ ასეთი ტიპის სარტყელების წარმოების კერა არის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია, კერძოდ, უძველეს მელითონეთა კერები. ერთ-ერთი ბოლო ფუნდამენტური ნაშრომი ამ სარტყელების შესახებ არის რუსი მეცნიერების, მ. პოგრებოვასა და დ. რაევსკის მიერ გამოცემული ნაშრომი, სადაც ავტორები პირდაპირ აცხადებენ, რომ შუამდინარეთსა და მცირე აზიაში გავრცელებული მსგავსი ტიპის სარტყელები გამოირჩევიან თავისთავადობით, რომლებიც შესრულებულია ადგილობრივი, მაგრამ კავკასიური სარტყელებისათვის დამახასიათებელი სტილისტიკითა და მათი უშუალო გავლენით. მონოგრაფიული შრომა მიუძღვნა ამ ტიპის სარტყელებს ისტორიკოსმა მანანა ხიდაშელმა³.

ბრინჯაოს ასეთი დახვეწილი გრავირება, ასეთი სიფაქიზით შესრულებული კვეთა, თავს იჩენს მაშინ, როცა რკინა უკვე ფართოდ არის ათვისებული და მისთვის უკვე კარგად არიან გაცნობილნი კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის მკვიდრნი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთი ტიპის სარტყელების გამოჩენა რკინის მეტალურგიის დაწინაურებასთანაა დაკავშირებული. „ძვ. წ. VIII-VII საუკუნეები ახალი ეტაპია ქართული სამკაულის განვითარებაში. ერთ-ერთი მთავარი სიახლე გრავირების ტექნიკის გამოყენებით ბრინჯაოს მხატვრული დამუშავებაა, რაც მხოლოდ რკინის ბასრი საჭრეთლით იყო შესაძლებელი. ამდენად, გრავირებული ბრინჯაოს სამკაული ეპოქის მთავარ მონაპოვარს – რკინის მეტალურგიის აღმავლობას უკავშირდება“⁴.

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ორნამენტული სარტყელების წარმოშობა-გავრცელების შესახებ. ზოგიერთნი ასეთი ტიპის სარტყელებს მიაკუთვნებენ ასურულ, ფინიკიურ, ხეთურ, კრეტა-მიკენურ მხატვრულ სკოლებს. მაგრამ უკანასკნელ ხანებში საგანგებო კვლევის შემდეგ გამოჩნდა რიგი სტილისტური თავისებურებანი, რის საფუძველზეც დაასკვნიან, რომ ძვ. წ. VIII-VII სს-ში არსებობდა

³ მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრავირებული სარტყელები), გამოკვლევა და კატალოგი, თბ. 1982

⁴ ნ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 112

ბრინჯაოს სარტყლების დამზადების ადგილობრივი ცენტრები, ხოლო თვით გამოსახულებებს „კავკასიური ცხოველსახოვანი სტილის“ მხატვრული პრინციპები დაედო საფუძვლად. ზოგიერთი მეცნიერები ამ ტიპის სარტყლებს განიხილავდა ყოზანური კულტურის ელემენტებად (მაგალითად, ტეზოვი). ოთარ ლორთქიფანიძე მსგავსი ტიპის სარტყლებს ქართული კულტურის ელემენტებად განიხილავს⁵.

ზოგი მეცნიერი მსგავსი ტიპის სარტყლებს დასავლურ-ქართული კულტურის ელემენტებად მიიჩნევს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი არის ერთი კულტურული სამყარო და ასეთი ტიპის ინვენტარი დამახასიათებელი იყო

როგორც აღმოსავლურ-, ისე დასავლურ-ქართული კულტურისათვის. აღმოსავლეთში ძირითადად სარტყლებია გავრცელებული, დასავლეთში – კოლხური ცული. ორივე მათგანზე, ცულზეც და სარტყელზეც, მსგავსი გამოსახულებები გვხვდება. თუმცა ცულზე ეს გამოსახულებები უფრო შეზღუდული სახით გვხვდება, უფრო ლაკონურია, მაგრამ ეს არის ერთი კულტურული წრე. ზომით ეს სარტყლები არაერთგვაროვანია. ისინი აღმოჩენილია სამარხებში, ე. ი. ისინი წარმოადგენს სამარხეულ, მიცვალებულისათვის სამარხში ჩასატანებლ ინვენტარს. სარტყელი უნდა ყოფილიყო მიცვალებულთა სატარებელი ინვენტარი. სარტყლები განსხვავდება სიგრძით, მიცვალებულის წელის გარშემოწერილობიდან გამომდინარე, და სიგანითაც, მაგრამ სიგანით განსხვავება ასახულია მათ გრაფიკულ დეკორშიც. ყველაზე უფრო განიერი სარტყლებია ე. წ. სიუჟეტურ-გრაფიკული დეკორით მორთული, გრავირებული სარტყლები. მათ ისეთი სიგანე აქვთ, რომ თითქმის წელიდან მკერდამდე ადის. ასეთი სარტყლები დამზადებულია ბრინჯაოს თხელი ფირფიტებისაგან (დაახლოებით 0,5 მმ) და ისინი დაკრული იყო, ან, უფრო ზუსტად, მათ სარჩულად ედოთ შალის ხამი ქსოვილი, ან ტყავი.

სარტყლები ძირითადად სამი სახეობისა იყო: 1. სარტყლები, რომელთაც აბსოლუტურად სადა, გლუვი ზედაპირი ჰქონდათ; 2. ორნამენტირებული სარტყლები, სადაც ორი ტიპის ორნამენტი გვაქვს. ეს არის სამკუთხედი და სპირალი, რომლებიც ზეციური ნიშნის მატარებელნი არიან; 3. მდიდრულად დეკორირებული, სიუჟეტურ-გამოსახულებიანი სარტყლები.

უნდა ითქვას, რომ სიუჟეტურგამოსახულებიანი სარტყლები ყველაზე განიერებია, ხოლო გლუვზედაპირიანი და ორნამენტირებული სარტყლები – შედარებით ვიწრო. თლის სამაროვანზე ასეთი სარტყლები აღმოჩენილ იქნა როგორც მა-

⁵ ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002, გვ. 111

მაკაცის, ასევე ქალისა და ბავშვის სამარხებში. მამაკაცის სამარხში აღმოჩენილი სარტყელი უფრო ფართოა. როგორც მეცნიერები ფიქრობენ, მას ფიზიკური თავდაცვის ფუნქციაც უნდა ჰქონოდა და ფარის ფუნქციაც ეკისრებოდა, თუ არ ჩავთვლით, რომ მას აპოტროფიული (ავი სულებისაგან დამცავი) ფუნქციაც ჰქონდა.

საინტერესოა, რისი აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო წელის არის გამოყოფა ისეთი მნიშვნელოვანი ატრიბუტით, როგორცაა გრავირებული სარტყელი? როგორც ვარაუდობენ, სარტყელს პირველ რიგში უნდა ჰქონოდა საკრალური ფუნქცია. სარტყლის შემორტყმასა და მოხსნას მაგიური მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული: სარტყლის შემორტყმა ომს ნიშნავდა, ანუ საბრძოლველად მიემართებოდა ადამიანი, ხოლო სარტყლის მოხსნა ნიშნავდა მშვიდობას.

ძველ საქართველოში იყო წესი, რომელსაც ეწოდებოდა ხმალშებმის, სარტყლის შემორტყმის რიტუალი. იგი მდგომარეობდა შემდეგში: როცა ახალგაზრდა მამაკაცს შეუსრულდებოდა 15 წელი, ოჯახში ტარდებოდა რიტუალი: ახალგაზრდა კაცს ოჯახის დანარჩენი წევრების თანდასწრებით საზეიმოდ ხმალსა და სარტყელს შემოარტყამდნენ, რაც ნიშნავდა მისი სრულწლოვანების ასაკის მიღწევას და ამის შემდეგ იგი უკვე უნდა გაძლოლოდა ოჯახს.

სარტყლის შებმის რიტუალი ჩვენს ქვეყანაში მეფედ კურთხევის რიტუალშიც ხაზგასმული იყო.

საინტერესოა, თუ რა არის გამოსახული სარტყლებზე, ვინაიდან ამის გარკვევით მის ფუნქციაზეც შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა. სატყლებზე ძირითადად ისეთი სცენებია გამოსახული, რაც ფართოდ არის გამოსახული ძველადმოსავლურ მატერიალურ ძეგლებზე. ესენია: ნადირობის სცენები, ცხოველთა პროცესიები, ცხოველთა ორთაბრძოლა. თითოეული ცხოველი ყველა მითოლოგიური ასპექტითაა წარმოდგენილი, ანუ ეს ცხოველები რომელ სივრცეშიც მოქმედებენ, თითოეული სივრცე დეტალურადაა ასახული.

ცხოველთა კონტურების შიდა არეზე წარმოდგენილია იგივე ცხოველები, შემცირებული ზომებით, შეიძლება იყოს წყვილი, შესაძლოა ერთი ცხოველი. შეიძლება ერთი ცხოველი ზურგზე აჯდეს. ცხოველთა თავის მიმართულებას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. თუ თავი მიმართულია თავისკენ, ეს განასახიერებს ამ ცხოველის მოქმედებას ზეციურ სივრცეში; თუ თავი მიმართულია გავისკენ, ეს განასახიერებს ამ ცხოველის მოქმედებას ქვესკნელის სივრცეში; თუ ზურგზე აზის, ეს უკვე ამქვეყნიურ მოქმედებებს განასახიერებს. ე. ი. როცა ადამიანი ამ

⁶ მ. ხიდაშელი, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები), გამოკვლევა და კატალოგი, თბ., 1982

სარტყელს შეიკრავდა, იგი ექცეოდა ამ სარტყლის წრის შუაში, მაგიური ძალების შუაში, მათი დაცვის ქვეშ. იმდროინდელი წარმოდგენებით ის აბსოლუტურად არის დაცული ამ ძალებისაგან (ტერმინი „შემოგველე“ – ქამარი ახორციელებს ამ ფუნქციას). ე. ი. სარტყელი ასრულებდა ავი, ბოროტი ძალებისაგან დაცვის ფუნქციას. ორნამენტირებული სარტყლის დამახასიათებელი თავისებურებაა სპირალის გამოსახულება, რაც მიანიშნავს გარკვეული სამეურნეო ინტერესების (მზისა და სითბოს სიმრავლის) ამსახველ სოლარულ ნიშნად⁷.

გრავირებული გამოსახულებებით მორთული სარტყლები ერთმანეთისგან განსხვავდება ზომებით, ნახატის კომპოზიციით და წარმოდგენილი სიუჟეტებით. ტიპიურია ჯიხვებსა და ირმებზე ნადირობის სცენები, ხოლო მათთან ერთად, ორნამენტულ-დეკორატიული ელემენტები, ასტრალური ნიშნები, სხვადასხვა (მათ შორის ფანტასტიკური) ცხოველების, ფრინველებისა და თევზების გამოსახულებები. ყოველივე ეს რიტმულად, გარკვეული წესით და რიგითაა გადმოცემული, რაც

მიჩნეულია მხატვრული პრინციპების მკაფიოდ დამუშავებული სისტემის არსებობის მოწმობად. აშკარაა, რომ ბრინჯაოს სარტყლებზე წარმოდგენილი გამოსახულებები თავისებური მხატვრული ხერხებით გადმოსცემდნენ იმ ადამიანთა იდეოლოგიურ-რელიგიურ შეხედულებებს და თვალსაზრისს, ვისთვისაც იყო გამოხნილი ძველი ხელოვნების ეს შესანიშნავი ქმნილებანი.

როგორც ჩანს, სარტყელს დროის გარკვეულ მონაკვეთში – ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში და აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეულ არეალში, დაკრძალვის რიტუალისათვის განკუთვნილი თუ არა, საგანგებოდ დამზადებული მთავარი სამკაულის ფუნქცია ჰქონდა. ყურადღებას იპყრობს ის, რომ ანტიკურ სამყაროში სარტყელი იყო ძალაუფლების სიმბოლო და ასევე უკავშირდებოდა სიკვდილს: სარტყელი, ყოფს რა ორ ნაწილად ადამიანის სხეულს, ის აწეებს საზღვარს. მაგალითად, ძველი ბერძნებისთვის გამოთქმა „სარტყლის შეკვრა“ ნიშნავდა ხანგრძლივი მოგზაურობისათვის, ე.ი. სიკვდილისათვის მომზადებას⁸.

ასეთია, მოკლედ ამ ტიპის სარტყლების დანიშნულება და შინაარსობრივი დატვირთვა.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული სარტყელი თავისი ფორმითა და ორნამენტაციით ამ კლასიფიკაციის მეორე ჯგუფს უახლოვდება. მეორე ჯგუფისთვის დამახასიათებელია გამოსახულებების ფრიზებად განაწილება. ფი-

⁷ ო. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 111

⁸ ნ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 118

გურათა სიმეტრიულ განლაგებას ხაზს უსვამს და აწესრიგებს სარტყლის შუაში გავლებული ფართო ორნამენტული ზოლი, რომელიც გამოყენებულია სიბრტყის შუაზე გაყოფისა და მასზე ფიგურების განლაგებისთვის. სარტყლის ცენტრში გავლებული ზოლი კომპოზიციას ორ ფრიზად ყოფს. ამ ტიპის სარტყლებს ახასიათებთ ახალი მოსართავი – სარტყლის კიდეებში გამოყოფილი არეები, რომელზეც მოთავსებულია წვეროთი ცენტრისკენ მიმართული სამკუთხედი, რომლის ბოლო ცენტრში გავლებულ არშიას უერთდება. აქ წარმოიქმნება ფრონტონის მსგავსი ფორმა, სადაც გამოსახულებანი განლაგებულია კადრის ზუსტი გათვალისწინებით. სამკუთხედი და სპირალი ზეციური ნიშნის მატარებელია. თუმცა, აქ ვხვდებით ცხოველთა სტილიზებულ გამოსახულებებსაც და ციური მნათობების სიმბოლურ სახეებს, რაც ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლოს წარმოადგენდა.

ხაშურის მუზეუმში დაცული გრავირებული სარტყელი ოსტატობის განსაკუთრებით მაღალი დონით გამოირჩევა. იგი დიდი სიფაქიზით და რუდუნებით არის შექმნილი. გამორჩეული და საინტერესოა მისი შინაარსიც. ოსტატს უზრუნვია არა მარტო მისი გარეგნული ფორმის დახვეწაზე, არამედ დიდი ფუნქციური დატვირთვაც მიუცია მისთვის.

ჩვენი აზრით, ყველა ამ მონაცემების გათვალისწინებით, მოცემული სარტყელი უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს ადრეული რკინის ხანის ქართული ჭედური ხელოვნების უნიკალურ ნიმუშად.

გორათის ქალღვთაება – სასმისი. მეტად საინტერესო ჩანს ხაშურის დასავლეთ მხარეს, ადგილ „გორათზე“, რამდენიმე წლის წინ აღმოჩენილი ქანდაკება, რომელიც თავის დანიშნულებით მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს ქართულ არქეოლოგიაში.

ნასოფლარი დღეს ხაშურის შემადგენლობაშია და მის ერთ-ერთ უბანს წარმოადგენს. მდებარეობს ხაშურის დასავლეთით. გორათი და აქ მდებარე გორა ძველი ნამოსახლარიცაა. ხაშური-ბორჯომის რკინიგზის ხაზის გაყვანის დროს, XIX ს. 90-იან წლებში, აქ აღმოჩნდა არაერთი საყურადღებო არქეოლოგიური ნივთი. ამასთან დაკავშირებით 1885 წელს გაზეთი „ივერია“ აღნიშნავდა: „გორათის ეკლესიის მახლობლად მუშა ლეკებს აღმოუჩენიათ ძველი დროის აკლდამები. გზისთვის საჭირო მიწა თურმე ამ აკლდამებიდან ამოაქვთ და ბევრს სპილენძის ნივთებსაც ჰპოულობენ. ჰპოულობენ დანებს, ხანჯლებს, ისრის ნამტვრევ ბოლოებს, ცულებს და სადგისის მინაგვარ რაღაცებსაც, რომლებსაც მშვენიერი ხელოვნება ჯერ კიდევ კარგად ეტყობა. ეს ნივთები სულ სპილენძისაა. ბევრია იმისთანა ნივთებიც, რომლებსაც სახელი ვერ დავარქვი. ბევრს ჰპოულობენ აგრეთვე კრიალოსნებს, ყელის ძეწკვებს, მაკრატლებს და სხვა. ყველა ეს ნივთი ძალიან კარგად შე-

ნახულა. ეს ნივთები თურმე რაღაც უპატრონობით იკარგება, რადგან პოვნისთანავე მუშა ლეკები ჰყიდიან... იმისთანა ნივთებიც ჰხვდებათ, რომლებსაც ზედ რაღაც გაუგებარი წარწერა აქვთ“.

ამ ადგილას ბოლო პერიოდში საფლავების გაჭრის დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს საბრძოლო და სამეურნეო იარაღები (შუბის პირები, სატეკრები, ქვაბი და სხვ.), რომლებიც თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისით. შეიმჩნევა სამეურნეო ნაგებობების საძირკვლები და სხვ.

აქ აღმოჩენილი ჩვენთვის საინტერესო არტეფაქტი არის ქალის რიტუალური დანიშნულების ქანდაკება-სასმისი (ხმმ 97255/ა79 019, ტაბ. II, 1).

ქანდაკების აღწერილობა ასეთია (ქანდაკება-სასმისი შეისწავლა საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომელმა ბ. მურვანიძემ და აღწერილობაც და დათარიღებაც ეკუთვნის მას): ქანდაკება დამზადებულია სილანარევი თიხისაგან, მოშავო-მონაცრისფროდა გამოძვარი. ემჩნევა თეთრი და შავი წერტილოვანი ჩანართები. ტანი ცილინდრული აქვს, მხრები განიერი და მკვეთრად გამოყვანილი. ქანდაკებას თავი კისერთან, ხელები კი მაჯაში აქვს მოტეხილი. ხელები იდაყვში მოხრილი ჰქონია. ქალის მკერდი დაბალი დანამერწებითაა გამოსახული.

კეფაზე, კისრის და მხრის მიერთების ადგილას ხვრელია, რომელზეც ბიკონუსურმუცლიანი ჭურჭელი ყოფილა დაძერწილი. შემორჩენილია მხოლოდ წიბოიანი გვერდის ნაწილი. დაბალ რელიეფში, ირიბი ჭდეებით გამოსახული ნაწნავი იწყება ქალის კეფასთან, კისერზე დაძერწილ სასმისს გარშემოსდევს და ორ ნაწნავად ეშვება ძირისკენ. წელთან ნაწნავები ერთიანდება და ოთხკუთხა ფორმას იღებს. ნაწნავები გადმოცემულია რელიეფურად და თმის ვარცხნილობის ოსტატობასა და გემოვნებაზე მეტყველებს. ხელოსანს კარგად აქვს დაცული პროპორციები. მთლიანობაში ქანდაკებას დახვეწილი ფორმა გააჩნია. სამწუხაროდ, ქანდაკება ნაკლულია (გადანატეხის მიხედვით ძველი დაზიანება), რაც მთლიანობაში აღქმის საშუალებას არ იძლევა. ქანდაკებას მკერდის არეში ემჩნევა დახრილი, ჩაღრმავებული ლაქა, რომელიც ოდნავ წინგაწვდილ ხელში დაჭერილი რაიმე ნივთის ანაბეჭდი უნდა იყოს. სასმისის ტევადობა 220 გრამია.

გორათში აღმოჩენილი ქალის თიხის ქანდაკება სითხის ჩასასხმელი სარიტუალო ჭურჭელი უნდა იყოს. თავისი ფორმის და შინაარსის გამო მას საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში ანალოგი არ მოეპოვება. ცნობილია, რომ სარიტუალო ჭურჭლებს იყენებდნენ ყოფაში, მსხვერპლშეწირვისას თუ მიცვალებულთა სულის მოსახსენებელ სხვადასხვა რიტუალში. აშკარაა, რომ გორათის ქანდაკება-სასმისი სარიტუალო დანიშნულების ჭურჭელია.

არ არის გამორიცხული, რომ გორათის ქანდაკება-სასმისი ნაყოფიერების ღვთაებას წარმოადგენდეს. ქალის თიხის ქანდაკებები ზომ დამასხასიათებელი არტეფაქტია ნამოსახლარებისათვის და ნაყოფიერების სიმბოლოდაა მიჩნეული. ცნობილია ასევე ქალის ტანის სიცოცხლის ხის, ხოლო მკერდის – ხორბლის სიმბოლოდ გამოსახვა (შდრ. ნაცარგორის ბრინჯაოს ქანდაკებას ერთი ხელი ზომ მკერდზე უდევს? ხაშურის რაიონის სოფელ ნაცარგორაში აღმოჩენილია ბრინჯაოს მცირე ქანდაკება, რომელიც დაახლოებით ამ ქანდაკების თანადროულია).

აღმოჩენის პირობების გათვალისწინებით გორათის თიხის ქანდაკება გამოყენებული ჩანს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალში.

არქეოლოგი ბ. მურვანიძე შენიშნავს: „გორათის ქანდაკება-სასმისის ქალის ფორმით გამოსახვა და ამით მისი სარიტუალო წმინდა სითხესთან დაკავშირება გამოწვეული უნდა იყოს, სწორედ ქალის, როგორც ნაყოფიერების ღვთაების კულტის იდეის გაძლიერებასთან.“ მანვე მოგვცა ნივთის დათარიღებაც. იგი დაასკვნის: „გორათის თიხის ქანდაკება სამაროვნის იმ მონაკვეთშია აღმოჩენილი, სადაც ხშირად ჩნდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალები. თიხის ქანდაკების კეცის სტრუქტურა და დამზადების ტექნოლოგიაც იმაზე მიუთითებს, რომ ქანდაკება-სასმისი ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში უნდა იყოს დამზადებული“⁹. რა დანიშნულება უნდა ჰქონოდა მოცემულ უნიკალურ თიხის ჭურჭელს?

მოსახლეობა ჩვენში ყურძნის უხვი მოსავლის უზრუნველსაყოფად ვენახსა თუ მარანში შესასრულებელ სარწმუნოებრივსა და მისწურ მოქმედებებს, ლოცვასა და მსხვერპლის შეწირვასაც მიმართავდა... ადამიანის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მომენტის – შვილის დაბადებისა და ნათლობის, ნიშნობის, ქორწილის, დაკრძალვის, საოჯახო და სასაჯვარნატო დღესასწაულებისა და მისთანათა – აღნიშვნა მთისწინეთსა და ბარში ღვინით დალოცვისა და ღვინის დალევის გარეშე არ ხდებოდა. ეს, როგორც ჩანს, იქიდან მომდინარეობს, რომ ჩვენს ხალხს ღვინო „წმინდა“ სასმელად წარმოედგინა. უღვინოდ არა თუ კაცი, ღვთაებებიც ვეღარ ძლებდნენ. ჩვენის აზრით სწორედ ეს რწმენა იყო ერთ-ერთი იმის მიზეზთაგანი, რომ ღვთაებათა და წმინდანებისათვის ღვინის შეწირვის ჩვეულებამ ფართო გავრცელება მოიპოვა. მათთვის შეწირულ ღვინოს (და პურს) სპეციალური სახელი – **ზედაშე** ეწოდებოდა. ზედაშე შეეწირებოდა: სოფლის, საგვარეულოს და ახლო ნათესაური (ე. წ. სამძო-სახლისკაცობათა) ჯგუფებისა, თემისა თუ ხევის უზენაეს „პატრონებსა“ და მფარველებს. დამოწმებულია ზედაშეები – სამღვთო, საკალან-

⁹ ბ. მურვანიძე, შემთხვევითი აღმოჩენა გორათში, იბერია-კოლხეთი“, №6, თბ., 2010

ლო, სამაისო, საჭაბუკო, სამგარიო, შკვითური და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყურძნის და ღვინის კულტის წყალობით სათაყვანებელი განდა მარანი. იგი „წმინდად“ ითვლებოდა. აქ იკვლოდა შესაწირავი ცხოველი, ქორწილი თუ ნათლობა ხშირად მარანშივე ეწყობოდა¹⁰.


ჩვენთვის საინტერესო ნივთი ორმაგი დანიშნულების უნდა ყოფილიყო – იგი ერთდროულად იყო სარიტუალო ნივთი, რელიგიური დანიშნულებით და ამავე დროს სასმისიც. იგი თავისი ფორმით დასადგამ რიტუალურ სასმისს განეკუთვნება. ამით არის ეს ნივთი უნიკალური მონაპოვარი ქართულ არქეოლოგიაში.

ნივთი რომ უნიკალურ ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს, ამის უტყუარი დასტურია მისი შესრულების მაღალი ღონე. ოსტატს მეტად დახვეწილი, მაღალმხატვრული გემოვნებით შეუსრულებია იგი და მასში ჩაუქსოვია ის სიმბოლური ელემენტები, რაც ამ ტიპის სარიტუალო ნივთებისათვის არის დამახასიათებელი.

(ნაშრომისათვის გამოყენებულია ჯერჯერობით გამოუცემელი შრომის – „ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალის“ ჩვენ მიერ შედგენილი ტექსტები. გორათის ქლდვთაებისა და ბრინჯაოს სადა სარტყლის (ბრეძის შემთხვევით მოპოვებული არტეფაქტის) ჩანახატი შესრულებულია არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანამშრომლის, მხატვარ, ქალბატონ თამარ სახვაძის მიერ).

¹⁰ ა. ლეკიაშვილი, შენ ხარ ვენახი, თბ., 1972

I
1




ზაშურის მუზეუმში დაცული გრავირებული სარტყელის ჩანახატი

2



ზაშურის მუზეუმში დაცული გრავირებული სარტყელი


3



სარტყელი ქარელის რაიონის სოფელ ბრეხადან

II

1



გორათის ქალღვთაება-სასმისი, ძვ. წ. I ათასწ. I ნახევარი

2



ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაცარგორის ქალ-ღვთაება, ძვ. წ. I ათასწ.

I ნახევარი

გურამ ჩიქვანი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტი)

ფხვიერი საწყაოს აღმნიშვნელი ბიბლიური ტერმინის ეფაჰ/ეიფაჰის შესატყვისობები ქართველურ ენებში

შესავალი. ჰუმანიტარულ და საბუნებრივმეტყველო მეცნიერებათა მონაცემებით, ბოლო ორი მილიონი წლის განმავლობაში, პირველყოფილი ჰომინიდების რამდენიმე მოდგმამ თანამედროვე რასების ჩათვლით, სხვა ცოცხალ არსებებთან თანაცხოვრებაში მკაცრ, ბუნებრივ მოვლენებს გაუძლეს და განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწიეს. ადამიანთა საზოგადოების განვითარების ხანგრძლივ გზაზე ბუნებრივ პირობებთან შეგუება განსხვავებული იყო და ეს ვითარება დღესაც გრძელდება. ბოლო გამყინვარების დამთავრებისა და თანამედროვე კლიმატის დადგომის შემდეგ, დაახლოებით 12-10 ათასი წლის წინ, ზომიერ და სუბტროპიკულ ზონებში მცხოვრები ადამიანები მიმთვისებლურიდან წარმოებით მეურნეობაზე გადავიდნენ და სოციალურ-ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურდნენ. სტატიაში ზოგადად ამ საკითხებზე, უფრო დაწვრილებით კი მეტროლოგიაზე და ბიბლიური ფხვიერი საწყაოს აღმნიშვნელ ეფაჰ/ეიფაჰ-ის ქართველურ შესატყვისობებზე ვისაუბრებთ.

მეტროლოგიის საწყისების ზოგადი დახასიათება ისტორიის კრილში. „მეტროლოგია“ ბერძნული ტერმინია და საზომთმცოდნეობას ნიშნავს. მოკლედ სწავლობს ზუსტ საზომებს, ადგენს გაზომვის მეთოდებსა და საშუალებებს¹.

პალეოლითის ხანგრძლივ ისტორიულ გზაზე, განსაკუთრებით კი ადრეული და შუა პალეოლითის ხანის მეტროლოგიის საწყისებზე და ხასიათზე ძნელია საუბარი. თუმცა ცოცხალ სამყაროში არსებობისათვის ბრძოლაში, სიტუაციის სწორ, გონებრივ შეფასებაში, თვალს ხელ-ფეხთან, სმენა-ყნოსვასთან და საერთოდ ფიზიკურ მომზადებასთან ერთად ყოველთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. გამართულ სიარულზე გადასვლის შემდეგ კი პირველყოფილ ადამიანებში ხელ-ფეხის ფუნქცია და როლი კიდევ უფრო დაიხვეწა. პალეოლითის საწყისიდან მის დასასრულამდე, დახლოებით 12 ათას წლამდე, კაცობრიობა მისდევდა შემგროვებლობა-ნადირობას და კულტურულ-სამეურნეო ურთიერთობის ფორმანატურალური იყო და შესაბამისად მეტროლოგიის საკითხებს ამ კუთხიდან უნდა

¹ მეტროლოგია. საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო. GEOSTM. მეტროლოგია. ვიკიპედია თავისუფალი ენციკლოპედია. 2023. <https://ka.wikipedia.org> Google

შევხედოთ ჰომინიდების მემკვიდრეებს, განსაკუთრებით „ნეანდერტალელებსა და კრომანიონელებს“ უხდებოდათ არა მხოლოდ საკვების მოპოვებისათვის ბრძოლა, არამედ მტაცებელი ცხოველებისაგან თავდაცვა. სხვა ცოცხალ არსებებში საკვების მოპოვების, ან თავდაცვის პრინციპები თუ უცვლელი დარჩა, პირველყოფილი ადამიანები კი სანადირო-საბრძოლო და საყოფაცხოვრებო იარაღების თანდათან სრულყოფით საბოლოოდ გაბატონდნენ დედამიწაზე. ქვის მარტივი იარაღებით შეიარაღებული ადამიანთა ჯგუფები დახელოვნებული იყვნენ ძლიერ ცხოველებთან საჭირო მანძილზე მიახლოვების, ჩასაფრების, მომწყვდევის და ნანადირევის თანაბარ განაწილება-მოხმარებაში. უძველესი სადგომების არქეოლოგიური გათხრების მონაპოვრებით ადამიანთა ასეთი სანადირო-საყოფაცხოვრებო იარაღები იყო ჯერ ქვის ჩოპრები, ჩოპინგები, შემდეგ კი ხელცულები, საჭრისები და წვეტანები. ძვლისა და ხის იარაღები ნაკლებად შემორჩა, მაგრამ ტორფიან ან ბუნებრივად შედარებით ხელსაყრელ ადგილებში არის იშვიათი გამოჩენილები. ერთ-ერთი ასეთია გერმანიაში შუა პალეოლითის ხანის, 300 ათასი წლით დათარიღებული, „ჰაიდელბერგელი თუ ნეანდერტალელი“ ადამიანების სადგომი შიონინგენი, სადაც ქვის იარაღებთან, ცხოველთა ძვლებთან ერთად შემოინახა ნაძვის ხის ტოტისგან დამზადებული მახვილწვერიანი სატყორცნი ჯოხები². ამ იშვიათი ხის იარაღებით ნეანდერტალელებს შეეძლოთ ახლო ან თვალზომის მანძილიდან ნადირობა. კულტურულ-სამეურნეო საქმიანობის მძლავრი ძვრა მაინც ზედა პალეოლითიდან იწყება. ზედა პალეოლითის დასაწყისიდან, დაახლოებით 45 ათასი წლიდან ძირითადას „კრომანიონელებმა“, თანამედროვე ადამიანების უშუალო წინაპრებმა, საყოფაცხოვრებო-სამეურნეო და კულტურულ საქმიანობაში განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწიეს. შუა და ზედა პალეოლითში შესამჩნევია ქვის სხვადასხვა ქანისაგან ანატაკეცებსა და ფირფიტებზე დამზადებული რეტუშირებული იარაღები. ნადირობაში ზედა პალეოლითის მთავარი მიღწევა მაინც მშვილდისრისა და შუბის გამოგონება იყო, რომლებითაც შორი მანძილიდან შეიძლებოდა სასურველი ცხოველის მონადირება. ევრაზიის სხვადასხვა ადგილებში არქეოლოგიურად შესწავლილია როგორც ბუნებრივი მღვიმეები, ისე სხვადასხვა გეგმარების ღია საცხოვრისების ნაშთები³. მღვიმეების ნაწილის კედლებზე აღმო-

² Konrad N., et al. A 300, 000 - year-old throwing stic from Schoningen, northem Germany, document the evolution of human hunting. Nature Ecology Evolution. 2020. DOI. 10. 1038/41559-020-1139-0 <https://www.domsmaps.com> Google (ტაბ. I. 1)

³ Рогачев А., Аникевич М., Поздний палеолит Русской равнины и Крыма Палеолит СССР. М., 1984: 198-202

ჩენილია სხვადასხვა ფერებით და საოცარი სიმეტრიით ნახატი, ან მყარი საგნებით ნაკაწრი ცხოველთა ფიგურები, ადამიანთა ხელის მტევნების ანაბეჭდ-ტრაფარეტები, ხოლო ღია სადგომებზე მამონტის ეშვებისა და ძვლებისგან გამოჭრილი ადამიანთა და ცხოველთა ფიგურები. ალტამირას მღვიმის ნახატების ხილვისას პაბლო პიკასოს აღფრთოვანება თურმე ასე გამოუხატავს: „ალტამირას შემდეგ ყველაფერი კლებულობს“⁴.

წარმოებით მურნეობაზე გადასვლის შემდეგ გარკვეული თანაფარდობით კვლავ დარჩა შემგროვებლობა და ნადირობა. ადრენეოლითიდან სიახლე იყო გახეხილ-გაპირიანებული მასიური ქვებისგან დამზადებული იარაღები, ჩნდება მეტალის პირველი ნივთები და ძალაუფლების სიმბოლო-კვერთხები. ხელოვნურ გორა-ნამოსახლარებზე შესწავლილია გარკვეული სიმეტრიის, დაყალიბებული, გამოუწვავი აგურებით აშენებული, წრიული ან ოთხკუთხა სახლები და საკულტო ნაგებობები. ამ მხრივ მრავალი მკვლევარი აღნიშნავს წინა აზიასა, მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიას შორის კულტურულ სიახლოვეს⁵.

ძვ. წ. IV ათასწლეულიდან წინა აზია-მახლობელ აღმოსავლეთსა და ნილოსის ნაპირებზე ყალიბდება ადრეკლასობრივი სახელმწიფოები, ლურსმნური, იეროგლიფური, ხოლო შემდეგ ანბანური დამწერლობებით და იწერება სააქაო და საიქიო ცხოვრების ნამდვილი ისტორია. შუმერში, ეგვიპტესა და სხვა ძველ ქვეყნებში მეტროლოგიის შესახებ წერილობითი წყაროებში საკმაოდ ზუსტი ცნობებია შემონახული, მათ შორის განსაკუთრებით ბიბლიაში.

საქართველოში მეტროლოგიის შესწავლის მოკლე ისტორია და ბიბლიური ეფაჰ/ აფაჰ-ის შესატყვისობები ქართველურ ენებში. ქართულ წერილობით წყაროებითა და ეთნოლოგიური კვლევებით საქართველოში მეტროლოგიის საკითხები კარგად არის შესწავლილი. პირველ რიგში აღსანიშნავია ივ. ჯავახიშვილის⁶.

⁴ Cafe of Altamira and Paleolithic Art of Norten Spain UNESCO World Heritage Centre. 1992-2022.wlc.unesco.org Google

⁵ ჩიქოვანი გ., აბულაძე ვ., ჯვანია დ., ქვემო ქართლის (არუხლოს) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შესწავლილი ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარები (1986-1988 წწ.). საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი. თბ., 2015: 67- 77

⁶ ჯავახიშვილი ივ., ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ესლა. წ. III, ნაკვ. III, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია. ტფ., 1923) და გ. ჯავაჩიშვილის მონოგრაფიები (ჯავაჩიშვილი გ., ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან: (IX-XIX სს). თბ., 1973). ეთნოგრაფიული ლექსიკონი (საქართველოს მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ე. ნადირაძე. თბ., 2011), ენათმეცნიერული კუთხით მ. საღლიანის (საღლიანი მ., ზომა-წონის ერთეულთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზისათვის

ქართული მეტროლოგიისადმი მიძღვნილ ნაშრომებში აღწერილია ჩვენთვის საინტერესო ფეხიერი მასისა და სითხის საწყობების მოცულობები და სახელები. კერძოდ, დასახელებული ეთნოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო შემდეგი საწყობები: ლიტრა, პინა, ჩანახი, ორიანი, სამიანი, ფოხალი, ჩხუტი, გვერდი, წასამალი, რუბი, კოკა და სხვ., დასავლეთ საქართველოში კი – ქილა, ფოხალი, ბათმანი, გვერდი, გოლორი, გულა, კოლი, ატარი, კაბიწი, მენახვერე, კვილოლი, ოყა, გორო, კვახი, კვერცხი და სხვ.

ძველ სახელმწიფოებში ზომა-წონის სისწორე ღმერთის ნების გამოვლინებად ითვლებოდა და ასე იყო ებრაელებშიც. სხვადასხვა ენაზე და მათ შორის ქართულად თარგმნილ ბიბლიაში აღნიშნული ტერმინი **ეფას** ფორმით ხშირად არის ნახსენები, რომელიც მოცულობით სითხის საზომი საწყობს – ბათის ტოლი იყო. ბაზარში ეფა მარცვლეულის ჩვეულებრივი საწონი ერთეული იყო, სადაც ყალბი გირებით ცდილობდნენ ხოლმე მყიდველთა მოტყუებას. ბიბლიაში კი ტყუილი და სხვა უსამართლობა მკაცრად დაგმობილი (მაგ., გამოსვ. 16: 36, ლევ. 5: 11, 19: 36, 23: 17 და ა. შ.)⁷.

იერუსალიმთან არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩნდა 2700 წლის წინანდელი 14 მმ დმ-ისა და 12 მმ სიმაღლის კირქვის საწონი, ვერტიკალურად ამოღარული ორი ხაზით, რომელიც მინიშნებს ორი გირის წონაზე (0,944 გრამი), თუმცა სინამდვილეში სამჯერ მეტია (ტაბ. I. 6)⁸. ებრაული და სხვა ძველი ქვეყნების ზომა-წონის ერთეულები თითქმის მსგავსია. მაგალითისთვის შეიძლება მოვიხმოთ იხვისა და ბაყაყის ფორმის ქვის გირა შუმერ-აქადიდან (ტაბ. I. 2, 3, 4) და გირები არსლან-თეფედან (თურქეთი). (ტაბ. I. 5).

ქართულ მწერლობაში ბიბლიური **ეფას/აიფას**-ის შესატყვისად „იაფი“ მიგვაჩნია, რომელიც ასეა განმარტებული. 1. **იაფი(აფისა)**. მცირე ფასად, მცირე ფასის მქონე (საპირისპიროდ ძვირისა). „იაფი ხორცი წვეწვს არ გამოსცემსო“ (ანდაზა). „გადავადი, იაფადაც დავიჭირე სახლი, დიდი და სრული“ (აკაკი). „მაშინ მავ შენი გიჟობით, ვერ მოვრჩებოდი იაფად“ (ბაჩა.). „ასეთ ქალებს სჯობს პირდაპირ

ქართველურ ენებში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. XXIX. თბ., 2009: 186- 2021) და შუმერში აღრიცხვიანობისა და დამწერლობის წარმოქმნის კუთხით გ. კვაშილავას სტატია (კვაშილავა გ., ეკონომიკის, მათემატიკისა და წერის ხელოვნების ჩასახვის შესახებ. Science/მეცნიერება №1 (60), vol. 16. issue 1. 2021. <http://neveconomist.com.ge> Google

⁷ ბიბლია. დაბეჭდილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის – ილია II-ის ლოცვა-კურთხევით. თბ., 2021

⁸ Stuart Winer. Stone cold sting: Ancient Jerusalem waight points to a 2,700-uear-old Rustle. 2 sept. 2021.<https://www.timesofisrael.com> Google12. Stone balance waights from the bronze Age (IMAGE) <https://www.eurecalert.org> Google

უთხრა და გააგებინო ყველაფერი, უფრო იაფად გამოხვალ“ (ა. ბელ.). „ქართველებს როგორღა დაუვჯდათ ეს სახელოვანი (ასპინძის) გამარჯვება: ძვირად თუ იაფად? ძალიან იაფად!“ (ი. გოგ.). „ქალს ტანს ეცვა იაფფასიანი ჩითის კაბა“.⁹

მეგრულსა და სვანურში იაფის შესატყვისია **ეფი, ეფი**¹⁰.

ქართულ მწერლობიდან მოხმობილი ადრეული მასალები XIX საუკუნისაა, მაგრამ გასათვალისწინებელია ბიბლიის ქართულად თარგმნის დრო, სადაც ტერმინი **ეფა** არაერთხელ არის მოხმობილი. აღსანიშნია ისიც, რომ ქართული მწერლობის **იაფი** უფრო **აიფაჰ**-ს შეესატყვისება, ხოლო მეგრულ-სვანური **ეფაჰ**-ს. რაც შეეხება ებრაულ-ქართველური სიტყვების მნიშვნელობათა ერთგვარ შეუსაბამობას, დასაშვებია, რომლის დამტკიცება ბევრი მაგალითით შეიძლება.

ტაბ 1.



1.

2.

⁹ (ეგ. ნინ.) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. IV. რედ. არნ. ჩიქობავა, მ. ჭაბაშვილი. თბ., 1955

¹⁰ ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი. შემდგენლები: რ. ქურდაძე, დ. შონია, ლ. თანდილავა, ლ. ნიჟარაძე. 2015. <https://tsu.ge>



3.



4.



5.



6.

მანანა ჭიჭინაძე (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ეკლესიური ნაციონალიზმის მხილება მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობაში – „ლამბალო და ყაშა“

საბჭოთა ეპოქის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, როგორც ცნობილია, უღმერთობაა. ბოლშევიკების ათეისტური პოლიტიკა მიზნად ისახავდა ღვთის სახლის, ანუ ეკლესიის მნიშვნელობის დამცრობა-განადგურებას, მისი, როგორც ზეციური დაწესებულების, მიწიერ დასეწესებულებად გარდაქმნას (ზ. კიკნაძე).

ბოლშევიკებმა, რომელსაც მიხეილ ჯავახიშვილმა „წითელი ეშმაკები“ უწოდა, საბჭოთა იმპერიაში ანტიქრისტიანული, ანტიადამიანური, ძალადობაზე დაფუძნებული იდეოლოგიის წყალობით „წითელი ჯოჯოხეთი“ (მ. ჯავახიშვილი) დაამყარეს. მათ სეკულარიზაციის მეშვეობით ეკლესიის წესები დრომოჭმულად გამოაცხადეს და საკუთარი სურვილებისა და ინტერესების შესაბამისად, ეკლესიის შეცვლა დაიწყეს, თუმცა მაინც ვერ მოერივნენ, ვერც მასში მუხეუმების განხნით, თეატრალური დასის შესახლებით, საწყობებად გადაკეთებით და დანგრევით, ვერც სამღვდლოების დისკრიმინაციით, შეძლეს ეკლესიის გაუქმება, მისი მნიშვნელობის გაუბრალოება.

ცნობილმა ტრაგიკულმა მოვლენებმა, ერთმორწმუნეობის სახელით რუსეთთან დაკავშირებამ, ჩვენს ქვეყანას დიდი ვნება მოუტანა. კერძოდ, რუსეთის ქრისტიანული ეკლესია ხელს უწყობდა საქართველოს დამოუკიდებლობის წაშლასა და ქართულ ენაზე, როგორც სახელმწიფო ენაზე უარის თქმას. რუსული პოლიტიკის შედეგად „ჭიანური, დოლი და დუდუკიც კი გარუსდნენო“¹, – გულსტკივილით წერდა ამაზე მწერალი. ყოველივე ამან ათქმევინა ჯავახიშვილს: “ბუნება სმენადანშულია, ხოლო ზეცა – ბრმა და უძირო. დარჩა მხოლოდ ირონია და მორჩილება”².

რუსეთის ეკლესიის საჭეთმპყრობელი, მისი ეპისკოპოსები, ეგზარხოზები და მღვდლები მეფის „რუსეთის იმპერიაშიც“ და „წითელ იმპერიაშიც“ თავიანთ კერძო „რუსულ საქმეებს“ აკვარებდნენ, რაც საერო ხელისუფლებასთან მათ ალიანსზე მეტყველებს. სწორედ ამ ალიანსის სავალალო შედეგები გვიჩვენა მ. ჯავახიშვილმა თავის მოთხრობაში – „ლამბალო და ყაშა“, რომელიც 1925 წ. დაწერა და რუსული იმპერიალისტური პოლიტიკის დაუნდობელი მხილებით თავის თანად-

¹ ჯავახიშვილი მ., უბის წიგნაკებიდან ჩანაწერები, თბ., 2011: 190

² ჯავახიშვილი მ., უბის წიგნაკებიდან ჩანაწერები, თბ., 2011: 327

როული ეპოქა ამხილა, რამეთუ მისი სამშობლო იმჟამადაც კოლონია იყო, ოლონდ, ამჟვერად, წითელი რესეთისა.

რ. მიშველაძემ „ლამბალო და ყაშას“ „რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების მამხილებელი მოთხრობა“ უწოდა³. დ. ბენაშვილის აზრით, მასში წარმოჩენილია დაპყრობლის ბუნება⁴. გ. გვერდწითელის მიხედვით, მასში მხილებულია კოლონიალიზმის საშინელება და დიდი მოქალაქეობრივი და პატრიოტული ჟღერადობით გამოირჩევა⁵; გ. ჯიბლაძე, დიდი ოსტატობით შესრულებული მხატვრული სახეების მიუხედავად, მას მინც ტენდენციური ნაწარმოებად მიიჩნევს⁶; თ. ვასაძის აზრით, მოთხრობაში გამოხატულია მწერლის წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ იდეოლოგიურმა, სოციალ-კლასობრივმა და რასობრივმა კუთვნილებამ შეავიწროვა ზოგადადამიანური მორალური კრიტერიუმები⁷. გ. მერკვილაძის მიხედვით „ლამბალო და ყაშა“ კეთილისა და ბოროტის სოციალური არსის ჩვენებაა⁸; ნ. შავგულიძე, ს. ჭილაია, გ. ნატროშვილი და ა. ბაქრაძე თვლიან, რომ მოთხრობაში აქცენტია გაკეთებული „ბედი მღევარზე“, რომელიც ლიტერატურული ხერხია, მეთოდია, სამართლიანობის სახე-სიმბოლოა, სინდის-ნამუსის სასწორია.

„ლამბალო და ყაშაში“, ჩვენი აზრით, სხვადასხვა, იმდროისათვის აქტუალურ პრობლემას წარმოაცენს, რომელთა შორის ერთ-ერთი ეკლესიური ნაციონალიზმის მძიმე შედეგების მხილებაა. მოთხრობაში აშკარად იგრძნობა ავტორის ანტიპათია ანაფორაში გახვეულ სასულიერო პირთა მიმართ. ესენი არიან: რუსი ეპისკოპოსი პავლე და აისორი ყაშა-ლაზარე. მწერალი არ იშურებს განსაკუთრებულ მუქ საღებავებს შოვინისტი ეპისკოპოსისა და „წითელი მაიმუნის“ – ყაშას მხატვრული სახეების წარმოსაჩენად. თუცა, ისიც უნდა შევნიშნოთ, როგორც ა. ნიკოლეიშვილი ამბობს, რომ: „კეთილისა და ბოროტის ამდაგვარი დაპირისპირება, როგორც მოცემულია მოთხრობაში, შეიძლება ამარტივებდეს ადამიანურ ხასიათებს და სქემატურ ცალმხრივობის რეალურ საფრთხესაც ქმნიდეს“⁹, მიუხედავად ამისა, ისეთი განსაკუთრებული ძალისხმევით არიან გამოძერწილნი ბოროტ ადამიანთა მხატვრული სახეები, რომ ისინი სამუდამოდ რჩებიან მკითხველთა მეხსიე-

³ მიშველაძე რ., მიხეილ ჯავახიშვილი, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1998: 172

⁴ ბენაშვილი დ., მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1959: 43

⁵ გვერდწითელი გ., მიხეილ ჯავახიშვილი, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, თბ., 1977: 44

⁶ ჯიბლაძე გ., კრიტიკული ეტიუდები, ტ. III, თბ., 1959: 304

⁷ ვასაძე თ., ავტორს ასამართლებენ გმირები, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 1989, აპრილი 7

⁸ მერკვილაძე გ., ბოროტიდან კეთილისაკენ, ჟურნალი „მნათობი“, № 4, თბ., 1991: 136

⁹ ნიკოლეიშვილი ა., მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშა“, ქუთ., 1992: 18

რებაში.

პავლე ეპისკოპოსი პირწავარდნილი შოვინისტია. ტყუილად კი არ უწოდებს მას ავტორი „მართლმადიდებელ კაიაფას“¹⁰. რ. მიშველადის აზრითაც, იგი ეპისკოპოსის ნიღბიანი ტიპიური რუსი შოვინისტია¹¹, რომელიც რუსების უპირატესობას აღიარებს და, შესაბამისად, მიიჩნევს, რომ რუსების გარდა, პატივისცემას არც ერთი სხვა ერი არ იმსახურებს. მისთვის ხელქვეითია ყველა არარუსი, რომელთა დამცირება და გაქილიკება მას უდიდეს სიამოვნებას ჰკვრის. სავსებით მართებულად შენიშნავს ა. ნიკოლეიშვილი ეპისკოპოს პავლეს, რომ იგი „თავისი მზაკვრობითა და ცბიერებით, სრული ანტიპოდია მღვდელმსახურებისა“¹². მის სინდისზეა მრავალი უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი. თუმცა, თავისი ნამოქმედარის გამო, იგი სინდისის ქენჯნას არასოდეს შეუწუხებია. პირიქით, თავს კეთილშობილად წარმოაჩენს და მზადაა „წმინდა რუსული საქმის მოსაგვარებლად“ უამრავი უდანაშაულო ადამიანის სისხლი დაღვაროს. მისი ლოზუნგია: „სადაც რუსის სისხლი დაიღვრება და სადაც რუსის სამხედრო დროშა ფრიალებს, ის ქვეყანა ჩვენია“¹³. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ პავლე ეთნიკური აზრით, „რუსული ეკლესიის“ მსახურია, რაც უგულებელყოფს მართლმადიდებელი ეკლესიის საყოველთაობას – კათოლიკეობას, ეს უკანასკნელი კი, როგორც ზ. კიკნაძე ამბობს: „ვერ ჰკუთნებს ეთნიკურ ნიშნით განსაზღვრას, ტომობრიობას. ეს ეკლესიური „ნაციონალიზმია“, რომელიც ფილეთიზმად არის ცნობილი და დამგობილია, როგორც მწვალებლობა“¹⁴. პავლე ნამდვილი მწვალებელია. ეკლესია, რომელიც მსხემობს რუსეთში და ვისაც ემსახურება პავლე, აღიარებს ე. წ. „რუსული ეკლესიის“ უპირატესობას და მოითხოვს რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხებისაგან უსიტყვო მორჩილებას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პავლე რუსეთის ე. წ. „მართლმადიდებელი იმპერიის“ ერთგული მსახურია. მან, როგორც სასულიერო პირმა, უნდა იცოდეს, რომ „არ არის ბერძენი, არც იუდეველი, არც წინადაცვეთა, არც წინადაუცვეთელობა, არ არის ბარბაროსი სკვითი, მონა და თავისუფალი, არამედ ქრისტეა, ყოველივე და ყოველივეში“ (კოლ. 3. 11), რაც იმის დასაბუთებაა, რომ ყოველი განმასხვავებელი ნიშანი ეროვნული იქნება ის, თუ ტრადიციული, სოციალური თუ კულტურული ქრისტეში რჩება, მაგრამ არანაირი უპირატესობა არ ენი-

¹⁰ ჯავახიშვილი მ., თხზულებანი შვიდ ტომად, ტ. I, თბ., 2004: 369

¹¹ მიშველაძე რ., მიხეილ ჯავახიშვილი, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1998: 173

¹² ნიკოლეიშვილი ა., მიხეილ ჯავახიშვილის „ლაბალო და ყაშა“, ქუთ., 1992: 26

¹³ ჯავახიშვილი მ., თხზულებანი შვიდ ტომად, ტ. I, თბ., 2004: 360, 384-385

¹⁴ კიკნაძე ზ., ეკლესია გუშინ, ეკლესია ხვალ, თბ., 2002: 38

ჭება. საამაყოც და სამარცხვინოც უქმდება, რჩება მხოლოდ ერთი ღირსება – ქრისტე: „თავადი არს უფალი ყოველთა, რომელი განამდიდრებს ყოველთა, რომელნი ჰხადიან მას“ (რომ. 10, 12), – ამბობს მოციქული. მაგრამ პავლე ეპისკოპოსზე ნათქვამი: „პირ აქს, და არა იტყვიან, თუალ ასხენ, და არა ხედვენ, ყურ ასხენ, და არა ყურად, იღებენ, რამეთუ არცა არს სული პირსა მათსა“ (ფსალ. 19: 16, 17).

პავლე ეპისკოპოსი ეწინააღმდეგება ღვთის განაჩენს, რაც გულისხმობს აღმოსავლური ეკლესიების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ნიშნით მოწყობას, საკუთარ ანბანს, წმინდა წერილის თარგმანს და ეროვნული ენის გამოყენებას ღვთისმსახურებაში. ამის დასტურად ისიც გამოდგება, რომ რუსეთის ეკლესიამ, როგორც უკვე ვთქვით, გააუქმა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ავტოკეფალური ეკლესია საქართველოში და თავისი კანონები თავს ძალად მოახვია.

ქართულ ეკლესიას, ადრე ეგ ზარხოსები განაგებდნენ, რომლებმაც საქართველოში რუსული საეკლესიო წესრიგი დანერგეს. წირვა-ლოცვაც რუსულად წარმოებდა. იგი უცხო და გაუგებარი იყო ქართველი ხალხისთვის. უცხო ენაზე წირვა-ლოცვის შემოდებამ ემოციური მუხტი დაუკარგა მართლმადიდებელ კულტს, ხოლო ამან თავი იჩინა მოსახლეობის რწმენის შერყევაში, რაც გამოიხატებოდა რელიგიისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში. ამით კი იმ მტკიცე კავშირს შეექმნა საფრთხე, რომელიც ოდითგანვე არსებობდა ეკლესიასა და ქართველ ერს შორის. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი ატარებდა რუსეთის იმპერიის პოლიტიკას. ისინი შეთანხმებულად მოქმედებდნენ. გავიხსენოთ, როგორი რეაქცია ჰქონდა რუსეთის იმპერატორს, როცა ეგ ზარხოსმა პავლემ საჯაროდ დაწვევლა ქართველი ერი. ამ ფაქტს დიდი საპროტესტო გამოძახილი მოჰყვა ქართველთა შორის, ხოლო ერთგული სამსახურის ნიშნად, რუსეთის იმპერატორმა ეგ ზარხოსს ალექსანდრე II-ის ბრილიანტის ჯვარი უბოძა. ასე ეპყრობოდა რუსეთის ხელისუფლება (საეროც და საეკლესიოც) დამპყრობილ ანექსირებულ ქვეყნებს. იმდენად შემზარავი იყო მათი მოქმედება დამპყრობილ ტერიტორიაზე, რომ მ. ჯავახიშვილმა „ლამბალო და ყაშაში“ თავად რუს კაცს აგმობინა თანამემულენი: „რუსი ვარ, მაგრამ არა ვმალავ: ჩემი რუსობისა მრცხვენია“. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები იმდენად ცოტანნი იყვნენ, რომ საერთო ვითარებას ვერ ცვლიდნენ.

ნაწარმოების მიხედვით, ყველა სისხლიანი თამაშის მეთაური და მასპინძელი, ეპისკოპოსი პავლეა. შემადრწუნებელია მღვდელმთავრის თავკაცობით ეკლესიის ეზოში გამართული სისხლიანი სცენა. მაგრამ დაეწია „საღმრთოდ შურისძიებად“ და ღმერთმა – „სიკეთისა და სიყვარულის გამკაფავმა“ აღკვეთა მისი ბოროტმოქ-

მედება და ურმიის მხარის გარუსებაზე მეოცნებე ეპისკოპოსი, მაშადი იზათმა „იმავე ადგილზე დააკლა, სადაც მან ლამბალოს სული ამოართმევინა...“¹⁵.

მოთხრობაში ზღვარდაუდებელ ბოროტებასა და ზნეობრივ სიბილწეს განასახიერებს ყაშა-ლაზარე – „ანაფორაში გახვეული მხეცი“ და სადისტი. მისი მანკიერი სულის შესატყვისია გარეგნული სამოსიც (სხეული): „სტაფილოსფერი სახე, იმავე ფერის წვერ-ულვაში და თმა, არწივის მოშლილ ბუდესავით აბურძგნული და გაფანტული; ჩაყვითლებული და ჩამტვრეული კბილები; ხახვის მსგავსი მოლურჯო ცხვირი, ლობიოსოდენა ბოროტი თვალები და ავაზაკური, დაბალი შუბლი“, მოხრილი და მოგრეხილი ტანი“¹⁶. როგორიცაა აწმყო, ისეთივე შემზარავია მისი წარსულიც. ვაჭარიც იყო, ქურდიც, კონტრაბანდისტიც, ჯაშუშიც, მკვლელი (მძინარე მამას ყელი გამოსჭრა) და გარყვნილიც. სასულიერო სემინარიაში შინაური კაცის იმიჯი ჰქონდა. ბერები, სემინარელები და ყაშა ერთმანეთის მუშტრები იყვნენ. დააბატიმრეს კიდევ, მაგრამ ბერებმა გამოიყვანეს, ანაფორმა ჩააცვეს და როგორც მისიონერი, მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგული მუშაკი ხელშეუხებლობით გაათამამეს.

ყაშა ლაზარე სრული პათოლოგიური ტიპია, კაცთმოძულე, ცილისწამების ოსტატია, პაველ ეპისკოპოსის სიამის ტყუპისცალი.

ყაშა, როგორც ნაწარმოებიდან ვიტყობთ, მღვდელმსახური არ არის, მისი საქმიანობა ეპისკოპოსი პაველს ჯაშუშობა და ბნელ დავალებათა აღსრულებაა. მოთხრობაში აღწერილი სისხლიანი სცენის გოლგოთის მთავარ ავტორად სწორედ წითელი მაიმუნი, – ყაშა-ლაზარე წარმოგვიდგება, მაგრამ მასაც მკაცრად დასჯის „არსთა გამრივე“; იგი მაშადი იზათის მსხვერპლი ხდება, ამ უკანასკნელმა შხამიან გველებს დააგვესვლინა მტარვალი.

სრულიად ნათელია, რომ მ. ჯავახიშვილმა „ლამბალო და ყაშაში“ დაუნდობელად ამხილა რუსული იმპერიალისტური პოლიტიკა. მკაცრად გააკრიტიკა რუსეთის როგორც საერო, ისე საეკლესიო ხელისუფლების იმპერიალისტური ზრახვები, რომელთა გასახორციელებლადაც შემოესივნენ საქართველოს ცხვირის ქურქში გამოხვეულნი; დაგმო ეკლესიური ნაციონალიზმი და, გარდა ამისა, მკაფიოდ წარმოაჩინა თავისი ეთიკური მრწამსი: „ქრისტიანობა – ადამიანისთვის, მიზანი – ადამიანი, როგორც ხატი ღვთისა“¹⁷.

¹⁵ ჯავახიშვილი მ., თხზულებანი შვიდ ტომად, ტ. I, 2004: 385

¹⁶ ჯავახიშვილი მ., თხზულებანი შვიდ ტომად, ტ. I, 2004: 320

¹⁷ გრიგალაშვილი ნ., სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები, IV გამოცემა, თბ., 2004: 301

MANANA CHICHINADZE

Exposing church nationalism in Mikheil Javakhishvili's story „Lambalo and Kasha“

Mikheil Javakhishvili's story „Lambalo and Kasha“ is distinguished by its merciless exposure of Russian imperialist policy. The author strongly criticizes the imperialist intentions of both secular and church authorities of Russia. The story criticizes the essence of their policy – the „Red Law“, to establish which those wrapped in sheep's wool came to Georgia. The work presents the writer's strong protest against those who intended to desecrate Christ's teachings and thereby distort his essence. They are mainly those Russian clerics who have put the political interests of the Russian secular government ahead of all and willingly sacrificed the divine side for their „carefree career“. Church „nationalism“ is exposed in the work, which is „known as philetism and condemned as heresy.

მინდა ხვადაგანი (ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ზოგიშისა და მისი მომიჯნავე ადგილების ტოპონიმია

ზოგიში ისტორიული სოფელია ლეჩხუმში. შედის ცაგერის მუნიციპალიტეტის ალბანის თემში. იგი შეფენილია რაჭის კირქვული ქედის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე, ზ. დ. 500-700 მ-ზე. ზოგიშს ჩრდილოეთით მდ. რიონი და სოფ. ალპანა ესაზღვრება, სამხრეთით თეთონდრის მთისკალთები ებმის, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთითაც ქვემო რაჭის სოფელი ზედა ღვარდია მდებარეობს. ზოგიშის აღმოსავლეთით რიონი მიედინება. იქვე, მდინარის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ არსებულ მაღალ გორაკზე კი სოფ. ქვედა საირმეა. ზოგიშის სანახებს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მიბჯენია მთაშავის ქედი (მაქსიმალური სიმაღლე 1800 მ).

ზოგიში საისტორიო წყაროებში პირველად იხსენიება XIII ს-ში, „ლაბეჭინის ოთხთავის“ მინაწერში: „...ექუსნი გლეხნი მომიგან ზოგიშს, ოთხნი ტეგინისეულნი, ერთი ნიკოლოზის ინასარიძისეული ბენმუქისძე, ერთი საგლეხო კიდევ ჰამარისძემან შემოსწირა და მე ზედა კაცი დავასახლე...“¹.

ზოგიშის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილია გვიანდელი ანტიკური ხანის ბრინჯაოს საკიდი, ფრინველის გამოსახულებით, ქვის კვირისტავი, ზოომორფულსახელურებიანი ქოთანი, ბრინჯაოს კოლხური ცული და ბრინჯაოს ზოლი, რაც 32 კგ-ს იწონის². აღნიშნულ სოფელს კვეთდა ძველთაძველი საქარავნო გზა, რაც კოლხეთის ბარს ჩრდილოეთ მთიანეთთან აკავშირებდა³. ზოგიში მდიდარი იყო ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებითაც⁴.

ზოგიში ტრადიციულად ხვადაგანთა გვარის სამკვიდრო სოფელია... ლაბეჭინის ეკლესიაში ინახებოდა ერთი ზელნაწერი, სადაც რაჭა-ლეჩხუმში მცხოვრებ, სხვა სოციალურად დაწინაურებულ საგვარეულოთა შორის ხვადაგანიც არის მოხსენიებული. აღნიშნული გვარის უადრესი წარმომადგენელი იოვანე ხვადაგანი ყოფილა (XIV ს): „ქ. ღმერთო შეიწყალე სული იოვანე ხვადაგანისა,

¹ ე. თაყაიშვილი, ემიგრანტული ნაშრომები. თბ., 1991: 23

² გ. ჩიტაია, ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში. ტ. XII, თბ., 1944: 267

³ იხ. მ. ხვადაგანი, ლეჩხუმის ისტორიული გზებისა და საგზაო ნაგებობების შესახებ. კრ. „ქართული მხარეთმცოდნეობის სათავეებთან. სერგი მაკალათია – 130“. რედ. ი. კეკელია, ქუთ., 2023: 305

⁴ დ. ბერძენიშვილი, ი. ბანძელაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურულუაია, ლეჩხუმი, თბ., 1983: 49-50; მ. ხვადაგანი, დასახლებული ნაშრომი, 342

ამინ და კირილეისონ⁵.

ხალხური გადმოცემით, 1. „აქ ყოფილა დიდი ფლატე, ნაპრალი, იყრებოდა შით ცხოველები, კაცი ჩავარდნილა თურმე და სოფელი შეყრილა. უთქვამთ, მოდით, ხალხო, ზოგი შით ჩავიდეთ და ნავხოთაო. დოურქმეკვიათ ზოგში“⁶; 2. „...ხოდა ამ სოფლის დაარსების ამბავი ასე ყოფილა, ესე იგი აქანე უწინ ყოფილა ჭალები, გაუვალი ჭალები, ტყეებიც იყო და ზოგან მიდორიც იყო. სანადიროთ ჩამოდიოდენ აქანე თურმე, რა თქმა უნდა ახლა სანადიროთ ჩამოდიოდენ თავადები და იგენი... მერე ერთი კაცი რო ჩამოსულა აქანე, ბინულის წყალი მაშინ აგერ ამოდიოდა, ის იყო წყარო და მოსწონებია... ხოდა მევიდა, დეესახლა ი კაცი, პირველი ზვადაგანი ვინც იყო, აქანე წყარო მეეწონა. ხოდა მიკაფა-მოკაფა ალბათ მერე ნელ-ნელა, ცოლი და შვილიც ეყოლებოდა, ხოდა მერე გამრავლდენ-გამრავლდენ და რო წასულა... ძველი გვარი რა იყო ეს ვინ იცის ახლა ჩვენი, რო წასულა და მისულა იქ თავის ხალხში და იმაში უკითხიათ მისთვის, რა გაჩერებსო იქანაო, იმგენს უთქვია ახლა, ისინიც ნამყოფი ალბათ იყონ აქანე, ი ჯუნგლებში, ი ტყეშიო იქანაო რა გაცხოვრებსო, საყვედური უთხრეს თურმე და მერე ამ კაც უთქვია იმგენისთვის, ზოგი შინ ნახეთ რა ბუნება და რა ის არიო, რა ადგილები არისო კაცოვო... ზოგი შინ, ზოგში და ვიდაცამ გეიგონა და დაერქვა ზოგიშიო...“⁷.

მოსალოდნელია სვან. **ზუგში** „ბორცვი, შემადლებული ადგილი, ზუგი“⁸.

ზოგშის სამხრეთ-დასავლეთიდან ებმის პატარა და ლამაზი სოფელი ცაგერა. ამ ორი დასახლებული პუნქტის ისტორიული წარსული და დღევანდლობა მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ცაგერაში მკვიდრობდნენ თავადი ახვლედიანები, რომელთა სათავადოშიც შედიოდა სოფლები: ცაგერა, ზოგში, ალაპანა-აჭარა და გარკვეული დროის განმავლობაში რაჭის სოფ. ზედა ღვარდიაც. საქვეყნოდ ცნობილია ცაგერას მიმდებარედ ადგ. ჩიხეშში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთებით მდიდარი განძი⁹. ლეჩხუმის მოსახლეობის 1888 წლის აღწერის მიხედვით ზოგშიში 66 კომლი ფიქსირდება, 569 მცხოვრებით, ხოლო ცაგერაში 21 კომლი, 145 სულით¹⁰.

ზოგშიის ტოპონიმიური მასალა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პიროვნებებისგან მაქვს ჩაწერილი (2015-2023 წწ.).

⁵ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. ტ. I, თბ., 1973: 388

⁶ გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013

⁷ რესპ. თ. ზვადაგანი, 78 წ. ჩამწერი მინდია ზვადაგანი, 2023 წ.

⁸ გ. ბედოშვილი, დასახლებული ნაშრომი

⁹ ლ. სახაროვა, ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბ., 1976: 10

¹⁰ ძ. კეზევაძე, გვარსახელები XIX საუკუნის ლეჩხუმიში, ქუთ., 2018: 37-40

რესპოდენტები იყვნენ:
ახვლედიანი გივი, 95 წ.
გვერცაძე გიორგი გეგას ძე, 25 წ.
გოქაძე ჯიმშერი, 68 წ.
ისიანი ვრიშა ილიკოს ძე, 83 წ.
ჭოხონელიძე ავთო, 68 წ.
ჭოხონელიძე ლოლა 95 წ.
ხეცურიანი მალხაზი, 56 წ.
ხვადაგიანი ბაჩუკი რეზოს ძე, 65 წ.
ხვადაგიანი თენგიზ მიხას ძე, 78 წ.
ხვადაგიანი ნოდარ ვლადიმერის ძე, 90 წ.
ხვადაგიანი მერაბი ზვიადის ძე, 32 წ.
ხვადაგიანი მიხო ბადრის ძე, 39 წ.
ხვადაგიანი ნუგ ზარი მიშას ძე, 48 წ.
ხვადაგიანი ფიქრია რეზოს ასული, 56 წ.
ხვადაგიანი შოთა, 68 წ.
ჯანაძე დავით გურგენის ძე, 58 წ.
ჯანაძე ომარი ალექსანდრეს ძე, 80 წ.

ქვემოთ წარმოდგენილ ტოპონიმთა ანბანურ ნუსხას დავურთეთ რესპოდენტთაგან ჩაწერილი განმარტებები, რაც უაღრესად საინტერესო და ფასეულია ლეჩხუმური დიალექტის თავისებურებების შესასწავლად, და გეოგრაფიული კოორდინატები, რითაც ადვილდება სახელდებული ობიექტის ზუსტი ლოკალიზაცია. კოორდინატების საშუალებით შესაძლებელია ზოგიშისა და მისი შემოგარენის ისტორიულ-გეოგრაფიული (ტოპონიმიკური) რუკის შედგენა.

ტოპონიმთა ნუსხა

1. **ახვლედიანების ციხე** – ზოგიშის ისტორიული ციხესიმაგრე, იხ. **ციხიგვერდი**. გეოგრ. კოორდ. 42. 538447, 42.844629.
2. **ახო** – სახნავი ფაშინიკებში, ნაბრუნების გვერდით. რუსპ.: „ტყეებს ვკაფავდით და ახოებს ვიკეთებდითყე იმიტო, რომე გაჭვივრება იყო, ადგილები არ გვეფუნინდა, კაფავდენ ტყეს და ძირეფს და იმას მერე წერაქვით და იმითინ თხრიდენ, ი ძირები რაცხა იყო. იერთი წელიწადი აფერი იყო და მეგორე წელიწადს რო დეიხვნებოდა და რაღაცა, არა ხვინთ არ იხვნებოდა, წერაქვით აწერაქვებდენ, ძირები იყო ისთე იმნაირი მარა სიმიდი, კაკალი და ის ამოდლოდა მაინ“. გეოგრ. კოორდ. 42.552978, 42.850606.

3. **ახოწყალი** – წყარო, სახნავ-საკვანახე საქორიის კლდესა და ნაციხვარას სი-ახლოვეს. რესპ.: „თავდაპირველად ტყიანი ადგილი ყოფილა, ტყე გოუკაფავთ საყანედ“. გეოგრ. კოორდ. 42. 5559 66, 42.852382.
4. **ბაკლაშკიწყალი** – წყარო ზოგიშის მთაში. ქვისწყალის თავზე, ზედა სათი-ბებში. რესპ.: „ბაკლაშკიწყალი ქვის წყალს იქეთაა, ზედა სათიფები როა, ქვის წყალს თავზედ. ბაკლაშკიწყალი იმიტო ქვია, რომე ხოლოთ ბაკლაშკა ჩადის, ისთე კი ვერ ეიღუფ“. გეოგრ. კოორდ. 42.509900, 42.830475.
5. **ბანკიყანა** – სახნავ-სათესები. ვრცელი ვაკობი, ნაყანარი მინდორი ჭალობო-ლოსა და ნასახლევის გვერდით, რაც დღეს ფაქტობრივად გატყიანებულია. რესპ.: „ბანკიყანაში შარშან ვიყავი, ზა ვეღარ იმასავქენი, გავყევი საქონლი ნავალ, ისთეა ეკალ-ბარდები, ჭკუტები და ფიჭვები წამოსული, ზა აღარაა“. გეოგრ. კოორდ. 42. 5369 36, 42.8409 26.
6. **ბატონისოული** – საკვანახეები. აქ აღმოჩენილია ბრინჯაოს ზოდი, რაც 32 კგ-ს იწონის და უმძიმესია ლეჩხუმში მოპოვებულ ბრინჯაოს ზოდთა შორის. ბა-ტონისოულის ვენახები ზვადაგიანებს ეკუთვნოდათ. მოიხსენიება ნასყიდობის დოკუმენტში: „...სამაგიეროდ ამისა ერმალო ზვადაგიანმა გარდმოგეცი შენ გარსევანა ზვადაგიანს ორი ნაჭერი ვენახიანი ადგილები სახელწოდებული ივანეს სოული ვენახი და მეორე ბატონისოული ვენახი. სამძღვრები ამისი აღ. თვითონ გარსევანა ზვადაგიანის ეზო. დას. ვენახი ბეკოია ზვადაგიანისა. ჩ. ერ-მალო და სოსიკა ზვადაგიანების ვენახი და სამხ. კიდენ სოსიკა ზვადაგიანის ვენახი...“ (1906 წ.). გეოგრ. კოორდ. 42. 552229, 42.848411.
7. **ბაჯეიში** – სახნავ-სათესები ტყეში, საორხოსა და ბზანარიკუდს შორის. 1. რესპ.: „გორნასვენებიდან რო ვადეიხედავ რიონი პირუბამდე მოჩანს ბაჯეიში, ჩინეში“. რესპ.: „უწინ გაჭვირება ხონდათ, ფეხშველა მოდიოდენ ბაჯეიშიდან ხალხი, ქალაბანი დადიოდენ, სიმიდი კაკალ ჭამდენ კაცო, სიმიდ კაკალ ზოგი, თესს რო გაატნევედენე...“; 2. რესპ.: „ბაჯეიში პური მკა იყო ვაზურებული და წვევით ახლა ბოშები ჩვენც, ხოდა ახლა რო მკიდენ პურ ჩებოდა იქინე ამსიგ-ბე თაველები, კაი პური იცოდა ბაჯეიშ ვაკეში და ჩვენ ვხეშავდით ბოშები პურ, იერთი კონა რო წამოგველო, სახში მევიტანდით გამოფშენილით და ვფქვავდით, გაჭვირება იყო, ეს იქინე ტყულა უნდა ჩაყრილიყო...“ გეოგრ. კო-ორდ. 42.527431, 42.819057. შესაძლებელია სვან. **ბაჯუ-იშ** – 1. ჩიყვი; 2. თიაქარი; 3. დათვის თათი¹¹.

¹¹ ვ. თოფურია, მ. ქალღანი, სვანური ლექსიკონი. თბ., 2000: 303

8. **ბაჯეიმის გორა** – გორა, ბაჯეიმის შემალელებული ნაწილი. გეოგრ. კოორდ. 42.525121, 42.815053.
9. **ბაჯეიში(ს)ვაკე** – გააკაება, იგივე **ბაჯეიმის სახნავეები**, სადაც ჰური ითესებოდა. გეოგრ. კოორდ. 42.527431, 42.819 057.
10. **ბაჯეიმის სახნავეები** – იხ. **ბაჯეიში(ს)ვაკე**.
11. **ბაჯეიში(ს)წყალი** – დიდი დებეტის მქონე კარსტული წყარო ბაჯეიშში. გადმოყვანილი ჰყავთ ცაგერასა და ზოგიშში. გეოგრ. კოორდ. 42.527431, 42.819 057.
12. **ბზანარიკული/ზოგიშის გორა** – მაღალი კლდე გორნასვენების ქვეშ. სოფ. ცაგერადან აღის ძველი გზა ნახოიმის, საორხოსა და ბაჯეიმის გამოვლით. აქ ბზის კორომები ყოფილა, რომელიც დღეს გადამხმარია. გეოგრ. კოორდ. 42.522678, 42.807542.
13. **ბზანარიწვერი** – ბზანარიკულის უმაღლესი წერტილი. გეოგრ. კოორდ. 42.521183, 42.809698.
14. **ბზიკოულა** – სოფლის სასაფლაო. აქ მდგარა ზოგიშის მაცხოვრის სახელობის დარბაზული ეკლესია, რომელსაც ჰქონია სამრეკლო. აგებული XIX ს-ის დასაწყისში. ძველი დღეს დანგრეულია. 1817 წელს ზოგიშის მკვიდრთა მიერ აღნიშნული ეკლესიისათვის შეწირულ იქნა ზარი, რაზეც ამოტვიფრულია წარწერა: „ქრისტე შევწირეთ ჩვენ ზოგიშელთ მოსახლეთა, ზოგიშის ეკლესიას მაცხოვრისასა ზარი, ადამა ზვადაგიანი, ლაზარე ჭოხანალიძე, გიგოლა ზვადაგიანი, მამუკა ზვადაგიანი, კაცია ჯანაძე. შეიწირე მცირე შესაწირავი ქრიშტის შობის თვის ი. დ., ჩ. ყ. ი. ზ წელსა“. ადგილი მდებარეობს ზ. დ. 600 მ-ზე, სოფლის განაპირას. 1904 წელს აქ აუგით ხის შენობა სამრევლო სკოლისთვის. გეოგრ. კოორდ. 42. 553843,42.838131.
15. **ბინული** – წყარო და სანახშო ზოგიშის ქვემო მონაკვეთში. მიწიდან ამოქუხს დიდი დებეტის მქონე კარსტული წყარო. მასზე დაშენებულია მოზრდილი წყარო-ნაგებობა. გეოგრ. კოორდ. 42.553543,42.848489.
16. **ბინული(ს)კუთხე** – უბანი ზოგიშში. ბინულის წყარო-ნაგებობის შემოგარენში არსებული სასოფლო დასახლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი. მდებარეობს ზ. დ. 450-480 მ-ზე. გეოგრ. კოორდ. 42.553574,42.847973.
17. **ბინულის დელე** – დელე. ბინულის წყალი სამხრეთ-აღმოსავლეთით მიედინება და ერთვის რიონს. შესართავამდე ქმნის წყალვარდნილებს. ბინულის დელეზე უწინ ლეჩხუმის ეთნოგრაფიული სინამდვილისათვის დამახასიათებელ

„გვიძიან“ წისკვილებს ამუშავებდნენ ზოგიშელები. ტოპონიმი მოიხსენიება ისიანისა და არჩვაძის მიერ ხვადაგიანებისადმი მიცემულ ნასყიდობის ხელწერილში, საწისკვილე ადგილის მიყიდვის შესახებ: „ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი მცხოვრებნი სოფელსა ზოგიშს გლეხები: იოსებ ისიანი და ფილიპე არჩვაძე გაძლევეთ ამა ნასყიდობისა პირობის ხელის წერილს თქვენ ჩვენსავე სოფელშივე მცხოვრებთ სასულიერო წოდების პირებს: ნიკო, გიგო, ზალიკა და ხოსია ზაქარას ძე ხვადაგიანებს, მას შინა რომელ ჩვენ პირველებმა მოგსყიდეთ კუთვნილი ჩვენადმი საწისკვილო ადგილი ადგილობრ ზოგიშს ბინულის ღელეზედ რიონის პირის მახლობლად, კაცია ისიანის წისკვილის ქვეშ...“ (1905 წ., ზოგიში). გეოგრ. კოორდ. 42.553567, 42.852032.

18. **ბოგირი** – უწინ ხის პატარა გადასასვლელი (ღღეს სახეცვლილი) მცირე ზომის მშრალ ხეზე, სადაც წყალი მხოლოდ წვიმების დროს მოედინება. გეოგრ. კოორდ. 42.551999, 42.846428.
19. **ბოსტანა** – სახნავი მინდორი, ტყე კოპალასა და ველიტყეს შორის. გეოგრ. კოორდ. 42.533024, 42.828890.
20. **ბუაძი(ს)სეული** – სავენახე ადგილი. იხსენიება 1896 წელს, „ადგილების მოცვლილების“ შესახებ შედგენილ ხელნაწერში. ბუაძისეული ეკუთვნოდა ილია ექვთიმეს ძე ხვადაგიანს.
21. **გადაღმა გასავალი//გასავლები** – ძველი გზა ტყეში, ნამაიდნევის გვერდით. „გადაღმა გასავალია ის, ძველი გზა როა, აღიხარ ნაძვნარიძის თავზე“. გეოგრ. კოორდ. 42.530270, 42.843743.
22. **გადმოღმა გასავალი//გასავლები** – ძველი საქარავე გზის ერთი შტო, რაც უერთდება გადაღმა გასავალს. აქედან გზა გადადიოდა ქვემო რაჭის სოფელ ზედა ღვარდიაში. ჭალიბოლოს, ბანკიყანისა და ნამაიდნევის მიმდებარედ. გადაღმა და გადმოღმა გასავალს ადგილობრივები ზოგადად **გასავლების** სახელითაც მოიხსენიებენ ხოლმე. გეოგრ. კოორდ. 42.535766, 42.840620.
23. **გადაღმა ეწერი** – მუხნარი სოფ. ცაგერას დასავლეთით. რესპ.: გადაღმა ეწერში საერთოდ აღარაა ზა, არი ბამბამყვალას ეკლები განცობილი, ვერ გახვალ“. გეოგრ. კოორდ. 42.539494, 42.813070.
24. **გადმოღმა ეწერი** – მუხნარ-ფიჭვნარი ტყე სოფ. ცაგერასა და ნახოიშის გვერდით. გეოგრ. კოორდ. 42.537146, 42.814965.
25. **გამოღმა ღაბარი** – ტყე, სახნავ-სავენახეები ღაბარის ღელის გამოღმა. მისგან აღმოსავლეთით არსებული მიწები. იხ. **ღაბარი**. გეოგრ. კოორდ. 42.554877, 42.826029.

26. **გასავლები** – ადვ. აკონკრეტებენ: **გადაღმა გასავალი, გადმოღმა გასავალი.**
27. **გაღმა დაბარი** – დაბარის დღელის დასავლეთით არსებული სახნავ-სავენახეები, დღეს ტყე. იხ. ასევე **დაბარი.** გეოგრ. კოორდ. 42.555428,42.819 039.
28. **გაღმა ყანა** – სახნავი, იხსენიება 1882 წელს. ეკუთვნოდა ყარამან ზვადგიანს.
29. **გელითავი** – ნამოსახლარი, სახნავი ჯაფაროულის გვერდით. გეოგრ. კოორდ. 42.550361,42.839 189.
30. **გენუზიას ადგილი** – ვენახი კალოსა და ნაბრუნების გვერდით. ვენახი ეკუთვნოდა გენუზია ისიანს. რესპ.: „იქინე გენუზიას ჩამონატოები ვენახი როა, ახლა სამ ურემი შუმა მიეჭრება“. გეოგრ. კოორდ. 42.553315,42.84559 5.
31. **გველითავი** – უბანი, ჭოხონელიძეთა გვარის სამოსახლო ყორანასა და ჩიტოულას შუა. ჩრდილოეთით ლაზარეთი ესაზღვრება, სამხრეთით – ჩოლხეში. ზოგიშის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთია. გეოგრ. კოორდ. 42.548457,42.837108.
32. **გველითავის გზა** – ძველი სასოფლო-საურმე გზა; ჩამოვილის გველითავს და უერთდება ჩიტოულას გზას. გეოგრ. კოორდ. 42.54799 5,42.837661.
33. **გიორგელას ყანა** – ნაყანევი ზოგიშის მთაში, წყალატორის მიდამოებში. აქედან კლდის საცალფეხო ბილიკი ჩადის სოფ. ორხეში. გეოგრ. კოორდ. 42.515608,42.819 52.
34. **გიორგინაკაფი** – წიფლნარი ტყის მასივი ზოგიშის მთაში, ნაძვნარიძირის ჩრდილო-დასავლეთით. აქედან ძველი საურმე გზა ადის ცივწყალასაკენ. რესპ.: „ჩემ მახსორობაში სათფობი ხეები მოგვქონდაყე ცივწყალადან, გიორგინაკაფიდან...“ გიორგინაკაფში იღებდნენ საამშენებლო ქვას პალატებისათვის. გეოგრ. კოორდ. 42.524352,42.829 9 20.
35. **გიორგიწყალი** – წყარო ზოგიშის მთაში, წყალატორის ქვემოთ, გორნასვენებთან. გეოგრ. კოორდ. 42.51879 2,42.818772.
36. **გოგია(ს)სოული** – სავენახე. იხსენიება 1886 წელს. ეკუთვნოდა გოგია ზვადგიანს.
37. **გორიკუთხე** – უბანი ზოგიშში, ძველ ეკლესიასა და სასკიბოლოს შუა. უჭირავს სოფლის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი მონაკვეთი. შემადღებელი ადგილია. სწორედ ამიტომ დაერქვა გორიკუთხეც. აქედან ჩრდილოეთით საურმე გზა ეშვება დიდჭალისაკენ. აქედანვე ძველი გზის გავლით შესაძლებელია ჯანაძეების კუთხეში მოხვედრა, რაც აღნიშნულ უბანს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება. აქ ძველთაგანვე ზვადგიანები სახლობდნენ. გორიკუთხეს მიქელ **ხუცი(ს)შვილების კუთხესაც** უწოდებდნენ. მიქელ ზვად-

- გიანი სასულიერო პირი იყო. იგი ცხოვრობდა XIX ს-ში. მისი შთამომავლები დღემდე მკვიდრობენ გორიკუთხეში. გეოგრ. კოორდ. 42.556352, 42.847293.
38. **გორნასვენები** – ადვ. ზოგიშის მთაში, წყალატორის ქვემოთ, გიორგიწყლის გვერდით. რესპ.: „წყალატორაზე რო შედიხარ, მაღლა კარამი როა, იმის ქვეშ არის გორნასვენები და გიორგიწყალი“. გეოგრ. კოორდ. 42.516671, 42.818662.
39. **გბელვენახი** – ვენახი ფაშინიკებში. რადგან ვაზი მწკრივში გრძლად ჰქონიათ გაშვებული, ამიტომაც უწოდებიათ მისთვის გბელვენახი. გეოგრ. კოორდ. 42.552859, 42.850742.
40. **დათაიას წვერი** – ადვ. ზოგიშის მთაზე, ზოგიშის, ცაგერასა და ზედა ღვარდიის სიახლოვეს. დიდწვერის უკანა მხარე, ზ. დ 1300 მ. „დათაიას წვერს რო უძახიან, ი გადმოლმა მხარე ყოფილა, მე რაც მაქ მოსმენილი ზოგიშის“. გეოგრ. კოორდ. 42.524304, 42.839789.
41. **დათვის საწუმპელა//დათვის საწუმპია** – წყარო წყალატორის სიახლოვეს. გეოგრ. კოორდ. 42.496559, 42.826844.
42. **დათვის საწუმპია** – იგივე **დათვის საწუმპელა**.
43. **დამპალაღელე** – წყარო სოფ. დღნორისის საზღვრებში, წყალატორის მიმდებარედ. გეოგრ. კოორდ. 42.499559, 42.825977.
44. **დატკეცილა** – ძველი გზა ზოგიშის ჩრდილო-დასავლეთით. გაივლის ნაციხვარასთან და ეშვება დაბრისაკენ, რიონის სანაპიროზე. გეოგრ. კოორდ. 42.552033, 42.831356.
45. **დიდი ნაოსპარა//ნაოსპარა** – ადგილი, სადაც ოსპი ითესებოდა. სახნავი მიწდორია, რაც იფარება ტყე-ბუჩქნარით. გეოგრ. კოორდ. 42.551947, 42.851051.
46. **დიდქვა** – დიდი ზომის ლოდი რიონ-ლაჯანურის შესართავთან. გეოგრ. კოორდ. 42.557863, 42.856717.
47. **დიდშურო** – ჩაღრმავებული ადგილია (მშრალი ხევი) მთაშავის მასივის ჩრდ. ფერდობზე. რესპ.: „ქვაყუნტიდან რო ჩახვალ ქვევით, კარამი რო ქონდაყე დღნორისლებს, იმის ქვევით პირველი ალიმიას შუროა, მერეა დიდშურო, მერე მოდის კტიანი შურო“. გეოგრ. კოორდ. 42.502362, 42.873146.
48. **დიდწვერი** – მაღალი ადგილი ზოგიშის მთაზე, რასაც კონუსისებრი-სამკუთხა მოყვანილობა აქვს. შემოსილია წიფლნარ-ნაძენარით. წარმოადგენს რაჭის კირქვეული ქედის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთს. გეოგრ. კოორდ. 42.523341, 42.837422.

49. **დიდჭალა** – სახნავ-სავენახეები და ტყე-სადოვრები სოფ. ზოგიშის ჩრდილოეთით, რიონის მარცხენა ნაპირზე. უწინ აქ საუკეთესო ვენახები და ხეხილის ბაღები ჰქონიათ გაშენებული. აქვე უთესიათ პური, სიმინდი და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები. აღნიშნული ადგილი დღეს მეტწილად გატყვინებულია. გეოგრ. კოორდ. 42.559 035, 42.84489 4.
50. **ეწერიგორი** – მთა. მოქცეულია ცაგერა-ზოგიშსა და რიონს შორის. ეწერიგორის კლდოვანი ფერდობები, განსაკუთრებით კი მისი ჩრდილოეთი მონაკვეთი, ხშირი ტყითაა დაფარული. მცენარეულობა ფართოფოთლოვნებითა და წიწვოვნებითაა წარმოდგენილი. უმაღლესი წერტილი ზ. დ. 870 მ. აკონკრეტებენ: **გადაღმა** და **გადმოღმა ეწერი**. გეოგრ. კოორდ. 42.545810, 42.819 817.
51. **ვაკია//ვაკიები** – მოვაკებული ადგილი, ტყე. გზა ადიოდა ბანკიყანიდან. „ვაკიები და იგენი ტყიანი იყო, ხოდა იქინე არ ამუშავებდენყე ადგილევს, იმაჩი ვაბალახებდითყე საქონლევს, ვაკიიძირში იყო კილო, ისთე ზევით თლა წვერში მიგყავდა საქონლები“. გეოგრ. კოორდ. 42.53019 3,42.838148.
52. **ვაკიიძირი** – ვაკიის ქვემოთა მონაკვეთი, ტყე-სადოვარი.
53. **ვაშლარი//ვაშნარი** – ტყე-ბუჩქნარი. მდებარეობს გორიკუთხის გადაღმა, ჩრდილოეთით. სახელწოდება უნდა გავიანზროთ, როგორც ვაშლ-ნარ-ი, ადგილი, სადაც ბევრი ვაშლის ხე იდგა. გეოგრ. კოორდ. 42.557670,42.8459 28.
54. **ველიტყე** – სახნავები, ტყე ნარლოვთან. გეოგრ. კოორდ. 42.527282, 42.823410.
55. **ვერხენალა** – წიფლის ტყე ცაგერას, კოპალა-საჭიღვია-ნასახლეესა და დარიწყალს შორის. ვერხენალას კვეთს რამდენიმე ძველი საურმე გზა. უწინ აქ ვერხვის ტყე ყოფილა გავრცელებული. გეოგრ. კოორდ. 42.542012, 42.835471.
56. **ზედა სათიფები** – სათიბები ზოგიშის მთაში, წყალატორასა და ცივწყალას შორის. გეოგრ. კოორდ. 42.509 581, 42.830791.
57. **თავშავა** – იხ. **მთაშავა**. გეოგრ. კოორდ. 42.499 807, 42.880828.
58. **თაშავა** – იგივე **თავშავა**.
59. **თეთონდერი** – კლდოვანი მთა, რომლის ჩრდილოეთი ფერდობები უზარმაზარი ლოდებითაა დაფარული (ქვიანი ნაყარი, რომელიც სიგრძივ ჩასდევს რელიეფს, აქ წარმოქმნის ე. წ შურობებს). მდებარეობს ზოგიშ-ცაგერასა და ზედა ღვარდიას შორის. თეთონდრის ჩრდილო-აღმოსავლეთი, ძლიერ ეროზირებული კალთები ციცაბოდ ეშვება რიონის სანაპირომდე და საირმის კირკვულ უბანთან ერთად ქმნის ღვარდია-ზოგიშის ვიწრობს, კანიონისებურ ხე-

ობას, რომელიც დაფარულია ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეებით. აღნიშნული მთის რთულად მისადგომ ადგილებში ნაძვნარებია განვითარებული. თეთონდერი განყოფს ერთმანეთისაგან რიონის მარცხენა მხარეს მდებარე ქვემო რაჭისა და ლეჩხუმის სასოფლო დასახლებებს. მთის ჩრდილოეთი და ნაწილობრივ სამხრეთ-დასავლეთი ფერდობები ზოგიშის სასოფლო საკუთრებას წარმოადგენს, ხოლო მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი კალთები სოფ. ზედა ღვარდიის (ქვემო რაჭა) კუთვნილებაში ექცევა.

ცნობილია, რომ 1534 წელს იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ დააარსა ნიკორწმინდის საეპისკოპოსო კათედრა, რამაც მთელი ისტორიული რაჭა მოიცვა. ამასთან დაკავშირებით არსებობს ბაგრატ მეფის მიერ გაცემული სიგელი, რომელშიც მოხსენიებულია თეთონდრის მთაც, როგორც ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სასაზღვრო არე: „გაუჩინეთ სამწყსონი და საკურთხნი თოთენდერს მთას აქადა, ოკრიბის მთას აქადა, ნაკალოებსა აქადა, მუხურის მთას აქადა...“¹² გეოგრ. კოორდ. 42.538416, 42.849379.

60. **თეთონდრის მთა** – იგივე **თეთონდერი**.
61. **თეთონდრის ყანა** – სახნავი. XVIII ს-ში ეკუთვნოდა ზოგიშელ ყარამან ზვადაციანს. ტოპონიმი პირველად იხსენიება 1881 წელს შედგენილ ერთ საინტერესო ხელნაწერში (ინახება ზოგიშში).
62. **თეთონდრის ციხე/ზოგიშის ციხე** – იხ. **ციხიგვერდი**. გეოგრ. კოორდ. 42.538407, 42.844503.
63. **თეთრღელე** – ღელე ნავოგართან, დათაიას წვერის ქვეშ, ღვარდია-ზოგიშის საზღვართან. გეოგრ. კოორდ. 42.528531, 42.845748.
64. **თხიზურგი** – მალა აზიდული ადგილია, ქვაყუნტიას გვერდით. გეოგრ. კოორდ. 42.499242, 42.840121.
65. **ივანე(ს)სოული** – სავენახე (იხსენიება 1906 წ.). ივანე ზვადაციანის კუთვნილი.
66. **ისიანების კუთხე** – უბანი ზოგიშში, ბინულის კუთხესა და გორიკუთხეს შუა. გეოგრ. კოორდ. 42.555200, 42.847233.
67. **კალო** – ადგ.: 1. ნაბრუნების გვერდით. 2. ზოგიშის მთაში, წყალატორის სათიბებთან. აქ პურს ლეწავდნენ. გეოგრ. კოორდ. 42.552644, 42.844604// 42.518665, 42.823687.

¹² ს. კაკაბაძე, სვულმდებელი ბაგრატ კურაპალატი, ტფ., 1912: 8

68. **კაშიორი// კაშიორები** – წყალატორის სათიბების ქვემოთ არსებული კლდოვანი ქარაფები, სოფ. ორხვის კირქვოვან კლდეთა ზედა მონაკვეთი. რესპ.: „კაშიორებში იცოდა ვონჯოლი, დიდი რაოდენობით გადმოგვკონდა იქედან, დუბე ქონდა სასწაული“. გეოგრ. კოორდ. 42.513174, 42.818003.
69. **კაშიორები** – იხ. **კაშიორი**.
70. **კაცია(ს)სოული** – საენახე (1904 წ.). როგორც ჩანს, ადგილი ეკუთვნოდა ზოგიშელ თავადს კაცია ახვლედიანს, რომელიც ისტორიული პირია, მოღვაწეობდა XIX ს-ის 40-იან წლებში.
71. **კახის ნაყანები** – სახნავი. ეკუთვნოდა ზაქარია გიორგის ძე ხვადაგიანს. „ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი მცხოვრებნი ლეჩხუმის უეზლსა შინა, ალპანის საზოგადოებაშიდ, სოფელსა ზოგიშს, გლეხები ერთის მხრით ზაქარია გიორგის ძე ხვადაგიანი და მეორეს მხრით გლეხი ვახტანგ ბერუკას ძე ხვადაგიანი ამა მოცვლილების პირობის ხელის წერილს ვსდებთ ურთიერთ შორის, მას შინა რომელ მე პირველმა მხარემ გარდმოგვცი, თქვენ მეორე მხარეს კუთვნილი ჩემდამი ადგილი მდებარე სოფელსა ზოგიშს, სახელწოდებული კახის ნაყანები, შემდგომის სამზღვრებთა შორის, აღმოსავ. სახნავი გლეხის ეგნატე ხვადაგიანის, დასავ. დაბლარი ვენახი ბასილა ხვადაგიანისა, ჩრდილოეთით სახნავი გლეხის ფირანა სილაგაძისა და სამხრეთით გზა...“ (1880 წ.).
72. **კეკუტის კუთხე** – ადვ. სასკიბოლოს გვერდით. აქ კეკუტიას უცხოვრია,
73. **კვაცხუთი** – ისტორიული ნასოფლარი, ტყე-სახნავები ზედა ღვარდიის მთაში. აქ უწინ ინასარიძეთა ფეოდალურ საგვარეულოს უცხოვრია. კვაცხუთში ბოლო დრომდე შეიმჩნეოდა შენობა-ნაგებობათა ნაშთები. სტრატეგიულად გამორჩეული ადგილია. მდებარეობს ცივწყალას სათიბების სიახლოვეს, შესაბამისად ესაზღვრება ზოგიშის სასოფლო საკუთრებაში არსებულ მიწებს. გეოგრ. კოორდ. 42.513905, 42.846880.
74. **კვაცხუთის მთა** – იგივე **კვაცხუთი**.
75. **კვაცხუთის დელე** – სასმელი წყალი. ზედა ღვარდიელებს გადაყვანილი ჰყავთ კვაცხუთიდან უშუალოდ სოფელში. გეოგრ. კოორდ. 42.511337, 42.849506.
76. **კოპალა** – ტყე-მინდორი სოფ. ცაგერას მიმდებარედ, რობასა და ვერხვნალას გვერდით. აქ ყოფილა კირქვის საბადო, სადაც საამშენებლო ქვას მოიპოვებდნენ პალატისათვის, სახლის კიბეებისა და ზოგიერთი სამეურნეო საგნის დასამზადებლად. კოპალას ჩამოივლიდა ზოგიშისაკენ მომავალი ძველი საქარავნო გზის ერთი შტო. გეოგრ. კოორდ. 42.538859, 42.832550.

77. **კლდეშავი** – ტყიანი მთა-კლდე კვაცხუთთან; ღვარდიელთა კუთვნილი ადგილი; ემიჯნება ზოგიშის სასოფლო საკუთრებაში არსებული ტყეები. გეოგრ. კოორდ. 42.508333, 42.855296.
78. **კტიანი შურო** – ჩაღრმავებული ადგილი, მთაშავის მასივის ჩრდილოეთი ფერდობი. იგივე **დიდშურო**.
79. **კტიძირი** – ზოგიშში შემომავალი გზის ერთი მონაკვეთი უშუალოდ კლდის ქვეშა გამოყვანილი. ამიტომ უწოდებენ კტიძირს (რიონის სანაპირო). გეოგრ. კოორდ. 42.559999, 42.849008.
80. **ლაზარეთი** – ვრცელი უბანი ზოგიშის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში. ლაზარეთს სამხრეთით გველითავე ესაზღვრება, აღმოსავლეთით – ბზიკოულა, ჩრდილოეთით – ნაცხვარა, სამხრეთ-დასავლეთით – სოფ. ცაგერა და ეწერიგორის ჩრდილო-აღმოსავლეთის ტყიანი ფერდობი. ლაზარეთის ტერიტორია უწინ აქტიურად მუშავდებოდა. ზოგიშში შემორჩენილია ნასყიდობის ხელნაწერები (XIX ს-ის ბოლო და XX ს-ის დასაწყისი), სადაც იხსენიება ლაზარეთის სახნავი ადგილები, რომლებიც ძირითადად ზვადაგიანთა საგვარეულოს კუთვნილებაშია. „სოფელსა ზოგიშს მცხოვრები ბესარიონ დავით მღვდლის ძე ზვადაგიანი გაძლევ ამა პირობას თქვენ ამავე სოფელში მცხოვრებს გლეხს ზაქარია გიორგის ძეს ზვადაგიანს, მას შინა რომელ მე თქვენ მოგყიდე კუთვნილი ჩემდამო სახნავი ადგილი მღებარე სოფელსავე ზოგიშს სახელწოდებული ლაზარეთი, სამძღვრებთა შორის აღმოსავ. სახნავი ლუკა მღვდლის ზვადაგიანისა, დასავ. ჩრდ. და სამხრ. სახნავი თვითონ თქვენ მსყიდველისა...“ (1881 წ.); „მე ქვემოთ ამისა ხელის მომწერელი სოფელსა ცაგერას მცხოვრები თავადი ალექსი გიორგის ძე ახვლედიანი გაძლევ ამა პირობის წერილსა შენ სოფელსა ზოგიშს მცხოვრებს მესაკუთრე გლეხს ზაქარია გიორგის ძეს ზვადაგიანს, მას შინა რომელ მე ახვლედიანმა მოგსყიდე შენ ზვადაგიანს სახნავი მიწა ერთი ნაკვეთი სახელწოდებული ლაზარეთის ადგილი...“ (1887 წ.); „...სოფელსა ზოგიშს მცხოვრებმან გლეხმან ივანე ხუციას ძე ჭოხონელიძემ მოგსყიდე შენ ჩემსავე სოფელსა მცხოვრებს მღვდლის შვილიშვილს ნიკოლოზ ზაქარას ძე ზვადაგიანს სახნავი ადგილი სახელწოდებული ლაზარეთი. საზღვრებთა შორის აღ. დას. ჩრდ. და სამხრეთით თვით მსყიდველი ნიკოლოზ და თან მოზიარენი ძმანი ნიკოლოზისა გრიგოლ, ზალიკა და ხოსია ზვადაგიანები, ამა საზვრებთა შორის გეკუთვნის შენ მსყიდველს...“ (1900 წ.); „ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მომწერმან მცხოვრებმან სოფელსა ზოგიშს... მღვდელმან ლუკა დავითის ძემ ზვადაგიანმა მოგსყიდეთ

თქვენ ამავე სოფელსა შინა მცხოვრებს სასულიერო წოდების ნიკო ზაქარას ძე ზვადაციანს სახნავი ადგილი მდებარე ს. ზოგიშს სახელწოდებული ლაზარეთი...სამზღვრებთა შორის აღმოსავლეთით ადგილი სერგი ზვადაციანის, დასავლეთით გიგო და ზალიკა ზვადაციანების, ჩრდილოეთით და სამხრეთით თვით შენ მყიდველის ადგილი...“ (1906 წ.). რესპ.: „რატომ უძახიენ დედა ამ ადგილ ლაზარეთს და ლაზარე ყოფილა სახელათ თავდაპირველათ ვინც ყოფილა აქ, ლაზარე ნაქეიება, მარა გვარი არ ვიცი იმისი. ძველები იძახოდენყე ლაზარე, ლაზარეთში, ლაზარეთი გორაზე... ე ლაზარე ნაცხოვრება აქ, ამიტო შეარქვესყე ლაზარეს ადგილი, ამას გველითავე უძახოდენყე, ლაზარეთ გაღმა იყო...“ გეოგრ. კოორდ. 42.551335, 42.833734.

81. **ლაზარეთი(ს)გორა** – შემადღება, ლაზარეთის ჩრდილოეთი მონაკვეთი. გეოგრ. კოორდ. 42.553826, 42.835313.
82. **ლაზარეთი(ს)კუთხე** – უბანი. ივ. **ლაზარეთი**. ლაზარეთის კუთხე ზოგიშის დასახლებულ უბანთა შორის ყველაზე მაღლა მდებარეობს (ზ. დ. 650-700 მ).
83. **ლაზარეთი(ს)ციხე** – ივ. **ნაც(ი)ზვარა**. მდებარეობს ლაზარეთის განაპირას, ჩრდილოეთით, გამოირჩევა სტრატეგიული მდებარეობით. ეჭვსგარეშეა, რომ ლენხუმის ადრეული ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობათა შორის ლაზარეთის ციხეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. იგი აკონტროლებდა ძველი საქარავნო გზის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს, რომელიც სოფ. ზოგიშში შემოდინდა, გვერდს ჩაუვლიდა აღნიშნულ სასიმაგრო ნაგებობას და დატკეცილას გავლით ლაბარში ჩამოდიოდა. აქედან გზა კვეთდა ლაბრის ხიდს და ლავჯანურისა და ცხენისწყლის ხეობების ლენხუმისკენ მიემართებოდა, შემდეგ კი სვანეთშიც გადადიოდა. ციხე-სიმაგრე დღეს დაქცეულია. ნაგები ყოფილა კლდის ქვითა და დულაბით. ძეგლს აღმოსავლეთით დიდი მინდორი ეკვრის, რომელსაც ასევე ნაცზვარას სახელით მოიხსენიებენ¹³. გეოგრ. კოორდ. 42.552712, 42.831449.
84. **ლეიწყალი** – წყარო სოფ. ცაგერაში, ნახოიშის გვერდით. ხალხური გადმოცემით, „...ლეკებს ინასარიძე გიორგი შებრძოლებია ზოგიშშიც, თანავიშვილების ძველი ციხე ნამოსახლის ახლოს. აქ მას ბინულის წყალი მტარავალთა სისხლით შეუღლებავს. ამის შემდეგ დაერქვა ამ წყაროს ლეკის წყალი...“¹⁴. გი-

¹³ მ. ზვადაციანი, ლენხუმის ძველი გზებისა და საგზაო ნაგებობების შესახებ. კრ. „ქართული მხარეთმცოდნეობის სათავეებთან“, 2023: 338

¹⁴ მ. ალაიძე, ლენხუმური ზეპირსიტყვაობა, თბ., 1951: 17

ორგი ინასარიძე ცხოვრობდა XVII ს-ის 70-იან წლებში. იგი რიონის ხეობის ლეჩხუმს, ფეოდალურ გაერთიანება „საინასარიძოს“ განაგებდა. რაც შეეხება ხსენებულ ადგილს, აქ გავრცელებული ყოფილა მცენარე ლეკა, ამიტომაც გაფორმდა ადგილის სახელად ლეკიწყალი. გეოგრ. კოორდ. 42.535527, 42.815221.

85. **ლომერის წყალი** – წყარო. „ზოგიშელი მებატონე ლომერი ფლობდა“¹⁵. თავადი ლომერი ახვლედიანი ცნობილი ენათმეცნიერის – გიორგი ახვლედიანის ბიძა იყო.
86. **მამუკიასოული // მამუკიასოულები/მამუკიას გარემო** – სახნავ-სავენახეები ზოგიშის ქვემოთ. ზ. დ. 460-480 მ. მოიცავს დიდ ფართობს. დასავლეთით ჩელებიშვილების კუთხე ემიჯნება, აღმოსავლეთით – ბინულის კუთხე, ჩრდილოეთით – სასოფლო გზა, ხოლო სამხრეთით – წედამო და საკავია. სახელწოდება მამუკიასოული, იგივე მამუკიას გარემო იხსენიება 1891, 1896 და 1909 წლებით დათარიღებულ სახელშეკრულებო ხელნაწერებში (ეს საინტერესო საბუთები ინახება ზოგიშში). მოცემული პერიოდისათვის აქ სახნავ-სავენახე ადგილები ჰქონიათ ზოგიშსა და ცაგერას მცხოვრებ თავად ახვლედიანებსა და მათ დაქვემდებარებაში მყოფ დროებით ვალდებულ გლეხებს, ზვადაგიანებს (XVIII-XIX სს. საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ზოგიშის მკვიდრი ზვადაგიანები იყვნენ, როგორც საბატონო გლეხები, ასევე სასულიერო წოდების მქონენიც). „...ობლები ფარსადანა ზვადაგიანისა არიან მონაწილენი ერთ კათხა შეხურულ სახლშიდ, რომ სახლს არა აქვს ლამფა და არც ბუხარი. აგრეთვე მონაწილეობა აქვს ობლებს ერთს ბელელშიდ მესამედ ნაწილი, ერთს საბძელშიდ, ერთს ზორგოშიდ, ორს ჭურშიდ, აგრეთვე ყოველივე უძრავ საცხოვრებელშიდ, გარდა ოტია ახვლედიანის გამოსყიდულის მამულისა მამუკიას სოულისა...“ (1891 წ.); „1896 წელსა, დეკემბრის 22. სადღესა, ამა წერილს მოგართმევ მე დროებით ვალდებული სოფ. ზოგიშს მცხოვრები გლეხი ილია ექვთიმეს ძე ზვადაგიანი, თქვენ დროებით მებატონეს თ.დ ალექსი გიორგის ძე ახვლედიანს... მიიღეთ ჩემის თანხმობით მამუკიას გარემოშიდ ვენახიანი... აღ. გარსევან და გრამიტონ ზვადაგიანების სანადელო ადგილი, დასავ. სანადელო სახნავი ადგილი, ჩრდ. თვით სანადელო ჩემი ვენახიანი ადგილი, სამხ. გარსევანა ზვადაგიანის ვენახი...“ (1896 წ.). „...სოფელს ცაგერას მცხოვრები თავადი ალექსი გიორგის ძე ახვლედიანი და სოფელსა

¹⁵ ი. კეკელია, ცაგერის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია. ხელნაბეჭდი, 2019

ზოგიშს გლეხი დალოსტი გარსევანის ძე ზვადაგიანი ვდებთ ერთმანეთ შორის ამა მოცვლილობით ხელის წერილს მას შინა, რომელ მე პირველმა მხარემ თავადმა ახვლედიანმა მოგიცვალე თქვენ მეორე მხარეს ზვადაგიანს კუთვნილი ჩემდამო ადგილი მდებარე სოფელსა ზოგიშს სახელწოდებული მამუკიას გარემო...ადმოსავლეთით თვით ჩემივე ახვლედიანის სანადელო ადგილი და გლეხის გრამიტონ ზვადაგიანის ადგილი, დასავლ. კიდეც ჩემი ახვლედიანის სანადელო ადგილი, სამხრეთით პორფილე და დომენტი ზვადაგიანების ადგილი...“ (1906 წ.).

ზოგიშის მკვიდრთა გადმოცემით, მამუკიასოფლის სახნავ-სავენახეები თავდაპირველად ვინმე მამუკა ზვადაგიანის კუთვნილება ყოფილა. რესპ.: „ძველებიდან ვიცი ხო, მამუკა ყოფილა ზვადაგიანი, ე თელი მამუკიასოფელი იმისი ყოფილა, მერე იმას გოუყვიდა თუ აღარ დაშა არევინ აღარ ვიცი. ნახევარი ნაწილი მამუკიასოფელში, ასე გზა რო ჩადის პირდაპირ, აქეთ იყო ამგენის დათიკო და იგენი რო იყონ ზვადაგიანები, წიპოლიკებს უძახოდენ, მაგენის იყო აქეთა მხარე და იქეთა მხარე იყო ი ჩელემიშვილების“. მამუკიასოფელი დღემდე საუკეთესო სავენახე ადგილად ითვლება, აქვე ყანებსაც აბუშავებენ. გეოგრ. კოორდ. 42.551462, 42.848131.

87. **მეფი(ს)ნაბარგი** – ტყე-მინდორი ზოგიშის მთაში. განთქმულია გამორჩეული მღებარეობით. ადგილობრივთა თქმით, თითქოს აქ თამარ მეფეს დაუბარგებია თავისი ლაშქრით. გეოგრ. კოორდ. 42.526078, 42.829164.
88. **მეწერია** – ვრცელი ტაფობი, თეთონდრის მთის ჩრდილოეთ კალთებსა და სოფ. ზოგიშს შორის მოქცეული სახნავ-სათესები, ტყე-სადოვრები, დაფარული ახალგაზრდა ტყე-ბუჩქნარით. XX ს-ის 30-იან წლებამდე მეწერიის ვაკესა თუ მის მიმდებარედ არსებულ კირქვოვან ფერდობებზე მასიურად ითესებოდა ქართული ხორბლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახეობა ზანდური (ლენხუმისა და რაჭვის ენდემი). აქვე ჰქონიათ ადგილობრივებს სიმინდის ყანებიც. ზოგიშზე გადმომავალი საქარავნე გზის სამხრეთ-აღმოსავლეთი შტო მეწერიის გავლით ხვდებოდა ადგ. ხიდიყელთან. აქ იგი კვეთდა მდ. რიონსა და მასზე გადებულ საკომუნიკაციო საშუალებას, შემდეგ კი სოფ. საირმისკენ მიემართებოდა¹⁶. რესპ.: „...მეწერიას აგერ აქანე პური მოდიოდა და ლობოი გასავიყუებლათ, ე სილაგაბეეფის კუთხეს მაქანე ქონდაყე ყანები კილო მეწერიას, ხო აბა. ვორ-ვორ ზობას შობოდენყე ხარებით, დილას წვევილოდენ-

¹⁶ მ. ზვადაგიანი, ლენხუმის ძველი გზებისა და საგზაო ნაგებობების შესახებ, 340-341

ყე მომკვიდენ პურ და გადმეიტანდენ, შუა დღეზე კილო ასთე... მეწერიას სვა-
ნეფს მოყავდაყე თხები და მაქანე აზამთრებდენ კაცო, ფერმა იყო და თხები
ყოლიათ. საქონლი ჯოგი გადადიოდა მეწერიას, ახლა ზა აღარაა... ჩამოწვა
ნისლი მაგალითად რიონსა და დააწვა ახლა მეწერიი მასწორია, მიდის-მიდის
ზევით, ის უკვე სადაროა, თუ რიონის მდინარეს მიყოლა ნისლი, ის საავ-
დროა“; რესპ.: „ეწერი ადგილია და მაგიტომ დაარქვეს მეწერია“. გეოგრ. კო-
ორდ. 42.546385, 42.852195.

89. **მეწერიის გორა** – გორა, შემალელებული ადგილი, საიდანაც საურმე გზა გადა-
დის მეწერიის დაბლობისკენ. გეოგრ. კოორდ. 42.549077, 42.848845.

90. **მეწერიის ვაკე** – იგივე **მეწერიის დაბლობი**.

91. **მეწერიის ციხე** – ციხე-კოშკის ნაშთი ზოგიშის განაპირას, ჩელებიშვილების
კუთხის ზემოთ, მეწერიის ტაფობის ჩრდილოეთ შემალელებაზე. სიმაგრემდე
გზა ადის ორგორაშიდან. უძველესი საფორტიფიკაციო ნაგებობა დღეს თით-
ქმის იავარქმნილია. შედარებით უკეთაა გადარჩენილი ძველის ჩრდილო-აღ-
მოსავლეთი კედელი (7 მ სიმაღლეზე). იგი ნაგებია კარგად დამუშავებული,
თითქმის თანაბარი ზომის თლილი ქვის კვადრებისა და დუღაბისაგან. კოშ-
კის კედლების სისქე 1,5 მ-ია. მეწერიის ციხე იცავდა ზოგიშზე გადმომავალი
საქარაუნე გზის სამხრეთ-აღმოსავლეთ შტოს¹⁷. გეოგრ. კოორდ. 42.548151,
42.847387.

92. **მთაშავა** – მთაგრეხილი, მოთავსებულია მდ. შარეულასა და მდ. რიონის ხეო-
ბათა შორის. მთაშავის მასივს ირგვლივ ერტყმის რაჭისა და ლეჩხუმის ძირ-
ძველი სოფლები: დღნორისა, თხმორი, გოგოლათი-ცახი, ზელვარდია-ქველ-
ვარდია, ზოგიში-ცაგერა, ორხვი, დერჩი, ჭაშლეთი, საჩხეური და ლეხიდრის-
თავი. მთაშავა იგივე თავშავა//თაშავა წარმოადგენს რაჭის კირქული ქედის
ჩრდილო-დასავლეთ გაგრძელებას. იგი დაფარულია წიფლნართა მძლავრი
კორუმებით. უმაღლესი წერტილი ზ. დ. 1770 მ. რესპ.: „ავდრისას თელათ
შავდება და უძახიანყე მთაშავას“. როდესაც თავდაპირველად ავდრის მომას-
წავებელი გრგვინვა მთაშავის მხრიდან გაისმოდა და შემდეგ მას ხვამლის
მთაც „დოუმოწმებდა“, მისცემდა ბანს, მაშინ ზოგიშელები იტყოდნენ – ეს
უკვე ნამდვილად საავდროა და „დიდი თხრეში, კოხი და წუშა წამოვაო“. გე-
ოგრ. კოორდ. 42.500628, 42.875285.

93. **მიქელას წყალი** – წყარო ზოგიშის მთაში.

¹⁷ მ. ხვადაიანი, ლეჩხუმის ძველი გზებისა და საგზაო ნაგებობების შესახებ, 341

94. **ნაბრუნები** – 1. ვენახი ფაშინიკებში; 2. ვენახი კალოს გვერდით... სავენახე ადგილები ბარით გადაუბრუნებიათ. გეოგრ. კოორდ. 42.553004, 42.844658.
95. **ნამაიდნები** – სახნავები ციხიგვერდს, ჭალიბოლოსა და ნაჯოგარს შორის, სოფლების – ზედა ღვარდიისა (ქვ. რაჭა) და ზოგიშის საზღვრების სიახლოვეს. ნამაიდნები ჩავარდნილი, ვაკობი ადგილია და ხშირი ტყითაა გარშემორტყმული. უწინ იგი საასპარეზო მოედანს წარმოადგენდა და შესაბამისად მას არ ამუშავებდნენ, მიამბეს ზოგიშში (ნამაიდნები სამხრეთიდან ემიჯნება ზოგიშის ისტორიულ ციხე-სიმაგრეს, რომელსაც ციხიგვერდის სახელით იცნობენ). ადგილობრივთა თქმით, სწორედ აქ იმართებოდა ძვ. ქართული ცხენოსნური სპორტული თამაშობები: ისინდი, ცხენბურთი და სხვ... აგრეთვე აქვე ეჯიბრებოდნენ ფალავნები ერთმანეთს ჭიდაობაშიო. რესპ.: „...ხოდა ახვლედიანები იქ მერე გასართობად მიდიოდენ ნამაიდნეკში და იქ დიდი მოედანი იყო რა თქმა უნდა, დიდი ყანა იყო იქინე, ის იყო მოედანი და ცხენბურთი იმართებოდა, ისინდი იყო კიდე ასეთი იგი, მე ძველი ხალხისგან და ლაპარაკით და იმით ვიცი ყობოდენ ახლა მაგას. თამაშობები იმართებოდა კი კი იქინე, შეჯიბრებები იყო რამე ამბავი და ესეი იმას კი არ ამუშავებდენ ი ნამაიდნეკს კი არ ხნავდენ, კი არ თესავდენ, ის იყო მოედანი, მაიდანს ესე იგი, მაიდანს ქვიოდა და დარჩა ნამაიდნები. მერე რო დახნეს, ნამაინები დარჩა“. გეოგრ. კოორდ. 42.535199, 42.845048.
96. **ნამაინევი** – იგივე **ნამაიდნები** (ეკუთვნოდათ ზვადაგიანებს). ტოპონიმი ამ ფორმით მოიხსენიება 1904 წელს შედგენილ ერთ ნასყიდობის ხელწერილში: „...თქვენ ჩემსაკვე სოფელსა მცხოვრებს გლესს გარსევან ყარაგანის ძეს ზვადაგიანს მე ილია ზვადაგიანმან მოგყიდე კუთვნილი ჩემდამი სამი ნაკვეთი ადგილი, პირველი ნაკვეთი სახელწოდებული ნამაინები, სამძღვრებთა შორის აღ. სოსიკო ზვადაგიანის ადგილი, დასავლ. ბეკო ზვადაგიანი, სამხ. თვითონ გარსევან ზვადაგიანის ადგილი. ჩრდილო ბეკოია ზვადაგიანი...“ (1904 წ.). გეოგრ. კოორდ. 42.535199, 42.845048.
97. **ნამაინები(ს)გორა** – გორა, შემადღებული ადგილი ნამაინების ჩრდილო-აღმოსავლეთით, მას ძველი სატრანზიტო გზა ჩასდევს, რაც გამოდის ციხიგვერდის ქვეშ და ეშვება ზედა ღვარდიაში. გეოგრ. კოორდ. 42.537365, 42.844482.
98. **ნამოსახლი** – იხ. **ნასახლევი/ნასასახლევი**. გეოგრ. კოორდ. 42.540152, 42.840376.
99. **ნამქშევიგორა** – გორა, ტყე-მინდვრები წყალატორის სათიბებსა და ჯვარდამ-

წვარს შუა. დასავლეთიდან ნასოფლარ გონის სანახები ესაზღვრება, ხოლო აღმოსავლეთიდან – ქვაყუნტიის მისადგომები. გეოგრ. კოორდ. 42.497538, 42.821788.

100. **ნამშევიგორა** – იგივე **ნამქშევიგორა**.

101. **ნაოსპარა** – სახნავ-სათესი მიწდვრები ფაშინიკებში. უწინ აქ ოსპი ითესებოდა მასიურად. აკონკრეტებენ: **დიდი ნაოსპარა**, **პატარა ნაოსპარა**. გეოგრ. კოორდ. 42.551992, 42.851167.

102. **ნაპორომები** – ადგილი რიონ-ლაჯანურას შესართავის მოპირდაპირედ, სადაც ზოგიშელთა ბორანი მდგარა. რიონში ბორანი ჩაუშვით XX ს-ის 10-იან წლებში. გეოგრ. კოორდ. 42.556210, 42.855687.

103. **ნარლოვი** – ზოგიშის მთის მონაკვეთი ველიტყესა და წყალატორას შუა. ხშირი ტყე, შექმნილი წიფლნარ-რცხილნარებით. აქ გადმოდის ძველი საქარაენე გზა, რომლის ორივე მხარეს შქერის გაუვალი ბუჩქებია. ნარლოვში ასევე დიდი რაოდენობითაა გავრცელებული ჩვეულებრივი ჯონჯოლი (ზ. დ. 1000-1100 მ). აკონკრეტებენ: **ზედა ნარლოვი**, **ქვედა ნარლოვი**. „ნამეწყრი ფერდობი“ (იხ. ი. კველია, ცაგერის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია). გეოგრ. კოორდ. 42.524638, 42.822360.

104. **ნასაკერალი** – იგივე **ნასაკირები**. გეოგრ. კოორდ. 42.531088, 42.833245.

105. **ნასაკრები** – სახნავი მიწდორი, ტყე. უწინ აქ კირს წვავენენ.

106. **ნასასახლევი** – იგივე **ნასახლევი**. „ნასასახლევი მიტო ქვია, სასახლე მაქანე იყო ი ახვლედიანების, ხოდა მაქანე ახლაცაა ასთე დიდი ქვა ამოჭრილი. ძაღლებსო უსხამდენო საჭმელსო, იქინე საცხა ასე ჯვარი იდგა, სვეტივით იყო, აქი გვერძე იყო და ახლა არი თუ არა, დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ“. ნასახლევი-ნასასახლევიზე გადმოდიოდა ძველი საქარაენე გზა. იქვე ახლოს, თეთონდრის მთის უკიდურეს დასავლეთ მწვერვალზე იყო აგებული ზოგიშის ციხე-სიმაგრე (ციხიგვერდი). გეოგრ. კოორდ. 42.539834, 42.841417.

107. **ნასახლევი // ნამოსახლი // ნასასახლევი** – ნასახლარები, სახნავ-სათესები, ტყე. ნასახლევი ვაკობი ადგილია საჭიღვიას, ბანკიყანა-ჭაღიბოლოს, ღარიწყალსა და ციხიგვერდს შორის. ნასახლევის ტერიტორიაზე ძველი დასახლებების კვალი დღესაც თვალნათლივ შეიმჩნევა. მოგვიანებით აქ ახვლედიანთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლებს უცხოვრიათ. აქვე აგებული ჰქონიათ დიდი სასახლე (XVIII-XX სს.). გეოგრ. კოორდ. 42.539834, 42.841417.

108. **ნასკურა** – ტყე. უწინ აქ სკები ედგათ.

109. **ნატბოურა** – ადგილი მეწერიის დაბლობში. ნატბოურას პატარა მინდორი, სადაც წყალი დგებოდა პერიოდულად, აღარ არსებობს. მეწერიული პროცესების გამო ეს ალაგი მდ. რიონში ჩაქცეულა. გეოგრ. კოორდ. 42.547410, 42.851232.
110. **ნაღმარი** – სახნავ-სათესი მინდორი ფაშინიკეპში, ნაოსპარას გვერდით. აქ წინათ ღომი ითესებოდა. გეოგრ. კოორდ. 42.552647, 42.851529.
111. **ნაციხვარა//ნაცხვარა** – 1. ციხე-სიმაგრის ნანგრევი საქორიის კლდეზე, ზოგიშის აღმოსავლეთ მისადგომთან; 2. ადრეფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრის ნაშთები ლაზარეთი(ს)გორაზე, ზოგიშის ჩრდილო-დასავლეთით, სოფლის განაპირას. იგივე **ლაზარეთის ციხე // ლაზარეთის ნაცხვარა**. აღნიშნული სასიმაგრო ნაგებობა თავის დროზე იცავდა ზოგიშში შემომავალი საქარავნე გზის ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს. ეს გზა თავდაპირველად ლაბრის ხიდან ეშვებოდა და შემდეგ სხვადასხვა მიმართულებით მიდიოდა. ლაზარეთის ციხეს ვრცელი მინდორი ეკვრის, რომელსაც აგრეთვე ნაცხვარას სახელით იხსენიებენ ადგილობრივები. გეოგრ. კოორდ. 42.555382, 42.853433.
112. **ნაძენარიძირი** – მთა დიდწვერის ჩრდილო-დასავლეთ კირქვეულ ფერდობზე ნაძენარი ტყეა განვითარებული. მთის ეს მხარე დამრეცია და მიუღვომელი. სწორედ აღნიშნული ფერდობის ქვედა მონაკვეთს უწოდებენ ნაძენარიძირს. „ძველი გზა გადის იქინე, გადაღმა გასავალს რო უძახით, ისეთ მიყობა. გზა მიდის ჩვეულებრივი და აღიხარ ნაძენარიძირის თავზე. პირდაპირ მიდის კტი-თავზე გზა, ხოლა ისეთ აღიხარ დიდწვერიდან და შედიხარ გიორგინაკაფში“. გეოგრ. კოორდ. 42.523146, 42.836856.
113. **ნახერკალი** – ადგ. სახელწოდება სოფ. ცაგერაში. გეოგრ. კოორდ. 42.535136, 42.814399.
114. **ნახერკალის ღელე** – ღელე, რომელიც ხმაურით მოედინება. შდრ. მეგრ. „ნახერკელა“ (ნახრიგინები, ნაგორები).
115. **ნახიზარი** – ტყე დიდჭალის დასავლეთითა და სასკიბოლოს ჩრდილოეთით, მდ. რიონის ხეობაში. ტყეში ქვის ძველი „ნაყორალები“ (ქვის ღობეები) შეიმჩნევა, გადმოცემითაც ცნობილია, რომ ნახიზარი და მისი მიმდებარე სანახები უწინ აქტიურად მუშავდებოდაო, წარმოადგენდა სახნავ-სათესს. რესპ.: „იქინე განიზნულარიენ ხალხი“. გეოგ. კოორდ. 42.558778, 42.839667.
116. **ნახოიში** – ვრცელი ვაკე-მინდორი, სათიბ-სადოვრები, სახნავები სოფ. ცაგერას დასავლეთ გაგრძელებაზე, ეწერისა და ლეკიწყალის გვერდით. სამი მხრიდან ტყის საფარი ერთტყმის და შესანიშნავი მდებარეობით გამოირჩევა.

უწინ აქ საუკეთესო ხარისხის მოსავალი მოდიოდა. გეოგრ. კოორდ. 42.537739, 42.821752.

117. **ნაჯოგარი** – გატყეიანებული მინდორი ნამაიდნეკსა და საღვარდიოს გვერდით, ზოგიშის სამხრეთით. ზოგიშისა და ზედა ღვარდიის (ქვ. რაჭა) სასაზღვრო მონაკვეთი. უწინ ხნავდნენ. გეოგრ. კოორდ. 42.528256, 42.846952.

118. **ნაჯოგრები** – ივ. **ნაჯოგარი**.

119. **ნიგეზიყანა** – სახნავი და ტყე ზოგიშში. იხსენიება 1881 წელს.

120. **ორგორაშუა** – გზა, სახნავ-სადოვარი, ჩადაბლება ჩელემიშვილების კუთხის ზედა მონაკვეთსა და მეწერიის გორას შორის. აქედან ძველი გზა ადის მეწერიის ციხესთან. ორგორაშუიდანვე საურმე გზა მიემართება სამხრეთ-დასავლეთისკენ და ეშვება მეწერიის დაბლობში. აღნიშნულ ადგილს დასავლეთიდან ლელისა ემიჯნება. მათ შორის გასასვლელი ბილიკია დარჩენილი. გეოგრ. კოორდ. 42.549194, 42.848324.

121. **ორკტეშუა** – რთულად გასასვლელი გზა-ბილიკი ორ კლდეს შუა, რიონის მარცხენა ნაპირზე, ნატბოურასა და საკავიას შორის. გეოგრ. კოორდ. 42.549477, 42.850616.

122. **ორხვიკტითავეები** – სოფ. ორხვის კირქვოვან კლდეთა ზედა უკიდურეს მონაკვეთს, რომელიც წყალატორის სათიბების ქვემოთში მდებარეობს, ზოგიშელეები ორხვიკტითავეებს ანუ ორხვის კლდის თავებს უწოდებენ. გეოგრ. კოორდ. 42.513590, 42.818249.

123. **ოჭროჭინა** – ადგილის სახელწოდება ზოგიშის მთაში, ცივწყალას გვერდით. ლეჩხუმურში ოჭროჭინა ეწოდება შუაზე ამოჭრილ, სამკუთხედ (გოგრებიან) ფიცარს, ბავშვებისათვის სიარულის სასწავლებლად. გეოგრ. კოორდ. 42.517285, 42.831437.

124. **პაპუნას გამოქვაბული** – გამოქვაბული დიდჭალის აღმოსავლეთით. გეოგრ. კოორდ. 42.559630, 42.848409.

125. **პაპუნას ტყე** – ტყე პაპუნას გამოქვაბულის შემოგარენში. გეოგრ. კოორდ. 42.559579, 42.848352.

126. **პაპუნას წყალი** – წყარო პაპუნას ტყეში.

127. **პატარა ნაოსპარა** – იგივე **ნაოსპარა**. სახნავ-სათესი, ითვისებოდა ოსპი. წარმოადგენს პატარა მინდორს, რომელსაც ირგვლივ ბუჩქნარი აკრავს. გეოგრ. კოორდ. 42.552220, 42.851177.

128. **პიმპილოური** – სახნავ-სათესი მინდორი ჩოლხეშისა და ლელისას შორის, ზოგიშის განაპირას, სამხრეთით. დღეს ტყიანი ადგილია. გეოგრ. კოორდ.

42.547437, 42.842616.

129. **პიმპილოური(ს)გორა** – გორა, პიმპილოურის ამალღებული ნაწილი, საიდანაც ბილიკი გადადის ღარიწყლისკენ. გეოგრ. კოორდ. 42.546971, 42.844342.
130. **რობა//რობები** – ვრცელი ვაკე-მინდორი, სახნავეები. ჩავარდნილი ადგილია კოპალასა და საჭიღვიას შუა. გარს ტყე ერტყმის. მეგრ. რობა-ხევი, ჩალრმა-ვება. გეოგრ. კოორდ. 42.537548, 42.833255.
131. **რობის ყანა** – იგივე **რობა**. სახნავ-სათესი. იხსენიება 1903 წლით დათარიღებულ ერთ ხელნაწერში: „...გარსევან ზვადგაიანი თხოულობს მიესაჯოს მას უძრავი და მოძრავი... ერთი ნაჭერი სახნავი ადგილი სახელწოდებული რობის ყანა, თხოულობს მიესაჯოს სასაკუთროდ...“ (1903 წ., ზოგიში). გეოგრ. კოორდ. 42.537548, 42.833255.
132. **რობი(ს)წყალი** – წყარო. რესპ. „წყალი იქინე ქვაში გამოდის“. გეოგრ. კოორდ. 42.537834, 42.833612.
133. **საბურღველა** – მინდორი ეწერიგორის აღმოსავლეთ ფერდობსა და ლაზარეთს შორის. გეოგრ. კოორდ. 42.549188, 42.829495.
134. **სადათვია** – ორკტეშიდან ფაშინიკებისკენ გამოშავალი ტყის ბილიკი, საკავიას ქვეშ, სადაც ხშირად უნახავთ ადგილობრივებს დათვი. გეოგრ. კოორდ. 42.550468, 42.850868.
135. **საკავია** – ტყე მამუკიასოულსა და სადათვიას შორის (მდრ. კავი – სახენელი იარადი). გეოგრ. კოორდ. 42.550659, 42.850534.
136. **საკირე** – სადაც კირს წვავდნენ. ზოგიშის ძველექლესიის სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჯანაძეების კუთხის ჩრდილოეთითაა. გეოგრ. კოორდ. 42.556498, 42.849210.
137. **საოთხო** – ტყე-ბუჩქნარი სასკიბოლოს ჩრდილოეთით. რესპ.: „აქ ოთხ ძმა ზვადგაიანს უცხოვრია“. გეოგრ. კოორდ. 42.557504, 42.842224.
138. **საორხო** – სახნავეები. ნაყანევი ბაჯეიშსა და ნახოიშს შორის, ცაგერა-ზოგიშის სამხრეთ-დასავლეთით, სადაც დღეს ფიჭვის ტყეა. საორხოდან ბაჯეიშის გავლით ძველი გზა სამხრეთ-დასავლეთით, ბზანარიკულისკენ მიდის, იქიდან კი წყალატორის მინდვრებთან ზვდება, საიდანაც შესაძლებელი იყო სოფ. ორხეში გადასვლა. ბზანარიკულს ზოგიშის გორასაც უწოდებენ, რაც გეოგრაფიულად ორხეის კლდეების ჩრდილო-დასავლეთ დაბოლოებას წარმოადგენს. რესპ.: „საორხოს რო უძახიენ, იქედან თუ ჩადიოდა გზა ორხვს, არ ვიცი. წყალატორიდან ჩადიოდა ბილიკი ორხეში, ი კტითავზე იყო იქინე ბი-

ლიკი, ისეთ ბაჯეტიდან მასე რო გადახვალ, ჩვენები ორხვიკდითავებს ემახო-
დენ. ზოგიშის იყო მარა ორხვი მოჩანდა“ . გეოგრ. კოორდ. 42.53189 2,
42.820379.

139. **სარეკიწყალი** – წყარო ეწერში (სოფ. ცაგერა). რესპ.: „სარეკიწყალზე ვიყავი
ამსწინებზე წასული, ჯერ ძლივა გადევედი, ზაკვალი სალადა. მაგარი წყა-
ლია მა სარეკიწყალი, წყალი ზვინჭკებით დამიხვთა ამოხვებული“. გეოგრ.
კოორდ. 42.536277, 42.81127.

140. **სარკენია** – ადგ. ზოგიშის მთაში, დიდწვერთან. **რკენა** იგივეა, რაც კვერნა.

141. **სასკობოლო** – ზვადგაიანებით დასახლებული უბანი. ესაზღვრება გორიკუ-
თხეს დასავლეთიდან. მდებარეობს ზოგიშის ჩრდილოეთ მხარეს. შემადლე-
ბული ადგილია. სასკობოლოს მამუკელაშვილების (ზვადგაიანების შტოგვა-
რია) კუთხესაც უწოდებენ, აქ თავდაპირველად ვინმე მამუკა ზვადგაიანი და-
სახლებულაო... გეოგრ. კოორდ. 42.556167, 42.843004.

142. **საფურცლია** – ტყე ხიდიყელსა და მეწერას შუა. თუ ნისლი მდ. რიონის ხეო-
ბაში, საფურცლის მიდამოებში ჩაწვებოდა, სამ დღეში აუცილებლად გაავ-
დრდებოდაო, იტყოდნენ ზოგიშში. „...საფურცლიას რო ვეძახით ახლა ჩვენ
ტყეს, მაქნე საურმე გზა გადიოდა ზელვარდიის ხარეს“; „გაზაფხულზე აქ
ყველაზე ადრე შეიფოთლება ტყე¹⁸. ფურცელი იგივე „ფოთოლი“. გეოგრ.
კოორდ. 42.544471, 42.854454.

143. **საქორია** – კლდე.

144. **საქორიის კლდე** – იგივე **საქორია**. კლდე გადასცქერის მდ. რიონს სოფლის
აღმოსავლეთ მისადგომთან. აქ ყოფილა დაშენებული ზოგიშის ერთ-ერთი
მნიშვნელოვანი თავდაცვითი ნაგებობა, ციხე-სიმაგრე, რომელიც დღეს ნან-
გრევს წარმოადგენს და ადგილობრივები მას ნაციხვარას უწოდებენ (რო-
გორც ციხენადგომი ადგილის აღმნიშვნელი სახელწოდება). ციხე იცავდა
ზოგიშის უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთს. აქედანვე მყარდებოდა ვიზუა-
ლური კომუნიკაცია ამავე სოფლის სხვა ციხე-სიმაგრეებთან. ძეგლი დღეს
დაქცეულია. შემორჩენილია მცირე ნაწილი ჩრდილოეთი კედლის სახით. ნა-
გები ყოფილა კლდის რუხი ფერის ქვის საკმაოდ დიდი კვადრებით და კირის
დუღაბით. საერთო გეგმარების განსაზღვრა შეუძლებელია. საქორიის კლდის
ერთი მხარე რიონში ჩაქცეულა და თან ჩაუტანია ციხის მნიშვნელოვანი ნაწი-
ლიც, ნაციხვარას კედლები ხელოვნურადაც ურღვევით ადგილობრივებს.

¹⁸ იხ. ი. კეკელია, ცაგერის რაიონის ტოპონიმია. ხელნაწერი. 2019

- აქედან ძველი გზა ჩადის რიონის მარცხენა სანაპიროზე და გადის ნაპორომებთან. გეოგრ. კოორდ. 42.555409, 42.853555.
145. **საღვარდიო** – წაბლნარი ტყე ნაჯოგარისა და ნამაიდნევის გვერდით. ღვარდიელთა (ქვ. რაჭა) კუთვნილი ადგილი. საღვარდიოს დასავლეთი მისაღვომები ზოგიშის საზღვრებში ექცევა. „გზა მიდის ყველგან, ძველი გზები. საღვარდიოს წაბლნარი როა, ნაწილი არის ახლა ჩვენი“. გეოგრ. კოორდ. 42.527677, 42.849586.
146. **საშიოს შურო** – ნაღვარევი ზოგიშის მთაში, ორხვიკითავებთან.
147. **საწულუკიძო** – სახნავ-სათიბები გოგოლათის მთაში, ქვაყუნტიის გვერდით, მთაშავის მასივის ჩრდ-დას., ტყიან კალთასა და თხიზურგს შორის. ზ. დ. 1300-1350 მ. ეს ტერიტორია თავდაპირველად თავად ინასარიძეების საკუთრებას წარმოადგენდა, შემდეგ კი, როგორც ჩანს, წულუკიძეთა ფეოდალური საგვარეულოს კუთვნილებაში გადასულა. ეს უნდა მომხდარიყო XVII ს. 70-იანი წლების ახლო პერიოდში. წულუკიძეთა რეზიდენცია სოფ. ხოტკეში იყო... ადგ. საწულუკიძო ინასარიძეთა ნასოფლარ კვაცხუთს ემეზობლება. გეოგრ. კოორდ. 42.498478, 42.845359.
148. **საჭიგვია/საჭიღვია** – „ვენახისთვის ჭიგოებს ამზადებდნენ“¹⁹. გეოგრ. კოორდ. 42.539628, 42.838449.
149. **საჭიღვია** – იგივე **საჭიგვია**. საყანე მინდორი, ტყე რობასა და ნასახლეკს შუა. ი. კეკელიას მასალებში მოცემულია „საჭიგვიას“ ფორმით. გეოგრ. კოორდ. 42.539628, 42.838449.
150. **საჭიღვის გზა** – ძველი გზა, რომელიც გადმოდიოდა საჭიღვიაში, კოპალადან და ნასახლევის გავლით ციხიგვერდისკენ მიემართებოდა. გეოგრ. კოორდ. 42.538851, 42.836209.
151. **საჯარჯია** – შურო მეწერიისა და ჯინჭროულის გვერდით, ღარი(ს)წყლის ქვემოთ. გატყიანებულ ფერდობთა შორის სიგრძივ ღარი ჩაუყვება, რასაც უწინ იყენებდნენ ხეების დასავორებლად. რესპ.: „სათონე ფურჩხი და სათფობი შეშა იქიდგან გადმოგვექონდაყე საჯარჯიიდან, აქეთ ღარიწყალქვეშ...“ გეოგრ. კოორდ. 42.544367, 42.844316.
152. **სერაპიონის შურო** – ჩაღრმავება მთაშავის მასივის ჩრდილოეთ ფერდობზე. რესპ.: „მთაშავას სერაპიონის შუროს ეძახიან ზოგიშლები, ჯონჯოლია იმი-სანე...“

¹⁹ ი. კეკელია, ცაგერის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია (ხელნაწერი)

153. **სილაგაძეების კუთხე** – უბანი ზოგიშში. აქ სილაგაძეები ცხოვრობენ. შუალედური ადგილი უჭირავს ზოგიშის სასოფლო დასახლების ქვედა და ზედა მონაკვეთებს შორის. გეოგრ. კოორდ. 42.555194, 42.839592.
154. **სოხოდაური** – ფერდობი, რთულად მისადგომი ადგილი. მდებარეობს გაღმა ლაბრის დასავლეთით და წარმოადგენს ეწერიგორის ჩრდილო-დასავლეთ ქვიან ფერდობს, შუროს, რაც სივრძივ ჩადის რიონის სანაპირომდე. გეოგრ. კოორდ. 42.553427, 42.815696.
155. **სოხოლოური** – იგივე **სოხოდაური**.
156. **ტაშტიწყალი** – წყარო ზოგიშის მთაში. რესპ.: „ტაშტიწყალი აფერი არაა, იქეთ რაა წყალატორი სათიფი თავში“. გეოგრ. კოორდ. 42.503548, 42.827643.
157. **ტბაშავი** – კარსტული წყლებისაგან წარმოქმნილი ტბა ნასოფლარ კვაცხუთთან. გზა ამოღის ზედა ღვარდიიდან. გეოგრ. კოორდ. 42.513629, 42.857627.
158. **უთულების კუთხე** – მცირე უბანი შოშტაკარსა და კალოს შუა. აქ ზვადგაიანები ცხოვრობენ. უთული მეტსახელია ზვადგაიანთა გვარში. გეოგრ. კოორდ. 42.554123, 42.844629.
159. **ურვანი/ურვანები** – სახნავ-სავენახეები ზოგიშის ჩრდილოეთით, ნახიზარსა და გამოღმა ლაბარს შუა. ტოპონიმის შინაარსი გვესმის, როგორც „უროვანი“ ადგილი, სადაც მრავალწლოვანი მცენარე ურო ყოფილა გავრცელებული. გეოგრ. კოორდ. 42.556929, 42.838505.
160. **ურვანის წყალი** – მცირე დებეტის მქონე წყარო ურვანში, რასაც სამკურნალო თვისებებს მიაწერენ. განსაკუთრებით უხდება დიაბეტით დაავადებულებს. ზოგიშის წყლებს შორის ურვანი ხარისხობრივი თვისებებით ყველაზე მაღლა დგას. გეოგრ. კოორდ. 42.557152, 42.839159.
161. **ურმითვალი** – სოფ. ორხვის ისტორიულ გამოქვაბულთან, კლდეს ერთგან მკვეთრად მომრგვალებული ფორმა აქვს და მასზე იტყვიან – ურმითვალს//ურმის თვალს ჰგავსო. თვალი იგივე „ბორბალი“. გეოგრ. კოორდ. 42.509834, 42.818154.
162. **ფაშინიკი/ფაშინიკები** – სახნავ-სავენახეები ზოგიშის აღმოსავლეთით, სოფლის განაპირას. მოიცავს ვრცელ ტერიტორიას. ფაშინიკი თეთრყურძინანი ვაზის ჯიში იყო, რაც ძველად ფართოდ ყოფილა გავრცელებული რაჭალეჩხუმის ვენახებში, მაგრამ მის ყურძენს მხოლოდ საღვინედ იყენებდნენ და

არ ჭამდნენ, რადგან ცუდ თვისებებს მიაწერდნენ²⁰. ტოპ. ფაშინიკი დაუდასტურებია ეთნოლოგ ლ. ფრუიძეს, რაჭის სოფლებში – ჭყვიშა და ბაჯში (ჭყვიში ისტორიულად ლეჩხუმის მხარის შემადგენლობაში შემოდიოდა). ლ. ფრუიძე იქვე დასძენს, რომ ხსენებული ყურძნის ჯიშის აღწერა თვით მხცოვანმა მთხრობელებმაც კი ვერ შეძლეს... ფაშინიკი, როგორც გარკვეული გეოგრაფიული ადგილის აღმნიშვნელი სახელწოდება, ჩაუწერია მიხეილ ალავიძესაც, რაჭის სოფ. ტოლაში²¹. ლ. ფრუიძე ფაშინიკს რაჭაში ლეჩხუმიდან შემოტანილ ჯიშად მიიჩნევდა²². ჩანს, რომ წინათ ფაშინიკი, გაერცელების თვალსაზრისით, ზოგიშის სავენახე ფართობების საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს ითვისებდა. გეოგრ. კოორდ. 42.552440, 42.850532.

163. **ქვაბიკარი** – მცირე ზომის გამოქვაბული ზოგიშის ჩრდილო-დასავლეთით, დატკეცილასა და გამოღმა ღაბარს შორის. გეოგრ. კოორდ. 42.553126, 42.825105.
164. **ქვაბი(ს)წყალი** – წყარო დიდჭალაში, პაპუნიას ტყის მახლობლად. ის ადგილი, საიდანაც წყალი გამოდიოდა, თავისი ფორმით მოგვაგონებდა მცირე ზომის ქვაბულს. წყარო დღეს დაკარგულია. გეოგრ. კოორდ. 42.560580, 42.846767.
165. **ქვაყუნტია** – ეული ლოდი მცირე მინდორზე; სათიბ-სახნავები, ტყე-უღელტეხილი მთაშავის მასივის უკიდურეს ჩრდ.-დას. კალთაზე. ზ. დ. 1370 მ. გეოგრ. კოორდ. 42.496807, 42.840574.
166. **ქვაყუნტიის გორა** – ქვაყუნტიის უმაღლესი წერტილი. აქ ზოგიშელებს ბოსტნები ჰქონიათ. რესპ. „ჭაღილამ დატანებული ქვაყუნტიეგორამდე დამთავრებული, სულ იხვნებოდა ადგილები“. გეოგრ. კოორდ. 42.499464, 42.836228.
167. **ქვედა სათიფები** – სათიბები ზოგიშის მთაში, წყალატორაზე. გეოგრ. კოორდ. 42.515215, 42.825110.
168. **ქვისწყალი** – წყარო ზოგიშის მთაში, ცივწყალას შემოგარენში. გეოგრ. კოორდ. 42.506765, 42.835903.
169. **ღაბარი/ღაბარები** – სახნავ-სავენახეები ზოგიშის ჩრდილო-დასავლეთით, რიონის მარცხენა მხარეს, ეწერიგორის ჩრდილოეთი ფერდობის ქვემო მო-

²⁰ ს. ჩოლოყაშვილი, მევენახეობის სახელმძღვანელო. წიგნი II, თბ., 1939

²¹ მ. ალავიძე, ქვემო-რაჭული ტოპონიმიკური ლექსიკონი. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. ტ. XVII, თბ., 1957, გვ. 499

²² ლ. ფრუიძე, მევენახეობა-მეღვინეობა რაჭაში, თბ., 1974, გვ-45

ნაკვეთში. აქვე გაედინება ღელეც. აკონკრეტებენ: **გალმა ღაბარი** და **გამოლმა ღაბარი**. ზოგიშში შემონახულ საოჯახო-საარქივო საბუთთა შორის ერთ-ერთი დათარიღებულია 1887 წლით და წარმოადგენს ადგილ-მაბულების „მოც-ვლილების პირობის ხელწერილს“. პირველად სწორედ აქ იხსენიება სახელი **გალმა ღაბარი**, სადაც ხვდავანიებს ჰქონიათ სახნავეები... ღაბარი დღეს ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეებითაა დაფარული. პროფ. მის. ალავეძე თავის წიგნში – „ლენხუმური ზეპირსიტყვაობა“, ერთგან წერს: „**ღაბარები** ზოგიშელთა სახნავი მიწები ნიკორიძირის პირდაპირ, რიონის მარცხენა ნაპირზე“²³. უნდა აღინიშნოს, რომ ღაბარი//ღაბარები ნიკორიძირის პირდაპირ არ მდებარეობს. რეალურად ღაბარის სახნავ-სავენახე მიწები მოთავსებულია სოფ. ალპანის გამოლმა (რიონის მარცხენა ნაპირი), მისგან სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით. ნიკორიძირის მოპირდაპირე მხარეს, რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს **ჩიხეში**. იხ. ქვემოთ. გეოგრ. კოორდ. 42.555262, 42.824631.

170. **ღაბარის გზა** – ძველი საქარავენე გზის ერთი უმნიშვნელოვანესი შტო, რაც სოფელ ზოგიშს გამოივლიდა და კვეთდა ღაბარის ხიდს, იქიდან კი კონჩხის უღელტეხილის გადავლით ლაჯანურისა და ცხენისწყლის ხეობების ლენხუმში ეშვებოდა. გეოგრ. კოორდ. 42.555087, 42.828755.

171. **ღაბარი(ს)ღელე** – ღელე ღაბარში, რიონის მარცხენა შენაკადი. წყალმეტობა ახასიათებს გაზაფხულის თვეებში, წყალმცირობა – ზაფხულის გვალვების დროს. სათავე აქვს ქვაბიკარის სიახლოვეს. აღნიშნული ღელე ყოფს ერთმანეთისგან გალმა და გამოლმა ღაბარს. გეოგრ. კოორდ. 42.556652, 42.822509.

172. **ღაბარის ხიდი** – შუა საუკუნეების ხიდის ნაშთი ღაბარში. ზოგიშის ჩრდილო-დასავლეთით, რიონზე შემორჩენილია საკომუნიკაციო ნაგებობის ნაშთები. ადგილობრივები მას იხსენიებენ, როგორც ღაბარი(ს)ხიდის, ასევე ზოგიშის ძველი ხიდის სახელწოდებით. ვახუშტი ბაგრატიონის რუკებსა და მისსავე ლენხუმის ისტორიულ-გეოგრაფიულ აღწერილობაში აღნიშნული სახიდე ნაგებობა მოიხსენიება „არპანის ხიდის“ სახელწოდებით²⁴. გეოგრ. კოორდ. 42.557167, 42.818829.

173. **ღარი(ს)წყალი** – მცირე დებეტის მქონე წყარო თეთონდრის მთის ჩრდილო-

²³ მ. ალავეძე, ლენხუმური ზეპირსიტყვაობა, თბ., 1951, გვ. 148

²⁴ მ. ხვდავანი, ლენხუმის ძველი გზებისა და საგზაო ნაგებობების შესახებ, გვ. 338

დასავლეთ მისადგომებთან, ვერხვანალას, ჩოლხეშს, ციხიგვერდსა და საჯარჯიას შორის. ღარიწყლის მიმდებარე პერიმეტრი უწინ იხვნებოდა. აქედან ძველი საურმე გზა ადიოდა ზოგიშის ციხე-სიმაგრესთან. ხსენებული გზისგან დღეს ბილიკია მხოლოდ დარჩენილი. ფერდობი ჩაქცეულა. გეოგრ. კოორდ. 42.542261, 42.840756.

174. **ღელეტყე** – სახნავი.

175. **ღელისა//ღელისები** – ძველი გზა და სახნავ-სათესები ჩიტოულასა და ჩოლხეშს შუა. ღელისის გზა ძლიერაა დაქანებული. წვიმების დროს იქ ღელე ჩამოდინება. რესპ.: „უწინ გაჭვივება ხონდათ, ფეხშველა მოდიოდენ მთიდგან ხალხი... იქინე ღელისეფეში ღომი ეთესათ“; „იღელისას უძახოდენყე, გზა ისთე გადადის და გადის პირდაპირ ჩოლხეშთან“. გეოგრ. კოორდ. 42.548607, 42.842973.

176. **ყორანა** – ძველი საურმე გზა ტყეში, სოფ. ცაგერასა და გველითავს შუა. ეს არის უმოკლესი გზა ზოგიშსა და ცაგერას შორის. აღნიშნული გზის ორივე მხარეს ქვის ყორეებია ამოყვანილი. აქვე ჰქონიათ სახნავებიც. გეოგრ. კოორდ. 42.546289, 42.835485.

177. **შოშტაკა // შოშტაკარი** – გზაგასაყარი. ამოსავლად ვფიქრობთ პირის სახელს შოშტას, ან შოშიტას. მამსადაძე, „შოშიტას კარი“ (ადგილი, სადაც ვინმე შოშიტა ესახლა?). როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს გზაჯვარედინს, რასაც ირგვლივ საკარმიდამოები აკრავს. შოშტაკარიდან გზის ერთი განშტოება სამხრეთ-აღმოსავლეთით მიემართება და უერთდება სოფლის მთავარ შარას. მისი მეორე მონაკვეთი ჩრდილოეთისკენ მიდის და სრულდება გორიკუთხის უკიდურეს დასავლეთ ნაწილთან, საიდანაც უკვე სასკიბოლო იწყება, ხოლო მესამე შტო მიემართება უთულების კუთხესთან. გეოგრ. კოორდ. 42.555250, 42.844821.

178. **შოშტაკარი** – იგივე **შოშტაკა** (იხ.).

179. **ჩელემიშვილების კუთხე** – შემადლებული უბანი სოფლის განაპირას, ორგორაშუას ქვემოთ, ზოგიშის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აქ ძველთაგანვე ხვადაგიანებს უცხოვრიათ. ჩელემიშვილი შტოგვარია, აერთიანებს ხვადაგიანთა გვარის რამდენიმე ოჯახს. დღეს აქ აღარავინ ცხოვრობს. ჩელემიშვილები ზოგიშის ქვემოთა ნაწილში ჩამოსახლდნენ. რესპ.: „ვადა გოუვიდაო, ვადა, იძახდა ძველი ხალხი, ერთი იქი იქნებო, ერთი აქითო და დოუკვირდი ახლა კარქა, ჩელემიშვილების ხარე დაკეტილია თელათ“; რესპ.: „მე რაფერაც ვიცი, ოთხი ძმანი ყოფილან აქანა, ზოგიშ თაეიდან დასახლებული ხვადაგიანე-

ბი. ხოდა, ერთი ყოფილა ჩელები, ნაცხოვრება იქით, მეწერიისკენ, ჩეროში. ჩელები ნაქეება და მაგიტომ დაარქვეს ჩელებიშვილების კუთხე...“ გეოგრ. კოორდ. 42.550147, 42.846406.

180. **ჩიტოულა** – სასოფლო გზა, პატარა უბანი. წინათ აქ სახნავ-სათესი და სავენახე მიწები ჰქონიათ. ჩიტოულადან ძველი გზის ერთი განშტოება ჩელებიშვილების კუთხეში გადადიოდა, მეორე გველი(თ)ავისკენ მიემართებოდა, ხოლო მისი მესამე განშტოება ცნობილია „ღელისის გზის“ სახელით. ჩიტოულა პირველად მოხსენიებულია სამეურნეო ადგილების მოცვლილობის ხელწერილში (საოჯახო არქივი, ზოგიში). „...სახნავი მიწა სახელწოდებული ჩიტოულას ადგილი, სამძღვრები ამისი აღ. სასოფლო გზა, დასავ. ერმალო ხვადაგიანის ვენახი, ჩ. კიდევ სასოფლო გზა და სამხ. ივანე ხვადაგიანის ადგილი... პირველმა მხარემ გარსეგანა ყარამანის ძე ხვადაგიანმა მოვეცი შენ მეორე მხარეს ერმალო ბასილას ძე ხვადაგიანს ჩიტოულას სახნავი ადგილიდან ჩემი ნაწილი... და სამაგიეროთ ამისა ერმალო ხვადაგიანმა გარდმოვეცი შენ პირველს მხარეს გარსეგანა ხვადაგიანს ორი ნაჭერი ვენახიანი...“ (1906 წ.). გეოგრ. კოორდ. 42.550261, 42.843155.

181. **ჩიხეში** – სავენახეები რიონის მარცხენა ნაპირზე. რიონსვალმით ესაზღვრება ნიკორისძირი. ძველთაგან განთქმული იყო აქაური ვენახები. ჩიხეშის მიწებს სამეურნეოდ იყენებდა ცაგერასა და ზოგიშის მოსახლეობა. 1938 წელს ჩიხეშში აღმოაჩინეს ბრინჯაოს ნივთებით მდიდარი განძი, რაც ცნობილია „ცაგერას განძის“ სახელწოდებით. დღეს ადგილი ხშირი ტყითაა დაფარული. გზა ჩამოდის სოფ. ცაგერადან. გეოგრ. კოორდ. 42.532074, 42.803148.

182. **ჩოლხეში** – სათიბ-სადოვრები, სახნავები, ნასახლარები პიმპილოურ-ღელი-სას, გველითავს, ვერხვნალასა და ღარიწყალს შორის. გამოირჩევა კარგი მდებარეობით. სწორი, გაშლილი ადგილია. მინდვრები უწინ აქტიურად მუშავდებოდა. XIX ს-ში ჩოლხეშის გარკვეულ ნაწილში თავად ახვლედიანების რამდენიმე ოჯახი სახლობდა. უზარმაზარი ჭურები ბოლო დრომდე ყოფილა მათ ნამოსახლარზე შემორჩენილი. გეოგრ. კოორდ. 42.545523, 42.840389.

183. **ჩხიროდი** – სავენახე. „...მეორე ნაკვეთი სახელწოდებული ჩხიროდი, საძღვრებთა შორის აღმოსავლეთით სოსიკო ხვადაგიანი, დასავლ. სამ. და ჩრდილოეთით ჩემივე ილია ხვადაგიანის ადგილი...“ (1904 წ.). ლეჩხუმში ჩხიროდი ეწოდება დაბლარ ვენახს.

184. **ცაცხვიძირი** – ტყე-სადოვარი. „ვაკიძირიდან ცაცხვიძირში გადაგყავდა საქონლები და იქინე ვაბალახაბდეთ“. გეოგრ. კოორდ. 42.523898, 42.837139.

185. **ცივწყალა** – სათიბები ზოგიშის მთაში, წყალატორას სათიბებსა და ნასოფლარ კვაცხუთს შორის. წარმოადგენს მთაშავის მასივის (რაჭის ქედი) დასავლეთური მონაკვეთის ჩრდილოეთ გაგრძელებას. ვრცელი ვაკე-მინდვრის ირგვლივ ფართოფოთლოვანი ტყეა. ტრადიციულად აქედან გადმოჰქონდათ ზოგიშელებს სამასალე მერქანი და შეშა. ცივწყალას სათიბებში ერთგან სასმელად ვარგისი კარსტული წყარო ამოდის და მცირე ტბორის სახით დგება, იქვე, მინდორში. ამიტომაც უწოდებიათ ადგილისთვის ეს სახელი. აქვეა კირქვის საბადოც, სადაც თეთრი სამშენებლო ქვა იჭრებოდა. ზ. დ. 1250-1300 მ. გეოგრ. კოორდ. 42.512391, 42.835097.

186. **ციხიგვერდი** – ზოგიშის ისტორიული ციხე-სიმაგრე ნამაიდნევისა და ნასასხლევის გვერდით, თეთონდრის კლდოვანი მთის უკიდურეს დასავლეთ კორტოხზე, რასაც კონუსისებური ფორმა აქვს. ეს არის მთის ყველაზე მაღალი ნიშნული, ზ. დ. 900 მ. წიგნში - „ლეჩხუმი“ - კკითხულობთ: „სოფელ ზოგიშის სამხრეთით, მთის წვერზე დგას ახვლედიანების ციხე. მას ირგვლივ დამრეცი, ტყიანი ფერდობები აკრავს. საერთო გეგმარების გარკვევა ძნელდება, ვინაიდან ციხის ნანგრევები ეკალ-ბარდითაა დაფარული. კლდოვანი თხემის ფართობი (დაახლოებით 30/10 მ) გალაენითაა მოზღუდული, რომელიც ჩრდილოეთით რელიეფის გამო მრუდ, ტალღისებურ ხაზს ქმნის. ამ მონაკვეთში კედლის სიმაღლე ზოგან ხუთ მეტრს აღწევს. სწორხაზოვანი, მტკიცე წყობა ამოყვანილია უხეშად დამუშავებული კლდის ქვით ბათქაშზე. გალავნის შიგნით, ორგან კოშკის ნაკვალევი შეიმჩნევა. შემორჩენილია წყლის სწორკუთხა რეზერვუარი შიგნით ორკალთიანი გადახურვით. წყალი ახლაც დგას და ამბობენ, პერიოდულად თავისით გროვდებაო. ციხის ტერიტორიაზე მიწაში რამდენიმე ქვევრიც არის ჩაფლული. ნანგრევების მასშტაბურობა ამ სათავდაცვო ნაგებობის სიდიდესა და სიძლიერეზე მიუთითებს... აქვე გზა გადის ორხვისა და დნორისისაკენ მიმავალი. ციხესთან ახლოს მინდორს, რომელიც შამხნარით არის დაფარული, ნასახლარებს ეძახიან. გადმოცემით, აქ ეკლესია მდგარა...“²⁵.

XVIII-XIX სს-ში ციხიგვერდი ახვლედიანთა ფეოდალური საგვარეულოს რეზიდენციას წარმოადგენდა. სწორედ ამ დროიდან ეწოდა სიმაგრეს „ახვლედიანების ციხე“. საისტორიო წყაროებში პირველად გიულდენშტედთან (XVIII ს.) იხსენიება. ზოგიშის ციხე-სიმაგრე სამეფო დანიშნულებისა იყო. მისი ავე-

²⁵ დ. ბერძენიშვილი, ი. ბანძელაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურღულია, ლეჩხუმი, თბ., 1983: 50

ბის დროდ ადრეფეოდალური ხანა მოიაზრება. ციხიგვერდი მეტად სტრატეგიულ ადგილასაა აგებული. სამი მხრიდან მიუდგომელია. გზა შეუღის ჩრდილო-დასავლეთიდან. აქედან კონტროლდებოდა რიონის ხეობის ვრცელი ტერიტორია. აღნიშნული საფორტიფიკაციო ნაგებობა კეტავდა იმ უძველესი საქარაენო მაგისტრალის ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს, რაც ზოგიშზე გადმოდიოდა და აქედან სხვადასხვა მხარეს მიემართებოდა. ციხიგვერდი აღმოსავლეთით სოფ. პატარა ონის ისტორიულ სიმაგრეს („დეციხე“) უკავშირდებოდა, რაც შუა საუკუნეებში რაჭის ერისთავთა რეზიდენცია იყო, ხოლო დასავლეთით კომუნიკაციას უწვამის ადრეფეოდალური ხანის ციხე-სიმაგრესთან ამყარებდა. ზოგიშის ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია. გეოგრ. კოორდ. 42.538417, 42.844629.

187. **ციხისძირი** – ციხიგვერდის ქვემოთ არსებული ტერიტორია. გეოგრ. კოორდ. 42.539378, 42.844401.

188. **ძველეკლესია // ძველი ეკლესია** – ზოგიშის დარბაზული ტიპის ეკლესიის ნანგრევი. „ძველ სასაფლაოსთან, მცირე შემადღებაზე დგას მარიობის ეკლესია, რომელიც ამჟამად ძლიერ დანგრეულია. დარბაზული ტიპის ნაგებობის კედლები დაახლოებით 1 მ სიმაღლეზე შემორჩენილი. შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია აღმოსავლეთის მხარე. მოპირკეთებული ყოფილა შირიმის თლილი კვადრებით... ერთნავიანი ეკლესიისათვის უზვეულოდ არის გადაწყვეტილი აღმოსავლეთის მხარე. ნახევარწრიული აფსიდის ჩრდილოეთის კუთხეში ძალზე მცირე ზომის, გეგმაში სწორკუთხა სათავსოა მოწყობილი, რომელსაც პატარა სარკმელი აქვს. საკურთხეველში მაღალი, კარგი პროპორციების მქონე სარკმელია გაჭრილი, ძეგლს გარს უვლიდა გალავანი, რომელიც ფრაგმენტულადაა მოღწეული. ნანგრევებად ქცეული და შემოძარცვული ზოგიშის ძველი ეკლესია მეტად შთამბეჭდავია“²⁶.

ზოგიშის „ძველეკლესია“ მეტად მოხდენილ ადგილასაა აგებული. აქედან შესანიშნავად მოჩანს ზოგიშის ყველა უბანი. იგი ზემოდან დასცქერის რიონის ხეობას. აღნიშნული ძველი ხვადაგიანთა საგვარეულო ეკლესიად ითვლება. ხალხური გადმოცემით: „ძველეკლესიის მშენებლობის დროს სოფელი მწკრივში ჯაჭვად ჩამდგარა და რიონის სანაპიროზე, ფაშინიკებში ნატეხი შირიმის, იგივე სპონტიოს ქვა ერთმანეთისთვის ხელიდან-ხელში უწოდებიათ“. აქ ზოგიშელები კოხინჯრობის დღესასწაულსაც აღნიშნავდნენ. „ სო-

²⁶ დ. ბერძენიშვილი, ი. ბანძელაძე, მ. სურამქლაშვილი, ლ. ჭურღულია, ლეჩხუმი, 1983: 50

ფელს ზოგიშს იციან შვიდ მაისს, უწოდებენ კახინჯრობას, ანუ კორხლობას. მოუწოდებენ მოყვრებათა, შეკრებათა ეკლესიაზედ, დიდი ვედრებით. სიცოცხლე აქვს აქაურს მღვდელბსაც, მიუვა რა მრავალ გვარი შექცევები. აქაც მობრძანდებიან მებატონეები, კნიაზი ახვლედიანი ჯალაბობით, უყურებენ ამ შექცევას, წავლენ სახლში და ვიდრე საღამომდე სმენ ღვინოებსა, სახელდობრ: ყურძნის ტევან ღიდისასა, ღარასულასასა და არაბეულის ყურძნის ღვინოებსა. დასთვრებიან ერთობ კახელნი ნაკახეთევინი, რომელიმე კიდევ დაგიჟდებიან და ძლივ მოისვენებენ ლოგონზედ. მეორე დღეს სრულიად აღარ მოავონდებთ ზოგიერთს წინა დღის გაგიჟება და სხვანი“²⁷. გეოგრ. კოორდ. 42.556553, 42.848457.

189. **წედამო** – მცირე დებეტის მქონე წყარო მამუკიასოულსა და საკავიას შუა. გა-
მოედინება მიწიდან. გვალვების დროს შრება, იმატებს გაზაფხულზე. გეოგრ.
კოორდ. 42.551173, 42.849505.

190. **წყალატორა** – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ვრცელი
ადგილი ზოგიშის მთაში. წყალატორას უწოდებენ თვალუწვდენელ მინ-
დვრებს, სათიბ-სადოვრებსა და სახნავ-სათესებს. სახელდებული ობიექტი
მდებარეობს სოფ. ორხვის თვალშუედგამი კირქვული კლდეების ზედა მონაკ-
ვეთში. ტრადიციულად წარმოადგენს ზოგიშელთა და დღნორისელთა სა-
სოფლო კუთვნილებას. ადრეული დროიდანვე მოყოლებული წყალატორის
მიდამოებს კვეთდა ოკრიბა-ლენხუმის უძველესი გზატკეცილი, რაც კოლხე-
თის ბარს რაჭა-ლენხუმისა და სვანეთის მთიანეთთან აკავშირებდა. აღნიშ-
ნულ ადგილს აღმოსავლეთიდან ცივწყალა ემიჯნება, დასავლეთიდან – ორ-
ხვის კლდოვანი ქარაფები, სამხრეთიდან – ნამშევიგორა და ჯვარდამწვარი,
ზოლო ჩრდილოეთიდან – ზედა ნარლოვი. სათიბ-სადოვრების სიგრძე 2 კმ-ს
აღემატება. გარშემო წიფლნარი ერტყმის. წყალატორის სათიბ-სახნავები
ძველი დროიდანვე მოყოლებული უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ზო-
გიშელთა სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებაში. რესპ.: „ძველები იტყოდენ –
აქანე ხო ვართო, წყალატორაზევო, ჩვენ თაშიო, კარმები ხო იყო დღნორის-
ლების და ივენის იქი... ერთიო იქი ხო ყვირისო ჯვარდამწვარზევო, ერთი აქი
იმარი ქვაყუნტიაზევო, ერთი ჩვენკენ წყალატორაზევო, ა მა პლანზე იქნება
ჩვენი სოფლის საქმე და ამბავი მალევო, ეჰა დაწერილი ქონდაყე? დოუკვირ-
დი თელი სოფელი თავისუფალია...“; „...ინასარიძემ შეიტყო მტრის თავდას-

²⁷ რ. ერისთავი, ფოლკლორულ ეთნოგრაფიული წერილები, მეცნიერება, 1986. 28

ხმა და სასახლისაკენ გაემართა. წყალატორაში შეხვდა თავდახრილი დედაბერი. გიორგიმ მას ამბავი გამოჰკითხა. ქალმა, რომელსაც არ ენახა მთავარი, უპასუხა: თვალი დაუდგა თვალია ინასარიძეს, ის ახლა ოკრიბაშია და მისი სოფლები კი ურჯულთ ხალხმა ააოხრაო. ინასარიძე ზოგიშის ხიდზე გავიდა თავისი ჯვორით და საჩქაროდ გასწია საირმისკენ...“²⁸. რესპ.: „წყლის ტბორები ყოფილა უწინ იქ და დოურქმევიათ მაგიტო წყალატორა“. გეოგრ. კოორდ. 42.518419, 42.824565.

191. **წყალატორის სათიფები** – იგივე წყალატორა.

192. **ჭა** – სანახშო. ადგილი, სადაც ზოგიშელთა ჭა მდებარეობს, რომლის წყალიც ნაქებია. გეოგრ. კოორდ. 42.551763, 42.842896.

193. **ჭალა** – სახნავ-სავენახეები, ტყე-ბუჩქნარი, საძოვრები; რიონისა და ლაჯანურის შესართავის გამოღმა მდებარე ტერიტორია. რესპ.: „ჩვენი ჭალიდამ დატანებული ქვაყუნტიამდე სულ იხვნებოდა ადგილები“. გეოგრ. კოორდ. 42.556931, 42.852955.

194. **ჭალიბოლო** – სახნავი მინდორი, საძოვარი ნასახლევეს, ციხიგვერდსა და ბანკიყანას შუა. „სად დაგვყავდა საქონელი ბოშებს და ახლავე გეტყვი, ჭალიბოლოში ქე რო ადინარ, ი ბანკიყანას და იმას ქე რო უძახით, ე, იქინე ვაბალახებდითყე საქონლევს“... (გ. ისიანი, 84 წლისა). გეოგრ. კოორდ. 42.539098, 42.842130.

195. **ჭკუტნარი** – სახნავ-სათესები ველიტყის გვერდით. დღეს ტყეს დაუფარავს იქაურობა. ჭკუტა (პანტა) ყოფილა გავრცელებული. „ზოგიშლებს ზეით თაში ქონდათ ყანები, ჭკუტნარში, ველიტყეში. ბევრი სიმიდი მოქონდათ იქედან. ხშირათ დათვი შემოდოდა ყანაში, ამიტომ მალს აბამდენ იქ. ჭკუტნარში და ველიტყეში უყი გავტეხეთ იქინე, სიმიდი და ლობიო მკვიდა, ნუ იტყვი“. გეოგრ. კოორდ. 42.530443, 42.828922.

196. **ჭუჭკიას წყალი** – წყარო წყალატორის სათიბებში, სოფლების – ზოგიშისა და დღნორისის სანახების გამყოფი. რესპ.: „დამპალაღელე იქეთაა და ესაა, ჭუჭკიას წყალს უძახიენ მაგას, თუა დამპალაღელე კი არაა მაგი. აქამდე ყოფილა ზოგიშის საზღვარი დღნორისასთან“. გეოგრ. კოორდ. 42.501451, 42.827457.

197. **ზვანგელა/ზუანგელა** – ტყე-საბალახო, მინდორი რიონის მარცხენა ნაპირზე, ნახიზარის ჩრდილო-დასავლეთით და ურვანების ჩრდილოეთით. ხალხური

²⁸ მ. ალავიძე, ლეჩხუმური ზეპირსიტყვაობა, 1951: 17

ეტიმოლოგია: „ერთი სვანი ჩამოსახლებულა, სახელად გელა. მან ფეხი მოიკიდა ამ ადგილას, ცხოვრებაზე გაიმარჯვა. სვანურად „ხუან“ გამარჯვებას ნიშნავს. ამიტომ დარქმევი „ხუანგელა“²⁹. გეოგრ. კოორდ. 42.558403, 42.831642.

198. **ხიდიყელი** – ნახიდარი ადგილი მეწერიის ვაკის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. ზედა ღვარდიის მხარეს, საფურცლის გვერდით. აქ რიონი ვიწრო კალაპოტში მიედინება. მასზე ხის ხიდი ყოფილა უწინ გადაჭიმული. ლეჩხუმის ფოლკლორული მასალებიდან ვიგებთ, რომ აღნიშნული ხიდი XVII ს-ში ლეკ-თათართა მარბიელ ლაშქარს გაუნადგურებია. მასზე მხოლოდ ერთი ხე ყოფილა დარჩენილი, სადაც თავისი ჯვორით გადასულა გიორგი ინსარაძე, რიონის ხეობის ლეჩხუმის ბატონ-პატრონი. მას ლეჩხუმელები მეფის ტიტულით მოიხსენიებდნენ. „ზოგიში ხიდე მარტვე ერთი ხე დარჩენილიყო რიონზე გადებული. ხიდი დოუმგრევიყე. ნეფე ამ ბოგაზე გამევიდა თავისი ჯვორით...“³⁰. ხიდიყელს მეწერიის ციხე-კოშკი აკონტროლებდა. რესპ.: „ი ხიდიყელი შერქმოული სახელია. ყოფილა მაქანე უბრალო გასავალი საცაფეხო ბოგა, ბონდი პატარა რაცხა, პატარა გასავალი. ადრე შემოსევა რო ყოფილა, მაშინ წასულა ვილაცა ინსარაძე, გასულა იქინე, ი ხიდე და ჯვორიც გოუყვანია...“; რესპ.: „ხიდიყელი მიტო ქვია მაგას, ი ხიდიყელში იყო ხიდი გადებული. ყველაზე ვიწრო ადგილი მაქანე იყო, ხოდა, იქინე იყო მუხის ძელები გადებული. მე მახსოვს ეს, მახსოვს რო, კურტანის ნაწილი მან რო დაიკლებდა, რიონი ჩანდა ის, საყრდენი რო ქონია იქინე. ეს გზა რო იყოფოდა ახლა ესე იგი მერე აღიოდა იქიდან საირმეში და საირმიდან გადადიოდა თაბორში და ლაილაშში...“; რესპ.: „მე როგორც მაქ მოსმენილი, რატო უძახინენ ხიდიყელს, სიპები არის იქანე რიონზე, აქეთეც სიპებია და იქითეც სიპებია რიონი ნაპირებზე, არის ვიწრო ადგილი. იქანე ქონიათ ხეები გადებული ასთე, როგორც ბოგირი და იმაზე დანავალან. ადრე ჯვორები ყავდათ, ისე გზა ჩამოდის, ხოდა იქიდან დანავალარიენ, იქედან საირმიდანეც ჩამოდის გზა. ძველი გზა იგი...“ ხიდისყელი პირველად მოიხსენიება ერთ ხელწერილში, რაც შესრულებულია 1881 წელს. მასში ვკითხულობთ: „...თქვენი ადგილი მდებარე სოფელსა ზოგიშს, სახელწოდებული ხიდის ყელი, შემდგომის სამხლვრებითა შორის, აღმოსავ. სახნავი ფირანა სილაგადისა და გლახუა ხვადაგანისა, დასავლეთით სახნავი იოსება ხვადაგანისა, ჩრდილოეთით თვით ზაქარია ხვა-

²⁹ ი. კეკელია, ცაგერის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია (ხელნაწერი)

³⁰ მ. ალაიძე, ლეჩხუმურის თავისებურებანი. 1941: 239

დავიანისა და სამხრეთით ტყე ბასილა გოქაძისა...“ გეოგრ. კოორდ. 42.541623, 42.858756.

199. **ზორხოტა** – ქვიანი ადგილი, საკარმიდამო ბინულის კუთხეში.
200. **ჯანაძეების კუთხე** – უბანი ზოგიშის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც სახლობს ჯანაძეთა გვარის რამდენიმე ოჯახი. ხსენებული გვარის ერთი წარმომადგენელი კაცია ჯანაძე მოხსენიებულია 1817 წელს, ზოგიშის მაცხოვრის სახელობის ეკლესიისათვის შეწირული ზარის მინაწერში. გეოგრ. კოორდ. 42.555616, 42.849616.
201. **ჯანაძისათიფი** – ალპანელი გლეხის – ჯანაძის კუთვნილი სათიბი წყალატორაში. აღნიშნული სათიბი ჯანაძისთვის უჩუქებია თავად ახვლედიანს. ჯანაძეები ახვლედიანთა ყმა-გლეხები იყვნენ. რესპ.: „სათიფი და ყანები ქონდაყე ი ალპანელეფს იქინე, ჯანაძეეფს. მოჯამაგირე ყოფილა ი პერიოდში ჯანაძე ახვლედიანების. თელათ მოუცია, უჩუქნია ე ამხელა ადგილეფი ჯანაძისთვინ ი ახვლედიანს“. გეოგრ. კოორდ. 42.519600, 42.824587.
202. **ჯაფარეული** – იგივე **ჯაფაროული**.
203. **ჯაფაროული** – უბანი, საუკეთესო სავენახე მიწები სოფლის შუაგულში, სადაც განსაკუთრებული ღირსების მოსავალი მოდის. ზ. დ. 520-550 მ. ჯაფარიძის საკუთრება ყოფილა³¹. გეოგრ. კოორდ. 42.551732, 42.840208.
204. **ჯვარდამწვარი** – ისტორიული ადგილი წყალატორის სათიბების შემოგარენში, მთაშავის მასივის უკიდურეს დასავლეთ მონაკვეთსა და კორვაშის მთას შორის, სოფ. დღნორისის ჩრდილოეთით. ჯვარდამწვარი საისტორიო წყაროებში პირველად XVII ს-ში იხსენიება. 1848 წელს აღნიშნული ადგილი გადმოიარა ქუთაისისკენ მიმავალმა მარი ბროსემ: „...სიმონა ზვადაგიანმა, რომლის სახლშიც ღამე გავათიეთ ზოგიშში, გამაღვიძა მეორე დღეს და აქედან წავედით სოფ. დღნორისაში. შუა გზაზე შევისვენეთ ბუჩქოვანი ხის ძირას, ერთი დიდი ხის ახლო, რომელშიც გამოკვეთილ ნიშში მოთავსებული იყო რკინის ჯვარი. ამ ადგილს ეწოდება ჯვარდამწვარი...“ გეოგრ. კოორდ. 42.485205, 42.821632.
205. **ჯვარიტყე** – სალოცავი ადგილი ლაზარეთის ნაცხვარას გვერდით. მათ შორის სასოფლო გზაა გაჭრილი. აღნიშნული გზის ჩრდილო-დასავლეთით ნაცხვარაა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით – ჯვარიტყე. მცირე კლდოვანი გორაკია, დაფარული ტყე-ბუჩქნარით, რასაც პატარა მინდორიც ეკვრის სამ-

³¹ ი. კეკელია, ცაგერის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია (ხელნაწერი)

სრეტიდან. საკრალურ ადგილად ჰქონდათ მიჩნეული ზოგიშელებს. აქ ძველად კოხინჯრობას დღესასწაულობდნენ. „სალოცავზე იყო ჯვარი, რომელსაც ხალხი სხვადასხვა ნივთს სწირავდა, მიჰქონდათ ფული, უნთებდნენ სანთლებს. ეს ჯვარი ვიდაცას მოუპარავს. ამის შემდეგ სალოცავი მოშლილა“³². გეოგრ. კოორდ. 42.553198, 42.836009.

206. **ჯინჯროული** – ტყე თეთონდრის მთის ჩრდილოეთ ფერდობზე. რესპ.: „იქინე ჯინჯარი ცოდნია...“ გეოგრ. კოორდ. 42.542691, 42.845408.
207. **ჯინჯროული(ს)გზა** – გზატკეცილი. წინათ ჯინჯროულს ჩამოივლიდა ძველი გზა, რაც წარმოადგენდა ზოგიშში შემომავალი საქარავენე გზის ერთ განშტოებას. იგი იკეტებოდა ამავე სოფლის მთავარი ციხე-სიმაგრით (ციხიგვერდი) და მისი მოკავშირე ციხე-კოშკით (მეწერიის ციხე). დღეს ნაგზაურია. რესპ.: „მეორე გზა მოდიოდა აქეთ ჩვენსკენ. ე გზა კიდე იყოფოდა, ახლარაფერ იყო, აქეთ ცაგერას და იმას ცალკე მოდიოდა ეს გზა და ე ზოგიში, მერა პერიოდსაც ვამბობ, იმ დროს არ არსებობდა, ხოდა მეორე გზა მოდიოდა, ჩამოდიოდა ჯიჯროული და ახლაც ეტყობა ის გზა რო ყოფილა, ხოდა ჩამოდიოდა ჯიჯროული, მერე ჩამოდიოდა ძირ ვაკეში და ხიდი იყელი თან მოდიოდა... ხიდი იყელი მიტოქვია მაგას, იხიდი იყელი იყო ხიდი გადებული, ყველაზე ვიწრო ადგილი მაქანე იყო. ხოდა, იქინე იყო მუხის ძელები გადებული“... გეოგრ. კოორდ. 42.542265, 42.845038.
208. **ჯინჯროული(ს)წყალი** – კარსტული წყარო ჯინჯროულში. წყალი გადმოყვანილი ჰყავთ ზოგიშში. გეოგრ. კოორდ. 42.542413, 42.845666.

³² ი. კეკელია, ცაგერის მუნიციპალიტეტის ტოპონიმია



ზოგის ისტორიულ-გეოგრაფიული (ტოპონიმიკური) რუკა



ზოგის ისტორიულ-გეოგრაფიული (ტოპონიმიკური) რუკა



ზოგიშის ხედი



ზოგიშის ზემო უბანი „ლაზარეთი“



ზოგიშის ძველი ეკლესია

კოლხეთის ზოგიერთი ადრეული განძის დათარიღების საკითხები

(გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვა)

კოლხური გვიანბრინჯაოს ხანის განძების დათარიღება, მათი შემთხვევითი აღმოჩენების გამო, პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. წინამდებარე მცირე ფორმატის სტატიაში დღევანდელი გადმოსახედიდან, ახალი მასალებისა და რელიეფის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გვინდა მიუბრუნდეთ, კოლხური კულტურის ერთ-ერთი უადრესი ურეკის განძის დათარიღების საკითხებს. როგორც ცნობილია, ამ განძის დათარიღებას არაერთი სპეციალისტი შეეხო. მიუხედავად ამისა დღეისათვის ახალი აღმოჩენების ფონზე ეს პრობლემა კვლავ აქტუალურია.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე რადიოკარბონული მეთოდის გამოყენებით არაერთი არქეოლოგიური ძეგლის (მხედველობაში გვაქვს ნამოსახლარები და სამაროვნები) თარიღმა სიღრმეში გადაიწია, ანდა გამყარდა მათი პირვანდელი დათარიღება. ეს საკითხი არ ეხება კოლხური კულტურის გვიანბრინჯაო-ადრეკინის ხანის განძებს, რადგან მათი დათარიღება რადიოკარბონული მეთოდით განსაზღვრას არ ექვემდებარება.

ამ მცირე ფორმატის სტატიის გამოსაცემად მომზადება გვიბიძგა იმ გარემოებასაც, რომ სამეცნიერო კულუარებში არქეოლოგებს შორის არაერთგზის გამოითქვა მოსაზრება ურეკის განძის დათარიღებაზე.¹ ის, რომ ურეკის განძი გვიანბრინჯაოს ხანის საწყის საფეხურს უნდა მიეკუთვნოს თუ ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის შუა ხანებს, ანდა მის ფინალურ ეტაპს. ამის თაობაზე არსებობს არაერთი მოსაზრება. ამ სტატიაში კიდევ ერთხელ გვინდა მოვიყვანოთ ზოგიერთი ჩვენი პატივცემული უფროსი კოლეგის მიერ ურეკის განძის დათარიღებაზე ადრე გამოთქმული ვარაუდები და დღევანდელი გადმოსახედიდან ახალი აღმოჩენების ფონზე გადმოვცეთ ჩვენი პოზიცია.

ვიდრე გადავიდოდეთ აღნიშნული საკითხის განხილვაზე, პირველ რიგში სპეციალისტებს მოკლედ შევახსენებთ ურეკის განძის აღმოჩენის ისტორიასა და მასში შემავალ არტეფაქტებს.

¹ აღსანიშნავია, რომ კოლხური კულტურის გვიანი ბრინჯაოს არცერთი განძის შესახებ არ გამოთქმულა იმდენი მოსაზრება, რაც ურეკის განძის შესახებ.

როგორც ცნობილია, ურეკის განძი შემთხვევით აღმოჩნდა 1941 წელს, ამავე სახელწოდების სოფლის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე, ადგილ „ბებერ ცაცხვთან“, მიწის სამუშაოების მიმდინარეობისას. განძის ძირითადი ნაწილი დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფოლდებში, მეორე ნაწილი კი ინახება ოზურგეთის მუზეუმში². განმეორებით აღვნიშნავთ, რომ ურეკის განძის შემადგენლობაში შედიოდა 23 ბრინჯაოს ცული, რომელთა შორის 6 ერთეული იყო ყუაძილიან-ყუადაქანებული, ვიწროტანიანი, ოდნავ მომრგვალებულპირიანი; 15-ორფერდაყუიანი მრგვალი (მილისებური) სატარეხვრელიანი, სწორშებლიანი და ფხისკენ თანდათან გაგანივრებულპირიანი; 2-ორფერდაყუიანი, ოვალურხვრელიანი კოლხური ცულის პროტოტიპი, დაბალი გორდა ასიმეტრიული პირით, ექვსად დაწახნაგებული ტანითა და სატარის ძირზე მოზრდილი ქიმისებური წანაზერდებით. გარდა ამისა ეს განძი შეიცავდა კოლხური კულტურისათვის მანამდე უცნობ 8 ბრინჯაოს ბართოსსა და ორ ბრტყელ საფხეკს.³

თავდაპირველად ურეკის განძი ქრონოლოგიურად განსაზღვრა ო.ჯაფარიძემ, რომელმაც ჯერ კიდევ ადრე გამოქვეყნებულ სტატიაში საჩხერის, ფატჩიანოვოს და სტუბლოს განძის ცულების მიხედვით, იგი დაათარილა მეორე ათასწლეულის პირველი ნახევრით⁴. ბ-ნი ოთარი აღნიშნავდა, რომ ცულის ეს ტიპი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში შუაბრინჯაოს ხანაში გავრცელებულ ამ რიგის იარაღებთან.⁵ ფიქრობენ, რომ ერთ შემთხვევაში ურეკის განძს სავსებით სამართლიანად ათარიღებენ შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით, ხოლო მეორე შემთხვევაში ამ განძში შემავალი ცულების მიკუთვნება მეორე ათასწლეულის ბოლო საუკუნეებისადმი, მიუღებლად ეჩვენებათ⁶. გ. გობეჯიშვილის ამოსავალი ამ პერიოდის დათარიღებით განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ბრინჯაოს ნივთების განძად დაფლვა, სწორედ ამ ხანისათვის უნდა ყოფილი-

² ო. ჯაფარიძეს პირადად შეუსწავლია აღმოჩენის ადგილი და მისულა იმ დასკვნამდე, რომ ორივე მუზეუმში დაცული ნივთები ერთსადაიმევე ადგილზე უნდა ყოფილიყო აღმოჩენილი, იხ. ო. ჯაფარიძე, დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-B, თბ., 1950: 109-121. ამავე მოსაზრებას იზიარებს დ. ქორიძე და ნ. ზომტარია, იხ. დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965: 10., Н. Хоштария, Археологические исследования Уреки. Материалы к истории культуры, Тбилиси, 1974: 38.

³ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, 10.

⁴ ო. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, 117-118.

⁵ ო. ჯაფარიძე, საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბ., 2003: 185.

⁶ საქართველოს არქეოლოგია, თბ.; 1959: 116; ალ. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. ბათუმი, 1974: 38.

ყო დამახასიათებელი⁷.

ალ. რამიშვილის აზრით, ურეკის განძი უნდა დათარიღდეს შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით-ძვ. წ. XVI-XV სს-ებით, რადგან იგი მიაჩნია აქამდე ცნობილ ყუადაშვებულ-ყუამილინ ცულებს შორის ტიპოლოგიურად ყველაზე განვითარებულ ფორმად.⁸ იგი არ იზიარებს დ. ქორიძისეული ურეკის განძის დათარიღების ზედა საზღვარს (ძვ. წ. XVIII-XVII სს.)⁹.

თ. მიქელაძის კარაუდით იმის გამო, რომ ყუამილიანი ცულები არ გვხვდება შუაბრინჯაოს ხანის შემდგომ პერიოდში, ამიტომ მისი ასაკი შუაბრინჯაოს ხანის სულ დასასრულს უნდა შეეფარდოს.¹⁰ აღსანიშნავია, რომ მკვლევართა ნაწილს ურეკის განძი შეეყვას გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის განვითარების არეალში. მათ ამოსავალს ასეთი დათარიღებისათვის წარმოადგენს კოლხური ცულების პროტოტიპების სიახლოვე გვიანი ბრინჯაოს ხანის კოლხურ ცულებთან.¹¹ გ. შამბა განძს ათარიღებს ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულით, ხოლო მ. ბარამიძე კი ძვ. წ. XVI- XV სს-ებით .

როგორც ვხედავთ, სამეცნიერო ლიტერატურაში ურეკის განძის დათარიღებაზე სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. ვფიქრობთ, ურეკის განძს, რამდენადაც აახალგაზრდავებს, მასში შემავალი სწორპირიანი, ორფერდა ტანიანი და მრგვალხერელისანი ბრინჯაოს ცულები, რომლებიც თავისი ფორმით უახლოვდებიან ჩვენში დღესაც გავრცელებულ ე. წ. „ქართულ ცულს.“¹² საერთოდ ამ ტიპის ცულები კოლხეთში გვხვდება შემდეგ პუნქტებში: 16 ცალი ურეკში; 1 – მახუნცეთში; 1 – ხელვაჩაურში და 7 ერთეული გალის განძში.¹³ უკანასკნელ პერიოდში ერთი ცალი ასეთი ტიპის ცული აღმოჩნდა მდ. ხობისწყლის კალაპოტში (ხობის მუნიციპალიტეტი), ხრემოვან მიწის მასაში¹⁴.

განსაკუთრებით საყურადღებოა ურეკის განძიდან მომდინარე ბრინჯაოს ყუამი-

⁷ საქართველოს არქეოლოგია, 116.

⁸ ალ რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, 95.

⁹ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, 28,10-11.

¹⁰ თ. მიქელაძე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიიდან, თბ., 1974: 38.

¹¹ J. Сахарова, Позднебронзовая культура ущелья реки Цкенисцкали. Автореферат на соиск. уч. степ. канд. ист. наук, Тб., 1965: 7.

¹² თ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, 185.

¹³ ალ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, 40.

¹⁴ ლ. ჯიბლაძე, რ. კვიციანი, კოლხეთის მდინარეებში აღმოჩენილი არტეფაქტები – შემთხვევითობა თუ მსხვერპლშეწირვის რიტუალის გამოვლინება?, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, არქეოსპექტრი, 2, თბ., 2019: 72-77.

ლიან-ყუადაქანებული ცულები, რომელთაც შეჭრილი ყუა, მოკლე მილი და ოდნავ მოხრილი და ექვსად დაწახნაგებული ტანი გააჩნიათ. ამ კომპონენტებით ისინი უახლოვდებიან კოლხური ბრინჯაოს ცულების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის I ტიპის ამ სახის იარაღებს.

ურეკის განძის რამდენადმე სიღრმეში გადაწევას (დაძველებას) ხელს უშლის, მასში შემავალი ორი ერთეული კოლხური ცულის პროტოტიპი, რომელიც ძირითად გვხვდება კოლხური გვიანბრინჯაოს ხანის კულტურის ადრეული საფეხურის განძებში: ერგე – 2 ც., ქობულეთი – 2 ც., მახო – 1 ც. კოლხური ცულების პროტოტიპები ასევე ცნობილია 2 ც. – პილენკოვო; 10 – გაგრა (9 დაიკარგა, 1 – შემორჩა); 1 – ბიჭვინთა; 13 – ლიხნი, 1 – ეშერა; 1 – ჭოროხის განძი, 1 – ლეჩქოფი; სოფ. ნასპერი; ერზერუმი – 1.¹⁵ საყურადღებოა, რომ კოლხური ცულების პროტოტიპების შემცველ განძებს (პილენკოვო, გაგრა, ერგე, ჭოროხი, ქობულეთი, ზემო ჯოჭო და სხვ.) ძვ. წ. XVI-XIV და ძვ.წ XIII ს-ის საწყისი პერიოდით საზღვრავენ.¹⁶ დიდი ალბათობით კოლხური ცულების პროტოტიპებიდან შემდეგი განვითარება პოვა დ. ქორიძისეული კოლხური ბრინჯაოს ცულების კლასიფიკაციის I ტიპის ცულებმა.

სპეციალისტთა შორის ყოველთვის ყურადღებას იქცევდა კოლხური ცულების პროტოტიპების წარმომავლობის საკითხი. ბ.კუფტინმა თავის დროზე კოლხური ცულების პროტოტიპები დაუკავშირა ღრმალელე-შამშადინში აღმოჩენილ საბრძოლო პარადულ ცულებს¹⁷. მას მიაჩნია, რომ კოლხური ცულების პროტოტიპები წარმოშობილი უნდა იყოს ღრმალელე-შამშადინის ტიპის ცულებისაგან როგორცაა: ბოდონა, სოფ. გუმბათი (წალკა), ორი სომხეთში-ნაური.¹⁸ დ. ქორიძე, თ. მიქელაძე თვლიან, რომ კოლხური ცულების პროტოტიპები განვითარდა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილ საბრძოლო პარადული ცულებისაგან. ცნობილ მეცნიერებს ამ მოსაზრების არგუმენტად მოყავთ მათ შორის მსგავსება ტანის ექვსად დაწახნაგებაში, სატარე ხვრელის ძირში დატანილი ქიმიკური შვერილები და ა. შ.¹⁹ ო. ჯაფარიძის მოსაზრებით, ღრმალელე-შამშადინის ვარიანტის ცულები იმდენად ჩამოყალიბებული ტიპისაა, რომ ძნელია მათგან მივიღოთ შემდეგი განვითარება კოლხური ცულების პროტოტიპებისა. მას დასამკვირვებლად მიიჩნია ღრმალელე-შამშადინისა და კოლხური ცულების პროტოტიპების

¹⁵ აღ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, 9-10, 46.

¹⁶ დ. ქორიძე, დასახ. ნაშრომი, 11-12.

¹⁷ Б. Куптин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941: 17-18.

¹⁸ А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964: 60, 61, ნახ. 26.

¹⁹ დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები (ენეოლითი-გვიანი ბრინჯაოს პერიოდი), ნაწილი პირველი, თბ., 1955: 75-79.

ერთი საერთო წარმომავლობა.²⁰

ვფიქრობთ, რომ სავსებით სამართლიანად არ არის გაზიარებული ეს მოსაზრება, რადგან ისინი გავრცელებული არიან სხვადასხვა გეოგრაფიულ არილებში.²¹ კოლხური ცულების ჩამოყალიბება მოხდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული ადრეული ცულების ევოლუციის შედეგად.²² ამ მოსაზრებას სამართლიანად ეთანხმება კ.ფიცხელაური. მისი აზრით, ღრმალელე-შამშადინის ცულები არ შეიძლება ჩაითვალოს კოლხური ცულების პროტოტიპად, რადგან ისინი სრულიად განსხვავებული ტერიტორიისათვის და სხვადასხვა კულტურებისათვისაა დამახასიათებელი. იგი პროფ. ბ. პიოტროვსკთან ერთად ღრმალელე-შამშადინის ცულებს მიიჩნევს ცენტრალური ამიერკავკასიის ცულების პროტოტიპად.²³

ვერ დავეთანხმებით იმ მკვლევარებს, რომლებიც კოლხური ცულების პროტოტიპებს გენეტიკურად უკავშირებს ღრმალელე-შამშადინის ცულებს (მათ შორის ტიპოლოგიურ მსგავსებას ხედავენ ტანის ექვსად დაწახნაგებით, სატარის ძირზე არსებული ქიმისეური შვერილებით, ილლიისა და შუბლის მცირედ ამოღარულობაში).²⁴ უფრო მისაღებად მიგვაჩნია კოლხური ცულების პროტოტიპების ადგილზევე ფორმირება შუაბრინჯაოს ხანის ყუუამილიან-ყუადაქანებული ცულების (ურეკი, ლეჩქოფი) ევოლუციის შედეგად. ეს უკანასკნელი კი გენეტიკურად უნდა უკავშირდებოდეს უფრო ადრეულ სვანეთის, საჩხერის, განთიადის და ფიჩორის (ყალიბების მიხედვით) ყუამილიან ცულებს.

ვფიქრობთ, ყუამილიანი ცულებიდან კოლხური ცულების პროტოტიპების ფორმირება გარკვეული პროცესია და მათ შორის ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს უნდა წარმოადგენდეს პილენკოვში (განთიადი) აღმოჩენილი ნიმუშები. ჩვენ ვარაუდით, ეს ყუამილიანი ცულები სხვა პროტოტიპებთან შედარებით არქაულია და მათზე კარგად ივრძნობა ყუამილიანიდან კოლხური ცულის პროტოტიპზე გადასვლის პროცესი. მიგვაჩნია, რომ პილენკოვოსა და მის მსგავს იარაღებში ერთადაა თავმოყრილი ყუამილიანი და კოლხური ცულების პროტოტიპებისათვის დამახასიათებელი ელემენტები.²⁵ ამდენად, ურეკის განძის დათარიღებაზე ჩვენ

²⁰ ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969: 163.

²¹ ალ. რამიშვილი, დასახ.ნაშრომი: 51-52.

²² ალ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, 52.

²³ კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VIII სს.), თბ., 1973: 169.

²⁴ თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, 36; Б. Куфтин, დასახ. ნაშრომი, 10.

²⁵ ლ. ჯიბლაძე, კიდევ ერთხელ კოლხეთის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის კულტურების ურთიერთმიმართების საკითხებზე. კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი სა-

ყველაზე მისაღებად გვეჩვენება და მხარს ვუჭერთ დ. ქორიძის მიერ შემოთავაზებულ თარიღს ძვ. წ. XVIII-XVII სს-ები. ვფიქრობთ, ურეკის განძის ამ თარიღს უფრო უნდა ამყარებდეს მისგან მომდინარე ბრინჯაოს სამკუთხა პირიანი თოხები, რომელთაც შიდა მხარეს ვერტიკალურად მიუყვება სიმტკიცისთვის განკუთვნილი რელიეფური ზოლი. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია აგრეთვე ურეკის განძის შემადგენლობაში შემავალი თოხების მეტნაკლები სიახლოვე ფიჩორის VIII-VII კულტურულ ფენებში გამოვლენილ ბრინჯაოს თოხებთან, რომლებიც ადრებრინჯაოს ხანით თარიღდებიან. მეტნაკლებად ასეთი ტიპის თოხები (ყალიბების მიხედვით) ცნობილია ანაკლია II-დან, ტაბაკონიდან. რაც შეეხება ურეკული ტიპის სამკუთხა პირიანი თოხები ჩვენთვის ასევე ცნობილია ფიჩორის ცენტრალური ბორცვის მონაზვინი ფენიდან, გაგიდიდან. ასეთი ტიპის თოხების, უფრო განვითარებული ფორმა, აღმოჩენილია მელექედურში, მახუნცეთში, საძი – ზენითში, ურეკი I-სა და შრომაში²⁶.

საინტერესოა ურეკის განძიდან მომდინარე ორი ბრინჯაოს ე. წ. საფხეკი, რომლის პარალელები კოლხეთში ცნობილი არ იყო. უკანასკნელ პერიოდში ასეთი 3 ცალი იდენტური არტეფაქტები ჩვენთვის ცნობილი გახდა გაგიდაში აღმოჩენილი კოლექციების მიხედვით.²⁷ ეს ფაქტი კი კარგ შესაძლებლობას იძლევა გარკვეულ ეტაპზე ამ ორი კატეგორიის ძეგლის სინქრონიზაციისათვის. როგორც აღვნიშნეთ, ბრინჯაოს სამკუთხა პირიანი თოხი, ასევე მომდინარეობს ფიჩორის ცენტრალური ბორცვის I მონაზვინი ფენიდან, რომელიც მასალების მიხედვით სინქრონული ჩანს ამავე ძეგლის IV კულტურული ფენისა (ძვ. წ. XVI-XV სს.). ვფიქრობთ, ორფერდა ყუამილიანი ცულების არსებობა ურეკის განძის შემადგენლობაში არ იძლევა მისი უფრო დაძველების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ ურეკის ყუამილიან-ყუადაქანებულ ცულებთან ტიპოლოგიურად ახლოს დგას სვანეთის შუაბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცულები, სადაც გამოყოფენ რამდენიმე სახეობას: ვიწროტანიანი, პირფართო ყუამილიანი ცულები, ტანმრუდ მრგვალგანიკვეთიანი; ტანმრუდ ბრტყელი ყუამილიანი ცულები; კოჭისებური ყუამილიანი ცულები.²⁸ ასევე სქელი ვიწროტანიანი ყუამილიანი ცულები. ყველა მათგანი შემთხვევითაა გამოვლენილი, მათ შორის ოქროს ძიებისას.

ზოგადობრივი ინსტიტუტის მოამბე, კრებული ამირანი, IV-V, თბილისი-მონრალი, 2001: 7-18.

²⁶Н. Хоштария, დასახ. ნაშრომი, 25-77; აღ. რამიშვილი, დასახ. ნაშრომი, 59-60.

²⁷ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის შუაბრინჯაოს ხანის ზოგიერთი არქეოლოგიური არტეფაქტის ინტერპრეტაციისათვის. კრებული „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“. მიძღვნილი გ. ლორთქიფანიძის სამეცნიერო მოღვაწეობის 50-წლისადმი, თბ., 2010: 23-27.

²⁸შ . ჩართოლანი, ძველი სვანეთი, თბ., 1996: 64-74.

სვანეთში კარგად იკვეთება ტიპოლოგიურად ეპოქების მიხედვით ყუადაქანებულ-ლი-ყუმილიანი ცულების გენეზისური განვითარება. აქ ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულია სპილენძის ფართობირიანი ყუადაქანებული ცულები, რომელსაც ქრონოლოგიურად მოსდევს საჩხერული ტიპის სხვადასხვა ვარიანტის ადრებრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცულები, შემდეგ კი მოდის ჩვენ მიერ მოხსენიებული შუაბრინჯაოს ხანის ყუამილიანი ცულების სხვადასხვა ვარიანტები.

ქიმიურად შესაწავლილია ურეკის განძის ცულების უმრავლესობა. ისინი ქიმიური შემადგენლობის მიხედვით თითქმის არ განსხვავდებიან ადრებრინჯაოს ხანის ლითონის ნივთებისაგან: ნაკეთები არიან დარიშხნიანი სპილენძისაგან, სადაც ამ მინარევის შემცველობა 0,97%-დან 4,6%-მდე აღწევს. სამ ცულში არის ტყვიის შენაერთი (1,5-2,70%), ორშიც კალა (0,97-1,5%-მდე)²⁹.

საინტერესოა, რომ კოლხეთის დაბლობზე ბრინჯაოს ცულებში მომხდარი ცვლილებები ემთხვევა ამავე რეგიონში კერამიკულ წარმოებაში ახალი ელემენტების შემოსვლას და შემდგომში დამკვიდრებას.

კერძოდ, კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე შუაბრინჯაოს მიწურულსა და გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპზე კერამიკულ წარმოებაში ხვდება მნიშვნელოვანი ცვლილებები. ხმარებიდან გამოდის შუაბრინჯაოს ეპოქისათვის (პროტოკოლხური II ეტაპი) დამახასიათებელი ძირითადი განმსაზღვრელი თიხის ნაწარმი და მეთუნეობაში ინერგება ახალი ფორმები და განსხვავებული ორნამენტული სახეები. ამ ფაქტს კარგად გაედევნება თვალი კოლხეთის დაბლობის ნამოსახლარების შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი ხანის ე. წ. შერეულ კულტურულ ფენებში (ფიჩორის ცენტრალური ბორცვის IV ფენა, ერგეტა მამულიას ბორცვის IV ფენა და სხვ.), სადაც ფიქსირდება ერთ ფენაში თავმოყრილი ორივე ეპოქისათვის (პროტოკოლხური II ეტაპი და ძველი კოლხური I ეტაპი) დამახასიათებელი კერამიკული მასალა. გამოთქმული არაერთი მოსაზრებების მიუხედავად, ჩვენ მაინც ვიხრებით იმ შეხედულებისაკენ, რომ პროტოკოლხური (II ეტაპი) პერიოდის დასასრულსა და ძველი კოლხური ხანის დასაწყისი კოლხეთის დაბლობის ტერიტორიაზე ახალი ორნამენტული სახეების გავრცელება დაუკავშიროთ უძველესი ქართველური მეგრულ-ზანურენოვანი მოსახლეობის დამკვიდრებას.³⁰

²⁹ ც. აბესაძე, ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ძველ საქართველოში, თბ., 2011: 231, 243.

³⁰ ამ საკითხებზე დეტალურად იხილეთ: ლ.ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობზე შუაბრინჯაოს მიწურულში კერამიკულ წარმოებაში მომხდარი ცვლილებები (გამოთქმული მოსაზრებების მიმოხილვა). *კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი საზოგადოებრივი ინსტიტუტის მოამბე*, კრებული, ამირანი XXXVI, თბ., 2022: 5-21 (ელექტრონული ვერსია); ლ.ჯიბლაძე, კოლხეთის ბრინჯაო-ადრეკინის ხანის კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია. კრებული გურია N6, თბ., 2016: 77-105.

გამოხმაურება იგორ კეკელიას წიგნზე –
„აფხაზეთის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია“



2022 წელს დაიბეჭდა ისტორიკოს იგორ კეკელიას 643-გვერდიანი მონოგრაფია (რედაქტორი პროფ. მერაბ ჩუხუა), რომელიც შედგება შესავლისა და ცხრა თავისაგან. წინასწარ ვიტყვი, ეს დიდი შენაძენია!

I თავი საკმაოდ ფართო მასშტაბის მიმოხილვავა საქართველოში, კერძოდ ოდიშ-აფხაზეთში, უამრავი უცხოელი გეოგრაფის, ისტორიკოსის, დიპლომატის, მისიონერის მოგზაურობათა და მათი შთაბეჭდილებებით აღსავსე ნაშრომების შესახებ. ამას თავმოყრა ზომ უნდოდა!

ონომატოლოგიის თვალსაზრისით, ქართველთა შორის, გარდა ვახუშტი ბატონიშვილისა, უპირველეს ყოვლისა, გამოკვეთილია ივ. ჯავახიშვილისა და პავლე ინგოროყვას შრომები, ასევე აფხაზ მეცნიერთა ღვაწლი. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეგრის-აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმის გასაშუქებლად მნიშვნელოვან მასალას შეიცავს გამოჩენილი ქართველი მეცნიერის – პავლე ინგოროყვას ნაშრომში („გიორგი მერჩულე, ქართველი მეცნიერი მეათე საუკუნისა“) წარმოდგენილი ერთ-ერთი თავი – „დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო („აფხაზთა სამეფო“), სადაც მოცემულია მსჯელობა აფხაზეთის ისტორიული ეთნოგრაფიის, კერძოდ, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში, ასევე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ვინაობასა და დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის სამეფოს“) დაარსების ისტორიაზე. ამავე თავში ჩართული „სპეციალური ექსკურსით“ პ. ინგოროყვას მიზნად დაუსახავს აფხაზეთის მხარეთა იმ გეოგრაფიული სახელწოდებების სტრუქტურულ-ეტიმოლოგიური ანალიზი, რომლებიც საისტორიო წყაროებშია მოხსენიებული.

ი. კეკელიას წიგნში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა თანამედროვე მეცნიერებს. კერძოდ, წარმოდგენილია ონომასტიკოს პაატა ცხადაიასა და ისტორიკოს ბეჟან ზორავას წიგნი „აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი“, რომელიც, შესატყვისად, ისტორიულ-ონომასტიკური ხასიათისაა. „ფრიად ღირებული შენა-

ძენიაო“, – წერს ამ წიგნზე ი. კეკელია და მიმოიხილავს კიდევ ცალკეული თავების მიხედვით. ავტორი რომ არ იფარგლება მხოლოდ მეცნიერთა ტოპონიმიკური ღვაწლით, კარგად ჩანს ასევე ცნობილი ეთნოლოგის – სალომე ბახია-ოქრუაშვილის აფხაზთა ეთნოგენეზისისადმი მიძღვნილი ნაშრომების განხილვითაც, მაგრამ I თავში განსაკუთრებული სკრუპულოზურობით გაანალიზებულია სამი მეცნიერის ღვაწლი.

I თავის I პარაგრაფად წარმოდგენილია „აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის პრობლემები პაატა ცხადაიას შრომებში“. ამასთან დაკავშირებით, ავტორი ჯერ ეხება ა) ბატონ პაატას სტატუსს, გამოქვეყნებულს ჟურნ. „ქართველურ მეძველერეობაში“ (1998, 300-307). ესაა „აფხაზთა და ქართველთა (მეგრელთა) თანამედროვე ეთნიკური საზღვარი და სამურზაყანოს ტოპონიმის ზოგი საკითხი“ (იგორ კეკელია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 44-51); ბ) ასევე საგულდაგულოდ, თითოეული თავის მიხედვითაა განხილული, როგორც თავად ავტორი წერს, აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევის თვალსაზრისით უადრესად ფასეული ინფორმაციის შემცველი პ. ცხადაიას მონოგრაფია: „სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია“;

საინტერესოა I თავის II პარაგრაფი – „ვალერიან ზუხბაიას ცხოვრება და ღვაწლი აფხაზეთის ონომასტიკის შესწავლაში“, რომელსაც ეთმობა 12 გვერდი. აღნიშნული პარაგრაფის დასასრულ იგორ კეკელია მეტად მნიშვნელოვან ფაქტს ამჟღავნებს: „ვალერიან ზუხბაიას მიერ საგულდაგულოდ მოძიებული აფხაზეთის ტოპონიმები დაცულიაო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფონდებში“, და დასძენს: „ეს უძვირფასესი მასალა გამომცემელს ელის!“

ეს სიმართლეა, ეს ცნობილია! შეიძლება დაიბადოს კითხვა: რატომ არ გამოიყენა აქამდე ეს უმნიშვნელოვანესი მასალა. პასუხად შეიძლება ითქვას, რომ ბატონმა პაატამ, რომელიც მეტისმეტად დატვირთული იყო სამეცნიერო საქმიანობით, ვერ მოასწრო ვალერიან ზუხბაიას მასალის გამოცემა. ერთ-ერთ კონფერენციაზე, რომელიც ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრში გაიმართა, მე და პროფესორმა შუქია აფრიდონიძემ შევთავაზეთ ბატონ პაატას, რომ გამოეცემდით ვ. ზუხბაიას მასალას, მაგრამ ბატონი პაატა, აფხაზურ საკითხში გათვითცნობიერებული, უფრო უკეთესად მოუვლიდა ამ მასალას. ეს თავადაც კარგად იცოდა. საბოლოოდ, როგორც ბატონი იგორი შენიშნავს, მასალა დარჩა მასალად.

ამასთან, მისასალმებელია, რომ, როგორც ი. კეკელია წერს, რომ პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას, საჭიროების შემთხვევაში, შესადარებლად თუ დასაზუსტებლად, გამოყენებული მაინც აქვთ პროფ. ვ. ზუხბაიასა და დოც. ბ. კილანავას ჩანა-

წერები (გვ. 73).

I თავის III პარაგრაფი ეძღვნება ნოდარ შონიას წვლილს აფხაზეთის ტოპონიმის კვლევაში. მხარეთმცოდნის ღვაწლის სათანადოდ შეფასების შემდეგ აქ შედარებულია, ერთი მხრივ, ნ. შონიას, მეორე მხრივ, ცხადაია-ჯოჯუას მიერ ჩაწერილი ვარიანტები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება ფონეტიკურად. პირადი გამოცდილებიდან ვიტყვი, რომ ეს არც არის გასაკვირი. ამას იწვევს, ერთი მხრივ, სოფლად შემხვედრ ინფორმატორთა განსხვავებული მეტყველება, მათი განსხვავებული არტიკულაცია, მეორე მხრივ, გარკვეულ არეალში დამკვიდრებული განსხვავებული ფორმები. თუკი ინფორმატორისგან ჩაწერილი ტოპონიმი არ შეესატყვისება სალიტერატურო ფორმას, ეს არ არის ნაკლი. მეცნიერულად საინტერესოა ამა თუ იმ ტოპონიმის ყველა ფონეტიკური თუ დიალექტური ვარიანტი. ასე რომ, ყველა ვარიანტი ყურადსაღებია.

გარდა ამისა, ძნელია განსჯა, რომელია სწორი: თუ ერთ მეცნიერს რომელიმე ტოპონიმი (ვთქვათ, „კაზნი“) ჩაწერილი აქვს სახნავის სახელად, მეორეს – ტყის სახელად. იქნებ ტყის ერთი ნაწილი სახნავად გამოიყენებოდა ან იქვე რომელიმე სახნავ ადგილსაც ტყის სახელი ერქვა?! ნოდარ შონია ხომ არ მოიგონებდა – სახნავის სახელიაო! მას ასე ჩააწერინეს. ცხადია, დასაშვებია მექანიკური შეცდომა, მაგრამ გადამოწმების გარეშე ვერ განვსჯით. „ხიტუშ ფოქვა“, ნ. შონიას ცნობით, ტყის სახელწოდებაა, პ. ცხადაიასა და ვ. ჯოჯუას მასალებით – გამოქვამულისა. ასეთი შემთხვევები მონოგრაფიაში არაერთია დამოწმებული. მინდა ვთქვა, რომ ამ შემთხვევაშიც ერთის დადანაშაულება და მეორის გამართლება არასწორი პოზიციაა. სწორი პოზიცია ადგილზე გადამოწმება და მტკიცებულების მოტანაა. ტყე მაკროადგილია და არც ინფორმატორს შეეშლებოდა და, მით უფრო, ჩამწერიც ჩაწერდა. შეუძლებელია სერიოზული, თვალსაჩინო ტოპოგრაფიული ერთეულის აღმნიშვნელი ტოპონიმი კარნახის გარეშე ჩაიწეროს, ალბათ ასე უთხრეს... რატომ არ შეიძლება იგივე სახელი სხვა ადგილსაც ერქვას, ვთქვათ, გამოქვამულს?

ერთიც, ავტორი შენიშნავს, რომ „ნ. შონია ტყის სახელწოდებად ასახელებს არჩხას, ცხადაია-ჯოჯუას მასალებში მსგავსი ტოპონიმი არაა მითითებული“. იქნებ ცხადაია-ჯოჯუაში ვერ მოიძიეს ეს ტოპონიმი, მათ ვერ ჩაიწერეს, რადგან ინფორმატორ(ებ)ს გამორჩათ და ნოდარ შონიას ეუკიყინოთ, შენ რატომ ჩაიწერეო? და თუ ნ. შონია შემჩნეულია ტოპონიმთა თვითშემოქმედებით, მაშინ პირდაპირ უნდა ითქვას შედარებების გარეშე.

ბატონ ივორ კეკელიას მონოგრაფიაში ერთ მტკიცებულ საკითხზეა გამახვილებული ყურადღება. ესაა **ქართულენოვან ტოპონიმთა აფხაზეთად თარგმნის დანაშაულებრივი ტენდენცია**. ავტორი ამ ტენდენციის მამხილებლად ასახელებს: 1.

ბატონ ვ. ზუხბაიას სტატიას (2003 წ.) – „აღვადგინოთ ქართული ტოპონიმები“ – და 2. პაატა ცხადაიასა და ბექან ხორავას წიგნს – „აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი (2016 წ.)“, რომლის ერთ-ერთ თავში აღნიშნულიაო, – წერს ბატონი იგორი, რომ „XX საუკუნის 50-იანი წლებიდან გაჩაღებულია ანტიქართული კომპანია... ქართული ტოპონიმების აფხაზური და რუსული სახელწოდებებით ჩანაცვლება“. წიგნში დასახელებული საკმაო რაოდენობის მაგალითებიდან მოვიხმობთ რამდენიმეს: ბიჭვინთა > პიცუნდა, ბამბუკოვანი > აკალამრა, ბზისხევი > არმიანსკოე უშჩელიე, კოდორი > ვლადიმეროვკა, თხილოვანი > არასარა, ნაბაკევი > ბატაიგუარა...

მონოგრაფიის IV თავი საგანგებოდ სწორედ ამ საკითხს ეძღვნება, რაც მიწინააღმდეგაა ასევე საგანგებო სათაურით: „რუსეთის იმპერიის დემოგრაფიული და ტოპონიმიკური ომი საქართველოს წინააღმდეგ და ტოპონიმიკური ვითარება თანამედროვე აფხაზეთში“. ამ ომს არაერთგზის გამოეხმაურნენ გვანცა და თეიმურაზ გვანცელაძეები (2011 წ.). ქართულ ტოპონიმთა მასობრივად შეცვლისას, სავალალოდ, არცაა გასაკვირი, რომ ქუჩების სახელდებაში აღიკვეთა ქართველ მოღვაწეთა – ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ალ. ყაზბეგის, ს. ჯანაშიას, კ. ლესელიძის გვარები... „დღეს ისინი შეცვალა აიდილარას, ჩერკეზკაიას, ადიღეს... ქუჩებმა“ (ვ. ზუხბაია, 2000). ბატონ პაატა ცხადაიასაც, რამდენადაც ვიცი, გამოსვლებშიც არაერთგზის აღუნიშნავს ეს სავალალო მდგომარეობა. ბუნებრივია, რომ ამ სქელტანიანი წიგნის ავტორი ამ მტკივნეულ ვითარებას გულგრილად გვერდს ვერ აუვლიდა და ამიტომაც საგანგებო თავი გამოყო უმტკივნეულებს „ტოპონიმიკური ომის“ წარმოსაჩვენად. ალბათ სხვა მეცნიერებსაც აქვთ აღნიშნული ეს სავალალო ვითარება. პირადად მე დავასახელებ, ვერ კიდევ XX საუკუნის 70-იან წლებში როგორი გამოხმაურება ჰქონდა ამ ფაქტს, რაც აუცილებლად უნდა იყოს დაფიქსირებული ამ მონაცემების გვერდით. ესაა ბატონ ნუგზარ ფოფხაძის მოგონება, რომელიც 2019 წელს დავებეჭდე ჟურნ. „ქართველოლოგიაში“. აი, როგორი მოგონება დაწერა ბატონმა ნუგზარ ფოფხაძემ, როგორც იგორ კეკელია წერს, „ტოპონიმიკური ომის“, ანუ აფხაზეთში ტოპონიმების გააფხაზურების შესახებ:

ნ. ფოფხაძე იხსენებს ერთ ბროშურას „დამაინტრიგებელი სათაურით“ – „დიდი სოჭის აფხაზური ტოპონიმები“, რომელიც უცხო პირს ცეკაში გაუგზავნია. ამ „ნაცოდვილარის“ (როგორც ნ. ფოფხაძე უწოდებს) არსი ისაა, რომ „მთელი შავი ზღვისპირეთი აზოვამდე, აფხაზური ტერიტორიაა და ის მიტაცებული აქვს... რუსეთს. სამხრეთ-აღმოსავლეთში იმავეს ქართველები აკეთებენ...“

ტოპონიმია იყო ერთ-ერთი მწვავე საკითხი ქართველებთან დაპირისპირებისას, მაგრამ ახლა... „მამა-მარჩენალსაც“ გადასწვდნენ,“ ე. ი. „პროვოკატორი ავტორი აუღერებდა ტერიტორიულ პრეტენზიასო“. როგორც ბატონი ნუგზარი წერს, „დაიწყეს ძიება იმ გზისა, „რომელიც არა მარტო ამ ბროშურის გამოცემას შეაჩერებდა, არამედ დაუკარგავდა მსგავსი ანტიქართული პუბლიკაციების გამოქვეყნების ხალისს სხვა „მქექებებსაც“. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა ქართველმა მეცნიერებმა რუსეთი „დაიცვან“... ტერიტორიული პრეტენზიებისგან. ახლა დადგა საკითხი, ვინ იტვირთებს ამ „ჯვარს“ და ვუკავშირდები აკად. შოთა ძიძიგურს, დედაუნივერსიტეტის ახლად შექმნილი ტოპონიმის ლაბორატორიის ხელმძღვანელს... მივანიშნე – თემა კი ფაქიზია, მაგრამ ქართული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოზიციებია დასაცავი და... – საშა ლლონტიო, – მითხრა. აი, ვინ გამოგადგება მაგ „ბრძოლაშიო“...

ბატონი ნუგზარი შეწუხებულია, რადგან უფიქრია: „ის ისე შორს დგას ცეკასგან, ასეთი „რალაცებისგან“, რომ... მაგრამ „ბატონ შოთას ვთხოვე, გაეწია რეკომენდაცია ალექსანდრე ლლონტთან... ბატონმა შოთამ ჩვეული დიდაცობით და კეთილშობილებით „წაიშუშავა“, – წერს ბ-ნი ნუგზარი და დასძენს: „ორი დღის შემდეგ ვხვდებით ბატონი საშა და მე. აღშფოთებულია. სულ არ ადარდებს რუსეთისადმი პრეტენზიები. მიყვება იმაზე, თუ როგორ ურცხვად აცხადებს აფხაზურად ზოგიერთი იქაური მკვლევარი ქართულ ტოპონიმებს...

– ბატონო ალექსანდრე, აფხაზური პრეტენზიებისგან რუსეთი უნდა დავიცვათ-მეთქი...

– არა, ბატონო, მაგას ნუ მთხოვთო... 37 წელს დახვრეტა არ აგვცდებოდა ორივეს.

– რუსეთს... პირადად სუსლოვს უნდა შევეუტიოთ, რომ მათი შემრიგებლური, დამყვავებლური პოზიციის შედეგია, რომ ეს ვაიმეცნიერები ტოპონიმის მწვავე თემის წინ წამოწევით პრაქტიკულად პრეტენზიებს უცხადებენ რუსეთის ფედერაციას. ეს ყველაფერი გამოიწვია იმან, რომ თქვენ არ დაიცავით ასეთი თავხედური პრეტენზიებისგან საქართველო...

პაუზა... ხანგრძლივი... ვატყობ, რალაც ხდება ბატონი ალექსანდრეს სულში. ადგა, მიცქერის და ...

– გავაკეთებ მე ამას... შოთა ძიძიგურს მაღლობა უნდა ვუთხრა, რომ ამ „მარში“ გამაბაო... ხუთი დღის შემდეგ მოვიდა და მომიტანა სუსლოვისადმი გასაგზავნი წერილი. სუსლოვისა და ნებისმიერი სხვა „სუსლოვის“ ადგილზე ვერ მოვიდოდი აღტაცებაში იმ წერილის წაკითხვის შემდეგ... ბატონი საშას წერილს

სუსლოვისადმი ბომბის ეფექტი ჰქონდა მოსკოვში. არა მარტო ის ბროშურა, სხვა მსგავსი პასკვილებიც მაშინდელმა ცენზურამ (მთავლიტმა) გააჩერა... თუძცა...“

ივორ კეკელიას მონოგრაფიის II თავი – „აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი“ – მცირე მოცულობისაა, მაგრამ უცხოური და ქართული წერილობითი წყაროების მეტად საინტერესო მიმოხილვას, რასაც დიდი გარჯა სჭირდებოდა.

III თავში მკვლევარი გვაცნობს და სათანადოდ მიმოიხილავს XIX საუკუნის გერმანელი ბუნებისმეტყველისა და მოგზაურის, მედიცინის დოქტორის – ედუარდ აიხვალდის – სამოგზაურო ჩანაწერებს, რომელიც აფხაზეთის ტოპონიმის მოიცავს. აღნიშნულ წყაროს მკვლევარი უწოდებს აფხაზეთის მხარის „საფუძვლიან აღწერას“.

განსაკუთრებით ღირებულება მონოგრაფიის V თავი, რომელშიც მოცემულია აფხაზეთის 66 გეოგრაფიული სახელის ისტორიული და ლინგვისტურ-ექსტრალინგვისტური ანალიზი, გაჯერებული ისტორიული წყაროებით, რაც ამ საკამოდ, შეიძლება ითქვას, 200-გვერდიანი წიგნის ტოლფას V თავს ენციკლოპედიურ ხასიათს აძლევს.

VII თავი – მონოგრაფიის უღარესად მნიშვნელოვანი ნაწილია ასევე ერთი წიგნის მოცულობისა და ასევე მეტად ფასეული. ესაა „აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებთა სალექსიკონო მასალა“, პირადად ავტორის მიერ ჩაწერილი, მისი, ასე ვთქვათ, მონაპოვარი, როგორც თავად წერს, 1998-2008 წლებში ლტოლვილთაგან რომ იწერდა და, საკუთარი გასაჭირის მიუხედავად, ლტოლვილებიც რომ უთმობდნენ დროს, უთმობდნენ, რამეთუ გრძნობდნენ – მატერიალურ დანაკარგზე არანაკლები, პირიქით, უფრო მეტია სამშობლო მიწის აღმნიშვნელი სიტყვების ბედი; გრძნობდნენ, რომ თითოეული სიტყვა მათი მიწის, ასე ვთქვათ, პირადობის დასტურია, თითოეულ სიტყვაში ძვეს მთავარი სიტყვა-სიმბოლო: სამშობლო. მადლობა მათ იმისთვის, რომ შრომობდნენ ივორ კეკელიასთან ერთად. ბატონი ივორის მხრიდან ეს თავდადებაა, მამულიშვილური საქმეა, საქართველოს ტოპონიმთა ფონდის გამდიდრებაა, გადარჩენაა.

იქიდან გამომდინარე, რომ ტოპონიმის ისტორიის მე შემოვიტანე ტოპონიმთა ლექსიკონების შედგენის ახალი მეთოდოლოგია, ფაქტობრივად, „ახალი“ არც ეთქმის, რამეთუ იქამდე მეთოდოლოგია ამ მიმართულებით არც ყოფილა, დავინტერესდი, რა სახის და რა ტოპონიმებია დადასტურებული უფრო უწინ გამოცემული „აფხაზეთის ტოპონიმთა ლექსიკონების“ ფორმატით, თუკი ამგვარია ვალერი კვარჯიას ავტორობით გამოცემული წიგნი „აფხაზეთის ტოპონიმთა“

(2002 წ.), ან პ. ცხადაიასა და ბ. ხორავას „აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებანი“ (2016 წ.), პროცენტულად რა ახალი ტოპონიმური მასალა ი. კეკელიას წიგნის როგორც IV თავში, ისე დანართში, რაც მეტად სოლიდურ რაოდენობას ქმნის?

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მონოგრაფიის IX თავში ავტორი კარტოგრაფიის როლში თუ კარტოგრაფადაც გვევლინება. ბატონ იგორის ჩანაფიქრსა თუ ჩანაფიქრის აღსრულებას საზღვარი არ აქვს. მან ხელისგულზე გადაგვიშალა 1988 წლის რუსულენოვან რუკებზე დაფიქსირებული აფხაზეთის ტოპონიმია. ეს ცალკე განსჯის საკითხია. ასე იჭრება ონომასტიკა პოლიტიკაში თუ პოლიტიკა ონომასტიკაში!

ამ 644-გვერდიან წიგნს, მისი ავტორის მრავალწახნაგოვანი კვლევის გათვალისწინებით, მრავალი ისტორიული წყაროს დამოწმებით, განხილვითა და ერთმანეთთან შეჯერებით, აფხაზეთის გარკვეულ ტოპონიმთა ისტორიისა და ტოპონიმთა ისტორიული, ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ანალიზის გათვალისწინებით, როგორც უკვე ვთქვით და დაბეჯითებით ვიმეორებთ, შეიძლება ეწოდოს აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიის ენციკლოპედია და სახელმძღვანელოც.

დღეს ამ წიგნის შემოთავაზება საზოგადოებისთვის უდიდესი და უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა. ამიტომ ავტორისთვის მადლობაც მეთქმის, რომ ვარ ამ დიდი წიგნის რეცენზენტი და მეკუთვნოდა კიდევ მოკრძალებული სიტყვის თქმა. ასევე აუცილებლად დადებითად შეაფასებდა და, ვფიქრობ, წერილობითაც მადლობას ეტყოდა ავტორს ასეთი ნაშრომისთვის აწ განსვენებული ცნობილი ონომასტიკოსი, პროფესორი პაატა ცხადაია, რომლის ღირსეული თვისება ისიც იყო, რომ იცოდა ყველა დიდი საქმის ფასი და ავტორიტეტულად ეხმაურებოდა კიდევ. ერთ-ერთმა სწორედ ბატონმა პაატამ დაულოცა ამ უნიკალურ წიგნს გზა. იგი გახლავთ ამ წიგნის პირველი რეცენზენტი, რომელთანაც გამუდმებით ჰქონდა კავშირი ბატონ იგორს და რომლის გამოცემასაც თავად ბატონი პაატა ცხადაია ვეღარ მოესწრო.

ქეთევან გოდერძიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი,
ენათმეცნიერი-ონომასტიკოსი

მეთოდური ნაშრომი
პედაგოგიკური პრაქტიკის კვლევის საფუძველზე

ლია გულორდავა



**ლიფრენსიკაბული მიღობეი
სწავლა-სწავლები პირობეი**

წიგნი, რომლის შესახებ მსურს ვისაუბრო, 2022 წელს გამოსცა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ტალერის საჯარო სკოლის პედაგოგმა, ქალბატონმა **ლია გულორდავამ**. წიგნის სახელწოდებაა **„დიფერენცირებული მიდგომები სწავლა-სწავლების პროცესში“**, და როგორც ქვესათაურშია მითითებული, წარმოადგენს ავტორის, ისტორიის დოქტორის, ღირსების ორდენოსნის, ცნობილი პედაგოგისა და მოღვაწის (საქმიანობის თითქმის 40-წლიანი გამოცდილებით), საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიშს. წიგნის რედაქტორია ამ სტრიქონების ავტორი, ხოლო რეცენზენტები არიან პროფესორები – სერგო ვარდოსანიძე, იმერი ბასილაძე, ნინო გელენიძე და იზოლდა რუსაძე.

წიგნის ანოტაციაში აღნიშნულია შემდეგი: მეთოდური სახელმძღვანელოს ავტორი შეეცადა, რომ პედაგოგებს გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება სწავლა-სწავლების პროცესში დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს კონკრეტულ გაკვეთილზე მოსწავლეთა ფსიქო-ემოციონალური და ინტელექტუალური შესაძლებლობების, მათი დასწავლის სტილის შეძლებისდაგვარად გათვალისწინებას, მოსწავლეთა საჭიროებების გამოვლენასა და შესაბამისი სტრატეგიებით მოქმედებას.

ავტორის შეხედულებით, დიფერენცირება ნებისმიერ შემთხვევაში ემსახურება მოსწავლეთა დამოუკიდებელ, ანალიტიკურ აზროვნებას, თანამშრომლობისა და კომუნიკაციის უნარების განვითარებას. დამატებით სტიმულად და აღნიშნული მიმართულებით სათანადო შედეგებზე გასასვლელად ავტორს ოჯახისა და სკოლის ერთობლივი მოქმედება ესახება. თუკი ოჯახსა და სკოლაში დიფერენცირებული სწავლებისთვის შესაბამისი გარემო შეიქმნება, ამით შესაძლებელია შეძენილი ცოდნის სტატიურიდან (უმოქმედობიდან) დინამიურ (ფუნქციურ), აქტიურ

ცოდნად გადაქცევა.

ტალერის საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის საფუძველზე ავტორი შეეცადა, წარმოედგინა ისტორიის სწავლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეები, მათი გამომწვევი მიზეზები და დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად. წინათქმაში ლ. გულორდავა მიუთითებს, რომ წიგნი წარმოადგენს სკოლის საშუალო საფეხურზე განხორციელებული კვლევის ანგარიშს, მაგრამ ეს რომ შეცლომა, ირკვევა I თავის („საკვლევი საკითხის მიმოხილვა“) ცალკეული ადგილებიდან, სადაც აღნიშნულია, რომ კვლევა ეფუძნება არა საშუალო, არამედ საბაზო საფეხურზე, კერძოდ, VIII კლასში ისტორიის სწავლა-სწავლების პროცესში აღმოჩენილ პრობლემებს, რაც გამოვლინდა პედაგოგებთან და მშობლებთან თანამშრომლობისა და გამოკითხვის შედეგად. ავტორი სავესებით სამართლიანად შენიშნავს, რომ „დღევანდობა, ანუ სააზროვნო უნარებისთვის სტიმულის მიცემა ქმნის კლასში კეთილგანწყობისთვის უპარესად პოზიტიურ გარემოს. სწავლა ძალდატანების გარეშე ხდება და სიამოვნების განცდის, მისი ბუნებრივ მოთხოვნილებად გადაქცევის ეფექტს იძლევა. მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ ერთმანეთისთვის მოლოდინების გამართლება სწავლისათვის დამატებით პოზიტიურ მუხტს ქმნის. განუზომელია ასეთ შეთანაწყობილ ვითარებაში სწავლა-აღზრდისა და ქმნადობის პროცესში მიღებული სარგებლის მაღლი“ (გვ. 10-11).

საკვლევი პრობლემის იდენტიფიცირებისთვის ლ. გულორდავა დაკვირვებას ოთხი მიმართულებით წარმართავს: მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენა, დასწავლის სტილი, ოჯახური მდგომარეობის (სოციალური გარემოს) გამოკვთა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ცალკეული სტრატეგიების შემუშავება.

საკვლევი პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები ღია გულორდავას სამ თეზისად აქვს ჩამოყალიბებული:

1. ისტორიის სწავლების მიმართულებით ცალკეული თემების სიღრმისეული გააზრება მოსწავლისთვის რომ პრობლემას წარმოადგენს, ეს უნდა აიხსნას სასკოლო პროგრამის გადატვირთვით: თითოეულ თემას ახლავს უამრავი ფაქტი და მოვლენა. თემის ზედმეტად გადატვირთვა უინტერესო აღმოჩნდა 14-15 წლის მოზარდისთვის;
2. არ არის გათვალისწინებული მოსწავლეთა სოციალური მდგომარეობა, ფსიქო-ემოციონალური ტიპისა და დასწავლის მოდლობების (ვიზუალი, აუდიო-ლი, კინესთეტიკი) მიხედვით არსებული განსხვავებები;

3. დასწავლის მოდალობების მიხედვით გასარკვევია მოსწავლეთა განსხვავებულობა; პრაქტიკაშია დასანერგი დიფერენცირებული სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები მოსწავლეთა ბუნებრივი ინტერესების, საჭიროებებისა და მოთხოვნების შესაბამისად (გვ. 25-26)

ნაშრომის II თავში გაანალიზებულია საკვლევით თემის გარშემო არსებული ცალკეული მონოგრაფიები, სტატიები და მეთოდური სახელმძღვანელოები, რაც ერთგვარ გზამკვლევს წარმოადგენს ავტორისთვის სწავლა-სწავლების პროცესში აღმოჩენილი პრობლემების გადასაჭრელად. ამ ჭრილშია გაანალიზებული ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნები, მ. ბოჭორიშვილის, თ. ჭანტუიას, ს. ლობჯანიძის, მ. მელიქიშვილის, ქ. ოსიაშვილისა და მ. ჯაფარიძის ცალკეული გამოკვლევები, აგრეთვე ჯ. მარზანოსა და ჯ. ფიქერნიგის ნაშრომი – „ეფექტური სწავლება სკოლაში“ (თბ., 2016), ჯონ დიუის პედაგოგიკურ-დიდაქტიკური ხასიათის მონოგრაფია – „როგორ ვაზროვნებთ“ (თბ., 2013) და სხვ.

III თავში მოკლელაა გადმოცემული კვლევის მიზანი და ამოცანები, ხოლო IV თავი მიზნად ისახავს კვლევის ცალკეული მეთოდების განხილვას, მონაცემთა შედეგებსა და ანალიზს. ამავე თავში მოცემულია ავტორის მიერ შემუშავებული ანკეტა, რითაც განხორციელდა მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების ანკეტირება. როგორც ავტორი შენიშნავს, ანკეტირების მიზანი იყო სწავლაში მოსწავლის დაბალი მაჩვენებლის გამომწვევი მიზეზების ძიება და მოსწავლეთა საჭიროებების გამოკვლა.

V თავში ავტორის მიერ გაანალიზებულია მოსწავლეთა ცოდნის ამადლების მიზნით შემუშავებული სტრატეგიები. „ამ სტრატეგიების გამოყენების შემდეგ, – დაასკვნის ლია გულორდავა, – ყოველ ჯერზე ვახდენდით რეფლექსიას (თვითანალიზს) და მიღებული პროდუქტის მიხედვით შეგვქონდა მომდევნო გაკვეთილის გეგმაში ცვლილებები; მიემართავდით შედეგების შემოწმებასა და შეფასებას, სისტემატურად ვაწარმოებდით დაკვირვებას და ვამოწმებდით, წარმატების ინდიკატორებმა განიცადა თუ არა პროგრესი. საჭიროებისამებრ ვცვლიდით გეგმას, რასაც რეალურ ვითარებას ვუსადაგებდით“ (იქვე. გვ. 89).

ინტერვენციების შედეგებზე მსჯელობისას ავტორი დასძენს, რომ შემუშავებულმა რეკომენდაციებმა, მართალია, გაამართლა, თუმცა ზოგიერთი მათგანი კვლავ საჭიროებს ცვლილებებსა და დახვეწას (იქვე. გვ. 91). ლია გულორდავას აზრით, დაკვირვებამ აჩვენა, რომ წარმატებული და დაბალი აკადემიური მოსწავლის მქონე მოსწავლეები განსაკუთრებით ხალისით ერთვებოდნენ დისკუსიაში, როლურ თამაშებში, ასოციაციური რუკებისა და პოსტერების შედგენაში.

VI თავში აღნიშნულია, რომ კვლევის პროცესში განხორციელებულმა სხვადასხვა სახის ინტერვენციამ (ჯიქსოუ, მებადურები, წითელი ზონარი, დისკუსია, ასოციაციური რუკები, როლური თამაშები, შეხვედრები კოლეგებთან, კათედრის წევრებთან და მშობლებთან და მათგან მიღებული უკუკავშირი სასურველი მიმართულებით) აქტიური გახადა მოსწავლეები და სასწავლო პროცესსაც პოზიტიური შინაარსი შესძინა, რამაც გაზარდა მოსწავლეთა დამოუკიდებლად კვლევის ხარისხი (იქვე, გვ. 92-93).


კვლევის პროცესში ავტორის მიერ გამოკვეთილი სტრატეგიები მოკლედ არის გადმოცემული რეკომენდაციებსა და დასკვნაში, რომლის ძირითადი არსი შემდეგში მდგომარეობს:

ცოდნის შეძენის პროცესში საუკეთესო სტრატეგიაა დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება და ოჯახსა და სკოლაში საამისოდ შესაფერისი გარემოს შექმნა. სწორედ ასეთი ჩარევის შემთხვევაშია შესაძლებელი, რომ სტატიური ცოდნა იქცეს დინამიურ-ფუნქციურ, ანუ აქტიურ ცოდნად (უმოქმედობიდან მოქმედებისკენ). ყოველი ასეთი მიდგომის პროდუქტი არის მოსწავლე – ადამიანი, მოქალაქე, რომელიც ზოგადასაკაცობრიო იდეალებზეა აღზრდილი. როგორც ავტორი აღნიშნავს, მოსწავლეები ხომ ათასწლეულების გამოწვევებზე ღირსეულად რეაგირებენ.

იგორ კეკელია, ისტორიის დოქტორი,
ფოთის №15 საჯარო სკოლის წამყვანი პედაგოგი
თეა ხორავა, ფოთის №15 საჯარო სკოლის წამყვანი პედაგოგი

სენაკის წარმოქმნისა და ზრდა-განვითარების ისტორია

(ივორ კეკელია, ედიშერ ბალათურია, ასე იწყებოდა სენაკი, ქუთ., 2022)



2022 წელს საქართველოს ქალაქების ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისა და სპეციალისტების წიგნების თარო მნიშვნელოვანი მონოგრაფიით დაამშვენდა. **ივორ კეკელიას** და **ედიშერ ბალათურიას** თანაავტორობით გამოიცა 284-გვერდიანი წიგნი – „**ასე იწყებოდა სენაკი**“. ნაშრომის სახელწოდებაც იმთავითვე თვალნათლივ მინანიშნებს მის შინაარსზე – საისტორიო წყაროებისა და საარქივო მასალების, პერიოდული პრესის, აგრეთვე მემუარული და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, პირველადაა შესწავლილი სენაკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ზრდა-განვითარების ისტორია XIX საუკუნის 70-90-იანი წლებიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდამდე, სარკინიგზო ტრანსპორტის როლი სენაკის ქალაქად ჩამოყალიბების საქმეში, განაშენიანება და გარეგნული იერსახე, საქალაქო თვითმმართველობისათვის ბრძოლისა და საკრედიტო დაწესებულებების დაარსების ისტორიის საკითხები.

როგორც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, XIX საუკუნის II ნახევარში ძველ და ახლადწარმოქმნილ ქალაქებს (წინაქალაქებს) შორის დაწყებულ მეტოქეობაში გამარჯვება ახლადწარმოქმნილ იმ ქალაქებს დარჩა, რომლებიც ძირითადად რკინიგზის ხაზზე იყვნენ განლაგებული. ავტორთა აზრით, ასეთი წინაქალაქის ტიპიურ მაგალითად უნდა ჩაითვალოს ახალსენაკი, რომელმაც თავისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით დაჩრდილა სენაკის მაზრის (აღრინდელი ოლქის) ყოფილი ცენტრი, რომელსაც მოგვიანებით ძველი სენაკი ეწოდა.

წიგნი, რომელიც სენაკის დაარსების 150 წლისთავს ეძღვნება, რეფორმის-შემდგომი ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, განაშენიანებისა და გარეგნული იერსახის, კეთილმოწყობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, მონოგრაფიული შესწავლის

პირველი წარმატებული ცდაა.

ახალსენაკის, როგორც ახალშენის, წარმოქმნაში ამიერკავკასიის რკინიგზის მნიშვნელობაზე, ვრცელი და ამომწურავი მსჯელობაა მოცემული მონოგრაფიის III თავში.

XVI-XIX სს-ის ქართულ საისტორიო წყაროებში არაერთხელ მოხსენიებული დასახლებული პუნქტი სენაკი მდებარეობს არა დღევანდელი ქალაქ სენაკის ადგილას, არამედ მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც ამჟამად სოფ. ძველი სენაკი და შხეფის გარკვეული ნაწილია. 1870-იანი წლებიდან კი სოფელ თეკლათის ტერიტორიაზე იწყება ახალი სამრეწველო-სავაჭრო ცენტრისა და საქალაქო ტიპის დაბის წარმოქმნა. რკინიგზის ხაზის გაყვანით ახალსენაკს განვითარებისა და ტერიტორიული გაფართოების ყოველგვარი პირობა შეექმნა. ტერიტორია გაფართოვდა მდ. ციის ნაპირებიდან ახალხორამდე. ამ უკანასკნელში განთავსებული იყო სენაკის მაზრის ადმინისტრაციული ცენტრი (იხ. სარეცენზიო წიგნი, გვ. 90).

მონოგრაფიის IV თავში („სავაჭრო-სამიმოსვლო და სარკინიგზო გზების მშენებლობის საკითხისათვის (XIX ს.)“) აღნიშნულია, რომ „1870 წელს წარმოქმნილ ახალსენაკს რკინიგზის ლიანდაგის გაყვანამ იერსახე შეუცვალა. ერთ დროს დაუსახლებელი ტერიტორია თვალსაჩინო დაბად და ფოთი-სამტრედიის სარკინიგზო ხაზზე, ამიერკავკასიაში ერთ-ერთ პირველი რიგის საკვანძო პუნქტად გადაიქცა“ (იქვე, გვ. 144).

ამდენად, სამაზრო და სხვა დაბების ზრდა-განვითარებაში ახალი ეტაპი სწორედ XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანით იწყება, რასაც მოჰყვა სატრანსპორტო ვაჭრობის განვითარება, სატვირთო ოპერაციების მოძრაობის ზრდა და ხე-ტყის დამამუშავებელი მრეწველობის განვითარება (იქვე, გვ. 145).

მკვლევრები სამართლიანად მიუთითებენ, რომ XIX ს-ის II ნახევარში ახალსენაკის სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში მომხდარი ცვლილებები დადებითად აისახებოდა სავაჭრო-სახელოსნო დაბის გარეგნულ იერსახესა და განაშენიანებაზე. ამ პერიოდში ჩასახული გზებისა და მათი ტრანსფორმაციის, გვართა დასახლებების, კომუნალური მეურნეობის საწარმოთა მშენებლობის, ბაზრის, სხვადასხვა სახის სახელმწიფო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების ისტორიულ-ეთნოგრაფიული დახასიათება მოცემულია მონოგრაფიის VI და VII თავებში.

VIII თავში შესწავლილია ახალსენაკის კაპიტალისტური საკრედიტო დაწესებულებების – საურთიერთო ბანკისა და სავაჭრო-სამრეწველო ბანკის („მე-

რბანკის“) საქმიანობის ისტორია, ხოლო წიგნის ბოლო, IX თავი ეთმობა ახალსენაკში საქალაქო თვითმმართველობის შემოღებისათვის ბრძოლის ისტორიას. ავტორები აღნიშნავენ, რომ ახალსენაკმა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის („ოზაკომის“) განკარგულებით ქალაქის სტატუსი 1917 წლის 20 აგვისტოს (ძვ. სტილით) მიიღო. მალე თვითნებურად გაიმართა საქალაქო არჩევნები და ჩამოყალიბდა ქალაქის საბჭო, მასში შემავალი სამი პარტიით (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები) (იქვე, გვ. 260). ავტორები ყურადღებას მიაქცევენ იმ გარემოებსაც, რომ სენაკისთვის თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მინიჭების დროის შესახებ სხვა მოსაზრებაც არსებობს. კერძოდ, ეს უნდა მომხდარიყო 1917 წლის მაის-ივნისში, ადგილობრივი ინიციატივების საფუძველზე (იქვე, გვ. 261, სქოლიო 2).

წიგნს ერთვის დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია, დასკვნები რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამასთანავე, მკითხველს უთუოდ დააინტერესებს სენაკის ისტორიისათვის მეტი მნიშვნელოვანი ფოტოსურათები, რითაც წიგნი უზვადა ილუსტრირებული.

უდიდესი მაღლიერების გრძნობით ვართ გამსჭვალული ავტორების – იგორ კეკელიასა და ედიშერ ბალათურიას მიმართ, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს ყოველი სენაკელისათვის სამაგიდო წიგნის მომზადებისა და გამოცემის საქმეში.

ცხადია, გამოსაკვლევა ქალაქ სენაკის ახალი და უახლესი ისტორიის სხვა, არაერთი მნიშვნელოვანი და პრობლემური საკითხი, რაც მომავლის საქმეა.

მათე დარსაძე, ქუთაისის აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

როგორ გამოიყვანა მოთმინებიდან „ჩეკა“ პავლე ინგოროყვამ

„...პალიასტომი. შორს, შუა ტბაში – ნავი. ნავში პატარა ბიჭი, წიგნით ხელში. იესე უჯავრდებოდა: ამდენ კითხვას აჯობებს, ხანდახან მომეხმარეო. ხელი რომ არავის შეეშალა, პავლე გაიპარებოდა სახლიდან, გავიდოდა ნავით კაპარჭინიდან პალიასტომში, ნინიბებს ხელს უშვებდა და კითხულობდა შშის ჩასვლამდე. იესე მამა გახლდათ ბატონი პავლესი. როცა ის უკვე დაფაჟკაცებულ შვილს თბილისში ესტუმრა, თვალი გადაუვლია ქუჩაში უსაქმურად მოხეტიალე ხალხისთვის და უკითხავს: ამათ ყანები სადა აქვთ? შენ რომ თოხნი, ისაა ამათი ყანებიო, – უპასუხნია პავლეს... სწორედ მაშინ, იქ, კაპარჭინაში ეყრებოდა საფუძველი დიდ ალექსანდრიელს, რომელმაც 20 წლისამ უკვე გამოსცა ქართული სასულიერო პოეზიის ანთოლოგია. „ალექსანდრიელი“ მას გურამ ასათიანმა უწოდა.

ეს არის პირველი ცდა იმის ჩაწერისა, რისი მომსწრეც ვარ, რაც გადმოცემით ვიცი, რაც ზეპირად მახსოვს, რაც უცებ მაგონდება დიდი მეცნიერის, პავლე ინგოროყვას ცხოვრებიდან... მინდა, ყველაფერი დოკუმენტური სიმართლით გაიმბოთ, რაც წლების მანძილზე აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში“... - ასე იხსენებს გუგული მგელაძე სიმამრს, პავლე ინგოროყვას, წიგნში – „მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ერისა“ და, ჩვენც სწორედ იმიტომ, რომ დღეს წიგნმა ასე დაკარგა თავისი ფასი და ახალი თაობისთვის ძალიან ბევრი რამ უცნობია ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან, პერიოდულად შემოგთავაზებთ როგორც პავლე ინგოროყვას, ასევე სხვა ღვაწლმოსილი ადამიანების ცხოვრების დღიურებს, რაც, ვფიქრობ, ძალიან კარგი საჩუქარი იქნება ჩვენი მკითხველისთვის.

**ულამაზესი აქცია მეგობრისთვის,
აკრძალული როიალი და საბედისწერო გასროლა**

...იყო თავმდაბალი, მოწყალე, სულგრძელი. ყველას ყველაფერს მიუტევებდა, მაგრამ არავის აპატიებდა აუგს თავის ქვეყანაზე. არავის! როცა მისი წიგნი იბეჭდებოდა, ოცდაოთხი საათი სტამბაში იყო, მაშინაც კი, როდესაც სისხლს ანთხევდა. მთელი თავისი ცხოვრება ტუბერკულოზით იყო ავად. მაშინ ეს სენი ჯერ კიდევ განუკურნავად ითვლებოდა... ოციან წლებში ბატონი კონსტანტინე გამსახურ-

დია, პავლეს მძაღნაფიცია, მოსკოვის „ბუტირსკის“ ციხეში იჯდა (ერთკაციან საკანში). ბატონ პავლეს მოუხერხებია და პატარა ბარათი შეუგზავნია ტუსაღისათვის: ამა და ამ დროს შავი ჩოხით ჩავივლი, ისე, რომ შენი საკნის ფანჯრიდან ვჩანდეო (სუღის სიმხნევისთვის – როგორც თვითონ ამბობდა)! ზუსტად ბარათში ნახსენებ დროს ჩაუვლია ციხის წინ, შავ ჩოხაში გამოწყობილ კონსტანტინეს მძაღნაფიცს, პავლე ინგოროყვა (ისინი ოთხნი იყვნენ, მძაღნაფიცები: პ. ინგოროყვა, კ. გამსახურდია, ა. აბაშელი და ვ. კოტეტიშვილი. არსებობს ფოტო: ოთხი ახალგაზრდა აშოლტილი კაცი შავ ჩოხებში). რა იყო ეს? ჩემი აზრით, ენით გამოუთქმელი უღამაზესი აქცია მეგობრისა. რამდენიმე თვის შემდეგ კი პავლემ კონსტანტინეს შეუგზავნა პირსახოცი, რომელზეც ამოქარგული იყო სიტყვები: „დილა მშვიდობისა!“ ეს სიტყვები პავლეს მეუღლეს, ქალბატონ ქეთინო ბაქრაძეს ამოქარგავს თავისი ხელით. პირსახოცი პატიმარს ისეთ ადგილას დაუკიდია, რომ გავვიძებისთანავე თვალში მოხვედროდა. ყოველ დილას, როცა გავიღვიძებდი, – ამბობდა თურმე მერე ბატონი კონსტანტინე, – თითქოს მთელი ჩემი ერი მესალმებოდაო!.. კონსტანტინე გამსახურდიას გათავისუფლების საკითხზე იმდენჯერ ჩავიდა მოსკოვში და ისე მოაბეზრა თურმე თავი „ჩეკას“ მაშინდელ უფროსს, რომ მოთმინებიდან გამოსულს უყვირია: „ილი ორესტუიტე ეტოვო ინგოროყვა, ილი ოსვობოდიტე გამსახურდია!“ გასაკვირია, მაგრამ, ბედმა არ გაწირა ერის შვილი – გამსახურდია გაათავისუფლეს... პავლეს მეუღლე, ქეთევან ბაქრაძე-ინგოროყვა, რომლის ნათელ ხსოვნას უძღვნა პავლემ თავისი „გიორგი მერჩულე“, ენციკლოპედიური განათლების ქალი გახლდათ... პავლე ინგოროყვა მეუღლე და მეგობარი, ბევრ ღირსებასთან ერთად შესანიშნავი პიანისტიც ყოფილა. ერთ დღეს პავლეს უთქვამს – ხელი მეშლება მუშაობაში, ნუ დაუკრავო. ის დღე იყო და ის, ქეთო როიალს აღარ გაჰკარებია... ახალგაზრდობაში ბატონი პავლე ისე თავდავიწყებით ყოფილა შეყვარებული ქალბატონ ქეთოზე, რომ ერთხელ სასოწარკვეთილს თავის მოკვლის მიზნით ტყვია უსვრია. მერე ეს ტყვია ექიმებს სხეულიდან არ ამოაღებინა – საფლავში ჩაიტანა...

ვინ ვის რა აპატია?

1938 წელი. თითქოს ყველა საშინელებამ ჩაიარა, მაგრამ, არა! პავლე ინგოროყვა ერთ ოფიციალურ დაწესებულებაშია დაბარებული. სანამ კაბინეტში შევა, კარებში კაცი შეეფეთება. ეს კაცი სიმონ ყაუხჩიშვილია. შუბლზე ოფლი... შეხედეს ერთმანეთს!.. ერთი უკვე იყო იმ კაბინეტში! ჯოჯოხეთი ახლა მეორეს ელის...

სიბნელებში მუშტად შეკრული სატანა ზის. მხოლოდ პენსნეს შუშებმა გაიელვა რამდენჯერმე... „სტალინს მოხსენდა თქვენი მოღვაწეობის შესახებ. სტალინმა თქვენ გაპატიათ!“ გაისმა ამაზრზენად. ეს ზუსტი სიტყვებია, პავლე ინგოროყვას მიერ რამდენჯერმე გაგონილი. „სტალინმა თქვენ გაპატიათ!“ ვინ ვის რა აპატია?

„კი მეუბნები, მაგრამ, მაინც რომ მიკბინოს?!“

...თბ ტინე გვესტუმრა. უკვე ხანში იყო, მაგრამ სპორტული ტყავის ქურთუკი ეცვა. ცაილისში შემოდგომა იდგა, ბარაქიანი და გულუხვი. ბატონი კონსტანტი ხელი ახალგაზრდულად, გვერდულად ჰქონდა ჯიბეში, მეორე ხელით ულამაზესი დობერმანი ეჭირა შესაბამელით. – გაწი ეგ ძაღლი, – შემოსასვლეშივე უთხრა პავლემ. ნუ გეშინია, არ გიკბენს, – დაამშვიდა კონსტანტინემ. რომ მიკბინოს? არ გიკბენს. კი მაგრამ, რომ მიკბინოს? – არ ეშვებოდა პავლე. გეუბნები, არ გიკბენს-მეთქი, – ოღნავ გაბრაზდა კონსტანტინე. კი მეუბნები, მაგრამ, მაინც რომ მიკბინოს?! მოკლედ, ისეთი საყურებლები იყვნენ... დასხდნენ ტაბლასთან, დაბალ სკამებზე. მეც გავბედე და მათ მივუჯექი... თუ არავინ მიწყენს, იმასაც ვიტყვი, რომ პავლე ინგოროყვა იყო, ალბათ, ერთადერთი კაცი, რომელსაც ბატონი კონსტანტინე ბევრ რამეში ეთათბირებოდა. ღმერთო, სად იყო მაგნიტოფონი, ამ ორი ტკბილმოუბარი მეგობრის ლაპარაკი რომ ჩაეწერა კაცს!.. ცოტა ღვინოც მიირთვეს ვახშამთან ერთად, ბევრი რამ მოიგონეს და კარგა გულიანადაც იცინეს... ბატონი პავლეს არქივში წავაწყდი ერთ ბეწო ქაღალდს, სადაც ისტორიული მნიშვნელობის რამდენიმე სიტყვა წერია: „პავლე! ჩემთან მოსვლა უკვე საშიში აღარაა. შენი ექვთიმე“. ამას თარიღი არ აწერია. მას თარიღი არ სჭირდება, არც ახსნა. ჯარისკაცი, თავის დროზე გუშაგად რომ გაჰყვა საქართველოს აურაცხელ ქონებას, მის საგანძურს, სულს, მის ისტორიას, რათა ათეული წლები ეშიმშილა უცხო მხარეში და შემდეგ ღრმად მოხუცებულს კიდევ უფრო გამდიდრებული დაებრუნებინა ეს განძი თავისი ქვეყნისთვის, ეს კაცი სწერდა პავლე ინგოროყვას, რომ მასთან მოსვლა უკვე საშიში აღარ არის, რომ ამისთვის მას აღარ დაიჭერდნენ, არ აწამებდნენ, სიკვდილით არ დასჯიდნენ!..

„საქართველოს მოუარე, საქართველოს!“

...დაგვირეკეს, ეღუარდ შევარდნაძეს სურს თქვენთან მოსვლაო... ბატონ ეღუარდს ბატონ პავლესთვის საიუბილეო თარიღი უნდა მიელოცა. დღე-ღამეზე ველოდით. ჩემი მეუღლე, ლეილა ინგოროყვა, რამდენჯერაც საჭმელს შეუტანდა ბატონ პავლეს, იმდენჯერ ეუბნებოდა (მისი მეხსიერების იმედი მაინცდამაინც არ ჰქონდა – 85 წელი ხუმრობა?!): „შენთან უნდა მოვიდეს ეღუარდ შევარდნაძე, მოგიკითხავს, გაგესაუბრება. ბოლოს, ალბათ გკითხავს, ხომ არაფერი გიჭირს, ხომ არ დაგვენმარო. შენ უნდა უთხრა: ჩემს შვილიშვილს, გათხოვილს, ბინა არა აქვს და, თუ შეიძლება, დაგვენმარეთ-თქო! გაიგე? შემდეგ შესვლაზე ლეილა ეკითხება: ხომ იცი, შევარდნაძეს რა უნდა უთხრა? რა უნდა ეუთხრა? – აქეთ ეკითხება პავლე. ადამიანო, წელან არ გითხარი? – და ლეილა უმეორებდა „წელან“ ნათქვამს – ჩემს შვილიშვილს ბინა არა აქვსო. მოკლედ, ასე გაგრძელდა შვიდი თუ რვა დღე. ლეილა ეუბნება: აბა, ახლა გენერალური რეპეტიცია გავიაროთ. ვითომ მოვიდა შევარდნაძე. შევარდნაძის მაგივრად ბატონი პავლეს ოთახში შევდივარ მე. იწყება გენერალური რეპეტიცია. მე: როგორ ბრძანდებით, ბატონო პავლე? პავლე (შეშინებული): გამარჯობა!.. რომელი ხარ? მე: მე ვარ, შევარდნაძე, ვერ მიცანიო? პავლე: გიცანიო! მე: როგორ ბრძანდებით, ბატონო პავლე? პავლე: არა მიჭირს. მე: ხომ არაფერი გნებავო? სათხოვარი ხომ არაფერი გაქვო? პავლე: კი. ბრძანეთ, – ვეუბნები. პავლემ გახედა ლეილასა და ქეთინოს (ჩემს ქალიშვილს), მერე მე (შევარდნაძეს) შემომხედა და წაიჩურჩულა: „საქართველოს მოუარე, საქართველოს!“ „საქართველოს მოუარეო“ – ეს იყო მისი ყველაზე დიდი სათხოვარი. არც „ვოლგა“, არც სახლი, არც ჩაცმა, არც ჭამა. მხოლოდ პური და წყალი, ჭერი, საწერი მაგიდა, წიგნები, წიგნები და ხელნაწერები... სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე თქვა: დედაჩემს კარგი სხეული მოუციაო. მხოლოდ ერთი რამისა ეშინოდა ცხოვრებაში – ორპირი ქარის (ალბათ ორპირი ხალხისაც). სულ იძახდა: კარი დაკეტეთ, კაცო, ფანჯარა დაკეტეთ!.. თვალები მე დავუხუჭე. ცუდად გავხდი. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავდი ადამიანის გარდაცვალებას. არც ახლა დაუკვნესია – გარდაცვალების წინ. გამონათქვამები, რომელთაც ხშირად იმეორებდა: „დაჟე ბოგი ნუჟდაიუცა ვ რეკლამე... ვ კოლოკოლნომ ავონე“... მიუხედავად იმისა, რომ ტიტანური შრომა შეეძლო და ზოგჯერ ფრაზას საათობით ხვეწდა და სრულყოფდა, უყვარდა თქმა: წერტილის დროზე დასმა უნდა იცოდეთ...

ერეკლე მეფე, ალა-მაჰმად-ხანი და განრისხებული პავლე ინგოროყვა

ერთხელ იყო მდგომარეობიდან გამოსული, მხოლოდ ერთხელ! ვინმე ქართველ პოეტს დაეწერა ლექსში: „ჩემთვის ერთია მეფე ერეკლე და ალა-მაჰმად-ხანი, სადაც კი წავალ, მე სამშობლოს ყველგან ვიშოვი“ – ეს რამ დააწერინა? როგორ შეადარა მეფე ერეკლე და ალა-მაჰმად-ხანი ერთმანეთს? ერეკლე, რომელმაც 34 ჭრილობა ჩაიტანა სამარეში, ვის შეადარა?!

ისიც მახსოვს, ერთ მეგობარს რომ „ყური აუწია“ (აპოლოგიური ლექსების წერა შეამჩნია): მომეცი, ერთი, კალმის წვერი უნდა გადაგიტეხო“, – უთხრა. ერთხელ მისი ოთახიდან გავიგონეთ: „შენ, დიდად-დიდო, მაგრამ, საოცრად საცოდაო კაცო... რამდენი რამ გადაგზენდია თავს... რამდენი გიწვავლია, გიბოგინია! როგორ გაუძელ ამდენ ტანჯვას, ამდენ წამებას!.. შენ ხომ ყველაფერი ეს გამოიარე, სხვანაირად ხომ ვერ დაწერდი „ვეფხისტყაოსანს“... ოთახში ციოდა და პავლე მაგიდას პალტოჩაცმული უჯდა. წინ „ვეფხისტყაოსანი“ ედო და სულმნათ შოთა რუსთაველს ესაუბრებოდა. ჩვენ მეტად აღარ შეგვიინიშნავს, მაგრამ, ალბათ, ხშირად ეცხადებოდნენ ბატონ პავლეს ჩახრუსაძე, გრიგოლ ხანძთელი თუ გიორგი მერჩულე, ან „შარავანდელით მოსილი სახე“ ილია ჭავჭავაძისა თუ სხვა სულიერნი მისი წინაპარნი!.. ხშირად იყო საუბარი ჩვენს ოჯახში ექვთიმე თაყაიშვილზე. ბატონ პავლესა და ექვთიმეს ახალგაზრდობაში დიდი მეგობრობა ჰქონიათ... აწ განსვენებულმა, მაშინ საფრანგეთიდან ახლად ჩამოსულმა სერგი წულაძემ ჩვენთან სტუმრობის დროს გვიამბო, თუ როგორ გაიღო ფრანგმა მეცენატმა ქალმა თანხა, რათა ექვთიმე თაყაიშვილის თვალებისათვის ემკურნალა (სინათლეს კარგავდა), ექვთიმემ კი ამ თანხით პარიზის ბუკინისტებში წინასწარ გადანახული ქართული მანუსკრიპტები შეიძინა. კიდევ ბევრი რამ ითქვა მაშინ. ბატონი პავლე დიდი პატივისცემით ლაპარაკობდა ექვთიმე თაყაიშვილზე, მაგრამ ისიც მინდა გითხრათ, რომ მას სრულებით ნორმალურად მიაჩნდა მისი საქციელი. ერთხელ გაკვირვებით თქვა კიდევ: „აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო?!“ მე ფილმის გადაღებას ვაპირებდი ექვთიმე თაყაიშვილზე და თავის დროზე ბევრი მასალაც შევისწავლე, რაც მის პიროვნებას ეხება, ამიტომ, გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ეს ორი პიროვნება საოცრად ჰგავდა ერთმანეთს. ჰგავდა მთავარში: მათი ცხოვრების კრედი ერთი იყო – ყველაზე მაღლა, პირადულზე მაღლა, ისინი ეროვნულს აყენებდნენ. არ ვიცი, რა საოცარმა ციურმა ძალამ იწება, რომ მათი საფლავები ერთმანეთის გვერდითაა (დიდუბის პანთეონში). ეს არც არავის ჩაუფიქრებია, უბრალოდ, ასე მოხდა, სულ რაღაც სანტიმეტრები ყოფს ერთმანეთისგან. სადა, უბრალო საფლავებში განისვენებს ეს ორი ბერძენა...

„გიორგი მერჩულე“, ფაეტონი და სახლი ძერჟინსკის ქუჩაზე

გამომცემლობას აჩუქა „გიორგი მერჩულის“ 1000-გვერდიანი წიგნის თითქმის მთელი ჰონორარი... გამომცემლობაში უთხრეს: ამ თანხას რომ მიიღებთ, ჩვენი გამომცემლობა უნდა დაიხუროს, „აკოტრდებითო“. მომეცით ფურცელიო, – უთხონვია პავლეს. მისცეს. რაღაც დაწერა. რომ წავიდა, წაიკითხეს: „რადგანაც თქვენს გამომცემლობას უჭირს, ამ წიგნში ასაღებ ჰონორარს მთლიანად გიტოვებთ“. ეს მაშინ, როდესაც თვითონ ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა. კარგა ხანს პენსია 120 მანეთი ჰქონდა (ჩამოსახლებულ გენერლების ქვრივებს 160 მანეთს აძლევდნენ). ბოლო ხანებში, თითქმის 90 წელს მიღწეულმა, შვილიშვილს, გიორგის უხმო და უთხრა: – ბიჭო, შენ იცი, მგონი, ჩემს სახლში არა ვარ! პეტრე დიდის ქუჩაზე წამიყვანე (ასე ერქვა ძერჟინსკის ქუჩას უწინ, სადაც ბატონი პავლე ახალგაზრდობაში ცხოვრობდა)! კი, ბაბუა, – იმ წუთებში დაეთანხმა გიორგი, – მე წავიყვან შენს სახლში. პავლემ შეხედა შვილიშვილს – შენ რომელ გიმნაზიაში სწავლობ? – ჰკითხა. გიორგი არ დაიბნა: პირველ გიმნაზიაში. აბა, წავიდეთ! გიორგიმ ლოგინიდან წამოაყენა. ფაეტონი მომგვარეთ! – უთხრა მერე პავლემ. კი, ბაბუა... ჯერ ჩავიცვათ. ჩააცვა პალტო, დაახურა ქუდი, ხელი ხელში გაუყარა და სხვა ოთახის გავლით, მეორე კარიდან, ისევ იმ ოთახში შეიყვანა. აგაშენოს ღემრთმა! – უთხრა პავლემ და ბიჭს გაუღიმა. რა არის სიბერე?! – გამბობდით ჩვენ მეორე ოთახში. ცოტა ხანში პავლემ მიხმო, თვალებაცრემლებულმა მითხრა: ძალიან კეთილშობილი და ჭკვიანი ბიჭი გვეზრდებო, და, ცოტა ეშმაკიცო (ის ყველაფერს მიმხვდარიყო).

მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ერისა!

მიმდინარეობდა საქართველოს მოსახლეობის აღწერა. ეს მოხუცი, ავადმყოფი კაცი, გოგებაშვილის ქუჩიდან ჩიტაძის ქუჩის ბოლომდე ფეხით მიდიოდა სტატისტიკურ სამმართველოში, განუყრელი პორტფელით ხელში. დადიოდა ყოველდღე აღმართ-დაღმართ დაულალავად. სულ იმას დაჰკანკალებდა, არც ერთი ქართველი არ დაჰკარგვოდა საქართველოს. ერთ დღესაც, მივიდა და ნახა კაცი, რომელიც გარკვეული იყო იმ საკითხში, რაც მას აინტერესებდა. დიდხანს ისაუბრეს. თანამშრომელი ბოლოს დაიღალა, მოთმინებიდან გამოვიდა და ჰკითხა: „ბატონო, თქვენ რა, ყველაფერი გაინტერესებთ?“ პავლემ მიუგო: „დაიხ, მე ის კაცი ვარ, რომელსაც ყველაფერი აინტერესებს, რაც საქართველოს ეხება“. „თქვენ რა, პავ-

ლე ინგოროყვა ბრძანდებით?!“ ირონიულად ჰკითხა თანამოსაუბრემ. „ღიას, მე პავლე ინგოროყვა განლავართ!“ „ბატონო პავლე“ – ესლა აღმონდა თანამშრომელს. პავლეს გაეღიმა: „მე ვარ ჯვარისკაცი, მეგობარო! ერის ჯვარისკაცი“, – ხშირად უყვარდა ამის თქმა...

ეკა პატარაია

ჟურნ. „თბილისელები“, N9, 3 მარტი-9 მარტი, 2014, გვ. 30-31.

რატომ წვადნენ აფხაზი სეპარატისტები პავლე ინგოროყვას წიგნს სოხუმის ცენტრში

...პავლე ინგოროყვა 20 წლისაც არ იყო, როცა აღმოაჩინა, რომ ის ჰიმნოგრაფიული ტექსტები, რასაც ჩვენ პროზად მივიჩნევდით, პოეზია ყოფილა. მეათე საუკუნის საგალობლების ამოცნობა მისი პირველი უდიდესი აღმოჩენა გახლდათ. 40 წლის შემდეგ მან იმავე ტექსტებში წითელი შრიფტით ჩაწერილი სანოტო ნიშნებიც ამოიცნო. მის მიერ გაშიფრული მიქაელ მოდრეკილის კრებულის მეორე ტომეზე საუკუნის რამდენიმე საგალობელი, სახელმწიფო საგუნდო კაპელის შესრულებით, სიონის საკათედრო ტაძარში ჩაიწერა. ჩაწერას უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ მეორეც დაესწრო. მეორე დღეს ჩანაწერი, პავლე ინგოროყვას გამოსვლის ტექსტთან ერთად, „იუნესკოში“ გაიგზავნა და 1962 წელს მთელი მსოფლიოს გასაგონად აჟღერდა... მის კიდევ ერთ მიგნებას – „ძველ ქართულ წარმართულ კალენდარს“ – ივანე ჯავახიშვილმა „უაღრესად საინტერესო გზის



პავლე ინგოროყვა და გალაკტიონი

გამკვლევი მონოგრაფია“ უწოდა. მკვლევრის ისტორიული შრომებიდან ყველაზე მნიშვნელოვნად „გიორგი მერჩულე“ მიიჩნევა. 60-იან წლებში, გამოსულ პავლე ინგოროყვას ტომეულების გამოცემისას, „გიორგი მერჩულე“ პოლიტიკური ნაწილი არ დაიბეჭდა... „გიორგი მერჩულე“ შუქს ჰფენს ჩვენი ისტორიის ყველაზე ნაკლებად შესწავლილ მონაკვეთს – VII-IX საუკუ-

ნებს. უამისოდ როგორ იქნებოდა და, გარკვეულ წრეებში ნაშრომის მიმართ არა-ჯანსაღი განწყობა გაჩნდა. სამშობლოდან მოწყვეტილმა გრიგოლ რობაქიძემ შე-ნევიდან დას, ლიდა რობაქიძეს გამოუგზავნა წერილი: „ეს წიგნი დიდი გამარჯვე-ბაა, დიდი. თავისებურება მისი, არაჩვეულებრივი: კითხულობ მას და ხედავ: სა-ქართველო იზრდება, ვითარ ცოცხალი არსი, ვრცელდება თანდათან, მკვიდრდება ნელინელ, დგინდება, მტკიცდება. წიგნი ციხესიმაგრედ აღმართული, ისეთ ცი-ხესიმაგრედ, რომელსაც ვერარა შელახავს და ვერარა აიღებს. ამას ესეც უნდა დაერთოს: ამ მძლავრ ხელებში დიდი მადლიცაა“. მამ ლიდას ასევე მისწერა, რომ წერილი პავლესთვის მიეტანა. ალბათ, გასამხნეველად... პავლეს ბარათი-დან ეს ადგილი ამოუწერია და შეუნახავს.

შეუძლებელია, გენიალური პიროვნება, მისი შემოქმედება ჩრდილმა დაფა-როს. შესაძლოა, სულ მალე მსოფლიოს ყურადღება საქართველომ პავლე ინგო-როყვას მიერ ხეთური იეროგლიფების გაშიფრის ფაქტის გამო მიიპყროს... ამ საკითხზე მკვლევრისა და მეცნიერის შვილიშვილი, გიო მგელაძე მუშაობს. პავ-ლე ინგოროყვას შემოქმედებისა და ისტორიული მნიშვნელობის დამსახურების შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, პავლე ინგოროყვას ორი ტომის გამომცემელი, დავით გალეგაშვილი საუბრობს, ხოლო ცხოვრებისეულ ეპიზოდებს გიო მგელაძე და შვილთაშვილი, ჟურნალისტი ნინია ახვლედიანი იხ-სენებენ... სარფი დღეს ჩვენი რომ არის, ეს პავლეს დამსახურებაა! რობაქიძეს სხვა ბარათიდან ამოწერილი ჰქონდა ამგვარი შეფასება: „გამოკვლევა პავლე ინ-გოროყვასი, „გიორგი მერჩულე“, დიდი მარჯვია საქართველოსი“.

პავლეს, ასევე, შენახული ჰქონდა ემიგრაციაში მოღვაწე ქართველი სწავ-ლულის, ალექსანდრე მანველიშვილის ნაწერიც: „აქ ავტორი გვევლინება, რო-გორც მეცნიერი მხედარი, რომელიც იცავს მამა-პაპათა მიერ სისხლით მორწყულ მიწას და მათ გაპოხიერებულ ნიადაგზედ შექმნილ ქართულ კულტურას, სიმარ-თლისა და ისტორიული ჭეშმარიტების საფუძველზე...“ ალბათ, გასაკვირი აღარ არის, რატომ წვაგნენ 50-იან წლებში ამ წიგნს აფხაზი სეპარატისტების იდეუ-რი წინაპრები სოხუმის ცენტრში. ვინ იცის, რამდენ უბედურებას ასცდებოდა სა-ქართველო, ქვეყნის ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს მტკიცედ რომ დაეცვათ ინგოროყვასეული პრინციპები აფხაზეთთან მიმართებაში.

„რაც შეეხება „რუსთველიანას“. ჩემთვის ყველაზე ძვირფასი მაინც „რუსთვე-ლიანა“ა, განსაცვიფრებელი „რუსთველიანა“, – როგორც ამას ნოდარ დუმბაძე იტყვოდა. თუკი ვინმეს აინტერესებს, ვინ იყო სინამდვილეში მსოფლიო პოეზიის მწვერვალის, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, მან სწორედ ეს ნაშრომი უნდა წაიკი-თხოს. მასში მოცემულია ინფორმაცია რუსთაველის წარმოშობის, ოჯახის შესა-

ხებ; აღწერილია მისი ბრძოლა მონღოლების წინააღმდეგ, მონაწილეობა კოხტას-თავის აჯანყებაში; იერუსალიმის მონასტრისადმი მისი დამსახურება და ფილოსოფიური შეხედულებები. ამ მონოგრაფიის გამო საბჭოთა პოლიტიკურმა და სამეცნიერო ელიტამ პავლე ინგოროყვა მორალურად გაანადგურა. წიგნი დაბეჭდა, მაგრამ იგი უსაფუძვლოდ იქნა უარყოფილი. რა იყო ამის მიზეზი? – მისი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეობა. იგი იყო ხელმძღვანელი დამოუკიდებლობის აქტისა, მონაწილე ყველა კომისიის (როგორც მენშევიკური, ისე ბოლშევიკური), რომელიც სადავო ტერიტორიულ საკითხებს განიხილავდა თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან. საბჭოთა პერიოდში, ფილიპე მახარაძის პირველკაცობისას, პავლე ილიას პირველი ათტომეულის გამომცემელი, ჟურნალების დამაარსებელი გახლდათ. ასევე, მან დააარსა ხელნაწერთა განყოფილება სახელმწიფო მუზეუმში, რომლის საფუძველზეც, მოგვიანებით, ხელნაწერთა ინსტიტუტი შეიქმნა.

ცნობილია მისი დავა სერგო ორჯონიკიძესთან საქართველოს ტერიტორიების შესანარჩუნებლად. სერგო ორჯონიკიძემ პირდაპირ მოუწერა ხელი აზერბაიჯანელებს საინგილოს გადაცემაზე და, როდესაც პავლე ინგოროყვამ პროტესტი გამოთქვა, ორჯონიკიძემ მას შეუთვალა: გადაეცით, ბევრს თუ ილაპარაკებს, საერთოდ თბილისთან გავუვლებ საზღვარსო.

20-იან წლებში პავლემ და მისმა მეგობრებმა მიხეილ ჯავახიშვილი დახვრეტას გადაარჩინეს, მაგრამ 30-იანებში, სამწუხაროდ, ეს ვეღარ მოახერხეს. სწორედ ამ „რეაქციონერობის“ გამო გამორიცხეს ის მწერალთა კავშირიდან. აი, მაშინდელი ოფიციალური დოკუმენტიც: „პავლე ინგოროყვა გამორიცხულ იქნა, როგორც აშკარა რეაქციონერი და შოვინისტი მწერალი, რომელმაც ჯერ კიდევ ანტისაბჭოთა ჟურნალის „კავკასიონის“ რედაქტორობის დროს ნათლად გამოამჟღავნა თავისი რეაქციონური და ნაციონალისტური სახე... პავლე ინგოროყვა იყო ქართული მწერლების რეაქციონური და შოვინისტური ნაწილის ორგანიზატორი და ხელმძღვანელობდა რეაქციონურ „ქართული წიგნის“ გამომცემლობას, რომელიც წარმოადგენდა მისი ხელმძღვანელობის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ განწყობილ მწერალთა თავშესაფარს“.

1931 წელს კონსტანტინე გამსახურდია დაიჭირეს. წარმოდგინეთ, პავლე რუსეთში ჩავიდა და ციხის წინ ქართული ჩოხით დააბიჯებდა... ციხის უფროსმა თქვა: ან ეს კაცი ჩასვით, ან გამსახურდია გაუშვითო და კონსტანტინე გაათავისუფლეს.

30-იან წლებში ანუ მაშინ, როცა სტალინი უკვე ძალაუფლების ზენიტში იყო, გადაწყდა, რომ მოსკოვში ქართული კულტურის დღეები ჩატარებულიყო. მაშინდელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მიერ მომზადებული ქართული

მწერლობის ისტორია სტალინის არ მოეწონა და მისი გადაწერა პავლეს დაეკალა. პავლემ ორ ღამეში გადაწერა და გაგზავნა. ორჯერ იყო ბერიას კაბინეტში, სადაც მისი დაკავება-განადგურების საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, თუმცა, გადარჩა. მართალია, ფიზიკურად არ განადგურეს, მაგრამ მუდმივად შევიწროებული იყო.

პავლე ინგოროყვამ სიცოცხლის ბოლოს ასე შეაფასა თავისი სამეცნიერო დანატოვარი — „ქართული ცივილიზაციის ისტორია“. მე ამას დავუმატებდი: ქართველ მეცნიერთაგან პირველმა პავლე ინგოროყვამ შეაღო ის კარიბჭე, რომლის მიღმაც ყველასათვის უცნობი და უხსოვარი საქართველოს წარსული იყო.

რა წვლილი აქვს პავლე ინგოროყვას აჭარის ბედის გადაწყვეტაში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ? ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ლენინმა თურქეთს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ტერიტორიების ნაწილი, მათ შორის, ბათუმის ოლქის მიწები დაუთმო. აჭარლებისა და გენერალ მაზნიაშვილის გმირული ბრძოლების შედეგად, თურქები ბათუმიდან განიდევნა. მაგრამ თურქეთი ზავის პირობების შესრულებას და შესაბამისად, ართვინისა და არტაანის მსგავსად ბათუმის გადაცემასაც მოითხოვდა. საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ხელი-სუფალთა გადაწყვეტილებით შექმნილ კომისიაში გასაბჭოებული საქართველოს მხრიდან ახალგაზრდა მეცნიერი, 24 წლის პავლე ინგოროყვა ჩართეს. მან თურქულ ტექსტში მიაკვლია ცნობას, რომ სასაზღვრო მდინარედ განსაზღვრული თურქულად ჩაწერილი სიტყვა — „ჩოროქ“ არა ჩოლოქს (როგორც ამას თურქული მხარე ამტკიცებდა), არამედ ჭოროხს ნიშნავდა, რომელიც გაცილებით უფრო სამხრეთით მდებარეობდა. საბოლოოდ, საზღვარმა ამ ცნობის მიხედვით გაიარა. შედეგად კი, აჭარა დღეს საქართველოა...

ნინია ახვლედიანი, პავლე ინგოროყვას შეილთაშვილი: პავლე დედის მხრიდან ჩემი დიდი ბაბუა იყო. როცა დედაჩემის დედას მამა გარდაიცვალა, მამის ძმამ, პავლემ საკუთარი ძმისშვილები შეილებივით გაზარდა. თვითონ შვილი არ ჰყავდა. მართალია, თავად ამას აპროტესტებდა, მაგრამ ძმისშვილები მამას ეძახდნენ. 2 წლის ვიყავი, როცა პავლე გარდაიცვალა. საოცრებაა და ალბათ, დაუჯერებელი, მაგრამ როცა ვოგებაშვილზე, ჩვენს სახლში მივიღოდი, კადრად მახსოვს, როგორ ეჯდა ბებიას საწოლთან თეთრწვერა პავლეს და მაწონს აჭმევდა. პავლეს ლურჯი ქუდი ეხურა. დედას მონათხრობიდან ვიცი პავლეს სიყვარულის ამბავი, რამაც ის სულ სხვა ჭრილში დამანახვა, ანუ ასეთ დიდ საზოგადო მოღვაწეს, ადამიანს, რომელმაც სამშობლოსა და ქართულ ენას შესწირა მთელი ცხოვრება, როგორი სიყვარული შესძლებია ქალის მიმართ. მას ქეთევან ბაქრაძე, არაჩვეულებრივი, ულამაზესი, არისტოკრატიული გარეგნობის, დახვეწილი, ევროპულად მოაზროვნე ქალი უყვარდა. როცა ის ცოლად სხვას გაჰყვა, პავლემ სასოწარკვე-

თისგან თვითმკვლელობა სცადა: ტყვია გულში ისროლა. რთული წარმოსადგენია, მაგრამ ტყვია გულთან გაჩერდა და პავლე გადარჩა. ის ტყვია კი სიცოცხლის ბოლომდე არ ამოაღებინა სხეულიდან, სიყვარულის ნიშნად დაიტოვა. მოგვიანებით, ქეთო ქმარს გამოურდა და ცოლად პავლეს გაჰყვა. სიცოცხლის ბოლომდე სამაგალითო და ბედნიერი ცოლქმრობა ჰქონდათ. ქეთო არაჩვეულებრივი მთარგმნელი იყო. მან დიკენსის „დევიდ კობერფილდი“ თარგმნა, რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო თარგმანად მიიჩნევა. ქეთომ ზუსტად იცოდა, ვინ იყო პავლე, ვის გვერდით ცხოვრობდა და საოცრად აფასებდა. დედასგან ვიცი, რომ პავლე უფრო თბილი იყო, ვიდრე – მკაცრი. მუდმივად საქმეში ჩაფლული, მილიონი ფურცლითა და წიგნით გარშემორტყმული, თურმე, გამოვიდოდა თავისი ოთახიდან და იკითხავდა: „მე დღეს ვჭამე?“ ანუ ჭამა მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდა, რომ არ წაქცეულიყო. ვიცი, კიდეც გუგული მგელაძის მონათხრობი ბაბუას შესახებ: „ცუკას მდივანი შევარდნაძე უკვე ძალიან მოხუც და სკლეროზით დაავადებულ პავლეს მონახულებას აპირებდა. გუგული იუმორით გვიყვება: შევიდოდი და „გავარჯიშებდი“. შევარდნაძე რომ გკითხავს, ხომ არაფერი გნებავთო? უნდა უთხრა, რომ ბინა გვჭირდებაო. ერთხელაც, გუგულიმ პავლეს „გამოცდა“ მოუწყო და ვითომ, შევარდნაძე იყო, ოთახში თავად შევიდა. მოიკითხა, გაესაუბრა და გასვლისას მიუბრუნდა: ხომ არაფერი გჭირდებათო? პავლემ მიიხედ-მოიხედა, თურმე და ჩუმად იკითხა: ჩემი სიძე აქ ხომ არ არისო? მერე კი „შევარდნაძეს“ უთხრა: „საქართველოს მიმიხედე, საქართველოს!“.

ინტერვიუზე მისულს ერთხელ თამაზ ჩხენკელმა მითხრა, სარფი დღეს ჩვენი რომ არის, ეს პავლეს დამსახურებააო.

გიო მგელაძე, პავლე ინგოროყვას შვილიშვილი: 14 წლამდე პავლესთან ვიზრდებოდი. შეიძლება ითქვას, ასკეტურად ცხოვრობდა. 24 საათიდან ოცს მუშაობაში ატარებდა. მხოლოდ იმ პერიოდში შეწყვიტა საქმიანობა, როცა მისი მეუღლე ავად გახდა. ლოგინად მყოფი ქეთოს მოვლა პავლემ იკისრა და ის დრო საყვარელ მეუღლესთან ერთად გაატარა. მახსოვს, უყვარდა სიტყვა „მამასადაძე“. ხშირად მეუბნებოდა: კომუნისტებს არ დაუჯერო, ბაბუ, „წულიკები“ არიანო... ძალიან მძიმე პორტრეტით დადიოდა. ავტობუსშიც კი ამოიდებდა ხოლმე თავის ფურცლებს და მუშაობდა ან კითხულობდა... თუ სადმე ვინმეს ლოდინი მოუწევდა, დროს არ კარგავდა. ახლაც კი მაცოცხლებს ხოლმე მის წიგნებში გაკეთებული შენიშვნები, ნებისმიერ მეცნიერებაზე ჰქონდა თავისი წარმოდგენა, ანალიზს აკეთებდა. პავლე ყველა მთავრობისგან იყო დევნილი. რეპრესიების პერიოდში ოთხი წელი ქეთოსთან ერთად, მეუღლის სოფელში გაატარა. ალბათ, არც უნდოდათ მისი ფიზიკური განადგურება, თორემ, ბუნებრივია, იქ მისი მიგნება არ გაუჭირ-

დებოდათ.

ერთ ამბავს გავიხსენებ, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე: მესამე კლასში ვიქნებოდი. კარზე ხარი დარეკეს. გავაღე და ზღურბლთან ძალიან მაღალი სასულიერო პირი დავინახე. პავლე იკითხა. ოთახში შევუძახე. პავლე იწვა. ეს ადამიანი მეუფე აღმოჩნდა. პავლეს ოთახში შესულმა საწოლთან დაიჩოქა და ბაბუას ბიბლია გადასცა. უთხრა, რომ პატრიარქისგან ჰქონდა ასეთი კურთხევა. ეს ძალიან ემოციური სურათი გახლდათ... პარადოქსია, მაგრამ პავლე ინგოროყვა ისე გარდაიცვალა, აკადემიკოსის ხარისხი არ ჰქონდა... ვისაც პავლეს პიროვნებასა და ცხოვრებაზე წარმოდგენა აქვს, იცის, რომ ეს ფაქტი მისი პერსონისთვის, მისი ცხოვრების მრწამსისა და წესისთვის ორგანულია. პავლეს საკანდიდატოც არ ჰქონდა დაცული. სახლში გვაქვს 40-იანი წლების 4 აკადემიკოსის წარდგინება. კონსტანტინე გამსახურდიამ, გალაკტიონმა და გოგლა ლეონიძემ წარადგინეს აკადემიკოსად, მაგრამ ბოლშევიკებმა ეს წინადადება არ მიიღეს. იხა ორჯონიკიძემ ლიტერატურის მუზეუმში პავლეს 85 წლის იუბილე გამართა.

მიუხედავად იმისა, რომ იუბილე არაფორმალურად ჩატარდა, მეორე დღეს იხა თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მე ვესწრებოდი ამ იუბილეს, სადაც იმ ეპოქის მნიშვნელოვანი მოღვაწეები საოცარ ამბებს იხსენებდნენ, აღიარებდნენ პავლეს გენიალურობას. მაშინვე გამიჩნდა კითხვა საკუთარ თავთან: ასეთ გენიოსად თუ აღიარებდნენ, რატომ არავინ მოსულა მასთან სახლში, არ უკითხავს როგორ იყო, რაზე მუშაობდა?! უკვე შეუძლოდ გახლდათ, ამ საღამოს არ დასწრებია და ყველაფერი მე ვუამბე. იუბილეზე კაკო ბაქრაძე გამოვიდა წინადადებით - პავლესთვის აკადემიკოსობის მინიჭების მოთხოვნით აკადემიასთან ტრანსპარანტებით მისულიყვნენ. მაშინ რეზო თვარაძემ თქვა: ვეთანხმები კაკოს, მაგრამ დღევანდელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია არის კი ღირსი პავლე ინგოროყვა მისი წევრი იყოსო?! შეთანხმდნენ, რომ - არა. კარგიც არის, რომ აკადემიკოსი არ გახდა. მისი ნებისმიერი, ერთი პატარა მონოგრაფიაც კი სადოქტორო დისერტაციაა. რეგალიებსა და სტატუსებს მისთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა. ჰოდა, იმას, რასაც არ სცნობდა, არც ფლობს. ბოლო 5 წელი ავად იყო, ვერ მუშაობდა. გონება ხშირად დაღატოვდა, მაგრამ მე ყოველთვის მცნობდა... ეჭვი მაქვს, რომ მას, უბრალოდ, უფროსებთან ურთიერთობა მობეზრდა და „ვერ ცნობას“ მხოლოდ იმიზეზებდა. ერთი თვლით საერთოდ ვერ ხედავდა, მეორეთი - ძალიან ცუდად. ერთხელ, მის ოთახში შევედი და შუქი ავანთე. საწოლში მჯდომს წინ გადაშლილი წიგნი ედო, - კკითხულობო. ძვერა, მართლა კითხულობდა, მხოლოდ, არა თვალებით... მგონია, რომ მეტაფიზიკური კონტაქტი ჰქონდა - ხან იოანე ზოსიმესთან, ხან რუსთაველთან, ხან გიორგი მერჩულესთან ურთიერთობდა... 14

წლის ვიყავი, როცა გარდაიცვალა. მისი დაკრძალვის დღეს თვითმფრინავის გატაცებისას გარდაცვლილ აეროპორტის თანამშრომლებს კრძალავდნენ. უმაღლეს სასწავლებლებს ავტობუსები მიაყენეს და მათ დაკრძალვაზე იძულებით წაიყვანეს სტუდენტები, მხოლოდ იმ მიზნით, რომ პავლეს დაკრძალვას არ დასწრებოდნენ. ნეშტი მწერალთა კავშირიდან გამოასვენეს. დისიდენტი მწერლები ითხოვდნენ, რომ მთაწმინდაზე დაეკრძალათ. ბოლშევიკი მწერლები კი ამბობდნენ, დიდუბეში უნდა დაიკრძალოსო. ბოლოს დისიდენტებმა მოილაპარაკეს: ფეხით გამოვასვენებთ და მთაწმინდის ასახვევს რომ მივუახლოვდებით, გავთხრით საფლავს და დავსაფლავებთო. თავს უფლება მივეცი და მე, პატარა ბიჭი ჩავერიე: მართალია, მთაწმინდა ეკუთვნის, მაგრამ ფორმა მიუღებელია! სათამაშო ზომ არ არის, ასე ატარონ-მეთქი?! დიდუბის ეკლესიაში, ბოლოს და ბოლოს, თამარ მეფეს აქვს ჯვარი დაწერილი. ასე რომ, მწერალთა კავშირიდან პავლე ფეხით მიასვენეს დიდუბის ეკლესიამდე. პანთეონის კარიბჭესთან, სასახლეს მამაკაცები გამოეცალნენ და ქალები შეუდგნენ; მანამდე ასეთი ფაქტი ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენებისას მოხდა.

ბოლო დროს ხეთურ იეროგლიფებზე მუშაობდა. როგორც იცით, მან საგალობლების 60% გაშიფრა. ეს იყო მსოფლიო მოვლენა. ვფიქრობ, მხოლოდ მეცნიერული ლოგიკით ამის ახსნა წარმოუდგენელია. მგონია, რომ მას გარკვეული „მეტაფიზიკური გასაღები“ მიეცა არამატერიალური სამყაროდან... პავლე თავად ამბობდა, რომ ხეთური იეროგლიფები, ანუ კაცობრიობის მიერ დღემდე წაუკითხავი ტექსტები ამოხსნა. ამ საკითხებზე ვმუშაობთ. როცა საბოლოოდ დამტკიცდება, ეს იქნება უმნიშვნელოვანესი საჩუქარი კაცობრიობისთვის.

ეკა პატარაია

შინაარსი

ლია გაბუნია – პავლე ინგოროყვა საქართველოს საზღვრებისა და ტერიტორიული გამიჯვნის შესახებ _____	5
იგორ კეკელია – ეგრის-აფხაზეთის ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმის ზოგიერთი საკითხი პავლე ინგოროყვას ნააზრევში_	17
ქეთევან მარგიანი – პავლე ინგოროყვა – „სვანეთის საისტორიო ძეგლების“ რედაქტორი და გამომცემელი _____	39
ნორა ნიკოლაძე-ლომსიანიძე – პავლე ინგოროყვა ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ _____	45
მაია ნინიძე, ვლადიმერ ჭველიძე – პავლე ინგოროყვას ისტორიოგრაფიული კვლევების კვალდაკვალ _____	49
ლადო ჭველიძე – შოთა რუსთაველი იერუსალიმში _____	61
თინა აბულაშვილი – ციხე-ქალაქი ლორე _____	80
ედიშერ ბალათურია, იგორ კეკელია – ახალსენაკის თეატრალური ისტორიის სათავეებთან _____	87
თენგიზ გუმბერძე – „ვეფხისტყაოსანი“ და „ომიანიანი“ _____	110
თენგიზ გუმბერძე – ერეკლე მეორისა და ანტონ კათალიკოსის ლიტერატურული პერსონაჟები ალექსანდრე კალანდაძის რომანში „ნეიშნის ფიცი“ _____	118
იგორ კეკელია – ქუეყანა ჭყონდიდისა _____	126
იგორ კეკელია, ედიშერ ბალათურია – შალვა კუჭავა-პონტოელის შემოქმედებითი პორტრეტისათვის _____	133
იგორ კეკელია – სერგი დანელიას ეროვნული თვალთახედვის ზოგიერთი ასპექტი ქართულ ფილოსოფიურ კრიტიკაში _____	140
იგორ კეკელია – ქართული ფილოსოფიის ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარი _____	151
Revaz Kvirkvaia – About the Cultural Possession of the Borjomi Vally in the 8 th -7 th centuries BC _____	160
ბაკურ ლაშხია – ქალაქების თვითმმართველობების არჩევნები სამეგრელოში (1919 წ.) _____	178
ბაკურ ლაშხია – კერძო საკუთრების კონფისკაცია სამეგრელოში (1919-1920 წწ.) _____	189
თამაზ ლაცაბიძე – სურამის ისტორიისათვის _____	199

ჯონდო ქიტიაშვილი – უნიკალური არტეფაქტები ზაშურის მუზეუმიდან	241
გურამ ჩიქოვანი – ფხვერი საწყაოს აღმნიშვნელი ბიბლიური ტერმინის ეფაპ/ეიფაჰის შესატყვისობები ქართველურ ენებში	256
მანანა ჭიჭინაძე – ეკლესიური ნაციონალიზმის მხილება მიხეილ ვავაზიშვილის მოთხრობაში – „ღამბალო და ყაშა“	262
მინდია ზვადაგანი – ზოგიშისა და მისი მომიჯნავე ადგილების ტოპონიმია	268
ლერი ვიბლაძე – კოლხეთის ზოგიერთი ადრეული განძის დათარიღების საკითხები	307

წიგნის თარო

გამოხმაურება იგორ კეკელიას წიგნზე – „აფხაზეთის ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია“	316
დანართი	321

პავლე ინგოროყვა 130

სამეცნიერო კრეკული

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დაკაბაღონება
ლევან იობაძე

ქალღდის ზომა 1/16
ნაბეჭდი თაბახი 21,5
ტირაჟი 100

დაიბეჭდა ი.მ. „მარიამ იობაძის“ მიერ
ქ. ქუთაისი, ახალგაზრღობის გამზირი 25-ა

